საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები

ტომი XVI

ზურაბ ჟვანია

ოფიციალური განცხადებები, გამოსვლები, ინტერვიუები

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები

ტომი XVI

ზურაბ ჟვანია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
(1995 წლის 25 ნოემბერი – 2001 წლის 1 ნოემბერი)

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
(2003 წლის 27 ნოემბერი – 2004 წლის 17 თებერვალი)

საქართველოს პრემიერ-მინისტრი
(2004 წლის 17 თებერვალი – 2005 წლის 3 თებერვალი)

ოფიციალური განცხადებები, გამოსვლები, ინტერვიუები

თბილისი 2019

UDC 328.(479.22)
Ს-323
ჟ-673

სერიის „საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები“

იდეის ავტორები:	**ემზარ ჯგერენაია** **დორის ფოგლი**
მთავარი რედაქტორი და შემდგენელი:	**მაკა ალანია**
დაკაბადონება:	**დათო მოსიაშვილი**

გამოცემაზე მუშაობდნენ: მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის სამოქალაქო განათლების განყოფილების თანამშრომლები.

რედაქტორის შენიშვნა: გამოცემაში შესულია ზურაბ ჟვანიას საჯარო გამოსვლები, ინტერვიუები, წერილები, მიმართვები.

ISSN 1987-5576
ISBN 978-9941-9640-2-2

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

წინასიტყვაობა 13
საქართველოს პარლამენტის დადგენილება
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის არჩევის შესახებ 19
თითოეულ ჩვენს მოქალაქეს შეუძლია იამაყოს იმით, რომ იგი ახალი ქართული
დემოკრატიის თანადამფუძნებელი გახდა. ზურაბ ჟვანიას გამოსვლა
პარლამენტის 1995 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე 20
ზურაბ ჟვანია: ჩემი და ჩემი გუნდის პოზიციები მყარია,
ჩვენს მართვას ვერავინ შეძლებს..... 30
მიზანი – ხელახალი რეინტეგრაცია. (ბრიფინგი) 35
ჟვანია იმედოვნებს, რომ ზაფხულში გაიხსნება
საკურორტო სეზონი აფხაზეთში..... 37
არსებული საზღვრები კავკასიაში ვერ შეიცვლება 39
რეალობა კი ასეთია. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სახელმწიფო
სათათბიროს 15 მარტის გადაწყვეტილების შესახებ 42
საქართველოს პარლამენტის განცხადება რუსეთის ფედერაციის
ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო სათათბიროს
1996 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების თაობაზე..... 43
შავიშვილის წინააღმდეგ გამწარებული ბრძოლა
ჩემთვის უცნობია – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ 45
ბოსფორის საკითხი ცალსახად არ გადაწყდება 46
ზურაბ ჟვანია: საქართველოს რეგიონული ინტეგრაციის იმედი აქვს 48
ჩვენ შეიძლება პოლიტიკა შევცვალოთ.
(ზურაბ ჟვანიას სპეციალური განცხადება) 50
პარლამენტის თავმჯდომარე ქვეყნის პოლიტიკაში
ძირეული ცვლილებების მომხრეა 52
ვალდებულნი ვართ, ანგარიში გავუწიოთ
საქართველოს განწყობილებას..... 54
ზურაბ ჟვანია: „ზამთრის მერე უეჭველად დადგება გაზაფხული“ 56
1996 – პირველი წელიწადი ახალი კონსტიტუციის შესაბამისად..... 64
ჩატეხილი ხიდის აღსადგენად 67
„სულ მცირე, იმას მაინც მოვახერხებ, ყველაფერი ვთქვა,
რაც ქვეყანაში ხდება“ 70
ფიშერისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
ბატონ ზურაბ ჟვანიას ერთობლივი პრესკონფერენცია..... 74
კავკასიის საპარლამენტთაშორისო ასამბლეას მხარს ვუჭერ.
პარლამენტის თავმჯდომარის სპეციალური განცხადება..... 78
„თუ ადამიანი არის პოლიტიკაში, ის აღარ უნდა
იყოს დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით“..... 80
„პოლიტიკური მიწისძვრები პარლამენტის დადგენილებას რუსეთის
ჯარის გაყვანის შესახებ არ დაემუქრება“ – აცხადებს ჟვანია..... 85

ზურაბ ჟვანია: ჯერჯერობით ეს იყო ყველაზე
წარმატებული სესია. პრესკონფერენცია 87
საქართველოს, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი რესპუბლიკის
შესახებ, რომელსაც ძალიან ახალგაზრდები მართავენ 99
როცა გამსახურდიას ხელისუფლების ძალით დამხობის
წინააღმდეგ მიმართვა გავავრცელეთ, მას ხელი მხოლოდ
ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ მოაწერა 102
უნდა იცოდე, რომელ კარს მიადგე. ზოგჯერ თვით დეპუტატები
ამბობენ, რომ პარლამენტის მიერ მიღებული
კანონები არასრულფასოვანია..... 108
დაპირისპირება: არსებობს რაღაც ზღვარი. (ბრიფინგი)..... 113
„კორუფციაა მთავარი პრობლემა, რომელიც მაშინებს“ 122
1998 საპარლამენტო კონტროლის წელიც იქნება..... 129
რას ელოდა საზოგადოება შევარდნაძისაგან და
რა შესთავაზა შევარდნაძემ საზოგადოებას 137
ზურაბ ჟვანიას განმარტება პარლამენტარებისა
და ჟურნალისტებისათვის..... 150
საქართველომ კიდევ ერთხელ მოიგო
ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სიტყვა
1998 წლის 10 თებერვალს პარლამენტში გამართულ სხდომაზე..... 152
რკინიგზელებს პრეტენზიები არ გააჩნიათ 158
ზურაბ ჟვანია: ვერავინ მოსთხოვს საქართველოს ხელისუფლებას,
საკუთარი მოსახლეობის გენოციდს ნეიტრალურად უყუროს 160
მე არ მინდა ომისთვის მზადყოფნაზე საუბარი..... 162
„ახალ სასამართლო სისტემას მხოლოდ გადატრიალების
შემთხვევაში თუ შეეხებიან“ 165
საქართველო კატასტროფისკენ მიექანება. საქართველოს
პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სიტყვა
წარმოთქმული 26 მაისს საგაზაფხულო სესიის დახურვისას..... 168
გამარჯვება თუ კატასტროფა, ეს – ჩვენზეა დამოკიდებული.
აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე 172
ორი პოზიცია. პოლიტიკური დებატები 175
ინტერვიუ ზურაბ ჟვანიასთან: „არსებობდა ინფორმაცია,
რომ ჩვენი მოწინააღმდეგე „სიურპრიზებს“ გვიმზადებდა“ 182
ჟვანია პრემიერ-მინისტრობას არ აპირებს 184
ებრაელი ერის განცდა ჩემთვისაც გასაგებია.
პარლამენტის თავმჯდომარის სიტყვა 187
საიდუმლო სერობის მორიგი რაუნდი – პრეზიდენტს
კარის მსახურად რომელი მინისტრი მოსწონს? 190
ზურაბ ჟვანიას განცხადება. 24 აგვისტოს ზუგდიდში
განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით..... 193

„აშშ-ს ადმინისტრაცია მზად არ არის აფხაზეთში ისევე იმოქმედოს,
როგორც ბოსნიაში“ – აცხადებს ზურაბ ჟვანია 194
ჟვანია არმიაში მიმდინარე პროცესებს ოპტიმიზმით უყურებს 198
ზურაბ ჟვანია „მოქალაქეების“ გამარჯვებაში დარწმუნებულია..... 199
პარლამენტის თავმჯდომარე: ამოსავალი წერტილი –
ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება 204
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას
სიტყვა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე. 1999 წლის
27 იანვარს, საქართველოს ევროსაბჭოში მიღებასთან დაკავშირებით 206
ევროპულ თანამეგობრობაში საქართველოს მიღება ფუძემდებლური
პრიორიტეტია, რომელიც ქართველი ხალხის სურვილს, ცნობიერებას
და მისწრაფებას ასახავს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
ზურაბ ჟვანიას სიტყვა ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეის
1999 წლის 27 იანვრის სხდომაზე..... 207
იმ ქვეყნის ბიუჯეტი უნდა გვქონდეს, რომელსაც
თავისი მოსახლეობის ათეულობით ვალი აქვს..... 210
ბერეზოვსკის გადაყენებით დსთ-ს პრობლემები არ შეექმნება..... 211
ზურაბ ჟვანია: არ მივესალმები კონსტიტუციის რევიზიას,
თუმცა, ყველა ევროპულ ტრადიციაში მთავრობის
მეთაური გამარჯვებული პოლიტიკური ძალის ლიდერი ხდება 213
საკითხები, რომელიც აწუხებს აჭარის ხელისუფლებას,
ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა განუმარტოს..... 218
რუსეთს საქართველოს მიმართ პოზიცია არ გააჩნია.
პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებები..... 219
მოვლენა. საქართველოს ევროსაბჭოში
გაწევრიანებასთან დაკავშირებით 221
„ჩვენ მოვიპოვეთ ევროპული მგზავრობის ბილეთი,
იმის საშუალება, რომ ევროპულ საბჭოში გაწევრიანების
შემდეგ დაიწყოს საქართველოს ინტეგრაციის პროცესი
სხვა ევროპულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებთან“ 223
„ჩემს ძმას წვრილ ბიზნესში არაფერი გამოსდის“..... 226
ვაჟა ლორთქიფანიძეს ჩემი სახით
კონკურენტი არ ეყოლება. (გაგრძელება)..... 231
სამართლიანად უნდა შევაფასოთ უკანასკნელი ისტორიის ყველაზე
სისხლიანი და ყველაზე სამარცხვინო ფურცლები (დასასრული) 236
ჟვანიამ თვითონ ჩაიწერა საკუთარი თავი სალიკვიდაციო ნუსხაშიო..... 241
ჩემს თოჯინას შეუძლია დამოუკიდებლად იყაროს კენჭი პარლამენტში 247
„მე, ნიკო და ვაჟა თვითონ მივხედავთ საკუთარ საქმეს“,
– ამბობს ზურაბ ჟვანია რომელსაც ჯერ პრეზიდენტობა არ უფიქრია..... 252
ზურაბ ჟვანიას განცხადება..... 256
ჩვენს უმრავლესობას საფრთხე არ ემუქრება 257

დღის ციტატა. პარლამენტის თავმჯდომარე
არჩევნებთან დაკავშირებით 259
ზურაბ ჟვანია: ჩვენ ნამდვილად არ ვუტოვებთ
ცარიელ კედლებს მომავალ პარლამენტს..... 260
პარლამენტის თავმჯდომარე: „დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო
თანამეგობრობა არ დააყოვნებს...“ ოფიციალური წერილი..... 268
პარლამენტის თავმჯდომარე: ჩვენი მიზანი არის სამართლიანი
არჩევნების მოგება. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
ღია წერილი მასმედიის წარმომადგენლებს 270
ბინძური მეთოდებით პოლიტიკაში ჯერ
არავის გაუმარჯვია ბოლომდე 272
საქართველოში ორხელისუფლებიანობაზე ნურავინ იოცნებებს 278
პარლამენტის თავმჯდომარე: არჩენებამდე 2 დღე დარჩა..... 279
„ჩემს გემოვნებაზე რომ იყოს დამოკიდებული,
უფრო საინტერესო ოპოზიციას ავირჩევდი“ 285
ზურაბ ჟვანია საკუთარ დაბადების დღეზე
ხშირად თავადვე არის თამადა 289
ზურაბ ჟვანია: უმთავრესი ღირებულებაა
ჩვენი თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო 291
საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობას
ნამდვილად ვერ დაუწუნებ..... 297
„პარლამენტს ყოველთვის პრინციპული პოზიცია უკავია
მთავრობის პოლიტიკის მიმართ და არ ვაპირებთ
ვიყოთ სტატისტების როლში“ 301
„ედუარდ შევარდნაძე უალტერნატივო კანდიდატია
და მის აბსოლუტურ გამარჯვებაში ოპოზიცია დარწმუნებულია“ 308
ზურაბ ჟვანია: შევქმნათ დემოკრატიული მმართველობის
ეროვნული მოდელი. პარლამენტის თავმჯდომარის
მოხსენება პლენარულ სხდომაზე. 18.04.2000 წ. 310
„ცვლილებებზე დისკუსია მიმდინარეობს,
გადაწყვეტილებას პრეზიდენტი მიიღებს“ 325
ზურაბ ჟვანია პრემიერ-მინისტრის პოსტის წინააღმდეგია 329
„შეიძლება უფრო მკაცრ ზომებსაც მივმართოთ“ 331
„სუფთა ხელებით, მტკიცე პოლიტიკური ნებისყოფით ურთულეს
სიტუაციაშიც შეიძლება მძიმე პრობლემის მოგვარება“
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სიტყვა
პარლამენტის 12 სექტემბრის სხდომაზე..... 333
შს მინისტრი საზოგადოებას თითს ვეღარ დაუქნევს..... 351
ზურაბ ჟვანია: „სავიზო რეჟიმის შემოღებით რუსეთი ხელს ჰკრავს
საქართველოს, რომ კიდევ უფრო დაშორდეს მას.“ პარლამენტის
თავმჯდომარის გამოსვლა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.
24 ნოემბერი 2000 წელი 356

„სამართალდამცავებმა არ გააკეთეს, რაც უნდა გაეკეთებინათ“ 362
პარლამენტის თავმჯდომარე 2000 წელს
ხელისუფლების მუშაობით უკმაყოფილოა 365
ზურაბ ჟვანია: შანსი ძლიერი, შემტევი აგრესიული
მთავრობის შექმნის. პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლა
პრეზიდენტის ინიციატივასთან დაკავშირებით
საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ 370
„ყველა ქართველი უნდა გრძნობდეს,
რომ ქვეყანაში არის პოზიტიური დინამიკა“ 378
„საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებას ცნობს ყველა,
მათ შორის რუსეთი და ევროკავშირის წევრი ქვეყნები“ 382
ზურაბ ჟვანია: „გაიხსენეთ დედა ელისაბედი და ნუ იტყვით,
რომ საქართველოს მოღვაწეები აღარა ჰყავს“ 384
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ღია
მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი 387
პარლამენტის სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი.
11 სექტემბერი. 2001 წელი 391
კარგი მთქმელი არის. კარგი გამგონე?
გადაცემა რაიოსადგურში «Эхо Москвы» 399
„რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა ხორციელდება.
პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება 408
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
ზურაბ ჟვანიას განცხადება 410
ჩვენ მზად ვართ ყველაზე თამამი გადაწყვეტილებებისთვის..... 412
პარლამენტის სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი.
1 ნოემბერი 2001 წელი 418
„ხელისუფლების ახალ მოდელში ყველაზე დაუცველი მთავრობაა“..... 424
„მზად ვარ ასლან აბაშიძეს ნებისმიერ ტერიტორიაზე შევხვდე“..... 429
აჭარის დავალიანებამ 10 მილიონ ლარს გადააჭარბა. (ბრიფინგი) 432
იკისრე ვალდებულება? – პასუხიც აგე. პარლამენტის თავმჯდომარის
შეფასება ცხინვალში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით 434
„ამ ურთულესი ვითარების მიუხედავად, ჩვენ ვაკეთებთ
ყველაფერს იმისთვის, რომ გადაწყვეტილებები მშვიდობიანი
მოლაპარაკების შედეგად მივიღოთ და ამ კურსს განვაგრძობთ“ 435
„მოვუწოდებთ რუსეთის ხელისუფლებას,
ცხინვალის სეპარატისტებს, შეწყვიტონ აჟიოტაჟი!“ 438
რუსული პრესიდან: მოლაპარაკება სოჭში
მოულოდნელად კარგად დასრულდა..... 441
„მოსკოვის კაცმა“ აშკარა დამარცხება განიცადა 443
ამ თემებზე პირველად ვსაუბრობ 447
გეოგრაფიული საძიებელი 456
პირთა საძიებელი..... 460

წინასიტყვაობა

ზურაბ ჟვანია 1963 წლის 9 დეკემბერს, ქალაქ თბილისში, ქართველ ინტელიგენტთა, ფიზიკოსების – რემა და ბესარიონ ჟვანიების ოჯახში დაიბადა. ეს მოკლე ბიოგრაფიული ცნობა ჩვენი ქვეყნის წარსულისა და აწმყოს კონტექსტში მრავლისმთქმელია.

ინტელიგენტობა საბჭოთა კავშირში დრამატული და, შეიძლება ითქვას, ტრაგიკული ბედის მატარებელი განსაზღვრულობაა. საბჭოთა ტოტალიტარული სისტემისთვის ინტელიგენტები, ინტელექტუალები, ანუ ერუდიციისა და კრიტიკული აზროვნების მატარებელნი აპრიორი წარმოადგენდნენ თავისი პროფესიული განსაზღვრულობით არა კლასობრივ, არამედ არსობრივ მტერს. რადგანაც, თუნდაც კლასობრივი მტრები – ბურჟუები, რომელთა აღმოფხვრა იყო კომუნისტური იდეოლოგიის მიზანი, ქონებრივი გადანაწილების შედეგად წყვეტდნენ ბურჟუად, „ექსპლუატატორად“ არსებობას და, შესაბამისად, საბჭოთა სისტემა იმედოვნებდა, რომ ეკონომიკური საფუძვლის გამოცლით ისინი ნაკლებად საშიშები იქნებოდნენ. მაგრამ ინტელექტის და კრიტიკული აზროვნების ექსპროპრიაცია ვერ განხორციელდებოდა ისე, როგორც მიწის ან ფაბრიკა-ქარხნების ჩამორთმევა. ამდენად, მოაზროვნე ადამიანი ფიზიკურ ლიკვიდაციამდე დამოუკიდებელ, თავისუფალ მოაზროვნედ და, შესაბამისად, სისტემისთვის საფრთხედ რჩებოდა. თუმცა, ამასთან ერთად, საბჭოთა იმპერიის განვითარებას სჭირდებოდა ინტელექტიც, რომლის გარეშე არც ინდუსტრიალიზაცია, არც ბირთვული ძლიერება და არც კოსმოსი არ იყო მიღწევადი. და ამ მოცემულობით სისტემამ დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ინტელიგენციის განადგურებისა და ერთდროულად გამოყენების მიმართულებით.

ამ ტრაგიკული და სისხლიანი ლიკვიდაციით, გადასახლებით და წამებით მილიონებზე გადამრავლებული ისტორიების ერთგვარი დაზავების ხანა, ალბათ, ნიკიტა ხრუშჩოვის ეპოქიდან იწყება და შესაძლოა ასე შეჯამდეს: გვჭირდებით, მაგრამ ჩვენ თქვენ არ გენდობით და მუდმივად გაკვირდებით. ფიქრი – თქვენი პროფესიაა, ჩვენი საქმეა თქვენი ფიქრის კონტროლი; და თქვენთვისვე სჯობს ნუ დაგვანახებთ, რას ფიქრობთ.

ამ დაზავებამ შექმნა ხრუშჩოვკების სამზარეულოებში უახლოეს მეგობრებს შორის ჩურჩულით საუბრის ინტიმური და ერთგვარად საკრალური სივრცეები. „სამიზდატის“ ფურცლებთან ფანრის შუქზე ზიარება და დასავლეთიდან „შემოპარული“ „ვინილის“ ფირფიტების მოსმენით აღტაცება. ფიქრი – ლაპარაკის გარეშე, თორემ დაგადანაშაულებენ ჯაშუშობაში, რწმენა – ეკლესიის გარეშე – ბრალდება რევანშიზმში, ყოფა – შემოსავლის გარეშე – ინკრიმინირდება წვრილბურჟუაზიულობად. ხოლო, საბჭოთა ინტელიგენციის ფარგლებში ქართულ ინტელიგენციას, ბუნებრივია, დამატებითი ბრალდების – ნაციონალიზმის – საფრთხე ემუქრებოდა.

ეს გარემო, სადაც დაიბადა ზურაბ ჟვანია. მაგრამ მნიშვნელოვანია თარიღიც – 60-იანები, რაც ნიშნავს იმას, რომ იმ პერიოდისთვის, როდესაც ზურაბი გაიზრდებოდა და სოციალურად აქტიურ ასაკში შევიდოდა – 80-იანების ბოლოს – დაიწყებოდა საბჭოთა კავშირის ნგრევა. ტირანია ინგრეოდა, რასაც, ერთი შეხედვით, შვება უნდა მოეტანა ათწლეულობით ნათვალთვალები, დაპატიმრებული, ფსიქიატრიულში გამოკეტილი და დაჩაგრული ადამიანებისთვის. მარტივი არითმეტიკით, თითქოს შენი მტრის დამარცხება შენს გამარჯვებას უდრის. თუმცა, ისტორია არ არის მათემატიკა და საბჭოთა კავშირის ნგრევა ინტელიგენციისათვის კიდევ ერთი გამოწვევა გახდა. ინტელექტი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას უნდა მოხმარებოდა.

მაგრამ ახალი პოლიტიკური რეალობა არ აღმოჩნდა ის, რაც საბჭოთა კავშირში საქართველოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებეებს გვეგონა. დამოუკიდებლობამ მოიტანა სისხლიც, ცხედრებიც, ძმათაკვლა, შუღლი და გაჭირვება. აგრესია, ისტერიულობა, კორუფცია, მფლანგველობა, გაუწონასწორებლობა და წინდაუხედავობა დომინირებდა როგორც პოლიტიკურ გარემოში, ასევე ჩვენს კერძო ყოფაშიც. ამ ქაოტურ გარემოში საჭირო იყო თანაცხოვრების წესების პრაქტიკული ცოდნა, თუმცა საზოგადოებრივ დისკურსში მიმდინარეობდა სრულიად სხვა, ინტელექტისა და ემოციის უშედეგო ჭიდილი.

ამ ჭიდილის ერთგვარი ილუსტრაცია იყო პოლიტიკური დისკუსია მერაბ მამარდაშვილის ფრაზაზე: „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას„. მამარდაშვილის მიერ წარმოდგენილი დილემა და მისი გადაჭრის ვერსია ახალი არ არის და ანტიკურ საბერძნეთშიც, კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიის მიერ „სათნო მოქალაქის“ კონტექსტში განიხილებოდა. პოლიტიკის ფილოსოფოსი ლეო შტრაუსი აღნიშნავს, რომ არისტოტელემ ამ დილემას თავის ორ სხვადასხვა ნაწარმოებში სხვადასხვანაირად უპასუხა: „ათენის პოლიტეიაში“ არისტოტელე მიიჩნევს, რომ სათნო მოქალაქე კეთილსინდისიერად ემსახურება თავის ქვეყანას მიუხედავად რეჟიმების ცვლისა, ანუ სათნო მოქალაქე პატრიოტია, ხოლო „პოლიტიკაში„, აღნიშნავს, რომ სათნო მოქალაქის ცნება ფარდობითია და დამოკიდებულია რეჟიმზე. შტრაუსი აჯამებს: „მთელი ადამიანური სიყვარული ექვემდებარება გარკვეულ კანონს. იგი უნდა იყოს საკუთარის სიყვარული და სიყვარული სიკეთისა, მათ შორის კი აუცილებლად არსებობს დაძაბულობა, რომელმაც შესაძლოა გახლეჩვა გამოიწვიოს, გულის გახეთქვაც კი“. შტრაუსის ეს აზრი პოეტური სიზუსტით, რომელიც ხშირად ყველა სხვა სიზუსტეზე ღრმა და ყოვლისმომცველია, ასახავს 80-იანების ბოლოსა და 90-იანების დასაწყისის ქართული პოლიტიკის იმ დრამატიზმს, რომელსაც ვერ გაუძლო ვერც გულებმა და ვერც ქვეყნის მთლიანობამ.

სწორედ ამ დროს პოლიტიკურ არენაზე შემოდის ზურაბ ჟვანია, პოლიტიკოსი, რომელსაც თავის პოლიტიკურ კურსში, ისევე როგორც საკუთარ თავში, უნდა გაეერთიანებინა პატრიოტიზმი და ჭეშმარიტება და შტრაუსის მიერ აღწერილი დაძაბულობა სახელმწიფოს მშენებლობაში გამოევლინა და გადაეწყვიტა. მას უნდა შეექმნა პროცესი, რომელსაც თვითონ „თაობის პრი-

ვილეგია“ უწოდა: „ჩვენი ისტორიული პრივილეგია გახდა, დავაფუძნოთ სიცოცხლისუნარიანი და ძლიერი ქართული დემოკრატია, აღვადგინოთ ქართული სახელმწიფო. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ჩვენი დამსახურება არ არის. ეს მათი დამსახურებაა, ვინც ჩვენ წინ იყო და ჩვენ მთელი სიმძაფრით უნდა ვგრძნობდეთ საკუთარ ვალდებულებას მათ წინაშე. მუდამ თან უნდა გვდევდეს მეორე მძაფრი განცდაც იმ პასუხისა, რომელიც ჩვენ შემდგომ მოსულებს უნდა გავცეთ – როგორ გამოვიყენეთ ჩვენი ისტორიული შანსი“.

ჟვანიას წინაშე იდგა ამოცანა, ეთარგმნა პატრიოტიზმი რაციონალურ, ინსტიტუციურ და სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში, ერისგან სახელმწიფო შეექმნა, პატრიოტიზმი და სიყვარული ეთარგმნა კანონებში, ინსტიტუტებსა და პოლიტიკებში. ამოცანა, რომელიც საუკუნენახევრის წინ სწორედ თანამედროვე საქართველოს კონცეფციის ფუძემდებლის, ილია ჭავჭავაძის მიერ ასე ნათლად, სკრუპულოზურად, მრავალმხრივად და, ამავდროულად, ემოციურად იქნა დადგენილი – „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“... – იდგა ილია ჭავჭავაძის, სხვა გამორჩეული მამულიშვილების და ზურაბ ჟვანიას წინაშეც.

პოლიტიკაში წასვლა პიროვნული გადაწყვეტილებაა. ზურაბ ჟვანია მრავალი წლის მერე ამ გადაწყვეტილებისაკენ ასე მოუწოდებდა თავის სტუდენტებს: „უნდა გახსოვდეს, რომ საზოგადოება იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც მოინახება ერთი ან ასი, ან ათასი, ან ათიათასი ადამიანი, რომელიც მზად არის რაღაცა გაიღოს იმისთვის, რომ იყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობა, იმისთვის, რომ საზოგადოებამ გაიმარჯვოს მთლიანობაში. და ეს ეხება თითოეულ თქვენთაგანს. უნდა გესმოდეთ, რომ არასდროს არ უნდა იფიქროთ, რომ ვიღაცა სხვა გააკეთებს ყველაფერს თქვენს ნაცვლად“. ამგვარი შთაგონებით მიიღო ზურაბ ჟვანიამ გადაწყვეტილება, ყოფილიყო პოლიტიკოსი და უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფიგურა თანამედროვე საქართველოში. ხოლო, წინამდებარე კრებული ზურაბ ჟვანიას ამ გზის ამსახველ ყველაზე შთამბეჭდავ და მნიშვნელოვან, მართლაც ისტორიულ პერიოდს წარმოგიდგენთ.

წიგნი „საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები – ზურაბ ჟვანია“ ამ თვალსაზრისით უნიკალური შესაძლებლობაა საქართველოს ისტორიით, პოლიტიკით, რეგიონისა და ევროპული პროცესით, აშშ – საქართველოს ურთიერთობების დასაწყისით დაინტერესებულ პირთათვის, დაინახონ და გაანალიზონ პოლიტიკური პროცესები, XX საუკუნის დასასრული და XXI საუკუნის დასაწყისი ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მოაზროვნის პოზიციიდან.

აქ არის საქართველოს უახლესი ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი მომენტი, რომელთა ავტორი ან თანამონაწილე ათი წლის განმავლობაში იყო ზურაბ ჟვანია. კრებულის პირველივე დოკუმენტი – ახლადარჩეული პარლამენტის თავჯდომარის პროგრამული გამოსვლა 1995 წლის ნოემბერში – ზურაბ ჟვანიას პოლიტიკური პერსონის ნათელი მაგალითია. მაშინ 32 წლის პოლიტიკოსი ემოციით, სიყვარულით და ოპტიმიზმით, სკრუპულოზურად აღწერს არა მარტო ახალი პარლამენტის პოლიტიკურ როლს სახელმწიფოს

არქიტექტურაში, არამედ დეტალურ გეგმას, რომლითაც თავად პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, უნდა იყოს მოწყობილი და გამართული, რეფორმას, რომელიც განხორციელდა კიდეც ახალი, ევროპული ტიპის საპარლამენტო ინსტიტუტის შენების სახით.

წიგნის გაცნობისას თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, ზურაბ ჟვანიას გამოსვლების, ინტერვიუებისა და განცხადებების ფონზე გაანალიზოთ შიდა პოლიტიკური დინამიკა, როგორც მმართველ გუნდში, ასევე ოპოზიციურ ბანაკში. თვალი მიადევნოთ ისეთ ტრაგიკულ თუ დრამატულ მოვლენებს, როგორიცაა ოკუპირებულ აფხაზეთში, გალის რაიონში ქართული მოსახლეობის დევნის მორიგი ტალღა ან პრეზიდენტ შევარდნაძეზე განხორციელებული მეორე შეუმდგარი ტერაქტი. დაინახოთ ეს პროცესები უმაღლესი თანამდებობის პირის – პარლამენტის თავმჯდომარის, ან პრემიერ მინისტრის პოზიციიდან. მკითხველისთვის საინტერესო იქნება იმ დინამიკის ეტაპობრივად განხილვა, თუ რა საკითხებთან დაკავშირებით იზრდებოდა უთანხმოება პრეზიდენტ შევარდნაძესა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის, რომელმაც კულმინაციის მომენტში, მედიის (რუსთავი 2) ძალადობრივი შეზღუდვისა და სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, ზურაბ ჟვანიას პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადადგომა განაპირობა.

2001-2003 წლები, როდესაც ზურაბ ჟვანია აღარ იყო ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირი, ბუნებრივად არ ასახულა წარმოდგენილ გამოცემაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ჟვანია უაღრესად აქტიური იყო პოლიტიკურადაც და ინტელექტუალურადაც. ამ პერიოდში იგი თანამოაზრეებთან ერთად ქმნიდა იმ პროცესს, რომელმაც საბოლოო გამოვლენა 2003 წლის „ვარდების რევოლუციაში“ ჰპოვა და ამავე დროს ასწავლიდა ახალგაზრდებს, რაც ასახულია მის წიგნად გამოცემულ ლექციების კურსში „ჩვენი თაობის პრივილეგია„.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება ამ ეპოქის საერთაშორისო კონტექსტიც, განსაკუთრებით კი ქართულ-რუსული და ევროპული პოლიტიკის პერსპექტივიდან რეგიონის განვითარების გეოპოლიტიკა. მნიშვნელოვანია ასევე თუ რა კონტექსტში მიმდინარეობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პერსპექტივაზე მსჯელობა და რა იმედებით და გეგმებით ხელმძღვანელობდნენ ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი მესვეურები.

კიდევ ერთხელ მინდა გავუსვა ხაზი იმას, რომ გამოცემაში წარმოდგენილი პერიოდი უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. საქმე ისაა, რომ სწორედ ამ წლებში მოხდა საქართველოს იდენტობის ახალი, თანამედროვე კონტურების დადგენა. დადგენა იმ ნიშნებისა, რომელთა მიხედვით დღესაც ვითარდება ჩვენი ქვეყანა. ამ განმსაზღვრელ ნიშანთაგან რამდენიმე უმნიშვნელოვანესს გამოვყოფ – „მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელი“ – ჟვანიას მიერ ნათლად ჩამოყალიბებული ფორმულირება დადგინდა, როგორც საგარეო კურსის ერთმნიშვნელოვანი დომინანტი. მეორე – „ზოგიერთ ქვეყანას აქვს საკუთარი ნავთობი, ზოგს – გაზი, ზოგს – ოქრო .... მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ძალიან მყარი საწინდარი ჩვენი

ქვეყნის წარმატებისა, ჩვენი ქვეყნების სიძლიერისა და სიმდიდრისა, და შეიძლება უფრო ძლიერი საწინდარიც, ვიდრე ნებისმიერი ნავთობი, არის დემოკრატიული ტრადიცია“. და ბოლოს – საქართველო, როგორც ევრაზიული ეკონომიკური თანამშრომლობის დერეფანი – პროექტი, რომელიც დაიწყო ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენით და დღეს უკვე ტრანსკონტინენტური ერთი სარტყელი-ერთი გზის შემადგენელი ათობით ენერგო და სატრანსპორტო პროექტის არეალია. – ყველა ამ მიმართულებით ზურაბ ჟვანია იყო უმნიშვნელოვანესი მოაზროვნე, სტრატეგოსი და მოთამაშე.

წიგნში თქვენ დაინახავთ ზურაბ ჟვანიას და ედუარდ შევარდნაძის უაღრესად ნაყოფიერი თანამშრომლობის და პარტნიორული სულისკვეთების პერიოდებს. შემდგომ კი, მათ შორის განხეთქილების მიზეზებსა და ამ პროცესების აქტორებს. მოგეცემათ შესაძლებლობა, გაიაზროთ ჟვანია-სააკაშვილის პოლიტიკური ტანდემის დინამიკა. დააკვირდებით ჟვანიას უნარს, განჭვრიტოს პოლიტიკური პერსპექტივა, მცდელობას, ქვეყანას თავიდან აარიდოს სახიფათო პერსპექტივები. სამწუხაროდ, დაინახავთ პოლიტიკური პროცესის თანმდევ ჭუჭყსა და სიბინძურეს, მაგრამ ასევე, მთელ იმ ღირებულებით პალიტრას, რომლისადმი სისტემური, რაციონალური მსახურება წითელ ხაზად გასდევს ჟვანიას მოღვაწეობას. ასევე დაინახავთ, ვფიქრობ, პოლიტიკოსისათვის არამეორეხარისხოვან, იუმორის განსაკუთრებულ უნარს, რომლითაც მუდამ საზრდოობდა მისი ოპტიმიზმი და გარემოცვა.

წიგნის სისტემური შესწავლისთვის, ბუნებრივია, მკითხველს დაეხმარება როგორც პოლიტიკური მეხსიერება, ასევე ამა თუ იმ დოკუმენტის წაკითხვისას იმ პერიოდის პერიოდიკის ან მედიის იოლად მისაწვდომი არქივის გადახედვა. სიღრმისეული კვლევისთვის ასევე საინტერესო იქნება ამავე სერიის უკვე დასტამბული ედუარდ შევარდნაძისა და დაგეგმილი მიხეილ სააკაშვილის სერიის იმავე პერიოდის განცხადებებისა თუ გამოსვლების პარალელური გააზრება. იმ პერიოდებში გამოცემული სამთავრობო დადგენილებების, პარლამენტის მიერ მიღებული კანონებისა თუ საერთაშორისო შეთანხმებების გადახედვა, რომელთა ერთობლიობა ქმნის ქვეყნის პოლიტიკური დინამიკის უფრო სრულ სურათს.

ამ გამოცემით უდაოდ მდიდრდება ჩვენი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური აზროვნება. ასევე, იმედი მაქვს, რომ გამოცემა, გარკვეულად პასუხობს ქართული პოლიტიკის იმ ნაკლოვანებას, რომელიც დაშვებული შეცდომების მუდმივ გამეორებასა და წარსულის გაკვეთილების უგულებელყოფაში მდგომარეობს.

ჩემთვის პირადად, კი, ესაა მეგობრის, ხოლო, პოლიტიკაში – მასწავლებლის ვირტუოზული და ურთულესი გზის რეტროსპექტივა. მცდელობა, საკუთარი მოღვაწეობით გასცე პასუხი არისტოტელეს დილემას – თუ როგორ შეიძლება იყო სათნო პატრიოტი.

გიორგი მარგველაშვილი
საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი

ოფიციალური განცხადებები, გამოსვლები, ინტერვიუები

1995

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

არჩეულ იქნას ზურაბ ჟვანია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომიიის თავმჯდომარე ივანე კიღურაძე.

თბილისი 1995 წლის 25 ნოემბერი.

ზურაბ ბესარიონის ძე ჟვანია დაიბადა 1963 წლის 9 დეკემბერს თბილისში.

1980 წელს დაამთავრა ქ. თბილისის პირველი ექსპერიმენტული საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1985 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი.

1988 წლიდან 1993 წლამდე იყო საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს მწვანეთა პარტიის სპიკერი. 1992-1993 წლებში – ევრომწვანეთა გაერთიანების თავმჯდომარე.

1992-1995 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის „მწვანეთა“ ფრაქციის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

1993 წლის 22 ნოემბრიდან არჩეულია საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალურ მდივნად.

ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
30 ნოემბერი, 1995 წ. №177 (2093). გვ. 1

თითოეულ ჩვენს მოქალაქეს შეუძლია იამაყოს იმით, რომ იგი ახალი ქართული დემოკრატიის თანადამფუძნებელი გახდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ ზურაბ ჟვანიას გამოსვლა პარლამენტის 1995 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე

ბატონო პრეზიდენტო, თქვენო უწმინდესობავ, პატივცემულო კოლეგებო, პატივცემულო სტუმრებო!

რამდენიმე დღის წინათ, როდესაც პატივი დამდეთ და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ ამირჩიეთ, ჩემს საკმაოდ მოკლე გამოსვლაში ხაზი გავუსვი, რომ 5 ნოემბერს არჩეული დეპუტატები არ მოვსულვართ ცარიელ ადგილზე. ჩვენ მოვედით პარლამენტში, რომელსაც აქვს ძალიან მნიშვნელოვანი დადებითი ტრადიცია, ეს არის დაპირისპირებულ ძალთა შორის კრიზისულ ვითარებაში ქვეყნისათვის აუცილებელ შეთანხმებათა მიღწევის, პოლიტიკურ დაპირისპირებათა დაძლევის ტრადიცია. ჩემი დღევანდელი გამოსვლის მიზანია, წარმოგიდგინოთ, თუ როგორ ვხედავ ქართული პარლამენტის მომავალს, მის განსაკუთრებულ ადგილს სახელმწიფო აღმშენებლობის მთლიან სისტემაში და ამოსავალი წერტილი ჩემთვის გახლავთ, ერთის მხრივ, შევინარჩუნოთ და გავაღრმავოთ დადებითი ჩვევები და ტრადიციები, რაც ჩვენ დაგვიტოვა წინა პარლამენტმა, ხოლო მეორეს მხრივ, მოვახერხოთ სრულად ავსახოთ ის მოთხოვნები, საზოგადოების ის ინტერესები, რასაც გვიკარნახებს დღევანდელი რეალობა.

ბუნებრივია, პარლამენტის უმთავრესი ფუნქციაა კანონშემოქმედება და ალბათ, პირველ ყოვლისა, ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ ის გზა, რომელსაც გაივლის კანონპროექტი შექმნის მომენტიდან პლენარულ სხდომაზე საბოლოო კენჭისყრამდე. ჩვენ შეჩვეული ვართ მხოლოდ იმ დისკუსიებს, იმ განხილვებს, რომლებიც პლენარულ სხდომებზე იმართებოდა, სადაც, გასაგები მიზეზების გამო, საკუთარი პოზიციის არგუმენტაციისა და დაცვის, დებატებში დეპუტატებისა და, მით უფრო, ექსპერტების მონაწილეობის შესაძლებლობანი მკვეთრად არის შეზღუდული. ერთ-ერთი უმთავრესი, რასაც უნდა მივაღწიოთ პირველი დღეებიდანვე, ეს გახლავთ ის, რომ მივცეთ რეალური დატვირთვა საპარლამენტო კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების მუშაობას. ყველა ტრადიციული პარლამენტის მსგავსად, ქართულ პარლამენტშიც სწორედ კომიტეტი უნდა იყოს ის ადგილი, სადაც საკითხის არსებითი გადაწყვეტა მოხდება. პლენარულ სხდომაზე ძირითადად ამ გადაწყვეტილების ფორმალიზება უნდა ხდებოდეს და ალტერნატიული პოზიციების დაფიქსირება. შემთხვევითი არ არის, რომ ყველა დახვეწილი საპარლამენტო კულტურის მქონე სა-

ხელმწიფოში პარლამენტის საქმიანობის გაშუქებისას ძირითადი ყურადღება სწორედ ქვეკომიტეტის დონეზე გამართულ განხილვებს, საკომიტეტო მოსმენებს ეთმობა. თუ შევხედავთ იმ სატელევიზიო გადაცემებს სადაც დავუშვათ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მუშაობა შუქდება, დავინახავთ, რომ დაახლოებით, 70 პროცენტი ეთმობა სწორედ საკომიტეტო მოსმენებს და მხოლოდ 20-30 პროცენტი იმ განხილვას, იმ დებატებს, რაც მიმდინარეობს პლენარულ სხდომაზე. სწორედ ეს მიუთითებს იმაზე, რომ რეალური დებატები და რეალური საბოლოო პოზიციის ჩამოყალიბება ხდება სწორედ საკომიტეტო განხილვის დონეზე. ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი პრიორიტეტია მივაღწიოთ ამ ტრადიციის დანერგვას ჩვენს პარლამენტში.

საკომიტეტო მოსმენების დროს დებატებში პრაქტიკულად შეუზღუდავია დეპუტატების მონაწილეობა და, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია, შესაძლებელია ჩაერთონ მაღალი რანგის პროფესიონალები და ექსპერტები, ყველა დაინტერესებული უწყებისა თუ მოქალაქეთა ჯგუფის წარმომადგენლები. ჩვენ ნათლად უნდა გვესმოდეს, რომ კანონშემოქმედების პროცესი, რა თქმა უნდა, არის, პირველყოვლისა, დეპუტატების, კანონმდებლების კომპეტენცია, მაგრამ ცხადია, ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ აქ აღმოგვიჩინონ დახმარება, მოგვცენ რჩევები, გაგვიწიონ კრიტიკა ადამიანებმა, რომელთაც აქვთ შესაბამისი პროფესიული მომზადება და მაღალ დონეზე იყოს გარანტირებული საექსპერტო უზრუნველყოფა. თუკი ეს დაინერგება, ნებისმიერი კანონპროექტი, რომელსაც მიიღებს ჩვენი პარლამენტი, დაზღვეული იქნება ყოველგვარი შემთხვევითობისა და შეუსაბამობისაგან.

როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ კანონშემოქმედებით პროცესზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს ეს პროცესი, ორ აუცილებელ გარემოებას უნდა გავუსვათ ალბათ ხაზი. პირველი, ეს გახლავთ პარლამენტის და მისი კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების საქმიანობის აპარატული და საექსპერტო უზრუნველყოფა. ვფიქრობ, სრულიად ახლებურად უნდა გავიაზროთ პარლამენტის აპარატის, მოწვეული ექსპერტების როლი ჩვენს საქმიანობაში. დეპუტატის უმთავრესი მოვალეობაა, ალღო აუღოს პოლიტიკურ ვითარებას, მიიღოს პოლიტიკურად, სახელმწიფოებრივად ყველაზე მიზანშეწონილი გადაწყვეტილებები, გამომდინარე მათი მრწამსიდან, მსოფლმხედველობიდან. ეს უნდა იყოს პოლიტიკოსის გადაწყვეტილება. მაგრამ ამის მიღმა თითოეულ შემთხვევაში, უნდა იდგეს მაღალკვალიფიციური პროექტები, პროფესიულ დონეზე დამუშავებული საკანონმდებლო აქტები. თითოეული საკანონმდებლო აქტის განხილვას უნდა ახლდეს შესაბამისი საექსპერტო შეფასება, რომელიც გაითვალისწინებს პოლიტიკურ, სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს, რაც ახლავს მის ამოქმედებას, მის შეტანას ცხოვრებაში. სწორედ ეს უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მოწვეული ექსპერტებისა და აპარატის თანამშრომლების მიერ.

ერთი გარემოება კიდევ: დემოკრატიულ საზოგადოებაში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში განმსაზღვრელი ფაქტორია ინფორმაცია, იმ ადამიანების ინფორმირებულობა, რომლენიც იღებენ გადაწყვეტილებებს...

ამიტომაც, თუკი ჩვენ გვსურს საქართველოში ავაგოთ პარლამენტარიზმის რეალურად ეფექტური მოდელი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ პარლამენტართა საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებს. უზრუნველვყოთ, რომ ნებისმიერ დეპუტატს, ვიდრე საბოლოოდ დააჭერს ღილაკს თითს და გამოთქვამს თავის პოზიციას, ჰქონდეს შესაბამისი ინფორმაცია ამ საკითხებთან დაკავშირებით.

ჩვენ დღეს უნდა დავამკვიდროთ სრულიად ახალი სტანდარტები. ჩემი ღრმა რწმენით, პარლამენტის აპარატი უნდა წარმოადგენდეს ქვეყანაში პროფესიონალიზმისა და ეფექტურობის ეტალონს. ამ დღეებში, მქონდა საშუალება, ჯერჯერობით ძალიან ზოგადად, გავცნობოდი აპარატის ძირითად განყოფილებას, თანამშრომლებს და უნდა გითხრათ, რომ მრავალი ადამიანი გავიცანი, რომელიც ნამდვილად ყველაზე მაღალ მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ამ თვალსაზრისითაც ჩვენ არ გვიხდება ნულიდან დაწყება. სხვათა შორის, აი, იმ საოცარი ქაოსის პირობებში, რაც იყო ქვეყანაში, ძალიან ბევრის გაკეთება მოხერხდა. შექმნილი არის ძალიან საინტერესო ბიბლიოთეკა, საინტერესოდ მუშაობდა პარლამენტის კვლევითი სამსახური. ხაზი მინდა გავუსვა, რომ სამართლებრივი ბიურო გააჩნია პარლამენტს, სამართლებრივი სამმართველო არის სრულიად სხვა, ახლებურ პრინციპებზე მომუშავე კადრების სამსახური, ინფორმატიკის სამსახური და მრავალი სხვა. მე არ მინდა ამისი ჩამოთვლა. მოკლედ, არის ძალიან ბევრი თანამშრომელი, ვისთან ერთადაც მუშაობა და პირადად ჩემთვის, თითოეული ჩვენთაგანისათვის მათგან რაიმეს სწავლა, იქნება რეალური შემოქმედებითი პროცესი. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ, გასაკეთებელი საკმაოდ ბევრი გვექნება და იმაზეც ერთად უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ უნდა დაიხვეწოს პარლამენტის აპარატი.

მეორე ფაქტორი, რომელიც დიდ როლს შეასრულებს პარლამენტის ნორმალურ საკანონმდებლო მუშაობაში, გახლავთ აღმასრულებელი სტრუქტურებისა და საზოგადოების დაინტერესებული ჯგუფების, ვიხმაროთ პირობითად გამოთქმა – ლობისტური ჯგუფების მონაწილეობა კანონპროექტის ინიცირებაში, მათ განხილვასა და შეჯერებაში. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ პარლამენტის „პროდუქციას“ – ჩვენს მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს კონკრეტული მომხმარებელი ჰყავს, ყოველი კანონი გათვლილი უნდა იყოს საზოგადოებისა და მისი ცალკეული ჯგუფების ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობების გაუმჯობესებაზე. შესაბამისად, საკომიტეტო განხილვების დროს მაქსიმალურად უნდა იყვნენ ჩართული ის ადამიანები, ვინც უშუალოდ უნდა განახორციელონ და აამოქმედონ ესა თუ ის საკანონმდებლო აქტი. ამ მხრივ, პრინციპულად მიმაჩნია, რომ ყველა სამინისტროსა თუ დიდ სახელმწიფო უწყებაში შემოღებული იქნას საპარლამენტო მდივნის თანამდებობა. ეს უნდა იყოს მინისტრისა თუ უწყების ხელმძღვანელის მოადგილის უფლებით აღჭურვილი პირი, რომლის მთავარი ფუნქცია პარლამენტთან და მის ცალკეულ სტრუქტურებთან – კომიტეტებთან, ქვეკომიტეტებთან მუდმივი თანამშრომლობა იქნება. ეს საშუალებას მისცემს პარლამენტს გაითვალისწინოს ის

გამოცდილება კონკრეტული პროექტების დამუშავებაში, რაც არსებობს ამა თუ იმ აღმსრულებელ სტრუქტურაში და გავითვალისწინოთ ის პრობლემები, რომლებსაც უნდა იწვევდეს ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტის მიღება. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ გვქონდა კონსულტაციები ბატონ პრეზიდენტთან და ვფიქრობ, უახლოეს დღეებში, როდესაც პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურას, იქ ღირსეულ ადგილს ჰპოვებს ეს ახალი და, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი ინსტიტუტი.

იმედი მაქვს ჩემი დღევანდელი გამოსვლით თუნდაც მცირე ბიძგს მივცემთ საქართველოში ცივილიზებული ლობიზმის ჩამოყალიბებას. ეს საკმაოდ ახალი თემაა ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, თუ საქართველო აშენებს ღია ტიპის საზოგადოებას, სადაც ეკონომიკაშიც, ცხოვრების სხვა სფეროებშიც, სულ უფრო დიდ როლს შეასრულებს არასამთავრობო არასახელმწიფო სექტორი, შესაბამისად და მთელი პასუსხიმგებლობით მოვეკიდოთ იმ საკითხს, რომ ჩვენს საქმიანობაში ავსახოთ არა მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების, დავუშვათ, სამთავრობო სტრუქტურების ინტერესები, არამედ არასამთავრობო სექტორის ინტერესებიც. ეს სულ უფრო დიდი და მზარდი ჯგუფი იქნება ჩვენი საზოგადოებისა. დასავლურ დემოკრატიაში ამის მრავალმხრივი გამოცდილება არსებობს. ჩვენ ძალიან ყურადღებით უნდა შევისწავლოთ იგი და განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ამერიკული ლობიზმის გამოცდილება. მისი რეგულირება, ძალიან მკაცრად ხდება კანონმდებლობით, რაც, სხვათა შორის, არის სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფციის აღმოფხვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დარწმუნებული ვარ, ანტიკორუფციული საქმიანობა პარლამენტის მუშაობაში უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ძირითად პრიორიტეტს.

პარლამენტის ერთ-ერთ საკონსტიტუციო ფუნქციას წარმოადგენს ქვეყნის არა მხოლოდ საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაც. ვფიქრობ, ცოტა ახლებურად უნდა შევხედოთ ამ ფუნქციის განხორციელებასაც. პარლამენტთაშორისმა კონტაქტებმა სპონტანური და ერთჯერადი ვიზიტების ნაცვლად, რეგულარული და მკაცრად გააზრებული სახე უნდა მიიღოს და დაიკავოს თავისი ღირსეული ადგილი სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა მთლიან სისტემაში. ამ მხრივ, როდესაც განვიხილავთ პარლამენტის სტრუქტურებს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციები. ეს არის სტრუქტურა, რომლის ანალოგი, ამა თუ იმ სახელწოდებით, არსებობს უკლებლივ ყველა ტრადიციულ პარლამენტში, დასავლეთშიც და ყოფილ საბჭოთა კავშირშიც. ამგვარი დელეგაციების რიცხვი, ვფიქრობ, ხუთ-ექვსს არ უნდა აღემატებოდეს და უნდა გულისხმობდეს მხოლოდ ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებებს. აი, ამგვარად, მე ვფიქრობ, რომ როდესაც წარმოვიდგენთ ჩვენი პარლამენტის მუშაობისათვის აუცილებელ სტრუქტურულ დანაყოფებს, უნდა შევქმნათ რეალურად მუშა ქვეკომიტეტები, რომლებიც თავმოყრილი იქნებიან კომიტეტებში და მეორე მხრივ, საპარლამენტო მუდმივმოქმედი დელეგაციები.

ახლა ერთ-ერთი ძირითადი საკითხი: როგორი უნდა იყოს პარლამენტის ურთიერთობა პრეზიდენტთან, მთლიანად აღმასრულებელ ხელისუფლებასთან? ეს არის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო საკითხი ჩვენს საქმიანობაში, ამ ოთხი წლის განმავლობაში საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდეს ქართული სახელმწიფოს ახალი ტრადიციები. ხორცი უნდა შეისხას იმ პრინციპებმა, რაც ჩადებულია ჩვენს კონსტიტუციაში, ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ პარლამენტისა და პრეზიდენტის ურთიერთობების ის მოდელი, რომელიც უნდა დარჩეს ათწლეულების განმავლობაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება ქართული სახელისუფლებო სტრუქტურების ფუნქციონირების ძირითადი ღერძი, მისი განმსაზღვრელი.

დიდ საიდუმლოს არ გავამხელ თუ ვიტყვი, რომ მეც და 120-ზე მეტი დეპუტატიც, რომელიც გასულია მოქალაქეთა კავშირიდან, სხვა პარტიებიდან თავს თვლის ბატონ ედუარდ შევარდნაძის გუნდის წევრად და ჩვენ მოვედით პარლამენტში, რათა გავატაროთ მისი პოლიტიკა, და ამომრჩეველთა მხარდაჭერაც მოქალაქეთა კავშირის მიმართ განპირობებული იყო, პირველ ყოვლისა, მისი ლიდერის ფაქტორით. ამავე დროს, თითოეულმა ჩვენთაგანმა საკუთარი როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფოს ცხოვრებაში. ჩვენი ერთი უმთავრესი მიზანია, სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პიროვნების თუ პიროვნებათა ადგილი დროთა განმავლობაში დაიკავოს მყარმა სტრუქტურებმა. მოხდეს ინსტიტუციონალიზაცია. ეს გახდება ქვეყნის დემოკრატიული და თავისუფალი განვითარების, საზოგადოების სტაბილურობისა და მშვიდობის ურყევი, შეუქცევადი გარანტი, ამიტომაც, ურთიერთობები პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის განხილული უნდა იყოს, პირველ ყოვლისა, სწორედ ინსტიტუციონალისტური თვალსაზრისით, იმ ჩარჩოებში, რასაც ჩვენ განგვისაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია. აი, ამას უნდა დავუთმოთ ყურადღება. უახლოეს დღეებში პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს ახალ აღმასრულებელ სტრუქტურებს, შესთავაზებს საკუთარ მოსაზრებებს, ფუნქციების, კადრების განლაგების პრინციპების შესახებ. და მე ვფიქრობ, სწორედ ეს გახდება ამ ახალ ურთიერთობათა დასაწყისი. ამიტომ, ყველანი სათანადოდ მომზადებულნი უნდა შევხვდეთ მას.

ჩვენთვის ყველასთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება საკონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების რეალურ გამიჯვნას, სამართლებრივი სახელმწიფოს ამ უმთავრესი პრინციპის დამკვიდრებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. წინასაარჩევნო კამპანიამ ნათლად დაგვანახა, რომ ზოგიერთი დეპუტატობის კანდიდატსაც და ამომრჩეველთა საგრძნობ ნაწილსაც ნათლად არა აქვს წარმოდგენილი კანონმდებლობის ადგილი და დანიშნულება სახელმწიფო პროცესებში. ამის შესახებ ალბათ უნდა ვთქვათ, რომ დეპუტატის საქმე არ არის უშუალოდ ჩაერიოს ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში, საკადრო საკითხების გადაწყვეტაში და მრავალი სხვა. დასამალი არ არის, რომ საკმაოდ ბევრი დეპუტატობას აღიქვამდა, როგორც ინდულგენციას ნებისმიერი შეცდომისაგან, ერთგვარ პრივილეგიას,

რომ არც რაიმე კონკრეტულს აკეთებდნენ და თანაც საზოგადოების ელიტაში ირიცხებოდნენ. ჩვენი ამომრჩეველი უნდა დავარწმუნოთ, რომ პარლამენტის წევრობა გულისხმობს ძალიან დაძაბულ შრომას და იგი მიმართულია თითოეული კონკრეტული ოჯახის კონკრეტული ინტერესების დაცვისაკენ. დეპუტატობა გულისხმობს უდიდეს პასუხისმგებლობას და, თუკი ამომრჩეველმა ხმა მისცა თითოეულ ჩვენთაგანს, ეს ნიშნავს, რომ საარჩევნო პერიოდის ბოლომდე უნდა დავრჩეთ პარლამენტში და შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა. მე ვიცი პრეზიდენტის განწყობილებაც და ჩვენიც, – უნდა გამოირიცხოს დეპუტატთა მასობრივი გადასვლა აღმასრულებელ სტრუქტურებში, მით უფრო იმგვარი შეთავსებები, რომლებიც კონსტიტუციითა და კანონით არის აკრძალული.

როდესაც საუბარია პარლამენტის ურთიერთობაზე აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ კონსტიტუცია პარლამენტის მხრიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზემოქმედების ძალიან ძლიერ ბერკეტებს ითვალისწინებს. ეს არის კანონშემოქმედება, ბიუჯეტი, აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონირებაზე კანონით გათვალისწინებული კონტროლის უფლება. დღევანდელი და ხვალინდელი მინისტრების, უწყებათა ხელმძღვანელების, იქნება ეს რეგიონული თუ ცენტრალური, ყველას საყურადღებოდ უნდა ვთქვა: პარლამენტი მაქსიმალურად გამოიყენებს ამ ბერკეტებს. ყველა უნდა იყოს მზად იმისთვის, რათა პარლამენტს, მის კომისიებსა თუ ქვეკომისიებს წარუდგინოს ინფორმაცია, ანგარიში საკუთარი საქმიანობის შესახებ, დააკმაყოფილოს სადეპუტატო შეკითხვები. ჩვენ გვახსოვს ბევრი მაგალითი პარლამენტისადმი აგდებული დამოკიდებულებებისა და მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ მსგავსი რამ აბსოლუტურად გამორიცხული იქნება ჩვენს საქმიანობაში. ყველამ, ვისაც სურს იყოს ჩვენს ხელისუფლებაში, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რასაც მე ვამბობ. ამის გარანტია არის ჩვენი კონსტიტუცია, ამის გარანტია არის ქვეყნის პრეზიდენტი და ამის გარანტია არის მთლიანად ჩვენი სადეპუტატო კორპუსის ძალიან პრინციპული დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი.

ჩვენ ამდენ ხანს ვისაუბრეთ პარლამენტის ფუნქციებზე, როგორც კანონშემოქმედზე, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ პარლამენტი, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, არის მუდმივი პოლიტიკური ოპონირების, პრინციპული კამათის, ალტერნატიული მდგომარეობის შეჯერების ასპარეზი. პარლამენტი საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისა და პოლიტიკური პლურალიზმის, სამოქალაქო თავისუფლებათა განმტკიცების უმთავრესი გარანტიაა. ვფიქრობ, 5 ნოემბრის არჩევნების შედეგები ყველა პირობას ქმნის საიმისოდ, რომ საქართველოში საბოლოოდ ჩამოყალიბდეს სტაბილური პოლიტიკური სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება წარმომადგენლობითი, მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესების გამომხატველი პარტიების არსებობაზე. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ჩამოყალიბდება უმრავლესობისა და ოპოზიციის ურთიერთობები პარლამენტში. ამ თვალსაზრისით მინდა შემოგთავაზოთ შემდეგი პრინციპები სამუშაოდ უმრავლესობას, რომელსაც დაეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა

ქვეყნის განვითარებისათვის მომდევნო 4 წლის განმავლობაში. შესაბამისად, მას სჭირდება ყველა ბერკეტი საიმისოდ, რომ ეს პასუხისმგებლობა – განახორციელოს და 4 წლის შემდეგ გასცენ პასუხი თავის ამომრჩეველს.

ჩვენ ყველას გვახსოვს მაგალითები, როდესაც ოპოზიციის წარმომადგენლები სათავეში ედგნენ ამა თუ იმ საკვანძო სტრუქტურას, რაც იწვევდა სიღრმისეულ შეუთანხმებლობას და საბოლოოდ ჩიხში შეჰყავდა ხელისუფლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას. თუკი ჩვენ ვცდილობთ კლასიკურ პრინციპებზე ავაგოთ ქართული პოლიტიკური სისტემა, მსგავსი რამ უნდა გამოირიცხოს. უმრავლესობას უნდა ჰქონდეს საშუალება, ცხოვრების ყველა სფეროში გაატაროს ერთიანი პოლიტიკა და შესაბამისად 4 წლის შემდეგ ამომრჩეველთა წინაშე პასუხი აგოს ამ პოლიტიკის შედეგებზე.

მეორე მხრივ, ოპოზიციისათვის აბსოლუტურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია პარლამენტში მიმდინარე ყველა პროცესზე. მას უნდა ჰქონდეს საშუალება – ტექნიკური, მატერიალური, ინსტიტუციონალური, რომ მოიწვიოს სათანადო ექსპერტები ნებისმიერ საკითხზე კომპეტენტური ალტერნატიული მიდგომების შემუშავებისათვის. საპარლამენტო ფრაქციებმა, ალბათ, ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავონ პარლამენტის პოლიტიკური ორგანიზაციის თვალსაზრისით და ნებისმიერი დანახარჯები პარლამენტის ბიუჯეტიდან, რომელიც გათვალისწინებულია პოლიტიკური განვითარებისათვის, უნდა განაწილდეს მკაცრად პროპორციულად ფრაქციებს შორის მათი წარმომადგენლობის შესაბამისად. მე მინდა მივმართო პირველ ყოვლისა ჩემს მეგობრებს, უმრავლესობის წარმომადგენლობასთან ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოპოზიციის, ანუ საპარლამენტო უმცირესობის უფლებათა უზრუნველყოფა, რეალური უზრუნველყოფა, ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი უნდა იყოს. ოპოზიციის უფლებების დაცვის ერთგვარ გარანტიად მიმაჩნია მისი წარმომადგენლობა პარლამენტისა და კომიტეტების ხელმძღვანელობაში, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის სტატუსით. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ ოპოზიციას ექნება ყველა საკითხთან დაკავშირებით რეალური კონტროლის განხორციელების საშუალება და ეს ტონუსს შემატებს, მე ვფიქრობ, უმრავლესობასაც.

თუკი პატივცემული კოლეგებისათვის მისაღები აღმოჩნდება ეს პრინციპები, დარწმუნებული ვარ, თავიდან ავიცილებთ უსაგნო დაპირისპირებასა და კინკლაობას, საპარლამენტო დისკუსიას, ყველაზე მძიმე შემთხვევაშიც კი, მივცემთ კონსტრუქციულ ხასიათს, ეს დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის თვალსაზრისით ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. უწმინდესმა თავის გამოსვლაში გაამახვილა ყურადღება და მეც ცალკე მინდა შევჩერდე პარლამენტგარე ოპოზიციაზე. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არჩევნების შედეგად, არაერთი ღირსეული ადამიანი, რომელიც წარმოდგენილია ამა თუ იმ პარტიაში, სამწუხაროდ, ჩამოშორდა საპარლამენტო ცხოვრებას. ჩვენ გამოვედით პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს შექმნის ინიციატივით და ვფიქრობ, ყველამ ერთად უნდა შევძინოთ ამ იდეას კონკრეტული შინაარსი,

ან თუ საჭირო იქნება, ვიპოვოთ სხვა, უფრო მისაღები ფორმები. მთავარი მიზანია, რომ თითოეული ადამიანი, რომელსაც კონსტრუქციული პოტენციალი აქვს, ჩართული იყოს საერთო სახელმწიფოებრივ პროცესებში. ჩვენ ვერ მივცემთ თავს იმის ფუფუნების უფლებას, გავრიყოთ და უყურადღებოდ დავტოვოთ ქვეყნისათვის საჭირო ადამიანები. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო სიტყვები, რაც ბრძანა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ინაუგურაციის დღეს: „ჩვენი გამარჯვება არავის დამარცხებას არ უნდა ნიშნავდეს“. ყველამ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს სიტყვები რეალობად იქცეს, საზოგადოებამ რეალურად უნდა იგრძნოს ეს მიდგომა და ეს დამოკიდებულება.

ვფიქრობ, არასწორი იქნება დავსახოთ პარლამენტის სამომავლო საქმიანობა და არ გავითვალისწინოთ მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია – პარლამენტი, როგორც დემოკრატიის სკოლა, დემოკრატიის ტრადიციებისა და ჩვევების დამკვიდრების უმთავრესი ინსტიტუტი. ანარქიის იმ პერიოდის შემდეგ, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ სიმწრით გამოიარა, ყველასათვის ნათელია, რომ დემოკრატია არ ნიშნავს თავაშვებულობას, ქაოსს, დაუსჯელობას, დემოკრატია გულისხმობს საზოგადოების, მისი თითოეული წევრის ცხოვრებას საკმაოდ მკაცრი წესების შესაბამისად. დემოკრატიული წყობილების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია ხელისუფლების წარმომადგელობითობის პრინციპი ამომრჩევლისა და არჩეული პირის ურთიერთობანი. ეს გულისხმობს ჩვევების მთელ პაკეტს. მე ასე ვიტყოდი, ამომრჩეველმა უნდა გააცნობიეროს თავისი უფლებები მის მიერ არჩეული პირის მიმართ, უნდა გააცნობიეროს – რის მიღება შეუძლია მას რეალურად საკუთარი ინტერესების დაცვისათვის დეპუტატისაგან, შემდგომში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წევრისაგან. სწორედ ამ პრინციპის სრულფასოვანი მოქმედება შექმნის თითოეული მოქალაქის უფლებათა რეალიზაციის ნამდვილ საფუძველს ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენს საზოგადოებას ეს ტრადიცია მოშლილი ჰქონდა. ამიტომაცაა, რომ ხშირად ბუნდოვანია წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას უნდა ველოდეთ და მოვითხოვდეთ ჩვენს მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან.

ეს იწვევს მოსახლეობის ნიჰილიზმს ხელისუფლებისადმი, ხელისუფლებისა და საზოგადოების გაუცხოებას. ეს სახიფათო სენია, რომლის დაძლევა აუცილებელია ძლიერი და მდგრადი სახელმწიფოს შექმნისათვის. აუცილებელია, რომ მოქალაქეები ენდობოდნენ, თავიანთ ხელისუფლებას, თვლიდნენ მას რეალურად საკუთარ ხელისუფლებად. ამიტომაც, დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ურთიერთობას საზოგადოებასთან, ჩვენს ამომრჩეველთან. პარლამენტში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი უნდა გახდეს მაქსიმალურად გასაგები და მე ვიტყოდი, გამჭვირვალე თითოეული მოქალაქისათვის. პარლამენტი უნდა გადაიქცეს საქართველოში ყველაზე კარგახსნილ სახელმწიფო ინსტიტუტად. მსგავსად სხვა ქვეყნებისა, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზეც უნდა მოდიოდნენ სკოლის მოსწავლეები, გნებავთ ჯგუფები, თუნდაც ყველაზე დაშორებული რეგიონებიდან და ისინი საკუთარი თვალით უნდა ხე-

დავდნენ, თუ როგორ არის მოწყობილი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობა, როგორ ხდება კანონპროექტის შექმნა, მისი განხილვა, დანერგვა ცხოვრებაში, რას ნიშნავს ეს ყოველივე მათთვის და მათი ოჯახებისათვის. ამას უნდა ხედავდეს ამომრჩეველი კონკრეტულად. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ჩვენი ამომრჩეველი, გავხადოთ იგი უფრო მომთხოვნი ჩვენს მიმართ, რეალობად ვაქციოთ დეპუტატის ანგარიშვალდებულების პრინციპი. ამომრჩეველს უნდა სჯეროდეს, რომ თავისი დეპუტატისათვის სწორედ იგი, – მისი ამომრჩეველია ყველაზე დიდი თანამდებობის პირი, აი, ეს უნდა დამკვიდრდეს წესად.

პარლამენტის, მისი სტრუქტურების მუშაობის სრული საჯაროობა არის ყოველივე ზემოთქმულის ერთი უმთავრესი საფუძველი. ჩვენ ახლებურად უნდა შევხედოთ პარლამენტის ურთიერთობებს თავისუფალ მასმედიასთან. პრესის თავისუფლება ქართული დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი საგულისხმო მონაპოვარია. დამოუკიდებელი ჟურნალისტები ღრმად და საფუძვლიანად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი პარლამენტის თითოეული სტრუქტურის მუშაობის შესახებ და სწორედ ამის საფუძველზე ჩამოაყალიბონ საკუთარი შეფასებები და, თუ გნებავთ, თავიანთი კრიტიკაც ჩვენს მუშაობასთან დაკავშირებით.

სხვათა შორის, მე მინდა ვთქვა, რომ ამ ბოლო დროს დამოუკიდებელი პრესის ფურცლებიდან ხშირად გაისმის ახლადარჩეული პარლამენტის კრიტიკა, ვიშვიში მის ერთგვაროვნებასა და არაეროვნულობაზე. ჩავთვალოთ, რომ ეს ბუნებრივი სინდრომია მას შემდეგ, რაც, წინა პარლამენტში 30-მდე პარტია იყო წარმოდგენილი თითო-ოროლა დეპუტატით და რეალურად არც ერთ ძალას არ ჰქონდა შესაძლებლობა ეტვირთა რეალური პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მე მიძნელდება გავიხსენო რომელიმე დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც აქტიურ პოლიტიკურ ასპარეზზე მრავალი წლის განმავლობაში 3-4 პარტიაზე მეტი იყოს წარმოდგენილი. ლაპარაკი არის ყველაზე სტაბილურ და ყველაზე განვითარებულ ქვეყნებზე მსოფლიოში. თუ გავიხსენებთ ბრიტანეთის, ამერიკის, კანადის მაგალითებს იქ ათწლეულების განმავლობაში ორპარტიული სისტემის საფუძველზე ცხოვრობენ. მსხვილი პარტიების არსებობა და ეს პროცესი საქართველოში სტაბილურობის ნიშანია და არა მრავალფეროვნების მოშლისა.

რაც შეეხება პარლამენტის არაეროვნულობას, ვფიქრობ, უხერხულია ამაზე სერიოზული მსჯელობა მაშინ, როდესაც დარბაზში ზის ათეულობით ადამიანი, ვინც მთელი სიცოცხლე ეროვნული იდეის მსახურებას მიუძღვნა, ვინც შექმნა დღევანდელი საქართველოს სახე. დარწმუნებული ვარ, პარლამენტში უმეტესწილად ძალიან ღირსეული ხალხია წარმოდგენილი, ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ შექმნან მართლაც ღირსეული პარლამენტი, ის პარლამენტი, რომელიც სჭირდება დღეს საქართველოს.

მე მინდა ასე დავასრულო, რომ კონსტიტუციის მიღებით, საპრეზიდენტო-საპარლამენტო არჩევნების ჩატარებით საქართველოში დაიწყო ახალი ეპოქა ჩვენი ქვეყნის არსებობაში. თითოეულ ჩვენს მოქალაქეს შეუძლია იამაყოს

იმით, რომ იგი ახალი ქართული დემოკრატიის თანადამფუძნებელი გახდა. ეს სრულიად ახალი მოვლენა არის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, ალბათ მთლიანად ჩვენს რეგიონში.

ზოგიერთ ქვეყანას აქვს საკუთარი ნავთობი, ზოგს – გაზი, ზოგს – ოქრო და საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობას აგებს მათზე. შეიძლება გაგეღიმოთ და უცნაური მოგეჩვენოთ, მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ძალიან მყარი საწინდარი ჩვენი ქვეყნის წარმატებისა, ჩვენი ქვეყნების სიძლიერისა და სიმდიდრისა, და შეიძლება უფრო ძლიერი საწინდარიც, ვიდრე ნებისმიერი ნავთობი, არის ის დემოკრატიული ტრადიცია, რომლის დამკვიდრება საბოლოოდ დაიწყო კონსტიტუციების მიღებით. აი, ეს არის გზა ინვესტიციებისაკენ, ეს არის გზა მსოფლიოში ჩვენი ნამდვილი ინტეგრაციისაკენ. ინტეგრაციისაკენ, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში და ეს არის გზა იმისაკენ, რომ საქართველომ დაიკავოს სრულიად განსაკუთრებული ადგილი თანამედროვე მსოფლიოში, რომ ჩვენს თითოეულ მოქალაქეს აღვუდგინოთ საკუთარი ღირსების განცდა, ღირსების გრძნობა. ეს არის დემოკრატიული ტრადიციები და ჩვენ, პარლამენტი, ვართ, მე ვიტყოდი, აი ამ განძის უმთავრესი დარაჯი. ეს არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია. დიდი მადლობა.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
2 დეკემბერი, 1995 წ. №179 (2095). გვ.1-2

ზურაბ ჟვანია: ჩემი და ჩემი გუნდის პოზიციები მყარია, ჩვენს მართვას ვერავინ შეძლებს

26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანი ინტერვიუ მისცა გაზეთ „რეზონანსს“.

„რეზონანსი“: მიუხედავად მტკიცე პოზიციებისა, შევარდნაძე მისი ასაკის გათვალისწინებით, მაინც წარმავალი პოლიტიკოსია და სამომავლოდ პრეზიდენტობის კანდიდატად ბევრი თქვენ გირჩევთ. ამასთან იმ დროისთვის, როდესაც თქვენს წინაშე აღნიშნული პერსპექტივა დადგება, თქვენ გაცილებით უფრო მყარი პოლიტიკური დასაყრდენი დაგჭირდებათ, ვიდრე ერთი კონკრეტული პარტიაა. ზოგი მიიჩნევს, რომ აღნიშნული დროისათვის მზადება თქვენ უკვე დაიწყეთ ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში თქვენთვის სანდო პიროვნებების დანიშვნით. რას იტყოდით ამის შესახებ?

ზურაბ ჟვანია: რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უცნაურად მეჩვენება შევარდნაძის, როგორც წარმავალი პოლიტიკოსის დახასიათება. ვფიქრობ, მისი პოლიტიკური საქმიანობა საქართველოში მხოლოდ ახლა იშლება სრული მასშტაბით. ხოლო, თუ საუბარია ათწლეულების მომავალზე მართალი გითხრათ, ამ კუთხით არ ვფიქრობ. პრინციპში, მე ჩემი პირადი ინსტიტუციონალური ამბიციები სრულად მაქვს დაკმაყოფილებული. 31 წლის ასაკში ამირჩიეს პარლამენტის თავმჯდომარედ, რაც ნებისმიერი პოლიტიკოსის ცხოვრებაში უდიდესი მიღწევაა. ამაზე მეტი თანამდებობის ამბიცია მე არ გამაჩნია. ამჟამად ჩემი მიზანია ვიყო ძლიერი სახელმწიფოს ხელისუფლებაში.

„რ.“: პარლამენტში და მის მმართველ სტრუქტურებში მეტწილად ხელისუფლებაში ახლადმოსულმა ხალხმა მოიყარა თავი. მაშინ, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება (აშკარად დისკრედიტებული ორიოდე პიროვნების გამოკლებით) უცვლელი დარჩა. აღნიშნული ტენდენცია თავის თავში მოიცავს იმის პერსპექტივას, რომ ხელისუფლების ამ ორ შტოს შორის დაპირისპირება წარმოქმნას. რამდენად რეალური გეჩვენებათ ასეთი პერსპექტივა?

ზ.ჟ. ამერიკელები ხელისუფლების სტრუქტურებს შორის დაპირისპირებაზე საუბრისას ხმარობენ გამოთქმას „Build in conflict“, ანუ წინასწარ განსაზღვრული კონფლიქტი ცალკეულ ინსტიტუტებს შორის, რაც პროგრესისა და დემოკრატიის წინაპირობაა. ჩვენ მზად ვართ ასეთი კონკურენციისათვის, მზად ვართ სრულიად შევასრულოთ დემოკრატიული ქვეყნის პარლამენტის ფუნქციები.

„რ.“: იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლებაში ბევრი ახალი ხალხი მოვიდა, ყოფილ ხელისუფალთა მნიშვნელოვანი ნაწილი „თამაშგარე“ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამასთან, ბევრმა მათგანმა უკვე მოასწრო „მა-

ფიოზად“ ჩამოყალიბება და დღესაც ძალაუფლების გარკვეულ ბერკეტებს ფლობს, რომელთა ამუშავების გზით უთუოდ ეცდება ზედაპირზე „ამოყვინთვას“. ასეთ სიტუაციაში ხომ არ არის მოსალოდნელი პროკურატურის გააქტიურება?

ზ.ჟ. საქართველოში მიმდინარე მოვლენებს მე განვიხილავ როგორც აუჩქარებელ, ხავერდოვან, მაგრამ რევოლუციური შინაარსის პროცესებს. მე ვხედავ, რომ სრულიად ახალი ტიპის ადამიანები მოდიან ხელისუფლების საკვანძო სტრუქტურებში. 1989 წლის მოვლენების შემდგომ საქართველომ ბევრი ქარტეხილი გადაიტანა და თითქოს მთლიანად უნდა გამოცვლილიყო საქართველოში მმართველი ელიტა. ეს არ მოხდა. იცვლებოდნენ მხოლოდ პირველი ფიგურები. რეალურად მმართველობის სადავეებს ინარჩუნებდნენ ის ადამიანები, რომლებმაც ათწლეულების განმავლობაში შექმნეს სპეციფიკური მმართველობითი კასტა საქართველოში. დღეს ეს ვითარება იცვლება. ხელისუფლებაში ახალი მენტალიტეტის ადამიანები მოდიან, თანაც უმეტეს შემთხვევაში. მოდიან „სუფთა ხელებით.“ ეს ჩანაცვლების პროცესი უთუოდ მტკივნეული იქნება. იმ ხალხს, ვინც ამ პროცესს კანონით აკრძალული მეთოდებით დაუპირისპირდება, ვისაც აქვს სერიოზული ცოდვები სახელმწიფოს წინაშე, თუნდაც, უახლოეს წარსულში, ვფიქრობ, რომ არაფერი კარგი არ მოელით.

„რ.“: ახალ პარლამენტს ხშირად „კვაკერების პარლამენტად“ მოიხსენიებენ, სადაც რეალური ოპოზიცია არ არსებობს. ერთი მხრივ, ეს გამორიცხავს მწვავე „საპარლამენტო კამათსა და შეხლა-შემოხლას, მეორე მხრივ კი, ამის შედეგად პრაქტიკულად ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე გადის პრეზიდენტის ყველა დირექტივა. საერთო ჯამში კარგია ეს თუ ცუდი?

ზ.ჟ. შევარდნაძემ ინაუგურაციის შემდგომ აღნიშნა, რომ 4-5 წლის განმავლობაში უნდა ჩამოყალიბდეს პრეზიდენტისა და პარლამენტის, პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთობათა მოდელი, რომელიც მეორე ათწლეულების განმავლობაში იმუშავებს. ამ თვალსაზრისით, ჩვენ უნიკალური პირობები გვაქვს. მე არ ვიცი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის არც ერთი სახელმწიფო, სადაც, მართლა, დემოკრატიული არჩევნების შედეგად, პრეზიდენტს ჰყოლოდა თავისი საკუთარი გადამწყვეტი უმრავლესობა. ჩვენ დავდექით ასეთი ალტერნატივის წინაშე. რომ ურთიერთობა პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის განვითარებულიყო პარტიული ნიშნით, რომლის დროსაც პრეზიდენტის ყოველი სიტყვა უაპელაციოდ გავიდოდა პარლამენტზე. ჩვენ ავირჩიეთ სხვა გზა, რომლის პირობებშიც ურთიერთობები ჩამოყალიბდება ინსტიტუციონალური პრინციპით. კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებების მქონე პრეზიდენტი და პარლამენტი ამის დასტურია. შემდეგი მაგალითი: პრეზიდენტმა პარლამენტს შესთავაზა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა. ეს წინადადება მოქალაქეთა კავშირის წევრების მიერ ძალიან კრიტიკულად იქნა განხილული.

მათ მიიჩნიეს, რომ ეს მათი მოქალაქეობრივი ვალი იყო. პრეზიდენტმა მიიღო ურთიერთობის ეს წესი და გაიზიარა თითქმის ყველა შენიშვნა სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ პრეზიდენტმაც არ დააყოვნა და საპასუხო ნაბიჯი

გადადგა. როდესაც პარლამენტს გარკვეული შენიშვნებით დაუბრუნა კანონი ფრაქციების შესახებ. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებს პარლამენტი იქნება ცნობიერი და არა მხოლოდ ლიდერის ავტორიტეტის ძალით მიღებული. ამას გარდა, ეროვნულ – დემოკრატიულ პარტიას, როგორც ოპოზიციას, სავსებით გააჩნია სათანადო პოტენციალიც. გამოცდილებაც და შემართებაც, რომ მწვავედ დასვას პარლამენტში ესა თუ ის საკითხი, რომელიც არსებითი მნიშვნელობისაა.

„რ.“: საქართველოში წლების მანძილზე, ხმამაღლა გაისმის განცხადებები იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებაში იყვნენ და კვლავაც არიან უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების აგენტები. თანაც, თურმე ზოგიერთი მათგანი ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის აგენტიც კი არის. ხომ არ მომწიფდა „ლუსტრაციის“ კანონის მიღების აუცილებლობა, რომელიც საბოლოოდ გაარკვევს მტყუანსა და მართალს?

ზ.ჟ. პირველი საკითხი, რომელიც დავსვი პარლამენტის ბიუროზე გახლდათ სწორედ ლუსტრაციის კანონის ამოქმედება. ფორმალური გადაწყვეტილება ამ კანონის შესახებ, წინა პარლამენტსაც ჰქონდა, მაგრამ მისი ამოქმედების მექანიზმის გამოძებნა ვერ მოხერხდა. შემთხვევით არ იყო ის, რომ ჩვენი თხოვნით მინისტრების კანდიდატურების დამტკიცებისას შემუშავდა ხუთი სავალდებულო შეკითხვა, რომელთაგან ბოლო ითვალისწინებდა იმის საჯაროდ დადასტურებას, რომ კანდიდატს არავითარი კავშირი უცხოეთის დაზვერვასთან არ გააჩნდა. მართალია, ამ განცხადების შემოწმების საშუალება ამჟამად არ არსებობს, მაგრამ თვით ასეთი შეკითხვის პარლამენტში საჯაროდ დასმის ფაქტი უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ძალიან მალე სახელმწიფოს რეალურად ექნება ამ საკითხის გადამოწმების და ნეიტრალიზების შესაძლებლობა. ლუსტრაციის კანონის შესახებ ჩვენ კიდევ გვმართებს კონსულტაციები ექსპერტებთან და შემდეგ აუცილებლად მივუბრუნდებით ამ საკითხს.

„რ.“: პარლამენტის თავჯდომარის პოსტზე თქვენი დანიშვნისას გამოითქვა აზრი, რომ გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს აწყობთ ახალგაზრდა და შედარებით გამოუცდელი კაცი ამ ადგილას, რადგანაც ის ადვილად სამართავი იქნებაო. რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ ზურაბ ჟვანიას მართვა დღევანდელ თანამდებობაზე?

ზ.ჟ. საპარლამენტო საქმიანობის თვალსაზრისით, მე საოცრად ბევრი რეფორმა მაქვს ჩაფიქრებული, რომელთა საბოლოო მიზანია ჩვენი პარლამენტის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. მე ამხელა გეგმის დამოუკიდებლად განხორციელების ამბიცია არ გამაჩნია. ჩემს ირგვლივ არის ძალიან შეკრული და ძლიერი გუნდი თანამოაზრეების და ჩვენი პოზიციები არის ძალიან მყარი. ჩვენი მართვა გარეშე ძალების მხრიდან გამორიცხულია.

„რ.“: თქვენს პოზიციებზე საუბრისას კარგი იქნებოდა დაგეფიქსირებინათ მოქალაქეთა კავშირის ადგილი პოლიტიკურ სპექტრში – მემარჯვენეები ხართ თუ მემარცხენეები?

ზ.ჟ. ტრადიციულ ევროპულ პოლიტიკურ სპექტრს თუ ავიღებთ ეტალონად, მე მოქალაქეთა კავშირს დავახასიათებდი, როგორც მემარცხენე ცენტ-

რისტებს. ან, თუ გნებავთ, როგორც მემარჯვენე სოციალისტებს. ეკონომიკურ საკითხებში ჩვენ მხარს ვუჭერთ ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკას სოციალურ ასპექტებზე აქცენტირებით. ჩვენ გვაქვს ურთიერთობები „სოცინტერნთან". ახლახან ჩვენი წარმომადგენლები დაესწრნენ „სოცინტერნის" ეგიდით ბრიუსელსა და ლონდონში ჩატარებულ შეხვედრებს. ასე განვავითარებთ ურთიერთობებს სხვადასხვა ევროპულ სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციის პარტიებთან.

„რ.": როგორც ცნობილია, რუსეთის სახელმწიფო დუმაში უმრავლესობა მოიპოვეს რადიკალებმა, რომელთათვისაც შევარდნაძე როგორც პიროვნება და როგორც პოლიტიკოსი, მიუღებელია. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ეს ფაქტორი ორი ქვეყნის ურთიერთობაში?

ზ.ჟ. ჩვენ ყველას გვახსოვს არჩევნების მეორე დღეს გენადი ზუგანოვის განცხადება, რომ დაუშვებელი იქნება პოლიტიკური კურსის მკვეთრი ცვლილებები. რუს რადიკალებშიც არის მკვეთრად გამოხატული ზომიერების მქონე ნაწილი. პირადად მე ვერაფერს ტრაგიკულს ამ არჩევნების შედეგებში ვერ ვხედავ მით უმეტეს, ვერ ვხედავ იმის საჭიროებას, რომ საქართველომ შეცვალოს თავისი პოლიტიკა რუსეთის მიმართ.

„რ.": ჩვენში ხშირად აღნიშნავენ, რომ არსებობს ორი რუსეთი – დემოკრატიული და იმპერიული. ამასთან, თუკი ულტრანაციონალისტი ჟირინოვსკი აცხადებს, რომ საჭიროა რუსეთმა „ჯეროვნად" მიხედოს აფხაზეთს, პოლიტიკურ სპექტრში ყველაზე დემოკრატიული ფრთის „იაბლოკოს" თვალსაჩინო წარმომადგენელი ლუკინიც მასვე ამბობს – შევეშვათ ბალკანეთს და მივხედოთ ტაჯიკეთსა და აფხაზეთსო. თქვენც მიიჩნევთ, რომ არსებობს ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ორი რუსეთი?

ზ.ჟ. როდესაც ჩათავდება რევოლუციების ეპოქა, ისტორიული პერეტრუბაციების ეპოქა, რომელი ძალაც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, იგი ხდება გამტარებელი იმ პოლიტიკისა, რომელიც ემსახურება მეტ-ნაკლებად მუდმივი სახელმწიფო ინტერესების მიღწევას და შენარჩუნებას. რუსეთის ხელისუფლებაში ვინც არ უნდა იყოს (არ ვლაპარაკობ მარგინალებზე), გაატარებს იმ პოლიტიკას, რომელიც პასუხობს რუსეთის ეროვნულ ინტერესებს. ვფიქრობ, ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას შეგნებული აქვს, რომ სეპარატისტული მოვლენები დამღუპველია თვითონ რუსეთისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთის თემა რუსეთისათვის ვერ იქნება განცალკევებული ჩეჩნეთის თემისაგან – რუსეთის შესაძლო დეზინტეგრაციის თემისაგან. ამდენად, რუსეთის და საქართველოს ინტერესები ერთია – შეჩერდეს დეზინტეგრაციული პროცესები კავკასიაში.

„რ.": თვლით თუ არა, რომ აფხაზეთის საკითხზე მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და სანამ არ ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები რუსეთში და არ განისაზღვრება ცენტრალური ხელისუფლება, რაიმე რეალურ შედეგს არ უნდა ველოდეთ მოლაპარაკებებზე. ამასთან, ხომ არ მიიჩნევთ საჭიროდ აფხაზეთში შერეული სამშვიდობო კონტინგენტის მოთხოვნას?

ზ.ჟ. რა თქმა უნდა წინასაარჩევნო ციებ-ცხელება რუსეთში აფერხებს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას. გეთანხმებით იმაშიც, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკებები ამ ეტაპზე ჩიხში არის შესული. ვფიქრობ, რომ გარკვეულ ეტაპზე, სავსებით შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს შერეული მრავალმხრივი სამშვიდობო კონტინგენტის აფხაზეთში გამოყენების საკითხი. ეს იმაზეც იქნება დამოკიდებული, მოახერხებენ, თუ ვერა ესენგე-ს სამშვიდობო ძალები თავიანთი ფუნქციის შესრულებას – ლტოლვილების უსაფრთხო და სწრაფ დაბრუნებას აფხაზეთში.

„რ.“: თბილისში ერთი ასეთი ანეგდოტი გავრცელდა: შევარდნაძე თურქეთში მიფრინავს და გზად ბათუმში დაჯდება. ასლან აბაშიძე მოსაკითხად თვითმფრინავში მოინახულებს, შევარდნაძე კი ღიმილით ეტყვის, ნუ გეშინია, გეხუმრე, თურქეთში მივფრინავო. რამდენად ასახავს ეს ანეგდოტი თბილისისა და ბათუმის ხელისუფლებებს შორის დამოკიდებულებას და იგრძნობა თუ არა მსგავსი ტენდენცია აჭარის დეპუტაციაში?

ზ.ჟ. თავიდან ბევრი ეჭვით უყურებდა იმას, თუ როგორ იმოქმედებდა „აღორძინების კავშირის“ დეპუტაცია პარლამენტში. ახლა ყველა ეჭვი გაქარწყლდა. ეს არის საერთო საპარლამენტო პროცესებში ინტეგრირებული ჯგუფი, სავსებით ბუნებრივად მოხდა ისიც, რომ ჩვენ შევთანხმდით 14 საპარლამენტო კომისიიდან 3-ს „აღორძინების კავშირის“ წარმომადგენელი ჩადგომოდა სათავეში. მე ვფიქრობ რომ მათი მოღვაწეობა სავსებით გააქარწყლებს ყველა მოარულ ჭორს.

აკაკი გოგიჩაიშვილი

გაზ. „რეზონანსი“. 30-31 დეკემბერი, 1995 წ. №141 (416). გვ. 1-3

1996

მიზანი – ხელახალი რეინტეგრაცია

ბრიფინგი

გუშინ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ გამართა ბრიფინგი, რომელიც დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა 19 იანვრის მოსკოვის სამიტის შედეგებს მიეძღვნა. მისი განცხადებით, მეტად ნიშანდობლივია შეხვედრამდე მიღებული ორი ძირითადი გადაწყვეტილება. პირველი შეეხება აფხაზეთში ამჟამად არსებული რეჟიმის ყოველმხრივ ბლოკირებისა და იზოლაციის, მეორე – სამშვიდობო ძალებისათვის ახალი მანდატის შემუშავებას. ქართული მხარის წინადადებების ბაზაზე კი გადაწყვეტილებები პარლამენტის თავმჯდომარის აზრით ქმნიან პერსპექტივას, აფხაზეთის კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგების თვალსაზრისით. მკაცრი იზოლაციონალური კურსის მიუხედავად საქართველო გამოთქვამს მზადყოფნას პოლიტიკური მოლაპარაკებების გასაგრძელებლად. აფხაზეთის სტატუსის დადგენის მიზნით – აღნიშნა მან.

ჟურნალისტების კითხვაზე პასუხის გაცემისას, ზურაბ ჟვანიამ მიუთითა, რომ „აუცილებელია მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკული რეალიზაცია. რისი შეუსრულებლობის ნეგატიური გამოვლინებაც – სამწუხაროდ საკმაოდ გვაქვს. ამ მიმართულებით მომავალში საქართველოს პარლამენტი სრულად იქნება მობილიზებული: მზადდება აფხაზეთის საკომისიო საპარლამენტო განხილვა. რაც ალბათ, თებერვლის მიწურულს ან მარტის დამდეგს დაიწყება“.

ბრიფინგის მსვლელობისას ზურაბ ჟვანიამ მიმოიხილა სომხეთში საპარლამენტო დელეგაციის ამასწინანდელი ვიზიტის პერიპეტიები აფხაზეთის პრობლემასთან მიმართებაში. კერძოდ, ისაუბრა აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო მაგისტრალების გახსნის თაობაზე, რომლის ფუნქციონირებაც მხოლოდ აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნების შემდეგ უნდა განახლდეს.

პარლამენტის თავმჯდომარე შეეხო აგრეთვე საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგების საკითხსაც. „უნდა განვიხილოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების კონტექსტში. რომლის ძირითადი პრინციპები საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საქართველო-რუსეთის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული. ხოლო ამ ურთიერთობათა ქვაკუთხედს აფხაზეთის საკითხი წარმოადგენს“, – მიაჩნია პარლამენტის ხელმძღვანელს.

„დღეისათვის ჩვენი უპირველესი ამოცანაა ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნება“, – დასძინა ბრიფინგის ბოლოს ზურაბ ჟვანიამ. სამოქალაქო ცხოვ-

რებისკენ დაბრუნებისათვის, არჩევნების ჩატარებისათვის და ამ რეგიონის ქართულ სივრცეში ხელახალი რეინტეგრაციისათვის მოსამზადებლად პირობების შექმნა“.

გაზ. „კავკასიონი“. 23 იანვარი, 1996 წ. №10 (304). გვ. 1

ჟვანია იმედოვნებს, რომ ზაფხულში გაიხსნება საკურორტო სეზონი აფხაზეთში

22 იანვარს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ გამართა ბრიფინგი ჟურნალისტებისათვის, რომელიც მოსკოვის სამიტის მუშაობის შედეგებს მიეძღვნა.

პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, რომ 19 იანვრის შემდეგ თვალყურს ადევნებს საზოგადოებას და გრძნობს დიდ ინტერესს მოსკოვში სახელმწიფოს მეთაურების მიერ გამართულ შეხვედრისადმი და ეს შემთხვევითი არაა. 19 იანვარს ერთ-ერთი საინტერესო ფურცელი ჩაიწერა მოსკოვში სახელმწიფო მეთაურების მიერ გამართულ შეხვედრაზე. „ჩვენი პარლამენტის მხრიდან მინდა მაღალი შეფასება მივცე მოსკოვში მუშაობის შედეგებს", – თქვა ზურაბ ჟვანიამ.

პარლამენტის თავმჯდომარემ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოს მხარემ მიაღწია ჩვენთვის სასურველ შედეგებს. ქვეყნის პოზიციაა, რომ დარჩეს გახსნილი კარი აფხაზეთში. „შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში ჩემი პოზიცია იქნება მკაცრი", – თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ და დაუმატა, რომ საქართველოს მხარე მზადყოფნას გამოთქვამს გაგრძელდეს მოლაპარაკებები აფხაზეთის მხარესთან დაკავშირებით. საქართველომ მოწინააღმდეგე მხარეს დაუტოვა საშუალება განსაზღვროს აფხაზეთის სტატუსი. კარგი პოზიცია დაიკავა საქართველოს პარლამენტმა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების რატიფიკაციისადმი. ჟვანიას თქმით, ეს წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს მხრიდან და იგი იმედოვნებს რუსეთის მხრიდანაც ანალოგიური ნაბიჯის გადადგმას.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, როდის მოხდება ახალ პარლამენტში აფხაზეთის საკითხის მოსმენა, რაზეც ჟვანიამ უპასუხა, რომ ამ საკითხზე უკვე მიმდინარეობს მუშაობა და შესაძლებელია თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში გაიხსნას ფართომასშტაბიანი მოსმენები აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით.

თქვენი სომხეთში ვიზიტის დროს რამდენად აქტუალური იყო აფხაზეთის საკითხი და იყო თუ არა მასთან დაკავშირებით ბჭობა?

სომხეთში ვიზიტის დროს აფხაზეთზე თითქმის ყველა შეხვედრაზე ვსაუბრობდით. ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი საკითხი სწორედ აფხაზეთის საკითხი იყო, ვინაიდან ეს საკითხი არის არანაკლებმნიშვნელოვანი სომხებისთვისაც, იგულისხმება სატრანსპორტო მაგისტრალის გახსნა, რომელიც გადის საქართველოს ტერიტორიაზე. თუ მოსახლეობა დაუბრუნდება თავის საცხოვრებელ ადგილებს. ქართული დელეგაცია კმაყოფილი დარჩა იმ თვალსაზრისით, რომელიც სომხეთის მხრიდან გამოითქვა.

ვისთან უნდა ვაწარმოოთ მოლაპარაკება აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით?

თქვენ კარგად იცით ვისთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ესენი არიან ისინი, ვინც აკონტროლებს ამ ტერიტორიას. სასიამოვნოა, თუ უსიამოვნო, მოლაპარაკებები მათთან იწარმოებს.

რა კომენტარს გაუკეთებდით შევარდნაძის ნათქვამს, რომ შესაძლებელია ამ ზაფხულსაც გაიხსნას აფხაზეთში საკურორტო ზონა?

ჩემი აზრით, შევარდნაძემ მოხაზა ის პერსპექტივები, რა პერპსპექტივებიც უნდა გააჩნდეს დღეს აფხაზეთის მოსახლეობას. შესაძლებელია, რომ მართლაც გაიხსნას ამ ზაფხულს საკურორტო ზონა აფხაზეთში. ამისთვის მშვიდობის გზით წინსვლაა საჭირო.

ჟვანიამ აღნიშნა, რომ საქართველოს მხარემ მოახდინა ე.წ. ჩარჩო-ხელშეკრულების რატიფიკაცია. ჩარჩო მოხაზავს ჩვენს ურთიერთობებს. საჭიროა შეიქმნას სამართლებრივი ბაზა. საქართველოს პარლამენტმა ნათლად გამოხატა თავისი პოზიცია. ეს არის ურთიერთობები თავის სტრატეგიულ პარტნიორებს შორის. ამჯერად ველოდებით ადექვატური ნაბიჯების გადადგმას საპირისპირო მხრიდანაც. სამართლებრივი საფუძვლის შექმნად მე მესახება ის, რომ სამართლებრივად იმოქმედოს ჯარმა, რომელიც სამშვიდობო ფუნქციით არის აფხაზეთში. ქართული მხარე არ არის კმაყოფილი მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებით. მათ ეფექტიანად უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები. ამისათვის საჭიროა მათ მიეცეთ იურიდიული საშუალება ეფექტიანი მუშაობისა.

პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამშვიდობო ძალების მანდატი გაგრძელებულია 19 თებერვლამდე. აქვე თქვა, რომ თუ სამშვიდობო ძალები ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ვეჭვობ, კვლავ გაუგრძელდეთ მათ მანდატი. ლოდინის, მოცდის მანდატი იწურება. მანდატის ახალი რედაქცია იქნება 19 თებერვალს და ამის შემდეგ შეიძლება სამი თვით გაგრძელდეს ვადები.

რომელმა რესპუბლიკამ არ დაგვიჭირა მხარი?

თავი შეიკავა ბელორუსიის რესპუბლიკამ. ბელორუსიის რესპუბლიკა ტრადიციულად იყო ფრთხილი და ამჯერადაც თავი შეიკავა.

შეხვედრა ზურაბ ჟვანიამ შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

„დსთ შეიძლება იქცეს სიცოცხლისუნარიან გაერთიანებად მრავალი ქვეყნის ლიდერის აქტიური მუშაობით“.

შორენა კოწოწაშვილი

გაზ. „ახალი თაობა“. 24 იანვარი, 1996. №8 (185). გვ. 1-2

არსებული საზღვრები კავკასიაში ვერ შეიცვლება

ინტერვიუ ზურაბ ჟვანიასთან

დღეს ისევ მტკივნეული საკითხია აფხაზეთის, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, მოლაპარაკებები ჩიხში მოექცა. თქვენ როგორ გესახებათ პრობლემის მოგვარება?

ვეთანხმები თქვენს შეფასებას, რომ მოლაპარაკებები ჩიხშია შესული. პრობლემის მოგვარების შეჩერება, პირველ ყოვლისა, გამოწვეულია არძინბას მთავრობის სრული ბოიკოტით მოლაპარაკების პროცესის მიმართ. ასევე მინდა გამოვთქვა გარკვეული უკმაყოფილება არასაკმარისი თანმიმდევრული პოზიციის გამო, რომელსაც გამოხატავს რუსეთის ხელისუფლება, კერძოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა უწყება. მეჩვენება, რომ რუსეთის ხელისუფლება უფრო ენერგიულად უნდა იქცეოდეს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით.

ლაპარაკია ჩვენი ურთიერთობის რამდენიმე მოდელზე, ფედერაციაზე, კონფედერაციაზე, ფედერაციაზე, რომელიც შეფერული კონფედერაციაა. თქვენ რომელ მოდელს დაეთანხმებოდით?

აფხაზეთში უნდა გვქონდეს ფართო ავტონომიური უფლებები საქართველოს ფედერალურ საწყისებზე მოწყობილ სახელმწიფოში არავითარ შემთხვევაში არაა ლაპარაკი ორ სუბიექტს შორის ურთიერთობაზე, როდესაც ერთი სუბიექტი, იქნება აფხაზეთი და მეორე, მთელი დანარჩენი საქართველო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ მზად ვართ, აფხაზეთმა მიიღოს ყველა საერთაშორისო პრაქტიკით არსებული უფლება, როგორც ფედერალური სახელმწიფოს ერთ-ერთმა სუბიექტმა, მაგრამ არა უმეტეს ამისა.

მაგრამ არძინბა სხვას გვთავაზობდა?

დიახ. ესაა ფედერალური შეთანხმება, რაც გულისხმობს, კონფედერაციულ საწყისებს, რაც ჩვენთვის სრულიად მიუღებელია.

რამდენად სწორია ინფორმაცია, რომ აფხაზეთის საზღვართან გადაისროლეს შინაგან საქმეთა ჯარის ნაწილები?

ჩემთვის ასეთი ინფორმაცია არაა ცნობილი. ერთადერთი, ალბათ ლაპარაკი შეიძლება იყოს იმაზე, რომ ტარდება სამუშაოები კოდორის ხეობის გამაგრებისათვის, ესაა სვანეთის დალის ხეობა. ომის დაწყებაზე რა თქმა უნდა, ძალიან ნაადრევია საუბარი, მაგრამ ბუნებრივია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა მუდმივად ემზადებოდნენ. როგორც არ უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკა, ისინი მზად უნდა იყვნენ სისრულეში მოიყვანონ სახელმწიფოს პოლიტიკური გადაწყვეტილება, თუკი ასეთი იარსებებს.

რატომ ვაკანონებთ რუსეთის ბაზებს? რატომ არ ვიქცევით ისე, როგორც აზერბაიჯანი, რომელმაც თავისი ტერიტორიიდან ისინი გაიყვანა?

რუსეთის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით, ისევე როგორც საზოგადოდ რუსეთთან, ფართომასშტაბიანი სამხედრო და სტრატეგიული თანამშრომლობა დამოკიდებულია ამ შემთხვევაში რუსეთის პოზიციაზე. მინდა ვთქვა, რომ დღესდღეობით ბურთი რუსეთის მოედანზეა, რადგან საქართველომ გამოხატა თავისი მზადყოფნა, რომ რუსეთი განიხილოს როგორც თავისი სტრატეგიული პარტნიორი. ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდეს რუსეთთან, მათ შორის, სამხედრო ბაზებიც, მაგრამ ეს უნდა გულისხმობდეს შესაბამის პოლიტიკას რუსეთის მხრიდანაც. პირველ ყოვლისა ენერგიულ მოქმედებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით. ასე რომ, პარლამენტში ამ საკითხის განხილვა თავიდან ბოლომდე დაკავშირებული იქნება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების საბოლოო მოგვარებასთან. სხვაგვარად მე ვერ წარმომიდგენია, რომ პარლამენტმა მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება ბაზების შესახებ.

„კავკასიური საერთო სახლის“ იდეა დიდი ხანია ტრიალებდა საქართველოში. ახლახან ედუარდ შევარდნაძემ და ჰეიდარ ალიევმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას მშვიდობიანი კავკასიის შესახებ. როგორი უნდა იყოს ეს მშვიდობიანი კავკასია დღეს, როდესაც რამდენიმე ნელთბილი ეთნოკონფლიქტი გვაქვს და ასევე ჩეჩნეთში იღვრება სისხლი?

კავკასიური სახლის იდეა ჩემთვის ძალიან ახლობელია. რამდენადაც ჩემი პოლიტიკური კარიერა სწორედ ამ იდეით დაიწყო. მწვანეებისთვის ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური ინიციატივა იყო 1990 წელს თბილისის უნივერსიტეტში ჩატარებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ კავკასიის თითქმის ყველა ხალხის წარმომადგენლები. ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნო მოსაგონარია. საქართველო, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლების სათავეში, ვერ იარსებებს, თუ არ ვიფიქრეთ კავკასიის ცალკეულ რეგიონებთან თანამშრომლობაზე, რეგიონულ მშვიდობაზე. უმნიშვნელოვანესია საქართველოს პრეზიდენტის ეს ინიციატივა, რომელსაც ჰეიდარ ალიევის მხრიდან მოჰყვა მხარდაჭერა. დეკლარაციაში ჩამოყალიბებულია ის პრინციპები, რომლებიც უნდა დაედოს საფუძვლად კავკასიაში უსაფრთხოების ჩამოყალიბებას. ეს არის სეპარატიზმის აღკვეთა. არსებული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვა და გარანტიები.

თქვენ თვლით, რომ რაც ჩეჩნეთში ხდება სეპარატიზმია?

ძალადობა ჩემთვის ყოველმხრივ მიუღებელია. ჩეჩნეთში რაც ხდება არის ტრაგედია არა მხოლოდ ჩეჩენი ხალხისა, არამედ კავკასიის ყველა ხალხისათვის. აუცილებლად უნდა მოინახოს იქ არსებული პრობლემების მშვიდობიანად მოგვარების გზები.

საქართველოს ამ მხრივ რა შეუძლია გააკეთოს?

ვშიშობ, რომ საქართველოს შესაძლებლობები ძალიან შეზღუდულია. არა მგონია შეგვეძლოს რაღაც აქტიური ნაბიჯების გადადგმა. ის პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა დუდაევის რეჟიმი, იყო ავანტურისტული. ჩვენს ხალხებს შორის კი არსებობს მრავალსაუკუნეობრივი უნიკალური ტრადიციები. თუნდაც ჩეჩნეთის და ინგუშების უკან დაბრუნების პერიოდი ცხადყოფს ამ მეგობ-

რულ დამოკიდებულებას, დუდაევმა კი გადაწყვიტა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარეულიყო და ჭკუა ესწავლებინა საქართველოსთვის აფხაზეთში, ეს იყო ისტორიულად ტრაგიკული გადაწყვეტილება. საქართველო კავკასიის ხალხებისთვის ყოველთვის იყოს ის ადგილი, სადაც ხდებოდა მათი კულტურის დაცვა და განვითარება. თბილისი მართლაც იყო კავკასიის ცენტრი არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ თავისი ფუნქციური დატვირთვით. დარწმუნებული ვარ, ჩვენ შორის ურთიერთობა მოწესრიგდება. ქართველები ძალიან განიცდიან რაც ხდება გროზნოში.

რუსეთის პოლიტიკა ჩეჩნეთში არაა ავანტიურისტული?

რუსეთი ცდილობს დაიცვას თავისი ტერიტორიული მთლიანობა. თუმცა კონფლიქტის შეიარაღებული გზით მოგვარებას ვერ დაარქმევთ საუკეთესოს.

რამდენად მორალურია, რომ ჩვენი ოფიციალური ხელისუფლება ამ კონფლიქტში რუსეთის მხარეს იჭერს?

მე შემიძლია გამოვიდე მხოლოდ საქართველოს ინტერესებიდან. ჩვენს ინტერესებშია, რომ შეჩერდეს კავკასიაში დეზინტეგრაციული პროცესები, კავკასიის ხალხებს უნდა გარანტირებული ჰქონდეთ თავისუფალი და ნორმალური განვითარება, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა იყოს ბეჭედდასმული, რომ არსებული საზღვრები კავკასიაში ვერ შეიცვლება. მე ჩემი ქვეყნის ინტერესებს ვიცავ და სხვაგვარად ვერ ვიფიქრებ.

რამდენიმე თვეში რუსეთში არჩევნები ჩატარდება, შეიძლება რადიკალურად თუ არა, გარკვეულად შეიცვალოს ჩვენი ქვეყნისათვის არსებული გარე ფაქტორები. რა უნდა გააკეთოს, რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ?

მაქსიმალურად უნდა მოვახდინოთ ძალების მობილიზება, რომ შევქმნათ ძლიერი და სტაბილური სახელმწიფო ინსტიტუტები. როგორიც არ უნდა იყოს გარე ფაქტორები, ჩვენ უნდა გვქონდეს მაღალი თავდაცვისუნარიანობა. მე ვგულისხმობ ამას არა მარტო სამხედრო თვალსაზრისით, ყველა მიმართულებით. პირველ ყოვლისა, უნდა მოვახერხოთ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა. რეალურად, უნდა ჩავრთოთ ჩვენი მოქალაქეები სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. ადამიანი, რომელიც უმუშევარია და ქანცგაწყვეტილია აუარებელი სოციალური, ენერგეტიკული თუ ეკონომიკური პრობლემით, ის ვერ დაიცავს საკუთარ სახელმწიფოს, ვერც ერთგული იქნება. ამიტომ ჩვენ უნდა შევქმნათ სახელმწიფო, რომელიც იდგება ძლიერ მოქალაქეებზე.

როგორ?

მგონი ბუნებრივად ვითარდება საბაზრო, თავისუფალი ეკონომიკა. იგი თავისას აკეთებს და კერძო მეწარმეები პოულობენ იმ გამოსავალს, რომელიც მომგებიანია.

მილიონ სამუშაო ადგილს რომ გვპირდებით?

რა თქმა უნდა, ეს არის ჩვენი მთავარი ვალდებულება და ჩვენი საარჩევნო ცვლის ბოლომდე დარწმუნებული ვართ ჩვენ ამ დაპირებას შევასრულებთ.

გაზ. „ახალი თაობა“. 18 მარტი, 1996 წ. №31 (208). გვ. 3

რეალობა კი ასეთია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სახელმწიფო სათათბიროს 15 მარტის გადაწყვეტილების შესახებ

როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო სათათბირომ მიიღო გადაწყვეტილება ბელოვეჟის შეთანხმების დენონსირების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამის „მაცნეს“ კორესპონდენტმა კომენტარი სთხოვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას, რომელმაც განაცხადა: „რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილება, ბელოვეჟის შეთანხმების დენონსირების შესახებ, რა თქმა უნდა, ვერანაირ შედეგს ვერ მოიტანს საბჭოთა კავშირის აღდგენის პერსპექტივის თვალსაზრისით. ქართველმა ხალხმა ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა სახელმწიფოთა ხალხებმა, ერთხელ და სამუდამოდ გამოხატა თავისი ურყევი ნება ააშენოს დამოუკიდებელი, სრულფასოვანი სუვერენიტეტის მქონე სახელმწიფო. ამ გადაწყვეტილებას დედამიწის ზურგზე ვერავინ შეცვლის.

პირადად მე, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს 15 მარტის გადაწყვეტილება მესმის, როგორც თანამეგობრობის არსებობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს წევრების მხრიდან.

მსგავსი კურსი მხოლოდ გააძლიერებს საქართველოს პარლამენტის სიფრთხილეს თანამეგობრობის სივრცეში ინტეგრაციული პროცესების განვითარების მიმართ.

არა მგონია, რომ მსგავსი გადაწყვეტილება ხელს უწყობდეს სტაბილიზაციას თავად რუსეთში.“

პარლამენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 20 მარტი, 1996 წ. №51 (2164). გვ. 1

საქართველოს პარლამენტის განცხადება

რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო სათათბიროს 1996 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების თაობაზე

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ ამა წლის 15 მარტს მიღებულ გადაწყვეტილებას ბელოვეჟის შეთანხმების დენონსირების შესახებ, არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე შედეგი სამართლებრივი თვალსაზრისით. საქართველოს დამოუკიდებლობა ეფუძნება არა აღნიშნულ შეთანხმებას, არამედ მრავალსაუკუნეობრივი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებს, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოსახლეობამ გამოხატა ურყევი ნება საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენისა. დამოუკიდებლობისა, რომელიც 1921 წელს შეწყდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს შეიარაღებული აგრესიის, ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შედეგად. ეს ნება 1995 წელს დაადასტურა საქართველოს პარლამენტმა ქვეყნის ძირითადი კანონის მიღებით. ვერც ერთი სხვა ქვეყნის გადაწყვეტილება ვერ შეცვლის ხალხის ამ ერთსულოვან გადაწყვეტილებას.

რამდენადაც მიუღებელია ნებისმიერი ფორმით საბჭოთა იმპერიის აღდგენა, იმდენად ბუნებრივია და ურთიერთხელსაყრელი კავშირი ქვეყნებისა, რომელთა ეკონომიკა ათეული წლების მანძილზე გადაჯაჭვული იყო ერთმანეთთან. სასარგებლოა ვაჭრობა, მეცნიერული და კულტურული კავშირები.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს 15 მარტის გადაწყვეტილებამ სერიოზულად გაამწვავა მდგომარეობა და თანამეგობრობის ქვეყნები კიდევ ერთხელ არჩევანის წინაშე დააყენა. მსგავსი .კურსი მხოლოდ ზიანს მოუტანს თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ნდობის გაღრმავების უმნიშვნელოვანეს საკითხს და გააძლიერებს საქართველოს პარლამენტის სიფრთხილეს თანამეგობრობის სივრცეში ინტეგრაციული პროცესების განვითარებისადმი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი მიიჩნევს:

1. რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო სათათბიროს 1996 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებას ბელოვეჟის შეთანხმების დენონსირების შესახებ, საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობად.
2. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს დაევალოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს წევრობის მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა. ამ მიზნით ჩატარდეს კონსულტაციები საპარლამენტო ფრაქციებთან. არა-

საპარლამენტო პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შინაგან საქმეთა, საგარეო, სახელმწიფო უშიშროების და თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლებთან. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს პარლამენტს მოხსენება გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 3 აპრილი, 1996 წ. №62 (2175). გვ. 1

შავიშვილის წინააღმდეგ გამწარებული ბრძოლა ჩემთვის უცნობია – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ

„რეზონანსი“: როგორი იქნება პარლამენტისა და კონტროლის პალატის ურთიერთობა?

ზურაბ ჟვანია: ბოლო თვეების განმავლობაში გამოიკვეთა ძალიან აქტიური თანამშრომლობა. ასე რომ, ის მხოლოდ გაღრმავდება. მიუხედავად სიძნელეებისა, რაც მას თავის საქმიანობაში გააჩნია, მან უნდა ბოლომდე გასწიოს თავისი ტვირთი. კენჭისყრის შედეგები ნათელ წარმოდგენას უქმნის ყველას, რომ პრეზიდენტი და პარლამენტი სწორედ შავიშვილის თანამშრომლობის პრინციპულობას აფასებს და მასზე გაცემული ჩვენი მანდატი გულისხმობს, რომ კიდევ უფრო ენერგიულად გააგრძელებს კურსს.

„რ.“: შავიშვილის გადადგომის ერთ-ერთი მიზეზი, არაოფიციალური წყაროებით გახლდათ აღმასრულებელ ხელისუფლებაში არსებული მოწინააღმდეგეები.

ზ.ჟ. ეს ჯობია მასთან დააზუსტოთ. მაგრამ ჩემთან პრივატული საუბრების დროს, მას არასდროს დაუყენებია ეს მიზეზად. მოწინააღმდეგე ბუნებრივია ჰყავს მას ყველანაირ სტრუქურებში, მაგრამ, არა მგონია, შავიშვილი იყოს პიროვნება, რომელსაც ეს გარემოება შეუქმნიდა ასეთ გადაულახავ პრობლემებს. ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, არაფერია ცნობილი იმის თაობაზე, რომ ვინმე გამწარებით და მიზანმიმართულად ებრძოდეს შავიშვილს. მე ვგულისხმობ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებს.

„რ.“: ამ მიმართებით რამდენად კარგად მუშაობს კორუფციასთან ბრძოლის კომისია?

ზ.ჟ. კომისიამ საკმაოდ სერიოზულად დაიწყო მუშაობა. უნდა გვესმოდეს, რომ ეს არ არის ის საქმიანობა, სადაც შეიძლება ერთი-ორი კვირის განმავლობაში ველოდოთ რაიმე ხმაურიან სკანდალებს. ეს არის უმძიმესი და ურთულესი საქმიანობა.

„რ.“: რჩეულიშვილმა განაცხადა, რომ საკადრო პოლიტიკა უნდა იყოს გამჭვირვალე და ის კულისებში არ უნდა წყდებოდეს.

ზ.ჟ. კულისებში ჩვენი საკადრო პოლიტიკა არ წყდება. უნდა ვთქვა, რომ რჩეულიშვილის სპეკულაციები იმასთან დაკავშირებით, რომ მოქალაქეთა კავშირი რაიმე საკადრო საკითხებში ერევა, სასაცილოა. ეს დღევანდელ სხდომაზეც გამოჩნდა. როდესაც მე შეკითხვა დავუსვი ბატონ შავიშვილს, მოქალაქეთა კავშირიდან რამდენი მუშაობს კონტროლის პალატაში. უბრალოდ არ ყოფილა პრეცედენტი, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში მას აეყვანოს თანამშრომელი იმის გამო, რომ ის არის მოქალაქეთა კავშირის წევრი.

გიორგი კალანდაძე

გაზ. „რეზონანსი“. 29 ივნისი, 1996 წ. №99 (515). გვ. 2

ბოსფორის საკითხი ცალსახად არ გადაწყდება

1-12 ივლისს სტამბულში ჩატარდა ევროპის საბჭოსა და შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეათა გაერთიანებული კონფერენცია, რომელიც შავი ზღვის ეკოლოგიურ პრობლემებს მიეძღვნა. შავი ზღვის წყლების დაბინძურებისაგან დაცვის თემას პარალელურად მიჰყვებოდა მწვავე დისკუსია რუსეთისა და თურქეთის დელეგაციებს შორის ბოსფორის სრუტის სტატუსის შესახებ. რუსეთს, ბოსფორის სრუტის გავლით, „აზერბაიჯანის ნავთობის“ ნოვოროსიისკიდან ევროპისაკენ გატანა სურს. თურქეთი ამის წინააღმდეგია. რადგან თურქულ სრუტეებში გადაზიდვათა გაზრდა ეკოლოგიური თვალსაზრისით, მიუღებელი იქნებოდა ქალაქ სტამბულისთვის.

რეზონანსი ესაუბრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ზურაბ ჟვანიას, რომელიც, ამავე დროს, შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების ანუ ბისეკის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის თავმჯდომარეა და ხელმძღვანელობდა სტამბულის კონფერენციას.

„რ.“: რა ტენდენცია აღინიშნა კონფერენციაზე, ვის სასარგებლოდ გადაწყდება ეს პრობლემა, თურქეთის, თუ რუსეთის?

ზ.ჟ. ბოსფორის საკითხი ასე ცალსახად არ გადაწყდება. შავი ზღვის ხმელთაშუა ზღვასთან დამაკავშირებელი წყლების სტატუსი შესაძლებელია მხოლოდ მრავალმხრივ შეთანხმების შედეგად გადაწყდეს. მაგრამ, რა თქმა უნდა, საერთაშორისო საზოგადოება, და მათ შორის, ჩვენც, გაგებით ეკიდება ამ ობიექტურ რეალობას, რომ ბოსფორის გამტარუნარიანობა საკმაოდ შეზღუდულია. უკვე იყო სრუტეში ტანკერების აალების რამდენიმე შემთხვევა, რამაც კატასტროფული შედეგები გამოიღო. ბოსფორის სრუტეში სანავთობე გადაზიდვების გაზრდა 12 მილიონიანი სტამბულისათვის ძალიან მძიმე გადაწყვეტილება იქნებოდა. ალბათ ამიტომ ექსპლოატაციის მომატება მოსალოდნელი არ არის. ბოსფორის, და საერთოდ „თურქული სრუტეების“ სტატუსი უახლოეს მომავალში, ეკოლოგიური კონტროლის გამკაცრებისაკენ შეიძლება შეიცვალოს.

„რ.“: როგორ ასახვას ჰპოვებს ბოსფორის პრობლემა და მისი გადაჭრა საქართველოს მომავალზე?

ზ.რ. საქართველოს საკუთარი სატრანსპორტო და ეკონომიკური ინტერესები აქვს. დავუშვათ, თუ ლაპარაკია საქართველოს გავლით ნავთობის გადატანაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ალბათ საქართველოსათვის ძალიან საინტერესო ვარიანტი იქნება, როდესაც ნავთობსადენის რაღაც მონაკვეთი გაივლის ჩვენს ტერიტორიაზე და ტერმინალი თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე იქნება. ის, რომ ერთ-ერთი ტერმინალი უნდა იყოს საქართველოს სუფსის პორტში, უკვე პრაქტიკულად გადაწყვეტილია. სულაც რომ დაიხუროს ბოსფორი ნავთობის ტანკერებისათვის. ჩვენ ნუ დაგვავიწყდება,

რომ თავად შავი ზღვის სანაპიროს სახელმწიფოები – ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა და მათი მიმდებარე ქვეყნები, უზარმაზარ ბაზარს წარმოადგენს ნავთობპროდუქტებისათვის. ნავთობით მათი დაკმაყოფილება კი, იმ მაქსიმალური სიმძლავრეების გათვალისწინებით, რომლებზეც ყველაზე ოპტიმისტურ შემთხვევაში ჩვენი ნავთობის ტერმინალები შეიძლება გავიდნენ, უკვე დიდი წარმატება იქნებოდა.

რუსეთისა და თურქეთის დელეგატთა ურთიერთობა მწვავე ხასიათს იღებს მაშინ, როდესაც საქმე ეხება ბოსფორის სრუტეს. მე ხაზი მინდა გავუსვა, რომ სტამბულის კონფერენცია მიეძღვნა ეკოლოგიურ პრობლემებს. შავი ზღვა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დახურული ზღვაა და მისი მსოფლიო ოკეანესთან დაკავშირების ერთადერთ საშუალებას სწორედ ბოსფორის სრუტე წარმოადგენს.

საქართველოს დელეგაციამ გამოხატა საკუთარი პოზიცია, რომ ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისას ობიექტურად შეფასდეს გარემოზე ზეგავლენა და ესა თუ ის საკითხი პოლიტიკური სპეკულაციის საგანი არ გახდეს. მაგალითად, საქართველოს წარმომადგენლებმა უსაყვედურეს თურქეთის მხარეს, რომ როდესაც ის სამართლიანად აყენებს ბოსფორის ეკოლოგიურ საკითხს, არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ჭოროხზე ჰესების კასკადის მშენებლობის წინ დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტიზის ჩატარებას. ქართველი ექსპერტების შეფასებით, თურქეთის მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა გამოიწვევს საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს – აჭარის და მთლიანად საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ნგრევას და გაზრდის „ზღვის შემოტევას“.

„რ.“: შავი ზღვის ეკოლოგიური მომავლის შესახებ რა პერსპექტივა არსებობს?

ზ.ჟ. შავი ზღვისპირა ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა თავისი განვითარების სრულ პერიოდს გადის. ჩვენი რესურსები საკმაოდ შეზღუდულია საიმისოდ, რომ რაიმე ქმედითი ნაბიჯის გადადგმა მოვახერხოთ. სწორედ ამიტომ ძლიერი და გავლენიანი ევროპული ინსტიტუტების მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ევროპის საბჭო, კონტინენტის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და ტრადიციული საპარლამენტთაშორისო გაერთიანება ინფორმაციას ამ მიმართულებით რეგულარულად მოისმენს. და საერთოდ, ევროპის პოლიტიკურ კალენდარში შავი ზღვის ეკოლოგიურ პრობლემას მომავალში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა.

ესაუბრა გია ყანდაშვილი

გაზ. „რეზონანსი“. 15 ივლისი, 1996 წ. №112 (528). გვ. 1-2

ზურაბ ჟვანია: საქართველოს რეგიონული ინტეგრაციის იმედი აქვს

როგორ ესახება საქართველოს რეგიონული ინტეგრაციის მომავალი და თავისი ადგილი მასში?

თვით იდეა სტრუქტურის შექმნისა, რომელიც შავიზღვისპირეთის ქვეყნებს აერთიანებს, მეტად საინტერესო და სასარგებლოა, პირველ რიგში, ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით. თუმცა, რა დასამალია, როგორც შავიზღვისპირეთის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ, უნდა განვაცხადო, რომ ჯერჯერობით, ჩვენი მოღვაწეობა არც ისე ეფექტურია. ამისათვის საკმარისი არაა მხოლოდ გენერალური ასამბლეისა და ცალკეული კომიტეტების სხდომების ჩატარება. იქ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა რეალურად უნდა გააუმჯობესოს ჩვენი ამომრჩევლების ყოველდღიური ცხოვრება.

რაც შეეხება საქართველოს, ნებისმიერი პატარა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობის პრინციპი, სულ უფრო მეტი რეგიონალური ორგანიზაციების მუშაობაში მიიღოს მონაწილეობა. ეს პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის დამატებით შესაძლებლობას იძლევა. შავიზღვისპირეთის აუზი კი, დღეს ევროპის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ინტენსიურად განვითარებადი რეგიონია. უახლოეს მომავალში ვფიქრობ, აქ მკვეთრად გაიზრდება სასაქონლო ნაკადი. შავი ზღვა ევროპულ ქვეყნებს ცენტრალურ აზიას დაუკავშირებს. რუსეთის უზარმაზარ პოტენციალსაც თუ გავითვალისწინებთ, შავი ზღვა მისთვისაც ტვირთის გადაადგილების მარშრუტად იქცევა.

შავიზღვისპირეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ამოცანაა რეგიონალური კავშირების კოორდინირება, ორგანიზება, ქაოსის თავიდან აცილება. შავიზღვისპირეთის თანამშრომლობა უაზრობაა რუსეთის მონაწილეობის გარეშე. მისი პოზიცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ რაგიონის განვითარებას.

მიუხედავად ამისა, როგორც სტამბოლის კონფერენციამ ცხადყო, შავიზღვისპირეთის ქვეყნების ინტერესები არ ემთხვევა. მაგალითად, გრძელდება პოლემიკა კასპიის ნავთობსადენების შესახებ.

ამ საკითხის ირგვლივ საქართველოსა და რუსეთის პოზიციები აბსოლუტურად იდენტურია. რა თქმა უნდა, უნდა გავითვალისწინოთ პოზიციები თურქეთისა, რომელიც ამტკიცებს, რომ ბოსფორი გადატვირთვისა და თავისი ეკოლოგიური მდგომარეობის გამო, ვერ აიტანს დამატებით დატვირთვას, რაც კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებასთანაა დაკავშირებული. მთავარია, თავი ავარიდოთ პოლიტიკურ უკიდურესობებსა და სიტუაციის დრამატიზმს.

რეგიონის პოლიტიკურ პრობლემებზე თუ ვილაპარაკებთ, ალბათ ეს პირველ რიგში კავკასიას ეხება?

დიახ, აქაც პრაქტიკულად, საქართველოსა და რუსეთის ინტერესები ემთხვევა. ესაა სტაბილური მშვიდობის დამყარება, რა თქმა უნდა, არსებულ საზღვრებში. რამეთუ, უმცირესი პრეცედენტი ან ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე, თუნდაც ახალ აფეთქებას გამოიწვევს. ამაში საქართველო საკუთარ ტრაგიკულ მაგალითზე დარწმუნდა. შეიძლება გავიხსენოთ, თავის დროზე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე რომ გვაფრთხილებდა, აფხაზური პრობლემა უეჭველად რუსეთშიც ჰპოვებს გამოძახილსო. იმედი მაქვს, მორალის, როგორც ქართველი, ასევე რუსი პოლიტიკოსებისათვის ნათელია, მკაცრი ზომებით ვერაფერს მივაღწევთ იმ ხალხთან, რომელიც სეპარატისტულ მოძრაობას უდგას სათავეში. საერთო ენა უნდა გამოინახოს, უნდა წარიმართოს პოლიტიკური დიალოგი, ამასთან, აშკარად და უმნიშვნელოვანესად უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ არსებული საზღვრების ფარგლებშია შესაძლებელი.

საქართველოს აქტიურობა შავ ზღვასთან დაკავშირებით ხომ არ ნიშნავს, რომ იგი სნგ-ს გარეშე ეძებს ინტეგრაციულ შესაძლებლობებს?

უკვე მოგახსენეთ, რომ პატარა სახელმწიფომ უარი არ უნდა თქვას შესაძლებლობათა ნებისმიერ მხარეზე. ჩვენ ყურადღებით ვადევნებდით თვალს რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებს, რადგან მიგვაჩნდა, რომ ელცინის არჩევა ძალზე შეუწყობს ხელს სნგ-ში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. ამას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, – ასეთ სახელმწიფოსთან გვაინტერესებს და გვსურს თანამშრომლობა. ესაა ჩვენი პროდუქციისათვის უზარმაზარი ბაზარი, ნედლეულის მომწოდებელი და მთავარი კი, ჩვენი ტრადიციული, საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული უნიკალური კულტურული და ადამიანური ურთიერთობანია.

რა თქმა უნდა, ინტეგრაცია ბუნებრივი ტემპით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უნდა წარიმართოს. ეს პროცესი გულისხმობს, რომ მასში მონაწილე თითოეული მხარე დარწმუნებულია, რომ ნებისმიერი მორიგი ნაბიჯი თანამშრომლობის საქმეში განამტკიცებს ეროვნულ უშიშროებასა და აამაღლებს საკუთარ მოქალაქეთა კეთილდღეობას. მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ფონიც. ნომერ პირველ საკითხად რჩება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების პრობლემათა საბოლოო გადაწყვეტა. სწორედ ეს იქნება გამოცდა იმისა, შევქმნით თუ არა სნგ-ში ნამდვილ ეფექტურ მექანიზმს, რომელიც შეძლებს კონკრეტული და ძალზე მტკივნეული პრობლემების გადაჭრას. თუ ეს ასეა, მაშინ მომხრე ვართ ღრმა ინტეგრაციისა.

იბეჭდება შემოკლებით. სეგოდნია. №160

გაზ. „კვირის პალიტრა“. 9-15 სექტემბერი, 1996. №36 (73). გვ. 3

ჩვენ შეიძლება პოლიტიკა შევცვალოთ

18 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში სეპარატისტთა მიერ დანიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით გააკეთა სპეციალური განცხადება.

„მე როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მინდა განვაცხადო:

აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის მიერ დანიშნული არჩევნები მიზნად ისახავს ერთადერთს – ამ ტერიტორიაზე ქართული, და არა მხოლოდ ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შედეგების დაკანონებას.

ჩვენთვის გასაკვირი არ არის, რომ იმ რეჟიმმა, რომელიც პახუსისმგებელია აფხაზეთში კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულსა და ბოროტმოქმედებაზე, გადადგა ეს ნაბიჯი.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია მაშინ, როცა აფხაზეთში ხორციელდება რუსეთის სამშვიდობო მისია.

ყველაზე მნიშვნელოვანი და შემაშფოთებელი გახლავთ მთლიანად რუსეთის სახელმწიფოს როლი და, კერძოდ რუსეთის სამშვიდობო ძალების ფუნქცია და დანიშნულება მთელ ამ პროცესში.

რუსეთმა საქართველოს შესთავაზა შუამავლის როლი მშვიდობიანი მოლაპარაკების პროცესში და სამხედრო სამშვიდობო მისიის შესრულება კონფლიქტის ზონაში.

რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერეს მთელ რიგ შეთანხმებებს, რომლებიც გულისხმობდნენ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობათა აგებას სტრატეგიული თანამშრომლობის სიბრტყეში.

ამგვარი თანამშრომლობის ერთ-ერთ უმთავრეს ნაწილად ჩვენ განვიხილავთ რუსეთის აქტიურ დახმარებას კონფლიქტების მოწესრიგებაში, ლტოლვილთა დაბრუნებასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, ისევე, როგორც სამხედრო-სტრატეგიულ პარტნიორობას, რაც გულისხმობდა რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე. სხვა მრავალ საკითხს, რომელიც უკავშირდება ჩვენი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

სეპარატისტული რეჟიმის განცხადება არჩევნების ჩატარების შესახებ, ჩვენი მხრიდან შეიძლება იყოს აღქმული მხოლოდ ერთგვარად – რუსეთის სამშვიდობო ძალები მდინარე ენგურზე განლაგებულია ერთადერთი მიზნით – დააკანონონ აფხაზეთში ეთნიკური წმენდა და გენოციდი, ერთმა მუჭა ადამიანებმა შეძლონ ჩადენილ დანაშაულებათა და სისხლის ღვრის ლეგალიზაცია, თუნდაც ნაწილობრივი დაკანონება.

კიდევ ერთხელ ვადასტურებ და ამით გამოვხატავ დეპუტატთა კორპუსის უმრავლესობის აზრს – საქართველო მზად არის რუსეთთან სტრატეგიული თანამშრომლობისათვის. ჩვენ მზად ვართ ერთად დავიცვათ ჩვენი ინტერესები და უმთავრესი – ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

მაგრამ ბოლო დროის მოვლენები ჩვენ გვაიძულებს ძალიან სერიოზულად გადავხედოთ ყველა იმ საკითხს, რომელიც უკავშირდება სამშვიდობო ძალების ფუნქციას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. სამხედრო ხელშეკრულებების მთელ იმ კომპლექსს, რომელიც ხელმოწერილია და რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე არსებობას ითვალისწინებს.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ საუბარი შეიძლება იყოს სერიოზულ ცვლილებებზე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაში."

გაზ. „ახალი თაობა". 19 სექტემბერი, 1996 წ. №143 (320). გვ. 1-2

პარლამენტის თავმჯდომარე ქვეყნის პოლიტიკაში ძირეული ცვლილებების მომხრეა

17 სექტემბერს პლენარულ სხდომაზე პარლამენტარებმა მოითხოვეს, რომ უმაღლესმა საკანონდებლო ორგანომ კიდევ ერთხელ დააფიქსიროს პოზიცია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ამის გამო, 18 სექტემბერს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ პლენარულ სხდომაზე გააკეთა განცხადება.

მასში კერძოდ ნათქვამია, რომ ჩვენ ყველანი უკიდურესად აღელვებულნი და დაძაბულნი ვართ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების გამო. უწინარესად ეს ეხება სეპარატისტული რეჟიმის მიერ ამ რეგიონებში არჩევნების დანიშვნას.

აღმაშფოთებელია საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა აფხაზეთში რომელიც ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შედეგად გაწმენდილია არა მხოლოდ ქართველების, არამედ სხვა ეროვნების ადამიანებისაგანაც. ჩვენი აზრით, ამ არჩევნების მიზანი მხოლოდ ერთადერთია – გენოციდის დაკანონება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილებანი მოულოდნელი არ იყო. ბევრად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს ხდება მაშინ, როდესაც ამ ტერიტორიაზე ხორციელდება რუსეთის სამშვიდობო მისია, მაშინ, როდესაც რუსეთმა საქართველოს შესთავაზა თავად ეკისრა შუამავლის როლი კონფლიქტის მოწესრიგებაში, რომელიც უნდა განხორციელებულიყო საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებათა თანახმად სტრატეგიული თანამშრომლობის სიბრტყეში, და საქართველომაც მიიღო წინადადება.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე ვაცხადებ, თქვა ზურაბ ჟვანიამ, რომ აფხაზეთის რეჟიმის მიერ არჩევნების მოწყობასთან დაკავშირებული განცხადება იმის დასტურია, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების გამაგრება ენგურზე მხოლოდ იმისათვის მოხდა, რათა დაკანონდეს საზღვარი აფხაზეთსა და საქართველოს შორის, რომ მოხდეს რუსეთის სამშვიდობო ძალების ხიშტებზე დამყარებული აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის ლეგალიზაცია.

ამდენად, მიმაჩნია, თქვა ზურაბ ჟვანიამ, რომ პარლამენტი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთთან დაკავშირებით პარლამენტის დადგენილების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მოსმენით. კიდევ ერთხელ ვადასტურებ საქართველოს მზადყოფნას რუსეთთან თანამშრომლობის თაობაზე. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ერთიანობა – ეს არის სტრატეგიული ამოცანა – თქვა ზურაბ ჟვანიამ. მისი წინადადებით პარლამენტი 20 სექტემბრის სხდომაზე დაიწყებს ამ მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობას. მოისმენენ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, ვახტანგ ყოლბაიას, საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის კახა ჩიტაიას ინფორმაციებს. პარლამენტის

თავმჯდომარის აზრით, უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს საკითხის მთელი სპექტრის სიმწვავე და დაიწყოს მსჯელობა ძირეულ, მნიშვნელოვან ცვლილებებზე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებთან დაკავშირებით.

საქინფორმი
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
19 სექტემბერი, 1996 წ. №189 (2302). გვ. 1

ვალდებულნი ვართ, ანგარიში გავუწიოთ საქართველოს განწყობილებას

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ მოსკოვში გამგზავრების წინ თავისი მოსაზრება გამოთქვა რუსეთის მშვიდობისმყოფელებზე

როგორ უყურებს საქართველოს ხელისუფლება სახელმწიფოში მდგარ რუსულ არმიას?

მიველსამებით რუსეთთან თანამშრომლობას. ჩვენს მიწა-წყალზე რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობას იმიტომ დავთანხმდით, რომ ეს მოგვცემდა შესაძლებლობას ერთად მოგვეგვარებინა რეგიონის რთული პრობლემები. პირველ რიგში კი – საქართელოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. სამხედრო ბაზების შესახებ ხელშეკრულებაში ქართულმა მხარემ ჩაწერა, რომ ამ დოკუმენტს მხოლოდ მაშინ მიეცემა ძალა, როცა კანონიერი ხელისუფლება თავის იურისდიქციას განავრცობს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რაც დღემდე ვერ მოხერხდა.

ეს ხომ არ ნიშნავს, რომ რუსეთის მხედრობის რესპუბლიკაში ყოფნა არალეგიტიმურად მიგაჩნიათ?

ამჟამად რუსეთის მხედრობა საქართველოს ტერიტორიაზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დგას, რაც აღელვებს ქართულ მხარესაც და რუსულსაც. ჩვენი მთავრობისადმი მკვეთრად ოპოზიციურმა პარტიებმა შექმნეს „სადეოკუპაციო კომიტეტი“. ეს ცხადყოფს, რომ საზოგადოების ბევრი წევრი საქართველოში რუსული არმიის ყოფნის წინააღმდეგია. ჩვენ, როგორც ხელისუფლება, ვალდებული ვართ, ანგარიში გავუწიოთ საზოგადოების განწყობილებას და დავიცვათ ქვეყნის ეროვნული ინტერესები.

როგორი პოზიცია აქვს საქართველოს პარლამენტს აფხაზეთში მდგარი სამშვიდობო ძალებისადმი?

ამ ძალების მანდატი თავიდან ითვალისწინებდა ლტოლვილთა დაბრუნების პირობების უზრუნველყოფას, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. უფრო მეტიც, თითქმის, ყოველი კვირა ვღებულობთ ცნობებს აფხაზეთსა და იმ ტერიტორიებზე, რომელსაც რუსი სამშვიდობო ძალები აკონტროლებენ, სეპარატისტების მიერ ჩადენილ მკვლელობებზე. რა თქმა უნდა, ამგვარ მდგომარეობას პარლამენტი უარყოფითად ეკიდება. უნდა გითხრათ, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა დადებითი როლი ითამაშეს ცხინვალის რეგიონში (საქართველოში ასე უწოდებენ სამხრეთ ოსეთს, – „იტოგი“) ვითარების სტაბილიზებისათვის ყველა პირობაა შექმნილი.

ამბობენ, რუსეთს არა აქვს კავკასიაში მოქმედების ერთიანი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხაზი.

მართლაც, ძნელია იმის თქმა, როგორია კავკასიაში რუსული პოლიტიკა. თითქოსდა ორ მოსაზღვრე ქვეყანას საერთო ინტერესები უნდა ჰქონდეთ. რადგან მათი მთავარი საზრუნავია, არ დაუშვან დეზინტეგრაციული პროცესები და ებრძოლონ აგრესიულ სეპარატიზმს. რაც შეხეება რუსეთის სამშვიდობო ძალებს, თუკი ისინი არ შეასრულებენ 1993 წლის შეთანხმებას, უნდა წავიდნენ.

„იტოგი“. 19 ნოემბერი.
გაზ. „კვირის პალიტრა“.
25 ნოემბერი – 1 დეკემბერი, 1996 წ. №47 (84). გვ. 3

ზურაბ ჟვანია: „ზამთრის მერე უეჭველად დადგება გაზაფხული“

პარლამენტმა აფხაზეთის საკითხის განხილვა ამჯერად გაზაფხულისთვის გადადო. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ პარლამენტს ამ პრობლემის მოგვარების არანაირი რეალური ბერკეტი არ გააჩნია? მით უმეტეს, რომ აფხაზეთის შესახებ მიღებულ ორ დადგენილებას რაიმე რეალური და კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია.

ვფიქრობ, არავის აქვს საფუძველი თქვას, რომ ორი ოქტომბრის დადგენილებას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები, რომლებიც მოსკოვში მიმდინარეობდა, აგვისტო-სექტემბრის განმავლობაში აბსოლუტურ ჩიხში შევიდა. რუსეთის მხარეც თანდათან ძალიან პასიურ პოზიციაში გადავიდა. ამას მოჰყვა პრეზიდენტის ცნობილი მკვეთრი განცხადებები, გამოსვლები პარლამენტში და ოქტომბრის დადგენილება. ამ ნაბიჯებმა ახალი იმპულსი მისცა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესს: საქართველოს ხელისუფლებამ მიკიბვ-მოკიბვის გარეშე განსაზღვრა ის პირობები, რომლებიც შესაძლებლად გახდიდა რუსულ-ქართული ურთიერთობების კომპლექსის შემდგომ განვითარებას. ეს ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა – პროცესმა ახალ სიბრტყეზე გადაინაცვლა. მთელი გასული წლის განმავლობაში პარლამენტის ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა სწორედ ის იყო, რომ მას რეალურად აღმოაჩნდა უნარი, გავლენა მოეხდინა აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტაზე.

თუ დღეს პარლამენტმა მიიჩნია, რომ უმჯობესია, საგაზაფხულო სესიაზე დაუბრუნდეს დებატებს აფხაზეთის თემაზე, ეს იმით არის გამოწვეული, რომ მრავალი მიმართულებით (სამშვიდობო კონტინგენტის განყოფილება და პერსონალური საკითხები, პოლიტიკური განცხადებები რუსეთის მხრიდან, კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული საერთო პოლიტიკური ფონი) საიმედო ტენდენციები შეინიშნება. თუმცა, რამდენჯერმე უკვე გვეგონა, რომ საკითხი დაიძვრებოდა და ტყუილი ილუზია გამოგვივიდა. ამჯერად პარლამენტმა გადაწყვიტა, დააკვირდეს, როგორ განვითარდა მოვლენები.

მაგრამ ოცდათერთმეტ იანვარს სამშვიდობო ძალების ვადა იწურება. რა იურიდიულ საფუძველზე დარჩებიან ისინი საქართველოში?

დღეს ისეთი ვითარებაა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მრავალ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოვლენას, რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნასაც კი საქართველოს ტერიტორიაზე, შესაბამისი იურიდიული ბაზა არ გააჩნია. კონსტიტუციით ეს ბაზები შეიძლება არსებობდეს მხოლოდ პარლამენტის მიერ შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ. პროცესი დინამიკურია და ქართული მხარე არ აპირებს, ვინმეზე წინასწარ, მყარი გარანტიების გარეშე

გასცეს თამასუქები. გარანტია კი ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხია.

რაც შეეხება სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელება-არგაგრძელების საკითხს, ეს საკანონმდებლო ხელისუფლების უშუალო პრეროგატივა არ გახლავთ. მაგრამ თუ პარლამენტს მიმდინარე პროცესის შედეგები არ დააკმაყოფილებს, მინდა პირდაპირ ვთქვა, რომ თებერვალ-მარტში, როდესაც ამ საკითხს დავუბრუნდებით, ჩვენი გადაწყვეტილებები ძალიან მძაფრი იქნება.

საერთაშორისო ვითარება, ევრაზიის სივრცეში მიმდინარე პროცესები საქართველოს სასარგებლოდ განვითარდა. ოცდამეერთე საუკუნის ევრაზიული უსაფრთხოების კონცეფციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ არც ერთი ქვეყნის ინტერესები არ უნდა დომინირებდეს სხვა ქვეყანაზე. ამ ფონზე ხომ არ დადგა დრო, როდესაც რუსეთის მიმართ საქართველოს საკმაოდ მკვეთრი სიტყვიერი პოზიცია შესაბამისი ქმედებით უნდა შეიცვალოს?

პოლიტიკაში სიტყვა ხშირად ბევრ ქმედებაზე უფრო მნიშვნელოვანია, თუ იგი სათანადო ადგილზე და სათანადო მომენტშია ნათქვამი. ჩვენ კარგად უნდა ავუწყოთ ფეხი ამ პროცესებს. რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს. მსოფლიო პოლიტიკაში ედუარდ შევარდნაძის წარმატების ერთ-ერთი მთავარი გასაღები ის არის, რომ იგი ახერხებდა მისი მოქმედება ყოველთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო მთელი მსოფლიოსთვის.

ასე რომ, ზუსტად უნდა დავინახოთ დიდ საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების დინამიკა. არც წინ უნდა გავუსწროთ პროცესებს, და, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ჩამოვრჩეთ. ჩემი შეფასებით საქართველო დღეისათვის ამას შესანიშნავად ახერხებს.

სტრატეგიული პარტნიორობის ქართული მოდელი რუსეთისთვის მიუღებელია. საქართველო მზად არის ბოლომდე გაითვალისწინოს დიდი მეზობლის ინეტერესები, მაგრამ რუსეთის პოლიტიკიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სტრატეგიული პარტნიორობა მას ჩვენგან განსხვავებულად ესმის. ამ შეუთავსებლობის შეთავსების მცდელობა წყლის ნაყვად ხომ არ რჩება?

ევროპასა და მთელ მსოფლიოში, ყოველ შემთხვევაში ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, დღეს სრულიად ახალი არქიტექტურა ყალიბდება. ქართველების ამოცანაა, ამ არქიტექტურაში განვსაზღვროთ ჩვენი ადგილი, რომელიც მაქსიმალურად შეესებამება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, შორს მიმავალ სტრატეგიულ ინტერესს და ამოცანებს. მოხერხდება თუ არა ეს რუსეთის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე? რა თქმა უნდა, არა, ინფანტილიზმია ვიფიქროთ, რომ შეგვიძლია გავიჯახუნოთ კარი დარიალზე და ჩრდილოეთისკენ აღარ გავიხედოთ. ქართულმა პოლიტიკამ უნდა მოახერხოს ყველა იმ ძალის ინტერესთა დაბალანსება, რომლებიც ფოკუსირებულია ამიერკავკასიაში და, სახელდობრ, საქართველოში.

ედუარდ შევარდნაძეს აქვს ერთი საოცრად მრავლისმეტყველი ფორმულა: ჩვენ ყველგან მეგობრები უნდა ვეძებოთ. ეს, შესაძალოა ბანალურად ჟღერ-

დეს ერთი შეხედვით, მაგრამ დღევანდელ ქართულ პოლიტიკას ყველაზე ზუსტად განსაზღვრავს. მეგობრები ზოგ შემთხვევაში თავისთავად არსებობენ, სტრატეგიული ინტერესების თანხვედრის გამო ან ისტორიული ტრადიციის ძალით. მაგრამ ჩვენს გარემოცვაში არაერთი სახელმწიფოა, რომელიც მეგობრად თავისთავად არ იგულისხმება. ჩვენი ძალისხმევა საიმისოდ უნდა მივმართოთ, რომ მათთანაც მოვძებნოთ საერთო ინტერესები და თუ მოკავშირეებად ვერ ვაქცევთ იმ ძალებს, რომლებმაც, შესაძლოა დამანგრეველი როლი შეასრულონ ჩვენი ქვეყნისთვის, გავანეიტრალოთ მაინც მათი გავლენა, ეს არის ზოგადი მიდგომა, რომლიდანაც გამომდინარეობს გადაწყვეტილებები ამა თუ იმ პარტნიორთან ურთიერთობის შესახებ.

მაგრამ საზოგადოებაში ერთგვარი ნიჰილისტური განწყობა სუფევს: რუსეთი, მტერია თუ მოყვარე, მაინც ვერსად გავექცევით...

ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენი ურთიერთობები რუსეთთან თვისობრივ ცვლილებას განიცდის. რამდენიმე წლის წინ ნებისმიერი გამვლელი იტყოდა, რომ რუსეთის გარეშე ვერსად წავალთ და ვერაფერს მოვახერხებთ. იმ ბლოკადამ, რომელიც, ნებსით, თუ უნებლიეთ, რუსეთმა საქართველოს გამოუცხადა (აფხაზეთის რკინიგზის გადაკეტვით; იმით, რომ ჩვენს მეწარმეებს უამრავი პრობლემა შეექმნათ რუსეთში სამოქმედოდ და სხვა) ძირეული ცვლილებები გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. ცვლილებების ვექტორი ასეთია: საქართველო გახდა ბევრად ნაკლებად დამოკიდებული რუსეთზე უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური თვალსაზრისით. ჩვენი მეწარმეების უდიდეს ნაწილს მხოლოდ რუსეთში საქმიანობის გამოცდილება ჰქონდა. დღეს ეს ადამიანები ორიენტირებული არიან სრულიად ახალ ბაზრებზე. ახალ მომწოდებლებზე, ახალ პარტნიორებზე. მრავალმა მათგანმა თურქული ისწავლა, ზოგიერთმა – ინგლისური ან გერმანული.

ვფიქრობ, წლევანდელ წელს, როდესაც თითოეული ჩვენი მოქალაქე ეცდება, გააანალიზოს, რა მდგომარეობაშია დღეს საქართველო, ამდენი სიძნელის ფონზე ერთი ძალზე ოპტიმისტური აზრი ყველას შეიძლება გაუჩნდეს. საქართველოს ნამდვილად შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა, რუსეთის თუ ნებისმიერი სხვა ქვეყნის გარეშე.

ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. დამოუკიდებლობის პოლიტიკური დეკლარირება შედგა. დამოუკიდებლობის ეკონომიკური საფუძველი კი ორივე ფეხით კოჭლობს. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი თითქმის ყველა სფეროში გაბატონებული კორუფციაა. ამან შეიძლება ისეთი სოციალური მღელვარება გამოიწვიოს, რომელიც პოლიტიკურ პროცესებზე აისახება. არადა, სახელმწიფოებრივი მიდგომა, ფართომასშტაბიან ღონისძიებათა კომპლექსი ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად არ ჩანს. როგორ კომენტარს გაუკეთებთ ამ მდგომარეობას?

ეკონომიკაში არსებული გარკვეული წინსვლის მიუხედავად, ბოლომდე ვიზიარებ იმ შეფასებას, რომ საზოგადოებასა და უმაღლეს მმართველობით ორგანოებში კორუფციის საოცრად შემაშფოთებელი დონეა. ეს, პირადად

ჩემთვის, ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემაა, როგორც ცოცხალი ორგანიზმისთვის რაღაც სტადიის შემდეგ განუკურნებელი ავთვისებიანი სიმსივნე, ზუსტად ისეთსავე რანგის პრობლემას წარმოადგენს კორუფცია საზოგადოებისათვის. ეს არის არჩევანი ორ მდგომარეობას შორის. ან შევქმნით რეალურად დემოკრატიულ საზოგადოებას, სადაც მთავარი ღირებულება ცალკეული მოქალაქის ღირსება და ინტერესებია, ან ჩამოვაყალიბებთ კლანურ, თავიდან ბოლომდე დამპალ და კორუმპირებულ საზოგადოებას, სადაც რეალური კეთილდღეობა და საკუთარი შესაძლებლობების განხორციელების საშუალება. მხოლოდ ამ კლასის წევრებს და მათთან დაახლოებულ პირებს ექნებათ, ხალხმა არჩევანი დემოკრატიის სასარგებლოდ გააკეთა. ამდენად, დღეს ყველა პოლიტიკური ძალის განრიგში ერთ-ერთ უმთავრეს ადგილზე კორუფციის პრობლემა უნდა იდგეს, იმედი მაქვს, რომ თუ პრეზიდენტის განწყობილებას და პარლამენტში გაბატონებულ აზრს გავითვალისწინებთ, 1997 წელმა გარკვეული სიახლეები უნდა მოიტანოს ამ თვალსაზრისით.

რამდენადაც მე მესმის ქართული ეროვნული ხასიათი, ჩვენთვის წარმოუდგენელია კორუმპირებულ საზოგადოებაში არსებობასთან შეგუება. იმიტომ, რომ ამგვარ საზოგადოებაში მოქალაქეების უდიდესი ნაწილის ღირსება ყოველდღიურად ილახება. ადამიანები მარიონეტები ხდებიან რამდენიმე ბობოლა ოჯახის თუ ჯგუფის ხელში. ეს კი წარმოუდგენელია ჩვენი ისტორიიდან თუ ტრადიციებიდან გამომდინარე.

სოციალური პრობლემები რამდენად უკავშირდება კორუფციის საკითხს?

პირდაპირ და უშუალოდ. ამის გამოანგარიშება კალკულატორითაც კი შეიძლება. დღეს ბევრს ვლაპარაკობთ, რომ საგადასახადო თუ საბაჟო ადმინისტრაცია უნდა განმტკიცდეს. ეს ნიშნავს, რომ ამ სტრუქტურებში კორუფცია უნდა აილაგმოს. კორუფცია საგადასახადო სისტემაში იწვევს, რომ თითოეული ადამიანი, რომელიც რაღაც საქმიანობას ეწევა და იხდის ფულს, რომელიც გათვალისწინებულია სოციალური პრობლემებისათვის, განათლებისათვის, ჯანდაცვისათვის თუ სხვა, ამის ნაცვლად ჩინოვნიკის ჯიბეში ხვდება. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში 50%-ით მეტი თანხა შევა საგადასახადო შემოსავლების აკრეფის ხარჯზე, თუკი იარსებებს მყარი პოლიტიკური ნება, რომ პრობლემა გადაწყდეს.

მე საბაჟო და საგადასახადო სამსახური დავასახელე. იგივე პრობლემაა უკლებლივ ყველა უწყებაში, იქნება ეს პოლიცია, ნებისმიერი სხვა სამართალდამცავი ორგანო, დაბალი და საშუალო რგოლის სასამართლოები, ნებისმიერი სამინისტრო, ნებისმიერი ლიზენციის უფლება, მუნიციპალური ორგანოები, მერია თუ სხვა. ადამიანი, რომელიც რაიმე საქმიანი ინიციატივით გამოდის, უამრავ თანხას იხდის, რომლის 10-15% თუ აღწევს სახელმწიფო ხაზინამდე. დანარჩენი ისევ ჩინოვნიკის ჯიბეს ავსებს. ამიტომაც არის, რომ საქართველოში დღემდე პოპულარულია სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობა. დემოკრატიულ ქვეყნებში ეს, როგორც წესი, არც თუ ისე პრესტიჟული და სახარბიელოა, რადგან კერძო სექტორი გაცილებით მეტად შემოსავლიანია.

პარლამენტი, ფაქტობრივად თამაშის იმ წესებს აწესებს, რომელსაც ხელისუფლების სხვა შტოებიც მიჰყვებიან. რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ თვალსაზრისით?

მხოლოდ პარლამენტი ნამდვილად ვერაფერს დააწესებს. შორს ვარ იმ აზრისგან, ვინმე დავარწმუნო, რომ მსგავსი პრობლემისგან პარლამენტი მთლიანად თავისუფალია. ბატონებმა გიორგი ბარამიძემ და მიხეილ სააკაშვილმა ძალიან საინტერესო კანონპროექტი მოამზადეს ანტიკორუფციული საქმიანობის გაძლიერებასთან დაკავშირებით. ეს კანონი ითვალისწინებს საშემოსავლო და ქონებრივი დეკლარაციის შემოღებას. უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებაში მონაწილე თანამდებობის პირებისთვის რაც მთავარია, პრეზიდენტი უკიდურესად კატეგორიულადაა განწყობილი და ვფიქრობ, პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის ძალიან საინტერესო თანამშრომლობა განხორციელდება ამ თვალსაზრისით.

ყოველწლიურად უამრავი თანხა იკარგება ათასგვარი მაქინაციის შედეგად. კანონმდებლობა თითქოს, არსებობს, მაგრამ ძალიან იოლი გახდა მისი შემოვლა. იმის მიუხედავად, რომ ამ მხრივ უმძიმესი მდგომარეობაა, პასუხი სულ რამდენიმე ადამიანს თუ მოეკითხა. ეს არა მხოლოდ ეკონომიკურად ასუსტებს ქვეყანას, არამედ ფსიქოლოგიურად თრგუნავს ჩვეულებრივ მოქალაქეს.

საქართველოში საოცარი საკანონმდებლო ნიჰილიზმია. მოსახლეობას არ ვგულისხმობ. ადამიანები, რომლებიც ძალიან მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ სახელმწიფო სტრუქტურებში – ხელმძღვანელები, მთავრობის წევრები, მერები, გუბერნატორები – კანონის მიმართ რაღაც უცნაურ, ძმაბიჭურ დამოკიდებულებას ავლენენ, თითქოს კანონი რაღაც ისეთია, რასაც შეიძლება გაუღიმო, შორიდან ხელი დაუქნიო და შემოუარო. ამის ბევრი შემთხვევა გვაქვს. მაგალითად, კონსტიტუციის თანახმად, დედაქალაქში ჩაწერა გავაუქმეთ. აქ სალაპარაკო არავის არაფერი უნდა ჰქონდეს. მთელი კამპანიაა ატეხილი – რას აღარ აბრალებენ პარლამენტს. ცოტა ხნის წინ დედაქალაქის პროკურორი გამობრძანდა (რომელიც ძველი საბჭოთა ტრადიციით, კანონიერების უპირველეს დამცველად უნდა გვევლინებოდეს დედაქალაქში) და პარლამენტს დააბრალა, რომ თურმე ჩვენ ხელს ვუწყობთ დამნაშავეობის ზრდას დედაქალაქში. შემიძლია, ცალსახად განვაცხადო: ერთადერთი, რაც ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა – გარკვეულ უწყებებს ფულის კეთების საშუალება მოესპო თბილისსა და სხვა ქალაქებში. ამან, როგორც ჩანს, ბევრს დააკარგვინა წონასწორიბა.

იგივე ისტორია განმეორდა, როდესაც პარლამენტმა თბილისის მერიაში შექმნილი სრულიად უკანონო სალიცენზიო პალატა გააუქმა. ამას მოჰყვა კომენტარები, რომ პარლამენტი მერიას ხელს უშლის საქმიანობაში. თუ მერია თავის საქმიანობად მხოლოდ ფულისკეთებას და ქრთამების სხვადასხვა მანქანის შექმნას განიხილავს, ამაში პარლამენტი კიდეც უშლიდა ხელს და მომავალშიც შეუშლის. სხვა მხარე, ამ სალიცენზიო პალატას არანაირი დანიშნულება არ ჰქონია მერიის ხელმძღვანლეობამ ისიც კი ბრძანა, რომ სალიცენზიო

პალატის გაუქმების გამო მოხდა, რომ საავადმყოფოების სარდაფებში ღვეზელებს და ხაჭაპურებს ამზადებენ. საქმე კი ისაა, რომ მერიის შესაბამისი სამსახურები – სანეპიდსადგური და სხვა, რომლებმაც ეს არ უნდა დაუშვან, წყნარად იღებენ ქრთამს და საქმეს ამით ამთავრებენ.

ამ წელიწადში პარლამენტი ცდილობდა, კონცენტრაცია კანონშემოქმედებითი პროცესის აწყობაზე მოეხდინა. გაისიდან, ამასთან ერთად დიდ ყურადღებას დავუთმობთ საპარლამენტო კონტროლს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ჩვენ ყველას ვაიძულებთ, პატივი სცეს პარლამენტის გადაწყვეტილებებს, კონსტიტუციასა და კანონებს. ვინც ვერ ისწავლის ამ პირობებით მუშაობას, თანამდებობას დატოვებს.

ქვეყნის ბიუჯეტის ერთი უმთავრესი წყარო მეწარმეობის განვითარებაა. არადა, ქართული მეწარმეობა ერთ ადგილს ტკეპნის. ან უნდა დავუშვათ, რომ განსაკუთრებით უუნარო მეწარმეები ... რაც ნაკლებად თუ შეეფერება სიმართლეს, ანდა, სახელმწიფო და კერძოდ, საკანონმდებლო სისტემა მეწარმეობის განვითარების ანუ ფაქტობრივად სახელმწიფოებრიობის განმტკიცების არასწორ პოლიტიკას ატარებს.

ხელაღებით ვერ დავეთანხმები შეფასებას, რომ მეწარმეობის თვალსაზრისით საქართველოში ძალიან მძიმე ვითარებაა, განვითარების ტემპები სრულიად ნორმალურია და ოპტიმისტურია. 1997 წელს ჩვენი საწარმოები ბევრად უფრო აქტიურად ამუშავდება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საუკუნის ბოლოსათვის წარმოებული პროდუქციის დონით 80-იანი წლების მიწურულის პარამეტრებს მივაღწევთ. ოღონდ ცხადია, ეს იქნება ახალ ბაზრებზე ორიენტირებული და საერთაშორისო თვალსაზრისით კონკურენტუნარიანი პროდუქცია. დღეისათვის კი, კანონმდებლობის ხარვეზების მიუხედავად, მეწარმეებს გაცილებით მეტ პრობლემას კორუფცია უქმნის. შიდა ბაზრის დასაცავად მეწარმეები იმპორტულ პროდუქციაზე გადასახადის აწევას მოითხოვენ. მე მათ ხშირად ვპასუხობ, რომ გადასახდის გაზრდას აზრი არ აქვს, რადგან ამ პროდუქციის უდიდესი ნაწილი საბაჟოებზე დღეისათვის განსაზღვრული გადასახადებითაც არ იბეგრება. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მეწარმეობის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი კორუფციაა.

რა არის მთავარი წაინააღმდეგობა, რომელიც დისკომფორტს გიქმნით, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს?

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე მაინც და მაინც დისკომფორტში არ ვგრძნობ თავს. ჯერჯერობით ძალიან კარგი პარტნიორული ურთიერთობა გვაქვს ყველა საპარლამენტო ფრაქციასთან, როგორი განსხვავებულიც უნდა იყოს ჩვენი პოზიციები, ვიცით, რომ ამოსავალი ყველას ერთი გვაქვს – ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა. ეს უკლებლივ ყველა დეპუტატის და ფრაქციის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. მსიამოვნებს, რომ პარლამენტში გამოკვეთილ პოლიტიკურ ლიდერებთან მიხდება მუშაობა, ისინი ძალიან საინტერესო ადამიანები არიან, ვგულისხმობ როგორც ჩემს თანაფრაქციელებს, ისე სხვა ფრაქციების წარმომადგენლებს. ასე რომ, ამ თვალსაზრისით რაიმე დიდი და აღნიშვნის ღირსი პრობლემა არ გაგვაჩნია.

ხელისუფლების სხვა შტოებთან?

ხელისუფლების სხვა შტოებს ზოგჯერ ანერვიულებს პარლამენტის განწყობა, რომ მან მართლაც შეასრულოს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია. მაგრამ ეს ჩვენი პრობლემა არ არის. ეს მათი პრობლემა და თავსატეხია. ჩვენ კი პირიქით, მხოლოდ იმისთვის განგვაწყობს, რომ ბევრად უფრო მობილიზებულად და შემართულად ვიმოქმედოთ.

თქვენი ვაჟიშვილი წელს პირველად ხვდება ახალ წელს. როგორ ხედავთ ჩვენი შვილების, ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს მოქალაქეების მომავალს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ვალების გარდა ვერაფერს გადავცემთ ახალ საუკუნეს?

შეიძლება ვალები კიდეც გადავცეთ, მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში ძალიან იშვიათია ქვეყანა, რომელსაც ვალი არ ჰქონდეს. ეს ცოტა სხვა საკითხია. იმაში კი, ... რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული იქნება მთელ დედამიწაზე.

პარლამენტის წლევანდელ საქმიანობაში ყველაზე დადებით მომენტად რა მიგაჩნიათ და თუ არის საკითხი, რომლის მოუგვარებლობა პარლამენტის სერიოზულ წარუმატებლობად შეგვიძლია მივიჩნიოთ?

წარუმატებლობით დავიწყებ. ძალიან დიდი უხერხულობა შექმნა იმან, რომ პარლამენტში მთლიანად დაირღვა საბიუჯეტო პროცედურა. მაგრამ ეს პარლამენტის ბრალი ნამდვილად არ ყოფილა. ჩვენ ჯერ კიდევ ივნისში, ქობულეთის ბიუროზე შევადგინეთ გრაფიკი. აგვისტოში სრული ტემპი უნდა აეღო საბიუჯეტო დებატებს და დეკემბერში კენჭი უნდა გვეყარა ბიუჯეტისათვის. საბიუჯეტო დებატები ნებისმიერი სრულფასოვანი პარლამენტისათვის მუშაობის უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ჩვენი კონსტიტუციის მქონე ქვეყანაში კი ბიუჯეტი მთავარი ბერკეტია პარლამენტის ხელში. ბიუჯეტის მიღების შემდეგ პარლამენტი ძალიან სერიოზულად გააანალიზებს ყველაფერს, რაც მოხდა. არცერთი ფრაქცია არ არის განწყობილი საიმისოდ, რომ შექმნილ მდგომარეობაზე თვალი დახუჭოს. რაც შეეხება წარმატებებს, მე ვიტყოდი, რომ ჩვენს პარლამენტში ყალიბდება ჩვევები, რომლებიც ტრადიციული დემოკრატიის პირობებში მომუშავე პარლამენტარებისთვისაა დამახასიათებელი. უცხოელი დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ საქართველოს პარლამენტი სრულიად განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ჩვენი რეგიონის ქვეყნების პარლამენტებს შორის. კანონშემოქმედების თვალსაზრისით სერიოზული წარმატებები გვაქვს, თუმცა ნამდვილად არ ვარ კმაყოფილი კანონების ხარისხით.

პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ერთ-ერთი ჩემი ჩანაფიქრი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის – რომ ქართული პარლამენტი გამჭვირვალე სტრუქტურად ვაქციოთ – უკვე ხორციელდება. ეს მთავარია, რაც ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში მინდა მოვასწრო. ძალიან მიხარია, როდესაც ბავშვები ანთებული თვალებით აკვირდებიან სად და როგორ დევს მათ პარლამენტში, იმ პარლამენტში, რომელიც მათ ინტერესებს და ნება-სურვილს გამოხატავს.

საქართველომ წელს ძალზე სერიოზული ნაბიჯები გადადგა ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ევროკავშირთან პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება. ევროსაბჭოში სპეციალური სტატუსის მიღება და ჩვენი საპარლამენტო დელეგაციის აქტიური ჩართვა ევროპის ყველაზე ავტორიტეტულ საპარალამენტთაშორისო ასამბლეის საქმიანობაში.

თუ რაიმე წარმატებას მივაღწიეთ, ამის საწინდარი იყო ურთიერთობების ის სტილი და ტრადიცია, რომელიც ჩამოყალიბდა ოპოზიციასა და უმრავლესობას, ჩვენს პარლამენტში მოქმედ ყველა პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის.

საახალწლო და სამხიარულო განწყობით რომ დავასრულოთ საუბარი. სანამ ხელისუფლებაში არ ბრძანდებოდით, პოლიტიკური ანეკდოტები, როგორც ყველას, ალბათ თქვენც გიყვარდათ. ეხლა, როდესაც ხელისუფლებაში ხართ, როგორ უყურებთ პოლიტიკურ ანეკდოტს?

პოლიტიკური ანეკდოტები ყოველთვის ძალიან მიყვარდა და ახლაც მიყვარს. ჩემს შესახებ შთამბეჭდავი ანეკდოტი არ გამიგია, მაგრამ ბავშვები რომ ვახსენე, რომლებიც პარლამენტში მოდიან, ერთმა მათგანმა შთაბეჭდილებების წიგნში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: «прошла зима, наступит лето, спасибо Жвания за это». სხვათა შორის, ეს ძველი სახუმარო ლექსია და იმ დამოკიდებულებას ასახავს, რაც ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს ნებისმიერი ხელისუფლების მიმართ. ასე რომ, სრულ გარანტიას ვაძლევთ ჩვენს მოქალაქეებს, რომ ზამთრის შემდეგ უეჭველად დადგება გაზაფხული.

ესაუბრა ია ანთაძე

გაზ. „კავკასიონი“. 31 დეკემბერი, 1996 წ. №231 (524). გვ. 3-4

1997

1996 – პირველი წელიწადი ახალი კონსტიტუციის შესაბამისად

ზურაბ ჟვანია – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სოციოლოგიური გამოკითხვით ახალგაზრდა პოლიტიკოსებს შორის საუკეთესო პოლიტიკური მოღვაწე, რომლისთვისაც, როგორც ადამიანისთვის, გასული წელიწადი მნიშვნელოვანი იყო ვაჟიშვილის – ბესარიონ ჟვანიას შეძენით; როგორც პოლიტიკოსისათვის, იმით, რომ პარლამენტმა შეძლო ერთსულოვნად მიეღო გადაწყვეტილება აფხაზეთთან დაკავშირებით.

ეს იყო ქართული პოლიტიკის დიდი გამარჯვება, – ამბობს იგი – იმ წლების შემდეგ, როდესაც დაქსაქსული ვიყავით, მოვახერხეთ ერთ პოზიციამდე მისვლა. ეს არ ნიშნავს, რომ ყველას ერთნაირი შეხედულებები გვაქვს, პირიქით, მაგრამ ყველამ ერთად ვიპოვეთ ურთიერთწინააღმდეგობების დასაძლევი გზები და თანხმობისკენ გადასადგმელი ნაბიჯები.

და მაინც, რითი იყო მნიშვნელოვანი 1996 წელი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისთვის?

ეს იყო პირველი წელიწადი, როდესაც ჩვენ ახალი კონსტიტუციის შესაბამისად ვცხოვრობდით. ეს გახდა სრულიად ახალი სახელმწიფოებრივი ჩვევების, წეს-წყობილების დამკვიდრების წელიწადი საქართველოში. ეს კი, რასაც ვამბობ, მხოლოდ ლიტონი სიტყვები არ არის. ვგულისხმობ, ძალიან სერიოზულ და საფუძვლიან ცვლილებებს, რაც ხდებოდა არა მხოლოდ სახელისუფლებო სტრუქტურებში, არამედ მთლიანად ჩვენს საზოგადოებაში.

1996 წელს ქართულმა საზოგადოებამ რეალურად, თანდათან დაიწყო სწავლა იმისა, თუ როგორ უნდა ვიარსებოთ დამოუკიდებელ, თავისუფალ სამშობლოში. ადამიანებს უყალიბდებათ სრულიად ახალი ჩვევები, მიდგომები. თუნდაც ის ფაქტი, რომ 1996 წელს არა მხოლოდ ცალკეული მოხელეებისათვის, არამედ მოსახლეობისათვისაც გამოიკვეთა საბიუჯეტო ცნებები, გამოიკვეთა სახელმწიფო ბიუჯეტი და მის გარშემო არსებულ ურთიერთობათა არსი. თანდათან დაიწყო და დამკვიდრდა უმნიშვნელოვანესი ცნება – გადასახადის გადამხდელი. ჩვენი მოქალაქეები აცნობიერებენ, რომ თუ გვსურს განვახორციელოთ ეფექტიანი სოციალური პოლიტიკა, თუ გვსურს, რეალურად დავეხმაროთ ყველაზე უმწეო და მძიმე მდგომარეობაში მყოფ თანამოქალაქეებს, ქვეყანაში ნორმალურად უნდა იკრიბებოდეს გადასახადები. ფინანსური სტაბილიზაციის დამკვიდრების თვალსაზრისით, ვფიქრობ, 1996 წელი მნიშვნელოვანი იყო და მიუხედავად იმისა, რომ დარჩა ხარვეზი, საგრძნობია წინსვლა.

პარლამენტმა მიიღო უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ეკონომიკური კანონმდებლობის თვალსაზრისით, შეიცვალა მრავალი მოძველებული საკანონმდებლო აქტი, შემოღებულია ახალი ნორმები, რომლებიც შე-

ესაბამება ახალ კონსტიტუციას და სრულიად ასახავს მთელი მოსახლეობის ინტერესებსა და მათ ზრახვებს.

1996 წელი საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო კანონშემოქმედების ახალი ტრადიციების დამკვიდრების თვალსაზრისითაც. და დღეს, როგორც მე, ასევე თითოეულ დეპუტატს გარკვეული სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის ქართული პარლამენტი გამოირჩევა ძალიან მაღალი ეფექტიანობით. ეს უკვე მნიშვნელოვანი მიღწევაა, თუმცა, ამ მხრივ ბევრი რამ დაგვრჩა დასახვეწი.

გასული წელიწადი უდიდესი სიახლეების მომტანი იყო საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციული თვალსაზრისით. ხელი მოეწერა ჩვენი სამშობლოსათვის ისტორიულ დოკუმენტს. შეთახნმებას ევროკავშირსა და საქართველოს შორის. ამავე დროს, საქართველომ ევროპის საბჭოში მიიღო სპეციალური სტატუსი.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს მხოლოდ თავდაპირველი ნაბიჯია. საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია ერთ-ერთი განმსაზღვრელი მიმართულებაა მთლიანად ჩვენს პოლიტიკაში. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მომდევნო წლებში მრავალი მნიშვნელოვანი სიახლის მოწმენი გავხდებით.

1997 წელს, რა თქმა უნდა, ვეცდებით შევინარჩუნოთ ის, რასაც გასულ წელიწადში მივაღწიეთ. კიდევ უფრო გააქტიურდება კანონშემოქმედებითი მუშაობა. მაგრამ პარლამენტის საქმიანობაში იქნება თვისობრივი ცვლილებებიც. არ ჩამოვთვლი იმ კანონებს, რომელთა მიღებასაც მომავალ წელს აპირებს პარლამენტი. ვიტყვი ჩვენი მუშაობის სრულიად ახალ წახნაგზე, ეს არის საპარლამენტო კონტროლი. ნებისმიერი ქვეყნის პარლამენტი, გარდა იმისა, რომ ქმნის კანონშემოქმედებას, ვალდებულია თვალყური ადევნოს, თუ რამდენად ხორციელდება ყოველდღიურ საქმიანობაში, ცხოვრებაში ეს გადაწყვეტილებები, რამდენად ზუსტად ასახავენ ისინი ამომრჩეველთა ინტერესებს. გასულ წელს საამისოდ სათანადოდ ვერ მოვიცალეთ, ეს კი ყველა დეპუტატის საერთო უკმაყოფილებას იწვევს. მინდა დავარწმუნო ჩვენი ამომრჩეველი, თქვენი გაზეთის მკითხველი, რომ ჩვენ ამ საქმიანობას განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ და პარლამენტი ძალიან სერიოზულად ჩაიხედავს ყველაფერში, რაც ხდება ცენტრალურ უწყებებში და საქართველოს ამა თუ იმ რეგიონში. თუ რამდენად სრულად ხორციელდება იქ კანონმდებლობა, რომელიც იქმნება ახალი საქართველოსათვის.

და უმთავრესი ეს არის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი. როგორ წარმატებებსაც უნდა მივაღწიოთ ეკონომიკაში, კულტურაში, განათლებაში. ყველაფერი ეს არაფრისმომცემი იქნება, ვიდრე არ გადაწყდება, არ მოგვარდება თითოეული ქართველის უმთავრესი სატკივარი – აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემები. ვიდრე ჩვენს გვერდით იარსებებენ ლტოლვილები. რომლებსაც დაკარგული აქვთ ყველაფერი. სანამ ჩვენ ყველას გვექნება შელახული ღირსების განცდა იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის უმშვენიერეს კუთხეში არ ვრცელდება ჩვენი იურისდიქცია. რა თქმა უნდა ვერავინ

და პირველ ყოვლისა, პოლიტიკოსები, ჩვენს ამოცანას შესრულებულად ვერ ჩავთვლით.

სხვა ბევრი პრობლემაც დაგროვდა გასულ წელს, არ მინდა საახალწლო ინტერვიუს დამძიმება. ერთს ვიტყვი მხოლოდ. ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა კორუფციაა, მის აღმოფხვრაზე კი დიდად არის დამოკიდებული ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კრიზისიდან გამოსვლა. მეწარმეებისათვის შეუზღუდავი საქმიანობის პერსპექტივა და ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მიმართულებით წინსვლა. ამის თაობაზე რამდენჯერმე აღნიშნა ქვეყნის პრეზიდენტმა და მეც მინდა დავადასტურო, რომ 1997 წელი ამ თვალსაზრისით უნდა გახდეს სერიოზული გარდატეხის წელიწადი.

1997 წელს არ უნდა გადაგვყვეს წარმოუდგენელი სიღატაკე და გაჭირვება ჩვენი მრავალი თანამოქალაქისა, რომლებიც ადამიანური გამძლეობის უდიდეს ზღვარზე არიან. მინდა მათ ვუსურვო, რომ 1997 წელს საკუთარი პირადი პერსპექტივა დაენახოთ. ირწმუნონ, რომ თავიანთ სახელმწიფოში კარგი და გარანტირებული მომავალი ექნებათ.

1997 წელს ახალი იმედებით ვხვდებით. ამას კი სერიოზული საფუძველი აქვს.

დაბოლოს,

მინდა ვუსურვო ყველას და მათ შორის პატარებს, რომლებიც ახლა შეემატებიან საქართველოს, ვგრძნობთ, რომ ღირსეული და საინტერესო ქვეყნის მოქალაქენი ხდებიან. საამაყო ჰქონდეთ, რომ ისინი სწორედ ამ ქვეყანაში, საქართველოში დაიბადნენ.

ესაუბრა რუსუდან ლორთქიფანიძე

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1 იანვარი, 1997 წ. №1 (2374). გვ. 1-3

ჩატეხილი ხიდის აღსადგენად

ზურაბ ჟვანია დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებში

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლები მოინახულა. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა სტუმრობას დანატრებული აქაური მოსახლეობა მის ჩასვლასაც კარგა ხანია ითხოვდა. ეს იმ ცხრა სოფლის მოსახლეობაა, რომლებმაც შეიარაღებული კონფლიქტის დროს უმძიმესი წლები გადაიტანეს და მაინც არ მიატოვეს, არცერთი საათით არ შეუწყვეტიათ სკოლებში სწავლა. მათ მოქმედებას მადლიერებით აღნიშნავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუს იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების აღწერით იწყებს, რომელიც რეგიონში სუფევს. ვატყობ, სათქმელი ყელში მობჯენია და შეკითხვით არ ვაწყვეტინებ. სინანული, ემოცია ახლავს თქმულს. – მაგრამ არცერთი პოლიტიკური ფრაზა.

გაუგებარია, რატომ აქამდე ვერ მოხერხდა თუნდაც გარკვეული ნაბიჯების გადადგმა საიმისოდ, რომ მცირედით მაინც შემსუბუქებულიყო მოსახლეობის მდგომარეობა. რატომ უნდა იყოს მოსახლეობისათვის პრობლემა მოსავლის ჩაბარება და შესაბამისად შემოსავლების მიღება? დღემდე უმძიმეს მდგომარეობაშია სკოლები, რომელთა გარკვეული ნაწილი ცნობილი მიწისძვრის შემდეგ დროებით ვაგონებშია განლაგებული და ამ ვაგონების ელემენტარული შეკეთებაც კი დღემდე ვერ მოხერხებულა. სწყინს მოსახლეობას. არ ეწყინება? როცა წლების მანძილზე მხოლოდ ორად-ორი მინისტრი აკითხავს რეგიონს: ჯანმრთელობის დაცვის – ავთანდილ ჯორბენაძე და მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრი მერაბ ჩხენკელი. ისინი შეძლებისდაგვარად ეხმარებიან. განათლების, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრებმა კი, რომლებსაც უშუალოდ ბევრი აქვთ აქ გასაკეთებელი, სამწუხაროდ, ვერც ერთხელ ვერ მოახერხეს იქ ჩასვლა, ანალოგიურად მთავრობის სხვა წევრებმაც.

არანაკლებ განაწყენებულნი არიან ცეკავშირზეც, რომლის მაღაზიებიც სოფლებში საგულდაგულოდ არის ჩარაზული. არადა, ერთადერთი ობიექტი, სადაც მოსახლეობას შეეძლო რაიმე შეეძინა, ეს იყო ცეკავშირის ჩარჩოებში არსებული შესყიდვის, ჩაბარების სისტემაც სრულიად მოშლილია და, როგორც ჩანს, არც არავის აქვს სურვილი მისი აღდგენისა.

ჩვენ განწყობილი ვართ საიმისოდ, რომ ჩაერთოს პარლამენტი ამ კუთხის პრობლემების მოგვარებაში ყველაფერთან ერთად, გარდა ჰუმანური დატვირთვისა, უზარმაზარი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამას. ჩვენ დავარწმუნებთ ყველას, რომ საქართველოს შესწევს ძალა და შესაძლებლობა, უპატ-

რონოს მისდამი ლოიალურ მოქალაქეებს. საქართველოს პრეზიდენტი აქაური მოსახლეობის ინტერესების დასაცავად განწყობილია სერიოზული ნაბიჯების გადასადგმელად.

ბატონო ზურაბ, ცნობილია, რომ თქვენ შეხვდით და ესაუბრეთ ცხინვალის ხელისუფლების ხელმძღვანელობას, „ნიხასის“ პარლამენტის თავმჯდომარე კონსტანტინე ძუგაევსა და ლუდვიგ ჩიბიროვს. თუ საიდუმლო არ არის, რა კონკრეტულ საკითხებზე ისაუბრეთ ან მოელაპარაკეთ?

ჩვენ იმთავითვე არ ვისახავდით მიზნად, რომ რაიმე კონკრეტული საკითხები განგვეხილა. ან რაიმე კონკრეტულზე მოგველაპარაკებინა ამ ეტაპზე. პირადად მე, მნიშვნელოვნად იმ ფაქტის დაფიქსირება მიმაჩნია, რომ მხარეებს ქართულ-ოსურ კონფლიქტში შესწევთ უნარი, განსაკუთრებული შუამავლობის გარეშე, გარედან ჩაურევლად შეხვდნენ ერთმანეთს და ისაუბრონ იმ პრობლემებზე, რომლებიც ორივე მხარის წარმომადგენლებს აწუხებთ.

როგორც ცხინვალის ხელისუფლების პირველი პირების, ასევე ჩვენი, საერთო მოსაზრებაა, რომ რეალურად გამოიკვეთა ეკონომიკური თანამშრომლობის ტენდენციები. ამას კი გაღრმავება და ხელის შეწყობა სჭირდება, რაც კარგ საფუძველს შექმნის კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგების პერსპექტივისათვის.

იყო საუბარი ლტოლვითა დაბრუნებაზე?

ორივე მხარე, როგორც სიტყვიერად, ასევე რეალური განწყობილებითაც ჩანს, მზად არის სერიოზულად მიხედოს ამ საკითხს, თუმცა ქართველი ლტოლვილების დაბრუნება ქალაქ ცხინვალში პრობლემასთან არის დაკავშირებული. კერძოდ, მათ ბინებში, უმეტესწილად, ის ოსი ლტოლვილები ცხოვრობენ, რომლებიც გამოსული არიან, როგორც ამბობენ, საქართველოს სხვა რაიონებიდან, ცხინვალის რეგიონის გამოღმა რაიონებიდან. ასე რომ, ბუნებრივია, ქართული მოსახლეობა რომ ცხინვალში დაბრუნდეს ჯერ ის ხალხი, რომლებსაც მათი ბინები უკავია, უნდა დაბრუნდნენ თავიანთი მუდმივი ბინადრობის ადგილებში. იქნება ეს ქარელის, ბორჯომის, კახეთისა თუ სხვა რაიონები.

პოლიტიკური მოწესრიგების პრინციპების კონტურები თუ დაინახეთ?

ამაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. თუმცა მხარეებს შორის ადამიანური კონტაქტები გაჩნდა. და იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში ისინი უფრო გაღრმავდება, პრობლემები მრავლად რჩება. ამიტომაც არ მინდა ვინმეს შეექმნას ილუზია, რომ ამ რეგიონში ჩვენ უკვე საბოლოო მოწესრიგების კარიბჭესთან ვდგავართ. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად ორივე მხრიდან კიდევ საკმაოდ ბევრი ნებისყოფა და მზადყოფნაა საჭირო.

თქვენი სუფთა ემოციური შთაბეჭდილება

ჩემთვის უაღრესად სასიამოვნო იყო ის, რომ მოსახლეობასთან ფართო შეხვედრისას იგრძნობოდა ადამიანური ურთიერთობების თვალსაზრისით ატმოსფეროს მკვეთრი ცვლილება – დათბობის თვალსაზრისით. აღდგენილია ქართველთა და ოსთა მიმოსვლა. ტრადიციული კონტაქტები. ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გაზიარება. ისინი უშიშრად ვაჭრობენ ურთიერთში. შევჩერ-

დით კიდეც ერთ-ერთ ასეთ ბაზრობაზე ცხინვალის შესასვლელთან. რიგითი ადამიანების მხრივ აშკარად იგრძნობა ტრადიციული ურთიერთობების რაც შეიძლება სწრაფად აღდგენის სურვილი. ეს კი მთავარია. მთავარია მოსახლეობის განწყობილება და თუ მე დღეს ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, ამის ერთ-ერთი მიზეზი და საფუძველი არის მოსახლეობის მშვიდობისმოსურნეობა და აღმშენებლობითი განწყობილებები.

საუბრის დასასრულს, მკითხველს უკმარისობის გრძნობა რომ არ დარჩეს, შეგეკითხებით: მაინც, რატომ არ განგიხილავთ ცხინვალის ხელისუფლების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას კონკრეტული საკითხები?

ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ უახლოეს მომავალში დაგეგმილია შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა. ამ კომისიაში რუსეთის წარმომადგენლებიც არიან, რომელთა ფუნქციებში შედის ყველა კონკრეტული საკითხის განხილვა.

და ბოლოს, რა მიგაჩნიათ პრინციპულ საკითხად ამ რეგიონში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში?

ის, რომ აქამდე ყველა მოლაპარაკება მიმდინარეობდა რეგიონის ქართული მოსახლეობის წარმომადგენელთა სრული უგულებელყოფით. არადა, ეს გახლავთ უაღრესად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ფაქტორი. უნდა გვახსოვდეს, რომ დღესაც კი რეგიონში ცხოვრობს 15-დან 20 ათასამდე ქართველი. ეს იქაური მოსახლეობის მინიმუმ 30 პროცენტია. ასე რომ, მათი იგნორირება – არა მარტო ლტოლვილებზეა საუბარი, არამედ იმათზეც, რომლებსაც არ დაუტოვებიათ რეგიონი, მიუხედავად საშიშროებისა, მორალური თვალსაზრისითაც და პრაგმატულითაც ყოვლად მიუღებელია. მე ყველა ძალას ვიხმარ, რათა მათი წარმომადგენლები აუცილებლად მონაწილეობდნენ კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში და მათი აზრიც იქნეს მიღებული მხედველობაში. და კიდევ, იცით, რას გეტყვით? თუ ვინმემ დღევანდელ საქართველოში მოგვცა ვაჟკაცობის, მამაცობის, სიმტკიცის მაგალითი, ეს აქაური ხალხია.

ესაუბრა რუსუდან ლორთქიფანიძე
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
22 იანვარი, 1997. №16 (2389). გვ. 1-3

„სულ მცირე, იმას მაინც მოვახერხებ, ყველაფერი ვთქვა, რაც ქვეყანაში ხდება“

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ბრიფინგი გამართა მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. მან ბრძანა, რომ შეხვედრა ორმა გარემოებამ განაპირობა: ბოლო დროს პროცესები დინამიურად ვითარდება და ისეთ სახეს იღებს, რომ მნიშვნელოვანია, ჟურნალისტები დაწვრილებით ინფორმაციას ფლობდნენ რა და როგორ ხდება ჩვენს ქვეყანაში. თავის მხრივ კი, ბატონ ზურაბ ჟვანიასაც სურვილი ჰქონდა, მთელ რიგ გარემოებებზე გაემახვილებინა ყურადღება.

შეხვედრა მართლაც ძალზე საინტერესო გამოდგა. ბევრი რამ მხოლოდ ირიბად და მინიშნებით ითქვა. ბევრიც – პირდაპირ გახსნილად, „მიკიბვ-მოკიბვის გარეშე“.

ჩვენ მთელი ინფორმაცია (შესავალი სიტყვა და პასუხები ჟურნალისტების შეკითხვებზე) პრობლემების მიხედვით დავაჯგუფეთ და მკითხველს ვთავაზობთ.

...ყველა გრძნობს, რომ ჰაერში რაღაც ისეთი ტრიალებს, რაც არ არის სასარგებლო ჩვენი ქვეყნისათვის...

„ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ დოკუმენტს არა მხოლოდ თეორიული ხასიათი აქვს, არამედ იგი სამუშაო დოკუმენტაციაა გარკვეული გავლენიანი ძალებისათვის. დოკუმენტს ლაიტმოტივად გასდევს აზრი, რომ რუსეთს ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში ჰეგემონიის შენარჩუნება სურს. შესაბამისად, მან არ უნდა დაუშვას სახელმწიფოების კონსოლიდაცია იმ ხელისუფლებათა გარშემო, რომლებიც დღეს საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებობს. დედააზრი გამჭვირვალეა – მხოლოდ ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაციის საფრთხეს შეუძლია ხელი შეუშალოს და არ დაუშვას ეს კონსოლიდაცია. პუბლიკაცია მწყობრი დოკუმენტია, რომელიც რუსეთის სახელმწიფოებრიობის მომავლის გარკვეულ ხედვასა და იდეოლოგიას ეფუძნება. მისი ავტორები, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ზატულინი და მაგრანიანი არიან.

ეს დოკუმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას ვერ მიიპყრობდა, მასში რომ ყველა მიმართულების იმპულსები არ იყოს ჩადებული რუსეთის გავლენიანი სტრუქტურების მიმართ და ჩვენში მიმდინარე ბევრი პროცესი არ ემთხვეოდეს პუბლიკაციის რჩევებს, მასში წარმოდგენილი გეგმის ცალკეულ ნაწილებს.

საქართველოში უდავოა პროგრესი ბევრი მიმართულებით, მაგრამ დღეს ნაადრევია იმის გამოცხადება, რომ სახელმწიფოებრივი განვითარების წინსვლას სტაბილური და შეუქცევადი ხასიათი აქვს. საქართველოს რეალურად აქვს საშულება სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოებრიობა ჩამოაყალიბოს.

დგება ქვეყნის განვითარების ის პერიოდი (საუბარია თვეებზე), როდესაც საბოლოოდ გადაწყდება, შევძლებთ თუ ვერა მსოფლიო თანამეგრობაში რეალურად დავმკვიდრდეთ, როგორც განუყოფელი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამის წინაპირობა ჩვენში მიმდინარე დემოკრატიული და ეკონომიური რეფორმებია. შესაძლოა, ეს პროცესი მოსახლეობის კრიტიკას იწვევდეს. მაგრამ ყოველი ნაბიჯი ამ გზაზე სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო.

საქართველოს უსაფრთხოება შიდა ფაქტორებთან ერთად, საერთაშორისო ფაქტორებითაც იქნება გარანტირებული. საერთაშორისო პროექტების გამო, რომელთა თანამონაწილეც ხდება საქართველო – საუბარია კასპიის ზღვის აუზიდან დასავლეთისკენ ნავთობის ტრანსპორტირებაზე – ჩვენი ქვეყანა ზესახელმწიფოების, გავლენიანი საერთაშორისო გაერთიანებების ინტერესების ცენტრში ექცევა. გამოიკვეთა, რომ საქართველოზე გადის ყველაზე მოსახერხებელი 21-ე საუკუნის გზა მსოფლიოს უმდიდრესი საწვავის რეზერვუარისკენ. მოვლენების ამგვარ განვითარებას არაკეთილმოსურნეები განიცდიან, როგორც მათი განვითარებისთვის საშიშროებას გრძელვადიან პერსპექტივაში. დოკუმენტის ავტორები არ მალავენ სასოწარკვეთას იმის გამო, რომ რუსეთმა ხელი ვერ შეუშალა მსხვილი დასავლური კაპიტალის შემოსვლას საქართველოსა და აზერბაიჯანში. მათი თვალსაზრისით, დღეს ამ ქვეყნებში მიმდინარე პროცესების შესაჩერებლად საუკეთესო გზა მათი შიდა დესტაბილიზაციაა.

არც ერთ ადამიანს, რომელსაც მეტ ნაკლებად საქმე აქვს პოლიტიკასთან, არ შეიძლება არ ესმოდეს, რა კურსს ატარებს საქართველოს ხელისუფლება, რაშია მისი წარმატება და როგორია ამ კურსის პერსპექტივები. შესაბამისად, არ შეიძლება არ ესმოდეთ, რას მოგვიტანს დესტაბილიზაციის ახალი ტალღის აგორების მცდელობა, რომლის მომსწრენიც ახლო წარსულში გავხდით.

არცთუ გამოჩენილ პიროვნებებს შეუძლიათ პრობლემები შეუქმნან ჩვენს ქვეყანას.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა, ვინც სადღაც შემუშავებული გეგმის ჩარჩოებში მოქმედებს – ნებსით თუ უნებლიედ – უცხო ქვეყნის აგენტია. არიან ადამიანები, რომლებიც მართლაც კავშირში არიან სპეცსამსახურებთან, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა ქმედება ზედმეტად ადვილად პროგნოზირებადია. ნებისმიერ თქვენთაგანს შეუძლია გააკეთოს პროგნოზი. დღეს რომ შიმშილობის აქცია ან საპროტესტო მსვლელობები დაიწყოს, ვინ შეუერთდება მათ მომენტალურად. ეს ბევრჯერ გავლილი გაკვეთილია. იმედი მაქვს (თუ იმედი ილუზიად არ გადაიქცა) ჩემს კოლეგებს მობეზრდებათ, რომ ასეთი ადვილად პროგნოზირებადები იყვნენ და ერთხელ მაინც იმას გააკეთებენ, რასაც მათგან არ ელიან.

მე მივესალმე ტრადიციონალისტთა კავშირს, კონსერვატიული პარტიისა და ქარტია 91-ის მიერ სამოქალაქო ინიციატივის უფლების გამოყენებას, ეს ფორმა პოლიტიკურ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს თავისი პოლიტიკური ინიციატივა სავსებით მისაღები ფორმით დააფიქსირონ.

შევხვდი დეოკუპაციის კომიტეტის წევრებს – წერეთელსა და ნათაძეს. ირაკლი წერეთელმა, რომელიც კაკუბავას აქციის მხარდაჭერას აპირებს, მითხრა: თუ ეს ნავთობსადენს პრობლემებს შეუქმნის, შიმშილობას შევწყვეტო.

პარლამენტის შიგნით პოლიტიკურ ძალებთან შეხვედრისას პრობლემები არ მქონია. ყველა გრძნობს, რომ ჰაერში რაღაც ისეთი ტრიალებს, რაც არ არის სასარგებლო ჩვენი ქვეყნისათვის.

მე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, პასუხისმგებელი ვარ ყველაფერზე.

ტყუილი არასოდეს მითქვამს, მაგრამ არის მომენტი, როდესაც მე მაქვს მთელი რიგი ინფორმაციის გავრცელების უფლება, როგორც რანგით მეორე პირს. ინფორმაციის დეფიციტს არ განვიცდი. მაგრამ დღეს ბრალდებებისგან თავს ვიკავებ და ყურადღებას პროცესებზე ვამახვილებ. ამდენად, არავის ეგონოს, რამეს გააკეთებს და შეუმჩნეველი დარჩება.

თუ დავინახე, რომ ყველა ცნობის გამომზეურება საჭიროა, თანამდებობის დატოვებაც რომ მომიხდეს, ამას გავაკეთებ. სულ მცირე, იმას მაინც მოვახერხებ, ყველაფერი ვთქვა, რაც ქვეყანაში ხდება.

თავს ვერ დავდებ, რომ მოქალაქეთა კავშირი მთლიანად დაზღვეულია კორუფციისაგან ან სხვა მანკიერებისაგან. მაგრამ ამ ბოლო დროს მოქალაქეთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული კამპანია არაკეთილსინდისიერ ხასიათს ატარებს. სწორედ მოქალაქეთა კავშირის უდიდესი წვლილია იმაში, რომ საქართველომ წარმატებებს მიაღწია დემოკრატიული თუ ეკონომიკური რეფორმების თვალსაზრისით. ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტი მართლაც გამორჩეულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პარლამენტებს შორის, მათი დამსახურებაა, ვინც ამ პარლამენტში მოქალაქეთა კავშირის სიით მოხვდა.

ახალ პარტიებს პოლიტიკურ ასპარეზზე დამკვიდრება როგორც ჩანს, ყველაზე გავლენიანი პარტიის ლანძღვით სურთ. პირადად ჩემი და ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ ძალისხმევით შეიქმნა პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა შორის თანამშრომლობის ტრადიცია. ქუჩის აქციებს ის კი არ იწვევს, რომ ვიღაცის აზრს არ ითვალისწინებენ, არამედ ის, რომ ასეთია ამ აქციის მომწყობთა სურვილი და არჩევანი.

„სამიტის შედეგების საზომი ეს იქნება – დაიწყება თუ არა ლტოლვილთა დაბრუნების მასობრივი პროცესი“

ვშიშობ, რომ საზოგადოება სამ აპრილს ზედმეტი მღელვარებით ელოდება. მაეჭვებს, რატომ შეიქმნა ასეთი აჟიოტაჟი. პარლამენტი სამიტის შედეგებზე დაყრდნობით იმსჯელებს. ჩვენს მიერ მიღებული დოკუმენტი ხანგრძლივ პერსპექტივაზე იქნება გათვლილი. პოლიტიკურ ელიტას განსაზღვრული აქვს ქვეყანა როგორ უნდა განვითარდეს უახლოესი ერთი ან ორი წლის განმავლობაში. მაგრამ შეუძლებელია, ყველაფერი ერთბაშად დავადგინოთ და გადავწყვიტოთ. პოლიტიკა მომწიფდა იმისთვის, რომ თანმიმდევრული ნაბიჯების სერია განხორციელდეს. ამჟამად კი გადაწყვეტილებას, ძირითადად, კონცეფციასთან დაკავშირებით მივიღებთ.

იმედი მაქვს სამიტზე საქართველოს დელეგაცია ორი შედეგის მიღწევას შეძლებს. პირველი: სამშვიდობო ძალების მოქმედების ზონა ღალიძგამდე უნდა გაფართოვდეს. სამიტმა პრინციპული თანხმობა უნდა მისცეს სამშვიდობო ძალების დისლოკაციას, კონკრეტულ გეგმას კი სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა ქართველ სამხედროებთან ერთად შეიმუშავებს. მეორე შედეგი ეკონომიკური ბლოკადის რეჟიმის შენარჩუნებაა. ამ გადაწყვეტილებებს ადმინისტრაციის საკითხის გარკვევის პროცესი უნდა დაერთოს. მხარს კი ვერ დავუჭერ, მოსახლეობა არძინბას ადმინისტრაციის ხელქვეითად დაბრუნდეს – ეს უსაფრთხოების გარანტიას არ იძლევა. არძინბა ორივე გადაწყვეტილებას აპროტესტებს. რევოლუციურ ცვლილებებს არ ველი; მაგრამ ამ ორი მომენტის წარმატება პროგრესული ნაბიჯი იქნება. პრეზიდენტი რთული ამოცანის წინაშე დგას; ზედმეტი აჟიოტაჟი არ არის საჭირო.

თუ სამიტმა ჩვენი წინადადებები არ მიიღო, ამას მთელი სამხედრო სტრატეგიული კომპლექსის გადახედვა უნდა მოჰყვეს. მაშინ არა მგონია, პირველ პლანზე სამშვიდობო კონტიგენტის საკითხი დადგეს. ჯერ რუსი მესაზღვრეების და ბაზების საკითხი უნდა გაირკვეს, შემდეგ კი – სამშვიდობო ძალების ყოფნა-არყოფნა.

1994 წლიდან მოყოლებული, სამშვიდობო ოპერაციის მიზანი იყო არა ძალთა დაშორიშორება, არამედ ლტოლვილების დაბრუნება. სამშვიდობო ოპერაციამ ეს ვერ უზრუნველყო. სამიტის გადაწყვეტილების საზომი სწორედ ის იქნება, დაიწყება თუ არა ლტოლვილთა დაბრუნების მასობრივი პროცესი. ტექნიკურად ეს სირთულეს არ წარმოადგენს. უკაცრიელ ზონებში სამშვიდობო ძალების კორდონი უნდა დაიდგას, ლტოლვილი მოსახლეობა კი ამ კორდონის სამხრეთით უნდა შევიდეს.

მოლოდინის ეტაპი დასრულდა, ახლა კონკრეტული ქმედების დროა.

ია ანთაძე

გაზ. „კავკასიონი“. 29 მარტი, 1997 წ. №54 (578). გვ. 1-4

ფიშერისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ ზურაბ ჟვანიას ერთობლივი პრესკონფერენცია

ზურაბ ჟვანია: მოხარული ვართ, რომ გვაქვს საშუალება ვუმასპინძლოთ ქალბატონ ლენი ფიშერს. ეს სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენი პარლამენტისა და საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაში. ჩვენი თანამშრომლობა მხოლოდ მისი თბილისში ჩამობრძანების შემდეგ არ დაწყებულა, უკვე გარკვეული ტრადიცია არსებობს საქართველოს პარლამენტსა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას შორის თანამშრომლობისა – ძალიან დადებითი ტრადიცია და ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი პარლამენტისათვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა გახდა ის საერთაშორისო საკრებულო, სადაც ძალიან სერიოზულად იქნა განხილული ჩვენთვის ყველაზე მწვავე პრობლემები, კავკასიაში არსებული კონფლიქტების პრობლემები. ეს საკითხები პლენარულ სხდომაზე განხილვამდე, ძალიან სერიოზულად იყო შესწავლილი მომხსენებლის მიერ. პირველყოვლისა, ეს იყო ბატონ ატკინსონის მოხსენება ლტოლვილთა დროებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობაზე. მოგახსენებთ, რომ მარტში საქართველოში იმყოფებოდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მთელი კომიტეტი, რომელიც ეწვია თბილისსაც და კონფლიქტის ზონასაც – აფხაზეთს.

მინდა კმაყოფილება გამოვთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი კოლეგები ევროსაბჭოდან ძალიან გაგებით მოეკიდნენ ამ საკითხს და ვფიქრობთ, რომ ძალზე სერიოზული მხარდაჭერა აღმოგვიჩინეს. ჩვენ ვთვლით, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია ჩვენი თანამშრომლობისა, ევროსაბჭო არის გაერთიანება, რომელიც, პირველყოვლისა, იმ ქვეყნებს აწევრიანებს, რომლებიც გარკვეულ დემოკრატიულ ღირებულებებს ეფუძნებიან და, რა თქმა უნდა ამ საბჭოში საქართველოს საბოლოო გაწევრიანება იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი ევროპული ინტეგრაციისა. იმედი მაქვს, რომ მეტად გავლენიანი და აქტიური პრეზიდენტის საქართველოში ჩამობრძანება ხელს შეუწყობს ყველა ამ პროცესს.

ლენი ფიშერი: ბატონო თავმჯდომარევ, ქალბატონებო და ბატონებო! დიდი მადლობა მობრძანებისათვის. ვიყენებ შემთხვევას, რათა უღრმესი მადლობა გადავუხადო მთლიანად საქართველოს პარლამენტს, რომელმაც არაჩვეულებრივი მასპინძლობა გაგვიწია და ძალზე საინტერესო და სრულყოფილი პროგრამა შეგვიდგინა.

ჩვენ მნიშვნელოვან პიროვნებებს შევხვდით საქართველოში. საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კათოლიკოს-პატრიარქს, სადაც ერთობ საინტერესო საუბარი გაიმართა. თავისთავად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო

ის ფაქტიც, რომ ჩვენ ჩავედით ჯერ აზერბაიჯანში, შემდეგ საქართველოში – საიდანაც მივემგზავრებით სომხეთში, სადაც ძალიან ცოცხალ შთაბეჭდილებებს ჩავიტანთ საქართველოსა და აზერბაიჯანის ვიზიტების თაობაზე.

ასევე მინდა აღვნიშნო, თუ რამდენად დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს პარლამენტის დელეგაციას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში. ისინი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი ქვეყნის წარმომადგენლები არიან.

მინდა კმაყოფილება გამოვხატო იმის გამო, რომ დღეს ამ პრესკონფერენციას ბევრი ქალი ესწრება. მიხარია, როდესაც მათ აქვთ საშუალება გამოხატონ თავიანთი აზრი და ეს განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას ეხება, სადაც პროფესიული თვალსაზრისით მამაკაცები და ქალები თანაბრად არიან წარმოდგენილნი.

მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოში გერმანიისა და საფრანგეთის საელჩოებს, რომელთაც ამ ვიზიტისას დახმარება გამიწიეს და მინდა ავღნიშნო, რომ დღეიდან ევროპის საბჭოში იწყება საფრანგეთის თავმჯდომარეობა. ხოლო გუშინ იყო ევროსაბჭოს დაბადების თარიღი, რომელიც ავღნიშნეთ.

კითხვა: ეჭვს იწვევს ევროსაბჭოს ზოგიერთი ნაბიჯი. მხედველობაში მაქვს რუსეთის უკვე გაწევრიანება ევროსაბჭოში, მაშინ როდესაც საქართველო ჯერჯერობით გაურკვეველ მდგომარეობაშია. რუსეთი როდესაც ევროსაბჭოში მიიღეს, მაშინ ჩეჩნეთში კონფლიქტი იყო და გაცილებით უარესი მდგომარეობაც ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, რუსეთში სიკვდილით დასჯა გაუქმებული არ არის. საქართველომ კი ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ხომ არ შეიმჩნევა ორმაგი სტანდარტი?

ლ. ფიშერი: მას შემდეგ რაც რუსეთმა გააკეთა განცხადება ევროსაბჭოში გაწევრიანების შესახებ, დაახლოებით ხუთი წლის განმავლობაში ამ საკითხზე მწვავე დებატები იმართებოდა. ჩეჩნეთში კონფლიქტის დროს ჩვენ ეს საკითხი შევაჩერეთ. უნდა ავღნიშნო, რომ ჩემი ინიციატივაც იყო, მეც ვუჭერდი მხარს, რომ რუსეთი გამხდარიყო ევროსაბჭოს წევრი, რადგან ჩემი აზრით, უკეთესია გვყავდეს საბჭოს წევრად, ვიდრე დავტოვოთ ის საბჭოს გარეთ.

მოხარული ვარ, რომ საქართველო ევროსაბჭოში გაერთიანების გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. მე ვგულისხმობ იმ მორატორიუმს, რომელიც სიკვდილით დასჯის თაობაზე დაიდო და იმედი მაქვს, რომ საქართველოს პარლამენტი ჩაატარებს კენჭისყრას და ხმას მისცემს სიკვდილით დასჯის გაუქმებას. მე გირჩევდით, რომ მიიღოთ საქართველო ისეთი, როგორიც არის და არ შეადაროთ ის სხვა ქვეყნებს. თქვენ უნდა იამაყოთ თქვენი ქვეყნით. თქვენ ამის საფუძველი გაქვთ.

კითხვა: თქვენი აზრით, ამ ეტაპზე რა პრობლემები უშლის ხელს საქართველოს შესვლას ევროსაბჭოში?

ლ. ფიშერი: საპარლამენტო ასამბლეის წევრები დამოუკიდებელნი არიან, ადამიანის უფლებების ექსპერტები თუ მომხსენებლები, მათ საკუთარი შეხედულებები აქვთ და მე არანაირი უფლება არ მაქვს ჩავერიო და რაღაცნაირი ზეწოლა მოვახდინო მათზე. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მე შევაგრო-

ვე ის ინფორმაცია, რომელიც გამომადგება, რომ საკუთარი აზრი შევიქმნა. მაგრამ ერთხელ კიდევ ვუსვამ ხაზს, რომ არაფრით არ შემიძლია გავლენა მოვახდინო ასამბლეის წევრების შეხედულებებზე, მითუმეტეს, რომ ისინი 40-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები არიან და თავისუფლად და დამოუკიდებლად არიან არჩეული.

რა თქმა უნდა ევროსაბჭოსათვის ადამიანის უფლებები გადამწყვეტი სფეროა.

კითხვა: საპარლამენტო ასამბლეის ბოლო რეზოლუციის შემუშავებაში ქართველი პარლამენტარებიც მონაწილეობდნენ. მასში არაფერი იყო ნათქვამი ცხინვალის რეგიონის კონფლიქტზე. რატომ მოხდა ასე?

ზ. ჟვანია: რეზოლუცია მომზადდა სპეციალური ჯგუფის მიერ და მის განხილვაში მონაწილეობდნენ ჩვენი დეპუტატებიც. იგი ეხება მხოლოდ ორ საკითხს – აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღის პრობლემებს. ასამბლეა მიზნად არ ისახავდა, რომ მოეცვა კავკასიის უკლებლივ ყველა კონფლიქტი.

კითხვა: ხშირად ასახელებდნენ საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების კონკრეტულ ვადას – ერთ წელს. რას ეფუძნება იგი?

ლ. ფიშერი: ეს პერიოდი ერთი და იგივეა ყველა ქვეყნისათვის. ასამბლეა იკრიბება წელიწადში ოთხჯერ: იანვარში, აპრილში, ივნისსა და სექტემბერში. ამჟამად იურისტები ჩამოდიან და მოამზადებენ მოხსენებებს. შემდეგ ეს მოხსენება მიდის პრეზიდიუმში. პრეზიდიუმში განხილვის შემდეგ ხდება მოხსენების კლასიფიცირება და ეგზავნება შესაბამის კომიტეტს. რაც შეეხება საქართველოს, ეს მოხსენება, ალბათ, გაიგზავნება მიგრაციის კომიტეტში. კომიტეტები ირჩევენ მომხსენებელს ამ საკითხზე. ისინი შეარჩევენ საქართველოში ჩამოსვლის თარიღს. შემდეგ ისინი საკუთარი მოხსენებით ბრუნდებიან კომიტეტში, სადაც ეს მოხსენება განიხილება. ეს ქმნის საფუძველს ასამბლეის პლენარული მუშაობისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ ტარდება კენჭისყრა. ჩვენ ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ პროცედურა ერთნაირად იქნას დაცული ყველა ქვეყნისათვის. სხვა შემთხვევაში მართლა მივიღებდით ორმაგ სტანდარტს.

კითხვა: რატომ არ განიხილებოდა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი, მითუმეტეს, რომ ამ რეგიონში ეუთო-ც მუშაობდა?

ზ. ჟვანია: ცხინვალის რეგიონის საკითხი ევროსაბჭოს წინაშე არ დაგვისვამს. მათ ჩვენ მივმართეთ თხოვნით, რომ აქტიურად ჩაერთონ ვითარების შეფასებაში აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე, როდესაც პროგრესია ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით, აუცილებლობას არ წარმოადგენს გადაჭარბებული ინტერნაციონალიზაცია. რეგიონში ძალიან ეფექტურად მუშაობს ეუთო. ბევრი სხვადასხვა ორგანიზაციის ჩართვა ყოველთვის არ არის ხელშემწყობი.

კითხვა: რა პერსპექტივები გააჩნია საქართველოს ევროსაბჭოს წევრობის გზაზე?

ლ. ფიშერი: იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ვნახე და მოვისმინე საქართველოში, თქვენი პერსპექტივები კარგია. მიუხედავად ამისა, ყველა პრო-

ცედურა დაცული უნდა იქნას. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილებები მაქვს საქართველოს პარლამენტის დელეგაციის მუშაობაზე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში.

კითხვა: რამდენად პასუხობს საქართველოს მთავრობის მოღვაწეობა იმ პრინციპებს, რომელიც თქვენ ჩამოთვალეთ თქვენს მოხსენებაში?

ლ. ფიშერი: ჩემს გამოსვლაში ბიუროს წინაშე მე ჩამოვთვალე ის ძირითადი პრინციპები, რომლის მიხედვითაც უნდა მოგვარდეს კონფლიქტი აფხაზეთში და იმის საფუძველზე, თუ რა შეხვედრებიც მქონდა პრეზიდენტთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, შემიძლია დავასკვნა, რომ დიდი პროგრესი არ არის ამ კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების მხრივ.

კითხვა: როგორ გესახებათ ეუთო-სა და საქართველოს ამჟამინდელი და სამომავლო ურთიერთობები?

ლ. ფიშერი: ჩემი მხრიდან შეფასება ძნელია. რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებასა და თანამშრომლობას ეუთოსთან, იგი მჭიდრო და კონსტრუქციულია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თანამშრომლობა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეასთან. ვარშავაში დაგეგმილ მეექვსე წლიურ სესიაზე ივნისის პირველ კვირას, სადაც აფხაზეთის საკითხი იქნება განხილული, ვფიქრობ, საქართველოს პარლამენტის წევრებიც დაესწრებიან და იქ კიდევ ერთხელ გამოჩნდება ჩვენი თანამშრომლობა ეუთოსთან.

ამ დილით მე შევხვდი ევროკავშირის წარმომადგენლებს, გაეროს წარმომადგენლებს, აგრეთვე ევროკავშირისა და ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს, ელჩებს, მისიების ხელმძღვანელებს. ჩვენ საკმაოდ კარგი, ცოცხალი ურთიერთობები და თანამშრომლობა გვაქვს.

კითხვა: ვატყობ, გიჭირთ კონკრეტული პასუხი გასცეთ საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებას. ამიტომ იქნებ განგვიმარტოთ, რატომ მოხდა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ევროსაბჭომ არ აღიარა აფხაზეთში ეთნოწმენდა. ხომ არ განიცდით ზეწოლას რუსეთისგან?

ლ. ფიშერი: არავითარ ზეწოლას მე არავისგან არ განვიცდი. კარგად მესმის, რომ თქვენ გინდათ უფრო ნათელი და კონკრეტული პასუხი საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების თაობაზე. მაგრამ მე პატივი უნდა ვცე ასამბლეის თავისუფლებას, მისი წევრების აზრის დამოუკიდებლობას, არ უნდა ჩავერთო მათ მუშაობაში და არ მინდა ისეთი რამ ვთქვა, რაც შეიძლება ასამბლეის წევრების მიერ განხილული იქნას, როგორც მათს საქმიანობაში ჩარევა. უკან დაბრუნებისას, როდესაც ასამბლეას ჩემი ვიზიტის შედეგებზე მოვახსენებ, აუცილებლად ვიტყვი, რომ საქართველოში ყველა პოლიტიკურ ძალას, ყველა გაერთიანებას დიდი მისწრაფება აქვს, რომ რაც შეიძლება ჩქარა გახდნენ ევროსაბჭოს წევრები. ეს ძალიან პოზიტიური მახასიათებელია საქართველოსთვის.

პარლამენტის უწყებანი. 9 მაისი, 1997 წ.

კავკასიის საპარლამენტთაშორისო ასამბლეას მხარს ვუჭერ

ზურაბ ჟვანიამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

ინიციატივამ, „მშვიდობიანი კავკასია“, ფართო აღიარება და მხარდაჭერა მიიღო. ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილმა „თბილისის დეკლარაციამ“ მშვიდობიანი კავკასიის თაობაზე – დიდი სტიმული მისცა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობისათვის მოძრაობას. კავკასიის ოთხივე სახელმწიფოს – რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრამ კისლოვოდსკში სტაბილური კავკასიისათვის კოლექტიური ძალისხმევა შეუქცევადი გახადა.

კავკასიური დიალოგის შესახებ ინიციატივით გამოვიდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ლიდერები, რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროსა და ამიერკავკასიის ქვეყნების პარლამენტების დეპუტატები.

კავკასიის ხალხებში მომწიფდა იმის გაგება, რომ რეგიონში უნდა შეიქმნას სტაბილური და უსაფრთხო სისტემა და პირველ რიგში, ეს უნდა გავაკეთოთ ჩვენ, კავკასიელებმა, ერთმანეთთან დიალოგის მეშვეობით.

საქართველოს პარლამენტმა რეგიონების პარლამენტებთან მჭიდრო თანამშრომლობის მეტად მდიდარი და დადებითი გამოცდილება შეიძინა. ხელმოწერილია შეთანხმებები კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ. სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრებისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისთან. აქტიურად მიდის თანამშრომლობა რუსეთის ფედერაციის საკრებულოსთან.

მოხარული ვართ, რომ საინტერესო და საქმიანი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკათა პარლამენტებთან.

ეს ჩვენ გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ დადგა ამ ინიციატივების სტრუქტურების დრო, ვიფიქროთ კავკასიის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შექმნაზე. კავკასიის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების საერთო სისტემის შექმნის მიზნით. ასამბლეაში უნდა იყვნენ წარმოდგენილი როგორც კავკასიის სახელმწიფოები, აგრეთვე მათ შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები. რომელთა მონაწილეობა ასამბლეაში უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება.

საკონფლიქტო ზონების – აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და მთიანი ყარაბაღის – ასამბლეაში მონაწილეობა ცალკე შეთანხმების საგანი შეიძლება იყოს.

ასამბლეა უნდა ღია იყოს თანამშრომლობისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, დსთ-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეასთან, ევრო-

საბჭოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეასთან, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეასთან და საპარლამენტ-თაშორისო ორგანიზაციებთან.

საქართველოს პარლამენტი უახლოეს მომავალში დაიწყებს აქტიურ კონ-სულტაციას ყველა დაინტერესებულ მხარესთან კავკასიის საპარლამენტთა-შორისო ასამბლეის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გაზ. „ახალი თაობა“. 4 ივნისი, 1997 წ. №151 (557). გვ. 1-3

„თუ ადამიანი არის პოლიტიკაში, ის აღარ უნდა იყოს დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით“

რეზონანსი: საქართველოს პარლამენტის დადგენილებას მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა მოსკოვში. როგორ შეაფასებდით თქვენ პრეზიდენტ ელცინის პრესმდივნისა და რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადებებს? ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე რამდენად მისაღებია ტერმინი რუსეთ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობა?

ზურაბ ჟვანია: კომენტარები რაც პარლმენტის დადგენილებას მოჰყვა რუსეთის მაღალი რანგის თანამდებობის პირების მხრიდან დამაფიქრებელია. ჩვენ პოლიტიკური შანტაჟი დაგვაბრალეს. რიბკინმა უხვად გაიხსენა რუსული ანდაზები, რომელთა არსი დადის იქამდე, რომ რაც გაქვთ, იმითიც კმაყოფილი უნდა იყოთ, და რას მიიღებთ ხვალ, აგერ ნახავთო. მე მინდა მთელი პასუხისმგელობით განვაცხადო, ეს ძალიან ჰგავს დაუფარავ გახსნილ მუქარას. არა მგონია მუქარის ტონით საუბარი ამ შემთხვევაში ვინმესთვის მომგებიანი იყოს.

ჩვენი პარლამენტის გადაწყვეტილება იძულებითია. კენჭისყრის ჩატარება გვაიძულა იმ სრულმა სტაგნაციამ, რომლის მოწმენი და თანამონაწილეები, საუბედუროდ ვართ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

„რ.“: თქვენი აზრით, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის სამშვიდობო ძალები დატოვებენ კონფლიქტის ზონას, რამდენადაა შესაძლებელი მათ სხვა ქვეყნების სამშვიდობო ძალებით ჩანაცვლება?

ზ.ჟ. ჩვენ მივესალმებოდით რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩანაცვლებას საერთაშორისო თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებით, მაგრამ ვშიშობ, რომ ტექნიკურად ეს ძნელად განხორციელებადი პროექტი იქნება.

„რ.“: ამ შემთხვევაში, თუ რუსები აფხაზეთს დატოვებენ, მოსალოდნელი ხომ არ არის საომარი მოქმედებების განახლება?

ზ.ჟ. რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანა არ ნიშნავს ნაბიჯის გადადგმას აფხაზეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების განახლებისკენ, პირიქით, მიმართვა, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო, ყველასთვის ცხადს ხდის ამ განწყობილებას.

პრეზიდენტი აქტიურ ნაბიჯებს დგამს აფხაზებთან პირდაპირი დიალოგის ინტენსიფიკაციის თვალსაზრისით, რაც იმედის მომცემია. პრეზიდენტის ამ ძალისხმევას ჩვენი მხრიდან აქტიური მხარდაჭერა ექნება. ძალიან მნიშვნელოვანი იყო შევარდნაძის ინიციატივა საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის თაობაზე აფხაზეთში ვითარების მოწესრიგებასთან დაკავშირებით. აქვე გამოვყოფდი ინიციატივას კავკასიის საპარლამენტო ასამბლეის თაობაზე, რომელიც ჩვენ მომავალში წარმოგვიდგენია როგორც დამატები-

თი ფორმით მაღალი ტრიბუნა საერთო კავკასიური მშვიდობიანი დიალოგის წარმართვისათვის, პირველ ყოვლისა, ამ სამშვიდობო კონფერენციის ორგანიზების თვალსაზრისით. ვფიქრობ, რომ ამ მიმართებით აქტიური ნაბიჯების გადადგმა შეუძლია ყველა იმ სახელმწიფოს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია აფხაზეთსა და, საზოგადოდ კავკასიაში სტაბილური მშვიდობის მიღწევა.

„რ.“: ასეთ ვითარებაში მოსალოდნელია თუ არა დასავლეთის მხრიდან მეტი აქტიურობა, რადგან პროცესი, ფაქტობრივად ჩაშლილია?

ზ.ჟ. მე გულახდილად გეტყვით. მრავალი დასავლელი პოლიტიკოსი შეშფოთებას გამოთქვამს ჩვენს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მათ ეშინიათ, ხომ არ მოხდება ომის განახლება. ვითარება ძალიან რთულია. მაგრამ როგორც ჩვენ, ისე აფხაზებს გვაქვს სერიოზული ბერკეტები საიმისოდ, რომ თავიდან ავირიდოთ მოვლენათა ყველაზე დრამატული და დაუშვებელი განვითარება.

აქვე მინდა დავძინო, რომ ძალიან აქტიური კონტაქტები გვაქვს ჩრდილო კავკასიის ხალხებთან. ჩვენ განწყობილებებსა და გეგმებზე მათი სწორი ინფორმირება ნამდვილად არ იქნება მეორეხარისხოვანი ფაქტორი საომარი მოქმედებების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

პრეზიდენტმა გამგებელი საკრებულოსთან შეთანხმებით უნდა დანიშნოს

„რეზონასი“: დღეს ერთ-ერთ მწვავე პრობლემას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევნების გაჭიანურება წარმოადგენს. არსებობს მოსაზრება, რომ ხელისუფლება პროცესს მომავალ არჩევნებამდე, ორი წლით აჭიანურებს, რათა დღევანდელმა პოლიტიკურმა ელიტამ კიდევ გაამყაროს პოზიციები. არის კიდევ ერთი ბრალდება ხელისუფლების მისამართით: შემჭიდროებულ ვადებში იქნება მიღებული კანონი და ისე ჩატარდება არჩევნები. იმ პარტიებისათვის კი, რომლებიც პარლამენტში წარმოდგენილნი არ არიან, მათთვის გამოუვალი პირობები შეიქმნება.

ზ.ჟ. რაც შეეხება დაყოვნებას, ამაზე პასუხი უნდა აგონ იმ პიროვნებებმა, რომლებსაც პრეზიდენტმა კანონის დამუშავება დაავალა. ვინც მიიღო პრეზიდენტისგან ეს დავალება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ძალიან სპეციფიკური და რთული კანონდებლობა. უნდა გითხრათ, რომ პრეზიდენტი ბოლო დღეების განმავლობაში რამდენჯერმე დამიკავშირდა ამ საკითხთან დაკავშირებით და რამდენადაც მე მის განწყობილებას ვხედავ, ის ყველანაირად ცდილობს, რომ არჩევნები ჩატარდეს წელს, შემოდგომაზე. სხვა საკითხია, თუ როგორ მოესწრება პარლამენტში მთელი რიგი პროცესების წარმართვა და სათანადო კანონმდებლობის მიღება.

ჩვენ ვგეგმავთ ჩავატაროთ სათანადო კონსულტაციები პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც წარმოდგენილნი არიან პარლამენტში. შევთანხმდეთ ერთ პოზიციაზე, თუნდაც არჩევნების ვადებთან დაკავშირებით. არჩევნების ჩატარება შემჭიდროებულ ვადებში, ფორსირებულად, ისე რომ არ ჩატარდეს

სათანადო საარჩევნო კამპანია, პირადად მე, წარმოუდგენლად მიმაჩნია. ასევე რთული იქნება, თუ ნორმალური საპარლამენტო პროცედურების ფორსირებას მოვახდენთ. ჩვენ თავი უნდა დავიზღვიოთ შეცდომებისაგან, უკიდურეს შემთხვევაში, მე ვფიქრობ, არჩევნები შეიძლება გადაიდოს გაისად, გაზაფხულისთვის. სრულიად გამორიცხულია ლაპარაკი ორი წლით გადადებაზე. ამას მხარს არ დაუჭერს პრეზიდენტი და მმართველი უმრავლესობა.

„რ.“: პროექტების მიხედვით, რომელიც დამუშავდა, ძირითადი მმართველობითი რგოლი არჩევითი არ არის. მე მხედველობაში მაქვს ქალაქების მერები და გამგებლები. ისინი თბილისიდან დაინიშნებიან. ასევე დარჩება რწმუნებულის ინსტიტუტი, რომლის კომპეტენციის საკითხები ბუნდოვანია?

ზ.ჟ. საქართველომ, შევარდნაძის ინიციატივით, სამი წლის წინათ დაიწყო დეცენტრალიზაციის თანადათანობითი, საფეხურებრივი პროცესი. რაც ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამიტომ, როგორც პროცესის ტემპის ხელოვნურად შენელება, ისე მისი ზედმეტად ფორსირება სავალალო შედეგების მომტანი შეიძლება იყოს. დეცენტრალიზაცია გულისხმობს თითოეულ რაიონში, დაბაში, ქალაქში, სრულფასოვანი სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას არა ლოზუნგებისა და დეკლარაციების დონეზე, არამედ თითოეული ინსტიტუტის ყოველდღიური ფუნქციონირების დონეზე. თავს შევიკავებ, რომ კომენტარი გავუკეთო იმ პროექტებს, რომელთა ოფიციალური განხილვა მხოლოდ ახლა იწყება. მოგახსენებთ ჩემს მოსაზრებას. მე, პირადად მხარს დავუჭერ იმ ვარიანტს, როდესაც პრეზიდენტი ნიშნავს ადგილობრივი ადმინისტრირების ხელმძღვანელებს რაიონის არჩეულ საკრებულოსთან შეთანხმებით. ამასთან, ამ საკრებულოებს ექნებათ უფლება გამოუცხადონ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, უნდობლობა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. მათ კომპეტენციაში იქნება გამგებლის კაბინეტის დამტკიცება გამგებლის წარდგინებით. მათ კომპეტენციაში იქნება ყველა საბიუჯეტო საკითხი, ეს ძალაუფლების დიდი ბერკეტებია.

„რ.“: მოსახლეობა დღეს ირჩევს პარლამენტს და პრეზიდენტს. თქვენი აზრით, დღეს ის არ არის მზად, რომ ქალაქის მერები თუ რაიონის გამგებლები თვითონ, დამოუკიდებლად აირჩიოს?

ზ.ჟ. მე დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელ ეტაპზე ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თუ ექნება ორმაგი მანდატი, ერთი მხრივ, პრეზიდენტისაგან და მეორე მხრივ, საკრებულოსაგან, ეს ყველაზე სრულყოფილად უპასუხებს დღევანდელ ვითარებას. ამასთანავე დავუმატებ, რომ ჩვენ ამ პროცესს დინამიკაში განვიხილავთ. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც დღეს იქნება მიღებული, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შემდგომი ადგილობრივი არჩევნებისათვის გადაისინჯება სრულყოფისა და დახვეწის თვალსაზრისით. აუცილებელია, რომ მოსახლეობამ პირადი პრაქტიკული გამოცდილებით აითვისოს, თუ რას ნიშნავს ადგილობრივი ხელისუფლება.

„რ.“: რამდენად მიზანშეწონლად მიგაჩნიათ ადმინისტრაციული დაყოფის დღევანდელი სისტემის შენარჩუნება?

ზ.ჟ. პირადად მე, საკმაოდ სიმპათიით ვუყურებ იდეას, რომ რაიონებისა და მხარეების ნაცვლად, შეგვექმნა შუალედური ტერიტორიული რგოლები, რომელიც დღევანდელი ორი-სამი რაიონის გაერთიანება იქნებოდა. მაგრამ დღეს აბსოლუტურად წარმოუდგენელია ამ თვალსაზრისით ჩვენი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპების რეორგანიზება.

რაც შეეხება რწმუნებულის ინსტიტუტს, მისი შენარჩუნება აუცილებელია, მაგრამ არჩეული თვითმმართველობის შექმნასთან ერთად, მოხდება რწმუნებულის ფუნქციების გარკვეული გადახედვა.

„მოქალაქეები“ წილში არავის უსხედან

„რ.“: თითქმის ორი წლის განმავლობაში გაიწელა ეროვნული ბანკის საბჭოს ფორმირების საკითხი. მკაფიოდ იკვეთება, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს ბანკის საბჭოში „თავისი კაცის“ გაყვანა და ფინანსური ბერკეტების მოპოვება სურთ კანონიერი თუ უკანონო გზებით.

ზ.ჟ. ძალიან სამწუხარო იყო, რომ პარლამენტმა არ დაამტკიცა ნოდარ ჯავახიშვილი. შეიძლება ჯავახიშვილს ვუსაყვედუროთ ამა თუ იმ თვალსაზრისით, მაგრამ ფაქტია, რომ როგორც ეროვნული ბანკის მმართველმა, მან დადებითი ტრადიცია შექმნა ამ მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფო ორგანიზაციაში. მე გულახდილად გეტყვით, რომ ვითარება, ამ თვალსაზრისით, პარლამენტში და მათ შორის საპარლამენტო უმრავლესობაში რთული და არაერთმნიშვნელოვანია. მე ვუთხარი პრეზიდენტს და ვალავის, რომ ძნელად წარმომიდგენია, როგორ მოხეხრდება ჯავახიშვილის გასვლა პარლამენტში. არსებობს მთელი რიგი, როგორც ჩანს, სერიოზული წინააღმდეგობებისა ამა თუ იმ ჯგუფებს შორის. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, უმრავლესობაშიც არსებობს კრიტიკული განწყობილებები. საბოლოო გადაწყვეტილება პარლამენტმა უნდა მიიღოს ქვეყნის პრეზიდენტთან კონსულტაციების გზით. ერთი რამ ფაქტია, რომ ხელმძღვანელობის საკითხი გადაწყვეტილი უნდა იყოს.

რაც შეეხება ასპექტს, რომ პოლიტიკური ძალები ცდილობენ მოიპოვონ ფინანსური ბერკეტები. თუ აქ იგულისხმება „მოქალაქეთა კავშირი“, მთელი პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ „მოქალაქეთა კავშირის“ ხელმძღვანელობას ყველა საშუალება გააჩნია რეალური გავლენის თვალსაზრისით, თითოეულ სახელმწიფო სტრუქტურაში, ხელთ ჩაიგდოს ძალზე სერიოზული ეკონომიკური ბერკეტები. ამას ერთადერთი რამე უშლის ხელს – „მოქალაქეთა კავშირის“ ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ჩვენ ვქმნით პრეცედენტს პირველად ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში შეიძლება არსებობდეს მმართველი გუნდი, რომელსაც გააჩნია ყველა ბერკეტი, რომლებსაც ის არ იყენებს თავისი პარტიკულარული ინტერესების განხორციელებისათვის. არავის წილში არ უჯდება, არ ართმევს ბიზნესს და თავისი საქმიანობით სახელმწიფოს პრობლემას არ უქმნის. ჩვენ არ ვაპირებთ ჩავეფლოთ ჭაობში, საითკენაც გვიბიძგებენ.

„რ.“: ამას წინათ პრეზიდენტმა თავისი შემოსავლების დეკლარაცია

წარმოადგინა. ხომ არ აპირებთ, შეიტანოთ თქვენ და სხვა დეპუტატებმა სიცხადე თქვენს შემოსავლებში, თუ შესაბამისი კანონის მიღებას დაუცდით?

ზ.ჟ. გარწმუნებთ, რომ ჩემი და ჩემი მეგობრების დეკლარაცია, საკმაოდ განსაცვიფრებელი აღმოჩნდება საზოგადოებრიობისათვის. ამას წინათ ვფიქრობდი ჩემი დეკლარაციის გამოქვეყნებას, მაგრამ ჩავთვალე, რომ როდესაც საყოველთაოდ დაიწყება ეს პროცესი, ეს შემდეგ გავაკეთო, არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრებს სადეკლარირებო არაფერი გაგვაჩნია. მე გავურბივარ ამ თემას და ძალიან მაღიზიანებს, როდესაც ესა თუ ის პოლიტიკოსი მოსდგება და პრესაში იძახის, რომ არის წესიერი ადამიანი და არ იღებს ქრთამს. 10 წლის წინათ, როდესაც პოლიტიკაში მოვედი, ვიყავი საშუალო თბილისური ოჯახის წარმომადგენელი, რომელსაც ერთადერთი ქონება, რაც გააჩნდა, ეს ბინა იყო. ზუსტად ასეთივე დარჩა ჩემი ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა, უფრო მეტიც, ასეთივე დარჩა ყველა ჩემი მეგობრის ქონებრივი მდგომარეობა. იგივე ითქმის გია ბარამიძეზე, მიხეილ მაჭავარიანზე. ამიტომ მე მეჩვენება, რომ ღიმილის მომგვრელია ჩემთვის ნებისმიერი მცდელობა, რომ ჩვენზე განხორციელდეს თავდასხმები კორუფციის თვალსაზრისით. ჩვენთვის ყოველთვის ჩამოყალიბებული იყო პრონციპი – თუ ადამიანი არის პოლიტიკაში, ის აღარ უნდა იყოს დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით. გარწმუნებთ, რომ თითის მოძრაობა არის საკმარისი საიმისოდ, რომ რომელიმე ჩემმა ახლო მეგობარმა ძალიან წარმატებული ბიზნესი განავითაროს. ეს ეწინააღმდეგება იმ ამბიციებს, რომლითაც მოვედით პოლიტიკაში. წარმოუდგენელია შევარდნაძის პოლიტიკურ გუნდში იყოს ადამიანი, რომელსაც არ ექნება უაღრესად გამძაფრებულად უარყოფითი დამოკიდებულება კორუფციისადმი და ფიქრობდეს მეტ-ნაკლებად გრძელვადიან თანამშრომლობაზე შევარდნაძესთან. ეს არის ერთ-ერთი ის თემა, რომელიც განსაკუთრებით მტკივნეულია შევარდნაძისათვის.

ესაუბრა ლაშა ტუღუში
გაზ. „რეზონანსი“. 6 ივნისი, 1997წ. №152 (840). გვ. 7

„პოლიტიკური მიწისძვრები პარლამენტის დადგენილებას რუსეთის ჯარის გაყვანის შესახებ არ დაემუქრება“ – აცხადებს ჟვანია

პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას გუშინდელი პრესკონფერენცია საგაზაფხულო სესიის შედეგების – შეჯამებას მიეძღვნა. მისი თქმით, საკანონმდებლო საქმიანობის მხრივ ეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სესიაა. მიღებულია 75 კანონი, სამოქალაქო, საგადასახადო და საზღვაო კოდექსები, პირველ და მეორე მოსმენაზე განხილულია კიდევ 14 კანონი. დაწყებულია სისხლის სამართლის და სხვა საბაჟო კოდექსების განხილვა.

ჟვანიამ განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმო განათლების შესახებ კანონის მიღებას და განაცხადა: „მე არ მეგონა, თუ ჩვენ ბოლო სხდომაზე მივაღწევდით კონსენსუსს და ამ კანონს მივიღებდითო“. იგი მიესალმა პარლამენტის უფლებების გაზრდას. მიიჩნევს, რომ მან გიორგი ბარამიძისა და მიხეილ ოსაძის საგამოძიებო კომისიების სახით, სრულად გამოიყენა ზედამხედველობის ფუნქცია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და ბევრი ძალიან მწვავე საკითხი გახდა ნათელი საზოგადოებისათვის.

ამავე კონტექსტში „რეზონანსმა“ ისარგებლა შემთხვევით და გადაწყვიტა ერთი დელიკატური საკითხი გაერკვია, რომლის შესახებ ჟვანიას პოლიტიკური ოპონენტები ბოლო დროს ხშირად საუბრობენ. კითხვამ, მართალია თუ არა, რომ ზურაბ ჟვანია სამგორის ნაყინის ბიზნესში მონაწილეობს, პარლამენტის თავმჯდომარე გააკვირვა, მაგრამ არ დააბნია: ნაყინის მწარმოებელ კამპანიაში მისი ძმა მუშაობს. ის ისევე დაქირავებულია, როგორც სხვა ნებისმიერი ფირმის თანამშრომელი, „თუ ეს შეიძლება ჩაითვალოს ნაყინის ბიზნესში ჩემს თანამონაწილეობად, წინააღმდეგი არა ვარ ასეთად ჩამთვალონ“, – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

და მაინც, პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი აფხაზეთთან დაკავშირებული დადგენილების მიღებაა. მისი თქმით, თუ 31 ივლისამდე არ შესრულდება მოკოვის სამიტის ხელშეკრულება, პარლამენტი კატეგორიულად დააყენებს საკითხს ენგურიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე.

პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, საქართველომ უარი არ უნდა თქვას რუსეთის საშუამავლო მისიაზე მას შემდეგაც, რაც მშვიდობისმყოფელები აფხაზეთს დატოვებენ. ამიერიდან რუსეთის შუამავლობა მოიაზრება, მხოლოდ როგორც მოლაპარაკებებსა და სამშვიდობო კონფერენციებში მონაწილეობა. თუმცა, ზურაბ ჟვანიამ იქვე დასძინა, რომ თუ რუსეთი სეპარატისტებისათვის იარაღის მიწოდებას და სამხედრო პროვოკაციებს განაახლებს, ხელისუფლება მიზანშეუწონლად მიიჩნევს რუსული სამხედრო ბაზების და სასაზღვრო ჯარების ყოფნას საქართველოში.

„მიმდინარე ცვლილებები და მიწისძვრები, მძიმე და არასასურველია“, – პარლამენტის თავმჯდომარე ასე აფასებს სკანდალს, რომელიც უშიშროების მინისტრის – შოთა კვირაიას სატელეფონო მოსმენების და სხვა გამოძიებული და გამოუძიებელი დანაშაულების გამო ატყდა. თუმცა, მისი თქმით, საკითხს მეორე მხარეც აქვს: „თავად ის ფაქტი, რომ საქართველოში მოსმენებს იხილავენ, დემოკრატიის შეუქცევადობის მანიშნებელია“. შოთა კვირაიას ბედის გადაწყვეტა, ანუ „პოლიტიკური მიწისძვრები“, – ზურაბ ჟვანიას თქმით, პარლამენტის 30 მაისის დადგენილების შესრულებას ვერ დაემუქრება. „ჩვენ დადგენილებებს იმისათვის ვიღებთ, რომ შესრულდეს“, – განაცხადა მან ოპოზიციონერების გასაგონად, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებამ კვირაიას ირგვლივ „ბინძური სკანდალი“ იმიტომ ატეხა, რომ მერე თქვას, რა დროს ჯარების გაყვანაა საშინაო საქმეები ვერ მოგვიგვარებიაო“.

პარლამენტის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ რუსი მშვიდობისმყოფელები დარჩენილი ერთი თვის განმავლობაში მანდატით დაკისრებულ ვალდებულებებს არ შეასრულებენ. „გამორიცხულია, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ შეასრულოს პარლამენტის დადგენილება რუსეთის ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით“, – განაცხადა ჟვანიამ. მისივე თქმით, ამავე კონტექსტში გასათვალისწინებელია ძალოვანი სტრუქტურების მზადყოფნა და მრავალი სხვა ასპექტი.

ზურაბ ჟვანია მიესალმება შემოდგომისათვის დაგეგმილ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, როგორც ცნობილია, პრეზიდენტის ინიციატივით შემოტანილ კანონ-პროექტს „ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის შესახებ“, პარლამენტში მხოლოდ უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. ჟვანიას თქმით, „არჩევნებამდე განსაზღვრულ პრიორიტეტად უნდა იქცეს კანონ-პროექტის მხარდაჭერა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა მიერ და კონსულტაციების პროცესში პრეზიდენტის მონაწილეობა“.

პარლამენტის თავმჯდომარემ ერთი ახალი განცხადება გააკეთა: სულ მალე თბილისში გაიხსნება ევროკავშირის ბიურო, რომლის ექსპერტები ჩვენი კანონმდებლობის სრულყოფაში დაგვეხმარებიან და შეეცდებიან, ის ევროპულს დაუახლოვონ. ტერმინი „ქართული ლობი“, დასავლეთის პოლიტიკურ ინსტიტუტებში, როგორც ჩანს, მართლაც აპირებს შეჭრას: „რეზონანსისათვის“ ცნობილი გახდა, რომ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ისტორიაში პირველად, გაჩნდა შანსი, რომ ამ ორგანიზაციის მმართველ სტრუქტურაში კავკასიის წარმომადგენლები მიიწვიონ. ვიცე-პრეზიდენტობის რამდენიმე ვაკანსიის კანდიდატები საქართველოდან ზურაბ ჟვანია და ვახტანგ ყოლბაია არიან, რუსეთიდან – დუმის თავმჯდომარე გენადი სელეზნიოვი, უკრაინიდან კი – ალექსანდრე მოროზი – უკრაინის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. ჩანს, რომ ესენგე-ს პოლიტიკური ქარტეხილები, მალე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის „მშვიდ ყურესაც დაატყდება“ (განა არ არის დრო, რომ დაატყდეს).

ეკა სარია
ლიკა ბასილაია
„რეზონანსი“. 1 ივლისი, 1997 წ. №177 (865). გვ. 2

ზურაბ ჟვანია: ჯერჯერობით ეს იყო ყველაზე წარმატებული სესია

30 ივნისს პარლამენტის კინო-დარბაზში პრესკონფერენცია გამართა პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ. მან ისაუბრა პარლამენტის საგაზაფხულო სესიის შესახებ და ერთგვარად შეაჯამა კიდეც მისი შედეგები.

ზურაბ ჟვანია: ჩვენ, მოგეხსენებათ, იმის გამო, რომ ბოლო დღეები ძალიან დაძაბული გვქონდა, ვერ მოვახერხეთ ტრადიციულად შეჯამება საგაზაფხულო სესიის შედეგების, ამიტომ მინდა სწორედ თქვენ მოგაწოდოთ ის ძირითადი მონაცემები, რაც უკავშირდება პარლამენტის საქმიანობას 1997 წლის საგაზაფხულო სესიის პერიოდში, რაც შეეხება პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობას, უნდა ვთქვა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სესია იყო გასული საგაზაფხულო სესია. პარლამენტმა მიიღო 75 კანონი. აქედან სამი – კოდექსი. და მოგეხსენებათ, რა არის, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები, რაც მიიღო ახალი მოწვევის პარლამენტმა. მე ვგულისხმობ, პირველ ყოვლისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსს. ასევე საგადასახადო კოდექსს. მესამე გახლავთ საქართველოს საზღვაო კოდექსი. გარდა ამისა, პირველი და მეორე მოსმენით მიღებულ იქნა 14 კანონი, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საბაჟო კოდექსი. პარლამენტს მიღებული აქვს გადაწყვეტილებები კიდევ რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვან კანონთან დაკავშირებით.

საკანონმდებლო საქმიანობის მხრივ, ალბათ, ყველაზე საინტერესო იყო ის გადაწყვეტილებები, რაც პარლამენტმა მიიღო სასამართლო რეფორმის და, უფრო ზოგადად შეიძლება ჩამოყალიბდეს სამართლებრივი რეფორმის თვალსაზრისით. აქ, სამოქალაქო კოდექსთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია პარლამენტის მიერ მიღებული კანონები „საერთო სასამართლოების შესახებ“, „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, და აგრეთვე მთელი რიგი ცვლილებები, რომელიც იურიდიული კომიტეტის ინიციატივით შევიდა მოქმედ კოდექსებში, მოქმედ კანონმდებლობაში. რეალურად ჩვენ გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ გასული თვეების განმავლობაში საქართველომ გადადგა, საქართველოს სამართლებრივმა სისტემამ გადადგა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები დემოკრატიული, თანამედროვე, გამჭვირვალე სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო კანონები სამოქალაქო თავისუფლებათა განმტკიცების თაობაზე, როგორიც არის კანონი „მანიფესტაციებისა და დემონსტრაციების შესახებ“ და მთელი რიგი ცვლილებები და შესწორებები, რაც შევიდა კოდექსებსა და კანონმდებლობაში.

როგორც ყოველთვის, ჩვენთვის უაღრესად პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა ეკონომიკური რეფორმებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება. მე უკვე აღვნიშნე საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი. ეს არის ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მართლაც საეტაპო მნიშვნელობის გადაწყვეტილება, რომელმაც უნდა დაასრულოს გაუთავებელი კამათი და განსჯა იმასთან დაკავშირებით, თუ რა გადასახადები იმოქმედებს ქვეყანაში, როგორ, რანაირად, როგორი იქნება კონკრეტული განაკვეთები. ცხადია, ბედნიერი საგადასახადო კოდექსით, როგორიც არ უნდა იყოს ეს კოდექსი, ყველა ვერასოდეს ვერ იქნება, იმიტომ რომ ეს არის ის თემა, რომელიც რეალურად ურტყამს თითოეული მოქალაქის და თითოეული მეწარმის ჯიბეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ, ასე ვთქვათ, საკამათო საკითხს, მთლიანობაში კოდექსი ძალიან კარგად არის გაწონასწორებული, დაბალანსებული და შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ თანამედროვე, ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტად, რომელიც მიიღო პარლამენტმა.

ამასთანავე, პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილებები რეფორმების და პირველ ყოვლისა, პრივატიზების პროცესის მნიშვმელოვანი გაღრმავების უზუნველყოფის შესახებ. მე ვგულისხმობ ახალ კანონს „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“, რომელმაც შექმნა ლეგალური იურიდიული საფუძველი დიდმასშტაბიანი საწარმოების პრივატიზებისათვის და ეს დღეს ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია რეფორმების თვალსაზრისით. კანონი „ელექტროენერგეტიკის შესახებ“, რომელიც ბოლო კვირას სამივე მოსმენით იქნება მიღებული ჩვენს მიერ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ სწორედ ეს სექტორი, ენერგეტიკის სექტორი უნდა გახდეს ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური პრივატიზების სფერო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მას შემდეგ, რაც სათანადო საკანონმდებლო ბაზა მოამზადა პარლამენტმა, ყველა შესაბამისი სტრუქტურა მიიღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს და პროცესები წარიმართება ისე, როგორც ჩვენ ვართ შეთანხმებული საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან.

გამოვყოფდი რამდენიმე კანონპროექტს, რომლებიც უკავშირდება ჩვენი საზოგადოების ჰუმანიტარული სფეროს საქმიანობას და არ გაგიკვირდებათ, ალბათ, თუ ამ მხრივ პირველ ადგილზე დავაყენებ კანონს „განათლების შესახებ“. მე არ დაგიმალავთ, ნამდვილად არ ვიყავი დარწმუნებული, შევძლებდით თუ არა კომპრომისების მიღწევას ბოლო სხდომაზე. ნამდვილად ბედნიერი ვარ – ჩვენ დავასრულეთ საგაზაფხულო სესია იმგვარად, რომ საქართველოს აქვს საბოლოოდ მიღებული, კენჭნაყარი ახალი განათლების კანონი.

ძალიან მნიშვნელოვანია, ალბათ, რომ დეპუტატებმა გამოხატეს ნება, სახელმწიფომ იაროს სრულიად უფასო, სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებული სრული საშუალო განათლების შექმნისაკენ. ეს წარმოადგენს ჩვენს მიზანს საბოლოოდ, მაგრამ არანაკლებ მიხარია, რომ ჩემმა კოლეგებმა ანგარიში გაუწიეს დღეს სახელმწიფოში შექმნილ რეალობას, და ჩვენ მივიღეთ შუალედური გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია გავაგრძელოთ, ჩვენი

საზოგადოებისათვის ამ უმნიშვნელოვანესი სექტორის წარმატებული რეფორმა.

ანალოგიურად შეიძლება დასახელდეს „კანონი კულტურის შესახებ“ და სხვა კანონები, მიღებული პარლამენტის მიერ.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ საკანონმდებლო საქმიანობასთან ერთად, გასული სესია, როგორც გახსოვთ ყველას, ძალზე დატვირთული იყო სხვა საკითხებითაც. და მით უფრო გასაკვირია, რომ წინა ყველა სესიასთან შედარებით ბევრად მეტი კანონის მიღება მოასწრო პარლამენტმა. მე ვფიქრობ, რომ გასულ საგაზაფხულო სესიაზე რეალურად გამოიკვეთა პარლამენტის მაკონტროლებელი ფუნქცია, რაც წარმოადგენს პარლამენტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკონსტიტუციო ფუნქციას. მე ვგულისხმობ იმ ზედამხედველობას თუ კონტროლს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, როგორც გნებავთ დავარქვათ, რომელიც კონსტიტუციით გვევალება. აქ, ბუნებივია, პირველ ყოვლისა, გამოსაყოფია პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიების საქმიანობა, რომელთაც ხელმძღვანელობენ ბატონი ბარამიძე და ბატონი ოსაძე. ორივემ იმის მიუხედავად რომ შეიძლება კრიტიკა ბევრი იყოს მათი საქმიანობის მიმართ, ფაქტია, ძალიან მწვავედ და სერიოზულად დააყენა საკითხები. ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ანტიკორუფციულმა კომისიამ, კონკრეტული შემთხვევების გამოძიებისა და ამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გარდა, ძალიან დიდი დრო დაუთმო კანონშემოქმედებით საქმიანობასაც და შემოგვთავაზა მართლაც ორიგინალური ძალიან სერიოზულად დამუშავებული კანონი „ინტერესეთა კონფლიქტების შესახებ“, რომელიც ჩვენ მოვასწარით მიგვეღო პირველი მოსმენით. საშემოდგომო სესიის გახსნისთანავე პარლამენტი მიუბრუნდება ამ კანონპროექტს და საბოლოოდ მიიღებს მეორე და მესამე მოსმენით. ამ კანონმა საბოლოოდ უნდა შექმნას საკანონმდებლო საფუძველი თანამედროვე პირობებში ანტიკორუფციული საქმიანობისათვის არა მხოლოდ პარლამენტის მხრიდან, ბუნებრივია, არამედ, პირველ ყოვლისა, იმ აღმასრულებელი სტრუქტურების მხრიდან, ვისაც ევალება ფუნქციონალურად ამ საქმიანობის განხორციელება.

ასევე კმაყოფილებით შემიძლია აღვნიშნო, რომ პარლამენტი გასული გაზაფხულის განმავლობაში დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის კიდევ ერთ საკონსტიტუციო ფუნქციას, რასაც ჰქვია ქვეყნის პოლიტიკის განსაზღვრა. შეგახსნებთ, ამ ძალზედ დატვირთულ, ზოგჯერ წანააღმდეგობრივ, მაგრამ საბოლოოდ ძალზე მნიშვნელოვან დებატებს, რომლებიც მიეძღვნა პირველ ყოვლისა, აფხაზეთის პრობლემატიკას. მაგრამ ამაზე ფართოდაც ისმებოდა საკითხები. მოგეხსენებათ, ამის ერთ-ერთი გამოხატულება გახლავთ ის კონცეფცია, რომელიც მიიღო პარლამენტმა გაზაფხულის განმავლობაში.

ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტად, რა თქმა უნდა, რჩება ჩვენი ბოლო დადგენილება აფხაზეთთან დაკავშირებით, რომლიდან გამომდინარეც და რომლის შესრულების საზომითაც დღეს საქართველოს ხელისუფლება და ამ პროცესში ჩართული ყველა ქვეყნის ხელისუფლება უდგება კონფლიქტის მოგვარებას. მე კიდევ ერთხელ მინდა დავადასტურო, რაგინდ მძიმეც არ უნდა

იყოს ეს და ეს იყო ჩვენთვის მართლაც ძალიან მძიმე გადაწყვეტილება, პარლამენტი, რა თქმა უნდა, ბოლომდე ძალზე პრინციპულად მოითხოვს 30 მაისს მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას. შეგახსენებთ, ლაპარაკია რუსეთის სამშვიდობო ძალების გასვლაზე კონფლიქტის ზონიდან, თუ 31 ივლისამდე არ იქნება მიღწეული რეალური პროგრესი ამ თვალსაზრისით და, პირველ ყოვლისა ლტოლვილთა დაბრუნების მხრივ.

კიდევ ერთი ასპექტი პარლამენტის საქმიანობისა – ჩვენი ურთიერთობები საერთაშორისო საპარლამენტო მსოფლიოში, უკვე აშკარად გამოიკვეთა, რომ საქართველოს პარლამენტი ძალიან დინამიურად ავითარებს ორმხრივ ურთიერთობებს სხვა ქვეყნების პარლამენტებთან. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ძალიან სერიოზულ ავტორიტეტს იხვეჭს საერთაშორისო საპარლამენტთაშორისო გაერთიანებებში. პირველ ყოვლისა, გამოვყოფდი ჩვენს ურთიერთობებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში, სადაც ჩვენი საპარლამენტო დელეგაცია რეალურად არის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ სპეციალური სტუმრის სტატუსით ვსარგებლობთ, სრულუფლებიანი წევრები არა ვართ. მოხარული ვარ, რომ ყველა ჩემი უცხოელი მეგობრის ერთმნიშვნელოვანი შეფასებით ქართული დელეგაცია არის მართლაც ძალიან ანგარიშგასაწევი. ევროპის ამ ყველაზე ერთმნიშვნელოვანი შეფასებით ქართული დელეგაცია არის მართლაც ძალიან ანგარიშგასაწევი ევროპის ამ ყველაზე მნიშვნელოვან საპარლამენტო ფორუმზე.

უნდა გითხრათ, რომ ორი დღის წინ დაბრუნდა ბოლო ასამბლეის სხდომიდან ჩვენი დელეგაცია და იქ მიღებული იქნა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი რეზოლუცია, რომლის თანახმადაც მხარეებმა, რომლებიც მონაწილეობენ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში, უნდა გაითვალისწინონ, რომ გარდუვალია რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტის გასვლა კონფლიქტის ზონიდან. ეს არის ჩანაწერი საერთაშორისო დოკუმენტში.

ასევე ძალიან საინტერესოდ ვითარდება ჩვენი ურთიერთობები ევროპარლამენტთან, ევროთათბირის, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ასამბლეასთან და სხვა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით ჩემთვის გასული სესია გახლდათ. პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ჩვენ მივაღწიეთ ხელი მოგვეწერა ჩვენს უახლოეს მეზობლებთან – სომხეთთან და შემდეგ აზერბაიჯანთან – საპარლამენტო შეთანხმებებზე ჩვენი ეროვნული კანონმდებლობების დაახლოების პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით. არ მინდა გადაჭარბებული მნიშვნელობა მივანიჭო ამ ერთი ხელისმოწერის ფაქტს, მაგრამ თუ ჩვენ შევძლებთ იმის განხორციელებას, რაც ჩაიდო ამ შეთანხმებაში, ეს იქნება უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები, გადადგმული საიმისოდ, რომ ჩვენი რეგიონი, სამხრეთ კავკასია, ამიერკავკასია ჩამოყალიბდეს ეკონომიკური თვალსაზრისით პირველ ყოვლისა და შემდგომში ალბათ, იმედია, პოლიტიკური თვალსაზრისითაც, როგორც ერთიანი სივრცე, სივრცე, სადაც შეზღუდული არ იქნება კაპიტალის, მომსახურების და მთლიანობაში ეკონომიკის მოძრაობა. ეს კი ბევრად გაზრდის, გააათმაგებს

რეგიონის თითოეული სახელმწიფოს მნიშვნელობას, როგორც პარტნიორის მიმზიდველობას, ინვესტორებისათვის და თუნდაც სახელმწიფოებისათვის. აი, ამ პოლიტიკიდან და ამ პრიორიტეტიდან გამომდინარეობდა, მოგეხსენებათ, ჩვენი ინიციატივაც დავიწყოთ ფიქრიც და მუშაობაც კავკასიის საპარლამენტო ასამბლეის შექმნასთან დაკავშირებით. ეს ინიციატივა კიდევ ერთხელ მსურს ხაზი გავუსვა, წარმოადგენს გაგრძელებას პრეზიდენტ შევარდნაძის იდეისა, მშვიდობიანი კავკასიის შესახებ, და ჩვენ ვფიქრობთ, დღეს რეალურად არსებობს ნიადაგი საიმისოდ, რომ საპარლამენტო თანამშრომლობის ფონზე ვიფიქროთ ერთიანი, საერთო კავკასიური ფორუმის შექმნაზე.

არ მინდა ჟურნალისტებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ჩვენ მხოლოდ დადებით მხარეებს ვხედავთ პარლამენტის საქმიანობის. პრობლემები და საკმაოდ სერიოზული პრობლემები რჩება და მე თავს ვალდებულად ვთვლი, განვაცხადო ამის შესახებ ძალიან გახსნილად. სამწუხაროდ, დღემდე ძალიან დაუხვეწავია კანონშემოქმედებითი პროცედურები პარლამენტში, რაც, შესაძლებელს ხდის საკმაოდ ხშირად შემთხვევითი შესწორებების, შემთხვევითი შენიშვნების შეტანას უშუალოდ პლენარულ სხდომაზე განხილვის პროცესში და ეს არის ძალიან დიდი პრობლემა, დიდი ნაკლი ჩვენთვის. ეს საერთო პრობლემაა, ალბათ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, მე ამ შემთხვევაში პირველ ყოვლისა, ჩემს კოლეგებს მივმართავ, რომ საპარლამენტო პროცედურები, პარლამენტის ფუნქციიდან გამომდინარე უნდა იყოს ყოველ მიზეზგარეშე ძალიან მძიმე, თუნდაც მოითხოვდეს ძალიან მრავალი ბიუროკრატიული წინააღმდეგობის გადალახვას. მე ვგულისხმობ იმას, რომ კანონის ტექსტზე მუშაობის დროს გამოირიცხოს ყველანაირი შემთხვევითობა და სპონტანურად გაჩენილი იდეების, დაუსაბუთებელი და გაუაზრებელი იდეების ასახვა კანონმდებლობაში, იმიტომ, რომ კანონმდებლობას ჩვენ ვქმნით და არა ერთი და ორი თვისთვის, არამედ ის უნდა იყოს ჩვენი ეროვნული კანონმდელობა, გათვლილი ათწლეულებზე.

მეორე საკითხი, რომელიც მინდა აღვნიშნო, გახლავთ ის, და ეს, ალბათ პირველ ყოვლისა, ჩემი პირადი პასუხიმსგებლობაა – ჩვენ დღემდე ვერ მივაღწიეთ საზოგადოების, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ჩართვას კანონმდებლობის მომზადების, განხილვის პროცესში იმ დონეზე, როგორც ეს უნდა ხდებოდეს გახსნილ საზოგადოებაში, ღია საზოგადოებაში. მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ ჩვენ მოქალაქეებს ან მოქალაქეთა ჯგუფებს არა აქვთ წარმოდგენილი რამდენად დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ მათ კანონმდებლობის შექმნის პროცესში. არა აქვთ წარმოდგენილი, რომ შეუძლიათ რეალური გავლენის მოხდენა რეალური კანონმდებლობის დახვეწის, საკუთარი ინტერესების უფრო სრული ასახვის თვალსაზრისით. მაგრამ, ალბათ, პარლამენტის ხელმძღვანელობის ბრალიცაა, რომ ეს ჯერჯერობით კარგად ვერ გავაგებინეთ ჩვენ თანამოქალაქეებს. მე იმედი მაქვს, რომ გავაგრძელებთ ამ მხრივ საქმიანობას, თანამშრომლობას თქვენთანაც, საზოგადოების სხვა სექტორებთანაც და გარკვეულ წარმატებას მივაღწიეთ საშემოდგომო სესიის დროს.

და უკანასკნელი. მინდა აქ, აი, ამ პრესკონფერენციაზე გავაკეთო ის განცხადება, რომლის გაკეთებასაც ვაპირებდი სხდომაზე, ჩვენს სხდომათა დარბაზში. მაგრამ მართლაც ძალიან დაძაბული კვირა იყო, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე, ახალი ინიციატივა, რომელიც იქნება პარლამენტში საშემოდგომო სესიიდან მოყოლებული, არის ჩვენი გადაწყვეტილება, რომელსაც პარლამენტი მიიღებს საქართველოს კანონმდელობის დაახლოების შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ჩვენ ბევრი განსჯა გვქონდა კოლეგებთან. მოგეხსენებათ, პრეზიდენტმა ძალიან მნიშვნელოვან პრიორიტეტად გამოჰყო თავის ყოველწლიურ მიმართვაში დაჩქარება ევროინტეგრაციისა, საქართველოს ინტეგრაციისა ევროპულ სტრუქტურებთან და ჩვენ ვაპირებთ, მივიღოთ გადაწყვეტილება, საგანგებო დადგენილება პარლამენტისა იმის თაობაზე, რომ დავიწყებთ ჩვენი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროპულ კანონმდებლობასთან. ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ეს გახლავთ გადაწყვეტილება, რომელსაც როგორც წესი, იღებს ევროკავშირი და ევროკავშირთან სპეციალური შეთანხმების გამფორმებელი სახელმწიფო. ეს სახელმწიფო ამის შემდგომ იღებს ევროკავშირის ასოცირებული წევრის სტატუსს. დღეისათვის ასეთი სტატუსი გააჩნია პოლონეთს, უნგრეთს, ჩეხეთს. მაგრამ, ვინაიდან თავად ეს პროცედურები არის რთული, მძიმე, ჩვენ ვაპირებთ, რომ ეს გადაწყვეტილება მივიღოთ ცალმხრივად და საქართველომ გამოხატოს თავისი მხრიდან ეს ნება და დღეიდანვე ვიმუშაოთ საიმისოდ, რომ ჩვენი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდეს ევროპულ სტანდარტებთან და პირველ ყოვლისა ევროპის საკანონმდებლო სტანდარტებთან. ამის თაობაზე გვქონდა წინასწარი კონსულტაციები ევროპარლამენტშიც, ევროკავშირშიც, ვფიქრობთ, ჩვენ მივაღწევთ, რომ თბილისში გაიხსნას საამისოდ ევროკავშირის სპეციალური ბიურო, რომელიც აღმოგვიჩენს ტექნიკურ დახმარებას. თუ ეს პროცესი წარიმართება შედეგიანად, მე შემიძლია ვთქვა თამამად, ეს იქნება რეალურად ახალი ეტაპის დასაწყისი საქართველოს ინტეგრაციის თვალსაზრისით ერთიანი ევროპის სტრუქტურებში.

ეს გახლავთ ის რამოდენიმე მოსაზრება, რომელიც მინდოდა წინასწარ მეთქვა თქვენთვის.

ამის შემდეგ ბატონმა ზურაბ ჟვანიამ უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

კითხვა: დღეს თქვენ დაადასტურეთ საქართველოს პარლამენტის კატეგორიული განწყობა რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ 31 ივლისამდე პროცესი არ დაიძვრება მკვდარი წერტილიდან, როგორ მოხდება ამ მექანიზმის რეალიზება, მოწვეულ იქნება საგანგებო სესია? და ამავე კონტექსტში, პრესაში გამოჩნდა ინფორმაციები, რომ არ არის გამორიცხული, შემოდგომაზე საქართველოს პარლამენტმა დააყენოს საკითხი რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გატანის შესახებ. რას იტყვით ამის თაობაზე და აგრეთვე რუსი მესაზღვრეების შესახებ?

ზურაბ ჟვანია: რაც შეეხება ჩვენი პარლამენტის ცნობილი დადგენილების რეალიზაციას, მე კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ დადგენილება უნდა შეს-

რულდეს, ამას ვერაფერი შეუშლის ხელს. მე ვერ ვხედავ ამ საკითხზე სპეციალური რიგგარეშე სესიის მოწვევის აუცილებლობას, რადგანაც გადაწყვეტილება მიღებულია და უკვე აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების საქმეა, განახორციელონ პარლამენტის გადაწყვეტილება. მე ვიცი, რომ რუსეთშიც და აქაც, თბილისშიც, ბუნებრივია, ეს ყველას კარგად ესმის.

რაც შეხება საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსი მესაზღვრეების საკითხს, მინდა ერთმნიშვნელოვნად გამოვხატო ჩემი პოზიცია, ვფიქრობ, ბევრი დეპუტატი დაუჭერს ამას მხარს. ჩვენ განწყობილი ვართ საიმისოდ, რომ სამშვიდობო ძალების გაყვანის შემდეგ, რუსეთმა გააგრძელოს მონაწილეობა მონაწილის, შუამავლის სახით იმ სამშვიდობო ინიციატივებში, რომლებმაც უნდა მიგვიყვანონ აფხაზეთის პრობლემების გადაჭრამდე, კერძოდ, პირველ რიგში მე ვგულისხმობ პრეზიდენტ შევარდნაძის ინიციატივას საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის შესახებ. აფხაზეთის თაობაზე, აქ, მე ვფიქრობ, რუსეთს შეუძლია ითამაშოს ძალიან დადებითი როლი. მაგრამ თუ ჩვენ გავხდებით იმ პოლიტიკის რეციდივების მოწმე, რომლის მსხვერპლი გახდა აფხაზეთის მოსახლეობა 1992-93 წლებში, მე ვლაპარაკობ გულახდილად, თუ იქნება რეციდივები სამხედრო შეიარაღებული მხარდაჭერისა სეპარატისტული რეჟიმის მიმართ, ეს იქნება მიმანიშნებელი საქართველო-რუსეთის ორმხრივი ურთიერთობის მკვეთრ გაუარესებაზე. მე ხაზს ვუსვამ, არა საქართველოს ინიციატივით, და მაშინ, ბუნებრივია, ჩვენ იძულებული ვიქნებით, ვიფიქროთ საპასუხო ნაბიჯებსა და საპასუხო ზომებზე.

კითხვა: ბატონო თავმჯდომარეე, მინდა გკითხოთ თქვენს ინიციატივაზე კავკასიის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის შექმნის შესახებ. თუ ზუსტად მახსოვს, ამის შესახებ თქვენ ბრძანეთ ერთი თვის წინ. არის თუ არა რაიმე ახალი ამ მიმართებით გაწეულ მუშაობაში. და არის თუ არა კონკრეტული მონაცემები როდის შეიძლება მოწვეულ იქნეს პირველი სხდომა ან ყრილობა?

ზურაბ ჟვანია: მე გამიჭირდება დავასახელო რაიმე კონკრეტული თარიღი, კონკრეტული ვადები, რადგან ყველაზე ძნელი წინასწარი მოლაპარაკებების პერიოდია. ჩემი კოლეგები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ჩრდილო ოსეთის რეგიონებიდან არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ მათთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს ყველა დეტალს იქამდე, სანამ, ისინი გამოთქვამენ თავიანთ საბოლოო და ოფიციალურ თანხმობას ასამბლეაში მონაწილეობაზე. ეს სავსებით ბუნებრივია. რადგანაც ეს თემა ძალიან დელიკატურია, ვთქვათ, როგორ უნდა განხორციელდეს წარმომადგენლობა კონფლიქტის ზონაში და ყველა ამ საკითხის მოგვარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ასამბლეის ბევრი პოტენციური მონაწილისათვის, რათა მათ გადაწყვიტონ მონაწილეობის მიღება.

რაც შეეხება საერთო მიდგომას, მე მქონდა ჩემს კოლეგებთან, პარლამენტის ხელმძღვანელებთან, არა მხოლოდ კავკასიის პარლამენტების, არამედ ძალზე მნიშვნელოვან ევროპულ საპარლამენტო გაერთიანებებთან კონსულ-

ტაციების საშუალება. ისინი დღემდე მხოლოდ აქტიურ მხარდაჭერას გამოხატავენ ამის თაობაზე და ახლა მთავარია მას კონკრეტულად შევასხათ ხორცი.

კითხვა: მოხერხდება თუ არა საგანგებო სესიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის მიღება და მეორე შეკითხვა, პრეზიდენტს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება უშიშროების მინისტრთან დაკავშირებით, თუმცა საუბრობენ სავარაუდო კანდიდატურებზე. თქვენ თუ გქონდათ ამის შესახებ საუბარი პრეზიდენტთან?

ზურაბ ჟვანია: – რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის კანონს, მე, როგორც მოგახსენეთ და როგორც გაკეთდა განცხადებები ჩვენი საგაზაფხულო სესიის ბოლო დღეს, ამ კვირაში დავიწყებთ ძალიან აქტიურ კონსულტაციებს ყველა ფრაქციის მონაწილეობით და, ალბათ, სწორედ ამ კონსულტაციების შედეგიდან გამომდინარე შევძლებთ ვივარაუდოთ, ვახერხებთ თუ არა ზაფხულის განმავლობაში მივიღოთ ეს კანონი. პირადად მე ძალიან აქტიურად დავუჭერდი მხარს მიმდინარე წლის შემოდგომაზე ადგილობრივი არჩევნების ჩატარებას, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, განმსაზღვრელი პრიორიტეტი ჩემთვისაც ჩემი თანაპარტიელებისა და თანაფრაქციელებისათვის გახლავთ ის, რომ გადაწყვეტილება, რომელსაც მივიღებთ ჩვენ საბოლოოდ ადგილობრივი არჩევნების, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის შესახებ, სარგებლობდეს მხარდაჭერით პოლიტიკური ძალების რაც შეიძლება უფრო ფართო სპექტრში. ასე რომ, აქ აუცილებელია ძალიან სერიოზული კონსულტაციები, მათ შორის, ჩვენ, ალბათ გვექნება კონსულტაციები ბატონ პრეზიდენტთანაც. მე ვგულისხმობ პარლამენტის ბიუროს და იმ ინტერფრაქციულ ჯგუფს, რომელიც იმუშავებს ამ საკითხებზე რაც შეეხება უშიშროების მინისტრს, თქვენ მოგეხსენებათ, პრეზიდენტმა გამოაცხადა საქვეყნოდ, რომ ის ელის სათანადო ორგანოების საბოლოო დასკვნას. ეს მან დაადასტურა უშიშროების საბჭოს ბოლო სხდომაზეც, რომელსაც ბუნებრივია მეც ვესწრებოდი. ვფიქრობ, რომ ეს გახლავთ ის პოზიცია, რომელიც თქვენ იცით კარგად. რაც შეეხება კანდიდატურებს, ჟურნალისტებმა ყოველთვის ბევრად მეტი იცით, ვიდრე პარლამენტის თავმჯდომარემ.

კითხვა: მე მაინტერესებს, შეიცვალა თუ არა თქვენი დამოკიდებულება უშიშროების მინისტრისადმი დახურული სხდომის შემდეგ და რა გავლენას იქონიებს ეს აჟიოტაჟი აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაზე?

ზურაბ ჟვანია: უნდა გითხრათ, რომ ჩემთვისაც პირადად და ბევრი ჩემი მეგობრისთვისაც ის სხდომა იყო წმინდა ადამიანური თვალსაზრისით უკიდურესად მძიმე, იმიტომ, რომ შოთა კვირაისათან ჩვენ გვაკავშირებს მართლაც წლები თანამშრომლობის და შემიძლია ვთქვა, მეგობრობის წლებიც. ძალიან კრიტიკულ ვითარებაში ვყოფილვართ ჩვენ ერთად და ამაზე ძალიან ბევრი საუბარი შეიძლება. აქ არის ორი ასპექტი, პირველი გახლავთ ის, რასაც ჰქვია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და ეს ნამდვილად არ არის ჩემი საქმე. ეს გამოარკვიონ სათანადო ორგანოებმა. არსებობს პოლიტიკური პასუხისმგებლობა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც არის, ჩემი აზრით, ყველაზე სკანდალური, დამოუკიდებელი გაზეთის ხელმძღვანელების მოსმენა.

იცით, არის თემა, რომელზეც, საერთოდ წარმოუდგენელია კამათი და განსჯა, კარგი თუ ცუდი. თუკი ჩვენ ვაცხადებთ, რომ საქართველოში ვაყალიბებთ დემოკრატიულ საზოგადოებას, ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ადამიანი ვინც თავისი თანამდებობით თავისი ოფიციალური პასუხისმგებლობის სფეროდან გამომდინარე აი ამ თემაში გაერევა, ბუნებრივად გამოუვალ ვითარებაში, ვიმეორებ, არის უალტერნატივო.

სხვათა შორის, მთელს ამ სკანდალს, მთელ ამ დაძაბულობას რაც შეიქმნა, დადებითი მხარეც აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველას, ძალიან დიდი ნერვების ფასად დაგვიჯდა იმ სხდომაში მონაწილეობა, თავისთავად პრეცედენტი, რომ საქართველოში იხილება საკითხი, ასე ვთქვათ, უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით ატეხილი სკანდალების გამო, დადებითი პრეცედენტია. ეს შექმნის სრულიად ახალ ამკრძალავ ნიშნებს ჩვენს საზოგადოებაში. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი საიმისოდ, რომ ქართული დემოკრატია იყოს მართლაც შეუქცევადი მოვლენა. სხვათა შორის, დღეს თავის ინტერვიუში პრეზიდენტმაც აღნიშნა ეს მომენტი. რაც შეეხება აფხაზეთს, რა თქმა უნდა, ერთმნიშვნელოვანია, რომ როდესაც ჩვენ შევდივართ ყველაზე კრიტიკულ ფაზაში, კონფლიქტთან დაკავშირებით რაიმე სერიოზული ცვლილებები, მიწისძვრები, ასე ვთქვათ, ჩვენ სახელისუფლებო სტრუქტურებში ბუნებრივია, არასასურველია. ამ მხრივ ეს პერიოდი არის ძალიან მძიმე.

კითხვა: ბატონო ზურაბ, თუ სწორად გავიგე, თქვენ ბრძანეთ, რომ პარლამენტმა მიიღო დადგენილებები რუსეთის სამშვიდობო ძალებთან და აფხაზეთის პრობლემის დარეგულირებასთან დაკავშირებით და მათი შესრულება აღმასრულებელი სტრუქტურების პრეროგატივაა, და თუ აღმასრულებელი სტრუქტურები არაფერს იღონებენ, მაშინ პარლამენტი რა ახალი გადაწყვეტილების მიღებას აპირებს. ყველას მოგეხსენებათ, რა ხდება რუსეთის სამშვიდობო ძალების მოქმედების თორმეტკილომეტრიან ზოლში – პრინციპში გრძელდება ქართველების ეთნიკური წმენდა. თუკი ამის მსგავსად გაფართოვდება სამშვიდობო ძალების არეალი და იგივე მოქმედება გაგრძელდება, მაშინ ჩათვლის თუ არა პარლამენტი, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები ეწევიან სამშვიდობო ოპერაციას?

ზურაბ ჟვანია: კამათი ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ ყოფილა პარლამენტში. არა მგონია, რომ ახლა, პრესკონფერენციაზე ღირდეს კამათის გაშლა. მე ვფიქრობ, რომ თუკი შეასრულებენ სამშვიდობო ძალები იმას, რაც ჩადებულია მათ მანდატში, ეს მართლაც არსებითად შეცვლის უკეთესობისაკენ ვითარებას. ეს, სამწუხაროდ, დარჩენილ დროში ნაკლებად სავარუდოა. თუმცა, ჩვენ მივესალმებოდით ამას. რაც შეეხება შეკითხვის პირველ ნაწილს, მე არ მესმის საკითხის ასე დასმა, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ შეასრულოს ეს გადაწყვეტილება. ეს გამორიცხულია. ყველა სათანადო გადაწყვეტილება მიღებულია პირადად პრეზიდენტის მხრიდან და პრეზიდენტი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს იმას, რომ ყველა სტრუქტურები მოქმედებდნენ კოორდინირებულად და ჩატარდეს მთელი სამუშაო. აქ არის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მიმართულება: დიპლომატიური საქმინობა,

ძალოვანი სტრუქტურების მზადყოფნა იმისთვის, რომ შენარჩუნებულ იქნას ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი და სხვა მრავალი, მრავალი ასპექტი. ყველა გადაწყვეტილება მიღებულია და კიდევ ვიმეორებ, თავად პრეზიდენტი აკონტროლებს ამ საკითხებს.

კითხვა: ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრები როგორც ამბობენ, მათი ხელმოწერით დაარსდა კავკასიური პარლამენტი ურუსეთოდ და თქვენ ამაზე რა შეხედულება გაქვთ? აღიარებთ თუ არა მათ მიერ დაარსებულ კავკასიურ პარლამენტს?

ზურაბ ჟვანია: ეს, ალბათ ფრაქციის კერძო ინიციატივაა. ის, რაზეც ვსაუბრობ მე, კავკასიურ საპარლამენტო ასამბლეაზე, არის სრულიად სხვაგვარი ინიციატივა, და ჩემთვის, როგორც პოლიტიკოსისათვის, გაუგებარია როგორ შეგვიძლია ვისაუბროთ დღესდღეობით რაიმე კავკასიურ გაერთიანებაზე რუსეთის გარეშე. ეს, ბუნებრივია, გამოიწვევს საპასუხო რეაქციას მთლიანად საქართველოს ან საქართველოს ცალკეული რეგიონების მიმართ და არ მესმის, რატომაა აუცილებელი ამგვარი ძალიან მწვავე რეაქციის პროვოცირება, როდესაც ისედაც საკმაოდ მძიმე ვითარებაში ვიმყოფებით.

კითხვა: თუ როგორც თქვენ თვლით, მოხდა „მიწისძვრები“ აღმასრულებელ ხელისუფლებაში და ვიბრაცია ერთი თვის განმავლობაში გაიწელა, იმოქმედებს თუ არა ეს პარლამენტის 30 მაისის დადგენილებაზე ჯარებთან დაკავშირებით.

ზურაბ ჟვანია: არა. სხვათა შორის, იყო რამდენიმე ანალიტიკური წერილი, ძირითადად ოპოზიციური ძალების მხრიდან. თითქოს ეს ყველაფერი არის სპექტაკლი სიამისოდ, რომ მერე გაამართლონ დადგენილების შუსრულებლობა. იცით, ეს ცოტა ღიმილის მომგვრელია. ჩვენ ვიღებთ დადგენილებებს იმისთვის, რომ ეს დადგენილებები შესრულდეს. სხვათა შორის, ამ დადგენილებებს არავის ყიჟინის გამო არ ვიღებთ, ვიღებთ იმიტომ, რომ ასე ვთვლით საჭიროდ. და ამას ძალიან მკაფიოდ მინდა გავუსვა ხაზი. და ახლა ჩვენ გაკეთებულ საქმეზე მერე ვიღაც გარედან წიოდეს და კიოდეს, არიქა, ახლა საბაბს ეძებენ, რომ არ შეასრულონ თავიანთი გადაწყვეტილებაო. ბევრი კომიკური რაიმე მომხდარა ქართულ პოლიტიკაში. მაგრამ ეს უკვე ზედმეტად კომიკურია. ბუნებრივია, რთული საკითხია, მაგრამ არანაირად არ არის ერთმანეთთან იმგვარ მიმართებაში, რომ შეუშალოს ხელი პარლამენტის დადგენილების შესრულებას.

კითხვა: გუშინდელი სატელევიზიო გადაცემა „მსგეფსის“ ნახვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პარლამენტის დახურული სხდომა ყველასთვის არ იყო დახურული, რადგანაც ავტორი ბატონ შოთა კვირაიას ტექსტს მოგვიყვა. რატომ ხდება ისე, რომ ყველასთვის არ არის დახურული და ან რატომ ისმენენ შემდეგ სტენოგრაფიულ ჩანაწერებს. და მეორე შეკითხვა: – როდის მიიღებენ ედპ-ს სიით გასული დეპუტატები კუთვნილ 100-100 ლარს?

ზურაბ ჟვანია: „მსგეფსისთვის“ გუშინ სამწუხაროდ არ მიყურებია, არ მქონდა ამისი საშუალება, მაგრამ სხდომა ყველა ჟურნალისტისათვის იყო რე-

ალურად დახურული. მე დავინტერესდები ამ საკითხით. თუ ადგილი ჰქონდა გამოსვლის სტენოგრამის გადაცემას ან მასალა გახდა ხელმისაწვდომი რომელიმე ჟურნალისტისათვის, ამას შევისწავლით და ძალიან სერიოზული რეაგირება ექნება აპარატს სათანადო თანამშრომლების მიმართ. ამაში შემიძლია დაგარწმუნოთ.

რაც შეეხება ედპ-ს 100-100 ლარს, ედპ-ს ფრაქციის წევრები მიიღებენ ამ თანხას იმ დღესვე, როგორც კი დასრულდება მათი კამათი ყოფილი ფრაქციის მეორე ნაწილთან – სახალხო ფრაქციის წარმომადგენლებთან. მე უნდა შეგახსენოთ, რომ როდესაც გაიყო ფრაქცია, ჩვენ საგანგებოდ ვიმსჯელეთ ბიუროზე. მაშინ, სხვათა შორის. ედპ-ს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ბიუროს გადაწყვეტილება ასეთი იყო, გართულების თავიდან ასაცილებლად (არც ერთი ფრაქციის წევრებს არა აქვთ სურვილი, რომ როგორღაც ჩართული აღმოჩდნენ ამ ურთიერთობებში, არც მე არა მაქვს ამის არანაირი სურვილი) რამდენი დეპუტატიც ჰყავს ედპ-ს, იმდენ 100 ლარს მიიღებდა. ამ სისტემით იმუშავა ანგარიშგებამ ერთი თუ ორი თვე და მერე ედპ-მ ძალიან კატეგორიულად დასვა საკითხი, მთელი ფული ჩვენ უნდა გადმოგვერიცხოსო. საკითხი გახდა სადაო და იმის შემდეგ არც ერთი ფრაქცია აღარ იღებს ამ ფულს. ეს გაგრძელდება იქამდე, ვიდრე არ შეთანხმდებიან და რაღაცა გადაწყვეტილებამდე არ მივლენ. სხვათა შორის, ბიურომ დაავალა პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს, მიიღოს რეკომენდაცია და მოგვცენ წინადადებები. გარწმუნებთ, რომ ეს არ გახლავთ ჩვენი პრობლემა.

კითხვა: საგაზაფხულო სესიის მიმდინარეობისას თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველოს კლანები მართავენ და მაინტერესებს, თუ შეიცვალა რაიმე ამ მხრივ და მეორე შეკითხვაც, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ლიდერის, ბატონ ნოდარ ნათაძის მტკიცებით 80-იანი წლების დასასრულს, თქვენ ხელმძღვანელობდით პარტიას, რომელიც რუსეთის სუკმა შექმნა, მაინტერესებს თქვენი კომენტარი.

ზურაბ ჟვანია: რაც შეეხება კლანებს და შეიცვალა თუ არა რაიმე, ჩემი განცხადებით ასე მალე რომ იცვლებოდეს ვითარება, გარწმუნებთ, გაცილებით მეტ განცხადებას გავაკეთებდი, ვიდრე ვაკეთებ დღეისათვის. რა თქმა უნდა, ვითარება რჩება ძალიან რთული, კორუფციის პრობლემა არსად წასულა და ცალკეულ კლანებს მართლაც საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ ყველა იმ პროცესზე, რაც მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში. ეს საკითხი მოითხოვს მართლაც ძალიან კომპლექსურ მიდგომას, კომპლექსურ ღონისძიებებს. აქ შეუძლებელია პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ საკადრო ცვლილებებით, ისევე როგორც შეუძლებელია ვილაპარაკოთ მხოლოდ იმაზე, რომ აუცილებელია შეიცვალოს სისტემა. ორივე მიდგომა უნდა ხორციელდებოდეს და მხოლოდ მაშინ შევძლებთ რაღაცა დროის შემდეგ დავიყვანოთ კლანური მმართველობის, კორუფციის პრობლემა იმ დონემდე, იმ საზღვრებში მოვაქციოთ, რაც მეტნაკლებად მოსათმენია დემოკრატიული ქვეყნისათვის. რაც შეეხება საკავშირო სუკის მიერ ჩვენი პარტიის შექმნის საკითხს. მე ძალიან ყურადღებით წავიკითხე. ჯერ იყო „ინტერფაქსში“ განცხადება, სხვათა შორის, ძალი-

ან საინტერესო იყო ჩემთვის თავად ის გარემოება, რომ რატომღაც „ინტერ-ფაქსმა“ გაავრცელა ეს განცხადება ბატონ ნათაძისა. „ინტერფაქსი“ საკმაოდ სპეციფიკური სააგენტოა და ეს ნამდვილად ძალიან საყურადღებო ასპექტი გახლდათ ჩემთვის. რატომ ამ პერიოდში, ამ მომენტში, ამიტომ, გულახდილად გეტყვით მე ველოდები, რომ 31 ივლისამდე კიდევ არაერთი ასეთი განცხადება გაიჟღერებს სხვადასხვა მხრიდან. ფაქტია, რომ ბოლო ორი თვის განმავლობა-ში თქვენი მონამორჩილიც და, მთლიანად ის გუნდიც, რომელიც არის შევარდ-ნაძის გარშემო, გახდა ყოველგვარი ბინძური ცილისწამებისა და თავდასხმის ობიექტი. ამას ჩვენ შეგუებულნი ვიყავით თავიდანვე, ეს გასაგებია იმიტომ, რომ ჩვენ ავიღეთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა როგორც ძალიან მნიშ-ვნელოვანი საშინაო საკითხების მოგვარებაზე და უკანდახევას არ ვაპირებთ, ისე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაზე ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობების მოგვარების თვალსაზრისით.

„ინტერფაქსის“ განცხადების შემდეგ მე წავიკითხე ნათაძის ინტერვიუ გა-ზეთ „საქართველოში“ და უნდა გითხრათ, რომ თუ თავიდან ცოტა გაბრაზე-ბული ვიყავი, მისი არგუმენტაციის გაცნობის შემდეგ ეს მოიხსნა საერთოდ. არ ვიცი, შეიძლება მწვანეთა პარტიის რომელიმე წევრმა მიმართოს სასამარ-თლოს, მე არ გამოვრიცხავ, მაგრამ ყველაფერი იმდენად სასაცილოდ ჟღერს და გამოიყურება, არ ვიცი, რა უნდა ვქნათ, ვამტკიცოთ, რომ ჩვენ არ შევუქ-მნივართ სუკს? ეს, მე მგონი, ცოტა სასაცილოა, კიდევ ვიმეორებ, ყოველივე ამას მე ვუკავშირებ იმ პროცესებს, რომელიც დაწყებულია აფხაზეთთან მი-მართებაში და პირველ ყოვლისა, ჩვენს გადაწყვეტილებას აფხაზეთიდან რუ-სეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე.

პრესკონფერენციის დასასრულს, პარლამენტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დამსწრე ჟურნალისტებს მობრძანებისა და პრესკონფერენციაში მონაწილეობისათვის.

პარლამენტის უწყებანი.
საქართველოს პარლამენტის ყოველკვირეული ჟურნალი.
9 ივლისი, 1997 წ. №29-30. გვ. 5-14

საქართველოს, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი რესპუბლიკის შესახებ, რომელსაც ძალიან ახალგაზრდები მართავენ

ბელგიის ყოველდღიურ გაზეთ „ლე სუარის“ შეკითხვებს უპასუხებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია.

თუ შეიძლება გვითხარით, როგორ ხდებიან 33 წლის ასაკში ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის, მწვანეთა პარტიის (პოსტ-საბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი პირველი) თავმჯდომარე, ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე და ამასთან, ერთ-ერთი მთავარი ორატორი ამ დიდ საერთაშორისო კონფერენციაზე, რითაც არის სწორედ განპირობებული თქვენი ჩამობრძანება ბრიუსელში.

ჩემი თაობის ჩართვა პოლიტიკურ ცხოვრებაში და ხშირად მნიშვნელოვანი პოსტების დაკავება ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია გარდამავალი პერიოდისა საქართველოში. ჩემი მოადგილე ჩემი ხნისაა, ჩენი ფინანსათა მინისტრი კი – 27 წლის.

და როგორი შედეგები აქვს ამ ფაქტს ფინანსებისათვის?

ბრწყინვალე შედეგები, ერთ-ერთი საუკეთესო პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის. ჩვენს გვაქვს სტაბილური ვალუტა, ინფლაცია დაახლოებით 10 პროცენტია და კონტროლირებადია. ეკონომიკურმა ზრდამ წელს ჩვენთან 14 პროცენტს მიაღწია.

უკვე დაიბრუნეთ წარსული ცხოვრების დონე?

ჯერ არა, კომუნისტების დროინდელი ბოლო წლების დონეს წელიწადში მივაღწევთ შემდეგ კი წინ წავალთ, და იმედი მაქვს, სწრაფადაც.

თქვენ გყავთ პრეზიდენტი, რომელიც სულ სხვა თაობას მიეკუთვნება და თქვენგან სრულიად განსხვავებული წარსული აქვს. როგორ მიდის თქვენი თანამშრომლობა 70 წლის ედუარდ შევარდნაძესთან, სსრკ-სა და გორბაჩოვის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრთან და საქართველოს კომპარტიის ყოფილ ხელმძღვანელთან?

სწორედ მან მოგვცა ბიძგი, მან გააღო პოლიტიკური ცხოვრების კარები და წააქეზა ახალგაზრდები, ხელში აეღოთ ქვეყნის სადავეები. გარკვეულწილად ის გვმფარველობს ჩვენ.

შევარდნაძე, რომელსაც კარგად იცნობენ დასავლეთში, ახლახან მართლმადიდებლად მოინათალა, არ გეჩვენებათ, რომ ეს ცოტა დაგვიანებულია? ეს თვალის ახელის შედეგია თუ პრაქტიკული ნაბიჯი?

იცით, ეს ბევრად მეტია, ვიდრე ტაქტიკა. ეს ძალიან პირადი ინტიმური საკითხია, რომლის ნაჩქარევი შეფასებაც შეუძლებელია. მაგრამ მე მგონია მაქვს უფლება ვთქვა, რომ მისი მოქცევა ერთ-ერთ ძირითად ასპექტს წარმოადგენს

ამ პიროვნების ევოლუციისა. მე შემიძლია დავადასტურო მისი ღრმა სწრაფვა ქრისტიანული ღირებულებებისადმი, ისინი დიდ როლს თამაშობენ მის პოლიტიკურ თვალთახედვაში.

როგორია მდგომარეობა თქვენს ქვეყანაში, რომელმაც ორი ეთნიკური ომი გამოიარა, კლანები, დაჯგუფებები, რომ არ ვთქვათ განგსტერები კვლავ ბატონობენ თქვენთან?

არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ კლანები და დაჯგუფებები ყოველთვის ბატონობდნენ ჩვენს ქვეყანაში. ეს სიმართლეს შეეფერებოდა მხოლოდ 3 წლის მანძილზე. კომუნიზმის შემდეგ და დემოკრატიის მოსვლის შორის პერიოდში, კომუნისტების რეჟიმის დროსაც კი კლანებს მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშიათ.

და ტერორი...

საქმე ის არის, რომ შევარდაძე, არჩეულ იქნა 1995 წელს, რათა სხვა მიზნებთან ერთად ქვეყნის ავტორიტეტიც აღედგინა. სტუმრები, რომლებიც საქართველოს ადრე იცნობდნენ და დღეს ჩამოდიან ჩვენთან სასწაულზე ლაპარაკობენ. ორგანიზებული დანაშაულობები მკვეთრად შემცირდა, მაგრამ ზოგადად ყველა დამკვირვებლის აზრით, საქართველომ ყველაზე არნახულ და ყველაზე სწრაფ პროგრესს მიაღწია დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

საქართველომ დაკარგა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, თავისი ტერიტორიის 20 პროცენტი. თქვენ შესთავაზეთ რამდენიმე სამხედრო ბაზა რუსებს მათი დახმარების სანაცვლოდ აფხაზური სეპარატიზმის ალაგმვის საქმეში, თუმცა, არაფერი შეცვლილა.

აფხაზეთი მთელი კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებისა და მშვიდობიანობის გასაღებია. მე ვიტყოდი, აგრეთვე, რომ ეს უმთავრესი პრობლემაა რუსეთისთვისაც. თუ მისი სეპარატიზმი არ აილაგმა, ეს შექმნის უკიდურესად საშიშ პრეცედენტს, განსაკუთრებით რუსეთისათვის. საყოველთაოდ არის ცნობილი რუსეთის ზოგიერთი რეგიონის სეპარატისტული მისწრაფებანი. აფხაზეთის მაგალითმა შეიძლება წააქეზოს კავკასიის სხვა პატარა ეთნოსები. ჩეჩნეთის უაზრო და სასტიკი ომიც საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ სანამდე შეიძლება მიგვიყვანოს ყოველივე ამან. ჩეჩნეთის მოქმედება პირდაპირ იყო შთაგონებული აფხაზეთის მოვლენებით.

და რუსეთი, რა როლს ითამაშებს ყოველივე ამაში?

ორაზროვანს და სახიფათოს. 1993 წელს, გამოყოფის პროცესის დასაწყისში, რუსეთმა აშკარად უარყოფითი როლი ითამაშა – ის ეხმარებოდა იარაღით და გვებრძოდა კიდეც. ახლა ვითარება შეიცვალა. მოსკოვმა, ჩემი აზრით გაიგო, რომ მდგომარეობა ძალიან სახიფათოა. მაგრამ ჯერ არ მისულა იქამდე, რომ ეს დასკვნები პოლიტიკური ქმედებით გამოხატოს, ან არ უნდა ამის გაკეთება.

ზემოქმედების ასეთ ინსტრუმენტზე ასე იოლად ვერ ამბობენ უარს.

ზუსტად ასეა, რუსეთს უნდა, საქართველო მისი გავლენის ზონაში დარჩეს, მაგრამ ამგვარი მეთოდებით ის საპირისპირო შედეგებს ღებულობს. აფხაზე-

თი მთავარი მიზეზია ამისა, რომ რუსეთმა დაკარგა ყოველგვარი ზეგავლენა საქართველოზე.

გიცდიათ თუ არა შეგეთავაზებინათ რუსეთისათვის სხვა სტრატეგია, კერძოდ კასპიის ზღვის უზარმაზარი სიმდიდრეების ექსპლუატაციის კონტექსტში?

ჩვენ შევთავაზეთ რუსეთს, გამხდარიყო ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი კავკასიაში, ეთამაშა მომწესრიგებელი სახელმწიფოს როლი. წილი დაედო დღეიდან უკვე მრავალრიცხოვანი პროექტების შემუშავებაში. რომელიც კასპიის ზღვას შეეხება, კერძოდ, ნავთობისა და გაზის გადაზიდვის საკითხში. ამჟამად ჩვენ მოწმენი ვხდებით უძველესი და ლეგენდარული აბრეშუმის გზის XXI საუკუნისეული ვერსიის განხორციელებისა. ეს საერთაშორისო პროექტი მართლაც დიდებულია, ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციის მშვენიერი სტრუქტურაა არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ ევროპასა და აზიას შორის. სამწუხაროდ, რუსეთს, რომელიც შეიძლებოდა ძირითადი პარტნიორი გამხდარიყო და მომწიფებულად ვერ ხედავს თავის როლს კავკასიაში, თავის ინტერესებს ვერ ითვალისწინებს ამ რეგიონში და, ამასთანავე არც საშუალებები გააჩნია მათ განსახოციელებლად.

არც ჩეჩნეთში?

სამწუხაროდ, არა. მე მგონია, რომ ახლა მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ შევწყვიტოთ ყოველგვარი პოლიტიკური დებატები და მთელი ძალისხმევა მივმართოთ დინამიკური ეკონომიკური თანამშრომლობისაკენ, რომელიც ამჟამად გაყინულია.

რისი გაკეთება შეუძლია ევროპას თქვენთვის?

ევროპა, თავისი ღირებულებებით მთავარი ორიენტირია და, საბოლოო მიზანი ამ სფეროში სრული კონსენსუსია. ჩემი თაობის ხალხიც კი მოესწრო ჩვენი ქვეყნის ისტორიის ტოტალიტარულ და კლანურ პერიოდს, ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ავირჩიეთ დემოკრატია. ევროპამ უნდა იცოდეს ეს და არ გაფლანგოს ეს კაპიტალი.

6 ოქტომბერი. 1997 წელი.
„საქართველოს რესპუბლიკა“.
10 ოქტომბერი, 1997 წ. №252 (2625). გვ. 1-2

როცა გამსახურდიას ხელისუფლების ძალით დამხობის წინააღმდეგ მიმართვა გავავრცელეთ, მას ხელი მხოლოდ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ მოაწერა

ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიასთან

როგორ იმოქმედა თქვენზე კარიერის ასეთმა სწრაფმა აღმასვლამ? როგორი გახდით მეგობრებისათვის, ახლობლებისათვის, ნათესავებისათვის?

რაც შეეხება ურთიერთობებს მეგობრებთან და ახლობელთან, მე მგონი, ისინი ფიქრობენ, რომ არანაირად არ შეცვლილა ჩვენი ურთიერთობები. ერთადერთი რაც მოხდა, სამწუხაროდ ისაა, რომ იშვიათად გვაქვს საშუალება, შევხვდეთ ერთმანეთს. სხვა მხრივ, ბუნებრივია, მე ყოველთვის მათთვის ვარ მეგობარი, პირველ ყოვლისა და არა პარლამენტის თავმჯდომარე ან პოლიტიკური მოღვაწე.

თქვენი თანამდებობა აშკარაა იზიდავს ნათესავებს და ახლობლებს, რომლებსაც ესა თუ ის პრობლემა აწუხებთ, დახმარება სჭირდებათ, როგორ ახერხებთ, ერთის მხრივ თანამდებობის გამოყენებას მათ დასახმარებლად, თუ ასეთი მომხდარა, და ამასთან ერთად, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის თავის არიდებას?

არ ვიცი, რამდენად დაიჯერებთ, მაგრამ პირველი დღიდანვე რაც თავმჯდომარე გავხდი, პრაქტიკულად ვერ გავიხსენებ ვერც ერთ შემთხვევას, რომ ვინმეს ჩემთვის ეთხოვოს საქმის ჩაწყობა. დედაჩემი და ჩემი მეუღლე ყოველდღიურად აუარებელ მთხოვნელს იღებენ, მაგრამ ეს უმეტესად სრულიად უცნობი ხალხია ან შორეული ნაცნონები, რომლებიც უმძიმეს მდგომარეობაში არიან. არის ავადმყოფის მკურნალობის საკითხები ან უშემოსავლო ხალხი. ასეთ საკითხებზე მართლაც მიხდება მუშაობა.

ამბობენ ბავშვობაში საკმაოდ დინჯი და წყნარი მოსწავლე ყოფილხართ. თქვენი კლასელები როგორ შეხვდნენ თქვენს ახალ თანამდებობას?

ძალზე დინჯის და წყნარის რა მოგახსენოთ, თუმცა თავზეხელაღებული ვიყავიო ვერც ამას ვიტყვი. მაგრამ საკმაოდ თავისუფალი ბავშვობა მქონდა. ძალიან ბევრს დავდიოდი ხოლმე მეგობრებთან ერთად და ჩარჩოებში არ ვმჯდარვარ არც სკოლის პერიოდში და მით უფრო, არც მის შემდეგ. მე მგონი ჩემმა კლასელებმა ეს ცვლილება ჩემს ცხოვრებაში საკმაოდ ნორმალურად მიიღეს. ჩემს კლასელებს შორის ბევრი ხელოვანი, ექიმი და მეცნიერია. ასე რომ ბევრმა მიაღწია წარმატებებს ამ სფეროში.

ბოლო საპარლამენტო არჩევნებამდე თუ გიფიქრიათ პარლამენტის თავმჯდომარეობაზე, პრეზიდენტობაზე და მსგავს მაღალ თანამდებობებზე?

რაღაც კონკრეტული თანამდებობის დაკავებისკენ მიმართული ნამდვილად არ ყოფილა ჩემი საქმიანობა, მაგრამ ცხადია, როცა პოლიტიკაში ხარ ჩართული, იცი, რომ მიზანია მოიპოვო ის ბერკეტები, რომლებითაც შეგეძლება განახორციელო შენი შეხედულებები და შენი პროგრამა. აქედან გამომდინარე, ჩემი მეგობრებიც და მეც შინაგანად ვემზადებოდით ამ პასუხისმგებლობის ასაცილებლად.

ზვიად გამსახურდიას საქართველოდან განდევნის შემდეგ ხელისუფლებაში ედუარდ შევარდნაძე რომ არ მოსულიყო დღეს თქვენ იქნებოდით პარლამენტის თავმჯდომარე, და საერთოდ რა მომავალი გქონდათ თუ შევარდნაძე არ ჩამოვიდოდა ან თუ გამსახურდია გაიმარჯვებდა?

ჩემთვის ძნელია იმის პროგნოზი თუ რა მოხდებოდა საქართველოში რომ დარჩენილიყო ზვიად გამსახურდია, მაგრამ რაც შეეხება იმას, გამსახურდიას ჩამოგდების შემდეგ შევარდნაძე რომ არ ჩამოსულიყო, სურათს ძალიან ნათლად ვხედავ. ეს ქვეყანა იქნებოდა დაახლოებით იმავე მდგომარეობაში ან უარესში, როგორშიც დღეს არის ტაჯიკეთი ან ავღანეთი. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო დაქსაქსული იქნებოდა რამდენიმე ერთმანეთთან დაპირისპირებულ და მუდმივ საომარ მდგომარეობაში მყოფ წარმონაქმნად და არ ექნებოდა თითქმის არანაირი შანსი, აღედგინა რეალურად საკუთარი სახელმწიფოებრიობა და ბუნებრივია ამგვარ პირობებში არც ჩემთვის და არც მრავალი ჩვენი დღევანდელი ოპოზიციონერისათვის არ იარსებებდა სამოქმედო ასპარეზი. ჩემი ადგილი ამ საზოგადოებაში არ იქნებოდა, მე ვგულისხმობ როგორც საკუთარ თავს და ჩემს მეგობრებს, ასევე (ხაზს ვუსვამ) ჩვენი ოპოზიციის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც აღმოცენდნენ და შეუძლიათ ფუნქციონირება მხოლოდ დემოკრატიული საზოგადოების პირობებში.

თბილისის ომის დროს თქვენ რა პოზიცია გეკავათ? მხარს უჭერდით გამსახურდიას ძალით ჩამოგდებას?

აბსოლუტურად არა. ძალიან კარგად მახსოვს 21 დეკემბერს, როცა დაიწყო ეს მოვლენები, ჩვენ, მწვანეებს გვქონდა უკიდურესად მძაფრი პოზიცია ამ მოვლენებისადმი. 22 დეკემბერს დილიდან შევხვდი რამდენიმე პარტიის ხელმძღვანელს და გვინდოდა გაგვეკეთებინა ერთიანი მიმართვა, რათა დაუყონებლივ შეწყვეტილიყო ასეთი ძალადური მოქმედებები. შეწყვეტილიყო ცეცხლი და გვეპოვა კომპრომისი მოლაპარაკებების გზით. საბოლოოდ, მახსოვს, რომ მიმართვას ხელი მოაწერეს მხოლოდ ილია ჭვაჭავაძის საზოგადოებამ და მწვანეებმა. მაშინ არც ტელევიზია მუშაობდა და არც გაზეთები გამოდიოდა. კარგად მახსოვს, გვქონდა ძველი ქსეროქსი, რომელიც ხარვეზებით აკეთებდა ასლებს. ამ ქსეროქსზე გადავამრავლეთ ეს განცხადება და ვაკრავდით ქალაქის ქუჩებში, რითაც გამოვიწვიეთ გულისწყრომა როგორც კიტოვანის, ასევე გამსახურდიას მომხრეებს შორის. დღეს ძალიან მიღებულია ამ თემაზე საუბარი. ყველა ამბობს, რომ აი ჩვენ ვიყავით წინააღმდეგი

ამ საბრძოლო მოქმედებებისო, მაგრამ რეალურად მახსოვს, რომ ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს ჭავჭავაძის საზოგადოებამ და ჩვენმა პარტიამ. თუმცა ალბათ შინაგანი პროტესტი სხვებსაც ჰქონდათ.

იქნებ დღეს შევაფასოთ თბილისის მოვლენები და დავარქვათ სახელი, რა იყო ეს, სამოქალაქო რევოლუცია თუ სახელმწიფო გადატრიალება, თუნდაც იმიტომ, რომ მომავალში იგივე არ გაგიმეორონ თქვენც?

როგორც მოვლენა, მინდა ვთქვა, რომ ეს იყო ძალიან უარყოფითი მოვლენა ჩვენს ისტორიაში. ფაქტია, რომ ეს იყო არსებული ხელისუფლების, არჩეული პრეზიდენტის დამხობა, მეორეა, რომ ეს გადატრიალება შესაძლებელი გახდა, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის თავად იმჟამინდელ ხელისუფლებას. რა თქმა უნდა, აქ ძალზე დიდი როლი შეასრულეს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმა, სამხედრო შენაერთებმა, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა გარკვეული მომარაგება, მაგრამ გადამწყვეტი მე მგონი მაინც ის იყო, რომ საზოგადოებაში არსებობდა ძალიან სერიოზული პროტესტის გრძნობა ხელისუფლების მიმართ, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც ქმნის ამინდს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დღეს ძალიან მიღებულია ამ თემასთან დაკავშირებით კეკლუცობა. პრაქტიკულად იმჟამინდელი მოვლენების ყველაზე აქტიური მონაწილენიც კი დღეს დაახლოებით ასეთ შეფასებებს იძლევიან, მაგრამ ვამბობ, რომ ხელისუფლების ძალადობით დამხობა ნებისმიერი ქვეყნისათვის ძალიან სახიფათო პრეცედენტია.

როგორ ფიქრობთ, გამსახურდიას რომ გაემარჯვა ამ ომში, შეეძლო მას ქვეყნის აღმშენებლობა ან დემოკრატიული საზოგადოების შექმნა?

მე ვფიქრობ, რომ ამ პერიოდისათვის გამსახურდიას ხელისუფლება სერიოზულ ჩიხში აღმოჩნდა. ამას თავისი ობიექტური მიზეზებიც ქონდა. შეიძლება იმიტომ რომ ხელისუფლებაში ჭარბობდა ზედმეტი რომანტიკულ-იდეალისტური დამოკიდებულება. არ იყო გაცნობიერებული ის რეალური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს ნებისმიერ საზოგადოებაში პროცესების მიმდინარეობას. ძალიან სერიოზულად იყო გამჯდარი პოპულიზმის ელემენტები. ალბათ ამ სცენებში ყველაზე სწორი გამოსავალი იქნებოდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა. სხვათა შორის, ლიბერალური ოპოზიციის საგრძნობი ნაწილი სწორედ ამგვარი მოთხოვნებით გამოვდიოდით 1991 წლის სექტემბრიდან მოყოლებული. თუმცა, მეჩვენება, რომ ამჟამად ყველანი აღმოვჩნდით თოჯინებივით იმ ძალის ხელში, რომელსაც საკმაოდ კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ამგვარი ფართომასშტაბიანი სისხლიანი სამოქალაქო კონფრონტაციის გზით საქართველო დადგებოდა სრული დაშლის საშიშროების წინაშე და ამას, მე ვფიქრობ, ცოტანი ვაცნობიერებდით მთელი სიცხადით.

აქ თქვენ გულისხმობთ ზემოთ ნახსენებ სპესამსახურებს?

კი ბატონო.

სპეცსამსახურები მაშინ შესაძლოა ჰყოლოდა საბჭოთა კავშირს. იმ დროისათვის საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა.

არა, იმ დღეებში მოიშალა. ეს ის ძალებია, რომლებზეც მიღებულია საუბარი, ე.წ. რეაქციული ძალები, რომელთათვისაც მაშინაც და დღესაც წარმოუდგენელი იყო და არის დამოუკიდებელი და სრულფასოვანი საქართველოს სახელმწიფოს არსებობა.

დღეს თქვენ ნანობთ მაშინ რა პოზიციაზეც იდექით?

არა. სხვათა შორის, მე არ გავურბივარ ჩემი შეცდომების აღიარებას და არა მგონია, რომ ჩვენ, მწვანეებმა, რაიმე სერიოზული პოლიტიკური შეცდომა დავუშვით. რაც შეეხება შეიარაღებულ კონფრონტაციას, ჩვენ საკმაოდ მკვეთრად მოვახდინეთ საკუთარი თავის დისტანცირება ამ მოვლენისაგან.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე შევარდნაძემ აქტიურად დაიწყო საუბარი ეროვნულ შერიგებაზე. რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას თქვენი აზრით საბოლოო შერიგებისაკენ. თუ ფიქრობთ, რომ შერიგება უკვე მოხდა?

მე მგონი ეს ძირითადში უკვე განვლილი პრობლემაა. რა თქმა უნდა, არის საზოგადების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ძალზე პატივსაცემი და სამშობლოს წინაშე დამსახურებული ადამიანები, ვინც თავს საკმაოდ გაუცხოებულად მიიჩნევენ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებისაგან. სწორედ ამ ნაწილს გულისხმობდა პრეზიდენტი 1992 წლის ცნობილი მანიფესტის შექმნისას და დღესაც უბრუნდება ამ იდეას, როდესაც საუბრობს საბოლოო გამთლიანების აუცილებლობაზე. თუმცა საბოლოო გამთლიანობაში მე ვგულისხმობდი აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემების მოგვარებას.

იქნებ ჯობდა ციხიდან გამოგეშვათ პოლიტიკური ოპონენტები?

როგორც თქვენ იცით, რამდენიმეზე გავრცელდა შეწყალება პრეზიდენტის მხრიდან და ესენი არიან ის პიროვნებები, რომელთა მიმართ არ არსებობდა სერიოზული კრიმინალური ბრალეულობები. პარლამენტმა პრეზიდენტის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვინც სასამართლოს მიერ მხილებულია სერიოზულ დანაშაულში ქვეყნის თუ ცალკეული პიროვნებების მიმართ. ალბათ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მსჯელობა, რამდენად მიზანშეწონილი შეიძლება იყოს ამა თუ იმ პიროვნების საბოლოო ამნისტირება.

ბოლო დროს პარლამენტი მიიჩნევა საქართველოში დემოკრატიის ძირითად დამამკვიდრებლად. თქვენ თვითონ გჯერათ, რომ საქართველოში დემოკრატია გაიმარჯვებს?

პირადად მე საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ჩვენ გვაქვს რეალური შანსი, რომ საქართველოში შევქმნათ სრულფასოვანი, მართლაც განვითარებული დემოკრატიული საზოგადოება. მაგრამ საპირისპირო ხიფათიც საკმაოდ სერიოზულია. ჩვენ ჯერ არ დაგვიძლევია იმის საშიშროება, რომ საქართველო საბოლოოდ კლანური მმართველების ქვეყნად გადაიქცეს. არ დაგვიძლევია იმის საშიშროება, რომ მორიგი ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაციის შედეგად ჩვენ დავუბრუნდეთ ქაოსს და ანარქიას. სამოქალაქო მშვიდობა, სტაბილურობა და გარკვეული ეკონომიკური ზრდა, რომელსაც

ავად თუ კარგად მივაღწიეთ ჩვენს ქვეყანაში, ძალზე მყიფეა. საკმაოდ სერიოზულია ის ფაქტორები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ამ მყიფე და ახალგაზრდა წარმონაქმნის განადგურება. ამით მინდა ვთქვა, რომ თითოეულ ჩვენგანს, არამარტო პოლიტიკოსებს, გვმართებს რეალური სიფხიზლე და სიფრთხილე, უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს ჩვენი მომავალი ჩვენზეა დამოკიდებული.

და რატომ მაინცდამაინც პარლამენტი?

რაც შეეხება პარლამენტს, დღეს ძალიან მიღებულია და მასმედიის საყვარელი თემაა, პარლამენტზე გადატყეს ყოველგვარი ჯოხი. ზოგიერთი დეპუტატი ლანძღავს აგინებს და ტალახში სვრის პარლამენტს, მაგრამ რა თქმა უნდა მიუხედავად ხარვეზებისა და ნაკლისა, პარლამენტი რჩება დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიად და სწორედ აქ, პარლამენტში იქმნება ბევრი პრეცედენტი, რომელთა ძალითაც დემოკრატიული პროცესები ჩვენს ქვეყანაში უნდა გახდეს შეუქცევადი. პარლამენტი გახდა პირველი კარგახსნილი სახელმწიფო უწყება, რომელიც შეიძლება გარკვეული პრობლემებით, მაგრამ სულ უფრო გამჭვირვალე ხდება, თუნდაც ჟურნალისტებისათვის. პარლამენტში ყალიბდება არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის ტრადიციები. მე ვგულისხმობ, როგორც მესამე სექტორს, ასევე მას მედიას. პარლამენტი არის საზოგადოების ინტერესების ყველაზე აქტიური დამცველი. სხვადასხვა უწყებებთან საზოგადოების შესაძლო დაპირისპირების შემთხვევაში, მე ვგულისხმობ როგორც ძალისმიერ სტრუქტურებს, ასევე სხვა მიზეზებს, ცოტას თუ ახსოვს, რამდენი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომლითაც თანმიმიდევრულად იზღუდებოდა სახელმწიფო ბიუროკრატიული ინსტიტუტების მოღვაწეობა. ამ თემაზე უსასრულოდ შეიძლება ლაპარაკი. იქნება ეს სასამართლო რეფორმა, ადამიანის უფლებები, აგრარული რეფორმა თუ სხვა საკითხები. მე ვიცი, რომ საქართველოში თქვენი მკითხველისათვის შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ მე ნამდვილად მეამაყება, როდესაც უცხოელი დამკვირვებლის ერთმნიშვნელოვანი შეფასებით საქართველოს პარლამენტი ითვლება უნიკალურ საკანონმდებლო ორგანოდ მთლიანად მთელ აღმოსავლეთ ევროპაში და უნიკალურია იმით, რომ ის არის ინიციატორი რეფორმისტული პროცესების და არა რეფორმატორული წინადადებების შემაფერხებელი. ამ თვალსაზრისით ჩვენ საინტერესო თანამშრომლობა გამოგვდის პრეზიდენტთან.

სულ მალე ორი წელიწადი შესრულდება, რაც ეს პარლამენტი იქნა არჩეული. თქვენ კმაყოფილი ხართ ამ პარლამენტის მუშაობით?

მსაყვედურობენ, რომ რაოდენობრივი მონაცემები არაფერს ნიშნავს, მაგრამ სექტემბრიდან დღემდე თითქმის 90-მდე კანონი მივიღეთ. მათ შორის არის ბევრი კანონი, რომელიც სრულიად ტექნიკური შესწორებების ხასიათს ატარებს. მაგრამ ჩვენ ვიღებთ ურთულეს კანონებს. ამის მიღმა დგას უამრავი ადამიანის, დეპუტატების, ექსპერტების, სამინისტროების წარმომადგენლების რეალური ღამისთევა, დღეები და კვირები დაძაბული შრომისა. ნუთუ ეს არაფერი არ არის. რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს აუარებელი ხარ-

ვეზი და ჩემზე უკეთ ვფიქრობ, საქართველოში არავინ იცის, რა ხარვეზები გვაქვს. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მართლაც ნაჩქარევი და მოუმზადებელი გადაწყვეტილებები მიგვიღია. ვერ ვიტყვი ვერც იმას, რომ პარლამენტი მთლიანად დაცული იყოს ამა თუ იმ კერძო და ჯგუფური ინტერესების ლობირებისაგან, მაგრამ, მთლიანობაში ვფიქრობ, რომ ჩვენი პარლამენტი ძალზე მნიშვნელოვან და დადებით როლს ასრულებს.

(გაგრძელება იქნება)

გაზ. „ახალი თაობა“. 22 ნოემბერი, 1997 წ. №322 (728). გვ. 1, 3, 6

უნდა იცოდე, რომელ კარს მიადგე

ზოგჯერ თვით დეპუტატები ამბობენ, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონები არასრულფასოვანია

ჩვენ ცაიტნოტში გვიხდება მუშაობა და ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ სულ ორი წელი გვქონდა საკანონმდებლო კორპუსის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ძნელია, რომ თუნდაც მე, ვთქვა, რომ ჩვენ მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება დაზღვეულია შეცდომებისგან და შემიძლია მოგიყვანოთ რამდენიმე შემთხვევა, როცა ჩვენ რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაგვიშვია, მაგრამ 25 ნოემბრის შემდეგ საქართველოში შეიქმნება სრულიად ახალი საკანონმდებლო გარემო და ჩვენი მოქალაქეები ახალი წესების მიხედვით იცხოვრებენ და იმოქმედებენ. დღეს ამ ფაქტს ძალიან ცოტა თუ აცნობიერებს, ძირითადად სპეციალისტები, რადგან კიდევ რამდენიმე თვე გავა მანამ, სანამ ამუშავდება ახალი სასამართლო სისტემა და ახალი საპროცესო სისხლის სამართლის კოდექსი, მაგრამ ყველა გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და დარწმუნებული ვარ, რომ სულ მოკლე ხანში თითოეული ჩვენი თანამოქალაქე იგრძნობს, რომ მისი თავისუფლების სფერო ბევრად გაფართოვდა.

მე ბევრ ჩემ კოლეგას ვუთხარი, რომ გაზაფხულზე ჩვენ შეიძლება კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ჩვენ მიერ მიღებულ მრავალ გადაწყვეტილებას და სადაც საჭირო იქნება, მივიღოთ შესწორებები. ნორმალურ ქვეყნებში პარლამენტის მუშაობის 90 % უკავია განუწყვეტილი შესწორებების შეტანას თითოეულ საკანონმდებლო აქტში.

ამგვარ შესწორებებს შორის ეტყობა იქნება ცვლილებების შესწორება კანონში პრესის შესახებ.

არა მარტო პრესის შესახებ. არამედ ნებისმიერ სხვა სფეროშიც.

იქნებ ჩამოვთვალოთ კონკრეტულად რა შეცდომები დაუშვით?

ჩვენ გვქონია გაუმართლებელი გადაწყვეტილებები, რომელთა გამოსწორება მოგვიხდა. მაგალითად, საგადასახადო სფეროში სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმების მიღებისას, იგივე პრესის კანონი. მე გულწრფელად ვიტყვი, რომ არ მეთაკილება იმის აღიარება, რომ ჩვენ ხელახლა გადავხედავთ ჩვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

რამდენად არის დაცული საზოგადოება პარლამენტის მმართველი ძალების მიერ საკანონმდებლო ხელისუფლების პირადი ინტერესების გამოყენების საშიშროებისაგან?

მე ძალიან გამიჭირდება მოვიყვანო პარლამენტის რომელიმე გადაწყვეტილება, რომელსაც საფუძვლად დაედო მოქალაქეთა კავშირის რაიმე კერძო ინტერესები. ოპოზიცია ძალიან ხშირად გვიკიჟინებს ამა თუ იმ საკითხის გარშემო, თუმცა ძალიან იშვიათად გვთავაზობს ჩამოყალიბებულ, კონკრეტულ,

ალტერნატიულ წინადადებებს, ასე რომ, ლაპარაკი, თითქოს უმრავლესობა თავის ინტერესებს ემსახურება სულიად არასწორი იქნება. ცხადია, ჩვენ ჩვენს ინტერესებს ვემსახურებით, მაგრამ უმთავრესი ინტერესია დავარწმუნოთ ჩვენი ამომრჩეველი, რომ ჩვენ ვასრულებთ ჩვენს საარჩევნო პროგრამას და ვემსახურებით ამომრჩეველთა ინტერესებს.

თქვენ არასოდეს დაგიჩაგრავთ ოპოზიციის წარმომადგენელი?

როგორც წესი, ეს პირიქით ხდება. რადგან მოქალაქეთა კავშირში ძალიან ბევრი ჩემი პირადი მეგობარია, ხშირად მათი გამოსვლის დროის შეზღუდვის ხარჯზე ვახდენ სხდომის დროის ეკონომიას. სხვათა შორის, როდესაც სხდომა მიჰყავთ ჩემს მოადგილეებს, მოქალაქეთა კავშირის წევრებს უფრო მეტი თავისუფლება აქვთ. თუმცა, არის შემთხვევები, როცა განსაკუთრებულად პრინციპული საკითხები იხილება, როდესაც ცხადია, სპიკერის უფლებებს ვიყენებ იმისათვის, რომ არ იქნეს მიღებული ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩემი აზრით, სახიფათო იქნებოდა საზოგადოებისათვის. მაგრამ ამას ყოველთვის ვახორციელებ ჩემი უფლებების ფარგლებში. არა მგონია, რომელიმე ოპოზიციონერმა იჩივლოს, რომ მე ვზღუდავ მის უფლებებს.

რამდენად ტრადიციულია პარლამენტში ისეთი თაღლითობა დეპუტატების მხრიდან, როგორიცაა მაგალითად სხვისი პულტების გამოყენება?

ეს ვიცი, გარკვეულ გაღიზიანებას იწვევს საზოგადოებაში. მაგრამ ეს პრობლემა არსებობს უკლებლივ ყველა დემოკრატიულ პარლამენტში. სხდომის დროს სავსე დარბაზები არსებობს მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც დეპუტატებს ეშინიათ არსებული ხელისუფლების.

როგორც ვიცი, დეპუტატი, რომელიც ხშირად აცდენს პარლამენტის სხდომებს, შეიძლება მკაცრად დაისაჯოს.

კი, არის გათვალისწინებული ნორმა, რომლის მიხედვით, გარკვეული გაცდენების შემდეგ შეიძლება დაისვას საკითხი დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

ასლან აბაშიძე თითქმის არასდროს დასწრებია პარლამენტის სხდომებს. მის მიმართაც იმოქმედებს ეს ნორმა?

ეს განსაკუთრებული შემთხვევაა და ბუნებრივია, არავის უფიქრია ამ ჭრილში განიხილოს დასწრება-არდასწრების საკითხი.

მაგრამ კანონი ხომ ყველასთვის კანონია. ცუდ პრეცედენტს ხომ არ უშვებთ?

არანაირი სირთულე ამ თვალსაზრისით არ გვექნება.

არის მოსაზრება, რომ ფრაქცია აღორძინებიდან ერთი ჯგუფის გამოყოფა და შემდეგ მისგან პროუმრავლესობურად განწყობილი ფრაქცია „მამულის“ ჩამოყალიბება მოქალაქეთა კავშირისა და პირადად თქვენი დამსახურებით მოხდა. იქნებ მართლაც თქვენი რეკომენდაციებით გამოეყო ფრაქცია აღორძინებას ეს ჯგუფი?

ვფიქრობ ამ კითხვით უნდა მიმართოთ თავად ფრაქცია „მამულის“ წარმომადგენლებს. ეს ფრაქცია უმრავლესობის კოალიციაში შედის და მოქალაქეთა კავშირისა და ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ისინი მყარად დგანან ჩვენს პოზიციაზე.

რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას ამა თუ იმ ფრაქციის დაშლაში, რა თქმა უნდა არის მთლიანად გამოგონებული და ცილისმწამებლური განცხადებები, რის შესახებაც არაერთხელ მითქვამს, ისევე როგორც ფრაქცია „მამულის“ წარმომადგენლებს. თუ მსაყვედურობენ, რომ მე ვმეგობრობ ედუარდ შევარდნაძესთან და ფრაქციის სხვა წარმომადგენლებთან, ვფიქრობ, ეს უხერხული საყვედურია, რადგან მე ბევრი მეგობარი მყავს ჩვენს საკმაოდ ხმაურიან ოპოზიციაში და პრობლემები არ მექმნება. მე ყოველთვის ვაფრთხილებდი ყველას, რომ მცდელობა სხვადასხვა ხრიკით, მანიპულაციებით, გარიგებებით დაიშალოს უმრავლესობა, იქნებოდა უშედეგო. მე საკმაოდ კარგად ვფლობ ინფორმაციას, რა პროცესები მიმდინარეობს პარლამენტში და ვიტყვი, რომ ამ მიზანს ვერავინ მიაღწევს. არადა, ერთი წლის წინ იყო ამისი ძალიან სერიოზული მცდელობები. ჩვენ ნამდვილად არ დაგვიწყია არავის გადაბირება ეს შეგიძლიათ მოიკითხოთ ჩვენს მოწინააღმდეგეთა ბანაკში, რომლებიც მეთოდებს არ იშურებენ, მათ შორის, ჩვენი ფრაქციის წევრების ინსპირირებული გაყვანა. ვგულისხობ მათ, ვინც ამა თუ იმ მოღვაწის თხოვნით შევიყვანეთ ჩვენს ფრაქციაში.

როგორ ფიქრობთ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ფრაქციებიც და პარტიებიც გაერთიანდებიან, თუ პირიქით – დაქუცმაცდებიან?

სერიოზული პარტიები ეცდებიან მოკავშირეების ძებნას, იმიტომ რომ საკმაოდ ძნელია გადააბიჯო არჩევნების ხუთპროცენტიან ბარიერს. ჩვენს პარტიას ეს პრობლემა არ გააჩნია, თუმცა, მართალი გითხრათ მე ვერ ვხედავ განსაკუთრებულ პერსპექტივებს მნიშვნელოვანი ალიანსების ჩამოყალიბებისა.

რამდენად ჩამოყალიბდა ჩვენთან მემარჯვენე-მემარცხენეობა, მაგალითად რამდენად შეძლებენ სოციალისტები მემარცხენე ბანაკის გაერთიანებას?

სოციალისტები რეალურად ყალიბდებიან როგორც ჩვენზე უფრო მეტად მარცხნივ მდგომი პოლიტიკური ძალა და ცუდს ვერაფერს ვხედავ, რომ შემდგომ არჩევნებში გვყავდეს გამოკვეთილი მემარცხენე ოპოზიცია, ისევე როგორც მემარჯვენე ოპოზიცია.

მემარჯვენე ძალები რატომ ვერ ყალიბდებიან ასეთი ინტენსივობით?

ვერ დაგეთანხმებით. ვფიქრობ, მემარჯვენე სპექტრმა ქართულ პოლიტიკაში უფრო ადრე დაიწყო ჩამოყალიბება. სხვა არის, რომ ამ პარტიებმა უფრო მეტად უნდა იზრუნონ სხვადასხვა ორგანიზებულ საკითხზე. დარწმუნებული ვარ, მემარჯვენე სპექტრი ქართულ პოლიტიკაში საკმაოდ სერიოზულად იქნება წარმოდგენილი.

არ გიფიქრიათ იმაზე, რომ ერთ დღეს შეიძლება გაიყოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების გზები?

აღმასრულებელ ხელისუფლებას სათავეში უდგას ჩვენი პოლიტიკური გუნდის ლიდერი, და ბუნებრივია, გამორიცხულია რომ ჩვენი ხედვები განსხვავებული იყოს. ეს არის გუნდი, სადაც შეხედულებები საკმაოდ ახლოს დგას ერთმანეთთან იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ვხედავთ საქართველოს მომავალს.

ცოტა ხნის წინ თქვენს შორის საკმაოდ სოლიდური დებატები გაიმართა. რამდენად ბუნებრივია, რომ თქვენ აკრიტიკებთ თქვენივე ჯგუფის ლიდერს?

რაიმე დაპირისპირებას და კონფრონტაციას ნამდვილად არ ჰქონია ადგილი. არც მინდა ჩემსა და პრეზიდენტს და არც უმრავლესობას და პრეზიდენტს შორის იყოს დაპირისპირება, თუმცა, კამათები ძალიან ხშირია. მართალი გითხრათ ეს გახლდათ თავად შევარდნაძის არჩევანი. მას ჰქონდა საშუალება ეთქვა – მოდით, გადაწყვეტილებები, რომლებსაც მივიღებთ, დავიცვათ.

ნუთუ არ შეიძლება დავუშვათ იმის ალბათობა, რომ ქვეყნის მეორე პირის და პრეზიდენტის გზები გადაიკვეთოს. მაგალითად მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში?

ეს სრულიად გამორიცხულია. განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნებთან მიმართებაში. მე, სხვათა შორის, მაქვს ჩემი პრინციპები, პოლიტიკის მიღმა ადამიანური ურთიერთობები და გულახდილად გეტყვით, რომ ჩემთვის უმთავრესი ამოცანაა, გავაკეთო ყველაფერი იმისათვის, რომ შევარდნაძემ შეძლოს პრინციპებით განახორციელოს თავისი პოლიტიკა საქართველოში. მე ვხედავ და დარწმუნებული ვარ, რომ ის არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია საბოლოოდ გაიყვანოს ჩვენი ქვეყანა სამშვიდობოს. ამას ძალიან იშვიათად ვამბობ, რადგან არ მიყვარს ამ თემაზე სპეკულირება.

რატომ აიღეთ ორიენტაცია ევროპაზე?

ქართველები თავისი წესით და მენტალიტეტით ევროპელები არიან. ერთადერთი ადგილი, სადაც ქართველები კარგად ვიქნებით, ეს ევროპული სივრცეა და მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო იქნება ამ ერთიან სივრცეში.

ნატოში გაერთიანებაზე რატომ არ ვლაპარაკობთ?

მე დარწმუნებული ვარ, რომ ნატო არის რეგიონული ურთიერთობების ის სისტემა, რომელმაც შეიძლება შექმნას ურთიერთობებისა და სტაბილურობის გარანტი ჩვენს რეგიონში. ეს როგორ მოხდება, ამას უახლოესი წლები გვიჩვენებს. ამ თვალსაზრისით ბევრი ნაბიჯი იდგმება და რაც შეეხება დღესვე რაიმეს მოთხოვნას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ არასოდეს არ უნდა დააკაკუნო იმ კარზე, რომელიც დღეს არ გაიღება, უნდა იცოდე, რომელ კარს, რომელ დღეს უნდა მიადგე.

რუსეთზე რატომ აღარ ვართ ორიენტირებული?

ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის ცალკეული უწყებები თუ მოღვაწეები მუდმივად დგამდნენ ნაბიჯებს, რომ საქართველოში დამკვიდრებულიყო უნდობლობა რუსეთის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, აქ ვგულიხმობ აფხაზეთს. ამას გარდა, საზღვრები. თავისთავად ის ფაქტი, რომ არ ხდება იგორ გიორგაძის გადმოცემა და სხვა მრავალი, ყველაფერი ეს ძნელს ხდის ვილაპარაკო, რომ რუსეთი დღეს ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა. მე ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შემეძლოს ამის განცხადება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მინიმუმ მივაღწიოთ მშვიდობიან თანაარსებობას რუსეთთან. ჩემი განცხადება არ უნდა გაიგოთ ისე, რომ ჩვენ ნაკლებად აქტიურად ვითანამშრომლოთ რუსეთთან.

ჩვენ ვალდებულნი ვართ, საერთო ენა გამოვნახოთ მათთან. ამაზე დამოკიდებულია ჩვენი ურთიერთობა ხვალ და ზეგ.

თქვენი სიტყვების შემდეგ კიდევ უფრო საეჭვოა რუსეთის სამშვიდობო მისია აფხაზეთში, ჩვენ რუსებს იმიტომ ვტოვებთ აფხაზეთში, რომ მათი იმედი გვაქვს, თუ არ გვსურს მოსკოვის გაღიზიანება და ვუტოვებთ მომრიგებლის სტატუსს?

მე ძალზე კრიტიკულად ვარ განწყობილი რუსეთის სამშვიდობო ძალების საქმიანობის მიმართ. აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში, მაგრამ, ამის მიუხედავად სამშვიდობო ძალები მაინც გამორიცხავს საომარი მოქმედებების განახლებას.

მოსახლეობაში ძნელად აღსაქმელია პოლიტიკური კომპრომისები, მოლაპარაკებათა რაუნდები და ა.შ. მათ რეალური შედეგები აინტერესებთ, რა უნდა გაკეთდეს, რომ მოსახლეობამ დაინახოს პროგრესი?

ჩემთვის ძნელია აფხაზეთის თემაზე საუბარი. რა თქმა უნდა, ჩვენი პოლიტიკა ძალზე არაპოპულარულია როდესაც ჩვენ მოვუწოდებთ მოთმინებისკენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბოლო დროს მოსახლეობა გაამართლებს იმ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენ ვატარებთ.

პრესამ თქვენი აზრით, რა როლი უნდა შეასრულოს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში?

პრესა, ისეთსავე როლს თამაშობს სახელმწიფოში, როგორც პარლამენტი – აღმასრულებელი ხელისუფლების, რომლის ფუნქციონირება უზრუნველყოფს ღია დემოკრატიული საზოგადოების არსებობას. ეს ტრადიცია თანდათან ყალიბდება. საქართველოში პრესასაც საკმაო გზა აქვს გასავლელი, რათა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს. დღესაც მას მედია ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს და მომავალში ეს როლი უფრო გაიზრდება.

თქვენ არ გეშინიათ თავისუფალი პრესის?

მე პრესას ყოველთვის აღვიქვამდი ჩემს მოკავშირედ და არაერთხელ მიგრძვნია მისი მხარდაჭერა. თუმცა, ძალიან მაღიზიანებს აშკარა შეკვეთილი სტატიები, რომლებიც ჩემს დისკრედიტაციას ისახავენ მიზნად.

კარიკატურებზე და კრიტიკულ წერილებზე არ ღიზიანდებით?

კარიკატურებზე ნამდვილად არ ვღიზიანდები. მაგრამ გამაღიზიანა, როცა დაიწერა სტატია, როგორ მკურნალობდა დედაჩემი ვიღაც მკითხავ ხალხთან. მე ასეთი სისულელეები მაღიზიანებს, რადგან ეხება ჩემს ახლობელ ხალხს. მე არ მინდა სიბინძურე შეეხოს ჩემი ოჯახის წევრებს.

გაზ. „ახალი თაობა“. 23 ნოემბრი, 1997 წ. №323 (729). გვ. 3-5

დაპირისპირება: არსებობს რაღაც ზღვარი

21 ოქტომბერს პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ გამართა ბრიფინგი, რომლის მიზეზადაც იქცა 19 ოქტომბერს აჭარის ტელევიზიით გადაცემული სკანდალური ინტერვიუ ბათუმის ყოფილ მერთან თამაზ ხარაზთან, რომელმაც განაცხადა, რომ თვენახევრის წინათ მასთან სახლში მივიდა ორი ახალგაზრდა და უთხრა, რომ ურეკში იბარებდა როსტომ დოლიძე. ავადმყოფობის მომიზეზებით, ხარაზი თავდაპირველად არ გაჰყვა მათ, მაგრამ სამი საათის შემდეგ მაინც წავიდა. ურეკში, სამთავრობო რეზიდენციად წოდებულ კოტეჯში, როსტომ დოლიძის გარდა, დამხვდა პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია; ბატონმა როსტომმა წამოიწყო საუბარი, თუ რა მდგომარეობაა დღეს აჭარაში, როგორ უნდათ მოკლე ვადაში აჭარის ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ და ბატონი ასლანი გადააყენონ. ბატონ ზურა ჟვანიას არავითარი რეაქცია არ გამოუხატავს, თითქოს ყველაფერს შეგუებული იყოო, – თქვა ინტერვიუში თამაზ ხარაზმა.

მისივე თქმით, ბატონ როსტომს ის პიროვნებებიც დაუსახელებია, რომლებიც პირდაპირ მათზე „მუშაობენ“.

ასეთი აზრებით იყო სავსე მთელი ინტერვიუ. ამასთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტთა მიერ დასმულ შეკითხვებში გაიჟღერა იმ აზრმა, რომ თითქოს აჭარაში უკვე მოუწოდეს ინტელიგენციას და მთელ მოსახლეობასაც, რომ არ დაუშვან კანონიერი ხელისუფლების ძალისმიერი გზით დამხობა. ამ მოარული ხმების რეალობად წარმოდგენა, ალბათ, მხოლოდ ღიმილის გამომწვევი შეიძლება იყოს, მაგრამ სულ მალე პრესის მეშვეობით ცხადი გახდა, რომ ბევრს ეს სრულიად საპირისპირო განწყობილებას უქმნის. პრესაში დაიბეჭდა ინფორმაცია, რომ ბათუმში მოეწყო საზოგადოებრიობის შეკრება, რომელსაც წარმართავდა მერიის მოვალეობის შემსრულებელი სმირბა. შეკრებილებმა გამოხატეს თავიანთი „მტკიცე“ ნება, რომ არ დაუშვებენ აჭარაში არჩევნების გზით მოსული კანონიერი ხელისუფლების დამხობის მცდელობას.

ცილისწამებებით აღსავსე ამ სიტუაციისათვის უთუოდ უნდა მოეფინა ნათელი ასლან აბაშიძის ტელეინტერვიუს, რომელიც 24 ოქტომბერს გადაიცა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით. მაგრამ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ გარკვევით და მკაფიოდ მხოლოდ ის თქვა, რომ სჯერა თამაზ ხარაზისა, ინტერვიუს „წარმოშობის“ მიზეზებზე საუბარს კი თავი აარიდა.

როგორც ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ბრიფინგზე ბრძანა, ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, მითუმეტეს რომ საქმეს საქართველოს პროკურატურა იძიებს, მანამდე კი გთავაზობთ ჩანაწერს ბრიფინგის მსვლელობის შესახებ.

ზურაბ ჟვანია: თქვენ ალბათ ხვდებით, რასთან დაკავშირებით ვმართავთ ბრიფინგს. მე ვთხოვე ჩემს პრესსამსახურს, რომ გაეშვა ნაწყვეტი იმ ინტერვიუდან, რომელიც მამხელს მე, ასე ვთქვათ, შეთქმულების ორგანიზებაში და ბუნებრივია, გადავწყვიტე გარკვეული განმარტებების გაკეთება ამ ფაქტთან დაკავშირებით. გუშინ მე ვისარგებლე შემთხვევით, რომ მქონდა შეხვედრა პრაიმ-ნიუსის წარმომადგენლებთან. გარკვეული განმარტებები გავაკეთე, მაგრამ აქ საქმე არ ეხება რიგით ცილისწამებას, და ამდენად, ვფიქრობ, საინტერესო იქნება გარკვეულად დამატებითი განმარტებები მოგცეთ მთელ ამ ისტორიასთან დაკავშირებით. საკმაოდ უჩვეულო მდგომარეობაში ვგრძნობ თავს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ შეჩვეული ვარ ცილისწამებას, თავდასხმებს ჩვენი მისამართით, ნამდვილად არ მგონია, თუ მომიხდებოდა განმარტებების გაკეთება იმასთან დაკავშირებით, ვარ თუ არა ტერორისტი და ვაწყობ თუ არა შეთქმულებებს. ახლა მთელ ამ საქმეს ორი მხარე აქვს, ფაქტობრივი მხარე და გარკვეული პოლიტიკური არსი ყველაფრისა, რაც ხდება. რაც შეეხება ფაქტობრივ მხარეს, მინდა, პირველ ყოვლისა, გითხრათ, რომ ადამიანს, რომელიც თქვენ ახლახან იხილეთ ეკრანზე, ხარაზს, პრაქტიკულად არ ვიცნობ. სახეზე როდესაც ვნახე, ვერ გავიხსენე საერთოდ თუ შევხვედრივარ, შემდეგ ჩემი სამდივნოს ხელმძღვანელმა შემახსენა, რომ ორიოდე წლის წინათ, როდესაც ჯერ არ ვიყავი პარლამენტის თავმჯდომარე, ასლან აბაშიძემ მიგვიწვია ერთ-ერთ შეკრებაზე, სუფრაზე, სადაც ესწრებოდა ხარაზიც. ეს იყო ერთადერთი კონტაქტი, რომლის დაფიქსირება, გახსენება მოვახერხე. ცხადია, განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ დავიბარეთ, სადღაც მეორე სართულზე შევხვდით და იქ იყო საუბარი, არის აბსოლუტური ტყუილი. მაგრამ ჩემთვის, პირადად, არის შემაშფოთებელი, რომ ამდენად უტიფრად ცილს სწამებენ სახელმწიფოს ერთ-ერთ ხელმძღვანელს, პარლამენტის თავმჯდომარეს. გუშინვე მივმართე განცხადებით საქართველოს გენერალურ პროკურორს და მოვითხოვე, რომ სასწრაფოდ მოხდეს ვითარების გამოძიება, აღიძრას ცილისწამების ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე. სურვილის შემთხვევაში არა მგონია, რაიმე პრობლემას წარმოადგენდეს საქმის ფაქტობრივი ვითარების გარკვევა. პიროვნება, ვინც არ უნდა იყოს ის, რომლის გადაადგილებას უამრავი ადამიანი ადევნებს თვალ-ყურს, მათ შორის თქვენ, ჟურნალისტები. თუ ლაპარაკია ჩემს ყოფნაზე ურეკში, მე ვრჩებოდი იქ, როგორც წესი, ღამეს ვათევდი ჩემს ოჯახთან ერთად, როდესაც ფოთში მიმდინარეობდა ბიუროს სხდომა. ვფიქრობ, თქვენი დახმარებითაც საკმაოდ მარტივად შეიძლება იმის დადგენა, შეიძლებოდა თუ არა ზურაბ ჟვანიას ჰქონოდა ვინმესთან შეხვედრები მალულად, სხვისგან დაფარულად. თუ მიაქციეთ ყურადღება, ეს ხდება დღის დაახლოებით 2-5 საათზე, ისე რომ, აქ პრობლემა თვითმხილველთა ნაკლებობისა ნამდვილად არ არსებობს.

ეს რაც შეეხება, ასე ვთქვათ, ფაქტობრივ მხარეს მე კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, რომ ბატონ ხარაზს არც ურეკში, არც ამ წლის განმავლობაში, არც ოდესმე ადრე რაიმენაირ ამგვარ ვითარებაში მე არ შევხვედრივარ და ერ-

თადერთი შეხვედრა გახლავთ ის, რომელიც შედგა ბატონ ასლან აბაშიძესთან ერთად 1995 წლის შემოდგომის დასაწყისში...

რაც შეეხება არსებით მხარეს. არსებითი მხარე გახლავთ ის, რომ, ბუნებრივია, ეს ადამიანი ასრულებს ან გარკვეულ დაკვეთას, ან გამოდის საკუთარი ინიციატივით, რათა ჩაიწეროს გარკვეული ქულები. მე არ ვიცი, ვის წინაშე და რისთვის. ფორმულა არის ძალიან მარტივი: აქამდე თუ იყო აბსტრაქტული საუბარი, რომ, აი, აჭარას რაღაც ემუქრება, ახლა მოხდეს ამის დაკონკრეტება და დაზუსტდეს იმ „მტრების“ მისამართი, ვინაობა, ვისაც აქვს ჩაფიქრებული ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაცია აჭარაში მართალი გითხრათ, რომ არა ეს გარემოება, ნამდვილად თავს შევიკავებდი გუშინდელი განმარტებების შემდეგ დამატებითი განმარტებების გაკეთებისაგან ჟურნალისტებისთვის. იმიტომ, რომ, პრინციპში, რაც მოხდა, ეს არის ერთ-ერთი რიგითი ცილისწამება, მაგრამ, ჩემი ვარაუდით, ეს ჩანაწერი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იმისათვის, რომ მოხდეს ვითარების ესკალაცია, შემდგომი დაძაბვა ურთიერთობებისა ბათუმსა და თბილისს შორის. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. ამიტომ ვთვლი, რომ აუცილებელია თავიდანვე საზოგადოება მაქსიმალურად სრულად ფლობდეს მთელს ინფორმაციას ამ ამბებთან დაკავშირებით.

მე წარმომიდგენია 2-3 ვარიანტი იმისა, თუ რა მექანიზმებით, რა გზებით შეიქმნა ამგვარი ჩანაწერი. დღეს თავს შევიკავებ საბოლოო კვალიფიკაციების გაკეთებისაგან, ვინაიდან უახლოეს დღეებში მოვლენათა განვითარება გამოაჩენს, გაკეთდა ეს საგანგებო დაკვეთით თუ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მეტნაკლებად ლოკალურ ინიციატივას. ვფიქრობ, არც ჩემთვის, არც საზოგადოებრიობისათვის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ამის შემდეგ უკვე საბოლოო კომენტირება ყოველივე მომხდარისა. უკანასკნელი შემიძლია დავუმატო, რომ თუ პროკურატურა საკმარისად აქტიურად არ იმოქმედებს, ვფიქრობ, უკვე შეიძლება დავსვა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ შეიქმნას საპარლამენტო კომისია, რომელსაც, ალბათ, სათავეში ჩაუდგება რომელიმე დამოუკიდებელი დეპუტატი, თავისუფალი და დამოუკიდებელი როგორც მმართველი პარტიისაგან, ისე შესაძლო სხვა დაინტერესებული პოლიტიკური ძალებისაგან. ისეთი დეპუტატები, რომლებიც სარგებლობენ უეჭველი ავტორიტეტით, არსებობენ ჩვენს პარლამენტში და მაშინ, ბუნებრივია, კომისიამ უნდა გამოიძიოს, არა მხოლოდ ამ ერთი კონკრეტული ცილისწამების ფაქტი, არამედ, საერთოდ, რა ხდება, რატომ ვცდილობთ, მუდმივად შევქმნათ პრობლემები ცარიელ ადგილზე, რატომ ვცდილობთ, შევქმნათ ისტორია საქართველოს ერთ-ერთ უმშვენიერეს რეგიონში. ეს არის ის, რისი თქმაც მინდოდა წინასწარი განცხადების სახით.

ბატონო ზურაბ, თქვენ გამორიცხავთ, რომ აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე სათავეში უდგას ამ პროვოკაციას და თუ ეს ასეა, მაშინ რა გზები იქნება დასახული თქვენს მიერ, რომ იგივე პრობლემები ბათუმსა და თბილისს შორის საბოლოოდ იქნეს გამორიცხული?

ზურაბ ჟვანია: მე მოგახსენეთ, რომ რამენაირი საბოლოო კომენტარებისგან იმასთან დაკავშირებით, თუ ვისი დაკვეთით შეიქმნა ეს ინტერვიუ, დღეს თავს ვიკავებ. მინდა ვთქვა, რომ საკმაოდ ძნელად წარმომიდგენია, პირადად ასლან აბაშიძე იყოს დაინტერესებული მსგავს ესკალაციაში, ურთიერთობის გამწვავებაში ცენტრსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის. არსებობს ხოლმე გარკვეული უთანხმოებები, კამათი ცალკეულ საკითხებზე, მაგრამ ის, რაზეც არის საუბარი ამ ინტერვიუში, მომასწავებელია სრულიად სხვა მასშტაბის ამბების და ცდება, მინდა ესეც გითხრათ, მხოლოდ საქართველოს ფარგლებსაც. ლაპარაკი არის იმაზე, რომ შევქმნათ ახალი სერიოზული კერა საქართველოზე სხვა ქვეყნების ზემოქმედებისა. მინდა გავიმეორო: ვისი დაკვეთით შეიქმნა ეს, ძალიან კარგად გამოჩნდება უახლოესი დღეების განმავლობაში.

ბატონო ზურაბ, არსებობს ისეთი ვერსია, რომ თითქოს რუსეთს სურს ბატონი ასლან აბაშიძე შეცვალოს სოსო გოგიტიძეთი. ამასთან დაკავშირებით მას სჭირდება ჯარის ჩაყენება ჩოლოქზე, რათა ხელი შეუშალოს, დავუშვათ, თურქეთის გავლენას საქართველოში და იქონიოს გარკვეული კონტროლი ევრაზიის დერეფანზეც და ნავთობზეც. რა კომენტარი შეგიძლიათ ამას გაუკეთოთ?

ზურაბ ჟვანია: მართალი გითხრათ, ნამდვილად არაფერი მსმენია ამის შესახებ და რუსეთს ჩემთვის არ უცნობებია (ირონიით – რედ.) რა გეგმები აქვს აჭარასთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში.

თამაზ ხარაზი ცნობილი სამეურნეო მუშაკია და იგი არასოდეს არ მონაწილეობდა პოლიტიკურ თამაშებში. თუ შეიძლება მითხარით, რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს მას, როდესაც თქვენ ბრალად გდებთ შეთქმულებაში მონაწილეობას?

ზურაბ ჟვანია: – მე უკვე მოგახსენეთ, მიზანი ნათელია, შეიქმნას ფორმალური საბაბი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის შემდგომი გამწვავებისა. ეს ცალსახად წარმოჩინდა, სხვა მიზანი არ შეიძლება არსებობდეს. რაც შეეხება იმას, თუ ვისი დაკვეთით მოქმედებს, მე უკვე ხაზი გავუსვი, რომ ეს გამოირკვევა უახლოეს დღეებში. მინდა ვთქვა, რომ თავისი აბსურდულობით ეს ბრალდებები შეიძლება შეედაროს იმ ეგრეთწოდებულ ბრალდებებს, რომლებსაც უყენებდნენ 30-იან წლებში.

ბატონო ზურაბ, თქვენი აზრით, რამდენად ხელსაყრელი მომენტია შერჩეული ბათუმსა და თბილისს შორის ურთიერთობის გამწვავებისათვის. ცნობილია, რომ სამიტი იმართება კიშინიოვში და საქართველოს განზრახული აქვს, დააყენოს აფხაზეთის საკითხი. სამშვიდობო ძალების გაყვანის საკითხიც კი, და საერთოდაც მწვავედ დგას საკითხი რუსეთის არა მხოლოდ სამშვიდობო ძალების, არამედ მესაზღვრეების და ჯარის სხვა ნაწილების საქართველოში ყოფნის საკითხიც. შესაძლებელია ამ ყველაფრის დაკავშირება ერთმანეთთან?

ზურაბ ჟვანია: ლაპარაკია საქართველოში დესტაბილიზაციის შექმნის შორს მიმავალ გეგმაზე. მე შემიძლია ვთქვა, აქ იგულისხმება იმ ხალხის აფო-

რიაქება, ვინც ვერ ეგუება საქართველოში საბოლოო სტაბილიზაციის დამკვიდრებას. მათ აფორიაქებთ ის, რომ იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ გადაწყდება აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნისა თუ სხვა საკითხები, ერთი რამ უკვე გამოიკვეთა, ქართველები და აფხაზები წავიდნენ ერთმანეთთან პირდაპირ დიალოგზე და თბილისსა და აფხაზ სეპარატისტთა ხელმძღვანელობას შორის დაძაბულობის სიმწვავე გარკვეულწილად განელდა. და ამ სიტუაციაში უნებლიედ ჩნდება აზრი, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც საჭიროდ მიიჩნევენ შექმნან დამატებითი კერები დაძაბულობისა, დამატებითი ბერკეტები საქართველოს სახელმწიფოზე ზემოქმედებისათვის.

ბატონო ზურაბ ჩვენ გვაქვს იმის გარანტია, რომ ხელისუფლება შეძლებს შეინარჩუნოს სტაბილიზაცია აჭარაში და არ მისცეს მას შემდგომი დესტაბილიზაციის განვითარება? და მეორე, რამდენად რეალური გგონიათ ასლან აბაშიძის არჩართვა ამ სკანდალში. თუ გავითვალისწინებთ, რომ აჭარის ხელისუფლება ყოველთვის აკონტროლებდა ტელევიზიას და ასეთი გასვლა ტელევიზიაზე გაუჭირდებოდა ადამიანს, თუ ის შეთანხმებული არ იქნებოდა ასლან აბაშიძესთან.

ზურაბ ჟვანია: საკმაოდ ლოგიკური შეკითხვაა. არ მიმაჩნია გამორიცხულად, ამ თეორიის შეთხზვა მოხდა ასლან აბაშიძის გარეშე, მისი გარემოცვის გარკვეული წარმომადგენლების მიერ. ჩემთვის არის დამაფიქრებელი ის, თუ რამდენად უტიფარ ტყუილზე წავიდნენ ამ ინტერვიუს ავტორები, თანაც მე ხაზი მინდა გავუსვა – ტყუილზე, რომლის მხილებაც საკმაოდ მარტივია. ამას სჭირდება ელემენტარულად ერთი გამომძიებელი არაგამომძიებელი სანდო პიროვნების ჩაჯდომა რამდენიმე დღის განმავლობაში და ნახვა, რომელ საათზე, როდის, სად, როგორ იყო პარლამენტის თავმჯდომარე. უამრავი ადამიანი არსებობს, ვისთვისაც ყველაფერი ნათელი და ცხადია, ვინც მოწმე იყო ჩემი გადაადგილებისა საქართველოს ამა თუ იმ ადგილას. ასე რომ, ამის პრობლემა არ არის. ესე იგი, რატომ იქნა შერჩეული ადამიანი, რომელსაც პრაქტიკულად არ ვიცნობ, რატომ იყო შერჩეული, ასე ვთქვათ, ის ვითარება, სადაც ძალზე ადვილია იმის მხილება, რომ არამც თუ ეს საუბარი, მსგავსი შეხვედრაც, პრინციპში, შეუძლებელი იყო, რომ შემდგარიყო. აი, ეს ჩემთვის არის დამაფიქრებელი, იმიტომ, რომ, კიდევ გავიმეორებ, არის ნამდვილად ოცდაათიანი წლების არსენალიდან ამოღებული მეთოდი, რომ მიმართო რაც შეიძლება უფრო, ასე ვთქვათ, უტიფარ ტყუილს, რათა მიაღწიო მაქსიმალურ ეფექტს. მე შემიძლია გითხრათ ერთმნიშვნელოვნად, ხელისუფლება გააკეთებს ყოველივეს, რათა არ იქნეს დაშვებული ვითარების სერიოზული გამწვავება აჭარაში და ყოველნაირად იზრუნებს იმაზე, რომ, ვინც არ უნდა ეცადოს, რა მეთოდებითაც არ უნდა ეცადოს, არ დაუშვას სერიოზული გაუგებრობის წარმოქმნა აჭარის მოსახლეობასთან. ვინც ფიქრობს ხოლმე აჭარის „კარტის“, ასე ვთქვათ, გამოყენებაზე საქართველოს წინააღმდეგ, ხშირად ავიწყდებათ, რომ აჭარა ტრადიციულად არის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი ერთ-ერთი ყველაზე ლოიალური, ყველაზე ერთგული რეგიონი და შემიძლია მთელი

გულწრფელობით ვთქვა, აჭარა რეალურად ყოველთვის იყო ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ბურჯი, გამომდინარე იქ მცხოვრები ადამიანების მენტალიტეტიდან. ამიტომ, მე გამოვრიცხავდი რაიმე იმგვარი სცენარების განხორციელებას რისი განხორციელებაც მოხერხდა საქართველოს სხვა კუთხეებში.

ბატონო თავმჯდომარეე, ალბათ, დამეთანხმებით, რომ სიტუაცია ძალზე არაორდინარულია. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბრალს სდებენ ხელისუფლების დამხობის მცდელობაში. გავიდა ორი დღე აჭარის ტელევიზიით ხარაზის გამოსვლის შემდეგ. თქვენ როგორღაც ცდილობთ გაარკვიოთ ასლან აბაშიძის პოზიცია. არ გიცდიათ დაკავშირებოდით პირადად მას? როგორია ედუარდ შევარდნაძის რეაქცია პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ წამოყენებულ ბრალდებაზე? და კიდევ ერთი რამ ამასთან დაკავშირებით. თქვენ ამბობთ, რომ ამ ისტორიის ძაფები შესაძლებელია საქართველოს ფარგლებს სცილდებოდეს. თქვენ გულისხმობთ მოსკოვს, აშხაბადს, მინსკს? და მეორე კითხვაც: მე ვეთანხმები ჩემი კოლეგების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დრო მართლაც ხელსაყრელი არის შერჩეული. კიშინიოვში დსთ-ს სამიტის კვირაძალი. მით უმეტეს, რომ საქართველო აპირებს ძალზე მკაცრი პოზიციით გამოსვლას. მე მინდა თქვენ ჩამოაყალიბოთ ეს პოზიცია, რას ველოდებით და რას ვითხოვთ, უფრო ზუსტად, რას ვითხოვთ და რას ველით სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრისაგან?

ზურაბ ჟვანია: რაც შეეხება იმას, თუ საით მიდის ძაფები, ერთი რამ შემიძლია ვთქვა ერთმნიშვნელოვნად: არა მგონია, რომ ეს ძაფები გადიოდეს ან აშხაბადში ან მინსკში, ან ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკების რომელიმე დედაქალაქში. მე დავუკავშირდი გენერალურ პროკურორს, რადგან როცა საქმე ეხება საჯარო განცხადებებს, საჯარო ბრალდებებს, კულისებგარეთა მოლაპარაკებების მომხრე არა ვარ. ეს ჩემი სტილი არ არის. თუ ბრალდება საჯაროდ არის წაყენებული, მაშინ საჯაროდვე უნდა იქნეს მიცემული ყველა განმარტება და ყველა პასუხი ამასთან დაკავშირებით. მე ვალდებულად ვცანი საკუთარი თავი, მეცნობებინა ამის შესახებ საზოგადოებისათვის, გამომეთქვა ჩემი პოზიცია. დანარჩენი პროკურატურისა და გამოძიების საქმეა. და თუ კოლეგები მხარს დაუჭერენ ჩემს იდეას სპეციალური საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ, მაშინ საქმეში ჩაერთვება საპარლამენტო კომისიაც. რაც შეეხება საქართველოს პოზიციას დსთ-ს სამიტზე, პოზიციას გამოხატავს საქართველოს პრეზიდენტი, ეს მისი პრეროგატივაა. პარლამენტმა თავის მხრივ შეიმუშავა რეკომენდაციები, საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტი მიიღებს.

და რაც შეეხება სკანდალს?

ზურაბ ჟვანია: რაც შეეხება სკანდალს, ჩვენ გუშინ ვილაპარაკეთ ამის შესახებ და ყოველდღე გვაქვს კონტაქტი. როგორ გითხრათ, ძალზე უარყოფითი რეაქცია აქვს.

თქვენს მიმართ თუ ხარაზის (სიცილი დარბაზში)?

ზურაბ ჟვანია: მაშინ სჯობს, თვითონ პრეზიდენტს ჰკითხოთ. მე ერთი რამ შემიძლია გითხრათ, როგორც პრეზიდენტი, ისე მე, ძალიან შეშფოთებულები ვართ იმით, რომ მსგავსი რამ შესაძლებელი გახდა. ვგულისხმობ არა მხოლოდ მსგავსი ცილისწამების შექმნას, რომელსაც აქვს ფართომასშტაბიანი პოლიტიკური პროვოკაციის ხასიათი, არამედ იმას, რომ ეს ცილისწამება, როგორც მე ვიცი, ორჯერ გადაიცა ბათუმის ტელევიზიით. ეს იწვევს აჭარის საზოგადოების გარკვეულ აჟიოტაჟს და ა.შ.

ესაუბრეთ თუ არა ასლან აბაშიძეს და იცით თუ არა მისი პოზიცია ამ სკანდალთან დაკავშირებით? როგორც მე გავიგე, მან უკვე დაიწყო გარკვეული კამპანია, რომ ამას აჭარაში რაღაც გამოძახილი ჰქონდეს. მან მიმართა მწერლებს, რათა მათ გამოხატონ თვიანთი დამოკიდებულება ამ ფაქტთან დაკავშირებით. როგორ კომენტარს გაუკეთებდით ამას და გქონდათ თუ არა კონტაქტი აბაშიძესთან? და მეორე შეკითხვაც, თუმცა ეს მხოლოდ ამ თემას არ ეხება. ამ ცოტა ხნის წინ თქვენ გქონდათ საუბარი ვახა არსანოვთან და ამ მოლაპარაკების შემდეგ ძალიან საინტერესო მოსაზრებები გამოითქვა ჩეჩნეთში, გროზნოში. მან განაცხადა, თითქოს თქვენ შეთანხმდით ნავთობსადენის მშენებლობაზე თბილისსა და გროზნოს შორის. რა კომენტარს გაუკეთებდით ამას?

ზურაბ ჟვანია: როგორც უკვე მოგახსენეთ, ასლან აბაშიძესთან მე არ მისაუბრია, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემი პრეტენზიებით მე მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს. რაც შეეხება მწერალთა მოსაზრებების შეგროვებას, ამის შესახებ არაფერი მსმენია. როგორც გითხარით, ამ დღეების განმავლობაში ყურადღებით ვადევნებ თვალს მოვლენათა განვითარებას, მოვლენათა დინამიკას, რაც მოჰყვება ამ პროვოკაციულ განცხადებას და აქედან გამომდინარე გავაკეთებ საბოლოო დასკვნას იმის შესახებ, თუ როგორ მოხერხდა ამ ინტერვიუს გადაცემა ტელევიზიით. რაც შეეხება მოლაპარაკებას ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ, უნდა გითხრათ, რომ არც კონსტიტუციით და არც ჩვენს სახელმწიფოში არსებული პრაქტიკით პარლამენტის თავმჯდომარე თანამდებობრივად არ არის ის პირი, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებებს გვირაბის თუ ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ.

ბატონო ზურაბ, თქვენი სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ ხშირად ჩადიოდით ბათუმში და ხშირი ურთიერთობა გქონდათ ასლან აბაშიძესთან. მაინტერესებს თქვენი აზრი, რა არის იმის მიზეზი, რომ ბატონი ასლან აბაშიძე დემონსტრაციულად არ ჩამოდის თბილისში უკვე მერამდენე წელია და არამარტო თბილისში, საქართველოს სხვა რეგიონებშიც. საერთოდ ეს შემთხვევა, ეს ცილისწამება პირველი არ არის. თუ გავიხსენებთ ძმები ასანიძეებთან დაკავშირებით, აგრეთვე, რამდენიმე თვის წინათ ბატონ ასლან აბაშიძის მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით. რა არის მიზეზი, რომ ბატონი ასლანი არ ჩამოდის თბილისში?

ზურაბ ჟვანია: მე ვფიქრობ, რომ მთლად სწორად არა ვარ შერჩეული, როგორც ადრესატი ამ შეკითხვისა. ალბათ, ამის შესახებ უმჯობესი იქნება თავად

ასლანს ჰკითხოთ, იმიტომ, რომ პირადად მე ჩავდივარ როგორც ბათუმში, ისე სხვა ქალაქებში. შემდგომ კომენტარებისაგან თავს შევიკავებ.

ბატონო ზურაბ, რამდენად ნაყოფიერად მიაჩნია საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ასლან აბაშიძის მოღვაწეობა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს შეასუსტოს ასლან აბაშიძის პოზიციები. რამდენადაც ცნობილი გახდა საპარლამენტო ფრაქცია „აღორძინება" დატოვა რამდენიმე დეპუტატმა.

ზურაბ ჟვანია: თუ საპასუხო რეაქცია ჩემს მიმართ არის, ეს გაუგებარია ჩემთვის, რადგანაც ეს იყო იმ დეპუტატთა გადაწყვეტილება, რომლებიც შედიოდნენ „აღორძინების კავშირში". მათ მოინდომეს შეექმნათ დამოუკიდებელი ფრაქცია. მინდა შეგახსენოთ, რომ ამგვარი მოძრაობა დეპუტატთა მხრიდან იყო სხვა ფრაქციებშიც. როგორც გახსოვთ ორად გაიყო მთავარი ოპოზიციური პარტია, თვით მოქალაქეთა კავშირის ფრაქცია დატოვა რამდენიმე დეპუტატმა ბევრად უფრო ადრე, ვიდრე გაიყოფოდა ფრაქცია „აღორძინება". ვთვლი, რომ ეს საკმაოდ ნორმალური პროცესია, ნორმალური საპარლამენტო ცხოვრების პირობებში, რომელიც სუფევს ჩვენთან. თუ ვინმეს სურს, რომ სიტუაციას დრამატიზმი შემატოს, და ცდილობს მოძებნოს, ასე ვთქვათ, დამნაშავეები, ეს მისი პრობლემაა, ეს მისი სერიოზული პრობლემაა.

როგორ აფასებს ცენტრალური ხელისუფლება ასლან აბაშიძის, როგორც პოლიტიკოსის საქმიანობას?

ზურაბ ჟვანია: ამის შესახებ არაერთხელ გამოვთქვით აზრი პრეზიდენტმა და მე, აზრი გამოთქვეს ჩვენმა კოლეგებმა, რომლებმაც მოინახულეს ბათუმი და აჭარის სხვა რეგიონები. არის მიმართულებები, სადაც მართლაც ბევრი რამ საინტერესოა გაკეთებული, ბევრი საინტერესო ობიექტი გაიხსნა, არამარტო სამრეწველო, არამედ კულტურული დანიშნულებისაც. ამავე დროს არსებობს პრობლემებიც, როგორც საერთოდ არის ხოლმე ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში, როგორც არის საქართველოს სხვა ნებისმიერ რეგიონში. ასე რომ, აქ ვერ ვხედავ რაიმე განსაკუთრებული კვალიფიკაციის მიცემის საბაბს.

ბატონო ზურაბ, შესაძლებელია, რომ როსტომ დოლიძეს თქვენი სახელით წამოეწყო ასეთი რამ? თუმცა ბატონი როსტომი აქ ბრძანდება და თვითონაც შეეძლო ეთქვა ამის შესახებ..

ზურაბ ჟვანია: მე ძალიან მეეჭვება, რომ მას ესარგებლოს ან ჩემი, ან სხვა ვინმეს სახელით. ამ ინტერვიუში არ არის საუბარი იმაზე, რომ როსტომ დოლიძემ გამოიყენა ჩემი სახელი, აქ საუბარია იმაზე, რომ სადღაც მეორე სართულზე, კონსპირაციის პირობებში ვიღაცას ვაგზავნით, ავადმყოფ კაცს წამოვაყენებთ ლოგინიდან, ვხვდებით მას და ვადგენთ აჭარაში არჩეული ხელისუფლების ჩამოგდების გეგმას. ეს ძალზე კონკრეტული ბრალდებაა.

მე მინდა ყოველივესთან დაკავშირებით დავძინო, არ დაგიმალავთ, მაქვს სრული შეგრძნება იმისა, რომ ეს ინტერვიუ არ არის ცალკეული მოვლენა, მე განვიხილავ ამ ინტერვიუს, როგორც ნაწილს საკმაოდ ფართომასშტაბიანი კამპანიისა, ცილისწამებების და სიბინძურის კამპანიისა, რაც ბოლო დროს საქართველოში ტრიალებს. აქამდე, მართალი გითხრათ, ვცდილობდი ყურადღე-

ბა არ მიმექცია ამ კაკაფონიისათვის, რომელიც ატეხილი აქვთ სხვადასხვა პარტიებს თუ უპარტიო პიროვნებებს პრეზიდენტთან, პრეზიდენტის პარტიასთან, ჩემთან დაკავშირებით, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ეს, გარკვეულწილად, ზოგჯერ ხელმოცარული ადამიანების ემოციების გამოხატვა არის. ზოგჯერ ვიღაცის თხოვნით თუ დაკვეთით ხორციელდება. მაგრამ ერთი რამე ფაქტია, რაზეც მინდა მივაქციო ჟურნალისტების და თქვენი საშუალებით, მთლიანად ჩვენი საზოგადოების ყურადღება, მათ შორის ჩვენი ოპონენტების ყურადღება. ნუ გავაკეთებთ ისე, რომ საქართველოში პოლიტიკა გახდეს მართლაც ყველაზე ბინძური სფერო ადამიანის მოღვაწეობისა. დღეს ყველაფერი მიდის იმისკენ, რომ პოლიტიკური ცხოვრება თავიდან ბოლომდე იყოს აგებული სიბინძურეზე. ყველა მინდა გავაფრთხილო, განსაკუთრებით ჩვენი მოწინააღმდეგები, რომ ტალახის სროლით დედამიწის ზურგზე ჯერ არავის არ მიუღწევია წარმატებისათვის და ნასროლი ტალახი ყველას უკან დაუბრუნდება. მე არ ვგულისხმობ მხოლოდ ამ ინტერვიუს, ვგულისხმობ მთლიანად იმ სიბინძურის, ცილისწამების ორომტრიალს, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში ტრიალებს საქართველოში. დაწყებულია ბრძოლა ხელისუფლებისათვის. აი, ეს არის ფაქტი. დაწყებულია ბრძოლა სრულიად, ასე ვთქვათ, ამორალური, ყველანაირი მისაღები თუ განსაკუთრებით მიუღებელი მეთოდების გამოყენებით. თუკი ჩვენ თვითონ არ გამოვკვეთავთ რაღაც ზღვარს, რომლის გადაბიჯება არ შეიძლება (და ეს ზღვარი, პირველ ყოვლისა, არის ჩვენი სამშობლოს ერთიანობა და მისი ღირსება), ამ ბრძოლაში გამარჯვებულები ელემენტარულად არ იქნებიან. დიდი მადლობა.

პარლამენტის უწყებანი. 30 ოქტომბერი, 1997 წ.

1998

„კორუფციაა მთავარი პრობლემა, რომელიც მაშინებს“

ნებისმიერი საახალწლო ინტერვიუ რომ მეტნაკლებად გამორჩეული უნდა იყოს ყოველდღიური პუბლიკაციებისგან, – ფაქტია, მით უმეტეს, თუ იგი პოლიტიკური მოღვაწისა და სახელმწიფოს ერთ-ერთი ხელმძღვანელისგან არის აღებული. მაგრამ იმის თქმა, რომ ბატონ ზურაბ ჟვანიასთან საუბარი მთლიანად საახალწლო ნოტზე აეწყო-მეთქი, არ იქნებოდა უპრიანი და, ამაში თავადაც დარწმუნდებით; მიუხედავად შობა-ახალი წლის დღეებისა, ქვეყანასა და საზოგადოებაში არსებული ვითარება და განწყობა გაიძულებს კაცს (პროფესიულ მოვალეობას რომ დავანებოთ თავი), მსგავსი შეხვედრისას ყურადღება კვლავ ყველასთვის დამაფიქრებელ და, არცთუ სასიამოვნო პროცესებზე უფრო გაამახვილო, ვიდრე საახალწლო „ზიზილ-პიპილოებზე“, სხვათა შორის, ამის სურვილი იმანაც განაპირობა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტისკენ მიმავალს თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი დაცვის კორდონის გავლაც მომიხდა, რაც ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე, სულაც არ მომჩვენებია ჩვეულებრივ ამბად....

ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებდით გასულ წელს, რომელი პრიორიტეტული მიმართულებები დამკვიდრდა, რამაც მნიშვნელოვნად უნდა განსაზღვროს კიდეც ჩვენი ქვეყნის მომავალი, როგორც 2000 წლამდე, ისე განსაკუთრებით, 21-ე საუკუნეში?

1997 წელი მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ საბოლოოდ გამოიკვეთა საქართველოს საკვანძო ადგილი იმ სისტემაში, რასაც „ტრასეკა“ ჰქვია, ანუ თანამედროვე ვერსია ტრადიციული აბრეშუმის დიდი გზისა. ამასთან, ნათელი გახდა ისიც, რომ საქართველო, ნებისმიერ შემთხვევაში, გაატარებს არა მარტო აზერბაიჯანის, არამედ ყაზახეთის ნავთობის მნიშვნელოვან ნაწილს. პარალელურად, ცენტრალური აზიის ქვეყნები და შავი ზღვის აუზის ისეთი სახელმწიფოებიც, კერძოდ, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი, – ძალიან დაინტერესებულნი არიან ამ გზის ამოქმედებით. გადაუჭარბებლად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს გახლავთ ჩვენი ქვეყნისთვის ეპოქალური მოვლენა, ვინაიდან სამუდამოდ განისაზღვრა საქართველოს ახალი ადგილი თანამედროვე მსოფლიოში და ის ავტორიტეტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მოვიზიდოთ ინვესტიციები, დავაინტერესოთ პარტნიორი დიდი სახელმწიფოები და მოხდეს ჩვენი ინტეგრირება საერთაშორისო თანამეგობრობაში.

მეტად საგულისხმოა რეალური წარმატება ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრების თვალსაზრისით, კერძოდ, მხედველობაში მაქვს ის უაღრესად დადებითი დასკვნები, რომელიც საქართველოს შესახებ გააკეთა ევროპის საბჭოს ყველა სათანადო კომისიამ. იგი პრაქტიკულად, გზას უხსნის ჩვენს ქვეყანას ევროპის და, საერთოდ, ევროპის ყველა სტრუქტურაში ინტეგ-

რაციისკენ. ხოლო, თუ რამდენად სწრაფად შევალთ ევროსაბჭოში, დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენზე; საჭიროა, თანმიმდევრულად განვახორციელოთ რეფორმების პროცესი და დავძლიოთ დღეს არსებული მწვავე პრობლემები.

მნიშვნელოვანი იყო გასული წელი იმითაც, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას უკვე გაცილებით დიდ ყურადღებას უთმობს, ვგულისხმობ ჟენევის პროცესის დასაწყისს, რასაც ცოტა ხნის წინ ძნელად თუ წარმოვიდგენდით, განსაკუთრებით გაიზარდა აშშ-ის, გერმანიისა და სხვა დიდი სახელმწიფოების დაინტერესება საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარებით და თუმცა, ამას ჯერჯერობით, საბოლოო გარდატეხა არ შემოუტანია პრობლემის მოგვარების მხრივ, მაინც მნიშვნელოვანი წინაპირობა შეიქმნა მომავალი ნაბიჯების გადასადგმელად. აი, მოკლედ, რისი თქმაც შემიძლია.

და ამ წარმატებებისა და საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟის ზრდის ფონზე, სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები ყველა დონეზე, რომ გარეშე თუ შინაური ძალები ამზადებენ რაღაც დარტყმას საქართველოში დესტაბილიზაციის ტალღის ასაგორებლად. ღმერთმა დაგვიფაროს და, რა შეიძლება მოხდეს ყველაზე ცუდი 1998 წელს და საიდან უნდა ველოდეთ საშიშროებას?

დარწმუნებული ვარ, რომ 1998 წლის განმავლობაში და, განსაკუთრებით, მის პირველ ნახევარში, იქნება სერიოზული მცდელობა ყველა ანტისახელმწიფოებრივი ძალის კონსოლიდაციისა. პირდაპირ გეტყვით, რომ მე იმდენად არ მეშინია გარეშე მტრებისა, რამდენადაც იმ ადამიანებისა, რომლებიც ქართულ გვარს ატარებენ, ქართველები არიან და საქართველოში მოღვაწეობენ, თან აღარც მალავენ თავიანთ მიზნებს. ნათელია, რომ 1998 წელს ისინი შეეცდებიან რევანშის აღებას. მე განზრახ ვხმარობ გამოთქმას – რევანშს, რადგან 1995 წლის არჩევნებში ისინი ძალიან მწარედ დამარცხდნენ. 1995 წლის არჩევნების შედეგების წაკითხვა კი მხოლოდ ერთგვარად შეიძლება – საქართველოს მოსახლეობა წინ აღუდგა ყოველგვარ სოციალურ, ნაციონალურ პოპულიზმს და ხმა მისცა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზას. ამიტომ ეჭვიც არ მეპარება, რომ შეეცდებიან, ყველანაირი ძალების გამოყენებით, არივ-დარიონ ვითარება საქართველოში... ისეთი შთაბეჭდილებაც მრჩება, რომ არიან საკმაოდ სერიოზული ძალები, რომელთაც არ შეუძლიათ არსებობა სტაბილური საზოგადოების პირობებში და ყოველ მიზეზგარეშე ცდილობენ, საზოგადოება დააბრუნონ ქაოსისა და ანარქიის მდგომარეობაში. ეს იმიტომ, რომ აშკარად ჩანს უკვე: არაკომპეტენტურ, არაკვალიფიციურ ხალხს, სტაბილურ ვითარებაში, საზოგადოებისთვის არანაირი სარგებლობა არ მოაქვს და სწორედ საკუთარი პერსონის მნიშვნელობა რომ წარმოაჩინონ, ამისთვის სჭირდებათ ქაოსი, რაც სუფევდა ჩვენს ქვეყანაში...

ეს ყველაფერი ხალხის გადასაწყვეტი იქნება და, სხვათა შორის, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ნატანჯი მოსახლეობა არავის მისცემს იმის უფლებას, კიდევ ერთხელ მოატყუებინოს თავი და ვინმეს არეულობის უფსკრულში გადააჩეხინოს.

ამ დესტაბილიზაციისა და ქაოსის აგორებაში მცდელობა ე.წ. „ურეკის შეთქმულებიდან“ ხომ არ იღებს სათავეს, რაც ქვეყანაში სერიოზული კრიზისის დაწყების სიგნალად აღიქვა პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულმა ყველა მოქალაქემ?

რა თქმა უნდა, „ურეკის სკანდალი“ ინსპირირებული იყო ძალიან შორს მიმავალი გეგმებით. სხვაგვარად, ძნელი წარმოსადგენია, სახელმწიფოში მეორე პირის მიმართ რომ გაბედონ ამგვარი ბინძური და თითიდან გამოწოვილი ცილისწამებები... ბევრი სხვა ფაქტორიც არსებობს, კერძოდ, გაჩაღებულია კარგად დაგეგმილი პროპაგანდისტული კამპანია, რომ თითქოს შევარდნაძეს დაღუპავს მისი გუნდი, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, ბოლო დროს დაიწყეს ვიშვიში, რომ ამ გუნდს და ზურაბ ჟვანიას დაღუპავს შევარდნაძეო და ა.შ. საინტერესოა, რომ ამ თემაზე ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ინტერვიუების პარალელურად, მსგავსი პუბლიკაციები ინტენსიურად ქვეყნდება რუსეთის პრესაშიც, ხოლო ამ „თემატიკის“ მიმართულება ერთია – როგორმე მოხდეს განხეთქილება შევარდნაძესა და მის გუნდს შორის. ცხადია, ეს აბსურდული მცდელობაა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ბევრი ადამიანი დღედაღამ ფიქრობს და „იღვწის“ ამ განხეთქილების მისაღწევად. უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია ცალკეული კამპანიების შესახებ, რომელთა მიზანი ჩემი დისკრედიტაციის მცდელობაა, პროკლამაციების გავრცელების ჩათვლით. მოკლედ, ნებისმიერი ბინძური მეთოდი დღეს უკვე ამოქმედებულია და, ვფიქრობ, ეს კამპანია ხვალ უფრო გაძლიერდება. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მზად ვიყოთ და ვიბრძოლოთ ბოლომდე...

ბატონო ზურაბ, თქვენი ამასწინანდელი განცხადება იმის თაობაზე, რომ გარკვეული ძალები ზურაბ ჟვანიას პოლიტიკიდან და ხელისუფლებიდან ჩამოშორების მიზნით ეწევიან მისი დისკრედიტაციის მცდელობას, რადგან პრეზიდენტის ჩამოშორებას სხვა აქტებით აპირებენო (აქ ყველამ ტერაქტი ამოვიკითხეთ), გამოდის, რომ თუ თქვენი კომპრომეტირების სერიოზული მცდელობის კამპანია ბათუმიდან და, კერძოდ, თამაზ ხარაზის განცხადებით დაიწყო, უნდა ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტის წინააღმდეგ შესაძლო ტერაქტის განხორციელების კვალიც იქითკენ მიდის?

თავს შევიკავებ კონკრეტული მისამართების დასახელებისაგან... ცხადია, ჩვენი ქვეყნის მტრები აქტიურად ცდილობენ, გაითამაშონ ე.წ. აჭარის კარტი და როგორმე შექმნან სერიოზული დაპირისპირება ცენტრალურ და ბათუმის ხელისუფლებებს შორის. მიუხედავად ყველაფრისა, და ჩემს წინააღმდეგ დაწყებული პროვოკაციებისა, არც ერთი ჩვენთაგანი და, უწინარესად, პრეზიდენტი, არ დავუშვებთ ამის განხორციელებას, ეს შეუძლებელია...

მაგრამ იმ ფაქტებს რა ვუყოთ, რომ, როგორც რეზო ადამიამ ბრძანა ჩემთან ინტერვიუში, რუს მესაზღვრეებს თბილისში დასაწყობებული იარაღი და ტექნიკა შეაქვთ აჭარაში, ფოთიდან რუსი სამხედროები შედიან ბათუმში სრული აღჭურვილობით და ყველაფერ ამის ფონზე ბატონი ასლან აბაშიძე საჯაროდ აცხადებს, რომ აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანაყოფები გაძლიერდებიან შეიარაღებითა და ტექნიკით, რომ

დადგებიან ჩოლოქსა და გოდერძის უღელტეხილზე და ა.შ.... ხომ აშკარაა, რომ „რაღაც“ ხდება?

იმედი მაქვს, რომ მთლიანობაში ჩვენი ურთიერთობები რუს მესაზღვრეებთან, გენერალ ნიკოლაევის გადადგომის შემდეგ ცოტათი მოწესრიგდება. რაც შეეხება აჭარაში თუ ნებისმიერ სხვა რეგიონში მიმდინარე პროცესებს, აქ გამოსავალი ძალიან მარტივია, კერძოდ, დემოკრატიული კონტროლის პრინციპები, უწინარესად, მას-მედიისა და საზოგადოების მხრიდან უნდა ვრცელდებოდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. და კიდევ, კანონებს, რომლებსაც ვქმნით სწორედ გამჭვირვალე ხელისუფლების ჩამოყალიბების სულისკვეთებით, არ იქმნება მხოლოდ პარლამენტის შენობისთვის, თბილისისთვის. ამიტომ, თუ საქართველო მართლაც ჩამოყალიბდება დემოკრატიულ და გახსნილ საზოგადოებად, – ვგულისხმობ, ჩვენი სამშობლოს მთელ სივრცეს, – ვფიქრობ, ეს მომავალში ძალიან ბევრ პრობლემას მოაგვარებს.

გასაგებია, ბატონო ზურაბ, რომ თბილისი ერიდება ვითარების გამწვავებას, მაგრამ ბატონი ასლან აბაშიძე დღემდე იმეორებს (რაც არაერთხელ დაიმოწმეს უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებმა), რომ მას ეჭვიც არ ეპარება თამაზ ხარაზის განცხადების სიმართლეში ეს ხდება ქვეყნის გენერალური პროკურორის მტკიცების ფონზე, რომ თქვენ გაქვთ ალიბი იმისა, რომ ე.წ. ურეკის შეხვედრაზე არ ყოფილხართ...

ეს მისი საქმეა და ვფიქრობ, რომ ეს მტკიცებები პრობლემებს უქმნის თავად ასლან აბაშიძეს, ამიტომ განმარტება ამ საკითხზე უმჯობესია მას ჰკითხოთ. მე რისი თქმაც შემეძლო უკვე ვთქვი და თუ ჩემს ქმედებაში იყო რაიმე დანაშაული, ამის თანამონაწილე გახლავთ ათობით დეპუტატი და ათობით ჟურნალისტი, რომლებიც ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ ფოთში გამართულ პარლამენტის ბიუროს გამსვლელ სხდომაში. ამასთან, მე კვლავ ვადასტურებ, რომ მზად ვარ აქ, პარლამენტში, შეიქმნას ნებისმიერი ჯგუფი სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენლების შემადგენლობით, რომლებიც გაერკვევიან არა ამ საქმეში (ეს პროკურატურის ვალია), არამედ თბილისსა და ბათუმს შორის ურთიერთობების მთელ სპექტრში, ნათელს მოჰფენენ ყველა მიმართულებას და მოხსნიან იმ დაძაბულობას, რომელიც დღეს მეტ-ნაკლებად შეინიშნება.

წლის ბოლოს, ისეთმა ავტორიტარულმა გამოცემამ, როგორიცაა „უოლ სთრით ჯორნალი“, გამოაქვეყნა ყოველწლიური ანგარიში პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და აღსანიშნავია, რომ ამ მონაცემებით, საქართველოს მართლაც კარგი მაჩვენებელი აქვს ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით ოღონდ ეს გამოცემა „საყვედურობს“ საქართველოს, – ეს მაჩვენებლები გაცილებით შთამბეჭდავი იქნეობდა ქვეყნის ხელისუფლებაში საშინელი კორუფცია რომ არ მძვინვარებდესო! ბატონო ზურაბ, მიუხედავად იმისა, რომ შარშან გაზაფხულზე ჩვენმა ხელისუფლებამ ომახიანად გამოაცხადა კორუფციის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლის დაწყება, ისე მიიწურა წელიწადი, პრაქტიკულად, არსებითი არაფერი გაკეთებულა. რატომ?

გეთანხმებით, სამწუხაროდ, ხელშეუხებელი რჩება ჩვენი საზოგადოებისათვის ყველაზე მტკივნეული პრობლემა – კორუფცია. შემიძლია მხოლოდ სასაოწარკვეთით განვაცხადო, რომ თუ ჩვენ ვერ მოვძებნით საკუთარ საკმარის ნებისყოფას, რათა გადაჭრით მივუდგეთ ამ საქმეს ხელისუფლებაში, ყველა აბუჩად აიგდებს ქვეყანას, რომელსაც ჰქონდა ბრწყინვალე პერსპექტივები და ვერ გამოიყენა იგი იმ მიზეზით, რომ შეეგუა საკუთარ ხელისუფლებაში ფართოდ ფეხმოკიდებულ კორუფციას. ბარამიძისა და სხვა კომისიები ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტენ. ვიცი, რომ პრეზიდენტი დიდ დროს უთმობს ამ საკითხზე ფიქრს და ველოდები, რომ იგი მიიღებს სერიოზულ გადაწყვეტილებებს...

მე უფრო მაწუხებს იმ პიროვნებების კორუმპირებულობის ფაქტები, ვინც დღესაც ხელისუფლებაშია. თუმცა, ჩემი აზრით, პასუხისმგებლობა უნდა მოეკითხოთ იმათაც, ვინც დღემდე მოღვაწეობდა ხელისუფლებაში.

მაგრამ თუ მომავალ არჩევნებამდე არ გამოაშკარავდა ეს ხალხი და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლამ არსებითი შედეგი არ გამოიღო, რა შანსი ექნება რეიტინგდაცემულ „მოქალაქეთა კავშირს“ არჩევნებში წარმატებისათვის?

დიახ, ჩვენ თუ მოვახერხეთ 1998 წლის განმავლობაში ქმედითი ღონისძიებების განხორციელება კორუფციის დასაძლევად, ეს უთუოდ გამოიწვევს ხელისუფლების საკმაოდ სერიოზულ კრიზისს. ამას მე პირველად ვამბობ: სწორედ კორუფციაა მთავარი პრობლემა, რომელიც მაშინებს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს. მისი აღმოფხვრა სწორედ საფუძველია დემოკრატიისა და თავისუფალი ეკონომიკის განსავითარებლად.

ბიუჯეტის პროექტში ჩადებულია ხელფასების გარკვეული ზრდა წლის განმავლობაში ორჯერ 10-10%, რაც ბუნებრივია არ შეცვლის ვითარებას, თუ არ აღმოვფხვრით კორუფციას, დარწმუნებული ვარ, ჩვენ შეგვიძლია მინიმუმ გავაორმაგოთ სახელმწიფო შემოსავლები იმ რესურსების გათვალისწინებით, რაც უკვე გაგვაჩნია, ანუ ის, რაც რეალურად არის. რაც სახელმწიფოს ეკუთვნის, უბრალოდ, უნდა მივიდეთ და ავიღოთ. უწინარესად ვგულისხმობ დამალულ გადასახადებს, კონტრაბანდის აღკვეთას და ა.შ. აქ ლაპარაკია ასეულობით მილიონ ლარზე და თუ ჩვენ ამის გაკეთებას შევძლებთ, ეს უკვე გარდატეხას შეიტანს საქართველოს მოქალაქეებში სოციალური უზრუნველყოფისა და მათი ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნის საქმეში...

შარშან პარლამენტში ერთი საგულისხმო და საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა კერძოდ, დაწყო ერთ დროს მონოლითური პარტიებისა და, შესაბამისად, საპარლამენტო ფრაქციების დაშლა-გაყოფა, რაც დღემდე გრძელდება. და ამბობენ, რომ ამ პარტიებსა და ფრაქციებს ზურაბ ჟვანია შლის და ანგრევსო, არა?

რასაკვირველია, პირადად მე არავითარი ფრაქცია არ დამიშლია, მაგრამ შარშანდელი წლის დასაწყისში ფრაქციებში დაიწყო „გადარბენ-გადმორბენები“, შეკრებები იმ მიზნით, რომ როგორმე მომხდარიყო უმრავლესობის დაშლა, ბუნებრივია, ყურადღებით ვადევნებდი თვალს ამ პროცესს. აქვე შეგახსენებთ იმ პერიოდს, როცა ჩვენი ოპონენტები მხიარულ ყიჟინას დასცემდნენ

ხოლმე და გაიძახოდნენ – სულ ერთი კაციღა დარჩა გამოსასვლელი „მოქალაქეთა“ ფრაქციიდან და უმრავლესობა აღარ იარსებებსო და ა.შ. მაშინვე ვაფრთხილებდი ჩვენს ოპონენტებს, რომ თავი დაენებებინათ ამგვარი ბინძური მეთოდებით ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რადგან ინტრიგებით უმრავლესობის დაშლის მცდელობა იმთავითვე განწირული იყო. ჩვენ საკმარისად ვფლობდით და ვფლობთ სიტუაციას. ხოლო იმ ადამიანებს, ვინც უმრავლესობას შეუერთდა, უთუოდ შეგნებული ჰქონდათ პასუხისმგებლობა, რომ არ შეიძლება ქვეყანაში ქაოსის დაბრუნება. არადა, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ეს ქაოსი სწორედ პარლამენტში დაწყებულიყო და შემდეგ მის ფარგლებს გარეთაც გასულიყო, რისი მწარე მაგალითებიც კარგად გვახსოვს უახლოესი წარსულიდან.

გასული წლის მანძილზე თითქოს „მოქალაქეთა კავშირსაც“ „შეეპარა კრიზისი, იყო ასეთი პერიოდებიც...“

მე მას კრიზისს ნამდვილად ვერ დავარქმევ. იყო შემთხვევა, როცა ორმასამმა დეპუტატმა დატოვა ფრაქცია, მათ შორის ნესტან კირთაძემ და ფიქრია ჩიხრაძემ, რომლებსაც პატივს ვცემ, ისინი ჩემი მეგობრები არიან, ეს მათი არჩევანი იყო და მეც გული დამწყდა. მაგრამ არიან სხვა ადამიანები, რომლებმაც მერკანტილური მოსაზრებებით დატოვეს ფრაქცია და ეს მათი პრობლემაა, რადგან ჩვენ ეს არანაირ სირთულეს არ გვიქმნის.

ბატონო ზურაბ, ერთი წლის წინ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე საუბრისას თქვენ არ აკეთებდით ასეთ მძაფრ განცხადებებს, რისი მოწმენიც ბოლო დროს გავხდით. თუნდაც, ის რად ღირს, რომ ორ ქვეყანას შორის შექმნილ დაძაბულ ვითარებას „ცივი ომის“ კვალიფიკაცია მიეცით და ეს იმის ფონზე, როცა მთელმა რიგმა ოპოზიციურმა ძალებმა ჩრდილოეთისკენ დაიწყეს ჭვრეტა. რით არის გამოწვეული თქვენი პოზიციის ამგვარი მკვეთრი შეცვლა და მოვლენათა როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ, ვთქვათ, 2000 წლამდე, ვიდრე აქ შევარდნაძის ხელისუფლება იქნება, მოსკოვში კი – ელცინისა?

მემარჯვენეები ხშირად გვიყიჟინებენ რუსეთუმობას, პრორუსულ პოლიტიკას ატარებთო, ხოლო მემარცხენეები გვიყვირიან, ანტირუსულ პოლიტიკას ატარებთ და დასავლური ორიენტაცია გაქვთ აღებულიო და ა.შ. არადა, ჩვენ ვატარებთ ქართულ პოლიტიკას, რომლის მიზანია მივაღწიოთ აბსოლუტურად თანასწორუფლებიან თანამშრომლობას ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან და სამუდამოდ მოვსპოთ ე.წ. უმცროსი და უფროსი ძმის სინდრომი! საქართველო აღარ დაუშვებს მის მიმართ დისკრიმანციული პოლიტიკის გატარების მცდელობასაც კი. ეს ბევრს აღიზიანებს უკვე მოსკოვშიც და უფრო მეტად კი იმ ხალხს, ვინც მოსკოველი ბოსების ინტერესებს ემსახურება აქ, თბილისში, თუ სხვა რეგიონში. მაგრამ ჩვენი პოზიცია არის და იქნება პრინციპული და მიმართული იქითკენ, რომ მოვახერხოთ რუსეთთან მართლაც თანაწორუფლებიანი და მეგობრული ურთიერთობების დამყარება. ამასთან, გამორიცხულია ლაპარაკიც კი, საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობათა საბოლოო გარკვევაზე, თუ არ მოგვარდება აფხაზეთის პრობლემა. ეს არის

საფუძველთ-საფუძველი და განმსაზღვრელი ჩვენი სამომავლო ურთიერთობებისა.

და ბოლოს, ბატონო ზურაბ, როგორ ხვდებით შობა-ახალ წელს?

ძალიან იმედიანად. რადგან დარწმუნებული ვარ, რომ 1998 წელი, მიუხედავად იმისა, რომ რთული იქნება, მაინც წარმოჩნდება იმ ეტაპად, რომელიც დიდად გააწბილებს ჩვენი სამშობლოს ყველა მტერს! ვულოცავ ახალ წელს კვირის პალიტრის მკითხველს, ყველა ჩემს თანამემამულეს ვუსურვებ მათ, რომ 1998 წლის მიწურულს, როცა ჩვენ კიდევ ერთხელ მივულოცავთ ერთმანეთს ახალ წელს, უფრო მეტად გვეგრძნოს თავი ევროპელებად, ვიდრე დღეს.

ახალ წელს სად და როგორ ატარებთ ხოლმე?

ტრადიციულად, ოჯახში ვხვდები ახალ წელს. მაგრამ ერთი საათის შემდეგ იწყება ეს მიწვევა-მოწვევა, არც ეს ახალი წელია გამონაკლისი...

და კიდევ, შეამჩნიეთ, ალბათ, რომ გვერდი ავუარე ძალიან ბევრ თქვენს მიერ პირდაპირ დასმულ შეკითხვას და, გიბოდიშებთ ამისათვის, რადგან არ მიყვარს ჟურნალისტებისათვის მიკიბულ-მოკიბული პასუხების გაცემა. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ჩემი მოვალეობაა მთელი რიგი საკითხების საბოლოო შეფასებისაგან თავი შევიკავო, თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ ვამზადებ სერიოზულ პუბლიკაციას ამ თემაზე, სადაც კონკრეტულად ჩამოვაყალიბებ ჩემს პოზიციას და გავაანალიზებ მრავალ საკითხს.

დიდი მადლობა საუბრისათვის.

ზურაბ მჭედლიშვილი

გაზ. „კვირის პალიტრა“. 5-11 იანვარი, 199 8 წ. №1 (142). გვ. 8.

1998 საპარლამენტო კონტროლის წელიც იქნება

პარლამენტის თავმჯდომარე დღეს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა არის. აქედან გამომდინარეა ის ცხოველი ინტერესიც, რომელსაც ჩვენი საზოგადოებრიობა იჩენს ბატონ ზურაბ ჟვანიასადმი.

პარლამენტის სხდომების ხელმძღვანელობა, საინტერესო გამოსვლებით გააფთრებულ მოკამათე პარლამენტართა დაშოშმინება, კომპრომისებისა და კონსენსუსების ოპერატიულად მოძებნის საოცარი უნარი, რასაც თითქმის ყოველდღიურად ტელეეკრანზე ვხედავთ, მხოლოდ ნაწილია იმ შრომისა, რომელსაც ეწევა საკანონმდებლო ხელისუფლების თავკაცი.

ვინ არის ეს ახალგაზრდა კაცი, პოლიტიკოსი, რომელმაც უკანასკნელი წლების მანძილზე მართლაც საოცარი ნახტომებით იარა ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე და ყველა გაგვაოცა ერუდიციით, კომპეტენტურობით, გამბედაობით, პრინციპულობით?

პირდაპირ ვთქვათ – ზურაბ ჟვანიას მაგალითი იმ პოლიტიკური სკოლის გამარჯვებაა, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ ჩამოაყალიბა.

ბატონო ზურაბ, გამიგონია, დიდი დატვირთვის მიუხედავად მაინც ახერხებთ ყოველი დღე სპორტულ რეჟიმში იყოთ.

ყოველდღე მაინც არ გამომდის, მითუმეტეს მაშინ, როცა ძალზე დატვირთული დღე გვაქვს და სხდომებს შორის შესვენების დროს საჭირო ხდება კონსულტაციების მოწყობა. ასეთ დროს, ცხადია, იძულებული ვარ, დავარღვიო ჩემი სპორტული რეჟიმი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მქონდეს საშუალება თუნდაც ერთი საათით მაინც მივიღო ფიზიკური დატვირთვა და ვივარჯიშო.. დღეში 2-3 კილომეტრამდე ვცურავ, რაც ნამდვილად მეხმარება იმაში, რომ გვიან ღამემდე ნაყოფიერად ვიმუშავო.

სახლში რომ ბრუდნებით, თუ ახერხებთ შვილების მოფერებას?

ძირითადად ისეთ დროს ვბრუნდები, როცა მათ უკვე სძინავთ. ასე რომ, ბავშვებთან ურთიერთობა ჩემთვის ერთობ ძნელი თემაა. ამას უფრო დილაობით, სამსახურში წასვლამდე თუ ვახერხებ, განსაკუთრებით ბედნიერი ვარ, როცა კვირის ბოლოს გამოჩნდება რამდენიმე საათი მათთან გასატარებლად.

გოზინაყს ტრადიციულად თქვენ რომ ამზადებთ ოჯახში, ამის შესახებ უკვე ვიცით, სხვა რამეს თუ გავალებენ ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები?

რაც შეეხება გოზინაყს – ეს წესად იყო ჩვენს ოჯახში – ვიდრე მამაჩემი ცოცხალი იყო, ის ამზადებდა ხოლმე. მე, ასე ვთქვათ, გავაგრძელე ეს ტრადიცია, რაც შეეხება სხვა რაღაც-რაღაცეებს – ერთხანს ჩემს მეუღლეს მართლაც ჰქონდა მცდელობა გარკვეული საშინაო ფუნქციები დაეკისრებინა ჩემთვის, მაგრამ... ვერ გამოუვიდა. თუ სერიოზულად ვიტყვი, სამწუხაროდ, ამისთვის დრო მართლაც არ მრჩება. ვაღიარებ, რომ ეს ცუდია...

რაც შეეხება დავალებებს, ძირითადად პირიქით ხდება, უფრო მე ვავალებ. ისინი ყველანაირად ცდილობენ გამათავისუფლონ და მომცენ საშუალება ეს ერთი-ორი საათი, რომელსაც სახლში ვატარებ დასასვენებლად გამოვიყენო. საოჯახო წესად გვაქვს – არ ვსაუბრობთ პოლიტიკაზე, ყოველ შემთხვევაში, ჩემი თანდასწრებით. ასე რომ, ჩემს ოჯახში სრული აპოლიტიკური ვითარებაა – არანაირი პოლიტიკური ჭორები. წინა დღის საპარლამენტო განხილვასთან დაკავშირებული პერიპეტიები. ერთი სიტყვით, ასეთ მშვიდ ვითარებაში ვცხოვრობთ.

რით იწყება თქვენი სამუშაო დღე?

სამუშაო დღეს ბუნებრივია ვიწყებ მიმდინარე დღის გეგმის დაზუსტებით. ვნახულობ სიას, ვინ ითხოვს შეხვედრას. შეხვედრები კი მოგეხსენებათ ყოველდღიურად მიწევს ათეულობით ადამიანთან. საჭიროა, აგრეთვე რეაგირება ათეულობით წერილზე, რომლებიც ჩემს სახელზე მოდის. რაც, ცხადია, საკმაოდ დროს მართმევს. ამასთან, ვნახულობ დროს საჯარო შეხვედრებისთვისაც. საამისოდ წინასწარ ვემზადები.

ცნობილია, რომ თქვენი მოადგილეები სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლები არიან. როგორც ამბობენ, ეს ხელს არ გიშლით, მათთან თანხმობით იმუშაოთ. ეს, ალბათ, ერთგვარი ნიმუშიც არის იმისა, თუ როგორ შეიძლება ემსახურონ სახელმწიფო მშენებლობის საქმეს სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგარი პოლიტიკოსები, როგორ ახერხებთ ამას?

ჯერ იმას გავუსვამდი ხაზს, რომ თითოეული მათგანი არის არა ზურაბ ჟვანიას მოადგილე... ისინი პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები არიან. რაც დამოუკიდებელი, მაღალი სახელმწიფო პოსტია და მათი არჩევა განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით. შეიძლება თამამად ვთქვა, რომ ბედმა გაგვიღიმა, რადგან პარლამენტს ჰყავს ასეთი სპიკერატი. რომელიც მიუხედავად ზოგჯერ ჩვენი პოზიციების დიამეტრალური განსხვავებისა, საკმაოდ თბილი ადამიანური ურთიერთობებით, დიდი ნდობით და სიმპათიით არის გამსჭვალული ერთმანეთისადმი. პარლამენტის გარეთაც სიამოვნებით ვხვდებით ერთმანეთს, ვმეგობრობთ ოჯახებით, რასაც ჩემი აზრით, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. პოლიტიკაში, როგორც იცით, ნდობის ფაქტორი გადამწყვეტია. შეიძლება არ ეთანხმებოდე ადამიანის პოლიტიკურ შეხედულებებს, მაგრამ უნდა ენდობოდე მას იმაში, რომ ნამდვილად სურს სიკეთე ჩვენი ქვეყნისათვის. სწორედ ეს ნდობა არის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველთა საფუძველი. აქედან გამომდინარე, მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენ ამას მივაღწიეთ.

ბატონო ზურაბ, გასული წელი მეტად ნაყოფიერი იყო ჩვენი პარლამენტისათვის. თქვენ მაინც რას გამოყოფდით... რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი საპარლამენტო ცხოვრებაში და, თქვენი აზრით, რით იქნება გამორჩეული ახალი წელი კანონშემოქმედებით დარგში?

ყველაზე მთავარი, რაც გასულ წელს მოვახერხეთ არის ის, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ახალ კონსტიტუციას. გაწეულია უმძი-

მესი სამუშაო – საუბარი მაქვს ასობით საკანონმდებლო აქტზე, რომლებიც მივიღეთ, ცხადია, იყო მცირე ტექნიკური ხასიათის შესწორებებიც, ვთქვათ, ისეთი, როცა ამა თუ იმ კანონში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკა“ უნდა შეგვეცვალა სიტყვით „საქართველო“, მაგრამ იყო უზარმაზარი დოკუმენტებიც მოცულობითაც და დატვირთვითაც. მაგალითად, ისეთი, როგორც არის კანონი ადგილობრივი მმართველობისა და სისხლის სამართლის კოდექსები, ახალი საგადასახადო კოდექსი და მრავალი სხვა დოკუმენტი. მე სიამაყით შემიძლია აღვნიშნო, რომ პარლამენტმა წარმატებით გაართვა თავი ეკონომიკური თუ სასამართლო რეფორმის განხორციელებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო აქტების მიღებას.

თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ გასული წლის განმავლობაში პარლამენტმა რეალურად შეცვალა ის გარემო, რომელშიც თითოეულ მოქალაქეს უწევს ყოველდღიური ცხოვრება და საქმიანობა. იმედი მაქვს, ჩვენი მოქალაქეები მალე დარწმუნდებიან, რომ ყველა ეს გადაწყვეტილება მართლაც სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია მათი თავისუფლებების გარანტიების განმტკიცებისა და კეთილდღეობის პირობების შექმნისათვის.

რამდენადაც ვიცი, ახლა ადმინისტრაციული კოდექსიც მზადდება..

რა თქმა უნდა, დღის წესრიგში კიდევ ბევრი სკანონმდებლო დოკუმენტის მიღებაა გათვალისწინებული. ჩვენ ახლა ვიწყებთ დემოკრატიული სახელმწიფოს დაფუძნებას და აქედან გამომდინარე, რამდენიც უნდა გვქონდეს გაკეთებული ამ ორი წლის განმავლობაში, გვესმის, რომ ეს მხოლოდ კარგი დასაწყისია. სამომავლოდ არანაკლებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები გვაქვს მისაღები.

მაგრამ, ჩვენი დღევანდელი საუბრის დროს მაინც განსაკუთრებულად გავამახვილებდი ყურადღებას ერთობ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც იმედი მაქვს, სერიოზულ ადგილს დაიკავებს პარლამენტის საქმიანობაში – ეს არის საპარლამენტო კონტროლის განხორციელება.

ბატონო ზურაბ, თქვენ ხშირად ამბობთ, რომ კანონის შექმნა და მიღება ერთია, მთავარია მისი შესრულება. თუ არსებობს მექანიზმი, რომელიც გააკონტროლებს კანონის შესრულების მიმდინარე პროცესს... აქ ცხადია, საპარლამენტო კონტროლს ვგულისხმობ, რაზეც თქვენ უკვე დაიწყეთ საუბარი...

ვფიქრობ, ამიერიდან უფრო მეტი დრო და საშუალება გვექნება იმისათვის, რომ დაწვრილებით შევისწავლოთ ხარვეზები, რომლებიც ახლავს ჩვენს მიერ მიღებულ ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტს, როგორ ხორციელდება იგი ამა თუ იმ უწყების მიერ, რეალურად მუშაობს თუ არა გადაწყვეტილებები, რომლებსაც კენჭი ვუყარეთ პარლამენტში. კონტროლის ფუნქცია თითოეული პარლამენტისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად კანონმდებლობის შექმნის ფუნქცია და ეს ყველამ კარგად უნდა გავაცნობიეროთ, საპარლამენტო დემოკრატიას ჩვენში არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ტრადიცია, როგორც დასავლეთის ხანდაზმულ სახელმწიფოებში. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენ შევძლებთ სერიოზული ნაბიჯების გადადგმას ამ მიმართუ-

ლებით, მაგალითად, როდესაც საუბარი გვაქვს კორუფციის პრობლემაზე, იმაზე, რომ უფრო გამჭვირვალე გავხადოთ ყველა პროცესი სახელმწიფო სტრუქტურაში, ცხადია, პარლამენტი მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ იმას, რომ მთავარია არა კანონის მიღება, არამედ ის, რომ ეს კანონი არ რჩებოდეს მხოლოდ ქაღალდზე.

ბატონო ზურაბ, ეგებ რამდენიმე საპარლამენტო საკითხსაც შევეხოთ. ვთქვათ ასეთს: – რატომ გაჩნდა დაძაბულობის ელემენტი ჩვენს საზოგადოებაში? აქ უმთავრესად მხედველობაში მყავს ლტოლვილები. ზოგიერთი მათგანი ზოგჯერ მართლაც მაკვირვებს – ისეთ აბსურდულ მტკიცებებს უჯერებს, რისი დაჯერებაც ყოვლად წარმოუდგენელია. მესმის, აქ თავის როლს ასრულებს ე.წ. „ფუნქციადაკარგული ხალხი“, ვინც ცდილობს თავის ამ სიტუაციაში გარკვეული დივიდენდების მოპოვებას, თავისი არსებობის გამართლებას. ზოგჯერ ძალაუნებურად იმას ვფიქრობ – ხომ არ მიგვანიშნებს ეს ხელისუფლების სისუსტეზე, ან იმაზე, რომ რაღაც ვერ გავითვალისწინეთ ამ მიმართულებით?

ლტოლვილები, მოგეხსენებათ, ჩვენი მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი ნაწილია და ეს ადამიანები განსაკუთრებულად მგრძნობიარენი არიან თითოეული გადაწყვეტილების, თითოეული ნაბიჯის მიმართ, რასაც დგამს ხელისუფლება. ამიტომაც არ მიკვირს, როცა მათ შორის არსებობს რაღაც გაღიზიანების ელემენტი... არც შეიძლება გაღიზიანებული არ იყოს ადამიანი, რომელმაც დაკარგა სახლი, კარი, ყოველგვარი საარსებო წყარო. ამიტომაც არის დასანანი, როცა ამ ადამიანების მდგომარეობით იწყებენ სპეკულირებას და ესა თუ ის ძალა ცდილობს მათ გამოყენებას არაკეთილსინდისიერი პოლიტიკური თამაშისთვის. მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ აქამდე განვლილ ორ წელიწადში, ჩვენ ვახერხებდით თავიდან აგვეცილებინა მოვლენების მსგავსი განვითარება, რადგან არსებობდა დაუწერელი შეთანხმება პოლიტიკურ ძალებთან, მათ შორის ოპოზიციასთან, როდესაც ოპოზიციის ლიდერები არ ცდილობდნენ გამოეყენებინათ ის ფეთქებადი მუხტი, რომელიც ლტოლვილებში არსებობს. ეს განსაკუთრებით საგულისხმო და დასაფასებელია. მინდა დავიჯერო, რომ ეს მნიშვნელოვანი პრინციპი მომავალშიც იმუშავებს, რადგან იგი საჭიროა არა მხოლოდ მმართველი პარტიისა და ხელისუფლებისათვის, არამედ, საერთოდ, ჩვენი სამშობლოსათვის. ჩვენ უნდა რეალურად გავაცნობიეროთ, რომ არსებობს თემები, რომლებზეც ჩვეულებრივი მანიპულირებით, მით უმეტეს, პოპულიზმით შორს ვერ წავალთ და დასაკარგს კი ყველანი ერთად დავკარგავთ.

რაც შეეხება კონკრეტულ პრობლემებს. მე არ გამოვრიცხავ, რომ ისინი მართლაც არსებობს. მაგალითად, თანხების განაწილებაში, ხდება გარკვეული მიწერებიც. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების უწყებებს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შეუძლიათ გაერკვნენ ამ საკითხებში და მიიღონ სათანადო გადაწყვეტილებები. ჩვენი მხრიდან ამ საკითხებზე ენერ-

გიულად იმუშავებს აფხაზეთის დროებითი კომისია ბატონ ვახტანგ ყოლბაიას მეთაურობით.

ბატონო ზურაბ, უკვე ერთი თვეა ჩვენმა გაზეთმა დაიწყო პუბლიკაციათა ციკლი ქვეყნის უშიშროების კონცეფციის, საერთოდ, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებზე. თქვენი ინიციატივით შექმნილი საპარლამენტო ჯგუფის მომზადებულ მასალებს რომ გავეცანი, სახტად დავრჩი – ქვეყნის გარედან მომდინარე საშიშროებათა გვერდით თურმე იმდენი საშიშროებაა ჩაბუდებული ქვეყნის შიგნით... ამის წამალი მხოლოდ და მხოლოდ ერის ერთიანობასა და თანადგომაშია. ჩვენ კი, ყველაფერს რატომღაც უკუღმა ვაკეთებთ, მაგალითად, ასეთად მეჩვენება ჩვენი „სახალხო პარტიის“ ამასწინანდელი მიტინგი მარნეულში...

ვიდრე ამაზე გეტყოდეთ, უპირველესად მინდა მივესალმო იმას, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიწყო მსჯელობა ამ სერიოზულ საკითხზე. მუდმივად თვალყურს ვადევნებ ბატონ ანზორ ჯაიანის ჯგუფის საქმიანობას. სადაც შრომობენ ამ საქმის შესანიშნავი სპეციალისტები. ეს არის მცდელობა, სერიოზულად გავაანალიზოთ, დავალაგოთ ყველა ის პრობლემა, რომელიც დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე. გეთანხმებით, რომ ძალიან ბევრი საშიშროება არსებობს თავად ქვეყნის შიგნით, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში. აქ იგულისხმება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული უშიშროების საკითხები და თუკი ვართ სახელმწიფო, ვალდებულნიც ვართ, უწინარეს ყოვლისა, დავინახოთ ეს პრობლემები, მოვახდინოთ მათი იდენტიფიცირება და ცხადია, ვიფიქროთ ამ საშიშროებათა მოხსნის გზებზე. გარწმუნებთ, რომ თუ ჩვენს შიდა ვითარებას მოვაწესრიგებთ, გარედან მოსული მტერი ვერაფერს დაგვაკლებს, თუ არ დაგვიწყებს ღია ომს, რაც ნაკლებად არის მოსალოდნელი დღევანდელ ვითარებაში.

თქვენ ახსენეთ მარნეულის აქცია, მე ვარწმუნებ ყველას, რომ მცდელობა, აამხედრონ აზერბაიჯანული მოსახლეობა ხელისუფლების წინააღმდეგ – განწირულია. გულდასაწყვეტია მხოლოდ, რომ ამაში მონაწილეობს ქართული პოლიტიკური ორგანიზაცია, რაც, ჩემის აზრით, მათ თავადვე უქმნის პრობლემებს, რადგან საზოგადოებრიობის შეფასებაც და რეაქციაც ამ საკითხზე, ვფიქრობ, ერთმნიშვნელოვანია.

მესმის, რომ ლევან მამალაძის მიმართ შეიძლება იყოს, ან არ იყოს რაღაც პრეტენზიები, რასაც, ვფიქრობ, ის თავად უკეთესად გასცემს პასუხს, მაგრამ შეუძლებელია ერთი რეალობის დაუნახაობა – ახალგაზრდა ადამიანმა, რომელიც 25 წლის ასაკში დაინიშნა საქართველოს ერთ-ერთი ურთულესი რეგიონის ხელმძღვანელად, რეგიონისა, სადაც ქართულ მოსახლეობასთან ერთად, კომპაქტურად ცხოვრობენ სომხები, ბერძნები, აზერბაიჯანელები, სადაც ჩამოსახლებულია დაზარალებული სვანეთის ათასობით წარმომადგენელი თავ-თავიანთი პრობლემებით. ამ სიტუაციაში მან მოახერხა არა მხოლოდ სტაბილურობისა და წესრიგის შენარჩუნება რეგიონში, არამედ ისიც, რომ ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი აქტიურად თანამშრომლობს ხელისუფლებასთან, ერთმანეთთან და ყველა ერთად ემსახურება საქართველოს ერთი-

ან ინტერესებს. უფრო მეტიც, მე ვიცი, რომ სწორედ მამალაძის ინიციატივით დაიწყო უნიკალური პროცესი, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრისპირა რეგიონების გუბერნატორების სამმხრივი შეხვედრები, რაც უკვე ტრადიციად მკვიდრდება. როდესაც ამ ადამიანის საქმიანობის შეფასებაზეა საუბარი, თუკი ვართ ნამდვილი მოქალაქეები, უნდა გვიხაროდეს, რომ ახალგაზრდა ქართველ კაცს ამდენის გაკეთება შეძლებია და თუ ის ბუკითა და ნაღარით არ ეწევა საკუთარი თავის რეკლამას, ეს არ ნიშნავს, რომ ვინმეს უფლება აქვს გათელოს და გასვაროს ყველაფერი ის, რაც ესოდენ ძვირფასია ჩვენი სამშობლოს ხვალინდელი დღისათვის.

ბატონო ზურაბ, რუსეთის თემა... განვლილმა წლებმა, ვფიქრობ, ბევრი რამ დაგავნახა, თქვენი აზრი „ორი რუსეთის“ თაობაზე...

უნდა ვთქვათ, რომ დღეს, სამწუხაროდ, ორი და კიდევ უფრო მეტი რუსეთიც არსებობს, მე ხშირად მითქვამს რუსული გაზეთების, რუსული ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუებში, რომ ჩვენი, საქართველოს, ქართველი პოლიტიკოსების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა არის ის საოცარი აურზაური, რომელიც სუფევს დღეს რუსეთის პოლიტიკურ ოლიმპზე. აქ ერთიანი ხელისუფლება პრაქტიკულად ძალზე სუსტად მოიაზრება, რადგან მოქმედებს აუარებელი სხვადასხვა დაჯგუფება და თითოეულ მათგანს ხშირად ამოძრავებს პოლიტიკისაგან საკმაოდ შორს მდგარი ინტერესები, ზოგჯერ კერძო ინტერესებიც. საერთოდ კი ეტყობა, რომ რუსეთის სახელმწიფო დღეს იმდენად სუსტია, რომ უჭირს წინ აღუდგეს ასეთ კერძო ინიციატივებს, რომელთა მწარე შედეგებსაც ვგრძნობთ კიდეც ჩვენს საკუთარ ტყავზე. როგორი რთულიც უნდა იყოს რუსეთთან ურიერთობა, რამდენი წინააღმდეგობაც უნდა შეგვხვდეს, ფაქტია, რომ უნდა გვეყოს ნებისყოფა, ვიპოვოთ, საერთო ენა რუსეთის ხელისუფლებასთან. ეს უზარმაზარი ზესახელმწიფო ჩვენი მეზობელია და მასთან ეკონომიკური თანამშრომლობა ერთობ მნიშვნელოვანია. რაც შეეხება პრობლემებს, ორივე მხრივ უნდა ვეცადოთ, რომ მოვხსნათ ისინი. იმედი მაქვს, ახალი 1998 წელი ძალიან ბევრ სიახლეს მოგვიტანს რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ვიცი ისიც, რომ ანალოგიურად არის განწყობილი რუსეთის ხელისუფლებაც პრეზიდენტ ელცინის ჩათვლით.

კიდევ ერთი შეკითხვა. როგორ რეაგირებთ პრესის კრიტიკაზე? საუბარი მაქვს კონსტრუქციულ კრიტიკაზე და არა პიროვნულ შეურაცხყოფაზე, რაც არც თუ დიდ იშვიათობას წარმოადგენს ჩვენს პრესაში. გაღიზიანებთ თუ არა, როცა ცდილობენ პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ზოგიერთი დებულების თუ მუხლის რევიზიას?

კანონის რევიზიას თუ ცდილობენ ხელისუფლების წარმომადგენლები, ამაზე მძაფრად ვრეაგირებთ და არც დავუშვებთ. რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, ბუნებრივია, საზოგადოებას უფლება აქვს ჩამოაყალიბოს აზრი ნებისმიერ კანონთან დაკავშირებით. ჩვენ კი ვალდებულნი ვართ ამას მუდმივად ვადევნოთ თვალყური და სათანადო რეაგირებაც მოვახდინოთ. რაც შეეხება პრესას, უნდა გითხრათ, რომ ნამდვილად ძალზე საინტერესო ურთიერთობა

გვაქვს პრესასთან, რადგან მიმაჩნია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში მასმედია არის პოლიტიკური პროცესის არანაკლებ მნიშვნელოვანი მონაწილე, ვიდრე უმაღლესი თანამდებობის პირები. აქ ძალზე მნიშვნელოვანია, ქართველმა ჟურნალისტებმა იგრძნოთ, რომ თქვენი პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესზე არა ნაკლებია, ვიდრე პრეზიდენტის, დეპუტატის ან რომელიმე მინისტრის. თქვენც ასე ხართ ჩართული იმ ერთიან პროცესში, რასაც ქვია – დემოკრატიული პროცესი საქართველოში.

კრიტიკას ძალიან ნორმალურად ვიღებ. მაგალითად ვაგროვებ ჩემზე გამოქვეყნებული კარიკატურების კოლექციას, რომელსაც ამოვჭრი ხოლმე სხვადასხვა გაზეთიდან, ასე რომ, მომავალშიც ვაპირებ ძალზე აქტიურად ვითანამშრომლო ჩვენს ჟურნალისტებთან.

ხშირად თუ ხდება როცა არ ეთანხმებით თქვენი კოლეგების პოზიციას? იზიარებენ თუ არა ისინი თქვენს აზრებს, შენიშვნას, როგორი რჩება ამის შემდეგ თქვენი ურთიერთობა? ამ შემთხვევაში, მხედველობაში მაქვს ჩვენი ზოგიერთი ელჩის საკითხი, რამაც გარკვეული მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში.

ჩემს თანაპარტიელებთან ერთად ჩემს მეგობრებთან ხშირად გვაქვს კამათი ცალკეულ საკითხებზე. იმიტომ რომ მოქალაქეთა კავშირი არ არის ისეთი დახურული ორგანიზაცია, სადაც გადაწყვეტილებებს ერთი ადამიანი იღებს. როცა კოლექტიურად ვიღებთ ერთ გადაწყვეტილებას, ცხადია, ყველანი ამ გადაწყვეტილების ერთგულნი ვრჩებით. ბევრ საკითხზე ჩვენ საჯაროდაც ვკამათობთ. ხშირად ყოფილა, როცა ჩემი მეგობრების – გია ბარამიძის, მიხეილ სააკაშვილის, მიხეილ მაჭავარიანისა და სხვათა პოზიცია არ გამიზიარებია, რაც დარწმუნებული ვარ, ძალზე ნორმალური მოვლენაა თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების პირობებში. აი, ახლახან შევეცადე კიდევ მიხეილ სააკაშვილისაგან სრულიად განსხვავებული შეფასება მიმეცა ჩვენი დიპლომატების საქმიანობისათვის თუმცა მასთან ვმეგობრობ და უდიდესი პატივისცემითაც ვეკიდები. ბუნებრივია, ეს აზრთა სხვადასხვაობა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ურთიერთობა შეიცვლება, მაგრამ იმასაც არ ნიშნავს, რომ მე თვალს დავხუჭავ, ჩემი აზრით, მის არასწორ განცხადებებსა და შეფასებებზე.

ბატონო ზურაბ, ჩვენი დღევანდელი საუბრიდანაც გამოჩნდა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მართლაც ბევრი აქვს საქმეც და სათქმელიც. აქედან გამომდინარე, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ასეთი „საგაზეთო შეხვედრები“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან რეგულარული უნდა იყოს? „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველები სიამოვნებით წაიკითხავენ ამ მასალებს, გაზეთი თავის გვერდებს გთავაზობთ...

დიდ მადლობას მოგახსენებთ ამ წინადადებებისათვის. ბუნებრივია, მომავალშიც, გავაგრძელებთ ასეთ თანამშრომლობას თქვენს გაზეთთან, რომელიც რჩება ყველაზე საინტერესო გამოცემად საქართველოში. ჰყავს მყარი აუდიტორია და შესანიშნავი ჟურნალისტური კოლექტივი. ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია, როცა ქვეყნის პრეზიდენტი ნახულობს საშუალებას ყოველ

ორშაბათს ერთგვარი მიმდინარე ინფორმაცია, გნებავთ – ანგარიში წარუდგინოს ქვეყნის მოსახლეობას ეს გამოსვლები იმდენად დატვირთულია კონკრეტული ციფრებით, მონაცემებით, აუარებელი ადამიანი დიდი ინტერესით მოელის ამ ინტერვიუებს. მათ შორის არიან ისინიც, ვინც შორს დგას პოლიტიკისაგან, ასე რომ, ყოველკვირეული ინფორმაციით მოსახლეობა მართლაც უზრუნველყოფილია პრეზიდენტის მხრიდან. რაც შეეხება ინფორმაციას პარლამენტიდან, ბუნებრივია მეც და ჩემი კოლეგებიც მზად ვიქნებით ვისარგებლოთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მოწვევით და ჩვენი მოსაზრებები ხშირად რეგულარულად მივაწოდოთ ჩვენს საზოგადოებრიობას.

ესაუბრა გია ჭელიძე

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 22 იანვარი, ხუთშაბათი, 1998 წ. №17 (2717). გვ. 1-2

რას ელოდა საზოგადოება შევარდნაძისაგან და რა შესთავაზა შევარდნაძემ საზოგადოებას

„რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად საქართველოს გადაკეთებას თანამშრომლობას ვერ დავარქმევ“ – აცხადებს ზურაბ ჟვანია

პოლიტიკურმა მიმომხილველებმა 1998 წელი საქართველოსთვის გადამწყვეტ წლად გამოაცხადეს. წელს გაირკვევა დიდი ნავთობის ტრანსპორტირების საბოლოო მარშრუტი, რომელზეც საქართველო პრეტენზიას აცხადებს. წელს დაიწყება რუსეთის სამხედრო ნაწილების პირველი დაჯგუფების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, პირველად ჩვენს ქვეყანას რუსეთის სახმელეთო სასაზღვრო ნაწილები დატოვებენ. წელს ჩატარდება არჩევნები ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში...

ამ და სხვა საკითხების ირგვლივ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ესაუბრა გაზეთ „რეზონანსის“ მთავარ რედაქტორს ლაშა ტუღუშს.

„რეალურად უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში საბოლოოდ განისაზღვრება საქართველოს ადგილი ახალ მსოფლიოში“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ, – „ასევე საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ჩემი ყველაზე მტკივნეული პრობლემები. ეს გახლავთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება ერთიანი სახელმწიფოს წიაღში და ნორმალური კონსტიტუციური ურთიერთობის აღდგენა ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონებს შორის“.

ძალიან მნიშვნელოვანი იქნება უახლოესი 2-3 წელიწადი დემოკრატიული პროცესების შემდგომი გაღრმავებისა და გაფართოების თვალსაზრისით საქართველოში. ჩვენ თავი არ უნდა მოვიტყუოთ, რომ დღეს მიმდინარე პროცესები შეუქცევადი გახდა. მე მეამაყება, რომ ჩვენ საგრძნობ წარმატებებებს მივაღწიეთ, მაგრამ ეს ჯერჯერობით იმდენად სუსტი ყლორტებია, რომ მისი გათელვა პატარა პოლიტიკურ ქარტეხილსაც ძალიან მარტივად შეუძლია.

ეს პერიოდი ძალზე მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, და აქედან გამომდინარე, სოციალური მდგომარეობის შეცვლის თვალსაზრისით. ჩვენ სერიოზული პოლიტიკური კატაკლიზმების წინაშე აღმოვჩნდებით, თუ არ მოხდა რეალური გარღვევა ეკონომიკური განვითარების ტემპების თვალსაზრისით.

ცალკე საუბრის თემაა რუსეთ-საქართველოს შემდგომი ურთიერთობის საკითხი, 1997 წელი ამ მხრივ საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ჩვენ არაორაზროვნად განვაცხადეთ, რომ საქართველოსთვის პრიორიტეტულია

ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ უარს ვამბობთ რუსეთთან ურთიერთობის და პარტნიორობის სერიოზულ ინტერესებზე. ასევე უნდა გაირკვეს საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სამშვიდობო ძალების შემდგომი არსებობის საკითხი. რუსეთის ხელისუფლებაში ბევრია ადამიანი, რომელიც ხვდება, რომ ყოველივე ეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გამწვავების საფუძველი არ უნდა გახდეს.

წელს ასევე მოსალოდნელია მოხდეს ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენა, როგორიცაა ტრასეკას მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურების პირველი სამიტი. მისი ჩატარება იმას ნიშნავს, რომ განხორციელდება სრულიად ახალი რეგიონალური თანამშრომლობის ქსელის ინსტიტუტციონალიზაცია, რომლის უმთავრესი ინიციატორიც ჩვენი ქვეყანა გახლავთ ტრასეკას პროექტი, ანუ „აბრეშუმის გზის“ თანამედროვე ვარიანტი, ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ ნავთობსადენი. ეს არის მსოფლიოს სრულიად ახალი თანამშრომლობის სისტემაში საქართველოს განსაკუთრებული და საკვანძო ადგილის დაფიქსირება.

ახალი თამაშის წესები ახალი საქართველოსთვის

„რ.“: ერთმა მაღალი რანგის სახელმწიფოს მრჩეველმა აღნიშნა, რომ საქართველოს არა აქვს სტრატეგიული კურსი, უფრო მეტიც, მისი აზრით, საქართველოს არც კი შეიძლება ის ჰქონდეს, ვინაიდან ძალიან პატარა სახელმწიფოა. ამასთან დაკავშირებით, მინდოდა მეკითხა, არსებობს თუ არა საქართველოსთვის არჩევანი? ხშირად ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ის, რაც დღეს ხდება, გამომდინარეობს არა ხელისუფლების ნებისგან, არამედ დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა გარკვევის შედეგად.

ზ.ჟ. არჩევანი გაგვაჩნია, როგორც ერს, რომელიც საკუთარ სახელმწიფოს აყალიბებს. თუ მიმოვიხედავთ ჩვენს სამეზობლოში, დავრწმუნდებით, რომ ჩვენი ბედის მქონე ქვეყნები მიდიან განვითარების სხვადასხვა გზით, სრულიად განსხვავებული ვექტორები განსაზღვრავს მათ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას. არჩევანის მომენტი არსებობს და პრინციპული გადაწყვეტილება სწორედ ჩვენი მისაღებია.

დღეს საქართველო განსაზღვრული გზით მიდის. ჩვენ საქართველოს ვაბრუნებთ მის ისტორიულ სამყოფელში, ევროპულ სამართლებრივ და ღირებულებათა ერთიან სივრცეში. სამწუხაროდ, დღესაც ძალზე ძლიერია ის ძალები, რომლებიც დიამეტრულად საწინააღმდეგო მიმართულებით ეცადნენ საქართველოს განვითარებას.

ბოლო წლების მანძილზე ჩვენ რამდენიმე მოდელი მოვსინჯეთ. მათ შორის ისიც, რომ საქართველოს უარი უნდა ეთქვა ესენგე-ში შესვლაზეც კი, რასაც აფხაზეთის ტრაგედია მოჰყვა. ასევე მოვსინჯეთ მოდელი, რომლითაც ვაღიარეთ ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო სტრატეგიული ინტერესები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტიებისა და ჩვენი

სამხედრო აღმშენებლობის საპასუხოდ. სამწუხაროდ, ეს სავსებით კონკრეტული მოდელი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ძალზე თანმიმდევრულად ახორციელებდა, ჯერჯერობით არ მუშაობს, თუ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება კიდევ გარკვეული დროის განმავლობაში საქართველოს მოუხდება ახალი მოდელების და გადაწყვეტილებების მიღება. არაერთხელ გამოთქმული ბრალდება, თითქოს საქართველოს ხელისუფლება და შევარდნაძე არასაკმარისად გააზრებულ ნაბიჯებს დგამდა რუსეთთან მიმართებაში, მიუღებლად მიმაჩნია. თუ კრიტიკოსები გულისხმობენ, რომ რუსეთთან თანამშრომლობა შესაძლოა ნიშნავდეს საქართველოს რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად გადაკეთებას, მე თანამშრომლობა ამგვარად ვერ წარმომიდგენია. ამ პროცესს სხვა რაღაც ჰქვია და არა თანამშრომლობა.

ამბობენ, რომ რუსეთი აფხაზეთს არ გვიბრუნებს იმის გამო, რომ ვიღაცას შევარდნაძე უყვარს. მაგალითისთვის ავიღოთ ბელარუსი. დღეს უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ უღრმეს კრიზისზე რუსეთსა და ბელარუსს შორის. ასე რომ, რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირებისა და ქორწინების ყველა მეხოტბეს ვურჩევ, დაუფიქრდეს იმ მაგალითებს, რომელიც უკვე არსებობს ესენგე-ს ჩარჩოებში.

თუმცა, რუსეთის ორბიტაზე ბელარუსული მოდელით ყოფნაც არაა ერთადერთი ალტერნატივა საქართველოსთვის. თავის დროზე იყო ტენდენციები, რომ საქართველო ერთგვარ ნაციონალისტური ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო. ეს მოდელი საკმაოდ გაცნობიერებული იყო 90-იანი წლების ბევრი პოლიტიკოსისათვის. ისინი დღესაც არსებობენ.

ჩვენი ახლადგამომცხვარი მემარცხენე პატრიოტული ყაიდის ლიდერები პუბლიკაციებსა და ინტერვიუებში ამბობენ, რომ მთელი მსოფლიო დასავლეთის დაწერილი სცენარებით მოქმედებს. ეს ბატონები საბჭოთა კავშირის კომპარტიის ლიდერ ბატონ შეინინთან ერთად მზად არიან, დაუპირისპირდნენ დასავლეთის მასობრივ ძალებს. ერთადერთი რეაქცია ამგვარ თეორიებზე შეიძლება იყოს მხოლოდ ღიმილი, რომელსაც იწვევს ბავშვის ნათქვამი უწყინარი სისულელე. ძალიან შევცდებით, თუ წარმოვიდგენთ, რომ ამერიკაში ვიღაც დილიდან ღამემდე ზის და ერთი სული აქვს, როდის შეერწყმება საქართველო დასავლურ სამყაროს, როდის შემოვა ნატო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, როდის გადავდგამთ ჩვენ გადამწყვეტ ნაბიჯებს. ეს ასე არ არის.

დღეს ცოტას წარმოუდგენია მსოფლიო პოლიტიკაში, თუ როგორი იქნება ხვალინდელი მსოფლიო. ამ პროცესებს შევაფასებდი, როგორც მღელვარე ზღვას. ის ნაპირი უნდა ავირჩიოთ, რომელსაც საბოლოოდ უნდა მივადგეთ. შერჩეული მიმართულების შენარჩუნება და ჩვენი პატარა გემის მშვიდობიანად შენაპირება არც ისე ადვილია.

რასაც ამბობთ, ეს ქართულ პოლიტიკურ ელიტაშია დამკვიდრებული, პოლიტიკური უპასუხისმგებლობის გამოხატულებაა.

„რ.“: რას ნიშნავს შევარდნაძის ფაქტორი საქართველოსათვის?

ზ.ჟ. პირველ ყოვლისა შევარდნაძის ფაქტორი გამომდინარეობს მისი ავტორიტეტიდან და იმ ნდობიდან, რომელიც მის მიმართ რეალურად გააჩნიათ მსოფლიოს ლიდერებს. წინა პარლამენტის დროს მოსკოვში ჩვენი საპარლამენტო დელეგაციის ერთ-ერთი დემოკრატიული პარტიის ლიდერთან შეხვედრისას, ერთ-ერთმა ქართველმა ოპოზიციონერმა პარლამენტარმა იკითხა, შევარდნაძე თუ არა, სხვა ვინ შეძლებს საქართველოს მდგომარეობიდან გამოყვანასო. რუსმა ლიდერმა უპასუხა, რომ იგივე შეიძლება შეძლოს წარმოსახვითმა პიროვნებამ, მაგრამ მანამდე მან, როგორც მინიმუმ, ჯერ უნდა დაიპყროს ორი დიდი მეზობელი ქვეყანა მაგალითად, თურქეთი და ირანი, შემდეგ ორივე უნდა გაათავისუფლოს ზარ-ზეიმით, რის შემდეგაც მას შეიძლება ჰქონდეს მსოფლიოში ისეთივე ავტორიტეტი, როგორიც გააჩნია შევარდნაძესო. ეს პატარა იგავად მოყოლილი ალეგორია ზუსტად ასახავს იმ ფაქტორს, რასაც ჰქვია შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტი.

დღეს მსოფლიოში მოქმედ პოლიტიკოსთა უდიდესი ნაწილი შევარდნაძეს აღიქვამს როგორც ადამიანს, რომელმაც „ცივი ომის“ დასრულება შეძლო. შევარდნაძემ საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს, მოახერხა იმჟამინდელი საბჭოთა კავშირის ურთიერთობათა გამოსწორება ძალიან ბევრ ქვეყანასთან, ვისთანაც პრობლემები ათწლეულობით გროვდებოდა. ამიტომ მის მიმართ სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულებაა ჩინეთში, ისრაელში, იაპონიაში, ინდოეთში.

შევარდნაძე ის პიროვნებაა, რომლის მიმართ როგორი კრიტიკულიც არ უნდა იყოს საზოგადოებაში დამოკიდებულება, საზოგადოების უდიდესი ნაწილი აღიქვამს მას, როგორც ლიდერს, რომელიც ქვეყანას სათავეში ედგა მრავალი წლის განმავლობაში. მისი მოქმედების პრინციპებს საზოგადოება კარგად იცნობს. ორმა არჩევნებმა დაადასტურა, რომ მისგან საზოგადოება პრობლემების გადაწყვეტას ელის. ესაა მისი ქარიზმა. ესაა მისდამი ნდობა.

შევარდნაძე არ დასჯერდა თავისი ძველი თანამშრომლებისაგან შემდგარი გუნდის არსებობას და საქართველოში დაბრუნების პირველი დღეებიდანვე ძალიან ენერგიული ნაბიჯები განახორციელა, რომ მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა საქართველოს ახალ პოლიტიკურ ელიტასთან. აქ არაა ლაპარაკი მხოლოდ დღევანდელ „მოქალაქეთა კავშირზე“. 1992 წლიდან მოყოლებული შევარდნაძემ ბევრ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან სცადა ურთიერთობა. დღესაც ბევრი სხვადასხვა პოლიტიკური წარმომავლობის ახალგაზრდა ადამიანი აგრძელებს წარმატებულ საქმიანობას შევარდნაძის გუნდში. მან ნაბიჯები გადადგა ახალი პოლიტიკური ელიტის ჩამოსაყალიბებლად.

მინდა შევეხო თემას, რომელიც მნიშვნელოვანია ჩემთვის და ჩემი თანამოაზრეებისათვის. ვინც თავს შევარდნაძის გუნდის წევრებად მივიჩნევთ. ეს არის პრეზიდენტის მართვის პრინციპებისადმი დამოკიდებულება.

რას ელოდა საზოგადოება შევარდნაძისგან და რა შესთავაზა შევარდ-

ნაძემ საზოგადოებას? უნდა გავიხსენოთ ეს წარმოუდგენელი პერიოდი, როდესაც ყველანი ვიყავით სოროში შეყუჟულნი და ჟრუანტელი გვივლიდა ავტომატის ჯერის გაგონებისას, როდესაც პურის რიგებში ვიყინებოდით და საერთოდ, აპოკალიფსური ვითარება შეიქმნა ჩვენს ცხოვრებაში. როდესაც შევარდნაძე დაბრუნდა ჩვენს ქვეყანაში, საზოგადოების უდიდეს ნაწილს ეგონა, რომ ის „რკინის მუშტს“ დაარტყამდა მაგიდას და რამდენიმე დღის შემდეგ ავტორიტარულ მმართველობას დაამყარებდა. ამის ფასი იქნება უარის თქმა ყოველგვარ დემოკრატიულ თავისუფლებებზე, სამაგიეროდ, ჩვენ დავიბრუნებდით გარანტირებულ მცირე და უსაფრთხო საკვების ულუფას. სიმშვიდეს და ელემენტალურ კეთილდღეობას. შევარდნაძემ ამის სანაცვლოდ სრულიად განსხვავებული არჩევანი შესთავაზა საზოგადოებას, მიკვირს, რომ ამ ადამიანმა, რომელმაც ათწლეულები განვლო სხვა სისტემის პირობებში, იპოვა თავის თავში ნებისყოფა და თავისთვისაც და საზოგადოებისთვისაც სრულიად ახალი თამაშის წესები დაამკვიდრა, რაც გულისხმობს რეალური და ძლიერი ოპოზიციის არსებობას, მთავრობისგან დამოუკიდებელი საზოგადოების ჩამოყალიბებას და ეს გამოცხადებულია სტრატეგიულ კურსად, როდესაც იღებ გადაწყვეტილებას დემოკრატიის სასარგებლოდ, ეს ნიშნავს, რომ გათვლას აკეთებ ბევრად უფრო გრძელვადიან მასშტაბებზე. ვიდრე იმ დროზე, რომელსაც ერთი თუ ორი პოლიტიკოსის აქტიური საქმიანობის პერიოდი შეიძლება მოიცავდეს.

„რ.“: დღევანდელ ხელისუფლებას ბევრი ედავება. უმთავრესად ისმის საყვედური ხელისუფლების მმართველ გუნდზე. ხშირად ამბობენ, რომ ეს მართვის მოძველებული ტექნოლოგიაა, რომელიც კომუნისტურ ტრადიციებზეა დამყარებული. ისინი მიიჩნევენ, რომ ესაა ძალიან ლოკალური და არა შორს გამიზნული ტექნოლოგია, რის მაგალითად მოჰყავთ ის, რომ მინისტრები, პარლამენტარები, სახელმწიფოს მაღალი რანგის მოხელეები კორუმპირებულები არიან.

ზ.ჟ. ვერ გავიზიარებ თქვენს შეფასებას, რომ საქართველოს მართვის სქემა არ იცვლება და იგი ძველი კომუნისტური ყაიდისაა.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ ხელისუფლებაში, და მათ შორის მაღალ ეშელონებშიც არის კორუფციის ფაქტორები, მაგრამ თუ ლაპარაკია მართვის სისტემაზე, არცერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას არ გაუკეთებია ისეთი პროგრესი დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, როგორიც საქართველოში შეინიშნება. ბუნებრივია, ეს შეფასება ბალტიის ქვეყნებს არ შეეხება.

ჩვენ მომსწრენი ვართ, რომ ქვეყანაში რეალურად არსებობს ერთმანეთისგან გამიჯნული, გარკვეულ ბუნებრივ კონფრონტაციაში მყოფი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. მართალია, პარლამენტის უმრავლესობას პრეზიდენტის პარტია წარმოადგენს, მაგრამ საზოგადოებისათვის ალბათ არ არის საკამათო, რომ პარლამენტი დამოუკიდებელი ორგანოა ჩვენს მთლიან სახელისუფლებო სისტემაში. იმ საკანონმდებლო გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, რაც პრეზიდენტმა

და პარლამენტმა ერთობლივად მიიღეს, საქართველოს, როგორც ჩანს, მიმდინარე წლის ბოლომდე ეყოლება რეალურად დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება. შეუძლებელია არაღიარება, რომ საქართველოში მასმედიის უდიდეს მასივს დღეს სახელმწიფოსაგან და პოლიტიკური დაჯგუფებებისგან სრულიად დამოუკიდებელი გამოცემები წარმოადგენს. ამ ჩამონათვალს დავუმატებდი ჩვენში ძალიან სწრაფად განვითარებულ არასამთავრობო სექტორს. ესაა მოსახლეობის საზოგადოებრივად ძალზე აქტიური ნაწილი, რომელიც თავისი მიზნების რეალიზაციას ხელისუფლებისგან სრულიად დამოუკიდებლად ახდენს.

„რ.“: ჩვენ ვისაუბრეთ შევარდნაძეზე, როგორც ძლიერ და ავტორიტეტულ ფიგურაზე. ისტორიიდან ხშირია მაგალითები, რომ ასეთი ძლიერი პოლიტიკოსები სხვადასხვანაირი ფორმებით მართავენ ქვეყანას. დღეს, როდესაც ცდილობენ რა შევარდნაძის კრიტიკას, აღნიშნავენ, რომ შევარდნაძეს მიდრეკილება აქვს ავტორიტარული მართვისაკენ. ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ საქართველოში შემცირდა პარტიების რაოდენობა, არ ყალიბდება ოპოზიციურად განწყობილი ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციები. ამას ხსნიან იმით, რომ სწორედ ისეთი ძლიერი პოლიტიკური ფიგურა, როგორიცაა საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი, არ იძლევა ამის შესაძლებლობას. თუმცა, არსებობს სხვა პოზიციაც დ არა შევარდნაძემ დაამარცხა ეს სხვა პარტიები, არამედ ისინი თვითონ დამარცხდნენ, რადგან არ აღმოჩდნენ მზად, რომ დაემარცხებინათ შევარდნაძე. ხშირად ამბობენ, რომ შევარდნაძე არ ცდილობს ჩამოაყალიბოს ძლიერი გუნდი და არ ფიქრობს იმაზე, რომ გარკვეული დროის შემდეგ, ქვეყანაში არ იქნება ძლიერი პარტია, რომელიც შეძლებდა ემართა საქართველო დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე.

ზ.ჟ. საზოგადოება ტაშს დაუკრავდა, თუკი 1992 წელს შევარდნაძე პრეზიდენტის არჩევას 10-15 წლით გამოაცხადებდა. მისთვის არ იყო აუცილებელი, რომ კონსტიტუციის მიღების ძალიან მტკივნეული პროცესის დროს 6 თვის მანძილზე გაეთენებინა ათასგვარი პარტიის წარმომადგენლებთან ერთად. პრეზიდენტმა თავისი ინიციატივით შემოიღო თამაშის ის წესი, რომლის წყალობით დღეს ამერიკისა თუ ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობა აცხადებს, რომ საქართველოში პოსტსაბჭოურ სივრცეში, ყველაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს დემოკრატიული რეფორმების პროცესი.

რაც შეეხება პარტიების რაოდენობას, წარმოუდგენელია არსებობდეს სტაბილური ჩამოყალიბებული საზოგადოება, როცა 20-25 პარტიაა წარმოდგენილი საკანონმდებლო ხელისუფლებაში. ნორმალურ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს 3-5 გავლენიან პარტიაზე მეტი. ჩვენ ხომ არ გვგონია, რომ ამერიკაში მართლაც მხოლოდ 2 პარტიაა. იქ არის ათეულობით სხვადასხვა პარტია, მაგრამ მათ არანაირი რეალური ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ არც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, არც პოლიტიკურ პროცესებზე. ის, რომ 1995 წლის არჩევნებში 5%-იანი ბარიერის გადალახ-

ვა მხოლოდ სამმა პარტიამ შეძლო, საქართველოში პოლიტიკურ სტაბილურობაზე მიანიშნებს. ჩვენ სწორად უნდა შევაფასოთ ეს გარემოება, მივესალმებოდი, თუკი ჩვენთან დამკვიდრდებოდა ოპერატიული სისტემა.

აყალიბებს პრეზიდენტი იმ გუნდს, რომელიც შეძლებს ხვალინდელი საქართველოს მართვას? ვინმე დამისახელებს სხვა პრეზიდენტის მაგალითს, რომელიც გუბერნატორებად ნიშნავს 26-28 წლის ახალგაზრდებს და ფინანსთა მინისტრობას ანდობს ადამიანს, რომელსაც გარკვეული საქმიანობის სულ ორიდე წელი გააჩნია და 26 წლისაა?

შევარდნაძე ძალზე ფორსირებულად აყალიბებს სრულიად ახალ პოლიტიკურ ელიტას, ჩვენს ქვეყანაში; იმ წრეს ადამიანებისა, რომელთაგანაც გამოიწვრთნება ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი მმართველობა. მისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფა, რასაც ჰქვია შევარდნაძის პოლიტიკა დ ერთგულება დამოუკიდებლობის იდეალებისადმი; ერთგულება საქართველოს ევროპული ორიენტაციისადმი, ზომიერება და პრაგმატიზმი; საერთო ენის გამონახვის მცდელობა რუსეთთან და სხვა, რაც დამახასიათებელია შევარდნაძის დღევანდელი პოლიტიკისათვის.

შევარდნაძეს აქვს ერთი ფორმულა, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში დ შექმნა მეგობრები. დღეს საქართველო ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, რომელსაც თანაბრად კარგი ურთიერთობები აქვს სომხეთთან და აზერბაიჯანთან, თურქეთთან და ირანთან, ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ვცდილობთ მაქსიმალურად კეთილგანწყობილი და კეთილმეზობლური ურთიერთობები გვქონდეს რუსეთთან და მაქსიმალურად ვთანამშრომლობთ ამერიკასთან და იაპონიასთან.

როდესაც თითოეული მიმართულებით ვიწყებდით პოლიტიკის ჩამოყალიბებას, იყო იმის გარკვეული პოტენციალი, რომ დაძაბული ურთიერთობების წინაშე აღმოვჩენილიყავით. ამას განაპირობებდა ბევრი შიდა ფაქტორი და საერთაშორისო კონიუქტურა. შევარდნაძის პოლიტიკის უმთავრესი გახლავთ ის, რომ გაგვენეიტრალებინა პრობლემების წარმოქმნელი ფაქტორები და წინ საერთო ინტერესები წამოგვეწია. ამიტომ საქართველომ – დანგრეულმა და გაღატაკებულმა ქვეყანამ, მოიპოვა რეგიონის ყველა სახელმწიფოს მიმართ თავისი ზომის, მოსახლეობის რაოდენობისა თუ ეკონომიკური პოტენციალის სრულიად არაადეკვატური გავლენა. სამწუხაროდ, საკმაოდ შეზღუდული ვარ ჩემი თანამდებობით და ველი იმ დროს, როდესაც ოფიციალური ვალდებულებებისაგან გავთავისუფლდები და შევძლებ, თუნდაც ნაწილობრივ აღვწერო ის პროცესები, რისი მოწმეც დღეს გახლავართ.

შევარდნაძის აზრს, მის შეფასებებს საქართველოსთან და მთელ რეგიონთან მიმართებაში ინტერესით ისმენენ და ანგარიშს უწევენ ვაშინგტონში, მოსკოვში და ყველა იმ დედაქალაქში, სადაც ჩვენი პლანეტის ბედი წყდება. ერთი ანალიტიკოსისგან მომისმენია შევარდნაძის შეფასება. მან თქვა, რომ შევარდნაძე სამწუხაროდ, უნიკალურია დღეს მოქმედ ლიდე-

რებს შორის იმითი, რომ მას გააჩნია სტრატეგიული ხედვა არა მხოლოდ თავისი ქვეყნისათვის, არამედ მსოფლიოსათვის, თუ როგორ უნდა წარიმართოს მთლიანობაში მთელი პლანეტის განვითარება. შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ხალხისათვის ასეთი პრეზიდენტის ყოლა ზედმეტი ამბიციაა, მაგრამ მე ძალიან მიხარია, რომ ჩვენ სწორედ ამით შეგვიძლია ვიამაყოთ.

„რ.“: საქართველოს ხელისუფლებაში არსებობენ განსხვავებული თაობების ადამიანები მრავლად არიან წარმოდგენილნი ე.წ. 60-იანელები, ანუ ის ხალხი, რომელთაც მოღვაწეობა ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის დროს დაიწყეს. მათ, შეიძლება ითქვას, „დათბობის თაობას“ უწოდებენ. მათთვის დამახასიათებელია ნახევარზომებით საქმიანობა, დემოკრატიის მიმართულებით ძალიან უმნიშვნელო ნაბიჯების გადადგმა. სხვათა შორის, ამ თაობის ადამიანები არა მარტო პოლიტიკაში არიან მნიშვნელოვნად წარმოდგენილნი, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებშიც. თუმცა არსებობს 80-იანელების თაობა, რომელთა წარმომადგენლებიც თქვენ ხართ, მაგრამ ეს ნაწილი უფრო მცირედაა ხელისუფლებაში წარმოდგენილი. თაობებს შორის განსხვავება არსებობს. რას წარმოადგენს ის დ ხელისშემშლელ ფაქტორს, გამოცდილებას?

ზ.ჟ. თაობათა მომენტი ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკაში არსებობს, მაგრამ არ დავუკავშირებდი ამას ფიზიოლოგიურ ასაკს. ჩემი და თქვენი ასაკის ხალხის თვალწინ ასპარეზზე მოქმედებენ სამი თაობის მოღვაწეები. როგორც არ უნდა კრიტიკულად ვიყოთ მათ მიმართ განწყობილები, ამ თაობის მოღვაწეთა მთავარი ფუნქცია იყო 70 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული სისტემის ნგრევა.

მესამე თაობას მიეკუთვნებიან დემოკრატიული საქართველოს მოღვაწეები. ეს ის ადამიანებია, რომლებიც სულ ახლახან წამოიჩიტნენ და მიაღწიეს იმ ასაკს, როდესაც შეუძლიათ რაღაცის თქმა. ამ ჯგუფში ასაკით საკმაოდ ჭარმაგნიც შედიან. ამ ხალხს ჰქონდა კომუნისტური პერიოდის განმავლობაში საქმიანობის საკმაო გამოცდილება, მაგრამ მათ ქართული დემოკრატიის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. მხოლოდ ასაკობრივი ნიშნით ადამიანების დაყოფა წარმოუდგენელია. მე ვიცნობ თავის დროზე ბევრ ცნობილ პოლიტიკოსს, ასაკით ჩემზე უმცროსებს, რომელთა ადგილი დღევანდელ პროცესებში არ მოიძებნა. ამავე დროს, შემიძლია ისეთი პიროვნებებიც დავასახელო, რომლის გარეშეც დღევანდელი დემოკრატიული საქართველოს პოლიტიკური კალეიდოსკოპი ბევრს დაკარგავდა. მე ვგულისხმობ, მაგალითად, ალექსანდრე ჯავახიშვილს, ელდარ შენგელაიას, ელენე თევდორაძეს...

ედუარდ შევარდნაძის უდიდესი დამსახურებაა, რომ მან მოახერხა, მართლაც უნიკალური კომბინაციის შექმნა, როდესაც ერთად მოუყარა თავი ეროვნული მოძრაობიდან მოსულ თუ ტრადიციული ლიბერალური ინტელიგენციის წიაღიდან ამოსულ მოღვაწეებს. მან ყველა ერთად მოაქ-

ცია ახალ პოლიტიკურ სტრუქტურაში, რომელიც ობიექტურად მიმართული უნდა იყოს საქართველოში დემოკრატიის დაფუძნებისაკენ.

ის, რომ შევარდნაძეს ეს წარმატებულად გამოუვიდა, გამომდინარეობს იმ გზიდან, რომელიც მან გაიარა.

„რ.“: დღეს შევარდნაძის ბევრი ყოფილი თანამოაზრე, რომლებიც წლების განმავლობაში, მისი გუნდის წევრებად ითვლებოდნენ, დღეს აკრიტიკებენ პრეზიდენტის პოლიტიკას. მაგალითად, ვახტანგ გოგუაძე და ავთანდილ მარგიანი, რომლებიც საქართველოს კომუნისტურ „სამოთხეში“ დასაბრუნებლად იღვწიან. როგორც ჩანს „იაფფასიანი ძეხვის“ ნოსტალგია საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ჯერ კიდევ არსებობს. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგივე მარგიანი და გოგუაძე დღეს, მართალია, აკრიტიკებენ ხელისუფლების კურსს, მაგრამ ედუარდ შევარდნაძეს ისინი კვლავ თავიანთ ლიდერად აღიქვამენ.

ზ. ჟ. ის ფაქტი, რომ 1995 წლის არჩევნებში საქართველო გახდა ერთადერთი ქვეყანა პოსტსაბჭოურ სივრცეში, სადაც პარლამენტში ვერცერთი კომუნისტი ვერ მოხვდა, იმის გამოხატულებაა, რომ საზოგადოებამ ცნობიერად თქვა უარი ამ კომუნისტურ ნოსტალგიაზე და ყოველგვარ ილუზიაზე, რომ შესაძლებელია იმ ავბედითი „სამოთხის“ დაბრუნება.

თქვენ მიერ ხსენებულ „ამხანაგებს“ მართლაც სურთ შევარდნაძის ლიდერობის ქვეშ ყოფნა და თან ახალ კავშირებში გვეპატიჟებიან. მე, პირადად, დადებითად ვაფასებ ფაქტს, რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, რომ მსგავსი გაერთიანების შესახებ ლოზუნგი ხმამაღლა იქნა საქართველოში წარმოთქმული. მე ხშირად გამიგია რუსეთში ჩვენი „მეგობრებისგან“, როგორებიც არიან ბაბურინი და ტიხონოვი, „თქვენს ქვეყანაში ხალხს სურს საბჭოთა კავშირის აღდგენა. ამის აღიარება მხოლოდ თქვენ, პოლიტიკოსებს არ გინდათ.“

თუ ვინმე დასვამს შეკითხვას, დაბრუნდება თუ არა საქართველო საბჭოთა კავშირში, პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი იქნება. გოგუაძე-მარგიანის როლს მხოლოდ იმაში ვხედავ, რომ ისინი საშუალებას აძლევენ ქართულ საზოგადოებას, პასუხი გასცენ ამ უმნიშვნელოვანეს შეკითხვას ხვალინდელი დღისთვის. საზოგადოების მხრიდან ნიჰილიზმი დამღუპველია.

„რ.“: სხვათა შორის, ასეთ მოსაზრებას მხოლოდ პოლიტიკოსებს შორის არ მოისმენს ადამიანი. საზოგადოებაშიც უკვე მყარადაა დამკვიდრებული აზრი, რომ ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება წინასწარაა გადაწყვეტილი და აქედან გამომდინარე, საზოგადოების აქტიურობას აზრი ეკარგება.

ზ.ჟ. ბოლო დროს მქონდა საშუალება რამდენჯერმე გამომეხატა საჯაროდ ჩემი მოსაზრება, რომ ერთ-ერთ სახიფათო მოვლენად დღევანდელ საქართველოში მიმაჩნია სწორედ ამგვარი ნიჰილიზმი, განწყობა, რომ ჩემი საქმე არ არის, სახელმწიფოს, საზოგადოების ბედის განსაზღვრაში ჩემი წვლილი შევიტანო. ეს რეალურად დიდი საშიშროების შემცველი

მოვლენაა. დემოკრატია ტოტალიტარული სისტემისგან განსხვავებით, მოითხოვს საზოგადოების მუდმივ ურთიერთქმედებას თავის ხელისუფლებასთან.

სწორედ საზოგადოება სხვადასხვა გზებით და პირველ ყოვლისა, არჩევნების საშუალებით, მუდმივად უნდა ახდენდეს ხელისუფლების პოლიტიკისა და ხელისუფლების შემადგენლობის კორექტირებას. ეს რეალურად ის ფუძემდებლური მექანიზმია, რომელსაც ნებისმიერი დემოკრატიული სისტემა ეფუძნება. თუკი ჩვენი საზოგადოება უარს აცხადებს ამგვარი მექანიზმის ამუშავებაზე, ვერანაირი ბრწყინვალე კონსტიტუცია და კანონმდებლობა ვერ გვიშველის.

კანონს მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც საზოგადოება ხდება მისი მომხმარებელი და რეალურად იწყებს მის გამოყენებას. წინაღმდეგ შემთხვევაში, მას, აქვს ზუსტად ისეთივე ძალა საზოგადოებრივი თვალსაზრისით, როგორც ცარიელი ქაღალდის ფურცელს, რომელსაც ქარი სადმე გაიტაცებს.

„რ.“: საზოგადოება კარგად ხედავს, რომ დღეს გარკვეული იმპერიული პროცესები ზემოდან ქვემოთ იმართება, ის მიუთითებს კორუფციის მაღალ დონეზე, მართვის დაბალ ხარისხზე, თქვენ ამბობთ, რომ საზოგადოება არ არის მზად, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ხელისუფლებაც ასევე მოუმზადებელია?

ზ.ჟ. შეუძლებელია დემოკრატიის, ღია საზოგადოების დაფუძნება ერთ დღე-ღამეში, ან თუნდაც ერთ წელიწადში. პრობლემები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას, ეს არ არის კარგი კანონის თუ ცუდი კანონის მიღების პრობლემა, წარმატებული თუ წარუმატებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელების პრობლემა. ის ბევრად გლობალური მასშტაბისაა და გულისხმობს საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის ცხოვრების წესის, თუ გნებავთ, აზროვნების წესის, შეცვლას, რაც პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია სურვილთან, რომელიც უნდა არსებობდეს არა ხელისუფლებაში, არამედ საზოგადოებაში.

მე შემიძლია მოვიყვანო კონკრეტული მაგალითი, მაგალითად, როდესაც გაჩერებთ ავტოინსპექტორი და გთავაზობთ არარსებული მცირე დარღვევისათვის აქტის შედგენას, რის შემდეგაც თქვენ მოგიხდებათ 2-3 ლარის გადახდა. თქვენ 5 წუთის ეკონომიის გამო გირჩევნიათ აქტის შედგენას არ დაელოდოთ და 5 ლარი, ნაცვლად 3 ლეგალური ლარისა, ჩუმად ჩაუდოთ ინსპექტორს ჯიბეში. თქვენ ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ აკანონებთ იმ წესს, რომელიც არსებობს საზოგადოებაში.

მიუხედავად იმისა, რომ მართლაც ძალზე მწვავეა პრობლემები და ბევრი სცოდავს, პირველ ყოვლისა, ხელისუფლება, მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი საზოგადოება გამოვა უმძიმესი შოკის მდგომარეობიდან, რაშიც ბოლო წლების ტრაგიკულმა მოვლენებმა ჩაგვაგდო. ქართული საზოგადოების არსებობის ერთადერთი შესაძლო ფორმა სწორედ ისაა, რასაც ჩვენ ღია საზოგადოებას ვუწოდებთ.

„რ.“: როდესაც ისმის ხელისუფლების კრიტიკა, ყველაზე მეტად სწორედ ამ საკითხს გამოყოფენ. ხელისუფლების მხრიდან არ იხარჯება იმდენი ენერგია, რომ ადამიანის უფლებები სათანადოდ იქნას დაცული საქართველოში; რა თქმა უნდა ბევრი ხედავს პროცესებს სასამართლო რეფორმის თვალსაზრისით, მაგრამ მათ მიაჩნიათ, რომ ეს არ არის საკმარისი. ისინი აკრიტიკებენ პრეზიდენტის საკადრო პოლიტიკას და ყურადღებას ამახვილებენ სახალხო დამცველად დავით სალარიძის დ პოლიციის ყოფილი გენერლის დანიშვნის ფაქტზე?

ზ.ჟ. ჩვენი საზოგადოების საკმაოდ სიმპათიურ ნაწილში ჯერჯეროობით არსებობს იმის ილუზია, რომ შევარდნაძე ერთ მშვენიერ დღეს დაწერს დეკრეტს „ხვალინდელი დღის 12 საათიდან საქართველოში დაწესდეს სამოქალაქო ღია საზოგადოება, სრულფასოვნად იმუშაოს ყველა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა და დაცული იქნეს ადამიანის ყოველგვარი უფლებები“. ადამიანის უფლებათა დაცვის განხორციელება ყოველდღიურ პრაქტიკაში ის გამოცდილებაა, რომელსაც ვერცერთი ხელისუფალი ბრძანებით ვერ დააწესებს. ჩვენი ხელისუფლების საქმეა, შევქმნათ საკანონმდებლო გარანტიები საიმისოდ, რომ თითოეულმა პიროვნებამ შეძლოს საკუთარი ინტერესების, უფლებებისა და ღირსების დაცვა.

„რ.“: თქვენ აღნიშნეთ, რომ დღევანდელი საქართველოსთვის, მისი მომავალი ადგილის განსაზღვრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ახალი რეგიონალური ინიციატივის, „ტრასეკას“ პროექტის განხორციელება, როგორია საქართველოს ხელისუფლების ადგილი ამ პროექტში?

ზ.ჟ. ვშიშობ, რომ დღევანდელი ქართული საზოგადოება და ხშირად პოლიტიკური ისტაბლიშმენტის წარმომადგენლებიც ხშირად არ ვაცნობიერებთ, რა პროცესი მიმდინარეობს დღეს ჩვენს ქვეყანაში და საქართველოს ირგვლივ რეგიონში. ჩვენ, როგორც ჩანს ბუნებრივად შევეჩვიეთ იმ გარემოებას, რომ მსოფლიოს უმდიდრესი რეგიონის ბუნებრივი რესურსების ათვისება დასავლეთის ქვეყნების მიერ საქართველოს აქტიური მონაწილეობით მოხდება.

ჩვენ თავისთავად რეალობად აღვიქვამთ იმას, რომ არა მხოლოდ აზერბაიჯანის, არამედ ყაზახეთის უზარმაზარი ნავთობის რესურსები გამოივლის საქართველოზე და ჩვენი ქვეყანა ფანტასტიკურ შემოსავლებს ნახავს, საქართველო გახდება უზბეკეთის ბამბის და ცენტრალური აზიის მინერალური ნედლეულის ტრანსპორტირების გზა, სწორედ საქართველოზე გაივლის იმ ტვირთების უდიდესი ნაწილი, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გადაადგილდება.

ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ საქართველო არა მხოლოდ შემოსავლებს მიიღებს, არამედ ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება ჩვენი პლანეტის ზესახელმწიფოებისათვის სტაბილურობის, მშვიდობისა და ეკონომიკური აღმავლობის შენარჩუნებით. ეს არის ჩვენი სახელმწიფოს სახვალიო წარმატების ფორმულა, რასაც წარმოუდგენლად მოკლე ვადებში ჩაეყარა საფუძველი.

კარგად მახსოვს ჩემი პირველი ვიზიტები, იმჟამად დეპუტატისა, ვაშინგტონსა და ევროპის დედაქალაქებში, როდესაც ვსაუბრობდი საქართველოს ისტორიულად განსაზღვრულ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე, არავინ ამას ყურთან ახლოს არ იღებდა. ბევრია ჩვენნაირი სახელმწიფო, რომლის გავლითაც მოხერხებულად შეიძლება მისვლა რესურსებით უმდიდრეს სახელმწიფოებთან.

ის, რომ საქართველო თამაშობს შემაკავშირებლისა და მთავარი კარიბჭის როლს რეგიონის ყველა სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის ქსელის შექმნის პროცესში, ეს იმ პოლიტიკის შედეგია, რომელსაც ჰქვია ედუარდ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკა საქართველოსთვის.

„რ.“: ბოლო დროს საქართველოს პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების შესაძლო ე.წ. „ბოსნიურ მოდელზე“. მახსოვს, მსგავსი ინიციატივა თავის დროზე „რესპუბლიკელებმა“ გამოთქვეს. თქვენ, როგორც პრეზიდენტის გუნდის ერთ-ერთი აქტიური წევრი რას იტყოდით ამის შესახებ?

ზ.ჟ. აქ ლაპარაკია კონფლიქტის მოგვარების პირველ ეტაპზე, როდესაც ამბობენ, რომ შეიქმნება გარკვეული ტერიტორიები, სადაც მოსახლეობა ეთნიკური ნიშნის მიხედვით დასახლდება. მომდევნო ეტაპები მშვიდობიანი თანაცხოვრების თანამშრომლებისა და მეზობლობის აღდგენას ითვალისწინებს, რაც დროის გარკვეულ მონაკვეთთანაა დაკავშირებული, ცხადია, საჭიროა ამ ვარიანტზე ფიქრი, კამათი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ვშიშობ, რომ სხვა მოდელი ძნელი წარმოსადგენი იქნება.

ჩვენ უნდა ამოვიდეთ იმ პრინციპიდან, რომ აფხაზეთში ნებისმიერ შემთხვევაში ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთის გვერდიგვერდ უნდა იცხოვრონ. დავხუჭოთ თვალი იმაზე, რომ ეს მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული? ვფიქრობ, რომ ეს უაზრობაა, თუ გულის სიღრმეში ვინმეს ჰგონია, რომ საქართველო წავა იმ გადაწყვეტილებაზე, რომ ომი მოუგოს აფხაზებს და გაყაროს ისინი ამ ტერიტორიიდან. ეს ჩემთვის სავსებით მიუღებელია, რადგან აფხაზებს მე განვიხილავ ზუსტად ისევე, როგორც ქართველებს, ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს შემადგენელ ჯგუფად. ჩვენ გაგვაჩნია ასეთივე პასუხისმგებლობა ამ ხალხისა და მისი მომავლის წინაშე.

თუ ჩვენ შევთანხმდებით, მაშინ მარტივად მივალთ დასკვნამდე, რომ „ბოსნიური მოდელი“ სხვადასხვა ზონების გამოყოფით და იქ საერთაშორისო კონტიგენტის ჩაყენებით, ჩვენთვის ძალიან საინტერესო და მისაღები გადაწყვეტილებაა. მართლაც, მეტნაკლებად ანალოგიური იყო წინადადება, რომელიც „რესპუბლიკელებმა“ წამოაყენეს. ვფიქრობ, მოწესრიგების მრავალი პრინციპი ამ წინადადებაშიც იყო ჩადებული.

„რ.“: თუ გავითვალისწინებთ რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოს წამყვანი პოლიტიკოსების მიმართ, ვგულისხმობ, პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, თქვენ ცალსახად მიიჩნევით დასავლეთზე ორიენტირებულ პოლიტიკოსად. რაც შეეხება პრეზიდენტს,

მასზე არსებობს განსხვავებული შეხედულებები. რუსეთის პოლიტიკოსთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ შევარდნაძე რუსეთის კაცია და ატარებს იმ პოლიტიკას, რაც რუსეთის ინტერესებს შეესაბამება. მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ შევარდნაძე არ არის რუსეთისთვის მისაღები პოლიტიკური ფიგურა, რადგან მან დაშალა საბჭოთა იმპერია, რასაც რუსები მას არასოდეს აპატიებენ.

ზ.ჟ. რუსეთში დასავლეთზე ორიენტირებული ქართველი პოლიტიკოსების კი არ უნდა ეშინოდეთ, არამედ იმ ქართველ პოლიტიკოსებს უნდა უფრთხოდნენ, რომლებიც რუსეთთან ახალი კავშირების შექმნაზე კიჟინებენ. ეს იდეა ჩანასახშივე სრულიად მიუღებელია ქართული საზოგადოებისათვის. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველას ჰქონდა საშუალება ამაში არაერთხელ დარწმუნებულიყო. როდესაც ვიღაც დაიწყებს მუსირებას იდეით – დროშები მაღლა და ნაბიჯით იარ რუსეთისაკენ, ეს მოსახლეობაში გამოიწვევს ერთადერთ რეაქციას დ რუსეთთან ანტიინტეგრაციული განწყობილებების გაძლიერებას.

საქართველოს ბუნებრივი ადგილია ევროპული სივრცე და ამ სივრცისკენ საქართველოს სვლას ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს. რაც მეტი იქნება წინააღმდეგობა ვინც არ უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის სათავეში, მეტი იქნება მისი მცდელობა, რომ მივაღწიოთ ისტორიულად კუთვნილ ნავსაყუდელს.

თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე წინააღმდეგი ვარ რუსეთთან თანამშრომლობისა და, უფრო მეტიც, გარკვეული ინტეგრაციისა, რუსეთი ჩვენთვის სამომავლოდაც იქნება ეკონომიკური პარტნიორი, უმთავრესი მომწოდებელი ენერგომატარებლებისა და ჩვენი ექსპორტისთვის მთავარი ბაზარი. მე, ისევე როგორც შევარდნაძის გუნდის ყველა წევრი, ვარ ამის არა მხოლოდ მომხრე, არამედ აქტიურად ვმუშაობ ამ მიმართულებით. ეს არა თუ გამორიცხავს ინტეგრაციას ერთიან პროცესში, პირიქით, მეტ საფუძველს შექმნის საიმისოდ, რომ ჩვენ აღგვიქვან როგორც ქვეყანა, რომელიც ატარებს პრაგმატულ პოლიტიკას, როგორც ქვეყანა. რომელმაც შეძლო სამეზობლოში პრობლემების მოგვარება და ერთიან ევროპაში შესვლით ამ ერთიან მშვიდობიან კონსტრუქციას საშიშროებას არ შეუქმნის.

გაზ. „რეზონანსი“. 28 იანვარი, 1998 წ. №23 (1071). გვ. 1, 4, 5

ზურაბ ჟვანიას განმარტება პარლამენტარებისა და ჟურნალისტებისათვის

10 თებერვალი, 2 საათი და 15 წუთი

გილოცავთ, დღესაც გადავრჩით. გქონდათ შესაძლებლობა, ტელევიზიით გეხილათ მომხდარი ფაქტები. პრეზიდენტის ესკორტი აბანოთუბანსა და ბაგრატიონის ძეგლს შორის სკვერთან ნაღმტყორცნების ცეცხლში მოხვდა. სამი-ოთხი ყუმბარა უშუალოდ პრეზიდენტის მანქანას დაეცა. ესკორტის ყველა მანქანა დაზიანებულია. შეტევა სერიოზულად იყო ორგანიზებული. პრეზიდენტის მძღოლი არ დაიბნა და როცა ნაღმი საბურავს მოხვდა, დაზიანებული მანქანით ასი მეტრი კიდევ გააგრძელა მოძრაობა, პრაქტიკულად ამის გამო გადარჩნენ – სამთავრობო დაცვის უფროსმა ქუთათელაძემ, ბედად იქვე მდგარ პოლიციის მანქანაში გადასვა პრეზიდენტი და ასე მივიდნენ რეზიდენციამდე. პრეზიდენტის ჯავშნიანი მანქანა გერმანიის მთავრობის საჩუქარია და შეიძლება ამან გადაარჩინა. ისროდნენ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებს. წარმოუდგენელია, როგორ გადარჩა.

ეს არ არის ტერორისტული აქტი. ეს არის სამხედრო ოპერაცია შუაგულ დედაქალაქში, რომელშიც სულ ცოტა 20 კაცი კარგად გაწვრთნილი და პროფესიონალი მონაწილეობდა. დაიღუპა პრეზიდენტის პირადი მცველი კახა შევარდნაძე. დღესაც იგივე ჯგუფი მორიგეობდა, რომელიც 29 აგვისტოს. პრეზიდენტის დაცვის ორი თანამშრომელი საავადმყოფოშია. ერთს ფილტვი აქვს გაგლეჯილი. თავდამსხმელთაგან მოკლულია ერთი, რომელსაც რუსეთის პასპორტი უპოვეს. იგი არ არის ქართველი. საბოლოო დასკვნების გაკეთება შეუძლებელია. პრეზიდენტის დაცვის თანამშრომელის თქმით, შეტევის დროს ისმოდა რუსული საუბარი.

პრეზიდენტი გადარჩა – მას აშკარად სხვა ძალა ფარავს. ბევრმა თქვენგანმა მოასწრო მისი მანქანის ნახვა. ესკორტის ყველა მანქანა გადაბუგულია.

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა. საქართველოში არ არსებობს სტრუქტურა, რომელიც ასეთი მასშტაბის სამხედრო ოპერაციას მოამზადებდა – ამას სხვა უზრუნველყოფა, სხვა ძალები სჭირდება. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება თქმა, რომ ეს ოპერაცია ორგანიზებულია გარედან.

პრეზიდენტი შემართულია, ცხადია, განწყობილია ენერგიულად. ხვალ, 12 საათზე, საზოგადოების გარკვეულ წარმომადგენლებს შეხვდება კანცელარიის შენობაში.

ცხადია, როცა შესაძლებელია ამხელა ოპერაციის ქალაქის შუაგულში განხორციელება, თანაც პრეზიდენტის მარშრუტზე. მაშასადამე, სახელმ-

წიფო არასწორად არის აწყობილი. წარმოუდგენელი თავხედობაა – ერთია ცეცხლის გახსნა, მაგრამ შემდეგ ჩამოდიან და მანქანებში ყრიან ყუმბარებს. ეს იყო ნამდვილი შტურმი.

გაზ. „დილის გაზეთი“. 10 თებერვალი, 1998 წ. №29 (546). გვ. 3

საქართველომ კიდევ ერთხელ მოიგო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სიტყვა 1998 წლის 10 თებერვალს პარლამენტში გამართულ სხდომაზე

ბატონებო, უპირველეს ყოვლისა, აქ ბევრჯერ გაიჟღერა თითქმის ყველა გამომსვლელის სიტყვაში და, ვფიქრობ, თითოეული თქვენგანის სურვილს შევასრულებ, თუ გთხოვთ, რომ ფეხზე ადგომით, წუთიერი დუმილით, პატივი მივაგოთ დაღუპულ დაცვის თანამშრომლების ხსოვნას.

მე ვცდილობდი. რაღაც მოსაზრება ჩამომეყალიბებინა, და არ ვიცი ნამდვილად, თუ რაოდენ დალაგებულად გამომივა. მე ვფიქრობ, არ იქნება ამ დარბაზში ადამიანი, რომელმაც ეს ღამე არ გაათენა აქ, ან სხვაგან, და რომელიც არ იქნება ემოციებითა და ტკივილით აღსავსე. და, ბუნებრივია, ძალიან ძნელია დღეს შევინარჩუნოთ სიმშვიდე და გეგმაზომიერად ვიმუშაოთ, მე ვფიქრობ, რომ მიუხედავად გარკვეული დაძაბულობისა, დღეს საოცარი რამ მოხდა. ამ 2-3 საათის განმავლობაში აქ, ამ დარბაზში, და არა მგონია, რომ ჩვენი პარლამენტი, ჩვენი საკრებულო ოდესმე ყოფილიყოს ისეთი ერთიანი, როგორიც დღეს არის, ჩვენ ყველა ჩვენებურად გამოვხატავთ ჩვენს მოსაზრებებს, სხვადასხვა სიტყვებს ვხმარობთ, სხვადასხვა ხერხებს მივმართავთ, მაგრამ, ყველა გამოსვლის ძირითადი არსი იყო ერთიანი, და მე ვფიქრობ, მოდით ეს დავინახოთ, დავაფასოთ, დავაფიქსიროთ ეს ერთიანობა ყოველ მიზეზგარეშე და შეთანხმებულად, რომ საქართველოში რაღაც არა მხოლოდ სტრუქტურული თვალსაზრისით, ცნობიერების თვალსაზრისით შეიცვლება და ეს ცვლილება, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი აზრით, ამ დარბაზიდან უნდა დაიწყოს. აქ შეფასებული იყო ყოველივე ის, რაც მოხდა გუშინ. მე ერთ დეტალს მოგახსენებთ, რომელიც შეიძლება, ჯერჯერობით, ყველა დეპუტატისათვის არ არის ცნობილი, თორემ ტერორისტული აქტის შესახებ დეპუტატთა, პოლიტიკური ლიდერების გუშინდელი ღამის შეფასებები შეიძლება კიდევ უფრო მძიმე ყოფილიყო გამომდინარე იქიდან, რაც ნამდვილად მოხდა წუხელ, მე ხაზი მინდა გავუსვა, – 9 თებერვალს ტერორისტული აქტი კი არ განხორციელდა, არამედ სამხედრო-საბრძოლო ოპერაცია შუაგულ თბილისში, რომელშიც მონაწილეობდა 15-20 ადამიანი. როგორც ჩანს, მათგან უმეტესობა ნაღმტყორცნებით იყო შეიარაღებული. ტერორისტული აქტი, მოგეხსენებათ, მაშინ არის როდესაც, ვთქვათ სნაიპერია სადმე სახურავზე ჩასაფრებული, რაღაცა მექანიზმია დაყენებული დისტანციურად მართვისა... ასეთი უბედურებები, იცით თქვენ, ყველა ქვეყანაში ხდება. გახსოვთ პრეზიდენტ რეიგანზე ორჯერ იყო თავდასხმა და ასეთი აუარებელი ტრა-

გიკული მაგალითია. მაგრამ მე მართლა ვერ ვიხსენებ შემთხვევას, რომ რომელიმე სახელმწიფოს დედაქალაქის შუა გულში ქვეყნის მეთაურის მიმართ განხორციელებულიყო ასეთი შტურმი, რომელშიც კარგად შეიარაღებული ამდენი კაცი მიიღებდა მონაწილეობას. მე საშუალება მქონდა სულ ხუთიოდ წუთში ჩამევლო იმ ადგილისათვის და თქვენც ბევრმა ნახეთ პირადად, ან ტელევიზიით. უნდა ვაღიაროთ, რომ ტერაქტი იყო თუ შეტევა პრეზიდენტზე, ის მართლაც განხორციელდა და ისიც მეორედ. ყველა გაზეთმა დაწერა ეს. ეს საერთო შეფასებაა.

ჩვენი სამშობლო დღეს გადაარჩინა მხოლოდ განგებამ და გადაარჩინა უზენაესმა. ვერავინ ვერ მოვახერხეთ, რაღაც მაინც გაგვეკეთებინა, რომ ასეთი წარმოუდგენელი, შემზარავი ფორმით მაინც ეს არ განხორციელებულიყო, არ მომხდარიყო. მაგრამ მოსახდენი მოხდა. სხვათა შორის. ისევე როგორც 1995 წლის 29 აგვისტოს, როდესაც ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ერთ-ერთმა ნამსხვრევმა სულ რაღაც ორიოდ სანტიმეტრის დაცილებით ჩაუფრინა. და აქაც იყო რაღაც საოცარი შემთხვევითობა. მე ვიცი, რომ შეფასებანი, თუ ვის რა, როგორ უნდა გაეკეთებინა ალბათ მომავალშიც გაგრძელდება.

მე მინდა შემოგთავაზოთ, დღესვე შევთანმხდეთ, რომ ბატონ რევაზ ადამიას კომიტეტმა, პარლამენტის თავადაცვისა და უშიშროების კომიტეტმა, პირველად გამოვიყენოთ ეს ფორმა, რეალური დახურული მოსმენები მოაწყოს ყველა დეტალის შესწავლით, თუ რა, როგორ უნდა გაკეთებულიყო და რა არ გაკეთებულა.

მე აბსოლუტურად ვიზიარებ აქ დაყენებული პასუხიმსგებლობის საკითხს, თუნდაც ჩემი უახლოესი მეგობრების მიმართ.

ხაზი მინდა გავუსვა იმასაც და მინდა ყველამ იცოდეთ, რომ დღეს ქვეყნის აბსოლუტურად ყველა რესურსი არის მობილიზებული. თითოეული თქვენგანის სახელითაც მე მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ის ძალიან მაღალი დონის პროფესიონალები, რომლებიც ჩვენ გვყავს ყველა სათანადო სამსახურში, შეძლებენ, რომ საქართველო არ შერცხვეს, რომ ეს თავდასხმა არ დარჩეს გაუხსნელი და ყველა წერტილი დაისვას მთელ ამ ისტორიაში.

მე ნამდვილად არ მინდა, რომ ამ სხდომაზე გამოსვლებმა უიმედობის განცდა შეუქმნას ან უშიშროების, ან შინაგან საქმეთა, ან სახელმწიფო დაცვის, ან სხვა სამსახურების წარმომადგენლებსა და თანამშრომლებს. დღეს ჩვენ ყველანი და, ალბათ მთლიანად საქართველო, მათგან ძალიან ბევრს ველით.

მეორე საკითხი ბუნებრივია, ერთია განმხორციელებლები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის როგორც ხელისუფლების უზენაესი ორგანოსათვის, არის, ალბათ, პოლიტიკური შეფასებები და ის, თუ ვისგან და რატომ უნდა იყოს ბატონი ედუარდ შევარდნაძე მუდმივად მიზანში ამოღებული მე ვერაფერს დავუმატებ იმას, რაც ქალბატონმა ლანამ ბრძანა. მან, ვფიქრობ, ძალიან ზუსტად მოიცვა მთელი პრობლემა. პრობლემა კი ის არის, რომ ყველანაირი კანონზომიერების მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ ბოროტი გენიის მიერ იქნა დაწერილი 90-იანი წლების სპეციალური სცენარი, როგორც ჩანს ზედმიწევნით ზუსტადაც იქნა ყველაფერი შესრულებული, ორგანიზე-

ბული ეთნიკური კონფლიქტები, სამოქალაქო ომი, ტოტალური ურთიერთდაპირისპირება და თითქოს გადაწყვეტილი იყო საკითხი, რომ საქართველო ვერ ჩამოყალიბდება, როგორც სრულფასოვანი, ნორმალური, დამოუკიდებელი სახელმწიფო. ვფიქრობ, არავის არ ვეტყვი რაიმე ახალს, რომ თუ ეს კანონზომიერება, შავი კანონზმომიერება დაირღვა და საქართველო მაინც ჩადგა ნორმალური განვითარების კალაპოტში და განაცხადა პრეტენზია, რომ ის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებული და მნიშვნელოვანი სახელმწიფო იქნება, ეს არის საბოლოო ჯამში ერთადერთი ადამიანის დამსახურება. ყველას, ასევე კარგად ესმის, რომ ამ ერთი ადამიანის პრობლემის „გადაწყვეტით", არა მარტო საქართველოს, ალბათ მთლიანობაში ამ რეგიონის პრობლემა „მოგვარდება".

თავი და თავი ყველაფრისა არის ის, რომ ჩვენ მოვახერხეთ ავად თუ კარგად, პირველი ნაბიჯების გადადგმა საიმისოდ, რომ ქვეყანას დამოუკიდებელი ეკონომიკა გააჩნდეს და პირდაღებულები არ უყურებდნენ მეზობლებს, თუ როდის ჩაგვიდებენ პატარა, გაზომილ ულუფას. მოვახერხეთ ის, რომ საქართველოს გაუჩნდა რეალური შანსი თავისი სიტყვა თქვას დიდ მსოფლიო პოლიტიკაში. ეს ნავთობის საკითხები, დერეფნის საკითხებია და ის როლია, რომელსაც ჩვენი სამშობლო დღეს უკვე რეალურად ასრულებს არა მხოლოდ ამ რეგიონში, შეიძლება თამამად ითქვას, მთლიანად ახალი პლანეტის არქიტექტურის ჩამოყალიბებაში. და აქ ლომის წილი, გადამწყვეტი წილი არის სწორედ ერთი ადამიანისა. როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ ამ ტერაქტზე, მე მართლა ყოველგვარი ნიშნის მოგების გარეშე ვამბობ – ბატონი ედუარდ შევარდნაძეა პასუხისმგებელი, რა თქმა უნდა, ეს ასეა, იმიტომ რომ, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს რომ წარუმატებელი პოლიტიკა განეხორციელებინა, ხელები აეწია და შეგუებოდა იმ მდგომარეობას, რაც შეიქმნა საქართველოში, მას არანაირი პრობლემა არ შეექმნებოდა. რა პრობლემა შეექმნებოდა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს რომ მიეღო თამაშის ის წესი, რომელიც ნაღმტყორცნებით უნდათ მოგვახვიონ ჩვენ თავს? ეს არის მთელი საიდუმლოება. მე გულახდილად გეტყვით, (არ ვიცი შეიძლება თუ არა ჩემი რანგის ხელმძღვანელი ამას ამბობდეს), მე მინდა ვთქვა, ამ ამბის მერე სულ ერთი და იგივე კადრი მიტრიალებს თვალწინ. ამ ზაფხულს რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიით, თუ რომელიღაცა პროგრამით პატარა სიუჟეტი აჩვენეს, პრეზიდენტმა ელცინმა როგორ ჩაუტარა სპეციალური თათბირი რუსეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს და მუშტი დაურტყა მაგიდაზე სიტყვებით – ამიერკავკასიაში არ უნდა დავკარგოთ ჩვენი პოზიციებიო.

ჩვენ ველით რაღაცას, თუ საიდან შეიძლება ეს ყველაფერი მოდიოდეს, საიდან შეიძლება ეს ყველაფერი იგეგმებოდეს. რა თქმა უნდა, იურიდიული თვალსაზრისით, სასამართლოზე რომ მიდგეს საქმე, არავის არ გაგვაჩნია დოკუმენტები, მაგრამ პასუხები ხომ უკვე არის ჩვენს წინ. რატომ არის რომ დღემდე, იგორ გიორგაძე, ადამიანი, რომელიც ბრალდებულია პირველი ტერაქტის, 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის ორგანიზებაში და რომელიც გაიპარა საქართველოდან რუსული სამხედრო ესკორტის თანხლებით ვაზიანის

აეროპორტიდან, დღეს მოსკოვში პრაქტიკულად თავისუფლად დადის და, ჩემი ინფორმაციით, ხშირად მრავალრიცხოვანი დაცვის თანხლებითაც?

მე აბსოლუტურად გულწრფელი ვარ, როდესაც ვამბობდი და ახლაც ვაცხადებ – ჩემი მიზანი, ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, როგორც ბატონი ედუარდ შევარდნაძის გუნდის ერთ-ერთი წევრისა არის ის, რომ გავაკეთო ყველაფერი იმისათვის, რათა რუსეთთან მოვაგვაროთ პრობლემები, შევძლოთ მართლა გულღია ურთიერთობის განხორციელება ამ უზარმაზარ ქვეყანასთან, რომელიც ჩვენი მეზობელია, და ამას ვერსად ვერ გავექცევით. მაგრამ როგორ დავიჯერო გულწრფელობა მეგობრობისა, როდესაც, კიდევ ვიმეორებ, საქართველოს ნომერ პირველი ტერორისტი ამ სახელმწიფოს, ასე ვთქვათ, უმაღლესი ხელისუფლების სპეციალური მფარველობის ქვეშ იმყოფება და რაღაცისთვის ინახავენ მას. რისთვის? ეგებ დღევანდელი დღისათის, 10 თებერვლისათვის. ჩვენ ხომ არ ვიცით, საიდან რომელი რეისები უნდა ჩამოფრენილიყო დღეს თბილისში.

აქ რაღაც უხერხულობა გამოიწვია ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილის შეკითხვამ – თუ შეძლებდა ჩვენი გუნდი სტაბილურობის შენარჩუნებას. ერთადერთი პასუხი არსებობს რა თქმა უნდა, ვერცერთი გუნდი ვერ შეძლებდა ამას. გუშინ რომ იმ „მერსედესის“ ჯავშანი ოდნავ დაბალი ხარისხის ყოფილიყო. საქართველოში დღეს არ არსებობს თეორიულადაც კი ნაკრები იმ ადამიანებისა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ იმას, რომ შეენარჩუნებინათ მშვიდობის თუნდაც მცირე ელემენტები ჩვენს ქალაქში და ჩვენს ქვეყანაში. ეს იქნებოდა, და ეს ფაქტია, უბედურების დასაწყისი პარტიებისათვის, დეპუტატებისთვის კი არა, თითოეული ოჯახისთვისაც კი საქართველოში.

აქ რამდენჯერმე ითქვა და მე არ შემიძლია არ გამოვეხმაურო საუბარს ამ ყბადაღებული მეხუთე კოლონის შესახებ. მე მგონი, მართლა ყველანი შევეჩვიეთ იმას, რომ ვარსებობთ პოლიტიკური კონკურენციის პირობებში. ერთმანეთს ვეკამათებით, ვეჩხუბებით, შეიძლება გავიწიოთ ერთმანეთზე, და მე მართლა მიმაჩნია, შეიძლება სასაცილოდ ჟღერდეს, რომ ეს ჯანსაღი, ჩვეულებრივი პროცესი არის. ყველა ნორმალურ, სტაბილურ ქვეყანაში ეს ხდება. არ ხდება ერთი რამ, რომ რომელიმე ნორმალური საზოგადოება შეეგუოს იმას, რომ საჯაროდ აცხადებს, რომ არის პოლიტიკოსი და ერთადერთ იდეას ქადაგებდეს – „ჩემს სამშობლოს არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა, ჩემი სამშობლო და ჩემი ერი არის იმპოტენტი ერი, ცვედანი ერი და არ შეუძლია შექმნას სახელმწიფო მსგავსად იმისა, როგორც ეს მოახერხა ასობით სხვა ერმა და სხვა ხალხმა“. აი, ეს წარმოუდგენელია, წარმოუდგენელია, რომ ამას ვეგუებით ჩვენ ყოველდღიურ ჩვენს ცხოვრებაში და მე ხელს ვაწერ მიხეილ სააკაშვილის თითოეული სიტყვის ქვეშ, რაც მან თქვა ამასთან დაკავშირებით – რიგი დგას იმ ადამიანებისა, რომლებიც მართლა ნატრობენ როდის შეხტებიან ორჯონიკიძის დაცარიელებულ კვარცხლბეკზე.

მოდით, მართლა გავიზიაროთ ბატონ მამუკა გიორგაძის წინადადება, დავსხდეთ ერთად და ჩამოვაყალიბოთ ფორმალური, იურიდიული კრიტერიუმები, შევიტანოთ სათანადო ცვლილებები ჩვენს კანონმდებლობაში, თუ რას შეიძ-

ლება წარმოადგენდეს პოლიტიკური პარტია საქართველოში. თავი დავანებოთ ბალტიის ქვეყნებს და ნუ გამოვიდებთ თავს იმაზე, რომ გერმანიაზე და სხვა ტრადიციულ, სტაბილურ და უძლიერეს სახელმწიფოებზე უფრო მეტად თავისუფლები და დემოკრატიულები ვართ. ეს თავისუფლება არ არის, ეს არის იდიოტიზმი, საკუთარი თავის განადგურება და შეჭმა, რასაც ჩვენ ვეგუებით დღეს. მე იმედი მაქვს, რომ ეს გადაწყვეტილება გახდება შესაძლებელი, გამომდინარე დღეს, აქ არსებული ატმოსფეროდან, ყველა პოლიტიკური ფრთის წარმომადგენლის გამოსვლიდან.

მოდით, მართლა ვიფიქროთ იმაზე, რომ გამოვკვეთოთ, თუ რა შეიძლება იყოს ყველა ჩვენი ქართულ-პოლიტიკური ორგანიზაციის კონსენსუსის საგანი და თუ ბატონი ვახტანგი ხელს გვიწვდის, მე მართლაც მინდა ჩამოვართვა ხელი ამასთან დაკავშირებით. მოდით, შევქმნათ გარკვეული ქარტია, კოდექსი პოლიტიკური ორგანიზაციებისა, მოვაწეროთ ხელი და ვთქვათ, რომ კი, იარსებებს კონკურენცია, იარსებებს ერთმანეთთან დაპირისპირება, საარჩევნო ბრძოლა, მაგრამ არ იარსებებს ერთადერთი რამ, რომ ჩვენ დავუშვათ ვინმემ შებღალოს მთავარი, რაც ჩვენ გაგვაჩნია – ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, ჩვენი ერის, ქართველი ერის თავისუფლება, რასაც მართლა შეეწირნენ ის ადამიანები, ვინც ჩვენი შენობის წინ იდგნენ 9-10 წლის წინათ.

აქ ლაპარაკი არის იმაზე, რა იქნებოდა დღეს. რა იქნებოდა გუშინდელი ტერაქტი ედუარდ შევარდნაძის განადგურებით რომ დაგვირგვინებულიყო, ტყუილად ჰგონია ვინმეს და მე არავის არ ვეთანხმები ამ შეფასებაში, რომ ამ დარბაზში ისხდებოდნენ სხვა ადამიანები ან სხვა მმართველობა იქნებოდა საქართველოში. მე ღრმად ვარ დარწმუნებული და ამას ვამბობ გულწრფელად – დღეს საქართველო იდგებოდა ფეხზე, საქართველო არ დაუშვებდა იმას, რომ თბილისის თავზე ხელახლა აღმართულიყო წითელი დროშა. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. (ტაში).

საქართველომ ერთხელ მოიგო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა და ეს არ იყო რაღაც ემოციური იმპულსი, როდესაც მთელი საქართველო, არ დარჩენილა სოფელი, ქალაქი სადაც ადამიანები ერთადერთი მოთხოვნით არ გამოსულიყვნენ ქუჩაში, – რომ ჩვენ გვინდა თავისუფლება, ჩვენ გვინდა ვიყოთ ჩვეულებრივი, ღირსეული ერი, ისეთივე, როგორიც არის ყველა სხვა ერი ამ ქვეყანაზე. და ვინმეს თუ ჰგონია, რომ გაჭირვებული, დამშეული, გაუბედურებული ხალხი, აი ამ ქარტეხილების გამო დღეს შეეგუება მონობას, რომ ხელახლა გამოცხადდება საქართველო კოლონიად, ეს ტყულია და მე ღრმად ვარ დარწმუნებული ამაში.

მოდით, ეს იყოს მთავარი დღევანდელ დღეს, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით წმინდა დღე უნდა გახდეს თითოეული ჩვენგანისათვის, ჩვენი ერთობისა და ჩვენი სამშობლოსათვის, ჩვენი ერთიანობის და ერთგულების დღე გახდეს. მოდით, ამ დღეს დავიწყოთ ეს პროცესი, რომ ჩამოვაყალიბოთ ურყევი ჩარჩო თითოეული პოლიტიკური ორგანიზაციისათვის საქართველოში. დანარჩენ საკითხებს, ყველა დანარჩენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, ვფიქრობ, ჩვენ საშუალება გვექნება მივუბდრუნდეთ ამ დღეებში. ძალიან კარგი

იქნება თუ შევძლებთ, რაც ქალბატონმა ირინამ ბრძანა, ის განვახორციელოთ, და, როგორღაც ერთიანი პოზიცია ჩამოაყალიბოს პარლამენტმა დღევანდელ სხდომაზე. თუ არა, ამ დღეების განმავლობაში მაინც. ვიმუშაოთ ყველამ, გადავდოთ ყველა დანარჩენი საქმე და შევთანხმდეთ ზოგადპოლიტიკურ კი არა, არამედ კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გვაქვს ჩვენ მისაღები, რათა მართლაც გამოვიდეთ ამ მოჯადოებული წრიდან, სადაც ვიღაცა ნაძირალების ნება-სურვილზე შეიძლება ეკიდოს ის, გადაესმება თუ არა ხაზი ყოველივეს, რაც ამდენი ტკივილის, სისხლისა და ოფლის ფასად მოპოვებული აქვს დღეს ჩვენს ერს.

დაე, 9 თებერვალი მართლაც გახდეს ის დღე, როდესაც ყოველი ჩვენგანი, თითოეული ქართველი კვლავ ნათლად დაინახავს ჩვენს უზენაეს მიზანს – დღეგრძელი და მარადიული იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო!

(ხანგრძლივი ტაში)

სტენოგრაფიული ჩანაწერი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
12 თებერვალი, 1998 წ. №35 (2735). გვ. 3

რკინიგზელებს პრეტენზიები არ გააჩნიათ

რკინიგზის დეპარტამენტში გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია. თათბირის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ჟვანიას რამდენიმე კითხვით მიმართა სააგენტო თბილისის კორესპონდენტმა.

ბ-ნო ზურაბ, შეერთებულ შტატებში ვიზიტისას კომპანია „შევრონის" პრეზიდენტმა საქართველოს რკინიგზის მიმართ დადებითი აზრი გამოთქვა. ამან ხომ არ განაპირობა თქვენი სტუმრობა რკინიგზის დეპარატმენტში?

მე ხშირად დავდივარ სხვადასხვა საწარმოებში, ქარხნებში, უწყებებში, მიმაჩნია, ეს როგორც პარლამენტის თავმჯდომარის, ისე ნებისმიერი დეპუტატის მოვალეობად და საკმაო ხანია, ვგეგმავდი რკინიგზის დეპარატმენტში მოსვლას. მართლაც ძალიან საინტერესო ინფორმაცია მოგვივიდა ჩვენ ამ დროის განმავლობაში და მოხარული ვარ, რომ ამ კვირაში გვქონდა საშუალება ეს გეგმა განგვეხორციელებინა. ვფიქრობ, რომ თქვენც დარწმუნდით, მართლაც ძალიან საინტერესო ცვლილება ხდება რკინიგზის დეპარტამენტში.

როგორ შეაფასებდით სარკინიგზო დეპარტამენტის დღევანდელ დათვალიერებას (ელვამშენებელი ქარხანა, ვაგონშემკეთებელი ქარხანა, სავაგონო დეპო) კმაყოფილი ხართ თუ არა?

ძალიან სერიოზულად ვითარდება რკინგზის სისტემა საქართველოში. მე ფართოდ ვგულისხმობ ამას. იმედისმომცემი იყო ის, რაც ვნახეთ ელმავალმშენებელ ქარხანაში, ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. უეჭველად ეს საწარმოები დგას იმ საწარმოთა რიგში, ვინც მოახერხა, როგორც ჩანს, საბოლოოდ დაეძლია კრიზისი, რომელშიც ჩვენი ეკონომიკა იყო ბოლო წლების განმავლობაში. იპოვეს საკუთარი ადგილი საერთაშორისო ბაზარზე და არა მხოლოდ ცალკეულ ბაზარზე, უზრუნველყოფილი არის ძალზე სერიოზული შეკვეთები და ეს უკვე აისახა კონკრეტულად თითოეული მუშის შემოსავალზე. განწყობილებაზე, ათასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნაზე. ცხადია, არ შეიძლება ეს არ იწვევდეს დიდ კმაყოფილებას. მთლიანობაში მე მოხარული ვარ, რომ რკინიგზის სისტემა, რომელიც დასამალი არ არის, რომ ძალიან კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა სულ რაღაც 3-4 წლის წინ, დღეს არის ერთ-ერთი სანიმუშო განვითარების ტემპების თვალსაზრისით. ისეთი უზარმაზარი პროექტები ხორციელდება დღეს, თუნდაც 100 მეტრიანი სარკინიგზო ხიდი სურამის უღელტეხილზე, რაზეც ვერ იოცნებებდნენ რკინიგზელები საბჭოთა კავშირის პერიოდშიც კი, ეს მართლაც საოცრებაა. მე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ყველაფერი ეს კეთდება თავად დეპარტამენტის რესურსების ცენტრალური ბიუჯეტიდან, პრაქტიკულად ჩვენ არც ერთ კაპიკს არ ვაძლევთ, მხოლოდ ვიღებთ შემოსავლებს გადასახადების სახით და შარშან შემოვიდა 13

მლნ ლარამდე ბიუჯეტში, ასე რომ, მე ვფიქრობ ეს მართლაც ძალიან საინტერესო სისტემა არის დღეს და, რაც მთავარია, ახერხებს მუშაობას. მე ტყუილად არ მოვიყვანე რკინიგზელებთან საუბრისას მაგალითი იმისა, თუ როგორი მადლიერების სიტყვებით მოგვამრთა ჩვენ „შევრონის“ პრეზიდენტმა და გამგეობის წევრებმა. სამწუხაროდ, საკმაოდ იშვიათად ხდება ეს. ძირითად მელაპარაკებიან სხვადასხვა პრობლემებზე, წინააღმდეგობებზე. რაც ხვდებათ ამა თუ იმ უწყებიდან. ეს იყო საბედნიერო გამონაკლისი. როცა აღნიშნეს, რომ ამ ორი წელიწადნახევრის განმავლობაში ერთი პატარა პრეტენზია არ გასჩენიათ იმის მიმართ, როგორ ხდება გადაზიდვა შევრონის ამ უზარმაზარი ნავთობის ტვირთების საქართველოს რკინიგზის მიერ.

სააგენტო თბილისი

გაზ. „ახალი თაობა“. 24 აპრილი, 1998 წ. №110 (877). გვ. 4

ზურაბ ჟვანია: ვერავინ მოსთხოვს საქართველოს ხელისუფლებას, საკუთარი მოსახლეობის გენოციდს ნეიტრალურად უყუროს

ანკარაში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი პარლამენტის თავმჯდომარე არ დასჯერდა ყოველ ნახევარ საათში გალიდან მიღებულ ინფორმაციებს. დელეგაციის წევრების გადაწყვეტილებით ვიზიტი შეწყვიტა და გუშინ 19 საათსა და 30 წუთზე, დელეგაცია თბილისში დაბრუნდა, აფხაზეთის ბოლოდროინდელი მოვლენებიც აეროპორტში შეფასდა.

ზურაბ ჟვანია: გალში აფხაზმა სეპარატისტებმა მორიგი ეგზეკუცია ჩაიფიქრეს. რომელზეც გაუთავებელი დარბევებისგან დაღლილმა მოსახლეობამ მათ ბუნებრივი რეაქციით უპასუხა. გალის რაიონში მომხდარ ამბებს იმ დევნილების აჯანყებას ვუწოდებ, რომლებიც სპონტანურად დაბრუნდნენ, მაგრამ გაუთავებლად შიშში, აწიოკების მოლოდინში იყვნენ. გამუდმებულ ტერორს ადამიანი ვერ შეეგუება და ვერც მოითმენს. ტერორის საშინელება კი აფხაზეთში დღემდე აქტიურად მოქმედი ეთნიკური წმენდის პოლიტიკის უშუალო ნაყოფია. ხომ არსებობს ამის დამადასტურებელი სტატისტიკა, ციფრები. ბოლო ორი წლის მანძილზე, 2500-მდე დაბრუნებული მშვიდობიანი მოსახლე სხვადასხვა აფხაზური შეიარაღებული დაჯგუფების მსხვერპლი გახდა, თანაც უშუალოდ უსაფრთხოების ზონაში, რომელსაც თითქოსდა სამშვიდობო ძალები უნდა იცავდნენ.

პრეზიდენტმა, ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ საქართველო მზად არის მშვიდობიანი გზებით კონფლიქტის მოსაგვარებლად, მზად ვართ საკმაოდ სერიოზული კომპრომისისათვისაც. ორი კვირის წინათ პრეზიდენტმა ილაპარაკა იმ უპრეცედენტო უფლებებზე, რომელიც შეიძლება ჰქონდეს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში. ეს პრაქტიკულად სუვერენიტეტის უმაღლესი ხარისხია. მაგრამ პასუხად ასეთი დამსჯელი აქცია მივიღეთ. დამსჯელებს კი ბუნებრივია დამსახურებულად მიეზღოთ. გალის რაიონში მომხდარი შეტაკებები უშუალოდ მოსახლეობის და პარტიზანული რაზმების, იმ სპონტანურად წარმოქმნილი ჯგუფების ძალებით განხორციელდა, რომლებიც თავდაცვის მიზნით შეიქმნა. რა თქმა უნდა, ჩვენ ისევ მზად ვართ, მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას და ისევ ვილაპარაკოთ კომპრომისებზე პოლიტიკური დიალოგით. მაგრამ ნურავინ მოსთხოვს საქართველოს ხელისუფლებას, ნეიტრალურად უყუროს საკუთარი მოსახლეობის განადგურებას გალის რაიონში. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი შეუქცევადია. მას წინ ვერავინ აღუდგება. და ადამიანებს, ყველაზე ფუნდამენტურ უფლებას – იცხოვრონ საკუთარ მიწა-წყალზე, საკუთარ სახლში – ვერავინ წაართმევს. თუკი პო-

ლიტიკოსები ვერ უზრუნველყოფენ მათ დაბრუნებას, პროცესი თავისთავად მაინც განვითარდება. მსოფლიოს გენოციდის პოლიტიკას ვეღარავინ აყურებინებს.

მანანა ცხადაია
გაზ. „დილის გაზეთი“. 22 მაისი, 1998 წ. №112 (629). გვ. 3

მე არ მინდა ომისთვის მზადყოფნაზე საუბარი

ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიასთან

თამარ ასლანიკაშვილი

ბატონო ზურაბ, რა შეთანხმება იქნა მიღწეული საკოორდინაციო საბჭოსთან შეხვედრისას?

საკოორდინაციო საბჭოზე შეთანხმება არ შემდგარა. ვითარება გალის რაიონში საკმაოდ დაძაბულია. ძალები, რომლებიც შეიყვანეს აფხაზებმა გალის რაიონში, ნაწილობრივ გაყვანილ იქნა, მაგრამ პარტიზანები და ადგილობრივი მოსახლეობა მაქსიმალურ მზადყოფნაში არიან, რათა პასუხი გასცენ მორიგი ეგზეკუციის მცდელობისას.

გუშინ ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარემ ოფიციალურად განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში მონაწილეობდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალებიც.

როცა სოფელ სიდის მიმართულებით შემოიჭრნენ აფხაზები მათ ზოგიერთ წარმომადგენელს ეცვა სამშვიდობო ძალების ფორმა. შეიძლება მათ შორის იყო ზოგიერთი მებრძოლი, რომელიც მსახურობდა სამშვიდობო ძალებში, ახლა მათი იქ სამსახურის ვადა იწურება, როგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი დაიქირავეს აფხაზებმა. მე შემიძლია ვთქვა, რომ ამ ორი დღის განამავლობაში საკმაოდ სერიოზული ნაბიჯები გადადგა რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტმა გალის რაიონში, რომ არ დაეშვათ აფხაზების დამატებითი ძალების შესვლა. ამ მხრივ, ეს ნამდვილად მისასალმებელია. სათანადო ბრძანება გასცა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, ედუარდ შევარდნაძის კატეგორიული დეპეშის საფუძველზე, იცით თქვენ, პრეზიდენტმა შევარდნაძემ მიმართა სერგეევს და მე არ შემიძლია კმაყოფილებით არ აღვნიშნო ის, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერიოზულად მოეკიდა ამ ფაქტს.

მოსალოდნელია თუ არა კონფლიქტის ხელახალი ესკალაცია?

დაზღვეული არაფრისგან ვართ. ამიტომ გვმართებს გაათკეცებული სიფრთხილე. საომარი მოქმედებების განახლება ძალიან საშიშია ჩვენი ქვეყნისათვის, ბუნებრივია, თითოეული ადამიანის, არა მარტო ქართველის, მიუკერძოებელი ადამიანის სიმპათია არის იმ მხარეს ვინც ელემენტარულს – საკუთარ სახლში დაბრუნების უფლებას ითხოვს. გალის რაიონის მოსახლეობას არ მიატოვებს საქართველოს ხელისუფლება. პრეზიდენტმა შევარდნაძემ ამის თაობაზე ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ მშვიდობიანად განიმუხტოს ვითარება და საბოლოოდ მივაღწიოთ აფხაზეთის კონფლიქტის სრულ დარეგულირებას. ვფიქრობ, სეპარატის-

ტები ბოლოს და ბოლოს უნდა დარწმუდნენ, რომ დევნილების დაბრუნებას საკუთარ სახლში ვერავინ შეაჩერებს. არ არსებობს ისეთი ძალა დედამიწის ზურგზე, რომელიც აიძულებს ადამიანს, უარი თქვას, საკუთარ სახლზე, მიწაზე, წინაპრების საფლავებზე. ეს პროცესი არის შეუქცევადი და ამ შემთხვევაში კონფლიქტის ორივე მხარემ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ეს პროცესი მაქსიმალურად მშვიდობიან კალაპოტში წარიმართოს.

როგორ განსაზღვრავთ დსთ-ს როლს ამ ეტაპზე?

დსთ-ში ყოფნით საქართველოსთვის საშიშროებას ვერ ვხედავთ, ამის შესახებ მე არაერთხელ განმიცხადებია, ხოლო გარკვეული სარგებლობა, ეს ტრიბუნა, რომელიც საქართველოს გააჩნია დსთ-ს ჩარჩოებში, თუნდაც ის რეზოლუციები, რომლებიც მიღებულ იქნა დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა მიერ, არ შეიძლება არ დავინახოთ. შეიძლება გარდატეხა არ შეაქვს ვითარებაში, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტი გახლავთ, რატომ და რის გამო უნდა ვთქვათ ამაზე უარი, ეს ჩემთვის გაუგებარია. მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ახირებასთან გვაქვს საქმე. ჩვენ საბოლოოდ უნდა გავარკვიოთ, დავარეგულიროთ ჩვენი ურთიერთობები რუსეთთან. გაურკვეველი მდგომარეობა მართლაც აუტანელია. ჩვენ თუ ვმეგობრობთ, უნდა მოვხსნათ ის წინააღმდეგობები, ის პრობლემები, რაც განუწყვეტლივ ქმნის დაძაბულობას. ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზები ჩრდილოეთ კავკასიელებთან აპირებენ დაკავშირებას. შეიარაღებული კონფლიქტის კვლავ გაჩაღების შემთხვევაში.

სათანადო სამსახურების მიერ ხდება ამ ინფორმაციის გადამოწმება. სამწუხარო იქნება, თუ ეს ასე ხდება. ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს ასე არ მოხდეს. თუ ასე განვითარდა მოვლენები, უკვე ლაპარაკია სერიოზული, ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დაწყებაზე, რაც თავისთავად ნიშნავს სამშვიდობო ოპერაციის ჩაშლას.

ჩვენ მზად ვართ ამისთვის?

მე არ მინდა ომისთვის მზადყოფნაზე საუბარი. აქ არ არის საუბარი არმიის მზადყოფნაზე, შეიარაღების დონეზე. საუბარი არის იმაზე, რომ დღეს ჩვენ ვართ ძალიან მძიმე მტკივნეული რეფორმების პერიოდში. არსებობს წარმატებები, არსებობს პრობლემები. მაგრამ იმასაც კი, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, ომი ხაზს გადაუსვამს. ქართული დემოკრატია ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია და, რაც მთავარია, იმ უზარმაზარი საერთაშორისო პროექტების თვალსაზრისით, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის ფართომასშტაბიანი სისხლიანი კონფლიქტი ნამდვილად კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. ამიტომ ჩვენი მოწინააღმდეგეები ცდილობენ, კვლავ მოხდეს კონფლიქტის ესკალაცია ქართველებსა და აფხაზებს შორის.

რადგან რეფორმები ვახსენეთ, დღეს სასამართლო რეფორმის შესახებ ბევრს საუბრობენ, დასრულდა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები. ოპონენტთა მტკიცებით, ეს პროცესი მოქალაქეთა კავშირს სჭირდება მისთვის სასურველი კანდიდატების დასანიშნად.

ვფიქრობ, მოსამართლეების საკვალიფიკაციო გამოცდებმა ამ იდიოტურ ბრალდებებს ნათელი პასუხი გასცა. საერთოდ, მომბეზრდა ბოლო სამი წლის განმავლობაში ხან ერთი ხან მეორე სისულელის საპასუხოდ რეაქციის გაკეთება. ჯერ იყო და, ჩვენ ჩვენი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, თურმე ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ შესუსტებულიყო ავტოკრატიული მართვის ბერკეტები, რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუტებს გააჩნდა. ჩვენ თურმე, ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, უარი ვთქვით იმ სასამართლოთა სისტემაზე, რომელთა სრული კონტროლი შეგვეძლო, იუსტიციის სამინისტროსა და სხვა ორგანოების გზით ჩვენი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, მოვაწყვეთ ისეთი გამოცდები, სადაც თეორიულადაც წარმოუდეგენელია, რამენაირად დაეხმარო შენთვის სასურველ კანდიდატს. იცით რა? ჩვენი ოპონენტები მართლაც საკუთარი საზომით საზღვრავენ ჩვენს მოქმედებებს. წარმოუდგენია მავანსა და მავანს, აი, მე რომ ვიყო ხელისუფლებაში რას გავაკეთებდი და აქედან აკეთებენ თავიანთ დასკვნებს. მოქალაქეთა კავშირმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოში შექმნილიყო მართლაც თავისუფალი, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი საზოგადოების ძლიერი ელემენტები, ყველა მიმართულებით. ეს იყო მას მედიის გაძლიერება, ეს იყო არასამთავრობო სექტორის მხარდაჭერა, დამოუკიდებელი სასამართლოების შექმნა თუ სხვა რამ. თუ ვინმე მოისურვებს ჩვენი პოლიტიკის ობიექტურ შეფასებას, ფორმულა მარტივია – ჩვენ თანმიმდევრულად ვამცირებთ ყველა იმ ბერკეტს, რომლის საშუალებითაც შეგვეძლო რამენაირი ზემოქმედება პროცესებზე. რადგან დაწრმუნებული ვართ, რომ თავისუფლების პირობებში, სადაც ყველაფერს გადაწყვეტს ხალხი და მოსახლეობა, ვერცერთი სხვა პარტია კონკურენციას ვერ გაგვიწევს.

რამდენიმე დღეში 26 მაისია. საქართველო როგორ ხვდება დამოუკიდებლობის დღეს?

ისე, როგორც შეიძლება ხვდებოდეს ქვეყანა, რომელსაც ბევრი პრობლემა და ბევრი ტკივილი აქვს, მაგრამ ამაყობს თავისი წარსულით. 80 წლის წინ შექმნილი ევროპული მასშტაბის საინტერესო პოლიტიკით..

გაზ. „ახალი თაობა“. 24 მაისი, 1998 წ. №140 (907). გვ. 7

„ახალ სასამართლო სისტემას მხოლოდ გადატრიალების შემთხვევაში თუ შეეხებიან“

ზურაბ ჟვანიას თქმით, დემოკრატიულ საქართველოში მოქალაქეთა
კავშირის კონკურენციას ვერცერთი პარტია ვერ გაუძლებს.
ელისო ჩაფიძე

მოქალაქეთა კავშირის მესვეურებს ხშირად ადანაშაულებენ იმაში, რომ სასამართლო რეფორმასა და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდებს პარტია მთლად ზეპარტიული ინტერესების გარეშე არ უჭერს მხარს. მათ ბრალდებებსა და მიმდინარე პროცესებზე საუბრობს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია.

„რეზონანსი“. ბატონო ზურაბ, როგორ ფიქრობთ, რამდენად ობიექტურად ტარდება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცები?

ზურაბ ჟვანია: მე ნამდვილად არ გამოვდგები იმის შესაფასებლად, როგორ ტარდება ეს გამოცდები, მაგრამ როდესაც ვისმენ ადამიანების შეფასებებს, ვინც თავიდან ბოლომდე ესწრებოდა ამ პროცესს (მათ შორის არიან უცხოელი ექსპერტები), ვთვლი, რომ გამოცდები ობიექტურად ჩატარდა.

არაობიექტურობის გამო უკმაყოფილონი იმათ შორისაც შემხვედრია, ვინც ამ გამოცდებში ჩაიჭრა. ასეთივეა მასმედიის შეფასებაც. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოში შეიქმნა პრეცედენტი, რომ სავსებით გამჭვირვალედ ტარდება ადამიანების შერჩევის პროცესი ისეთ უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე, როგორიცაა მოსამართლე, ე.ი. შეიძლება გამოცდები ჩატარდეს ისე, რომ არავის შეექმნას ეჭვი, რომ რაღაც ჩაწყობას აქვს ადგილი. ეს უეჭველად დიდი წარმატებაა. მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ მთელ პროცედურას გაივლიან მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი და დაინიშნებიან მოსამართლეთა თანამდებობებზე. სწორედ ასეთი შეიძლება იყოს ჩვენი ახალი კანონმდებლობით უზარმაზარი ძალაუფლების მქონე მოსამართლე საქართველოში.

„რ.“: რამდენად იქნება ეს გამოცდები იმის გარანტია, რომ მოსამართლის თანამდებობაზე უფრო კომპეტენტური და ნაკლებად კორუმპირებული ადამიანები მოვლენ?

ზ.ჟ. გამოცდები, რა თქმა უნდა, არის იმის გარანტია, რომ მოსამართლეებად მოვლენ უფრო კომპეტენტური, სამართლის კარგად მცოდნე ადამიანები. სხვაგვარად წარმოუდგენელია. ბუნებრივია, იუსტიციის საბჭო საბოლოო გადაწყვეტილებამდე კიდევ გადაამოწმებს თითოეული კანდიდატის კეთილსაიმედოობას სწორედ კორუმპირებულობის თვალსაზრისით, ეს საშუალებას მოგვცემს რომ თანდათან, რამდენიმე ასეთი საგამოცდო პროცედურის შედე-

გად ჩამოყალიბდეს მართლაც სერიოზული დამოუკიდებელი, სუფთა და ძლიერი სასამართლო სისტემა საქართველოში. ეს არის ჩვენი სახელმწიფოს ჩვენი დემოკრატიის წარმატების მთავარი საფუძველი. მათ შორის, ეკონომიკური რეფორმის თვალსაზრისით. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ კორუფციის დაძლევაზე. ეს უნდა დაიწყოს სწორედ სუფთა ძლიერი, მიუკერძოებელი სასამართლოს შექმნით.

„რ.“: ამ რეფორმის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ მოქალაქეთა კავშირს სურს, დროზე ადრე შეუწყვიტოს უფლებამოსილების ვადა 1991 წელს დანიშნულ მოსამართლეებს და მომავალ არჩევნებამდე დანიშნოს პარტიის პოლიტიკური ინტერესებისათვის სასურველი მოსამართლეები თანამდებობებზე. თქვენ, როგორც პარტიის ლიდერი, რას უპასუხებდით ამ ბრალდებებზე?

ზ.ჟ. გამოცდებმა ამ იდიოტურ ბრალდებებს ძალიან ნათელი პასუხი გასცა. საერთოდ, მე მომბეზრდა ბოლო წლების განმავლობში ხან ერთი, ხან მეორე სისულელის საპასუხოდ რეაქციის გაკეთება. ჯერ იყო და ჩვენ ჩვენი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, თურმე ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ შესუსტებულიყო ავტოკრატიული მართვის ბერკეტები. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე უარი ვთქვით იმ სასამართლო სისტემაზე, რომლის საშუალებითაც სრული კონტროლის განხორციელება შეგვეძლო სასამართლოზე. ე.ი. შევქმენით უპრეცედენტო კანონმდებლობა, რომლითაც მართლაც ყველანაირი გარანტია შეექმნა მოსამართლის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მერე ჩვენი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, მოვაწყვეთ ისეთი გამოცდები, სადაც თეორიულადაც წარმოუდგენელია რამენაირად დაეხმარო შენთვის სასურველ კანდიდატს და ა.შ.

იცით რა ხდება? ჩვენი ოპონენტები, როგორც ჩანს, მართლა საკუთარი საზომით საზღვრავენ ხშირად ჩვენს მოქმედებებს. აი, წარმოუდგენია მავანსა და მავანს, მე რომ ვიყო ხელისუფლებაში, მე რას გავაკეთებო და აქედან აკეთებს დასკვნებს. მოქკავშირმა სამი წლის განმავლობაში გააკეთა ყველაფერი იმისათვის, რომ საქართველოში შექმნილიყო მართლაც თავისუფალი, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი საზოგადოების ძლიერი ელემენტები. ამ მიზნით იყო მასმედიის გაძლიერება, იყო შეძლებისდაგვარად მხარდაჭერა არასამთავრობო სექტორისათვის. ეს არის მთავრობისგან თუ პარლამენტისგან სავსებით დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნა და ა.შ. ასე რომ, თუ ვინმე მოისურვებს, აწყდება ძალიან მარტივ ფორმულას: ჩვენ თანმიმდევრულად ვამცირებთ ყველა იმ ბერკეტს, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვეძლო რამენაირი უკანონო ზემოქმედება პროცესებზე.

ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ: თავისუფალი საზოგადოების პირობებში, სადაც არჩევნების ბედს გადაწყვეტს მართლა ხალხი და მოსახლეობა, ვერც ერთი სხვა პარტია კონკურენციას ვერ გაგვიწევს. ასე რომ, ზემოქმედების ბერკეტების ხელში ჩაგდება ჩვენ არ გვჭირდება.

„რ.“: ბატონო ზურაბ, ახალი პარტია რომ მოვიდეს პარლამენტის უმრავლესობაში და განსხვავებული კანონები მიიღოს, რამდენად სამართ-

ლიანად ჩათვლით, დავუშვათ, 5 წლის შემდეგ, 10 წლის დანიშნული მოსამართლეებისათვის რეფორმის ახალი ტიპის მოფიქრებას?

ზ.ჟ. შემდგომში ამისი გაკეთება შეუძლებელი იქნება იმიტომ, რომ 91 წელს დაიწყო სასამართლო რეფორმა. სხვათა შორის, უნდა ვთქვა, რომ დაიწყო ძალზე საინტერესოდ, ძალზე წარმატებით და ის გარემოება, რომ დღემდე უზარმაზარი ავტორიტეტით და შეუბღალავი რეპუტაციით სარგებლობს ამჟამად ჩამოყალიბებული უზენაესი სასამართლო, თავისი შემადგენლობით, თავისი სისტემით, ეს არის სწორედ იმისი დასტური, რომ მაშინაც ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით, მაგრამ ცხადია, რომ ყველაფრის გაკეთება ვერ მოესწრო. მე ვთვლი, რომ რეფორმა, რომელსაც ახლა ვატარებთ, არის მაშინ დაწყებული საქმის გაგრძელება. შეიძლება ეს უფრო დახვეწილი, შეიძლება უკეთ გააზრებული რეფორმაა, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს არ არის პირველი ნაბიჯი თანამედროვე საქართველოს ისტორიაში. აი, ასეთი სისტემით შექმნილ სასამართლოებს, რომელთა დამოუკიდებლობა და უფლებები გარანტირებულია კანონმდებლობით, ვერავინ შეეხება თუ არ მოხდა გადატრიალება.

გაზ. „რეზონანსი“. 26 მაისი, 1998 წ. №149 (1188). გვ. 4

საქართველო კატასტროფისკენ მიექანება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სიტყვა წარმოთქმული 26 მაისს საგაზაფხულო სესიის დახურვისას

(იბეჭდება მცირე შემოკლებით)

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ საგაზაფხულო სესიის განვლილი თვეები (საკანონმდებლო საქმიანობის გარდა და შეიძლება უფრო მეტადაც), აღინიშნებოდა პოლიტიკური ცხოვრების უკიდურესი დაძაბვით. ჩვენ დავდექით ახალი პოლიტიკური პრობლემების წინაშე, რომლებიც დღეს საკმაოდ ხშირად თვალნათელია არა მარტო პოლიტიკოსებისა და დეპუტატებისათვის, არამედ – ფართო მოსახლეობისათვის. ვიცი, ჩემგან ელიან გარკვეულ რეაქციასა და პასუხს იმ ლანძღვის კორიანტელზე, რაც ბოლო დღეების მანძილზე წილად მხვდა. ამაზე რაიმე პასუხის გაცემას არ ვაპირებ. ჩემი ღირსებისათვის და პარლამენტის ღირსებისათვის შეურაცხმყოფელად მიმაჩნია პასუხი და განმარტებები იმ გინებაზე, ლანძღვასა და ჭორაობებზე, რისი მოწმენიც ჩვენ ვართ. როგორც ჩანს, არც რაიმენაირი სამართლებრივი რეაგირების საშუალება გამაჩნია, ვინაიდან მოგეხსენებათ, ამ ერთი წლის წინათ პირველად დამწამეს ბრალი ტერორისტობაში. გავიდა დრო, მაგრამ ვერ მოხერხდა დაკითხულიყო ერთადერთი და ძირითადი ბრალმდებელი ბატონი ხარაზი.

ამჯერად ვფიქრობ, იმდენად ნათელია ვითარება, რომ რაღაც დამატებითი განმარტებები იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა 9 თებერვლის ტერაქტი ზურაბ ჟვანიას მოწყობილი, გარკვეულად უკვე იუმორისტული ფოლკლორის შემადგენელი ნაწილიც გახდა. თავმჯდომარის პიროვნული დისკრედიტაციის გარდა მიზანი ბევრად უფრო განსხვავებულია და შორს გამიზნული. ის, რაც ხდება ჩემთან მიმართებაში, არ შემიძლია შევაფასო სხვაგვარად თუ არა ტოტალური, ორალური ტერორი. არაფერს თაკილობენ, საჯარო განცხადებებს, ჭორების გავრცელებას და ათას სხვა უბედურებას, ყოველგვარი სიბინძურის ჩათვლით, რაც კი შეიძლება ადამიანზე ითქვას. საეჭვო გახადეს ყველაფერი, მათ შორის უკვე საჯარო ტრიბუნებიდანაც. ღრმად ვარ დარწმუნებული ასეთ ვითარებაში ვინც უნდა ყოფილიყო პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ან სხვა პოსტზე, მაგრამ იმავე ფუნქციებით პრეზიდენტ შევარდნაძის გუნდში, რა ფუნქციებსაც ვასრულებ მე ჩემს მეგობრებთან და თანამებრძოლებთან ერთად, რა თქმა უნდა, ზუსტად იმავე პრობლემების წინაშე დადგებოდა. არ მინდა ეს იყოს ლიტონი დეკლარაცია. კიდევ და კიდევ ერთხელ მინდა დავაზუსტო, გვჯერა, ყველაფერს ვაკეთებთ, რაც ჩვენს ძალ-ღონეს შეესაბამება, რათა ვემსახუროთ ჩვენი ხალხის და ჩვენი ერის ინტერესებს. ღრმად ვარ დარწმუნებუ-

ლი, რომ მთავარი, რისთვისაც ჩვენ ყველანი საქართველომ აგვირჩია, ყველა პარტიის წარმომადგენელი არის ის, რომ საბოლოოდ საქართველო დაუბრუნდეს იმ ადგილსამყოფელს, რომელიც ერთადერთი ადგილსამყოფელია ჩვენი სამშობლოსათვის. ეს არის ევროპულ, თავისუფალ ერთა თანასაზოგადოება. ეს ძალზე კომპლექსური პროცესია, ის გულისხმობს კეთილდღეობის შექმნას მოსახლეობისათვის, ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას, განსაზღვრულ და მკაფიო პოლიტიკურ ორიენტაციას, თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალების დამკვიდრებას. ძალიან ბევრის გაკეთება ვერ შევძელით, მაგრამ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ძალზე ბევრის გაკეთებაც მოვახერხეთ. მეამაყება, რომ თითოეულ თქვენგანთან ერთად მართლაც მოვახერხეთ, რომ ათასობით და ათასობით ჩვენმა თანამოქალაქემ მართლა იგრძნო, რა არის თავისუფლების სულისკვეთება.

ჩვენ, ყველანი ორნახევარი წელიწადი ხელს ვუწყობდით იმას, რომ მეტი და მეტი ჩვენი თანამოქალაქე უფრო დამოუკიდებელი გამხდარიყო ჩვენი ხელისუფლებისაგან. მთავრობისგან და თუნდაც ჩვენგან პიროვნულად – სწორედ ასეთი თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნებები არიან დემოკრატიის და თუნდაც, თუნდაც ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების მთავარი გარანტები, ვფიქრობ, ყოველივე ამაზე რეაქციას წარმოადგენს ის მასობრივი ცილისმწამებლური კამპანია, რომლის შესახებაც ჩვენ არაერთგზის ვაფრთხილებდით საზოგადოებას და რომლის მოწმენიც ჩვენ დღეს ვართ, ჩემს ამოცანას ნამდვილად არ წარმოადგენს, რომ გავაანალიზო ყველაფერი, რაც ახლა ხდება, რაც ხდებოდა. ამას, ალბათ სხვები ჩემზე ოსტატურად, პროფესიულად გააკეთებენ. ერთი რამ მინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო – ვხედავ სავსებით ნათლად, რომ საქართველო დღეს მიექანება კატასტროფისკენ, საერთო ეროვნული კატასტროფისკენ. ამას ვაცხადებ პახუსიმგებლობის მთელი განცდით და შეგრძნებით. აქ არ არის ლაპარაკი ხელისუფლების თუნდაც არაკანონიერი და ძალისმიერი გზებით შეცვლის მცდელობაზე, არ არის თუნდაც იმ მასშტაბის ტრაგედიაზე ლაპარაკი, რაც დატრიალდა 1992 წელს. ის სიმპტომები, რომელიც გაისმა ამ დღეებში – ვგულისხმობ სრულიად პროვოკაციულ გამონათქვამებს ჯავახეთთან დაკავშირებით, კონკრეტულ პროვოკაციებს სამეგრელოს მხარესთან დაკავშირებით ამაზე ლაპარაკის სრულ უფლებას მაძლევს ჩვენს ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაცია.

მინდა გარკვეულწილად გაგაკვირვოთ და გითხრათ – არ ვაპირებ განგაში ავტეხო ჩვენი საზოგადოების გასაგონად. ჩვენ ბევჯერ მივმართეთ საზოგადოებას, მხარდაჭერაც მივიღეთ და მივიღეთ გარკვეული მანდატი საზოგადოების მხრიდან, რაც ვერ გამოვიყენეთ. დღეს მეტწილად ამის გამოც გვსაყვედურობენ. ამბობენ, თუკი აღიარებთ, რომ პრობლემები არსებობს, თქვენ ხართ ხელისუფლება, ჩვენ აგირჩიეთ და, კეთილი ინებეთ, მიხედეთ ამ პრობლემებსო. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენ ყველამ და, უპირველეს ყოვლისა, სახელისუფლებო პასუხისმგებლობით აღჭურვილმა ადამიანებმა უნდა გავაცნობიეროთ, რომ ძალზე ცოტა დრო დარჩა საიმისოდ, რომ ქმედითი ნაბიჯები

გადავდგათ და გადავარჩინოთ ქვეყანა ნამდვილი კატასტროფისგან, რომელიც გარდაუვალი იქნება. ეს მოითხოვს სრულიად რადიკალურ ცვლილებებს ჩვენს მმართველობით სისტემაში და უფრო ფართოს, ვიდრე საკონსტიტუციო ცვლილებებია. აქ მთავარი არ არის საკონსტიტუციო ბაზა, მთავარია ხელისუფლების სულისკვეთება, რომ იყოს მტკიცე, ერთიანი და შემართული იმ პოზიციების დასაცავად, რაც ჩვენ გვევალება ჩვენი მოსახლეობისა და ხალხის წინაშე. ლანძღვის და დისკრედიტაციის საპასუხოდ მინდა განვაცხადო, რომ მზად ვარ, თუკი იქნება ამის ნებისყოფა და ამისი გადაწყვეტილება, ვიყო ჩვენი დასკვნითი ბრძოლის წინა ხაზზე, ისევე როგორც ვიყავი, ყოველთვის ჩემს მეგობრებთან ერთად, თუ არადა არ ვიცი რამდენად აქვს აზრი ჩემს ყოფნას ამ თანამდებობაზე ან ნებისმიერი ჩემი მეგობრის ყოფნას იმ პოსტებზე. რომლებსაც ჩვენ ვიკავებთ დღეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ ველით ძალზე სერიოზულ ცვლილებებს და არ ვაპირებთ შევეგუოთ შექმნილ მდგომარეობას.

ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მინდა ვთქვა – საკმაოდ სერიოზული პასუხიმსგებლობით და წარმატებით ვართმევდი თავს იმ ფუნქციებს, რაც მევალებოდა და ვაპირებ ასევე გავაგრძელო, თუკი მექნება თქვენი ნდობის მანდატი.

ეს არის ის, რისი თქმაც მინდოდა პირობითი არდადეგების დაწყებამდე. არდადეგები პარლამენტისათვის არასოდეს ყოფილა რეალურად არდადეგები. ეს ზაფხული, მით უფრო ძალზე ცხელი იქნება თითოეული ჩვენგანისათვის, ვფიქრობ, ჩვენ საკმაოდ მალე მოგვიწევს რიგგარეშე სხდომებზე შეხვედრა და გთხოვთ, რომ ამ სხდომებზე ჩვენ შევიკრიბოთ ისე, რომ ყველა პოლიტიკური ჯგუფის, ყველა ფრაქციის წარმომადგენელს თავისი პასუხი ჰქონდეს შექმნილ ვითარებაზე. დღეს ის არ არის პრობლემა, რომ ჩვენს თვალწინ მასობრივად ხდება ჩვენი მტრების ლუსტრირება. პრობლემა ის არის, რომ ჩვენი უნიათობისა და უუნარობის გამო, რეალურად ვერ გაგვიტარებია რეფორმები ცხოვრებაში. ის, რასაც ჩვენ ვიღებთ ქაღალდზე, ის, რის დეკლარირებასაც ახდენს პრეზიდენტი ვერ მიგვიყვანია თითოეულ ჩვენს მოქალაქემდე. ჩვენ კატასტროფულად ვკარგავთ ჩვენი მოსახლეობის ნდობას და ეს არის მთავარი პრობლემა, მოსახლეობა, რომელიც არ ენდობა საკუთარ ხელისუფლებას, ის სხვასაც არ დაუჭერს მხარს, სხვა ალტერნატივას. მაგრამ არც ჩვენ გამოგვექომაგება.

რა პასუხი უნდა გავცეთ ყველა იმ წვრილ თუ უზარმაზარ უსამართლობას, რომელსაც ყოველდღიურად ხედავს თითოეული ჩვენი მოქალაქე. სამართლიანობის განცდა რომ იკარგება ჩვენს საზოგადოებაში და საყოველთაო სასოწარკვეთა იმკვიდრებს. ეს არის საქართველოს მთავარი პრობლემა. როდესაც ვლაპარაკობ მმართველობის პრობლემაზე, ვგულისხმობ სწორედ იმგვარ რეფორმას, რომელიც ნდობას დაუბრუნებს საზოგადოებას და მაშინ დარწმუნებული ვარ, რომ ვერანაირი გარე მტერი და ვერც წვრილ-წვრილი თუ უფრო გავლენიანი შიდა მტერი, ვერანაირი რეალური პრობლემების შექმნას ველარ მოახერხებენ. ისღა დამრჩენია, კიდევ ერთხელ დავადასტურო, რომ აი, ამ რე-

ფორმების მომზადების თვალსაზრისით, მეც, ჩემი კოლეგებიც, ჩვენი გუნდის წევრები, ყველანი მზად ვართ კონსულტაციებისთვის, დიალოგისთვის, ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასთან, უპირველესად პოლიტიკურ ძალებთან, და თუკი ჩვენ გამოვავლენთ სათანადო ნებისყოფას, მაშინ ღრმად ვარ დარწმუნებული ყველა ამ პრობლემას დავძლევთ.

გაზ. „დილის გაზეთი“. 27 მაისი, 1998 წ. №142 (659). გვ. 5

გამარჯვება თუ კატასტროფა ეს – ჩვენზეა დამოკიდებული

აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე

27 მაისს გაიმართა პარლამენტის დაგეგმილი პლენარული სხდომა, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია უძღვებოდა.

ამ ბოლო დროს გალის რაიონში შექმნილი ვითარება იყო პარლამენტის პლენარული სხდომის მსჯელობის საგანი. დეპუტატთა ერთმა ნაწილმა მოითხოვა ღია დებატების გამართვა. მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ რეალურად პარლამენტში ვერ გადაწყდება ომისა და მშვიდობის საკითხი. ამიტომ უმჯობესი იქნება აღმასრულებელ ხელისუფლებას მიეცეს საშუალება მიხედოს ამ დღეებში გალიდან ლტოლვილ 100 000 მცხოვრებს. იყო სხვა მოსაზრებებიც. საბოლოოდ პლენარული სხდომა შეწყდა. გაიმართა ბიუროს დახურული სხდომა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა როგორ გაეგრძელებინა მუშაობა პარლამენტს.

პლენარული სხდომა დღის მეორე ნახევარში გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ ფრაქციათა უმრავლესობის აზრით ამ ეტაპზე არ იყო საჭირო დებატები და უნდა შეემუშავებინათ ერთიანი განცხადების ან დადგენილების ტექსტი, პარლამენტმა გალის რაიონში დატრიალებულ მოვლენებზე ლაპარაკს გვერდი მაინც ვერ აუარა. სახალხო პარტიის ფრაქციამ დაჟინებით მოითხოვა ღია ეთერში დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. სახალხო პარტიის ფრაქციის ლიდერის მამუკა გიორგაძის საბოლოო დასკვნა კი ასეთი იყო. „იმ კურსს, რომელსაც პრეზიდენტი და მოქალაქეთა კავშირი ადგანან, ჩიხში შევყავართ. საპრეზიდენტო ხელისუფლება კრიზისს განიცდის“.

მისი აზრით, როდესაც საქართველოში ასეთი ვითარებაა, ხელისუფლებამ უმჯობესია საშინაო პოლიტიკას მიხედოს, ვიდრე საგარეოს.

გალში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა ზოგიერთების აზრით, თითქოს ჩვენ ამას ვაფასებთ როგორც გამარჯვებას. ცინიკურია, რადგან საქმე გვაქვს მრავალრიცხოვან ლტოლვილებთან, გადამწვარ სახლებთან და რაც სამწუხაროა, მსხვერპლთან.

20 მაისს გალის რაიონში შეიყვანეს სადამსჯელო რაზმების მრავალრიცხოვანი კონტინგენტი, რომელთაც, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით უნდა მოეწყო ქართველი მოსახლეობის ფართომასშტაბიანი წმენდა. სეპარატისტებს ორგანიზებული, შემართული წინააღმდეგობა გაუწიეს პარტიზანებმა და ქართულმა ლაშქარმა, რომელიც ბოლო წლებში შეიქმნა. ამ მოვლენის სისხლიანი ციფრები, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით ასეთია. ერთი კვირის განმავლობაში პარტიზანებმა 16 მებრძოლი დაკარგეს. მოწინააღმდეგემ – 230-ზე მეტი.

საქართველოს ხელისუფლების წევრები დიდი პრობლემის წინაშე დადგნენ – გაეცათ თუ არა ბრძანება ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედების შესახებ. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ანალიზი მარტივია: ამას მოჰყვებოდა მომენტალურად საქართველოს ჩათრევა საომარ მოქმედებაში, რომლის სუბიექტი იქნებოდა არა ხელისუფლებისგან არაკონტროლირებადი სახალხო ლაშქარი, არამედ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები. საქართველოს უმაღლესმა ხელისუფლებამ, თუ შეიძლება ითქვას, მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება – არ დაუშვა ფართომასშტაბიანი ომი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, ტყუილად სდებენ ბრალს პრეზიდენტსა და მის გუნდს, თითქოს ბოლომდე არ გამოიყენეს შესაძლებლობები.

„მე არ ვიცი, რანაირად უნდა გამოგვეხატა მზადყოფნა, რომ რუსეთს შეესრულებინა დადებითი როლი აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგებაში. პირდაპირ გამოვაცხადეთ, რომ საქართველოში სამხედრო ბაზების არსებობის საკითხი, რუსი მესაზღვრეების საქართველოში ყოფნი საკითხი, პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და არის ველი ჩვენი კეთილმეზობლური თანამშრომლობისა, და სტრატეგიული პარტნიორობის უმთავრესი საფუძველია, რუსეთი, რომლის პასუხისმგებლობასაც აფხაზეთის კონფლიქტის გაღვივებაში თავად პრეზიდენტი ელცინი აღნიშნავდა 1994 წელს, მოვიწვიეთ, რომ შეესრულებინა მთავარი შუამავლის ფუნქცია, – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ, – სხვათა შორის, ამით დაირღვა გაეროს საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკა, როდესაც არ შეიძლება მეზობელი სახელმწიფოს სამშვიდობო კონტიგენტის გამოყენება დაპირისპირებულ მხარეთა დაშორიშორების დროს.

ჩვენ ვაიძულეთ და მივაღწიეთ იმას, რომ გაეროსა და ეუთოს მხრივ უნიკალურ შეფასებათა საფუძველზე შეიქმნა ძალიან მყარი და ძლიერი იურიდიული საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა და ჩვენი, ქართველების შეფასება, პოზიცია მთელმა მსოფლიომ გაიზიარა. „ის, რაც მოხდა აფხაზეთში, იყო უწინარეს ყოვლისა, ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა," – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ და დარბაზს შეახსენა, რომ შუამავლის როლს დღეს კონფლიქტის მოწესრიგებაში ასრულებს არა მარტო რუსეთი, არამედ ყველა ის სახელმწიფო, რომლებიც შედიან ეგრეთ წოდებულ საქართველოს მეგობართა ჯგუფში.

პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, რომ უახლოეს მომავალში მიღებული იქნება გადაწყვეტილება, გაეროს სამშვიდობო კონტიგენტს დაემატოს 300-მდე ჯარისკაცი, რომლებიც ჩადგებიან გალის რაიონში და პირველ ეტაპზე უზრუნველყოფენ მეთვალყურეთა უსაფრთხოებას და სულ მცირე მანდატი დასჭირდებათ დაშორიშორების ფუნქციის შესასრულებლად.

საქართველომ მოახერხა ის, რომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო პროცესი რომელსაც ჰქვია მსოფლიოს რეგიონის გეოპოლიტიკური არქიტექტურის შეცვლა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ სულ ახლახან გამოვიდა სამოქალაქო ომიდან. ქვეყნის უშიშროების სტაბილური განვითარების ერთადერთი გარანტია ხომ საერთაშორისო პოლიტიკაა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, ყველა ჩვენი პრობლემის მთავარი ამოსავალი წერტილი, მთავარი გასაღები ევრაზიის დერეფანია. აბრეშუმის გზა მხოლოდ ცენტრალური აზიის ნავთობის ტრანსპორტირების გზა როდია. ეს არის ახალი სტრატეგია როგორც საქართველოსთვის, ასევე, ათამდე სხვა ქვეყნისთვისაც, რომელიც რეალურ დამოუკიდებლობას მოგვიტანს, დამოუკიდებლობას ეკონომიკურს, დამოუკიდებლობას უშიშროების მყარი გარანტიების შექმნის თვალსაზრისით და მოუტანს კეთილდღეობას თითოეულ ჩვენს თანამემამულეს. საქმე ეხება იმას, რომ უზარმაზარ რეგიონზე გავლენას პრაქტიკულად დაკარგავენ ის ძალები, რომლებიც ოცნებობენ და მისტირიან დამსხვრეულ იმპერიას.

ავტორი ამ სტრატეგიისა, რომელიც აღარ არის მხოლოდ ქართული ხედვა და ქართული სტრატეგია, რადგან პრაქტიკულად მას იზიარებს ყველა ჩვენი მეგობარი და პარტნიორი, სწორედ საქართველო და საქართველოს პრეზიდენტია.

საქართველოს შეუძლია გახდეს მართლა დერეფანი და თავისუფლება მისცეს რეგიონს.

მეორე ვარიანტია, რომ საქართველომ საცობის, ჩიხის ფუნქცია შეასრულოს, რომელიც გამოკეტავს მილიონობით ადამიანს და მუდმივად დამოკიდებულს გახდის იმ ძალებზე, რომლებზეც იყვნენ დამოუკიდებელი ათწლეულების განმავლობაში.

აი, ეს არის ის რისთვისაც ებრძოდნენ და ებრძვიან შევარდნაძეს – 1995 წლის აგვისტოში და შემდგომშიც, რათა ჯვარი დაუსვან პერსპექტივას როგორც საქართველოსთვის, ასევე მისი მეგობარი ქვეყნებისთვისაც. ამიტომ ჩვენმა მტერმა და მოწინააღმდეგემ, სხვას რომ ვერაფერს მიაღწია, გადაწყვიტა, ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი – აფხაზეთი აემოქმედებინა – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

საქართველო თავისი უახლოესი ისტორიის განმავლობაში არასოდეს ყოფილა ასე ახლოს დამოუკიდებლობასთან, ჩვენ ორიენტირებული ვართ ევროპაში ინტეგრირებულ ფასეულობებზე, დემოკრატიული საქართველოს აშენებამდე და ბევრი სირთულის მიუხედავად სწორედ აქეთკენ ვაპირებთ ქვეყნის წაყვანას. დღეს ერთნაირად ახლოს ვართ როგორც საბოლოო გამარჯვებასთან, ისე საბოლოო კატასტროფასთან, რომელსაც იზეიმებს, თუ იწვნევს საქართველო, – ჩვენზეა დამოკიდებული.

ამდენად, ყველას სწორი არჩევანი გვმართებს.

პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლის შემდეგ გაგრძელდა დეპუტატთა გამოსვლები.

სხდომის მუშაობამ გვიანობამდე გასტანა.

საქინფორმი
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
28 მაისი, 1998 წ. №129 (2829). გვ. 1-2

ორი პოზიცია

პოლიტიკური დებატები

27 მაისს პლენარულ სხდომაზე პოლიტიკური დებატები
გაიმართა გალის მოვლენებთან დაკავშირებით.

გთავაზობთ ზურაბ ჟვანიას გამოსვლის ტექსტს შემოკლებული ვარიანტით.
მიგვაჩნია, რომ გალის ტრაგედიაზე დაფიქრებული
ადამიანი ამ გამოსვლაში დღესაც ბევრ საინტერესოს აღმოაჩენს.

პატივცემულო კოლეგებო,
პატივცემულო დეპუტატებო!

მე მგონია, არსად გაუჟღერია იმ აზრს, თითქოს, ვინმე გალში მომხდარს აფასებს, როგორც გამარჯვებას. ეს იქნებოდა მართლაც ცინიკური შეფასება, როდესაც საქმე გვაქვს მრავალრიცხოვანი დევნილების ტალღის შესვლასთან ზუგდიდში, წალენჯიხის რაიონში, სხვა მიმდებარე რაიონებში; როდესაც გადაიწვა მრავალი სახლი, არსებობს მსხვერპლი როგორც მებრძოლებს, ასევე, მშვიდობიან მოსახლეობას შორის. მაგრამ ჩვენ ვთხოვთ ყველას და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს საზოგადოებას, რომ რეალურად გავაანალიზოთ ის, რაც მოხდა და რაც უნდა მომხდარიყო. ვფიქრობ, ეს ძალზე ძნელი არ უნდა იყოს.

20 მაისს გალის რაიონში შეიყვანეს სადამსჯელო რაზმების ძალზე მრავარიცხოვანი კონტიგენტი, რომელსაც, როგორც არაერთგზის წინა წლებში, ქართული მოსახლეობის ფართომასშტაბიანი წმენდა უნდა ჩაეტარებინა. ეს იყო გაგრძელება ეთნიკური წმენდისა და ქართველი მოსახლეობის გენოციდის, იმ პოლიტიკისა, რომლის განხორციელებაც ჯერ კიდევ 1992 წელს დაიწყო.

ჩვენ ყველანი ვართ იმის მოწმენი, რომ რამდენიმე ათეული ათასი იქაური ქართველი მოსახლეობა საკუთარი რისკის ფასად დაბრუნდა გალის რაიონში, სადაც მათთვის არ არსებობდა არანაირი უსაფრთხოების გარანტიები. თითოეული ორატორის პასუხისმგებლობისა და სინდისიერებისათვის მიმინდვია, რა იყო აქ გადამწყვეტი – მცხოვრებთა მეტი ნდობა არძინბასადმი თუ შევარდნაძისადმი.

იყო თუ არა რისკი ამ დაბრუნების პროცესში?

უსაფრთხოების ზონაში ბოლო 2 წლის განმავლობაში 1500 ადამიანზე მეტი დაიღუპა.

როგორ ხდებოდა ეს ეგზეკუციები? ისევე, როგორც ამჟამად, შემოიჭრებოდნენ სადამსჯელო რაზმები, აწიოკებდნენ მოსახლეობას. იწვებოდა ათასობით სახლი, მთლიანად ნადგურდებოდა მეურნეობები, მასობრივად ხოცავ-

დნენ ქართველ მოსახლეობას, შემდეგ ამ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ვარდებოდა პანიკაში და გადმოდიოდა მეზობელ რაიონებში, ძირითადად, ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონებში.

ეს არ არის ჩემი ვარაუდი, ეს არის ჩვენი ისტორია, ის ფაქტები, რომლის მოწმენი ჩვენც არაერთხელ ვყოფილვართ. ამჯერადაც დაგეგმილი იყო ანალოგიური ეგზეკუცია, რომელსაც სწორედ 26 მაისისთვის უნდა მიეღწია აპოგეისათვის.

როდესაც 20 მაისს, დილის 5 საათზე, სეპარატისტული რეჟიმის მიერ გამოგზავნილი დაახლოებით 800-მდე კბილებამდე შეიარაღებული ბოევიკი შეესია ქართულ სოფლებს, თავისდა მოულოდნელად, მათ მიიღეს საოცარი ორგანიზებული, შემართული პასუხი სწორედ პარტიზანული რაზმებისგან და იმ სახალხო ლაშქრისგან, რომელიც ამ დროის განმავლობაში ჩამოყალიბდა გალის რაიონში.

2 წლის წინათ ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვეძლო, ის იყო, რომ გაგვეზიარებინა ერთმანეთისთვის უკიდურესი გულისტკივილი იმის გამო, რომ ვერც კი ვმარხავდით ასობით ჩვენს თანამემამულეს, რომლებიც ასეთ ეგზეკუციებს ეწირებოდნენ. მინდა მხოლოდ ციფრები დავასახელო, სისხლიანი ციფრები. ამ ერთი კვირის განმავლობაში პარტიზანებმა, სახალხო ლაშქარმა დაკარგა 16 მებრძოლი, ალბათ, ისინი, ვინც ყველაზე მამაცურად იბრძოდნენ ამ შემოტევის დროს. მოწინააღმდეგემ, პარტიზანების წინააღმდეგობის შედეგად, ერთი კვირის განმავლობაში 230 ადამიანზე მეტი დაკარგა.

აი, ამ წარმოუდგენელმა გმირობამ მისცა შესაძლებლობა ქართული სოფლების მოსახლეობას, დაეტოვებინა გალის რაიონის ტერიტორია და ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე გადასულიყო. შემდეგ მოვლენები ტრაგიკულად განვითარდა. მთელ რიგ სოფლებში გადაიწვა მრავალი სახლი. მაგრამ დაუფიქსირებლობა უმთავრესი გარემოებისა, რომ მოვახერხეთ, თავიდან აგვეცილებინა ძალიან დიდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, ვფიქრობ, ნამდვილად გააყალბებს რეალურ ვითარებას.

ჩვენ აქ, ერთმანეთში გვაქვს ჩვეული პარტიული კინკლაობა – შენ ვერაფერი გააკეთე! არა, კი, გავაკეთე! ეს სამი წელია გრძელდება მუდამ, სანამ მრავალპარტიული პარლამენტი იარსებებს. მთავარია, დავინახოთ სრულიად ახალი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით შეიქმნა. ეს არის დევნილი მოსახლეობის წიაღში აღმოცენებული პარტიზანული მოძრაობა, სახალხო ლაშქარი, რომელმაც გარწმუნებთ, სრულიად ახალი სიტუაციის წინაშე დააყენა სეპარატისტული რეჟიმი.

ამ კვირის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების წევრები ვიდექით უდიდესი ცდუნების წინაშე, რომ გაცემულიყო ფართომასშტაბიანი საპასუხო ოპერაციის ჩატარების ბრძანება და ვითარება უსწრაფესად გამოსწორებულიყო. მაგრამ გათვლა, ანალიზი იყო ძალიან მარტივი – რა თქმა უნდა, ამას მოჰყვებოდა საქართველოს მომენტალურად ჩათრევა ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში, რომლის სუბიექტი იქნებოდა არა სპონტანური და

ხელისუფლებისგან არაკონტროლირებადი პარტიზანული მოძრაობა, არამედ – ჩვენი სახელმწიფო, შესაბამისი საერთაშორისო შედეგებით, შესაბამისი პასუხისმგებლობით და შესაბამისი დრამატული ცვლილებებით თითოეული ჩვენი მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენ ავირჩიეთ ის გადაწყვეტილება, რომელიც, იმთავითვე ნათელი იყო, რომ დარტყმის ქვეშ დაგვაყენებდა, რისი მოწმენიც დღეს ვართ – იმ მძაფრი გამოსვლების, შეურაცხმყოფელი შეფასებების, რაც იძულებულნი ვართ, აქ მოვისმინოთ. ამისთვის ვართ იმიტომ, რომ ძალიან კარგად ვაცნობიერებთ: არანაირი უფლება არა გვაქვს ხაზი გადავუსვათ იმ მცირე მონაპოვარს, რომელსაც თქვენთან ერთად მივაღწიეთ ამ წლების განმავლობაში.

თქვენ გვეკითხებით, რა შეიძლება იყოს უარესი?

ამოვიღოთ 3-4 წლის წინანდელი ვიდეოფირები, გავიხსენოთ ოკუპირებული ქუთაისი, სრული ქაოსი, განუკითხაობა, ძალადობა და სისხლისღვრა თითოეული ქართული ქალაქის და დასახლების ქუჩებში. ეს არ არის საუკუნეების წინანდელი ამბავი. ეს სულ ახლახანს ხდებოდა საქართველოში და, საუბედუროდ, ისევ ძალიან ადვილად შეიძლება, ჩვენი ყოველდღიური ყოფის ტრაგიკულ ნაწილად იქცეს.

იგივე სახალხო ფრაქცია ძალზე მწვავედ სვამდა საკითხს და მაშინ ვერანაირ რეაგირებას ვერ ვახდენდით, როდესაც იმ რაიონში 1500 ადამიანი დახვრიტეს. ჩვენ არასოდეს გვითქვამს, რომ საქართველო არის აყვავებული და ფეხზე დამდგარი ძლევამოსილი სახელმწიფო. ჩვენ ვამბობთ, რომ არის გარკვეული დადებითი ძვრები, რომელსაც არ გამოუსწორებია მოსახლეობის მდგომარეობა. როცა თქვენ მიყვებით აქ იმის შესახებ თუ ადამიანები როგორ შიმშილობენ, რა უმძიმეს პირობებში არიან, მეც შემიძლია საათობით ვისაუბრო ამის შესახებ იმიტომ, რომ ეს ჩემთვის ახლობელი ადამიანების ყოველდღიური ყოფაა. მაგრამ არ ვთქვათ ის, რომ გარკვეული პროცესი დაიწყო, ელემენტარული სიყალბე იქნება. რა დარჩა ისეთი ბერკეტი, ისეთი რესურსი, რომელიც საქართველოს არ აუმოქმედებია?

ხშირად გვსაყვედურობენ, რომ აფხაზეთის პრობლემა არ გვარდება იმის გამო, რომ რუსეთთან საერთო ენა ვერ გამოვნახეთ, საკმარისად ბევრი არ მივეცით რუსეთს. არ ვიცი, კიდევ რანაირად უნდა გამოგვეხატა ჩვენი მზადყოფნა საიმისოდ, რომ სწორედ რუსეთს შეესრულებინა დადებითი როლი აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგებაში? გამოვაცხადეთ, რომ სამხედრო ბაზების საქართველოში არსებობის საკითხი, რუსი მესაზღვრეების საქართველოში არსებობის საკითხი პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ჩვენი კეთილმეზობლური თანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის უმთავრესი საფუძველია. რუსეთი, რომლის პასუხისმგებლობაზეც აფხაზეთის კონფლიქტის გაღვივებაში თავად პრეზიდენტი ელცინი ბრძანებდა, 1994 წელს მოვიწვიეთ, რომ შეესრულებინა მთავარი შუამავლის ფუნქცია. და კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალები ჩადგნენ დსთ-ს ეგიდით. სხვათა შორის, ამით დაირღვა გაეროს საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკა, როდესაც მეზობელი სახელმწიფოს სამშვი-

დობო კონტიგენტი დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორების დროს არ შეიძლება გამოყენებულ და ამოქმედებულ იქნეს.

ამის შემდეგ ერთადერთი ისღა დარჩა, რომ საჯაროდ გამოგვეცხადებინა – ჩვენ, ქართველები, უარს ვამბობთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობაზე და მზად ვართ, გავხდეთ თქვენი ერთ-ერთი რიგითი გუბერნია, შეიძლება, გარკვეული ავტონომიური სტატუსით. ამიტომ, როდესაც ჩვენი ოპონენტები (აქ, ცხადია, არ არის ბატონი მამუკა გიორგაძის ფრთაზე საუბარი) გვსაყვედურობენ, კარგად გავაანალიზოთ და გავიხსენოთ, რა გავაკეთეთ ამ მიმართებით.

მივაღწიეთ ეუთოს უნიკალურ შეფასებებს. შეიქმნა ძალიან მყარი და ძლიერი იურიდიული საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა საიმისოდ, რომ ქართველების პოზიცია მთელ მსოფლიოს გაეზიარებინა. მიღწეულ იქნა შეფასება, რომ რაც აფხაზეთში მოხდა, ეს არის მოსახლეობის, უპირველეს ყოვლისა, ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, მივაღწიეთ, რომ შუამავლის როლს დღეს ამ კონფლიქტის მოწესრიგებაში ასრულებს არა მხოლოდ რუსეთი, არამედ ყველა ის სახელმწიფო, რომელიც შედის ე.წ. მეგობართა ჯგუფში რუსეთთან ერთად ეს გახლავთ: აშშ, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი. იმის მიუხედავად, რომ პირველ შეხვედრებს ჟენევაში რაიმე არსებითი პროგრესი არ მოუცია, ნამდვილად ველი იმას, რომ შემდგომ შეხვედრებზე მართლაც ძალიან პრინციპული შეფასებები იქნება და განისაზღვრება ის ძირითადი ჩარჩო, რომელშიც აფხაზეთის პრობლემის შემდგომი დარეგულირება წარიმართება. სტატუსის საკითხს ჩვენ მარტო ვერ განვსაზღვრავთ, ეს უნდა განვსაზღვროთ აფხაზებთან დიალოგის პროცესში და საერთაშორისო არბიტრები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ აფხაზები მართლაც იმას მიიღებენ, რასაც დღევანდელი საერთაშორისო გამოცდილება ითვალისწინებს. კიდევ მეტი, დღეს საუბარია იმაზე, რომ უახლოეს მომავალში მიღებულ იქნას გადაწყვეტილება – გაეროს დამკვირვებელთა კონტიგენტს ე.წ. უსაფრთხოების ძალები დაემატოს. ეს არის გაეროს წევრი რომელიმე სახელმწიფოს წარმომადგენელი, დაახლოებით 300 ჯარისკაცი. უკვე არიან მსურველები, რომლებიც გალის რაიონში ჩადგებიან და პირველ ეტაპზე ამ დამკვირვებელთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. მაგრამ სულ მცირედი შეცვლაღა დასჭირდება მათ მანდატს, რომ დაშორიშორების ფუნქცია სწორედ მათ შეასრულონ და ჩვენ შევძლოთ იმ დილემის გადაწყვეტა, რაც დღეს, საუბედუროდ ჯერ კიდევ გვაწუხებს, როცა სამშვიდობო ძალებზე ვსაუბრობთ.

პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან – თქვენ რა, მართლა გგონიათ, რომ ეს შეხვედრები სიამოვნებს ედუარდ შევარდნაძეს, რომლის კისერზეც ყველაზე მეტად გადაიარა აფხაზეთის ტრაგედიამ და რომელიც ყველაზე მეტად ემოციურად აღიქვამს, ალბათ ყოველივეს, რაც აქ 3 წლის წინათ მოხდა და რაც დღეს ხდება? მაგრამ ეს რესურსიც გამოვიყენეთ, ეს ბერკეტიც ავამოქმედეთ, რასაც ჰქვია პირდაპირი შეხვედრები. პირდაპირი დიალოგი აფხაზეთის წარმომადგენლებთან ყოველგვარის შუამავლობის გარეშე. ხელშეკრულებებს, ჯერჯერობით, ვერაფერს მივაღწიეთ. თუმცა, თავად დიალოგის ფაქტი, რო-

გორი არაპოპულარულიც უნდა იყოს ჩემი განცხადება, ძალზე მნიშვნელოვანია და შედეგს უსათუოდ გამოიღებს.

დაბოლოს, ნუ წარმოვიდგენთ ისე, რომ პარტიზანები თოხებით და წალდებით შეიარაღებულები დაუპირისპირდნენ კბილებამდე შეიარაღებულ 800 მომხდურს. ეს ერთადერთია, რისი თქმაც მინდა ამ თემასთან დაკავშირებით, როდესაც ჩვენი კურსის უსუსურობაზე ვსაუბრობთ აფხაზეთში. მივაღწიეთ რაიმე შედეგს აფხაზეთის საკითხის მოწესრიგებასთან დაკავშირებით? არა, ვერ მივაღწიეთ. შედეგი ის იქნება, როდესაც უკანასკნელი დევნილი გალში კი არა, გაგრაში და ლესელიძეში დაბრუნდება; როდესაც ქართველი სოხუმში იცხოვრებს და ყოველ დილით გაღვიძების არ შეეშინდება – დღეს რა ბედი მელისო. ამისგან ჯერჯერობით, ძალიან შორს ვართ. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მტერი ჩვენზე ბევრად ძლიერია და იმას ნუ გვისაყვედურებთ, ამ 5 წლის განმავლობაში რატომ ვერ მოახერხეთ, რომ ეს გოლიათი დაგემარცხებინათო. შეგახსენებთ, რომ უზარმაზარმა რუსეთმა, თავისი უძლიერესი სპეცსამსახურებით და შეიარაღებული ძალებით, რომელიც მთელ მსოფლიოს აზანზარებს და, მათ შორის, საქართველოს აგდებს თვიდან თვემდე აგონიაში, აი, მან ვერ მოახერხა საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტა – იმდენად მძიმე, იმდენად მტკივნეულ პროცესებთან გვაქვს საქმე. იმის მაქსიმუმს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია და დარწმუნებული ვართ ჩვენს წარმატებაში. მინდა გულახდილად გითხრათ, რომ რაიმე კონკრეტული ალტერნატივა თქვენგან, ჯერჯერობით, არ მოგვისმენია.

ნუ ვიტყვით იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია თავისი ინიციატივები და მუდმივად სხვის თამაშს უწყობს ფეხს. საქართველომ, რომელიც ახლახან გამოძვრა სამოქალაქო ომისა და სისხლიანი ძმათაშორისი დაპირისპირების მარწუხებიდან, მოახერხა, რომ სწორედ მისი ინიციატივით დაიწყოს ის პროცესი, რასაც ჰქვია ჩვენი რეგიონის, მსოფლიოს ჩვენი ნაწილის გეოპოლიტიკური რეალობის, გეოპოლიტიკური არქიტექტურის შეცვლა.

დიდი პოლიტიკა ნებისმიერი მცირე ქვეყნისათვის არის ურთიერთობის, კეთილდღეობისა და სტაბილური განვითარების ერთადერთი გარანტი. მე ვიცი ყველა ჩვენი ოპონენტის დადებითი დამოკიდებულება იმისადმი, რასაც ევრაზიული დერეფნის ჩამოყალიბება ჰქვია. შეიძლება, გაგვიკვირდეს – რა შუაშია გალში დატრიალებული ტრაგედია და ის, რომ სიდა და ოტობაია გადაწვეს, ევრაზიულ დერეფანთან. სწორედ ეს არის მთავარი ამოსავალი წერტილი, მთავარი კვანძი და მთავარი გასაღები ჩვენი პრობლემისა. აბრეშუმის გზა არ არის მხოლოდ ნავთობის თუ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება, ცენტრალური აზიის სხვა სიმდიდრეების ტრანსპორტირება საქართველოს გავლით. ეს ბევრად მეტია და დადგა დრო, რომ მხოლოდ პოლიტიკურ ელიტაში კი არ იყოს იმაზე საუბარი, მოსახლეობამაც გაიცნობიეროს ის პროცესი, რომლის თვითმხილველნი და მონაწილენიც ვართ. აბრეშუმის გზა – ეს არის ახალი სტრატეგია საქართველოსთვის და პლუს კიდევ ათამდე სხვა სახელმწიფოსთვის. აი, ის სტრატეგია, რომელიც რეალურ დამოუკიდებლობას მოგვიტანს. დამოუკიდებლობას ეკონომიკურს და დამოუკიდებლობას უსაფ-

რთხოების მყარი გარანტიების შექმნის თვალსაზრისით. იგი კეთილდღეობას მოუტანს თითოეულ ჩვენს მოქალაქეს და თითოეულ ჩვენს ოჯახს. უზარმაზარ რეგიონზე გავლენას, ზემოქმედების შესაძლებლობებს პრაქტიკულად დაკარგავს ყველა ის ძალა, რომელიც დღეს ტირის, იმპერია როგორ შემოგვემსხვრა თვალსა და ხელს შუაო. აი, ამაზეა საუბარი და ავტორი ხედვის, ავტორი ამ სტრატეგიის, რომელიც დღეს აღარ არის მხოლოდ ქართული ხედვა და ქართული სტრატეგია – ამას იზიარებს პრაქტიკულად ყველა ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ცენტრალურ აზიაში, უკრაინასა თუ სხვა სახელმწიფოებში – არის სწორედ საქართველო და საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს შეუძლია, რომ გახდეს დერეფანი და ნამდვილი თავისუფლება მისცეს მსოფლიოს ამ უშველებელ რეგიონს. ან არის მეორე ვარიანტი, რომ საქართველომ საცობის, ჩიხის ფუნქცია შეასრულოს, რაც დაახლოებით 100 მილიონ ადამიანს გამოკეტავს და მუდმივ დამოკიდებულებაში ამყოფებს ამ ძალებთან, ვისზეც ამ ათასწლეულების განმავლობაში იყვნენ დამოკიდებულნი.

ეს არის ის, რატომაც ესროლეს ედუარდ შევარდნაძეს 1995 წლის აგვისტოში, როდესაც მხოლოდ კონტურები იკვეთებოდა. და დღეს, როდესაც მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსები საქართველოს განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე საუბრობენ, დიდი კომპანიები და ინვესტორები ცდილობენ, არ დააგვიანონ ამ პროცესში მონაწილეობა. თვეებიღა რჩება საიმისოდ, რომ ჯვარი გადაუსვან ამ პერსპექტივას საქართველოსთვის, აზერბაიჯანისთვის თუ სხვა ჩვენი მეგობარი და მოკავშირე ქვეყნებისთვის. თვეებიღა რჩება ჩვენს მტერს და მოწინააღმდეგეს. ამიტომ არის საჭირო, რომ 9 თებერვალს იქ ჩავაყენოთ მუხებით შეიარაღებული ნაღმმტყორცნთა როტა, ამიტომ ხდება აუცილებელი, რომ რაღაც პროვოკაცია მოვაწყოთ საქართველოს იმ კუთხეში, რომელმაც ყველაზე მეტი ტკივილი გადაიტანა ამ წლების განმავლობაში. და ამანაც რომ ვერ გაამართლა და მოსახლეობის სიბრძნემ ზუგდიდში და მთლიანად სამეგრელოში გამორიცხა ბინძური პროვოკაცია, ხდება საჭირო, რომ ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი – აფხაზეთი ამოქმედდეს. აი, ასე უკავშირდება სიდის თუ ოტობაიას გადაწვა ევრაზიული დერეფნის და დიდი პოლიტიკის საკითხებს.

დღეს მართლაც ძალიან ახლოს ვართ რეალურ გამარჯვებასთან, რეალურ დამოუკიდებლობასთან. არა იმ თვალსაზრისით, რომ გაეროს შენობის წინ საქართველოს დროშა იყო აღმართული. ჩვენი პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ძალის, პოტენციალის იმედზე რომ იყოს, სხვაზე რომ არ იყოს დამოკიდებული – აი, ამ მიზანთან ასე ახლოს საქართველო თავისი უახლესი ისტორიის განმავლობაში მართლაც არასოდეს ყოფილა. და ამიტომაც არის, რომ იმას, რაც ბოლო თვეების განმავლობაში ხდება საქართველოში, ერთადერთ სახელს შევურჩევდი: ეს არის ფარული ომი ყველა შესაძლებლობის, ყველა რესურსის, გამოყენებით, რომელიც კი ჩვენს მტერს, ჩვენს მოწინააღმდეგეს გააჩნია. საუბედუროდ, ისე მოხდა საბჭოური ტოტალიტარიზმის ათასწლეულების განმავლობაში, რომ აქ მართლაც ძლიერი ბას-

ტიონები შეიქმნა – სრულიად არალეგალიზებული, ასე ვთქვათ, გაუცხადებელი, ის, რასაც ხან მეხუთე კოლონას ვუწოდებთ, ხან აგენტურას, ხან ფარულ ძალებს. ეს ხალხი ხშირად ულტრაპატრიოტული მოწოდებებით გამოდის. ხომ არ იტყვის – აი, მე ვარ ქვეყნის მტერი და მოღალატეო. ჩვენს ოპონენტებთან ამ დარბაზში, ხშირად გვისაუბრია იმაზე, თუ რამდენად დიდ ფაქტორს წარმოადგენს ეს საშიშროება. რეალურად უნდა დავინახოთ, რომ როდესაც საუბარია საქართველოში დღეს შექმნილ მძიმე, მაგრამ მაინც იმედის მომცემი სიტუაციის აფეთქებაზე, იგულისხმება სწორედ ფარული მეთოდებით და იმ ძალების გამოყენებით, რომლებიც ჩვენს გვერდით არიან და ხშირად, შეიძლება, ამ დარბაზშიც იმყოფებიან. ჩვენ ჩვენი კურსი ყველასთვის ძალზე გასაგებად გამოვაცხადეთ, ჩვენს კურსთან დაკავშირებით ჩვენო პატივცემულო ოპონენტებო, კითხვის ნიშნები არავის უჩნდება არც მოსკოვში, არც ვაშინგტონში, არც ბაქოში, არც კიევში და არც ერევანში, არსად. მხოლოდ, რატომღაც მაინცდამაინც აქ, ამ დარბაზში ჩნდება ხოლმე ეს შეკითხვები – საითკენ არის ორიენტირებული საქართველო?

კიდევ ერთხელ ვიმეორებ ყველასთვის ნათლად და გასაგებად ჩვენ ორიენტირებულნი ვართ ევროპაში ინტეგრირებული დემოკრატიული საქართველოს აშენებაზე და, ბევრი სირთულის მიუხედავად, ვფიქრობ, სწორედ ამ მიმართულებით ვახერხებთ ჩვენი სამშობლოს წაყვანას.

დღეს ყველაზე კრიტიკული მომენტია ჩვენს განვითარებაში. კრიტიკული მომენტი ნიშნავს ერთ რამეს: ჩვენ ერთნაირად ახლოს ვართ როგორც საბოლოო გამარჯვებასთან, ისე საბოლოო კატასტროფასთან და მარცხთან. არჩევანი, რომელს დაიწუნებს და რომელს იზეიმებს საქართველო, ჩვენზეა.

გაზ. „კავკასიონი“. 1-7 ივნისი, 1998 წ. №60 (795). გვ. 16-17

ინტერვიუ ზურაბ ჟვანიასთან: „არსებობდა ინფორმაცია, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე „სიურპრიზებს“ გვიმზადებდა“

ბ-ნო ზურაბ, როგორც ბატონმა კახა ჩიტაიამ განაცხადა, არძინბა თანახმაა, საქართველოს პრეზიდენტთან აფხაზეთის სტატუსზე ისაუბროს. ამ შეხვედრაზე შეიცვლება თუ არა ხელისუფლების დამოკიდებულება და საერთოდ, რაიმე დათმობაზე შეიძლება საუბარი?

ჩვენი დამოკიდებულება აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით ისედაც უკიდურესად კომპრომისულია. მე არ ვიცი, კიდევ რისი შეცვლა შეიძლება, პირადად მე დაუშვებლად მიმაჩნია ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც აფხაზეთს, გარდა ძალიან ფართო ავტონომიისა, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ძირითადად ფედერალური საფუძვლების ფარგლებში მიეცემა. ვიცი, რომ ამ თვალსაზრისით საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია ურყევი და მკაცრია. ძალზე შემაშფოთებელია ყველაფერი, რაც გალის რაონში ხდება და რაც აფხაზეთში გამწვავებული ვითარების დარეგულირებას უკავშირდება. უკვე მერამდენედ ითქვა ტყუილი. მოხდა ძალების დაშორიშორება, მაგრამ დევნილების დაბრუნების საკითხი დღემდე არ არის გადაწყვეტილი. მინდა ხაზი გავუსვა, პირადად მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნები, რომ დევნილები უსაფრთხოების სერიოზული გარანტიების გარეშე გალის რაიონში დაბრუნდნენ. ეს ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია.

რა კომენტარს გაუკეთებთ პრეზიდენტის იალტაში ვიზიტს?

ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტია. ეს მართლაც ისტორიული პროცესია. დღეს ხელი მოეწერება ახალ ქარტიას, რომლის ძალითაც შავი ზღვის ორგანიზაცია „ბისეკი“ ჩამოყალიბდება არა მხოლოდ როგორც ეკონომიკური თანამშრომლობის, არამედ ძალიან მყარი რეგიონული სტრუქტურა. ეს ჩვენი ქვეყნისათვის და მთლიანად ჩვენი რეგიონისათვის მნიშვნელოვანი სიახლეა.

რამდენად მნიშვნელოვანია ხელისუფლებისა და ოპოზიციას შორის დიდი პოლიტიკური დიალოგის დაწყება?

ამ თემაზე ჩემს კოლეგებთან ოპოზიციიდან არაერთხელ მისაუბრია. მათი წინადადება იყო, რომ საჭიროა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის უფრო სერიოზული დიალოგი დაიწყოს. მე ვფიქრობ, რომ იგივე „სახალხო“ ფრაქციასა თუ სხვების მხრიდან გამოთქმულ პოზიციებში არის მრავალი ისეთი, რაც ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ და ამ პრობლემის გადაწყვეტის გზებზე ერთობლივად ვიფიქროთ. ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობა ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს. ჩვენ ყველა დეტალებში გარკვევას ვცდილობთ. ამ ჯგუფის მუშაობის შესახებ რაიმე კონკრეტულის თქმას, სანამ ყველანი ერთად შეფასებებზე და დასკვნებზე არ შევთანმხდებით, არ ვაპირებ.

გქონდათ თუ არა რაიმე ინფორმაცია, რომ მოვლენები გალში ასე ტრაგიკულად განვითარდებოდა?

ვიცოდით რომ ჩვენი მოწინააღმდეგე 26 მაისისათვის ძალიან მწარე „სიურპრიზებს“ გვიმზადებდა. არსებობდა სერიოზული ოპერატიული ინფორმაცია, ჩვენ მზადება ყველა მიმართულებით გვიხდებოდა. ლაპარაკი იყო არა მხოლოდ აფხაზეთში ვითარების დაძაბვაზე, არამედ ახალ ტერაქტებზე და სხვა ფართომასშტაბიან პროვოკაციებზე. გალში განვითარებული მოვლენების გარდა საქართველოში დღეს მიმდინარე სხვა პროცესებიც ძალიან მაეჭვებს. დევნილების მხრიდან კომაროვის სახელმწიფო მათემატიკურ სკოლაში ან ბოტანიკის ინსტიტუტში და სხვა დაწესებულებებში შევარდნა ცხადია, დევნილებსა და თბილისელებს შორის მკვეთრ დაპირისპირებას გამოიწვევს. ყველას ესმის, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაში არიან ეს ადამიანები. მადლობა ღმერთს, რაიმე სერიოზული არ მომხდარა. საკითხავია, რატომ მოხდა ეს ყველაფერი. მე ძალიან მაეჭვებს ის, რომ დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციების მქონე ძალებმა ედუარდ შევარდნაძის გადადგომასთან დაკავშირებით ასე სწრაფად სინქრონულად დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება. გალის მოვლენები საქართველოში ხელისუფლების საკითხის დასაყენებლად მხოლოდ საბაბი გახდა.

რამდენად იღებს საქართველოს ხელისუფლება პასუხისმგებლობას გალში განვითარებულ მოვლენებზე?

ცხადია, პასუხიმსგებლობის დიდი წილი ხელისუფლებაზეა. მე ვფიქრობ ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე მაშინ უნდა გვესაუბრა, როდესაც ჩვენ იძულებული ვიყავით შევგუებოდით ისეთ ფაქტს, როცა გალის რაიონში 1500-მდე ადამიანი იქნა განადგურებული.

თბილისი

გაზ. „ახალი თაობა“. 6 ივნისი, 1998 წ. №153 (920). გვ. 2

ჟვანია პრემიერ-მინისტრობას არ აპირებს

პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას განცხადებით უნდა დაიწყოს პოლიტიკურ ძალთა შორის დისკუსიის ახალი ეტაპი, რაც მიზნად დაისახავს კონკრეტულ სამოქმედო გეგმას.

ის დეკლარაციები, რაც ჩვენი მხრიდან გაკეთდა, საკმარისია. ყველამ დაფიქსირა საკუთარი პოლიტიკური პოზიცია. ახლა საჭიროა საზოგადოებას კონკრეტული სამოქმედო გეგმა შევთავაზოთ. დღეიდან ამ მიზნით წარიმართება სწორედ კონსულტაციები. დაგეგმილი მაქვს მთელი რიგი შეხვედრები, როგორც პარლამენტში, ისე პარლამენტს გარეთ მაჟორიტარ დეპუტატებთან, უწყებათა წარმოამდგენლებთან. ვფიქრობ, საინტერესო შედეგებს მივიღებთ. – განაცხადა ჟვანიამ.

მისი თქმით, თუ რა სახეს მიიღებს საკონსტიტუციო რეფორმა ჯერჯერობით ადრეა საუბარი „ჩამოყალიბდა ძირითადი მომენტი, რომ საჭიროა კონსტიტუციურად ბევრად უფრო ეფექტური მმართველობითი მექანიზმის შექმნა. საჭიროა არსებობდნენ ის პირები. რომლებიც პასუხისმგებელნი არიან უწყებათაშორის საქმიანობის კოორდინაციაზე ყოველდღიურ მიმდინარე პრობლემებთან დაკავშირებით. არ შეიძლება ყველა საკითხი თავს იყრიდეს ქვეყნის პრეზიდენტთან და, შესაბამისად მხოლოდ პრეზიდენტი იყოს პასუხისმგებელი პრობლემის მოგვარებაზე. ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მინისტრთა კაბინეტის შექმნის გზით; პირადად ვფიქრობ, რომ შეიძლებოდა არსებულ საკონსტიტუციო მოდელში სახელმწიფო მინისტრის ფუნქციების გაფართოება. თუ როგორ გამოიკვეთება ძირითადი ამოცანის მიღწევის მიზნები, ეს დამოკიდებულია ჩვენს ექსპერტებზე. – განაცხადა ჟვანიამ.

„საქართველო, რა თქმა უნდა, უნდა დარჩეს საპრეზიდენტო რესპუბლიკად. სადაც პრეზიდენტი არის უმთავრესი გარანტი ქვეყნის სტაბილურობის განვითარებისა. ასევე უნდა დარჩეს დამოუკიდებელი, ძლიერი პარლამენტი – უმთავრესი პოლიტიკური ინსტიტუტი და უწყება“ – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ. რომელმაც ბოლო კვირის განმავლობაში ფართოდ გაჩაღებულ დისკუსიაში ერთ-ერთ საკითხს, შესაძლო პრემიერ-მინისტრობის საკითხს უკვე წერტილი დაუსვა.

„რა თქმა უნდა, უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული საპარლამენტო დემოკრატიის პირობებში სწორედ გამარჯვებული პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი უნდა იღებდეს პახუსისმგებლობას აღმასრულებელი გუნდის ფორმირებაზე. მაგრამ დღეს, მთელი რიგი ფაქტების გამო, მთლიანად გამოვრიცხავ ჩემს კანდიდატურას პრემიერ-მინისტრის შესაძლო პოსტზე. ეს გამოწვეულია მთელი რიგი პროცესებით. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ, მე ვაპირებ სერიოზულ კონცენტრირებას საარჩევნო კამპანიის ამოცანებზე. ჩვენ ძალზე ცოტა დრო გვრჩება. ვაპირებ სერიოზულად ვიმუშაო იმ უმთავრესი პრიო-

რიტეტების გადასაწყვეტად, რაც დღეს საზოგადოებაშია და ჩემი ღირსების საკითხად მიმაჩნია ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც არსებობს საქართველოში, დაძლეულ იქნას. მითუმეტეს, ჩვენ, მე და ჩვენი თანამებრძოლები, შევარდნაძის გუნდის წევრები ვართ. არ დავმალავ არც იმას, რომ, შექმნილია მძიმე მდგომარეობა აჭარის ხელისუფლებასთან. არ აქვს მნიშვნელობა რამდენად გამწვავდა ეს ურთიერთობა ჩემი ნებით და რამდენად იყო ეს ყველაფერი ხელოვნურად ინსპირირებული. მე მიმაჩნია, რომ პრემიერ-მინისტრს უნდა ჰქოდეს თავისუფალი ურთიერთობის საშუალება ყველასთან, საქართველოს ნებისმიერ რეგიონთან. ეს განცხადება კიდევ უფრო მიხსნის ხელ-ფეხს, რომ ვიყო უფრო რადიკალური ჩემს მოთხოვნებსა და საკუთარი შეხედულებების დაცვაში. დღეს საქართველოში კრიტიკული მდგომარეობაა. კულუარული კომპრომისების საშუალება შეზღუდულია. ჩვენ უნდა ვიყოთ გახსნილები და პირდაპირები ჩვენი პრობლემების მოგვარებაში, მე ვაპირებ, რომ ვიყო თანმიმდევრული და მკაცრი“ – განაცხადა ჟვანიამ.

მისი თქმით, უცნაურია პიროვნებების დაყოფა პროდასავლურებად, პრორუსულებად, რადგან ყველა ქართველი პოლიტიკოსი უნდა იყოს პროქართველი. ეს გულისხმობს თანამშრომლობას აშშ-სთან, გერმანიასთან, რუსეთთან, თურქეთთან და ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან. რომელთანაც გვაკავშირებს გარკვეული ინტერესები.

„მე, ჩემს პოლიტიკაში, მთლიანად ვარ ორიენტირებული იმ ფასეულობების დამკვიდრებაზე, რასაც ჰქვია დასავლური, ლიბერალური დემოკრატიის ფასეულობები. ეს ნიშნავს პიროვნების თავისუფლებისა და პიროვნების ღირსების უზენაესობას სახელმწიფოში ყველა სხვა ფასეულობებთან შედარებით. ეს ნიშნავს ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის და დემოკრატიის იდეალების უზენაესობას. ამ თვალსაზრისით თუ შეიძლება ეწოდოს პროდასავლური, კი ბატონო, ვარ პროდასავლური. ისე, ვისაც ხშირად მოიხსენიებენ როგორც პრორუსულ ძალებს, სინამდვილეში, ისინი „პრო“ არ არიან. ისინი არიან პატარა მარიონეტები, რომელთაც განსაზღვრული აქვთ ფუნქციები, რომელსაც ვერ გადაუხვევენ. თუ გადაუხვევენ, მაგრად მოხვდებათ“ – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

რაც შეეხება ოპონენტების მოთხოვნას რიგგარეშე არჩევნების შესახებ, ზურაბ ჟვანიას არასერიოზულად მიაჩნია – „ეს აბსურდია. ჩვენი კონსტიტუცია არ ითვალისწინებს რიგგარეშე არჩევნების არანაირ მექანიზმს, ჩვენი მონინააღმდეგეები თავიანთ მოთხოვნას სწორედ ამაზე დაყრდნობით აცხადებენ, მათ კარგად იციან, რომ კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს რიგგარეშე არჩევნებს. ეს არის ე.წ. ამერიკული მოდელი და საქართველოში თუ კონსტიტუციის ეს ნაწილი არ შეიცვალა, არ შემოვიდა პარლამენტის დათხოვნისა და ვადამდელი არჩევნების ჩატარების საკითხი, არანაირად ვადამდელი არჩევნები არ ჩატარდება. ამიტომაც ასე თავისუფლად გვიკიჟინებენ „ჩაატარეთო“. ეს მარტივი და ცოტა არ იყოს სასაცილო ხრიკია,“ – ამბობს ზურაბ ჟვანია. რომლის თქმით, ხელისუფლების ძირითად საფიქრალს წარმოადგენს მთლიანად მმართველობის არასაკმარისი ეფექტურობა დღევანდელ ეტაპზე,

რომ უნდა შეიქმნას ეროვნული მიზნების მისაღწევად აგრესიული გუნდი, რომელსაც შესწევს პრობლემების მოწესრიგების უნარი.

კითხვაზე – რამდენად მოგცემთ პრეზიდენტი თქვენეული შეხედულებით პოლიტიკური ქმედებების განხორციელების უფლებას, პარლამენტის თავმჯდომარემ უპასუხა: – „მმართველი პარტია არის პრეზიდენტის გუნდი და ყველა გეგმები, რომლებიც ჩამოყალიბდება, შეიქმნება საქართველოს პრეზიდენტთან ერთად. მინისტრთა კაბინეტში ცხადია ჩვენი წარმომადგენლებიც იქნებიან. მე ხაზი მინდა გავუსვა, რომ კიდევ ერთხელ მივესალმებოდი კოალიციურობის გარკვეულ ელემენტებს ამ განახლებულ მთავრობაში, მაგრამ რა ოდენობით და ვინ იქნება, ჯერ ნამდვილად არაფრის თქმა არ შემიძლია. ცხადია, აქ იქნება მხოლოდ იმ ძალებზე საუბარი, ვისთანაც ჩვენ არ გვაქვს მნიშვნელოვანი განსხვავებები პოლიტიკური თვალსაზრისით“, – დასძინა ზურაბ ჟვანიამ.

„ახალი თაობა“. 7 ივლისი, 1998 წ. №184 (951). გვ. 2-3

ებრაელი ერის განცდა ჩემთვისაც გასაგებია

პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია

მოხარული ვარ, რომ მაქვს საშუალება მივმართო ჩემს ებრაელ ძმებს, ისრაელის საზოგადოებას და კიდევ ერთხელ, ჩემი ქვეყნისა და ხალხის სახელით დავადასტურო უღრმესი სიყვარული და პატივისცემა მოძმე ებრაელი ხალხისადმი.

ებრაელი ერი, ებრაული ფენომენი ყოველთვის იყო განსაკუთრებული მაგალითი ქართველთათვის. იგი აღგვაფრთოვანებდა და გვინერგავდა საბოლოო გამარჯვების რწმენას, ვინაიდან დიდმა ებრაელმა ხალხმა ათასწლოვანი ბრძოლით და მუხლჩაუხრელი შრომით მიაღწია სამართლიანობის ზეიმს, რითაც ბრწყინვალე მაგალითი შექმნა ყველა ერისათვის, რომელიც საკუთარ უზენაეს იდეალთა განხორციელებისათვის იბრძვის.

ისრაელის სახელმწიფოს მე-60-ე წლისთავი არა მარტო ისრაელის შემოქმედი ხალხის, ებრაელი ერის ზეიმია, არამედ საკაცობრიო მნიშვნელობის დღესასწაულიცაა. არ არის შემთხვევითი რომ ამ თარიღს განსაკუთრებულ პატივს მიაგებს ყველა ცივილიზებული, დემოკრატიული ქვეყანა.

საქართველოში წელს ზეიმით აღინიშნება ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობის 26 საუკუნოვანი იუბილე. 2600 წლის წინ, ძნელბედობის ჟამს, დიდი ებრაელი ხალხის ეროვნული ტრაგედიის საწყის ხანაში, ქართველთა წინაპრები თანაგრძნობით შეხვდნენ ღვთის შვილებს. უწილადეს ყველაფერი, რაც შეეძლოთ, ქართულ კერასთან გამოიძებნა ადგილი ქართველი ებრაელებისათვის. რომელთა შრომამ და ნიჭმა ელვარება, ძალა და სილამაზე შესძინა საქართველოს.

26 საუკუნის განმავლობაში საქართველოში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ებრაელთა დევნისა. ქართველი ეაბრელები მშვიდად და უზრუნველად ცხოვრობდნენ ქართულ მიწაზე – ქართველ თანამოძმეებთან, იზიარებდნენ ჭირსა და ლხინს, მათთვის უცხო იყო რბევა და აწიოკება, ეროვნული გრძნობების, რელიგიის შებღალვა.

საქართველოსთვის ეს ფაქტი მეტად საამაყოა, ჩვენ არასდროს შეგვიბღალავს ქართულ-ებრაული ურთიერთობა ეჭვითა და შეურაცხყოფით. ამდენად თანამედროვე მსოფლიოში, ახალ ეპოქაში, უფლება გვაქვს ვისაუბროთ სრულიად ახლებურ ურთიერთობებზე ქართველებსა და ებრაელებს, საქართველოსა და ისრაელს შორის.

მრავალმხრივი მსგავსება ჩვენი ხალხების ბედს შორის განსაზღვრავს სახელწმიფოებრივი განვითარების ძირითადი ვექტორის მიმართულებას. საქართველოსაც ისტორიულად უხდებოდა არსებობა ურთულეს გეოპოლიტი-

კურ ვითარებაში, მსოფლიო გზასაყარზე, დიდ ერთა და სახელმწიფოთა გარემოცვაში. ისევე როგორც ებრაელობას, ქართველ ერსაც ჰქონდა ათასწლოვანი ოცნება დაეფუძნებინა დამოუკიდებელი სახელმწიფო დამდგარიყო „ერად სხვა ერთა შორის“.

მართალია, ჩვენი ხალხი არ მოუწყვეტიათ მშობელი მიწისაგან, მაგრამ სწრაფვა ეროვნული თავისუფლებისაკენ არანაკლებ სირთულეებთან და ისტორიულ გამოცდებთან იყო დაკავშირებული. ქართველმა ხალხმა, სისხლიან საუკუნეთა მიუხედავად, წმინდად შეინახა რწმენა ღვთიური სამართლიანობისა, განუწყვეტელ მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში ებრაელი ხალხი მარად ჩვენს გვერდით იყო – მისი შესანიშნავი წარმომადგენლების სახით, რომლებიც საკუთარი ზნეობრივი მაგალითით გვამხნევებდნენ და გამარჯვების რწმენას გვინერგავდნენ.

წელს საქართველო ზეიმობს ჩვენს ქვეყანაში ებრაელთა მემკვიდრეობის 26 საუკუნოვან იუბილეს და საქართველოს პირველი რესპუბლიკის 80 წლისთავს. ამ ორ ისტორიულ მოვლენას შორის მე ზნეობრივ კავშირს ვხედავ. მიმაჩნია, რომ საქართველოს შესწევდა და შესწევს სულიერი ძალა შექმნას ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო და განსაკუთრებული როლი შეასრულოს მთლიანად კავკასიის რეგიონში.

ებრაელთათვის განსაკუთრებით გასაგები და მახლობელი იქნება ქართველი ხალხის ძალისხმევა, რათა რუდუნებითა და უმძიმესი შრომით დასძლიოს ურთულესი პრობლემები, საქართველო ამჟამად გამოდის ხანგრძლივი კრიზისის პერიოდიდან. ომმა და ნგრევამ ვერ დაგვიკარგა მომავლის რწმენა და ჩვენი მეგობრების, მსოფლიოს პროგრესული ძალების, მათ შორის ისრაელის ხელისუფლებისა და ხალხის დახმარებით უკვე გადავლახეთ უმთავრესი სიძნელენი. საქართველო დღეს სწრაფად და დინამიკურად განვითარებადი ქვეყანაა, რეფორმათა პროცესი შეეხო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. საქართველოში ფუძნდება მყარი დემოკრატიული ინსტიტუტები. მიმდინარეობს ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ქართულმა რეფორმაციამ საშუალება მოგვცა აღმშენებლობისათვის გამოგვეყენებინა ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ენერგია. დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში საქართველო აყვავებული ქვეყანა იქნება, რომელიც ღირსეულ პარტნიორობას გაუწევს სხვა დემოკრატიულ, ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებს.

დღეს უკვე წარმატებით ვთანამშრომლობთ ისრაელთან, რომელიც პირველ ადგილზეა საქართველოში ინვესტიციათა რაოდენობით. ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას არაფერი უშლის ხელს, ვინაიდან ჩვენ სახელმწიფოებრივი მშენებლობის ერთი გზა გავიარეთ და გავდივართ.

ისრაელ-საქართველოს პოლიტიკურ და ეკონმიკურ ურთიერთქმედებას უდიდესი პერსპექტივა აქვს. მით უმეტეს, ამ გრანდიოზული პროექტების გათვალისწინებით, რომელთა განხორციელება კავკასიაში მიმდინარეობს. ევრაზიული დერეფანი, არა მარტო ევროპას დააკავშირებს აზიასთან, იგი რეგიო-

ნის ყველა ქვეყანას მისცემს საშუალებას ახალი ხიდები ააგოს მრავალმხრივი ეკონომიკური კოოპერაციისათვის.

საქართველომ მოიპოვა ნანატრი დამოუკიდებლობა და ყურადღებით ადევნებს თვალს მშვიდობის განმტკიცებას მოძმე ებრაელი ხალხის მიწაზე. მშვიდობა ისრაელში საკაცობრიო პრობლემაა. ამდენად ვერც ქართველი იქნება გულგრილი. მით უმეტეს, რომ ისრაელში ცხოვრობენ ქართველი ებრაელები. ჩვენ მათ კვლავაც თანამემამულეებად ვთვლით, თითოეული ცნობა ტერორისტთა ძალმომრეობის შესახებ გულს გვტკენს და გვაშფოთებს. ქართველმა ერმაც გამოსცადა გენოციდის სიმწარე, დევნისა და მშობლიური მიწიდან აყრის განცდა, ამდენად ებრაელი ერის განცდა, ჩვენთვისაც გასაგებია.

საქართველოში, რომლის ისტორია ეროვნული ღირსებისა და თავისუფლებისათვის განუწყვეტელი ბრძოლის ისტორიაა, ქვეყანაში, სადაც ადამიანები გამარჯვების სახელით ესალმებიან ერთმანეთს, – ყველაზე გულწრფელი და სათუთი ნატვრაა მშვიდობა. ტრადიციულ ქართულ სუფრაზე პირველად მშვიდობის სადღეგრძელო ისმება.

ჩვენს თანამემამულეთათვის, რომლებმაც ქართველ ხალხთან ერთად განვლეს ურთულესი გზა, განსაკუთრებით კარგად გასაგები იქნება ჩემი მთავარი სურვილი: მშვიდობა ისრაელსა და დიდ ებრაელ ხალხს.

დაე, მომავალი 26 საუკუნე ჩვენი და ჩვენი ძმობისა და მეგობრობის განმტკიცების ხანა იყოს. ჩვენს თანამემამულეთ კი ათასწლეულობით გაჰყოლოდეთ საქართველოს სითბო და სიყვარული.

გაზეთი საიუბილეო, ისრაელი, თბილისი
გაზ. „მენორა“. 7 ივლისი, 1998 წ. №7. გვ. 2

საიდუმლო სერობის მორიგი რაუნდი – პრეზიდენტს კარის მსახურად რომელი მინისტრი მოსწონს?

მოქალაქეთა კავშირი მინისტრების პორტფელზე უარს აცხადებს

ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიასთან

ბატონო ზურაბ, კონკრეტულად ვინ იქნებიან მინისტრობის ახალი კანდიდატები, რომლებსაც პრეზიდენტი შესთავაზებს პარლამენტს?

კონკრეტულად თუ ვინ იქნება ეს არის პრეზიდენტის პრეროგატივა. ცხადია, ჩვენ გარკვეულად წარმოდგენილი გვაქვს. პრეზიდენტის პრეროგატივაა გამოაცხადოს, თუ რა ცვლილებებს განახორციელებს მინისტრთა კაბინეტში.

ბატონო ზურაბ, როგორ წარიმართება პროცედურა სახელმწიფო მინისტრის და ახალი მინისტრთა კანდიდატების დამტკიცებისას?

პროცედურა წარიმართება, ჩატარდება კომიტეტებში მოსმენები. ცხადია, ფრაქციები შეხვდებიან, უმრავლესობა შეხვდება ახალ კანდიდატებს, როგორც თავიდანვე განაცხადა პრეზიდენტმა. ეს არ იქნება რაღაც რევოლუციური ცვლილებები, რომლებიც შეეხება სამინისტროების უმრავლესობას. მე ვვარაუდობ, რომ ოთხი-ხუთი ახალი კანდიდატურა იქნება წარმოდგენილი და ალბათ დანარჩენი მინისტრები გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას.

ბატონო ზურაბ, ცნობილი გახდა, რომ ფრიდონ ინჯიამ დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ და პრეზიდენტს გადასცა. თქვენთვის თუ არის ცნობილი ამის შესახებ?

დღეს მეც მითხრეს, რომ თითქოს მან დილით გადასცა პრეზიდენტს განცხადება. ჩემთვის, პიროვნულად, ძალიან მძიმეა, რაც ხდება იმიტომ რომ, ფრიდონ ინჯიასთან მე ბევრს ვთანამშრომლობდი და მისგან მართლაც ძალიან სერიოზული ნაბიჯები მახსოვს. მართლაც, პატრიოტული ნაბიჯები გადადგმული ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან რთულ მომენტში. მაგრამ ის, რაც წარმოადგინა ანტიკორიფციულმა კომისიამ, შემაშფოთებელია. და ახლა სასამართლოში სარჩელის შეტანა იმაზე, რომ ანტიკონსტიტუციურად შეიქმნა ანტიკორუფციული კომისია, ცოტა უხერხულია. არა მგონია, ეს იყოს ის გზა, რომელსაც უნდა ვინმე დაადგეს ამ შემთხვევაში.

მე ვფიქრობ, რომ ბატონი ინჯია გონივრულად მოიქცა, რომ შეიტანა განცხადება პრეზიდენტთან, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ცხადია, გადაწყვეტილებას პრეზიდენტი იღებს.

ბატონო ზურაბ, ოპოზიციური ფრაქციები არ აპირებენ მინისტრების დამტკიცების პროცესში მონაწილეობას. ეს ხომ არ გამოიწვევს მოქალაქეთა კავშირის მიერ მათ ერთპიროვნულად დამტკიცებას?

საერთოდ, ყველგან დედამიწის ზურგზე, უმრავლესობა ამტკიცებს მთავრობის წევრებს. ოპოზიცია ყოველთვის ან წინააღმდეგია, ან არ მონაწილეობს, სხვა პრეცედენტს და სხვა სისტემას მე არ ვიცნობ დემოკრატიულ სამყაროში. მინისტრების უმრავლესობას უნდა ნიშნავდეს, რომელიც ხალხმა აირჩია, როგორც უმრავლესობა და არა როგორც ოპოზიცია, გარწმუნებთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული მექანიზმების ამოქმედებისთვის.

ბატონო ზურაბ, ახალ მთავრობაში თუ იქნება წარმოდგენილი მოქალაქეთა კავშირიდან ვინმე?

ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძე დამფუძნებელი გახლავთ და მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს წევრიც. ამ რეგალიების გარდა იგი რეალურად ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა ჩვენი პარტიისათვის. თუ ვინმე გულისხმობთ „ავადსახსენებელი“ საპარლამენტო უმრავლესობის იმ ჯგუფს, რომელიც ყველას „უშლის ნერვებს“ და ხან ერთი, ხან მეორე ჩვენი ბრძენი ოპონენტი ამბობს – ბატონო პრეზიდენტო, ოღონდ ესენი მოიცილეთ და ქვეყანა დალაგდება, აი ამ ჯგუფიდან არავინ შევა მთავრობაში.

ბატონო ზურაბ, აჭარის ხელმძღვანელის მხრიდან გაისმა თქვენ მიმართ ახალი ბრალდება, რომ თქვენ შეკრებილხართ 12 თანამოაზრესთან ერთად აჭარის ხელმძღვანელის წინააღმდეგ, რა კომენტარს გააკეთებთ?

ეს მართლაც სეზონური მოვლენაა. როგორც ჩანს ჩემ მიერ მაინცდამაინც აგვისტოში განხორციელებულ შეთქმულებებსა და თავყრილობებზე. გარწმუნებთ, რომ არანაირ 12 ადამიანთან ერთად არ მიმსჯელია იმ საკითხებზე, რაზეც ასლან აბაშიძე ბრძანებს რისთვის იყო გამიზნული ეს ახალი და უცნაური ბრალდება, ჩემთვის ძნელი სათქმელია. ერთი შემიძლია ვთქვა, რომ თუ ბატონი ასლანი ასეთი სახის ინფორმაციას ენდობა და ამ სახის ინფორმაციას ეყრდნობა, როგორც 12 კაციანი შეკრება იყო, მაშინ მხოლოდ წუხილის გამოთქმა შემიძლია, სხვა არაფერი.

ბატონო ზურაბ, თქვენ გქონდათ შეხვედრა მშობლებთან, რომელთა ბავშვებიც იმყოფებიან თურქეთში და ამჟამად დაკავებულები არიან ცნობილ ინციდენტთან დაკავშირებით, ამ საკითხთან დაკავშირებით თუ გქონდათ საუბარი თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენელთან?

ერთი საათის წინ საუბარი მქონდა ბატონ ჰიქმეთ ჩეთინთან, თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარესთან, რომელთანაც ჩვენ დიდი მეგობრული ურთიერთობები გვაქვს. ჩვენ მთელ რიგ სხვა საკითხებზე გვქონდა სასაუბრო, რომელიც შეეხება ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებს და მე ძალიან დიდი სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ბატონმა ჩეთინმა საოცარი ყურადღებით, გულისყურით მოგვისმინა. მან დეტალურად იცოდა ამ დატრიალებული ტრაგედიის შესახებ და შეგვპირდა, რომ პირადად გააკონტროლებს, რომ სამართლიანობა დაცული იყოს, არ დავუშვათ ამ საკითხის ხელოვნური პოლიტიზირება.

მინდა გითხრათ, რომ თურქეთის ხელისუფლება ამ საკითხს ძალიან დიდი გაგებით ეკიდება და იმედი მაქვს, რომ ინციდენტი ამოიწურება. თუმცა, სა-

ქართველოსთვის მტრულად განწყობილი ძალები ცდილობენ აჟიოტაჟის შექმნას. ცხადია, ეს დაუშვებელია.

ბატონო ზურაბ, იმედი თუ გაქვთ, რომ პარლამენტი პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ ახალ მინისტრებს დაამტკიცებს?

ამაში დარწმუნებული ვარ.

ირაკლი გოგორიშვილი.
სააგენტო „თბილისი“ სპეციალურად „ახალი თაობისათვის“.

გაზ. „ახალი თაობა“. 6 აგვისტო, 1998 წ. №214 (981). გვ. 2

ზურაბ ჟვანიას განცხადება

ის, რაც ზუგდიდში 24 აგვისტოს მოხდა, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სრულიად საქართველოს წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი შემზარავი ტერორისტული აქტია, ეს არის ქმედება, რომელიც ადამიანის წინაშე განსაკუთრებული სისასტიკითა და ცინიზმით ჩადენილ დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნება. შემზარავია, რომ ამ ბარბაროსობას ბავშვის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო ათეულობით ადამიანის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე შეექმნა. დარწმუნებული ვარ, რომ ტერორისტული აქტი, ვისგანაც უნდა მოდიოდეს, უპირველეს ყოვლისა დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესის შეფერხებას, საქართველოს მოქალაქეების დემორალიზაციას და სახელმწიფოში ქაოსის პროვოცირებას ისახავდა მიზნად. მხარე, რომელმაც მოკლე ისტორიულ მონაკვეთში უმძიმესი ქარტეხილები გადაიტანა, კვლავაც მძიმე გამოცდის წინაშე დადგა. მე მჯერა, რომ ზუგდიდელები ჩვეული სიბრძნით გაიზიარებენ ყოველივეს და სამშობლოს კიდევ ერთხელ დაუმტკიცებენ ჭეშმარიტ მამულიშვილობას.

სამართალდამცავმა ორგანოებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა უმოკლეს ვადებში გაიხსნას დანაშაული. ეს არამარტო მათი პროფესიული ღირსების, არამედ სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის საქმეა.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 26 აგვისტო, 1998 წ. №218 (2918)

„აშშ-ს ადმინისტრაცია მზად არ არის აფხაზეთში ისევე იმოქმედოს, როგორც ბოსნიაში“ – აცხადებს ზურაბ ჟვანია

პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, აბრეშუმის გზა აშშ-ის ეროვნული უშიშროების ქვაკუთხედია

ესაუბრა ლალი შალვაშვილი

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, ზურაბ ჟვანიასთან.

„რეზონანსი“: რუსეთის ფინანსური კრიზისი რამდენად იმოქმედებს სომხეთის ორიენტაციაზე, რადგან ამაზე ბევრად არის დამოკიდებული აბრეშუმის გზის პერსპექტივა. სომხეთში ყოფნის დროს თუ გქონდათ ამის თაობაზე საუბარი თქვენს კოლეგასთან?

ზურაბ ჟვანია: ამ საკითხის ასეთ ჭრილში განხილვა არ შეიძლება. სომხეთი საკუთარი ინტერესების დასაცავად თავის პრაგმატულ პოლიტიკას ატარებს. სომხური პოლიტიკა ერთ სახელმწიფოზე არ არის ორიენტირებული. ეს ქვეყანა, ისევე, როგორც ჩვენ და აზერბაიჯანი, ცდილობს რეგიონალურ საერთაშორისო პროცესებში ინტეგრირებული იყოს. ამის ერთ-ერთი მაგალითია მათი მონაწილეობა ტრასეკას პროექტებში.

სომხური ლობის პოზიცია მნიშვნელოვანია. სენატორების, ბრაუმბეგის, ლუგარის ინიციატივით შექმნილი აბრეშუმის გზის კანონმდებლობა იმ დამატების გაუქმებას გულისხმობს, რომელიც ყარაბაღის ომის დროს, სომხური ლობის აქტიურობით, კონგრესმა მიიღო. იგი აშშ-ის ნავთობის აზერბაიჯანისთვის ფინანსურ დახმარებას უკრძალავს.

ამ დამატების გაუქმებაზე უკვე ძალიან ბევრს საუბრობენ ვაშინგტონში, რადგან ნავთობის ტრანსპორტირება უშუალოდ უკავშირდება აშშ-ის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს, რაც, მთლიანობაში, ამერიკის ეროვნული უშიშროების კონცეფციის უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედია.

რა თქმა უნდა, ილუზიაა, იმაზე ფიქრი, რომ სომხური ლობი საკუთარი ნებით დათმობს ამ პოზიციას. თუმცა, ვფიქრობ, საკმაოდ მაღალია იმის ალბათობა, რომ აზერბაიჯანისათვის დამაბრკოლებელი შესწორება გაუქმდეს.

„რ.“: შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამერიკის ინტერესებს კონგრესმენები წინ ვერ აღუდგებიან?

ზ.ჟ.: ბევრ კონგრესმენს აქვს კონკრეტული ინტერესი – ეს სომხურ ელექტორატს უკავშირდება. ამიტომ ძნელია ამასთან დაკავშირებით პროგნოზირება.

„რ.“: ცხადია, სომხეთში ვიზიტის დროს, ახალქალაქის ინციდენტზეც ისაუბრებდით...

ზ.ჟ. ცხადია, ჩემს სომეხ კოლეგასთან ამ საკითხზეც ვისაუბრე. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ახალქალაქში მომხდარი ინციდენტის გამო ჩავედი სომხეთში. ეს არასწორია, რადგან ვიზიტი არაოფიციალური იყო და დიდი ხნით ადრე დაიგეგმა.

გულდასაწყვეტია, რომ თბილისსა და ერევანში რეალობაზე ხშირად გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ. ბევრი რამ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელთა დაუდევრობით ხდება. ახალქალაქის ინციდენტი შესასწავლია, რადგან საქმე გვქონდა უხეშ, მაგრამ ამავე დროს, მარტივ პროვოკაციასთან.

მთელი პახუსისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ჯავახეთში არ არსებობს სეპარატიზმის საშიშროება. რა თქმა უნდა, იქ არიან ცალკეული ავანტიურისტები, რომლებიც საკუთარი გამორჩენის მიზნით ვითარებას ძაბავენ. მათი ვინაობა ცნობილია. დიდ პატივს ვცემ სომხური წარმოშობის მოქალაქეებს, მაგრამ ყველამ გააცნობიეროს, რომ საქართველო ერთიანი იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ სომხეთის ხელისუფლება ამ ავანტიურისტებს მხარს არასოდეს დაუჭერს.

„რ.“: ავანტიურისტებში „ჯავახკის“ იმ ხელმძღვანელებსაც გულისხმობთ, რომლებიც ავტონომიის შექმნას ითხოვენ?

ზ.ჟ.: „ჯავახკის“ იმ ხელმძღვანელებისაგან, ვისაც გავლენა და ავტორიტეტი აქვს ხალხში, ვერ გაიგონებთ ისეთ რამეს, რაც საშიშროების გრძნობას დატოვებს. თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ავტონომიაზე ლაპარაკობენ. მაგრამ ამ ადამიანებს თუ ფართოდ გავუღებთ ტელევიზიასა და პრესის კარებს, ცხადია, საზოგადოებას შეექმნება წარმოდგენა, რომ მათ მსგავსად ფიქრობს და აზროვნებს ჯავახეთის მთელი მოსახლეობა. ცხადია, ჯავახეთში, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ რეგიონებში, უმძიმესი სოციალური პირობებია, ამას ხშირად ემატება ხელოვნურად შექმნილი ბარიერები. მაგალითად, მართვის მოწმობის ასაღებად ახალქალაქიდან ახალციხეში რამდენიმე საათი უნდა „იჯანჯღარო“. მოსახლეობა მხოლოდ ანალოგიურ საკითხებს უყენებს ხელისუფლებას.

„რ.“: პრეზიდენტ ქოჩარიანის თანაშემწე, არამ სარქისიანი აცხადებს, რომ „საქართველოში მხოლოდ სომხური დიასპორის უშიშროება გვაღელვებს“; სომხური მოსახლეობა ახალქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზას უსაფრთხოების გარანტად მიიჩნევს.

ზ.ჟ.: ერევანშიც არის ცალკეული რადიკალი, რომელთა მხრიდან მსგავს გამონათქვამებს გაიგონებთ. ახალქალაქის ბაზასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები არსებობს, ვინაიდან იქ მომუშავე პერსონალის 95 პროცენტი ადგილობრივი მოსახლეობაა. ეს მათთვის მნიშვნელოვანი დამატებითი შემოსავალია, ამიტომაცაა, რომ საკუთარი ოჯახის კეთილდღეობას ამ ბაზის შენარჩუნებას უკავშირებენ. აუცილებელია ამ ადამიანებისათვის ადეკვატური მატერიალური პირობების შექმნა.

„რ.“: მატერიალური უზრუნველყოფის გარდა, ბაზას სხვა „დანიშნულებაც“ აქვს – მოსახლეობა რუსეთის უარყოფით ზეგავლენსაც განიცდის.

ზ.ჟ. რა თქმა უნდა.

„რ.“: პოლიტიკოსთა ნაწილი ახალქალაქის და ზუგდიდის მოვლენებს ერთ ჯაჭვად განიხილავს.

ზ.ჟ.: საქართველო საერთაშორისო სტრუქტურებში ინტეგრირებული დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ეს კარგად იცის ჩვენმა მოწინააღმდეგემ, რომელიც ვერ ეგუება იმას, რომ საქართველო დამოუკიდებლად მართავს საკუთარ თავს. ეს ხალხი ყველაფერს აკეთებს, რომ ბნელი წარსულისკენ დააბრუნოს ქვეყანა. პატიოსანი გზით კი ამას ვერ შეძლებს, ასეთ შემთხვევაში მათ რჩებათ ფიზიკური და მორალური ტერორი, საზოგადოების მოტყუება და ვითარების დაძაბვა. ისინი არ ერიდებიან ისეთ ბარბაროსულ აქტებს, როგორიც ზუგდიდის ტერაქტი იყო. მას უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე შეეწირა.

უნდა გვესმოდეს, რომ ასეთი ინციდენტები კიდევ გაგრძელდება. მას ან გავუძლებთ, ან დავუბრუნდებით იმ ქაოსს და არეულობას, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში მძვინვარებდა საქართველოში.

ცხადია, რუსეთში არსებული მდგომარეობა ბევრ პროცესზე ახდენს გავლენას. რუსეთის ფინანსურ კატასტროფას მძიმე კრიზისი მოჰყვა მთელ მსოფლიოში. დაეცა იაპონური იენა, ბრაზილიაში რთული მდგომარეობაა. ჩვენი მეზობლების ფინანსურმა აფეთქებამ საქართველოზე მინიმალურზე მინიმალური გავლენა იქონია. რაც იმაზე მეტყველებს, რომ იმდენად დამოუკიდებლები ვართ, ასეთი სიტუაცია ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს. სიძნელის მიუხედავად, მოვახერხეთ, დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის შექმნა. მას, რა თქმა უნდა, განვითარება სჭირდება, მაგრამ ჩანასახი სწორად არის ჩამოყალიბებული.

„რ.“: კრიზისი პირველად საფონდო ბირჟის და ფასიანი ქაღალდების ბაზრით ვრცელდება, ჩვენ არც ერთი გვაქვს და არც მეორე. ჩვენი ეკონომიკის ამ უარყოფითმა მხარემ ხომ არ გვიშველა?

ზ.ჟ. არა მგონია. მოლდოვაში, სადაც კრიზისი დაიწყო, უფრო კარგად იყო ჩამოყალიბებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ვიდრე საქართველოში. საერთოდ, ეს სერიოზული საკითხია და ჩვენი საქმიანობის დღის წესრიგში დგას საფონდო ფორმირება.

„რ.“: სხვათა შორის რუსეთში კრიზისს წინ უსწრებდა ხელფასების და პენსიების გაუცემლობა, ჩვენთანაც ანალოგიური რამ დაიწყო...

ზ.ჟ.: ჩვენ არ მივმართავთ იმ მეთოდებს, რომლებიც რუსეთმა გამოიყენა. მაგრამ პენსიების და ხელფასების დარიგება, მართლაც გადაუდებელი საქმეა.

„რ.“: ლარს ზურგს დოლარი უმაგრებს, არის ქართული ეკონომიკა მზად იმისათვის, რომ რუსეთის ანალოგიურად, სოროსის მსგავსი ბიზნესმენი ერთი ხელის მოსმით არ დააქცევს მას?

ზ.ჟ.: არა მგონია, ჩვენთან ვინმემ შექმნას ასეთი პრობლემა. ეროვნულ ბანკს შეუძლია სწორი საფინანსო საკრედიტო პოლიტიკის წარმართვა და ფინანსური რეგულირება.

„რ.“: ზუგდიდში მომხდარი ფაქტის შემდეგ განაცხადეთ, რომ სამართალდამცავები გინდ გვყოლია გინდ არა. ამის პარალელურად უკვე აქტიურად ლაპარაკობენ უშიშროების მინისტრის მოხსნის თაობაზე...

ზ.ჟ. სამართალდამცავი ორგანოები ყველაფერს აკეთებენ. ბუნებრივია, მკაცრი შეფასება მივეცით ჯემალ გახოკიძის საქმიანობას, რადგან სწორედ ის არის პასუხისმგებელი ზუგდიდში მომხდარ ბარბაროსულ ფაქტზე. პირადად ვთვლი, რომ რომ მათ უნდა დავეხმაროთ ქმედითუნარიანი სამსახურის შექმნაში. ვინაიდან ჩვენთან მოქმედი ზოგიერთი ქვეყნის რეზიდენტურას ხშირად უფრო დიდი ბიუჯეტი აქვს, ვიდრე ჩვენს სპეცსამსახურებს.

„რ.“: ზუგდიდის ტერაქტმა კიდევ ერთხელ აჩვენა რუსეთის სამშვიდობო ძალების უმოქმედობა, პარლამენტი ამ ძალების გაყვანის საკითხს ხომ არ დასვამს?

ზ.ჟ. პოლიტიკოსი ემოციებს არ უნდა აყვეს. კარგად უნდა შეაფასოთ, რას მოგვცემს სამშვიდობო ძალების გაყვანა – უფრო დაძაბავს თუ განმუხტავს მდგომარეობას. ჩვენი პარტნიორი – ამერიკის შეერთებული შტატები, გაეროს წარმომადგენლები და სხვები, გვირჩევენ, რომ ყველა სირთულის მიუხედავად, სამშვიდობო ძალები დარჩნენ კონფლიქტის ზონაში.

„რ.“: ახლახან გაეროში აშშ-ს წარმომადგენელს შეხვდით, რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩანაცვლების ან ბოსნიური მოდელის განხორციელების პერსპექტივებზე ისაუბრეთ?

ზ.ჟ.: პირდაპირ უნდა ითქვას, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაცია არ არის მზად, ისევე იმოქმედოს აფხაზეთში, როგორც ამას ბოსნიაში აკეთებდა. დასავლეთის სახელმწიფოები თვლიან, რომ კონფლიქტი ქართულ და სეპარატისტულ მხარეს შორის დიალოგით უნდა მოგვარდეს. ეს ძალიან მძიმე რჩევაა. მით უმეტეს, რომ არცერთ ქართველ მოღვაწეს არ ეპატიება ორსუბიექტიან ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ან მსგავს გარიგებაზე წასვლა.

გაზ. „რეზონანსი“. 31 აგვისტო, 1998 წ. №237 (1285). გვ. 1-2

ჟვანია არმიაში მიმდინარე პროცესებს ოპტიმიზმით უყურებს

ოპტიმისტურად ვუყურებ იმ პროცესებს, რომლებიც თევზაძის ხელმძღვანელობით ჩვენს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარეობს, – განაცხადა პარლმენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ გეას კორესპონდენტთან საუბრისას. ჟვანია იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები თანადათან სერიოზული ფაქტორი გახდება არა შიდა პოლიტიკური ბატალიების გამართვის დროს, არამედ ყველას ექნება გაცნობიერებული, რომ საქართველოს გააჩნია რეალური არმია, რომელსაც შეუძლია პასუხი გასცეს ნებისმიერ გამოწვევას.

დეტალურად ვადევნებ თვალყურს ჯავახეთში მიმდინარე მოვლენებს, მოქმედ პირებს. ჯავახეთში სეპარატისტული საშიშროება არ არსებობს. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ გეას კორესპონდენტთან საუბრისას, თუმცა, მისი თქმით, იქ არიან ცალკეული პირები, ელემენტარული ავანტიურისტები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი გამორჩენა ნახონ ვითარების დაძაბვის შედეგად. ზურაბ ჟვანიას თქმით, ამ პირების ვინაობა კარგად არის ცნობილი.

ცხადია, ჯავახეთში არის სირთულეები, რომლებიც ისევე, როგორც ქვეყნის სხვა რეგიონებში, ძირითადად უმძიმესი სოციალური პრობლემებიდან მომდინარეობს. მათ ხელოვნურად შექმნილი ბიუროკრატიული ბარიერები ემატება, – აცხადებს ზურაბ ჟვანია. მისი თქმით, სომხეთის ხელისუფლება კარგად აცნობიერებს ჯავახეთის პრობლემის დელიკატურობას და არანაირ ავანტიურისტულ მოძრაობებს ერევნიდან მხარდაჭერა არ ექნება.

როდესაც ხელისუფლება სამშვიდობო ძალების გაყვანის გადაწყვეტილებას მიიღებს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ეს ვითარებას განმუხტავს და არა დაძაბავს, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ გეას კორესპონდენტთან საუბრისას. მისი თქმით, საქართველოს პარტნიორი ქვეყნები დაჟინებით იძლევიან რეკომენდაციას სამშვიდობო კონტიგენტის დარჩენაზე კონფლიქტის ზონაში, მიუხედავად ყველა სირთულისა, რომლის შესახებაც ისინი შესანიშნავად არიან ინფორმირებულნი.

ზურაბ ჟვანიას თქმით, აშშ-ს ადმინისტრაცია მზად არ არის ისევე ენერგიულად იმოქმედოს აფხაზეთში, როგორც მოქმედებდა ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტის დროს. მისი თქმით, სამშვიდობო პროცესში მონაწილე ყველა მხარე დარწმუნებულია, იმაში, რომ გამოსავალი დიალოგშია ქართულ და სეპარატისტულ ძალებს შორის. „ეს რჩევა თითოეული ქართველისთვის უმძიმეს განცდებს უკავშირდება, ამ შემთხვევაში ვახდენ მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას“. – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

გეა

გაზ. „ახალი თაობა“. 6 სექტემბერი, 1998 წ. №245 (1012). გვ. 4

ზურაბ ჟვანია „მოქალაქეების“ გამარჯვებაში დარწმუნებულია

კორუმპირებულები მმართველ პარტიაშიც არიან

პოლიტიკურ პარტიათათვის 15 ნოემბრის ადგილობრივი არჩევნები ამოსავალ წერტილად იქცა. მმართველი პარტია ტრიუმფალური გამარჯვებისათვის ემზადება. წლის ბოლოსათვის შემონახული მოვლენისათვის პარლამენტის თავმჯდომარის შეწუხება ცოტა უხერხულიც იყო, მაგრამ ზურაბ ჟვანია „მოქალაქეების“ ერთ-ერთი ლოკომოტივია და სხვებისაგან განსხვავებით, მის სიტყვას, ალბათ, უფრო მეტი ფასი აქვს.

ბატონო ზურაბ, როგორ აპირებს „მოქალაქეთა კავშირი“ ადგილობრივი არჩევნების მოგებას?

ადგილობრივი არჩევნებისათვის ძალიან სერიოზულად ვართ განწყობილნი და ისევე, როგორც ყველა, მეტდნაკლებად სერიოზული პარტია, გულმოდგინედ ვემზადებით, მე ვგულისხმობ ჩვენი ორგანიზაციების სრულყოფას და, რაც მთავარია, სიების შედგენას.

15 ნოემბერს, პრაქტიკულად, უნდა შეიქმნას თვითმმართველობის პირველი ორგანოები და იგი უსათუოდ უნდა დაკომპლექტდეს სუფთა და მომზადებული ადამიანებით, ვინც შეძლებს იტვირთოს ლომის წილი იმ პრობლემებისა, რომელიც დღეს მოსახლეობას აწუხებს. ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოთა ფუნქციები უნდა გაიზარდოს დეცენტრალიზაციის პროცესების, ცენტრალური ხელისუფლების მრავალი ფუნქციის დელეგირების და გადანაწილების ხარჯზე. უნდა ვიცოდეთ, რომ საკრებულოებს მართლაც ძალიან დიდი მოვალეობანი დაეკისრება, ადგილობრივი არჩევნები თითოეული პოლიტიკური ორგანიზაციისათვის სრულიად ახალი ტიპის გამოწვევაა.

რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ანუ სახეზეა სოციალური გაჭირვება და, აღარ დავაკონკრეტებ, უამრავი მოუგვარებელი მსხვილი თუ წვრილი პრობლემა, გაძლევთ იმის შანსს, რომ მოსახლეობამ კიდევ ერთხელ გამოგიცხადოთ ნდობა?

ქვეყანაში მართლაც საკმაოდ რთული ვითარებაა – შემაშფოთებელია რეალური სოციალური კრიზისი, რომლის ნიშნები თვალნათელია, ვგულისხმობ, პირველ რიგში, ხელფასებისა და პენსიების გაუცემლობას. ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ, რომ უახლოეს მომავალში მოხერხდეს ამ პრობლემების მოგვარება და სახელმწიფომ მოსახლეობის მიმართ დავალიანება დაფაროს.

ახლა რომ გაიცეს თანხები და, სავარაუდოდ, ალბათ, მალე გაიცემა, ამ ნაბიჯს ოპოზიცია და მოსახლეობაც მხოლოდ წინასაარჩევნო ჟესტად მიიჩნევს.

ჩვენ რაც არ უნდა გავაკეთოთ, ოპოზიცია ამას მართლაც ისე მონათლავს, თითქოს ყველაფერი მარტოოდენ არჩევნებისთვის გაკეთდა. როგორც ჩანს, ამ სამი წლის განმავლობაში მხოლოდ არჩევნებისთვის მოვახერხეთ შეიარაღებული ბანდების თარეშის აღკვეთა, მინის რეფორმის განხორციელება, ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. როგორც არ უნდა გვაკრიტიკონ დღეს, ჩვენი ქალაქების ქუჩებს ეტყობა მათი შედეგი, აუარებელი საწარმო, ფაბრიკა, რომელიც გაყინული იყო, დღეს მუშაობს და სხვათა შორის, საერთაშორისო სტანდარტებით. იმასაც იტყვიან, რომ მხოლოდ არჩევნებისთვის მიმდინარეობს თბილისის ბუნებრივი გაზით მომარაგების სისტემის აღდგენა. იმედი მაქვს, ელექტროენერგიის პრობლემაც მოგვარდება და სხვა მრავალი. თუ ვნათლავთ, კი ბატონო, მოვნათლოთ, მაგრამ ფაქტია, რომ სმკ-მა მართლაც მოახერხა, რომ სრულიად კატასტროფული მდგომარეობიდან გამოვსულიყავით. ვიცი, რომ ჩვენთან მიღებულია – ასე უნდა ილაპარაკო, მხოლოდ ცუდი და რაც შეიძლება მუქი ფერებით დახატო სურათი, მით უმეტეს, ეს საკმაოდ ადვილია. ვიცი, რომ ჩემი ნათქვამი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს გააღიზიანებს, მაგრამ მინდა ვთხოვო ყველას, რომელთა მდგომარეობა გასული ორი-სამი წლის განმავლობაში ნაწილობრივ მაინც გამოსწორდა, ჩაიხედონ გულში...

ბატონო ზურაბ, გაკეთებით რომ გაკეთდა, გასაკეთებელიც უამრავი დარჩა, მაგრამ, რაც გაკეთდა, საზოგადოებისათვის იმავე თქვენი ოპონენტების აზრით, მოხვდა ერთი კლანის ხელში.

ვინ არის ეს კლანი, ძალიან მაინტერესებს. გარწმუნებთ, ჩემი პირადი მდგომარეობა არანაირად არ შეცვლილა, გასული არჩევნების შემდეგ კი არა, ბოლო ათი წლის განმავლობაში, რაც პოლიტიკაში ვარ. ზუსტად იგივე შემიძლია ვთქვა ყველა ჩემ თანამებრძოლზე, იქნება ის გია ბარამიძე, მიშა მაჭავარიანი, მიშა სააკაშვილი, ელენე თევდორაძე, ელდარ შენგელაია თუ სხვა ნებისმიერი, ვინც გნებავთ.

კლანებზე ვინც ლაპარაკობს, კარგად დააზუსტოს, ვისზე ლაპარაკობს ან თავისთან მოიკითხოს ეს კლანები. დღეს საქართველოში ისეთი ვითარებაა, რომ ყველანაირი სახის ბიზნესში ოპოზიციონერები არანაკლებ არიან ჩართულნი, ვიდრე მმართველი პარტიის მხარდამჭერები თუ წარმომადგენლები. კიდევ ერთხელ სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენი გუნდი არანაირ ბიზნესში შემჩნეული არ მყავს და ერთი რამე შემიძლია ვთქვა დაბეჯითებით, რომ მრავალი ჩვენი გაკაპასებული ოპონენტისაგან განსხვავებით, სახელისუფლებო სტრუქტურებში ყოფნა პირადი კეთილდღეობისათვის არ გამოგვიყენებია.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ კორუმპირებული ჩინოვნიკი ოპოზიციონერთან უფრო მონახავს საერთო ენას, ვიდრე „მოქალაქეებთან“?

არ მინდა იმის თქმა, რომ „მოქალაქეთა კავშირში“ არ არიან კორუმპირებული პირები, რა თქმა უნდა, ჩვენთანაც არიან, იმიტომ, რომ „მოქალაქეთა კავშირი“ ამ საზოგადოების ნაწილია და საზოგადოება მთლიანობაში საკმაოდ კორუმპირებულია. მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან ხშირად, როდესაც

სწორედ ჩვენი ინიციატივით გამოიძიებოდა ამა თუ იმ მაღალჩინოსანი პირის კორუმპირებულობის საკითხი, მაღალჩინოსნებს სწორედ ოპოზიციის ესა თუ ის დაჯგუფება უჭერდა მხარს. ზოგჯერ ამას პირდაპირ აკეთებდნენ, ზოგჯერაც ათასნაირი დემაგოგიითა და რიტორიკით ნიღბავდნენ – მაინცდამაინც ამას რატომ დაესხით თავს, სხვა უარესიაო და ა.შ.

კორუფციასთან ბრძოლა გულისხმობს ორ რამეს – ერთი არის სისტემის და იმ პირობების შეცვლა, როცა კორუფციისთვის ნიადაგი არ იქნება, როდესაც მოხელე შეძლებს იარსებოს საკუთარი შრომით, და მეორე – კონკრეტულ შემთხვევაზე ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გულახდილი საუბარი. თუ ეს ორი კომპონენტი არ იქნება, სჯობს კორუფციასთან ბრძოლით თავი არ შეიწუხოთ.

თქვენი ოპონენტები ხშირად აღნიშნავენ – „მოქალაქეებმა“ ადგილებზე კორუმპირებულთა ვინაობა კარგად იციან, მაგრამ მათი არჩევნებისათვის ინახავენ – დამეხმარები – არ დაგიჭერ, არადა...

ყველაზე ნაკლებად მინდა სხვადასხვა აბსურდულ თეორიას გავუკეთო კომენტარი. დღეს რჩეულიშვილის მორიგი ვერსია წავიკითხე, რომ სმკ-ი ეცდება არჩევნების გაყალბებას. არ ვიცი, როდემდე უნდა ვითმინოთ რჩეულიშვილის გენიალური ფანტაზიის ახალ-ახალი ნაყოფის გამოვლენა. ჯერ იყო და, ჩვენ ვიღებდით 3-4 მილიონს მინისტრებად დანიშვნაში. თუ ბატონ ვახტანგს სინდისი აქვს, უნდა დააზუსტოს, ვინ გადაგვიხადა ეს თანხა. როგორ არის იცით? ზოგი პოლიტიკოსი არ უფრთხილდება ავტორიტეტს და თავისი ნათქვამის დადასტურებას ვერ ახერხებს. ერთხელ ერთს იტყვის, მეორედ – მეორეს: ეს რჩება საზოგადოების ცნობიერებაში, თუმცა მეორე დღეს ყველასათვის ცხადი ხდება, რომ ეს იყო სიყალბე. მე ვთხოვ ყველა კრიტიკოსს, დაასახელოს კონკრეტული გვარები.

ბატონო ზურაბ, შეუძლებელია რომელიმე პარტიაში სერიოზულ კონკურენტს არ ხედავდეთ. ადგილობრივ არჩევნებზე ძირითად წინააღმდეგობას ვისგან ელოდებით?

ერთი რამ ცხადია თითქმის ყველა ოპოზიციურ დაჯგუფებას გაცნობიერებული აქვს საკუთარი სისუსტე, ამიტომ არიან გაერთიანებულნი, თუმცა მათი პროგრამები და პლატფორმები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ასევე აქვთ მწვავე პიროვნული ურთიერთობები, მაგრამ მაინც გაერთიანდნენ ლოზუნგით – „ყველანი მოქალაქეთა კავშირის წინააღმდეგ“.

თავისთავად ეს ფაქტი ჩვენი ამომრჩევლისთვის დამაფიქრებელი უნდა იყოს, – რატომ ცდილობენ ოპოზიციური დაჯგუფებები, რომ ქვეყანაში არ არსებობდეს ერთიანი და ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია, ის ორგანიზაცია, რომელიც შეძლებს არჩევნების გზით მოიპოვოს მართვის სადავეები, ყველგან თუ არა, უმეტეს რეგიონებში მაინც პასუხი მარტივია – თუ იარსებებენ ძლიერი ორგანიზაციები, მაშინ პატარ-პატარა ორგანიზაციების როლი მინიმალური იქნება. ხედავთ, რომ ათეულობით პარტიას სხვა საქმე არა აქვს, გარდა იმისა, რომ გაავრცელოს ჭორები და ლანძღვის კამპანია გააჩაღოს „მოქალაქეე-

ბის“ წინააღმდეგ. სქემა აქაც ძალიან მარტივია – გამოდის რომელიმე პარტიის ლიდერი ან „თვალსაჩინო“ პოლიტიკოსი და მოთქვამს პრობლემებზე და ა.შ.

სამი წელი ისე გავიდა რომ, მათ უმრავლესობა პარლამენტის წინაშე ერთი კონკრეტული წინადადება არ დაუსვამს. იფარგლებიან შემდეგით, – აი, ჩვენ კი გვინდა საბაზრო ეკონომიკა, მაგრამ ეს სოციალურად ორიენტირებული უნდა იყოს. და რას ნიშნავს, „ასოციალურად ორიენტირებული“, ვერ განმარტავენ.

ნურავის ეგონება, რომ ყველა ოპოზიციურ დაჯგუფებას ერთი საზომით ვზომავ. ძალიან ბევრია ისეთი, ვინც ათენებდა და აღამებდა კანონებსა და პრობლემებზე მუშაობაში და ტოლს არავის უდებდა. მათ მართლაც დიდი როლი ითამაშეს, რომ პარლამენტის საქმიანობა მართლაც ნაყოფიერი ყოფილიყო ეს, ძირითადად მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლები გახლდნენ...

ბატონო ზურაბ, მთავარი მეტოქე არ დაგისახელებიათ...

რაც შეეხება მეტოქეებს, ვფიქრობ საკმაოდ დიდ კონკურენციას გაგვიწევს ედპ, ალბათ, სახალხო პარტია, ცხადია სოციალისტებიც ბევრ რაიონში იბრძოლებენ. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ 5%-იანი ბარიერის გადალახვა ბევრ პარტიას გაუჭირდება.

პირველ სექტემბერს, საშემოდგომო სესიის პირველ დღეს, თქვენ განაცხადეთ – ყველაფერს ვიღონებთ, რათა 15 ნოემბერს ლაგოდეხი არ განმეორდესო.

ჩვენი მხრიდან მივიღებთ ყველა ზომას, რომ არჩევნების სამართლიანობაში ეჭვი არავის შეეპაროს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ; ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს. სწორედ ამიტომ გავუგზავნე მოწვევა ყველა საპარლამენტშორისო ასამბლეის ხელმძღვანელს, ეუთოს, ევროსაბჭოს, რათა მათ დამკვირვებლები მოავლინონ.

მაგრამ შემიძლია წინასწარ გითხრათ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი ოპოზიციური დაჯგუფებები წააგებენ, რაც სავარაუდოა, რამდენი დამკვირვებელიც არ უნდა ესწრებოდეს არჩევნებს, მაინც ატყდება წივილ-კივილი – რაღაც სწორად არ გაკეთდაო და ა. შ.

ბატონო ზურაბ, სმკ-ის გამარჯვებაში ღრმად ბრძანდებით დარწმუნებული, მაგრამ მაინც თუ ისე მოხდა,რომ წააგეთ, ნიშნავს თუ არა ეს, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები „მოქალაქეებს“ წაგებული აქვთ? ამ შემთხვევაში, ამგვარ პროგნოზს უკვე აკეთებენ თქვენი პარტიელები...

საიმისოდ არ ვარ განწყობილი, რამენაირ წაგებაზე ვილაპარაკო.

მმართველ პარტიას აქვს იმდენი ფინანსები, რომ 15 ნოემბრის არჩევნები მოიგოს?

შეიძლება ფინანსურად იმდენად წელგამართულნი არ ვიყოთ, როგორც ზოგიერთი ჩვენი მოწინააღმდეგე, რომელიც დღეს, პრაქტიკულად, ელექტორატის მოსყიდვით არის დაკავებული, მაგრამ იმედი გვაქვს, სერიოზული მეწარმეები, რომლებმაც კარგად იციან, რას ნიშნავს ქაოსისკენ მიბრუნება, ფინანსურად დაუდგებიან მხარში „მოქალაქეთა კავშირს“.

მხოლოდ იმიტომ, რომ გადარჩნენ?

იმიტომ, რომ გადარჩნენ, იმიტომ, რომ გადაარჩინონ საქართველო.

ხმამაღალი განცხადება ხომ არ არის, რომ „მოქალაქეები“ გადაარჩენენ საქართველოს?

უკაცრავად, მაგრამ „მოქალაქეთა კავშირმა“ უკვე გადაარჩინა საქართველო ტოტალურ ქაოსს. მიკვირს ხოლმე, რა მოკლეა ჩვენი მეხსიერება-მეთქი. მე არ ვსაუბრობ ათი წლის წინანდელ ამბებზე, ეს იყო სამი-ოთხი წლის წინ, ყველაფერი ჩვენს ცხოვრებაში ხდებოდა.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ეგებ, ხმამაღალ ნათქვამად მოგეჩვენოთ, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ ბევრი ისეთი გადაწყვეტილება მივიღეთ, რომლებმაც საქართველო საბედისწერო შეცდომისგან იხსნა.

რა შანსი გვაქვს იმისა, რომ უკან დავბრუნდეთ?

სამწუხაროდ ეს ძალზედ რეალურია: და მე გავიმეორებ პრეზიდენტ შევარდნაძის არაერთგზის ნათქვამს, – „მოქალაქეთა კავშირი“ არის პოლიტიკური სტაბილურობის ფაქტორი და განმსაზღვრელი. ანუ „მოქალაქეთა კავშირის“ ალტერნატივა არის ისევ ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა 1995 წლამდე.

კი მაგრამ, ბატონო ზურაბ, გადარჩენის მცდელობაში პარტია და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთიანია?

პრობლემები არის აღმასრულებლებშიც, კანონმდებლებშიც, სასამართლო ხელისუფლებაშიც, ძალიან წინააღმდეგი ვარ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარლამენტის დაპირისპირების მცდელობისა, რომ პარლამენტი ყოველთვის კარგია, მთავრობა – ცუდი. პარლამენტი, ბუნებრივია, უნდა ეპაექრებოდეს აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაგრამ ეს არ შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ყველა დეპუტატი, თავისთავად, სჯობს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელს.

უახლოეს მომავალში მოქალაქეები ხომ არ აპირებენ, კიდევ ერთი იერიში მიიტანონ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე?

უახლოეს მომავალში „მოქალაქეთა კავშირის“ საზრუნავი იქნება უმწვავესი სოციალური პრობლემების მოგვარება და ამასთან, ისევე როგორც სხვა დანარჩენი პარტია, ჩვენც მოვემზადებით მოახლოებული ადგილობრივი არჩევნებისათვის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ სხვა პარტიები ბოლო სამი წლის განმავლობაში, ამ არჩევნების გარდა თითქმის არაფერზე ზრუნავდნენ, ჩვენ ამას დარჩენილ თვეებს მოვანდომებთ.

გეყოფათ ეს დრო?

ვფიქრობ, გვეყოფა.

მათე კირვალიძე.

გაზ. „კვირის პალიტრა“. 7-13 სექტემბერი, 1998 წ. №36 (177). გვ. 3

პარლამენტის თავმჯდომარე: ამოსავალი წერტილი – ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება

დღეს, საქართველო, ისევე როგორც მთელი პროგრესული კაცობრიობა, აღნიშნავს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს. დღევანდელ დღეს, უწინარეს ყოვლისა, მე მინდა კიდევ ერთხელ ქედი მოვიხარო იმ ხალხის წინაშე, რომელთაც მთელი თავიანთი ნიჭი, უნარი, ხშირ შემთხვევაში სიცოცხლეც კი შეალიეს საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას, ვისთვისაც პიროვნების თავისუფლების იდეა ხშირად საკუთარ თავისუფლებაზე უფრო ძვირფასი იყო.

მეამაყება, რომ ჩვენი პარლამენტი წარმოადგენს იმ ინსტიტუტს, რომელმაც თავისი მოღვაწეობის ამოსავალ წერტილად სწორედ ადამიანის უფლებების დაცვა დაისახა. სამი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა მიიღო პაკეტი პრინციპულად ახალი, ევროპულთან ჰარმონიზირებული კანონმდებლობისა. საქართველო შეუერთდა ადამიანის უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანეს ევროპულ კონვენციას. დაწყებული სასამართლო სისტემის რეფორმა გახდება გარანტი იმისა, რომ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები სახელმწიფო უფლებების ტოლფასად იქნება დაცული.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა გააუქმა სიკვდილით დასჯა. რითაც გამოხატა სახელმწიფოს დამოკიდებულება ნებისმიერი ადამიანის, როგორც პიროვნების მიმართ. ის ფაქტი, რომ ქვეყანაში არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო, ომბუდსმენის ინსტიტუტი, თავისუფალი მასმედია, რომ არასამათავრობო ორგანიზაციების უფლებები სახელმწიფოს მიერ არის დაცული, თავისთავად მეტყველებს შეუქცევადი დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობაზე ჩვენს ქვეყანაში. ეროვნული უმცირესობები სრულფასოვან მონაწილეობას ღებულობენ ქვეყნის მართვაში, სახელმწიფო ქმედით დახმარებას უწევს მათ კულტურული და რელიგიური თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. უამრავი პრობლემა, მათ შორის ეკონომიკური სიდუხჭირე აფერხებს პატიმართა, ჯარისკაცების უფლებათა დაცვისკენ მიმართული კონკრეტული პროგრამების განხორციელებას. არსებობს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების შელახვის შემთხვევები, აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში. იქ, სადაც ჯერ კიდევ არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, უხეშად ილახება არამარტო ქართველი, არამედ საქართველოს მოქალაქე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა უფლებები.

მჯერა, რომ ერთიანი ძალისხმევით შესაძლებელი გახდება იმ პრობლემების დაძლევა და საქართველო სრულფასოვანი წევრი გახდება ერთიანი ევროპული ოჯახისა, რომლისკენაც პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. იანვარში დაგეგმილია საქართველოს გაწევრიანება ევროსაბჭოში. ეს ფაქტი ერთის მხრივ საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების აღიარებას წარმოადგენს. ხოლო მეორეს მხრივ, ეს არის ჩვენი მხრიდან დეკლარირება იმისა, რომ საქართველო მზადაა შეასრულოს ევროსაბჭოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

თბილისი
1998 წლის 10 დეკემბერი.
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
12 დეკემბერი, 1998 წ. №322 (3022). გვ. 1-3

1999

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სიტყვა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე

1999 წლის 27 იანვარს, საქართველოს ევროსაბჭოში
მიღებასთან დაკავშირებით

საუკუნეების განმავლობაში ჩვენი სამშობლო იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, განუმეორებელი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. საქართველოს ხალხმა წარმოუდგენელი სიძნელეები და განსაცდელი გამოიარა და, ალბათ, თქვენ გესმით ჩემი და საქართველოს დელეგაციის თითოეული წევრის მღელვარება დღევანდელ ისტორიულ დღეს, როდესაც თქვენ საქართველოს გზა დაულოცეთ ევროპულ ოჯახში დასაბრუნებლად. მე ბედნიერი და ამაყი ვარ იმით, რომ სწორედ ჩვენს თაობას ხვდა წილად პატივი აქ, ევროპის სასახლის ტრიბუნიდან წარმოეთქვა ქართულად ეს რამდენიმე სიტყვა: მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი.

პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, ახალი ევროპული არქიტიტექტურის მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ დიდი ევროპის პერესპექტივებზე. ედუარდ შევარდნაძის დამსახურებამ და თავდადებამ, საქართველო ამ ახალი არქიტექტურის ნაწილად აქცია. ედუარდ შევარდნაძე არის ის ადამიანი, რომელმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანა ევროპის ახალი არქიტექტურის შექმნაში, რომელიც დღეს ამ დარბაზში მსხდომთ საშუალებას აძლევს იფიქრონ და იღვაწონ იმ დიდი ევროპის შექმნისათვის, სადაც აღარ იარსებებს გაყოფისა და დაპირისპირების ხაზები, ამიტომ თქვენთვის ცხადია მისი პირდაპირი სწრაფვა, უფრო მეტიც, თავგანწირვა, რომ საკუთარი ქვეყანა – საქართველო ექცია ერთიანი ევროპული შენობის განუყოფელ ნაწილად, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ პრეზიდენტის სწრაფვა ევროპისაკენ, ეს არის თითოეული ქართველის მისწრაფება, ვინაიდან სამშობლოს მომავალს ჩვენ ვუკავშირებთ დაბრუნებას ჩვენს ერთადერთ ნავსაყუდელში – ევროპის თავისუფალ ერთა ერთიან ოჯახში“.

ქართული დიპლომატიის ისტორია: (ქრესტომათია) / თსუ, ქართ. სახ. და სახალხო დიპლ. ისტორიის ს.დკ. ცენტრი; [შენიშვნები და კომენტარები დაურთეს ბონდო კუპატაძემ, გოჩა საითიძემ, ჯაბა სამუშიამ ; რედ.: როინ მეტრეველი]. – თბ. : სახ. უნდტის გამდბა, 2004. – 656გვ. ; 20სმ.. – ISBN 99940-20-46-3. გვ. 594-595.

ევროპულ თანამეგობრობაში საქართველოს მიღება ფუძემდებლური პრიორიტეტია, რომელიც ქართველი ხალხის სურვილს, ცნობიერებას და მისწრაფებას ასახავს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სიტყვა ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეის 1999 წლის 27 იანვრის სხდომაზე ქ. სტრასბურგში

ბატონო პრეზიდენტო, პატივცემულო კოლეგებო,

ამ მომენტში უაღრესად აღელვებული და ემოციებით აღსავსე ვარ. პატივი მაქვს მოგმართოთ ჩვენი ქვეყნისათვის ასეთ ისტორიულ დღეს. ყოველგვარი გაზვიადების გარეშე მინდა ვთქვა, რომ ყოველი ქართველი, საქართველოს ყოველი მოქალაქე, ამ დარბაზიდან, ევროპის სასახლიდან ამბებს მოელის.

მინდა, გულწრფელად მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებას ეხმარებოდა, მათი ღვაწლი ფასდაუდებელია. ჩვენ ძალზე მადლობელი ვართ საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი პრეზიდენტის, ქალბატონი ლენი ფიშერის, რომელმაც საქართველოს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეასთან თანამაშრომლობის დაწყებისა და განვითარებისათვის უდიდესი ძალისხმევა გაიღო. მინდა გულითადად მივესალმო ლორდ რასელ ჯონსტონის ამ ასამბლეის პრეზიდენტად არჩევას.

– ბატონო პრეზიდენტო, მადლობელი ვართ თქვენი თანადგომისთვის, მადლობელი ვართ მომხსენებლების, ბატონების – ტერი დევისისა და ანდრას კელემენის, ისინი, საქართველოში პირველი ჩამოსვლის დღიდანვე, პრინციპული და მკაცრი შემფასებლები იყვნენ, გაიღეს უდიდესი ენერგია და ძალისხმევა, რათა დეტალურად შეესწავლათ საქართველოში მიმდინარე პროცესი და ვითარების ყველა წვრილმანი დეტალი. ახლა, უკვე გვყავს ჩვენი ქვეყნის ნამდვილი მეგობრები, რომელთაც ზუსტი წარმოდგენა აქვთ იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოში და მის გარშემო.

მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა თქვენგანს, ვინც საქართველოს გაწევრიანებას ხმა მისცა. მადლობა გადავუხადო ყველა პოლიტიკური ჯგუფისა და სახელმწიფო დელეგაციის წარმომადგენელს. ყველა თქვენგანი გულწრფელად ეცადა ჩვენი პრობლემები და ჩვენი სინამდვილე შეესწავლა და გაეგო, ჩვენი იმედები გაეზიარებინა, მინდა მადლობა მოვახსენო მათაც, ვინც ახალი ათასწლეულის ზღურბლზე, მსოფლიოს ამ ნაწილს რუსეთის მე-19 საუკუნის იმპერიული პოლიტიკური გეოგრაფიის კანონებით იხილავს. მადლობელი ვარ, რომ მათ ხელი არ შეუშალეს ასამბლეის კენჭისყრას, ისინიც მიესალმნენ საქართველოს ევროპის საბჭოში შესვლას.

ასამბლეას მოეხსენება, რომ საქართველო, მისი დამოუკიდებლობის პირველი წლიდან ისეთ ქაოსსა და განუკითახობაში აღმოჩნდა, რომ ვინმე ძნელად თუ ირწმუნებდა ჩვენი სახელმწიფოს მომავალს – გამოვცადეთ სამოქალაქო ომის სიმწარე, ეკონომიკის ნგრევისა და ურთულესი სოციალური კრიზისის მოწმენი გავხდით. დღეს საქართველო სულ სხვა ქვეყანაა. 1995 წლის აგვისტოში, ფართო პოლიტიკური კონსენსუსის შედეგად, კონსტიტუცია მივიღეთ. სწორედ ამიტომ კონსტიტუცია ერის გამთლიანებისა და ეროვნული თანხმობის ათვლის წერტილად იქცა. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა, რომლებიც ახალი კონსტიტუციის ბაზაზე გაიმართა, გზა გაუხსნა რადიკალურ რეფორმებს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში;

ბოლო სამი წლის განმავლობაში ხუთასზე მეტი პრინციპული საკანონმდებლო აქტი მივიღეთ, წამოვიწყეთ კარდინალური იურიდიული რეფორმა, გავმართეთ ადგილობრივი არჩევნები. დღეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას პლურალისტური პოლიტიკის პოლიფონია წარმართავს. ძლიერი და დინამიკური სამოქალაქო სექტორი გავლენიან და დამოუკიდებელ მასმედიაზე დაყრდნობით ვითარდება. ასევე, ძლიერი და გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები.

ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ის არის, რომ საქართველო ახალი რეგიონული არქიტექტურის ჩამოყალიბებაში მსოფლიოს ჩვენს ნაწილში საკვანძო როლს ასრულებს. რეგიონის მომავლის ჩვენეული ხედვა ეფუძნება ჩვენს რწმენას, რომ კასპიისა და შავი ზღვის რეგიონის უსაზღვრო ბუნებრივი რესურსები დაუსრულებელი კონფრონტაციის მაგივრად რომლისგანაც ვერავინ ვერაფერს მოვიგებთ, საშუალებას გვაძლევს და უფრო მეტიც, რეგიონის ყველა ქვეყანას სთავაზობს ერთად მოვიგოთ თანამშრომლობით.

„ახალი აბრეშუმის გზის“ კონცეფციას ახალ რეგიონულ წესრიგამდე მივყავართ, რომელიც მსოფლიო ამ ნაწილში სტაბილურობასა და კეთილდღეობას ნიშნავს, ეს ჩვენი წვლილი იქნება ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში. არც ერთი ქვეყანა არ უნდა იყოს იზოლირებული ამ შესანიშნავი პერსპექტივისაგან.

შემთხვევით ვსარგებლობ და პატივცემულ კოლეგებს მივმართავ – დაჩქარდეს ჩვენი უახლოესი მეზობლების და ძმების – სომხეთისა და აზერბაიჯანის ევროპის საბჭოში გაწევრიანება, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხელს შეუწყობს რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებას და მთელს რეგიონში თბილი და უფრო ძლიერი თანამშრომლობის სულისკვეთებას დაამკვიდრებს.

ჩვენ, როგორც ახალი დემოკრატიის ქვეყანას, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს და მრავალი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. მე ვიზიარებ მომხსენებლებისა და პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის წევრების დამატებების ავტორთა შენიშვნებს.

ჩვენ ვცდილობთ, ყველა ეს პრობლემა საშინაო პოლიტიკის კონტექსტში მოვაგვაროთ. ჩვენთვის მისაღებია თქვენი პირობები და ვადები, რადგან თავისთავად, ეს პირობები და ვადები ჩვენი სამუშაო პროგრამის ნაწილია. დარ-

წმუნებული ვარ, რომ საქართველო ყველა იმ ვალდებულებას შეასრულებს, რომელთაც საპარლამენტო ასამბლეა აკისრებს.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დიდი წვლილი შეიტანა ახალი ევროპული წესრიგის ფორმირებაში, იმ წესრიგისა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გამყოფი ხაზებისა და კედლების გარეშე ვისაუბროთ დიდ ევროპაზე. ყველასათვის თვალსაჩინოა მისი პირადი რწმენა და ძალისხმევა, საქართველო გამხდარიყო ამ ახალი არქიტექტურის, ახალი წესრიგის ნაწილი.

ევროპულ თანამეგობრობაში საქართველოს გაწევრიანება მხოლოდ მისი პრეზიდენტის ან პოლიტიკური ისტებლიშმენტის პრიორიტეტი არ არის. ეს ფუძემდებლური პრიოროტეტია, რომელიც ქართველი ხალხის სურვილს, ცნობიერებას და მისწრაფებას ასახავს. ჩვენ გვჯერა საქართველოს მომავლის, რომელიც თავის სახლში ბრუნდება, – თავისუფალი ერების ევროპულ ოჯახში.

ევროპის საბჭოში გაერთიანება არის ჩვენი პოლიტიკური არჩევანი და იმის განცხადება, რომ ის ფასეულობები, რომელთაც ქართული საზოგადოება ეფუძნება – პლურალიზმი, საზოგადოების მრავალფეროვნების პატივისცემა, ტრადიციული შემწყნარებლობა, პიროვნების ღირსება და ყოველი ცალკეული ადამიანის უფლებების უზენაესობა, ქართველთათვის ჭეშმარიტი ღირებულებებია.

ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ვიბრძოდით, რომ შეგვენარჩუნებინა დამოუკიდებლობა და ეროვნული თვითმყოფადობა, ვოცნებობდით იმ დროზე, როდესაც ჩვენს სახლს, ევროპას დავუბრუნდებოდით.

მე ვფიქრობ, თქვენ შეძლებთ გაიგოთ ჩემი და ჩემი მეგობრების, საქართველოს დელეგაციის წევრების ემოციები, რადგან ჩვენ უაღრესად ბედნიერები და ამაყები ვართ იმით, რომ ჩვენ თაობას წილად ხვდა პრივილეგია, ამ დარბაზში განაცხადოს: მე ვარ ქართველი და მაშასადამე, მე ვარ ევროპელი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
29 იანვარი, 1999 წ. №24 (3065). გვ. 1-2

იმ ქვეყნის ბიუჯეტი უნდა გვქონდეს, რომელსაც თავისი მოსახლეობის ათეულობით ვალი აქვს

თამარ ასლანიკაშვილი

„1999 წლის ბიუჯეტის პროექტი საფუძვლიან შესწორებებს საჭიროებს. პრეზიდენტთან გვქონდა საუბარი და ისიც აბსოლუტურად იზიარებს იმ პოზიციას, რომ პირველ ყოვლისა უნდა დავაფინანსოთ დაცული მუხლები. ქვეყნის ბიუჯეტი წელს უნდა იყოს იმ ქვეყნის ბიუჯეტი, რომელსაც აქვს თავისი მოსახლეობის ათეულობით მილიონი ვალი“, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ.

პირადად მე, ჩემს კოლეგებთან ერთად, განწყობილი ვარ, შევაჩეროთ თითქმის ყველა ხარჯი, სანამ არ გავისტუმრებთ ხელფასებს და პენსიებს. თუ მოგვრჩება თანხები, გადანაწილდება რეალური პრიორიტეტების მიხედვით.

ჟვანია პრიორიტეტად ჯანდაცვის სფეროს, ქვეყნის თავდაცვას, სასაზღვრო სამსახურს, უშიშროების სამსახურს და შსს-ს მიიჩნევს.

გარდა ამისა, ჩვენ სერიოზული ვალდებულებები გვაქვს სოციალურ, კულტურის და სპორტის სფეროში. მაგრამ, უნდა ვნახოთ, რას გავწვდებით. არ შეიძლება ამბიციები იმდენად შორს მიდიოდეს, რომ ასბოლუტურად ყველა პროგრამა დავაფინანსოთ. – აღნიშნა ჟვანიამ.

რამდენად შემცირდება ხარჯვითი წილი?

მე არ მინდა ციფრების დასახელება. ეს არ არის მხოლოდ ჩემი პრეროგატივა. მიმაჩნია, რომ ხარჯები რამდენიმე ათეული მილიონით შეიძლება შევამციროთ. პირველ რიგში უნდა შევამციროთ ბიუროკრატიულ სექტორზე გასაწევი ხარჯები, ამ თვალსაზრისით პირველ ნაბიჯს გადადგამს პარლამენტი, თუმცა, პარლამენტს დაასწრო პრეზიდენტმა – განაცხადა ჟვანიამ.

მისი თქმით, შარშან პარლამენტმა თავისი ხარჯები მილიონი ლარით შეამცირა, მაგრამ დანარჩენ ბიუროკრატიულ სტრუქტურებს პირიქით, ბიუჯეტი გაეზარდათ.

წელს ასე აღარ მოხდება, ხშირად აბსურდული მომენტები გვაქვს. მაგალითად, საელჩოებში რამდენიმე ათეული კაცი მუშაობს. ჩვენნაირი ქვეყნისათვის ეს წარმოუდგენელი ფუფუნებაა, – დასძინა ჟვანიამ.

გაზ. „ახალი თაობა“. 19 თებერვალი, 1999 წ. №47 (1175). გვ. 6

ბერეზოვსკის გადაყენებით დსთ-ს პრობლემები არ შეექმნება

ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიასთან

ბატონო ზურაბ, პარლამენტის ბიუროს დახურულ სხდომაზე რა საკითხებზე გაამახვილეთ ყურადღება?

ყველა ფრაქციის წარმომადგენელი და დეპუტატი უკიდურესად შეშფოთებულები არიან იმ მდგომარეობით, რაც ბიუჯეტთან მიმართებაშია შექმნილი. დღეს უნდა შემდგარიყო პარლამენტის რიგგარეშე სხდომა და დაგვეწყო მეორე მოსმენით ბიუჯეტის განხილვა. მე მივმართე პრეზიდენტს ამ თხოვნით, რადგან მთავრობიდან ჰქონდა სათანადო ცნობა, რომ ბიუჯეტის პროექტი მზად იყო. სამწუხაროდ, ბიუჯეტის პროექტი ჯერ კიდევ არ არის მზად და ეს არ არის წარმოუდგენელი ვითარება. საქართველოში უპრეცედენტო მდგომარეობაა. დღეისათვის, მეორე მოსმენით განსახილველი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ბუნებაში არ არსებობს. ამას ემატება ის, რომ არსებობს გარკვეული არაკოორდინირება. სხვადასხვა ინფორმაციებს გვაწვდის სხვადასხვა უწყებები და ამ განცხადებებში იკარგება მთავარი, რისთვისაც არსებობს სახელმწიფო საბიუჯეტო ვალდებულებები. პენსიები, ხელფასები და ის ელემენტარული ვალდებულებები, რაც უნდა გავუსტუმროთ საქართველოს მოსახლეობას. დღეს, ჩვენ საკმაოდ მწვავე კამათი გვქონდა, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარლამენტში ბიუჯეტის შემდგომი განხილვები ბევრად უფრო მწვავე იქნება.

ბატონო ზურაბ, თქვენი აზრით, როდის იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი მეორე მოსმენისთვის მზად?

მე თავს შევიკავებ ყოველგვარი თარიღების დასახელებისაგან. ეს თარიღები დაასახელოს თვით მთავრობამ, ვინც პასუხისმგებელია პროექტის შემუშავებაზე. მე შევცდი, როდესაც ვენდე და დღეისათვის დავნიშნე რიგგარეშე სხდომა... აღარ ვაპირებ ჩავდგე უხერხულ სიტუაციაში.

ბიუჯეტის განხილვისას დადგება თუ არა პასუხისმგებლობა იმ პირების, რომლებსაც ეკონომიკური სფერო აბარიათ?

მე არ გამოვრიცხავ არანაირი საკითხის დასმას, მაგრამ, პირველ რიგში ჩვენ სერიოზულად უნდა გავერკვეთ არსებულ ვითარებაში. საბაჟო და საგადასახადო სამსახურების მონაცემების თანახმად, რეალურად არსებობს სერიოზული პროგრესი, სხვა უწყებები კი გვაწვდიან სრულიად განსხვავებულ ინფორმაციებს. პირველ ყოვლისა გვინდა გავერკვეთ, სად არის სიმართლე.

ბატონო ზურაბ, დევნილები აფხაზეთის საკითხების ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტას მოითხოვენ?

ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებას არ ამოუწურავს მშვიდობიანი მეთოდებით პრობლემის მოგვარების გზები.

საუბრობენ სამეგრელოში ზოგიერთი პოლიტიკური ძალის მიერ სეპარატიზმის გაღვივებაზე.

სამეგრელოში სეპარატიზმზე საუბარი სისულელეა. ეს იგივეა, სეპარატიზმზე ისაუბრო იმერეთში, კახეთში ან საქართველოს სხვა რომელიმე კუთხეში. აღნიშნულ საკითხზე საუბარი ყოვლად მიუღებელია და მისი დაშვებაც წარმოუდგენელია.

დსთ-ის აღმასრულებელი მდივნის პოსტიდან ბერეზოვსკის გადაყენებით ხომ არ შეექმნა დსთ-ს არსებობის საფრთხე. ხომ არ აპირებს საქართველო დსთ-ის დატოვებას?

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არ დგას დსთ-დან გამოსვლის საკითხი. რაც შეეხება ბერეზოვსკის გადაყენებას, არა მგონია, რომ ამის გამო რაიმე პრობლემები შეექმნას დსთ-ს.

ივერია-ინფორმი.

გაზ. „ახალი თაობა“. 10 მარტი, 1999 წ. №66 (1194). გვ. 2

ზურაბ ჟვანია: არ მივესალმები კონსტიტუციის რევიზიას, თუმცა, ყველა ევროპულ ტრადიციაში მთავრობის მეთაური გამარჯვებული პოლიტიკური ძალის ლიდერი ხდება

ბატონო ზურაბ, ვინ არის პასუხისმგებელი გაჭიანურებულ საბიუჯეტო პროცესზე. რა კომენტარს გაუკეთებთ ოპოზიციის განცხადებას, რომ ეს ბიუჯეტი კლანებს მორჩენილი თანხის გაწერვაა?

არ არის მთლად სწორი ფორმულირება, რომ წლევანდელი ბიუჯეტი კლანებს არის მორჩენილი. საერთოდ, ყველა ბიუჯეტი, რომელსაც ბოლო 7-8 წელია ვამტკიცებთ იმ თანხის განაწილებაა, რის აკრეფასაც სახელმწიფო ახერხებს. სამწუხაროდ, ჯერ საქართველოში ვერ ვკრეფთ იმას, რასაც უნდა ვკრეფდეთ. ამ თვალსაზრისით მთლიან შიდა პროდუქტთა მიმართებაში ამოღებული გადასახადის მაჩვენებლით ნამდვილად არასახარბიელო ადგილი გვიჭირავს. ეს არის, ჩემი აზრით, საზოგადოებაში კორუფციის ერთ-ერთი ყველაზე კარგი ინდიკატორი, აქ მხოლოდ კლანებზე არ არის საქმე. მნიშვნელოვან ნაწილს მალავენ ორგანიზებული ჯგუფები, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მფარველი ხელისუფლებაში. მაგრამ ამ გადასახადების უზარმაზარ ნაწილს ათასობით ჩვენი თანამოქალაქე მალავს, რომელსაც საკუთარი კაზინო აქვს. პატარა ჯიხური თუ ფარდული, დუქანი თუ მაღაზია. ამაში საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მონაწილეობს.

საბიუჯეტო პროცესი წელს რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე იყო. ჩვენ 1998 წლიდან გადმოგვყვა მძიმე ვალდებულებები ხელფასების და პენსიების დავალიანებების სახით. დაახლოებით 90 მილიონამდე.

მძიმეა ბიუჯეტი, იმიტომ რომ ძალიან მაღალია საგარეო ვალების გასტუმრების მაჩვენებელი. მძიმეა, იმ თვალსაზრისითაც, რომ ეს არის საარჩევნო წელი. ყველა დეპუტატს, განსაკუთრებით მაჟორიტარებს, კანონიერი სურვილი აქვთ, ის, რასაც პირდებოდნენ ამომრჩევლებს, შეასრულონ. იქნება ეს სკოლების, საავადმყოფოების შეკეთება. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ შარშანდელი წლის მეორე ნახევარი კრიზისული იყო მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო, ვგულისხმობ გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, რუსეთის კრიზისს, არასახარბიელო კლიმატურ პირობებს. ოპოზიცია ამაზე ხშირად ქილიკობს. ზამთრის განმავლობაში ჩვენ რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი დავხარჯეთ, რომ ჰიდროელექტროსადგურებში პრაქტიკულად დაცლილი წყალსაცავების, კომპენსირება მოგვეხდინა. უნდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს გვალვა სოფლის მეურნეობისათვის, რომელმაც ძალიან სერიოზული ზარალი ნახა. იზარალა იმის გამოც, რომ რუსეთის ბაზარზე მკვეთრად შემცირდა ჩვენი ექსპორტის რაოდენობა.

ამიტომ, სრულიად ბუნებრივი იყო, რომ პარლამენტში საბიუჯეტო განხილვის პროცესი მეტად მძაფრად მიმდინარეობდა. პირადად მე ბევრი საინტერესო წინადადება მქონდა მთიან ზონასთან დაკავშირებით. სოფლის მეურნეობის დარგების, განსაკუთრებით მეჩაიეობის, მეღვინეობის სუბსიდირების თაობაზე. მაგრამ რომ ვნახეთ, შესაძლებლობები მწირი იყო. აქცენტი სხვაზე გადავიტანეთ – ეს ის ბიუჯეტი უნდა იყოს, რომელიც სულ ცოტა ხელფასების და პენსიების გაცემის საკითხს მოაგვარებს.

მწუხარებით მინდა აღვნიშნო, რომ მაინცდამაინც ვერც მთავრობამ ივაჟკაცა. წარმოუდგენლად გვიან შემოვიდა პროექტი. პარლამენტში იგი მეორე-მესამე მოსმენით 3-4 დღეში დამტკიცდა.

თქვენ არჩევნების თემა ახსენეთ. ახალი არჩევნების წინ ისევ გაცოცხლდა საკონსტიტუციო ცვლილებების (პრემიერის) თემა, როგორ მიგაჩნიათ, გადაბალანსებას ხომ არ გულისხმობდა პრეზიდენტი, როცა აცხადებდა, რომ ცვლილებებს ეს პარლამენტი მიიღებს. პრემიერს კი ახალი პარლამენტი დაამტკიცებს. საერთოდ, როგორი იქნება ჩვენთვის მმართველობის ოპტიმალური მოდელი?

ჯერ ერთი, საზოგადოდ ამ ცვლილებებთან დაკავშირებით ვერ გეტყვით, რომ დღესდღეობით რომელიმე პოზიციას ვუჭერდე მხარს. თავის დროზე წინა პარლამენტში მე ეგრეთ წოდებული ფრანგული მოდელის ერთ-ერთი აქტიური მომხრე ვიყავი. რომელიც ითვალისწინებს ძლიერ პრეზიდენტს და, ამავე დროს არსებობს ძლიერი კაბინეტური სისტემა. რომელიც იქმნება საპარლამენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე. ახლა ვფიქრობ, რომ დღევანდელი მოდელის დახვეწაც შეიძლება და მასაც აქვს უცილობელი პლუსები, თავისთავად, არ მიველსამები იმას, რომ კონსტიტუციის მიღებიდან 3-4 წლის შემდეგ მისი რევიზია დაიწყოს. თანაც სერიოზული რევიზია. თუმცა, ვხედავ, რომ ახალ მოდელს ბევრი პლუსები აქვს. სასარგებლო იქნებოდა იყოს პრემიერის პოსტი და მინისტრთა კაბინეტი, რომელიც დაკავშირებული იქნება პარლამენტში არსებულ პოლიტიკურ ძალთა ბალანსთან.

იტალიურ მოდელზე რას იტყვით, სადაც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პრემიერი ხდება?

ყველა ევროპულ პოლიტიკურ ტრადიციაში ამა თუ იმ ფორმით არის ასახული ის, რომ მთავრობის მეთაური ხდება გამარჯვებული პოლიტიკური ძალის ლიდერი. იშვიათია შემთხვევა, როცა მთავრობა, თუ მისი წევრი ზოგიერთი მინისტრი აცხადებს, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ გააჩნია და პრობლემებზე პასუხი უნდა აგოს საპარლამენტო უმრავლესობამ და სპიკერმა. დედამიწის ზურგზე ასეთი პოლიტიკური სისტემა გარწმუნებთ, არსად არის, არც ისეთი, სადაც ოპოზიცია დროდადრო დაემუქრებოდა პარლამენტის თავმჯდომარეს იმპიჩმენტით გადასახადების ამოუღებლობის გამო. ამიტომ მოდელი იტალიური იქნება, სკანდინავიური, თუ გერმანული, მნიშვნელოვანი არ არის. მთავარი მაინც პოლიტიკის ლოგიკაა. უმთავრესი პრინციპია ის, რომ პრეზიდენტი უზრუნველყოფს სტაბილურობას. გამარჯვებული ძალის ლიდერი აკომპლექტებს მთავრობას, დარწმუნებული ვარ, როგორი მოდელიც

არ უნდა იყოს საქართველოს სჭირდება ძლიერი პრეზიდენტის მმართველობა (ძლიერი ბერკეტებით აღჭურვილი), კონკრეტულად რა და როგორ განხორციელდება სერიოზული საფიქრალია.

რაც შეეხება პრემიერის დანიშვნას არჩევნების შემდეგ, ესეც სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია. ნამდვილად გამოვრიცხავ არჩევნებამდე (რომც გატარდეს საკონსტიტუციო ცვლილებები), რომ სმკ-მ რაიმე (საპრემიერო ინიციატივა) კანდიდატურები წამოვაყენოთ. დღეს საქართველოში სახელმწიფო მინისტრი არის სმკ-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი საბჭოს წევრი (სხვათა შორის, იგი დღეს არ გამხდარა). ის სმკ-ს დაფუძნების დღიდან არის მის ხელმძღვანელობაში. ის ჩვენს საპარლამენტო სიაში პირველ ხუთეულში იყო. საპრემიერო ინიციატივებს ამ ეტაპზე სავსებით გამოვრიცხავთ. ბუნებრივია ვინ იქნება პრემიერი საბოლოოდ არჩევნების შედეგების მიხედვით განისაზღვრება. პრემიერის პოსტი საერთოდ იარსებებს თუ არა.

თქვენ ახსენეთ მმართველობის ძლიერი ბერკეტები როგორი იქნება თქვენი პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმა და რაც მთავრია, მისი აღსრულების მექანიზმები? აქამდე ხშირად გაიგებდით, რომ სმკ არჩევნებში გამარჯვებული და არა მმართველი ძალაა.

რაც შეეხება ბერკეტებს. ჩვენ არ დაგვისახავს მიზნად ამ პერიოდში (1995-1999) ევროპული მმართველობის სისტემაზე დაფუძნებული მოდელის შექმნა. თქვენ კარგად ხედავთ, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ბევრი წამყვანი პირი სხვადასხვა პარტიის ლიდერია. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ აგრესიულადაც არის განწყობილი სმკ-ს მიმართ. ესეც, უნდა გითხრათ, რომ ქართული დღევანდელობის გამორჩეულობაა. ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებში ამას ვერსად ნახავთ. ცხადია, სმკ-საც სერიოზული ბერკეტები გააჩნდა და დღესაც გააჩნია.; ვეთანხმები მოსაზრებას, რომ სმკ იყო გამარჯვებული პარტია და არა პარტია, რომელმაც განახორციელა ერთპარტიული მმართველობა. ეს ნამდვილად ტყუილი იქნება.

ახლა რაც შეეხება რეალურ ბერკეტებს. რას შევპირდებით ამ არჩევნების წინ ჩვენ ამომრჩეველს? დღეს ამაზე ადრეა ლაპარაკი, თუმცა, ძალიან სერიოზულად ვმუშაობთ პროგრამაზე. ერთი რამეც შემიძლია გითხრათ სავსებით გულწრფელად. ჩვენ ბევრად მეტი გამოცდილება გვაქვს. ბევრად უკეთ წარმოგვიდგენია ხელისუფლების ტექნოლოგია და ისიც, როგორ უნდა განხორციელდეს ამა თუ იმ რეფორმის ბოლომდე მიყვანის პროცედურა. ჩვენ წარმოუდგენელი სიძნელეების წინაშე ვიდექით. ერთი მხრივ, ყველა მიმართულებით გვიტევდა მრავალგვარი შეფერილობის ოპოზიცია. მეორე მხრივ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ფარული წინააღმდეგობა (რომელზეც პრესაში ნაკლები იწერებოდა) სერიოზული სახელისუფლებო სტრუქტურებიდან. ფაქტია, რომ ხელისუფლებაში ბევრია ისეთი ადამიანი, ვინც სისხლხორცეულად არის დაინტერესებული რომ რეფორმები არ განხორციელდეს.

ის, რისი გაკეთებაც შევძელით, ძალიან მნიშვნელოვანია და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, შემდეგ ეტაპზე, რაზეც თქვენ სამართლიანად გააკეთეთ აქ-

ცენტი, დაპირებების აღსრულების მექანიზმი ბევრად უფრო მკაფიოდ გვექნება წარმოდგენილი.

ასე რომ, საქართველოში ძალიან მძიმე სოციალური ფონია. არავინ დავობს. აქვს თუ არა სახელმწიფოს იმის საშუალება, რომ დაგვიცვას კუჭისმიერი წითელი არჩევანისგან?

მე არ დავარქმევდი ამ საფრთხეს მაინცდამაინც წითელს. საფრთხე არის ის, რომ უნდათ გადაგვახვევინონ კურსიდან (შევარდნაძის უალტერნატივო პოლიტიკურ გზას ვგულისხმობ). საქართველო უნდა გახდეს არა მხოლოდ დამოუკიდებელი. არამედ დალაგებული ევროპის ნაწილი. ადგილობრივი არჩევნების შემდეგ შექმნილმა უცნაურმა კოალიციამ დაგვარწმუნა, რომ საქართველოში შეიძლება მართლაც საოცრებებს წააწყდეს ადამიანი. მემარჯვენეები, მემარცხენეები, ზომიერები, ულტრამემარცხენეები უპრობლემოდ აცხადებენ ერთიან კოალიციას. უპრობლემოდ ინაწილებენ ადგილებს რაზეც ხელი მოუწვდებათ. შეუიარაღებელი თვალითაც ნათელია, რომ ამ პოლიტიკური პარტიების რეალური მისწრაფება არის სახელისუფლებო ადგილების მოპოვება და არა პროგრამების განხორციელება. ის, რასაც წითელ საფრთხეს უწოდებთ, რეალურად არის საფრთხე იმისა, რომ ჩვენი სუვერენიტეტი უგულებელყონ. საფრთხე შეიძლება მომდინარეობდეს იმ პარტიებიდანაც, რომლებიც ძალიან გაიტლიკნენ დამოუკიდებელ საქართველოზე ლაპარაკში. ის გამოცდილება მაინც უნდა ჰქონდეს ჩვენს ამომრჩეველს, რომ მარტო ლოზუნგებს არ ენდოს და გაიხსენოს ის გზა, რომელიც თითოეულმა პოლიტიკურმა ლიდერმა თუ დაჯგუფებამ ჩვენს თვალწინ გაიარა.

როგორ მიგაჩნიათ, სადამდე შეიძლება გაგრძელდეს ჩვენი საგარეო წარმატებები, თუ საშინაო პოლიტიკა სტაბილურობის გარკვეულ ზღვარს არ გაუთანაბრდა?

დღეს შემიძლია გითხრათ. პრეზიდენტის გუნდის ძალისხმევა მთლიანდ ამაზეა კონცენტრირებული, რომ მივაღწიოთ გარღვევას. უპირველესად, ფისკალური დისციპლინის დამყარება; სოციალური დავალიანებების გასტუმრება; მეწარმეებისათვის პირობების შექმნა. წარმოუდგენელია, ჩვენმა ძალისხმევამ არ გამოიღოს შედეგი.

ესაუბრა
მარიამ თოიძე

პარლამენტის თავმჯდომარის ბოლოთქმა: მე ყოველთვის განწყობილი ვარ, ჩემს მუშაობაში ხარვეზები ვეძებო. მაგრამ თუ ნებას მომცემთ, ზოგად თემებს შევეხები, ქართველებს კარგად არ გვაქვს შეგნებული, რომ ჩვენ საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ვქმნით. დამოუკიდებლობა მხოლოდ პრივილეგია კი არ არის, პასუხისმგებლობაა. ბოლო 200-მა წელიწადმა გამოგვიმუშავა გარკვეული ნიჰილიზმი საკუთარი სტრუქტურების მიმართ. ადრე ის დაპყრობილი სახელმწიფოს სტრუქტურები იყო. ვშიშობ, რომ ეს სინდრომი (სახელმწიფოს უარყოფის, ნიჰილიზმის) დღევანდელ ვითარებაშიც მუშაობს.

მთავარი ზოგადი პრობლემა სწორედ ის არის, რომ ვისწავლოთ ჩვენი სახელმწიფოს შენება და ისტორიულ შანსს ფაქიზად მოვეპყრათ. ოპტიმიზმის ნაკლებობას არ ვუჩივი. თუმცა, ეს სავსებით რეალისტური შეფასებაა. საქართველოში მენტალურად (და არა ასაკობრივად) ახალი თაობა მოდის (იმავე ახალ თაობას მივაკუთვნებდი ჭაბუა ამირეჯიბს და მიხეილ სააკაშვილს), ვლაპარაკობ იმ მენტალიტეტზე, რომელიც ჩვენ ქართული სახელმწიფოს ჯარისკაცად გვაქცევს.

გაზ. „დილის გაზეთი“. 24 მარტი, 1999 წ. №63 (881). გვ. 7

საკითხები, რომელიც აწუხებს აჭარის ხელისუფლებას, ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა განუმარტოს

ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიასთან

ბატონო ზურაბ, დადგა თუ არა დრო, გაეცეს კონკრეტული პასუხები აჭარის ხელმძღვანელობის მხრიდან წამოსულ ბრალდებებს?

რა თქმა უნდა, თუ არის საკითხები, რომელიც რეალურად აწუხებს აჭარის ხელისუფლებას, ცენტრალური ხელისუფლების ყველა წარმომადგენელმა უნდა გააკეთოს სათანადო განმარტებები. თუ პრობლემები არსებობს, ამის თაობაზე უნდა გაკეთდეს ცალსახა და ნათელი განმარტებები.

ბატონო ზურაბ, რამდენად აუცილებელია საქართველოში ავტონომიური წარმონაქმნების არსებობა?

საქართველო ამას ვერანაირად ვერ აუვლის გვერდს და დარწმუნებული ვარ, რომ ავტონომიური სტატუსი უნდა ჰქონდეს აფხაზეთს, აჭარას... არ გამოვრიცხავ იმას, რომ გარკვეული ფორმა პოლიტიკური თვითმმართველობისა უნდა გააჩნდეს ცხინვალის რეგიონს. რაც შეეხება აჭარას და აფხაზეთს, აქ რაიმე კითხვის ნიშნის არსებობა ან დღეს, ან სამომავლოდ, არის სრულიად გამორიცხული. ეს უნდა გვესმოდეს და უნდა გვესმოდეს ისიც, რომ ამ ავტონომიების არსებობა, თუკი ეს ყველაფერი ნორმალურად დარეგულირდება კონსტიტუციით, ავტონომიების კანონმდებლობით, იქნება არა პრობლემების, არამედ ჩვენი სახელმწიფო სტაბილურობის წყარო.

ირაკლი გოგორიშვილი
„ივერია-ინფორმი“ სპეციალურად „ახალი თაობისთვის“.
გაზ. „ახალი თაობა“. 24 მარტი, 1999 წ. №80 (1208). გვ. 1

რუსეთს საქართველოს მიმართ პოზიცია არ გააჩნია

„მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ბევრად უფრო მწვავე პრობლემები აქვს, ვიდრე საქართველოსთან ურთიერთობაა, ამ ვიზიტის გადადება მოსკოვში არ შეიძლებოდა“, – ასე შეაფასა რუსეთში საქართველოს საელჩოში გამართულ პრესკონფერენციაზე პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის მოსკოვში ვიზიტი.

ჟვანია თვლის, რომ სქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე მეტად მძიმე ფაზაში იმყოფება. „სწორედ ამიტომ ეს ვიზიტი იმითაც არის სასარგებლო, რომ შეხვედრების დროს შევძელით შეგვენელებინა დაძაბულობა, ასევე გავიგეთ რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის განწყობილებები“, – განაცხადა ჟვანიამ.

პარლამენტის თავმჯდომარე თვლის, რომ საქართველომ ყველაფერი გააკეთა, რათა რუსეთთან ურთიერთობა კონსტრუქციული ყოფილიყო. „ჩვენ თანამშრომლობის გზით ჩვენი მონაკვეთი გავიარეთ, ახლა რუსეთზეა დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება ჩვენი ურთიერთობები“, – განაცხადა ჟვანიამ.

მან ასევე აღნიშნა, რომ შეხვედრებზე მრავალ სხვა განსახილველ საკითხთა შორის ძირთადი იყო საქართველოში განლაგებული რუსეთის ბაზებისა და აფხაზეთის საკითხები. მისი თქმით, რუსეთის პრემიერის ევგენი პრიმაკოვისა და საქართველოს პოზიციები ბაზებთან დაკავშირებით ძალიან ახლოს დგას. „ჩვენ უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ ბაზების სამართლებრივი ფორმა,“ – აღნიშნა ჟვანიამ. მან ასევე კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მკვეთარდ არის შეცვლილი, რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მიმართ. „რუსეთმა აშკარად გაიაზრა, რომ საქართველომ ისწავლა რუსეთის გარეშე ცხოვრება და ამიტომ ყველა საკითხი, რომელშიც არ ვეთანხმებით ერთმანეთს, კონსულტაციების დონეზე უნდა გადაწყდეს“, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ. ჟვანიას აზრით, სანამ თავად რუსეთის სახელისუფლებო სტრუქტრებში არ იქნება სტაბილური სიტუაცია და ისინი თავად არ გაარკვევენ თავიანთ ინტერესებს საქართველოში, მანამ ძნელია რაიმე კონსტრუქციულ ურთიერთობაზე ლაპარაკი.

მისი თქმით, რუსეთის დუმის მიერ „დიდი ხელშეკრულების“ რატიფიცირება ბევრ პრობლემას მოხსნიდა და ეს იქნებოდა დასაწყისი ახალი ურთიერთობებისა. ჟვანიას განცხადებით, საქართველოს სწორედ ის უქმნის ყველაზე დიდ წინააღმდეგობებს, რომ რუსეთს არ გააჩნია განსაზღვრული პოლიტიკა საქართველოს მიმართ და ამიტომ გადაწყვეტილებების მიღება ხშირად მეექ-

ვსე და მეშვიდე ეშელონის თანამდებობის პირების მიერ ხდება, რაც იმას იწ-ვევს, რომ ყველა პატარა ჩინოვნიკი საკუთარი ინტერესების გათვალისწინე-ბით იღებს გადაწყვეტილებებს.

გეა

გაზ. „ახალი თაობა“. 22 აპრილი, 1999 წ. №108 (1236). გვ. 2

მოვლენა

პოლიტიკა

„კეთილი იყოს, საქართველო, შენი შემობრძანება ევროპის დიდ ოჯახში!“ –
ასეთი განცხადებით მიმართა ევროსაბჭოს 41-ე წევრ ქვეყანას
ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ ლორდმა რასელ ჯონსტონმა.

1999 წლის 27 აპრილს საქართველო ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა ოფიციალურად გახდა. 27 აპრილს ევროსაბჭოს სასახლის წინ საქართველოს სახელმწიფო დროშა საზეიმოდ აღიმართა

კეთილი იყოს, საქართველოვ, შენი დაბრუნება შინ... ევროპავ, მოგვხედე!

საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება, ვფიქრობთ, ერთი ის უნიკალური მოვლენაა, რომელსაც პოზიცია თუ ოპოზიცია, ყველა ერთად მიესალმება. თუმცა, უკვე წესად ქცეული აზრთა სხვადასხვაობის დაძლევა ვერც ამჯერად ხერხდება. ვისი დამსახურებაა საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება? – კითხვა, რომელზეც პასუხი იმისდა მიხედვით არსებობს, თუ ვინ ვის უჭერს მხარს. ერთნი ჩვენი ქვეყნის ევროპულ ოჯახში ინტეგრირებას საქართველოს პრეზიდენტის ერთპიროვნულ დამსახურებად მიიჩნევენ. მეორენი ამას მთელი ქართველი ხალხის მონდომებასა და სურვილს, ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრები გამხდარიყვნენ მიაწერენ; მესამენი კი შევარდნაძის ღვაწლს კატეგორიულად გამორიცხავენ. ასეა თუ ისე, საქართველოს ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა უკვე ოფიციალურად გახდა. ზუსტად 3 თვის წინათ, 1999 წლის 27 იანვარს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებას დასტური მისცა. შემუშავდა სპეციალური რეზოლუცია, რომლის თითოეული პუნქტის შესრულება საქართველოსათვის, როგორც ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრისათვის სავალდებულოა.

„საქართველოში ყველაფერი კარგად არ არის, ჩვენ როდი ვამბობთ, რომ საქართველო უკვე ჩამოყალიბებული, დასრულებული სახის დემოკრატიული სახელმწიფოა, რომ ჩვენთან ადამიანის უფლებები და თავისუფლებები სრულად არის დაცული, მაგრამ ჩვენ მზად ვართ, რომ საქართველო ცივილიზებული, ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფო გახდეს“, – დაახლოებით ასე ჟღერს დღევანდელი ხელისუფლების ოფიციალური განაცხადი.

„საქართველოში ყველაფერი კარგად არ არის, მაგრამ ყველაფერი კარგად იქნება“, – ამ სიტყვებს მმართველი პარტია, წინასაარჩევნოდ ყოველ შემთხვევაში, საკუთარ ამომრჩეველს ხშირად გაუმეორებს. „საქართველოში ყველაფერი ძალიან ცუდად არის“, – ამბობს ოპოზიცია და ნათქვამის დასტურად

მოუგვარებელ კონფლიქტებს, თვეობით გაუცემელ ხელფასებსა და პენსიებს ასახელებს.

ეს ყველაფერი ევროსაბჭომაც კარგად იცის და მაინც, საკუთარ წევრად მიგვიღო.

საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება ამ ორგანიზაციის 50 წლის იუბილეს დაემთხვა. 1946 წლის 19 სექტემებრს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა საჯაროდ განაცხადა: „ომით მოყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სასწაულმოქმედი წამალი გვჭირდება... ევროპის შეერთებული შტატები უნდა შევქმნათ“. 1949 წლის 5 მაისს ევროპის თორმეტი ქვეყანა ევროსაბჭოს აფუძნებს. დღეს ევროსაბჭოში, საქართველოს ჩათვლით, უკვე 41 წევრია.

„1999 წლის 27 აპრილი საქართველოს ისტორიაში უნიკალური დღეა“, – აცხადებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და დასძენს: „საქართველო ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა თავისთავად არ გამხდარა. ეს სახიფათო სიყალბეა. ევროსაბჭოში გასაწევრიანებლად დიდი გზა გამოვიარეთ. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ ევროსაბჭოს წარმომადგენლები ხმამაღლა კითხულობდნენ: მიეკუთვნება კი საქართველო ევროპას? დღეს ჩვენ ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა ვართ... დიდი მადლობა ამისთვის ყველას! ევროსაბჭოში გაწევრიანებით ჩვენ მოვიპოვეთ ის მაღალი ტრიბუნა, საიდანაც ნათქვამ ჩვენს სატკივარს ცივილიზებული მსოფლიო სხვაგვარად გაიგონებს და აღიქვამს, 27 აპრილს ჩვენს სახლს, დიდ ევროპულ ოჯახს დავუბრუნდით. ეს არ იყო პოლიტიკური, პრაგმატული არჩევანი, ეს ჩვენი დღევანდელი ღირებულებების არჩევანი იყო. ჩვენ, ქართველები, ევროპელები ვართ!“

27 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მადლობებს უხვად არიგებდა ჩვენი წინაპრების, ყველა პოლიტიკური ძალის, საქართველოს მთელი მოსახლეობის და, რაღა თქმა უნდა, პრეზიდენტის მისამართით. 27 აპრილს, საპარლამენტო ტრიბუნაზე გამოსვლისას, ზურაბ ჟვანია კიდევ ერთ მნიშვნელოვან განცხადებას აკეთებს: „საქართველოს ყველა რეგიონი ევროპული ცივილიზაციისკენ ისწრაფვის. აჭარაში რომ ევროპასთან ინტეგრაცია უმთავრესია, ამას თუნდაც ისიც ადასტურებს, რომ ბათუმის ცენტრალურ მოედანს ევროპის მოედანი ჰქვია“, – პარლამენტის თავმჯდომარეს ეს განცხადება, რომელიც იმავდროულად მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი მთავარი ლიდერია, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქართულ პოლიტიკაში ახალი „მიმართულების“ დასაწყისი. მუდმივად პრორუსულობაში „გადავარდნილ“ აჭარის ხელისუფლებას დასავლურობა ზურაბ ჟვანიამ მოუწონა.

გაზ. „დილის გაზეთი“. 28 აპრილი, 1999 წ. №92 (910). გვ. 4

„ჩვენ მოვიპოვეთ ევროპული მგზავრობის ბილეთი, იმის საშუალება, რომ ევროპულ საბჭოში გაწევრიანების შემდეგ დაიწყოს საქართველოს ინტეგრაციის პროცესი სხვა ევროპულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებთან“

27 აპრილის საქართველოს პარლამენტის საზეიმო სხდომა საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებას მიეძღვნა. საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, საქართველოს პარლამენტარები და მთავრობის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი, საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები შემოქმედებითი კავშირებისა და სამეცნიერო წრეებიდან, მოსწავლე ახალგაზრდობა, ჟურნალისტები. საზეიმო სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია.

ზურაბ ჟვანია, ჩვენი ქვეყნის ევროპის საბჭოში გაწევრიანების თარიღთან დაკავშირებით მოწვეულ სტუმრებს საქართველოს პარლამენტის სახელით გულთბილად მიესალმა და აღნიშნა, რომ დღეიდან, საქართველო კავკასიის ქვეყნებს შორის პირველი გახდა ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრი.

„ეს არის უნიკალური ორგანიზაცია. უნიკალური სწორედ იმით, რომ მისი წევრობა განსაზღვრავს არა რაიმე განსაკუთრებულ ეკონომიკურ პრივილეგიებს, უკავშირდება არა რაიმე თავდაცვითი ხასიათის შეთანხმებებს, არამედ ეს დასტურია, რომ ქვეყანა, რომელიც ამ ორგანიზაციაში შედის, საერთაშორისო თანასაზოგადოებას მიეკუთვნება, სადაც რეალურად აღიარებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პრიორიტეტები, დემოკრატიული ცხოვრების პრინციპების უზენაესობა“, – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ.

მისი თქმით, ბოლო თვეების განმავლობაში რამდენჯერმე გაიჟღერა აზრმა, რომ საქართველო, ევროპის საბჭოს წევრი, თითქმის, თავისთავად გახდა, რაც ზურაბ ჟვანიას განმარტებით, რაღა თქმა უნდა, ძალზე მცდარი მტკიცება და საკმაოდ სახიფათო სიყალბეა, ევროპის საბჭოში გაწევრიანების აქტს წლების განმავლობაში ასეულობით თანამემამულე ამზადებდა, მათ შორის, საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის, პოლიტიკური წრეებისა და ორგანიზციების, ცალკეულ ეროვნულ უმცირესობათა თუ სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმოამდგენლები, ყველას ვინც საქართველოში მოღვაწეობს, სტრასბურგიდან ჩამოსულ ათობით დელეგაციასთან მათი საუბრისას ყოველთვის დასტურდება, რომ ხალხთა ერთიან ევროპულ ოჯახში დაბრუნება, საქართველოსთვის უმაღლეს პრიორიტეტს წარმოადგენს. „დღეს თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ საქართველოს გაწევრიანება ევროპის საბჭოში იმ ურთულესი გზის რეალურად აღიარებაა, რაც ბოლო წლების გან-

მავლობაში სრულიად საქართველომ, ყველამ ერთად გამოვიარეთ. პარლამენტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მიმდინარე წლის 27 იანვარს სტრასბურგში, საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე საქართველოს განევრიანებას მხარი დაუჭირა.

ზურაბ ჟვანიამ საქართველოს მხრიდან აღებულ ვადლებულებებზეც ისაუბრა: „მინდა ამ მომენტზეც შევჩერდე, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს პრესაში გაიჟღერა აზრმა, თითქოს, ჩვენთვის მიუღებელი რამ მოგვახვიეს თავს, პატივცემულ დეპუტატებს, ფრაქციებს, კომიტეტებს დაურიგდათ ის დოკუმენტი, რომელსაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე კენჭი ეყარა. კოლეგებო, თვალის ერთი გადავლებითაც შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ იქ ჩამოყალიბებული თემების აბსოლუტური უმრავლესობა ის საკითხებია, რაზეც საქართველოს პარლამენტი თუ საქართველოს მთავრობა ისედაც მუშაობდა და რასაც ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში საკმაოდ მაღალი ადგილი ეკავა. ეს არ არის შემთხვევითი დამთხვევა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რეფორმებს ვახორციელებთ არა იმის გამო, რომ ვიღაცას ევროპაში თუ სხვაგან თავი მოვაწონოთ, არამედ იმიტომ, რომ იმ გზით მივდივართ, რა გზითაც ვთვლით, რომ საქართველო ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწევს და ეს დემოკრატიული აღმშენებლობის გზა არის.“

პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს ევროპის საბჭოში განევრიანებით საქართველომ ძალიან მაღალი ტრიბუნა მოიპოვა, საიდანაც წარმოთქმულ ჩვენს სატკივარს საერთაშორისო თანასაზოგადოება გაიგებს. „ჩვენ მოვიპოვეთ ევროპული მგზავრობის ბილეთი, იმის საშუალება, რომ ევროპის საბჭოში განევრიანების შემდეგ დაიწყოს საქართველოს ინტეგრაციის პროცესი სხვა ევროპულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებთან“, – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ. მისივე შეფასებით „1999 წლის 27 აპრილი ჩვენი სამშობლოსთვის არის ის ისტორიული დღე, როდესაც შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველო ევროპულ ოჯახს დაუბრუნდა, საქართველომ ევროპის პოლიტიკურ რუკაზე თავისი ადგილი დაიბრუნა“. მანვე აღნიშნა, რომ თანამედროვე ევროპა არ ნიშნავს მხოლოდ საერთო ბაზარს, უვიზო მიმოსვლას და ერთიანი ვალუტის შექმნას. დემოკრატიული ღირებულებები, სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობა, თითოეული მოქალაქის ღირსება და თავისუფლება ერთიანად არის გაგებული და ამ ერთიანობას ვერ წაშლის და ვერ დაანაწევრებს ვერანაირი პოლიტიკური საზღვრები. კენჭისყრა, რომელიც ევროპის საბჭოს პლენარულ დარბაზში შედგა, იმის დასტურია, რომ ჩვენ ქართველებს, ერთხელ და სამუდამოდ ამ ერთიანი სივრცის განუყოფელ და ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად გვაღიარებენ.“

ზურაბ ჟვანიას თქმით, ევროპულ ოჯახში დაბრუნება ქართული უნიკალური მემკვიდრეობის შენარჩუნების დამატებით გარანტიებს შექმნის, ხოლო ევროპულ მრავალფეროვნებას ქართული კულტურა და თვითმყოფადობა დაამშვენებს, ევროპის საბჭოში შესვლა, ერთიანი ეკონომიკური სივრციდან გამომდინარე, თითოეული ქართული ოჯახის კეთილდღეობის პირობებს შექმნის, საქართველოსთან მიმართებაში უსაფრთხოების გარანტიები ამუშავდება.

„მე მინდა განვაცხადო, ღრმად მწამს, რომ ამ აქტით საქართველო თავის ერთადერთ ისტორიულ ნავსაყუდელს უბრუნდება. საიდანაც პრაქტიკულად ჩვენი განვითარების ახალ ეტაპს დავიწყებთ“, – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ და გაიხსენა ის სახელმწიფო თუ სასულიერო მოღვაწენი, ვინც საუკუნეების განმავლობაში ევროპისკენ მისასვლელ გზას კვალავდნენ. საქართველოს პარლამენტის სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს პარლამენტის თითოეულ წევრს, თითოეულ პოლიტიკურ ჯგუფს, ვინც ფასდაუდებელი შრომა გასწია იმისთვის, რომ ყოველგვარი ბარიერი და ეჭვი საქართველოსთან მიმართებაში გაფანტულიყო და შემდგარიყო სწორედ ისეთი ერთსულოვანი კენჭისყრა, როგორიც 27 იანვარს ევროპის სასახლეში მოხდა. „განსხვავებული მიდგომები, ყოველგვარი პოლიტიკური დაპირისპირების მიუხედავად, ამ საკითხში არ არსებობს და დღეს მინდა ერთიანობას განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, ვინაიდან ეს ის არის, რასაც ასეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებში აუცილებლად უნდა ვუფრთხილდებოდეთ“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

„დღეს უეჭველია, რომ სრულდება ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის პოლიტიკის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი. ეტაპი, რომელსაც ერქვა დაბრუნება ევროპისაკენ. მაგრამ დღესვე, დარწმუნებული ვარ, არანაკლებ მნიშვნელოვანი და განვითარების ბევრად უფრო უმტკივნეულო გზა იწყება, ამჯერად უკვე ჩვენი ევროპული განვითარების ეტაპი.“ – აღნიშნა გამოსვლის დასასრულს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
28 აპრილი, 1999 წ. №110 (3151). გვ. 1-3

„ჩემს ძმას წვრილ ბიზნესში არაფერი გამოსდის“

თამარ ნინიძე

ბ-ნო ზურაბ, პოლიტიკოსთა ერთი წრე აქტიურად საუბრობს იმის შესახებ, რომ მოქალაქეთა კავშირი არაერთგვაროვანი გუნდია და ამ პარტიაში სხვადასხვა ტიპის შემადგენლობაა. თქვენი აზრით, როგორია მათ შორის დამოკიდებულება?

ჩვენ მართლაც მრავალფეროვანი პარტია ვართ, ძალიან ბევრი სხვადასხვა ადამიანია მოქალაქეთა კავშირში, ჩვენ არ ვართ პატარა ჯგუფური ტიპის პარტია, ჩვენთან არიან ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში საქართველოს სახელს უქმნიდნენ თავიანთი შრომით, შემოქმედებით, ჩვენთან არიან ადამიანები, ვინც წარმოადგენდა ყოფილი საბჭოური ხელმძღვანელი წრეების საუკეთესო ნაწილს, ჩვენთან არის ხალხი, ვინც მოსულია ეროვნული მოძრაობიდან, ვისაც ადრე არაფერი საერთო არ ჰქონდა სახელისუფლებო სტრუქტურებთან და ვერც ენდობოდა, ბევრია ახალგაზრდა, რომელიც ადრეულ წლებში დაინტერესდა პოლიტიკით და შემოუერთდა მოქალაქეთა კავშირს. ასე რომ, თითოეული დაჯგუფების პოლიტიკური წარმომავლობა საკმაოდ განსხვავებულია, მაგრამ მყარად გვაერთიანებს ის, რასაც ვუწოდებთ ჩვენს საერთო ხედვას. უმთავრესი კი ის არის, რომ მოქალაქეთა კავშირი შეიქმნა როგორც ის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქართული ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. თორემ სახელმწიფოებრიობის პრიორიტეტი, მისი უპირატესობა ყველა სხვა საკითხთან დაკავშირებით, მთავარი გამაერთიანებელი იდეაა თითოეულისათვის მოქალაქეთა კავშირში. შევარდნაძის პოლიტიკა, რაც არის ყველაზე მოკლე და ყველაზე ეფექტური გზა, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოსაყალიბებლად, ეს არის უალტერნატივო გზა და სწორედ ამიტომაც ჩვენი პოლიტიკური გუნდი ჩამოყალიბდა ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის გარშემო იმისათვის, რათა უზრუნველვყოთ პოლიტიკური კურსის რეალიზება.

როგორია თქვენი პირადი დამოკიდებულება პრეზიდენტისადმი?

მე ძალიან მოხარული ვარ და შემიძლია ვთქვა, ბედმა გამიღიმა რომ მაქვს საშუალება მჭიდროდ ვიმუშაო, ასე ახლოს, მეოცე საუკუნის მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ დიდ გრანდთან, ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ დიდოსტატთან, გარწმუნებთ, რომ ეს ბევრი უნივერსიტეტის დამთავრებაზე უფრო მეტი გამოცდილებაა. ეს – რაც შეეხება ჩემს პირად დამოკიდებულებას. გარდა ამისა, შევარდნაძესთან თანამშრომლობა აძლევს ადამიანს იმის განცდას, რომ ხედავ შენი თვალით, თუ როგორ იქმნება ისტორია, ფერფლიდან და ნანგრევებიდან ფენიქსივით ფეხზე დგება და ცოცხლდება ქართული სახელმწიფო, თავის სახეს იძენს, რომელიც ნამდვილად გამოარჩევს ჩვენს

ქვეყანას სამომავლოდ ძალიან ბევრი სხვა ქვეყნისაგან და განსაკუთრებულ ადგილს დაუმკვიდრებს მსოფლიოში. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკის შედეგი და ამის თანამონაწილეობა, საშუალება ყოველივე ამას თვალყური ადევნო ნამდვილად ჩვენი თაობის პრივილეგიაა. შანსია, რომ მივიღოთ მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის ისტორიის შექმნაში.

დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი და დამახასიათებელი ნიშანი, კარგი გაგებით, არის დაპირისპირება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ ორ ხელისუფლებას შორის კამათის შემთხვევები და მორიგებები?

ასეთი დაპირისპირებები ჩვენ ნამდვილად არ გვაკლია და ეს არის სწორედ ის, რის გამოც მუდმივად ჩნდება ჭორები, ჩვენ შორის „დაპირისპირებების“ თაობაზე. ვგულისხმობ მოქალაქეთა კავშირის გუნდს, რომ ხან ჟვანიას შევარდნაძესთან აქვს პრობლემები, ხან ჟვანია და ლორთქიფანიძე ვერ იყოფენ რაღაცას, სინამდვილეში საქმე სხვაგვარად არის, 1995 წლის ნოემბერში ჩვენ წინაშე თეორიულად ორი არჩევანი იყო, ხაზს ვუსვამ, თეორიულად. ან აღმასრულებელი ხელისუფლება და პარლამენტიც უნდა დაგვექვემდებარებინა პარტიული ინტერესებისათვის და მაშინ იარსებებდა სრული ჰარმონია, თვალი დაგვეხუჭა ყველა იმ ნაკლზე, რომელიც შეუძლებელია არ არსებობდეს გარდამავალ პერიოდში ცალკეულ სამინისტროში, პარლამენტში, მთლიანად ხელისუფლებაში, და ამის მაგალითები დღევანდელ საქართველოში მრავლად არის. როცა შავზე ბეჯითად უნდა იძახო, თეთრიაო და შეეცადო საზოგადოებას თვალში ნაცარი შეაყარო, ბევრი არჩევანი იყო, რომ ჩვენ ურთიერთობები პრეზიდენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებას და პარლამენტს შორის ჩამოგვეყალიბებინა ინსტიტუციონალურად. უწყებრივ საფუძველზე და, რა თქმა უნდა, აქ კითხვის ნიშანი არც ერთი ჩვენგანისთვის არ არსებობდა. ჩვენ სწორედ ეს გზა ავირჩიეთ. ეს გზა აირჩია უპირველეს ყოვლისა, შევარდნაძემ. მე კარგად მახსოვს ჩვენი პირველი საუბარი მას შემდეგ, რაც ამირჩიეს პარლამენტის თავმჯდომარედ. მისი მხრიდან იყო გამოწვევა, რომ პარლამენტი უნდა იყოს დამოუკიდებელი, ძლიერი და უნდა შეასრულოს თავისი ფუნქცია არა მხოლოდ კანონშემოქმედებითი, არამედ, რასაც ჰქვია საპარლამენტო ზედამხედველობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ძალიან ცოტა ქვეყანა შეიძლება დაასახელოთ, სადაც მმართველი პარტია 2-3 წლის განმავლობაში აღძრავდა 5 ყველაზე საკვანძო მინისტრის გადაყენების საკითხს, თანაც საჯაროდ, ისე რომ საზოგადოებისათვის ცნობილი იყო თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში არგუმენტები ამის სასარგებლოდ, რამ გვაიძულა ამ ნაბიჯებზე წავსულიყავით, მით უფრო, რომ ამ მინისტრების უდიდესი ნაწილი იყო ჩვენი პარტიის აქტიური წევრი. ცოტას იპოვით თქვენ შემთხვევებს, როდესაც მართლაც ჩვენი გუნდიდან წასული მინისტრების შეცდომები არათუ არ მიგვიჩქმალავს, არამედ, როდესაც ვხედავდით, რომ პრობლემები იქმნებოდა, ჩვენ თვითონ გამოგვქონდა ის საჯაროდ და ჩვენვე მოვუწოდეთ ჩვენს უახლოეს მეგობრებს, დაეტოვებინათ ძალიან მაღალი თანამდებობები აღმასრულებელ ხელისუფლებაში. იყვნენ სხვა პარტიებიც, რომლებიც დღეს ჩვენს ოპოზიციაში არიან, ხელისუფლებაში ჰყავდათ

საკვანძო პოსტებზე თავიანთი წარმომადგენლები, მაგრამ როდესაც მათი მისამართით კრიტიკა ისმოდა, ეს პარტიები მზად იყვნენ უარეყოთ ნებისმიერი მათი ნაკლი, იქნებოდა ეს საბაჟოს მუშაობა, ეკონომიკური უწყებების თუ სხვა. ჩვენ ამ გზით არ წავსულვართ. საზოგადოების განვითარება, ამ ქვეყნის წარმატება და პროგრესი დამოკიდებულია იმაზე, რომ მივაღწიოთ, რეალურად გამჭვირვალობას და გახსნილობას პოლიტიკურ პროცესში.

კონკრეტულად თქვენი პარტიის რომელ წევრებს გულისხმობთ?

აი, თუნდაც მიხეილ ჭკუასელის საქმიანობა, რომელიც აგერ ბოლო ათი წელია ჩემი მეგობარია, ჩემთან ერთად მოვიდა პოლიტიკაში და ძალიან ვაფასებ მის შესაძლებლობებს, საინტერესო და გონებაგახსნილი ახალგაზრდა ადამიანია, მაგრამ ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, მისი მინისტრობის პერიოდში შეიქმნა სერიოზული ფინანსური კრიზისი საქართველოში. ვფიქრობ, მიშას გადაწყვეტილება, რომ გადამდგარიყო ამ პოსტიდან, რომელიც არ მიუღია ჩვენთან კონსულტაციის გარეშე, იყო აბსოლუტურად გამართლებული და ჩვენ არა მარტო მხარი დავუჭირეთ, არამედ მოვუწოდეთ, რომ სწორედ ასე მოქცეულიყო. ეს არ არის ქართულ პოლიტიკაში ურთიერთობებიდან გამომდინარე ძალზე ჩვეულებრივი ნაბიჯი. მე ძალიან ბევრი ვიცი, მათ შორის ჩვენს ოპოზიციაში მოღვაწეები, რომლებიც ბოლო მომენტამდე ებღაუჭებოდნენ თავიანთ სავარძლებს, მუხედავად იმისა, რომ ბევრად უარესად ახორციელებდნენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს, ვიდრე ამას აკეთებდა მიხეილ ჭკუასელი და თითქოს არ ვიცი იმის პრეცედენტები, ადამიანს, მით უფრო ახალგაზრდას, ასე გაბედულად აეღო საკუთარ თავზე პოლიტიკური პასუხიმგებლობა და მიეღო ეს გადაწყვეტილება, რომელიც უნდა მიიღოს პოლიტიკოსმა რთულ სიტუაციაში.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს და დემოკრატს, რამდენად სწორედ მიგაჩნიათ კომუნისტური პარტიის გაუქმება? ამით ხელს ხომ არ შევუწყობთ კომუნისტური იდეის არასასურველ აღიარებას და კომუნისტების გადაქცევას წამებულ გმირებად?

მე ნამდვილად არ ვემხრობი კომპარტიის აკრძალვას იმისა გამო, რომ კომუნისტური იდეა საქართველოში არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს. საქართველო გახდა ერთადერთი პოსტსაბჭოური რესპუბლიკა, სადაც 1995 წლის არჩევნებში კომუნისტებმა ვერ მოიპოვეს პარლამენტში ვერცერთი ადგილი. ბალტიის ქვეყნებშიც კი მათ ჰქონდათ გარკვეული წარმომადგენლობა და თანაც, საქართველოში საყოველთაო შეფასებით, ყველა უცხოელი დამკვირვებლის შეფასებით, 1995 წლის არჩევნები იყო ყველაზე სამართლიანი, ყველაზე თავისუფალი და გახსნილი ყველა სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყანასთან შედარებით. ანუ მორალი როგორია – საქართველოს ყველაზე ნაკლებად ემუქრება კომუნიზმის საფრთხე. ირბინონ, წამოაყენონ თავიანთი ლოზუნგები, შეეცადონ ვიღაცა დააჯერონ, რომ კიდევ შეიძლება დაბრუნდეს 20 კაპიკიანი პური, უფასო განათლება, უფასო სამედიცინო მომსახურება, ისე, როგორც ეს იყო საბჭოთა პერიოდში. დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე ადამიანის გარდა, ამ აბსურდულ იდეებს ვეღარავინ გაიზიარებს. ერთადერთი ეს არ შეეხება

კომუნისტურ პარტიებს, თუკი დადასტუდრება, რომ ესა თუ ის ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, კომუნისტური ორიენტაციის არის, ნაციონალისტურის, ცენტრისტული, მემარცხენე. მათ მიმართ, პირიქით, მომხრე ვარ უმკაცრესი ზომების გატარებისა. მომხრე ვიქნები, რომ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ამოიშანთოს ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელსაც რაიმე კავშირი გააჩნია ტერორთან.

იქ, სადაც დემოკრატიას მყარად აქვს საფუძველი, კომუნისტური საფრთხე ნაკლებია, რომც უნდოდეს ხელისუფლებას ტოტალიტარული მეთოდით კომუნიზმის ჩახშობა, ამას ალბათ დიდი ფული და ენერგია სჭირდება.

კიდევ ერთხელ ვამბობ, კომუნისტების ჩახშობის არანაირი აუცილებლობა საქართველოში არ არის. იმიტომ, რომ ეს იდეა ჩაახშო თავად ქართულმა საზოგადოებამ. რუსეთისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირის პერიოდშიც კი, საქართველოში კომუნიზმის იდეა, პრაქტიკულად მიუღებელი იყო საზოგადოებისათვის. არსად ისე ციინიკურად და აშკარა აგდებით არ უყურებდნენ კომპარტიაში წევრობას, როგორც საქართველოში და ყველამ იცოდა, რომ კომპარტიის წევრობა იყო გარკვეული ხარკი გაღებული იმისათვის, რომ ადამიანს ჰქონოდა შესაძლებლობა სამსახურებრივი წინსვლისა, განსხვავებით რუსეთისა და სხვა რესპუბლიკებისაგან, სადაც ბევრი გულწრფელად იზიარებდა ამ იდეას.

საზოგადოებაში ბევრი საუბრობს, პრეზიდენტის, მინისტრებისა და დეპუტატების საოჯახო ბიზნესზე, პირადად თქვენი აზრი მაინტერესებს, ეს ადამიანები გადასახადს იხდიან თუ საზოგადოებასთან შეთანხმება აქვთ, რომ თავი აარიდონ გადასახადებს?

რაკი ეს თემა ახსენეთ, მინდა გითხრათ, რომ მხოლოდ ძალიან არაჯანსაღ ადამიანს შეუძლია მოუვიდეს თავში აზრად, ისაუბროს ედაუარდ შევარდნაძის საოჯახო ბიზნესზე. ყველაფერს რომ თავი დაანებო და შევარდნაძე არა როგორც პრეზიდენტი, არამედ როგორც ერთ-ერთი მოქალაქე, ისე განიხილო, იშვიათად ნახავთ ადამიანს, რომელსაც ამდენად ზიზღიანი დამოკიდებულება ექნება კორუფციის ნებისმიერი გამოვლენისადმი. ეს, მისი, როგორც მოღვაწის თვისება იყო ყოველთვის და ამით გამოირჩევა ადრეულ წლებშიც კი. რაც შეეხება ჩემს საოჯახო ბიზნესს, უნდა გითხრათ, რომ ასეთი რამ ბუნებაშიც არ არსებობს, ამიტომ, ბუნებრივია, რაიმე გადასახადისაგან თავის არიდებაზე საუბარი სრულიად არარსებული თემაა. ჩემი ძმა ცდილობს წვრილი ბიზნესი განახორციელოს. მაგრამ ჯერჯერობით წარუმატებლად. ჩემი ოჯახის სოციალური და ფინანსური სტატუსი პრაქტიკულად ისეთივეა, როგორც იყო 10 წლის წინ, როდესაც მე საკმაოდ ხელმოკლე ოჯახიდან მოვედი პოლიტიკაში. პოლიტიკაში ყოფნის 10 წლის განმავლობაში ჩემი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა ნამდვილად არ შეცვლილა, შესაბამისად – არც ჩემი ქონებრივი მდგომარეობა.

ოპოზიცია არაერთხელ მიანიშნებდა ნუგზარ შევარდნაძის ბიზნესზე. თქვენი ინფორმაციით, როგორი დამოკიდებულება აქვს ბატონ ნუგზარს საგადასახადო სამსახურთან?

ნამდვილად არასოდეს შემიმოწმებია ნუგზარ შევარდნაძის ურთიერთობები საგადასახადო სამსახურთან. ერთი კი არის, რომ მომსწრე ვყოფილვართ არაერთხელ, როდესაც პრეზიდენტს ძალიან მკაცრად მოუთხოვია სამართალდამცავი სამსახურებისთვის, რომ საგანგებოდ მიაქციონ ყურადღება მისი ნათესავების საქმიანობას ბიზნესში და ნათესავები არ გახლავთ მხოლოდ ოჯახის წევრები, ძალიან ძნელია, აუკრძალო ყველა შენს ნათესავს სამეწარმეო საქმიანობა, ძნელი კი არა, არამედ აბსურდული და წარმოუდგენელი იქნება. პრეზიდენტი ყოველთვის განსაკუთრებით ითხოვს, რომ იყოს სრული გარკვეულობა მისი ნათესავების ურთიერთობების თვალსაზრისით საგადასახადო სამსახურთან.

გაგრძელება შედეგ ნომერში.

გაზ. „ახალი თაობა“. 11 ივნისი, 1999 წ. №158 (1286). გვ. 2-4

ვაჟა ლორთქიფანიძეს ჩემი სახით კონკურენტი არ ეყოლება

საქართველოში მოქალაქეთა კავშირის დამარცხების შემთხვევაში იქნება ქაოსი, ახალი არეულობა

თამარ ნინიძე

დასაწყისი წინა ნომერში

მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო სიებზე მინდა გკითხოთ, არის თუ არა იმის საფრთხე, რომ ვინც სიებში ვერ მოხვდება, მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელობას დაუპირისპირდება და გაჩნდება შიდა წინააღმდეგობები?

მე უნდა გითხრათ, რომ ის ხალხი, ვინც ერთგულად ემსახურებოდა ჩემს იდეებს, ვინც ერთგული იყო სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის და ეს არის აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენი დღევანდელი ფრაქციის, პარლამენტის უმრავლესობის დღევანდელი შემადგენლობის, არც ერთი ასეთი ადამიანი არ დარჩება, როგორც იტყვიან, ბორტს მიღმა. შეიძლება ვიღაცამ აირჩიოს პარლამენტის ნაცვლად სხვა საქმიანობა, რაშიც აუცილებლად ხელს შეგიწყობთ იმიტომ, რომ მართლაც ძალიან ბევრი უაღრესად საინტერესო კადრი არსებობს დღეს პარლამენტში და დარწმუნებული ვარ, ეს არანაირ პრობლემას არ შექმნის და ამაზე ბევრი კონსულტაცია მაქვს ჩემს კოლეგებთან, მეგობრებთან. ასე რომ, პრესაში ატეხილი ჟივილ-ხივილი, რომ მოქალაქეთა კავშირში დაიწყება დიდი განხეთქილება სიების ფორმირების გამო, უნდა გითხრათ, როგორც ჟივილ-ხივილი წლების განმავლობაში დარჩება სრულიად ცარიელი, და გარწმუნებთ, არაფერი მსგავსი არ მოხდება.

პირადად თქვენ მიიღებთ მონაწილეობას მოქალაქეთა კავშირის სიების დაკომპლექტებაში და სავარაუდოდ როდის გამოქვეყდნება ეს სიები პრესით?

სიების დაკომპლექტებაში მივიღებ მონაწილეობას მეც, პარტიის ძალიან ბევრი წევრი, ეს იქნება საჯარო პროცედურა, სადაც ათასობით ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. თუ ვინმეს ექნება გადამწყვეტი ხმის უფლება, ეს იქნება, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი პარტიის ლიდერი და თავმჯდომარე. როდის გამოქვეყნდება სიები, ამის თქმა ძნელია, ჩვენ ამას არ ვჩქარობთ, იმიტომ რომ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ბევრ საინტერესო ადამიანთან, როგორც საქართველოში. ისე მისი ფარგლების გარეთ, ჩვენს თანამემამულეებთან, საჭიროა პირობების შექმნა, რომ ადამიანს, ვინც მიიღო განათლება, შეიძინა სრულიად ახალი გამოცდილება, გაუჩნდეს სურვილი დაბრუნდეს შინ. საკაშვილის და ონოფრიშვილის ასეთ წარმატებული საქმიანობა ქართულ პოლიტიკაში, მე ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალია იმ ათასობით ქართველი ახალგაზრდისათვის, ვინც ბრწყინვალე სპეციალისტი და პროფესიონალია და

ამ წლების განმავლობაში მსოფლიოს ყველაზე წამყვან ცენტრებში ბიზნესსაც აკეთებენ, მშვენიერი მეცნიერები არიან. ვეცდებით, რომ ასეთი ახალგაზრდები აუცილებლად ჩამოვიყვანოთ. ზოგიერთი მათგანი მოხვდება ჩვენს სიაში, არა მხოლოდ ახალგაზრდები, გამოცდილი თაობების წარმომადგენლებიც. ჯერჯერობით ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხზე. როცა საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით, ერთ-ერთ პირველს თქვენ მოგცემთ ინფორმაციას ამის თაობაზე. მე იმედი მაქვს, რომ ეს მართლა ძალიან სასიამოვნო სიურპრიზი იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის.

ადამიანურ ასპექტში, რა მოგიტანათ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელმა?

საისამოვნო არის ის, რომ როდესაც ხარ ქვეყნის ერთ-ერთ უმაღლეს თანამდებოებაზე და რაღაცა გამოგდის კარგად, თუნდაც პატარა საქმე, ეს, ცხადია, ძალიან დიდი კმაყოფილების განცდას აძლევს ადამიანს. რომელიმე ყველაზე მივიწყებულ მაღალმთიან სოფელში თუ მოახერხებ, რომ დაეხმარო ხიდის შეკეთებაში, როცა ხედავ მადლიანი ადამიანების თვალებს – ეს საოცარი ჯილდოა ნებისმიერი მოღვაწისათვის. როდესაც ხედავ, რომ შეგიძლია წარმოადგინო შენი ქვეყანა მსოფლიოს ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან, ესეც, რა თქმა უნდა, იწვევს კმაყოფილების გრძნობას, როდესაც ხედავ, რომ ცარიელ ადგილზე შენს მეგობართან ერთად მოახერხე შეგექმნა უნიკალური სტრუქტურა პარლამენტის სახით, რომელიც სრულიად გამორჩეულია ყველა სხვა პარლამენტთან შედარებით ჩვენს რეგიონში ყოფილ საბჭოურ სივრცეში, გნებავთ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. სამაგიეროდ მოხდება უარის თქმა პრაქტიკულად ყველაფერზე, რაც ნებისმიერი ადამიანისათვის, იქნება ეს პოლიტიკოსი, მწერალი, ფერმერი თუ მუშა, მთავარია ურთიერთობები შენს ოჯახთან, მეგობრებთან, შვილებთან და, უნდა გითხრათ, ეს მართლა ძალიან მძიმე ფასია. ხშირად ვფიქრობ ხოლმე, იწყება საარჩევნო კამპანია, თავი უნდა მოვიკლა ჩემს მეგობრებთან ერთად და რის გამო, იმის გამო, რომ კიდევ 4 წლის განმავლობაში მომიხდეს ამ რეჟიმში ცხოვრება და დილის 9-ის ნახევრიდან ღამის 1 საათამდე მანქანასავით ვიმუშაო. ყოველდღე უნდა შევხვდე ათეულობით ადამიანს სრულიად სხვადასხვა საკითხზე, შემდეგ რამდენიმე საათი დავიძინო და დილით ისევ იგივე დაიწყოს. პოლიტიკაში თუ ხარ პატიოსნად, ძალიან მცირე ფასის გაღება გიხდება იმისათვის, რასაც აკეთებ. არიან პოლიტიკოსები, ვინც მოახერხა პოლიტიკა ბიზნესად ექცია. ორიოდე წლის განმავლობაში ფირმების მთელი ქსელი შეექმნა. ჩემი მეგობრებისათვის და ჩემთვის მთავარია, ვგრძნობდეთ, რომ რაღაცის გაკეთებას ვახერხებთ საიმისოდ, რომ შეიქმნას ქართული სახელმწიფო და წლების შემდეგ ვთქვათ, რომ ამ პროცესში ჩვენ რაღაც წვლილი შევიტანეთ.

თქვენ ერთ-ერთი ახალგაზრდა პოლიტიკოსი ბრძანდებით, ვისაც მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავს როგორ ახერხებთ თავისუფალი დროის გატარებას, რაიმე პრობლემა ხომ არ გექმნებათ, თქვენი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, დაცვის თანხლებით გაატაროთ თავისუფალი დრო შვილებთან ერთად?

თუ ქვეყანა არ იქცევა, კვირა დღეს პირველ ნახევარში არასოდეს არაფერს ვგეგმავ და ეს დრო მაქვს ბავშვებთან ურთიერთობებისათვის, ძირითადად გავდივართ ხოლმე ქალაქგარეთ, ტყეში. უნდა გამოგიტყდეთ, რომ, როგორც წესი, დაცვასთან მაქვს თანხმობა, რომ ჩემი ოჯახი მიმყავს ჩემთვის უსაყვარლეს ადგილებში, ბეთანიაში, დავით გარეჯში, ძალიან მიხარია, რომ ბავშვებს მოსწონთ ეს ადგილები. ჩემი ბიჭი, რომელიც ორნახევარი წლისაა, რამდენჯერაც დამელაპარაკება, ყოველთვის მეკითხება, მამა, ტყეში როდის წავალთო, თავის დროზე ასე მზრდიდა მამაჩემიც. პირველი, რაც მე ვისწავლე ჩემი ოჯახიდან – ეს იყო საქართველოს, ბუნების, ისტორიის, ძეგლების სიყვარული. მინდა ეს ტრადიცია გავაგრძელო, ჩემს შვილებს პატარობიდანვე დავანახო, რამდენად ლამაზია მათი სამშობლო, როგორ შეუძლიათ იამაყონ იმით, რაც დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა.

ერთი წლის წინ და ახლაც საუბარია აღმასრულებელ ხელისუფლებაში პრემიერ-მინისტრის პოსტის აღდგენასა და სხვა საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რა იგულისხმება ამაში და როდისაა მოსალოდნელი ეს ცვლილებები?

საკითხი დღესდღეობით მოხსნილია დღის წესრიგიდან. შეიძლება ამაზე საუბარი განახლდეს არჩევნების შემდეგ. თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ აუცილებელი იქნება ასეთი საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება, თავის დროზე მე ვემხრობოდი საკმაოდ აქტიურად ამ იდეას, სირთულეებთან და მძიმე შეთანხმებებთან არის დაკავშირებული, ასე რომ, უახლოეს მომავალში პირადად მე არ ველი ცვლილებებს.

პრემიერ მინისტრის პოსტი არ აღდგება?

არ გამოვრიცხავ, რომ სახელმწიფო მინისტრის ფუნქციები გაფართოვდება. ყველანაირად მივესალმები ამას, მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებები ალბათ დარჩება ისე, როგორც არის.

არის ისეთი მოსაზრება, რომ თუ გაფართოვდება სახელმწიფო მინისტრის უფლებები და მოვალეობები. ძირითადად ამ პოსტზე ორი ფიგურა იქნება წარდგენილი: თქვენი და ბ-ნი ვაჟა ლორთქიფანიძის.

ამ პრობლემას ძალიან მარტივად მივხედავთ ახლავე. გარწმუნებთ, რომ ვაჟა ლორთქიფანიძეს ჩემი სახით კონკურენტი არ ეყოლება. მან ძალიან საინტერესოდ დაიწყო თავისი საქმიანობა სახელმწიფო მინისტრის პოსტზე, ბევრი რამის გაკეთება მოახერხა, კიდევ ბევრად მეტი აქვს გასაკეთებელი. ისევე, როგორც თითოეულ ჩვენგანს და, ვფიქრობ, ჩვენ ძალიან კარგად ვთანამშრომლობთ ერთმანეთთან იმგვარად, როგორც ვთანამშრომლობთ დღეს, ისე გაგრძელდება მომავალშიც.

ვინ არიან სმკ-ს სერიოზული ოპონენტები, როგორია თქვენი მათდამი დამოკიდებულება და როგორ იღებთ კრიტიკას?

ჩვენ გვყავს ოპონენტები და გვყავს უბრალოდ ვნებააშლილი მტრები. ჩვენი ოპონენტები არიან ის ადამიანები, რომელთაც ჰყოფნით გამბედაობაც და ჭკუაც, გვაკრიტიკონ კონკრეტულ საკითხებზე; წარმოადგინონ ჩვენი კონკრეტული შეცდომები, რომელიც ნამდვილად გაგვაჩნია; საკმაოდ სერიოზული შეცდომებიც. ისინი მოითხოვენ ჩვენგან, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის

პარტიისაგან, უფრო ენერგიულ ქმედებებს და არიან ადამიანები, რომლებიც, ვფიქრობ, საზოგადოებისათვის ეს უკვე აშკარაა, იბრძვიან არა იდეებისათვის, არა თავიანთი პრინციპების განხორციელებისათვის, არამედ ერთადერთი რაღაცისათვის, რომ როგორღაც განთავსდნენ სახელისუფლებო სავარძლებში, როგორ შეიძლება ამ ორი კატეგორიის განსხვავება? – ძალიან მარტივია, როდესაც ადამიანი ქადაგებდა ერთს, ცაში აჰყავდა შევარდნაძე, აღმერთებდა მას, გადაბარგდა ყოველგვარი პრობლემების გარეშე შევარდნაძის მოწინააღმდეგე ბანაკში. მხოლოდ იმის გამო, რომ აქედან უფრო მეტი შანსია, მოხვდეს ხელისუფლებაში. ცხადია, ეს არის ადამიანი, რომელსაც არ აქვს არანაირი პრინციპი და პოლიტიკას ხედავს, როგორც თავისი პირადი მიზნების მიღწევის საშუალებას. რაც შეეხება ჩვენს ოპონენტებს, მე ხშირად მსაყვედურობენ ჩემი თანაპარტიელები. რომ ზედმეტად დემოკრატიული ვიყავი ამ წლების განმავლობაში მათთან ურთიერთობაში. ჩვენ არ გვქონდა უმრავლესობის პრობლემა. გვყავდა მყარი, ერთპარტიული უმრავლესობა. ჩვენ შეგვეძლო ყოველგვარი მოლაპარაკებების გარეშე ჩაგვეტარებინა ნებისმიერ საკითხზე კენჭისყრები, მაგრამ ეს ნამდვილად ძალიან ცუდი იქნებოდა გახსნილი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. ამიტომ არ დაგიმალავთ, რომ ზოგჯერ ხელოვნურადაც კი ვდგამდით გარკვეულ ნაბიჯებს. რომ საქართველოში არსებობდეს ძლიერი, სახელწმიფოებრივი პატიოსნებით აღჭურვილი ოპოზიცია. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ მივაღწიეთ წარმატებას, სხვა შემთხვევაში გამოვიდა მარგალიტის გაბნევა აუდიტორიის წინაშე, ვინც არანაირად არ დააფასა. მე იმედი მაქვს, რომ შემდგომი საპარლამენტო ვადა საშუალებას მისცემს ზოგიერთ პარტიას, ჩამოაყალიბოს მოქალაქეთა კავშირის რეალური ალტერნატივა. დღეს ასეთი ალტერნატივა საქართველოში არ არსებობს. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც შეძლებს შექმნას ისეთივე შეკრული, ძლიერი მმართველობა, როგორიც დღეს, ბევრი ნაკლის მიუხედავად, გააჩნია მოქალაქეთა კავშირს. ეს არის ყველაზე ცუდი დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში. თუ წარმოვიდგენთ, რა მოხდება საქართველოში მოქალაქეთა კავშირის დამარცხების შემთხვევაში, პასუხი ძალიან მარტივია – ეს იქნება ქაოსი, ახალი არეულობა. ჩვენ დავუბრუნდებით ყველაზე მძიმე მდგომარეობას, რაც კი გადაგვიტანია ბოლო წლების განმავლობაში. და კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ ეს არ არის ნორმალური მდგომარეობა. უნდა არსებობდეს ორი, სამი, ოთხი პარტია, რომელსაც საზოგადოება განიხილავს, როგორც ერთმანეთის ალტერნატივას. ელემენტარულად, ადამიანებს ბეზრდებათ ერთი და იგივე პარტიისთვის ხმის მიცემა, საჭიროა გარკვეული განახლება და, მე დიდი იმედი მაქვს, რომ შემდგომი საუკუნის პირველსავე წლებში ასეთი ალტერნატიული, ძლიერი პარტიები შეიქმნება. მე მაქვს ჩემი ჩამოყალიბებული მოსაზრებები. ნუ მაიძულებთ, დავასახელო პარტიების სახელები, რადგან ეს აღქმული იქნება, როგორც მათ პროპაგანდირება. რაც ნამდვილად არ მინდა ამჟამად გავაკეთო.

როგორია თქვენი პირადი შეხედულება მესამე პოლიტიკური ცენტრის შესახებ, რომელშიც გაერთიანებული არიან ეროვნულ-დემოკრატები და რესპუბლიკელები?

მე ძალიან ვაფასებ რესპუბლიკელებს, რომლებთანაც ძალიან ხშირად მქონია უმწვავესი დაპირისპირება, მაგრამ ვაფასებ მათ გულწრფელობას, რომ ისინი არასოდეს თავიანთ იდეალებს არ ცვლიდნენ პოლიტიკურ დივიდენდებზე. ძალიან ვაფასებ სარიშვილში იმას, რომ წარმოაჩინოს პრობლემები გასაგებ ენაზე, მკვეთრად და მკაფიოდ. რაც აწუხებს საზოგადოებას, რა გამოვა ასეთი შეერთებისაგან, ჩემთვის ძნელი სათქმელია. მე ვფიქრობ, ეს არის ძალა, რომელიც ორიენტირებულია ქართულ ფასეულობებზე. სახელმწიფო ინტერესებზე. თუ ისინი მოახერხებენ ამის შენარჩუნებას, ცხადია, მისასალმებელი იქნება. თუმცა, ისიც მინდა ვთქვა, რომ ეროვნულ-დემოკრატები და რესპუბლიკელები ჩემთვის სრულიად გაუგებარ ნაბიჯებს დგამდნენ, არ არიან დაზღვეული გარკვეული პოპულიზმისაგან, რომელიც მათი პრობლემებია.

უფრო კონკრეტულად რას გულისხმობთ პოპულიზმში?

ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ იმ აჟიოტაჟს, რომელიც ირინა სარიშვილმა-ჭანტურიამ ატეხა 7% ბარიერთან დაკავშირებით. მან ჩემზე უკეთ იცის, რომ ნაკლებად სავრაუდოა 157 ხმიანი უმრავლესობის მოპოვება პარლამენტში ამ შესწორებების მისაღებად. მან გამოიყენა ეს თემა კარგი წინასაარჩევნო პროპაგანდისათვის, რათა დაარწმუნოს ყველა, რომ მათ შეუძლიათ გაბედულად ისაუბრონ 7%-იანი ბარიერის გადალახვაზე, მაგრამ ასეთი სისუსტეები ალბათ ყველა პოლიტიკოსს გაგვაჩნია.

გაგრძელება იქნება

გაზ. „ახალი თაობა“. 12 ივნისი, 1999 წ. №159 (1287). გვ. 3-4

სამართლიანად უნდა შევაფასოთ უკანასკნელი ისტორიის ყველაზე სისხლიანი და ყველაზე სამარცხვინო ფურცლები

ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიასთან

თამარ ნინიძე

თუ არ ვცდები, რეიგანს აქვს ასეთი სიტყვები პრესასთან დაკავშირებით: „სტატიას რომ წავიკითხავ, ვბრაზდები და გაზეთის დახურვაზე ვფიქრობ, მაგრამ მერე მახსენდება, რომ თავისუფალი აზრი ყველაზე კარგია და ალტერნატივა არა აქვს“. თქვენ თუ გქონიათ ასეთი სურვილი, რომ რომელიმე გაზეთის დახურვა გიფიქრიათ?

ძალიან ხშირად. არ ვიცი, ეს ჩემი ნაკლია თუ დადებითი მხარე, მაგრამ საკმაოდ წყნარად აღვიქვამ ნებისმიერ კრიტიკას ჩემ მიმართ და ეს ჩემმა მეგობრებმაც იციან, მაგრამ ძალიან მაღიზიანებს, როდესაც სტატიას აშკარად დაკვეთილის სუნი ასდის, როდესაც ამა თუ იმ გაზეთში გეგმაზომიერად მიმდინარეობს კამპანია იმის წარმოსაჩენად, რომ ჟვანია აკონტროლებს მას მედიას და აწერინებს თავის თავზე მხოლოდ დადებით რაღაცეებს. ნამდვილად გამაღიზიანებელია ეს ჩემთვის იმიტომ, რომ ვინც ოდნავ მაინც არის ჩახედული საპარლამენტო კულუარებში, იცის, რომ ურთიერთობები მას მედიასთან ემყარება, მართლაც, პარტნიორობას, ემყარება იმას, რომ ჩვენ საერთო ინტერესები გაგვაჩნია, რომ საქართველოში შეიქმნას ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და მე თუ რაიმე მიმაჩნია ჩემს პირად წარმატებად – ეს არის ის, რომ პარლამენტი გავხსენით პირველივე დღეებიდან პრესისათვის, მას მედიისათვის და დავარწმუნეთ თითოეული ჟურნალისტი, რომ ისინი საპარლამენტო პროცესის ისეთივე მონაწილეები არიან, როგორც დეპუტატები, ამ შენობაში მათთვის თითქმის არ იარსებებს დახურული ზონები და სივრცეები. ამას წინათ გავეცანი სტატიას ერთ-ერთ გაზეთში, რომ ჟვანია ყოფილა ქართული ფინანსური ოლიგარქიის წარმომადგენელი. არის თემები, რომელიც არა მხოლოდ მე შეურაცხმყოფს, არამედ შეურაცხყოფს ჩემი ოჯახის წევრებს, რომელთაც, გარწმუნებთ, როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ბევრი ისეთი პრობლემა გააჩნიათ, როგორიც გააჩნია ბევრ სხვა ჩვენს თანამოქალაქეს. როდესაც მათ უხდებათ კითხვა იმ აბსურდის, თუ როგორ ვაკონტროლებთ ჩვენ მილიონებს, ოლიგარქიის წარმომადგენლები ვართ, ძალიან მტკივნეული და შეურაცხმყოფელია. ელემენტარულად არის სიცრუე. მოკლედ ასე ვუპასუხებდი თქვენს შეკითხვას, რომ კრიტიკას ყოველთვის დიდი ინტერესით ვეცნობი და ხშირად ყოფილა შემთხვევები, როცა საგაზეთო პუბლიკაციების გამო, კორექტირება გაგვიკეთებია ჩვენი პოლიტიკისა, მაგ-

რამ სიცრუეს და ცილისწამებას აღვიქვამ მტკივნეულად და, პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ თითოეული ასეთი ცრუ, ბინძური სტატიის მიღმა დგას ესა თუ ის ახალგაზრდა ადამიანი, რომელმაც გაყიდა საკუთარი თავი, გაყიდა პატიოსნება და რამდენიმე ვერცხლის ფასად ჩვენი საზოგადოების და ქვეყნის მოწინააღმდეგეების სამსახურში ჩადგა.

საუბრობენ იმაზე, რომ ძალიან რთულად მიმდინარეობს აჭარაში მოქალაქეთა კავშირის რეგიონული ორგანიზაციის ჩამოყალიბება. როგორ მიგაჩნიათ აჭარის პრობლემის დარეგულირება?

აჭარის პრობლემას მე ვერ ვხედავ. ასეთი პრობლემა საქართველოში არ არსებობს და არც არასოდეს იარსებებს. რაც შეეხება პოლიტიკურ კონკურენციას ასლან აბაშიძესთან, მის პარტიასთან – არის ურთიერთობები პარტიებს შორის და არა ურთიერთობები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან. ეს ორი საკითხი ძალიან მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული. მე, შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მივესალმები იმას, რომ აღორძინების კავშირი აქტიურობას ახორციელებს თბილისში, საქართველოს სხვა რეგიონებში. მივესალმები იმას, რომ ისინი რეალურად მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედებენ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე ვიზიარებ მათ შეხედულებებს. მაგრამ ამით ისინი მხოლოდ ადასტურებენ, რომ თავდაპირველად ბათუმში ჩამოყალიბებული ეს პარტია საერთო ქართული პოლიტიკური პროცესების მონაწილეა. ჩვენ, ცხადია, ვართ ერთმანეთის კონკურენტები საარჩევნო პროცესში, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ორივე მხარეს ეყოფა იმის ჭკუა, რომ ამაში არ ჩაითრიონ ურთიერთობები ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებათა შორის.

მაგრამ სხვაგვარად ჩანს იმიტომ, რომ ბ-ნი ასლან აბაშიძე ეწინააღმდეგება ცენტრის მიერ გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს, იქნება ეს საბაჟო საკითხი, ერთიანი საზღვრების გაკონტროლება თუ სხვა.

ზოგიერთი ეს საკითხი დღეს უკვე მოგვარებულია. დანარჩენი დარწმუნებული ვარ, მოგვარდება უახლოეს მომავალში. საქართველო არ არის ის ქვეყანა, არ არის ლაპარაკი ამა თუ იმ პარტიაზე, სადაც საზოგადოება შეეგუება იმას, რომ ჩვენ ვცხოვრობთ შუა საუკუნეების წესით, როდესაც ფეოდალები ყოფდნენ ჩვენს ქვეყანას ცალკეულ ნაწილებად, სხვადასხვა რეჟიმს ამყარებდნენ. საქართველოში ვერავინ შეეგუება იმას, რომ ჩვენი სასაზღვრო ჯარები არ აკონტროლებდნენ საზღვრის რომელიმე მონაკვეთს. ეს კარგად ესმის აბაშიძეს და საქართველოს ნებისმიერი სხვა რეგიონის ხელმძღვანელსაც და კარგად ესმის ყველას აქ, თბილისშიაც. ასე რომ, თუ პრობლემები არსებობს, უნდა ვეძიოთ მათი მოგვარების გზები. ეს არის ის კურსი, რა კურსითაც მიდის შევარდნაძე, რომელსაც ძალიან ხშირად უხდება მთელი თავისი მოთმინების მობილიზება, თავის შეკავება ხშირად იმაზე, რომ პასუხი არ გასცეს ძალიან საეჭვო გამოხტომას და ეს ამართლებს, რომ შეიძლება მეტი შრომის, მეტი დაძაბულობის, მეტი ძალისხმევის შედეგად, მაგრამ ჩვენ ვახერხებთ ჯერჯერობით ამ პრობლემის მოხსნას.

ბ-ნმა პრეზიდენტმა ერთ-ერთ ბრიფინგზე ისევ გაიმეორა რომ არსებობს საქართველოს დაშლის სერიოზული გეგმა. ამ კონტექსტში შეიძლე-

ბა თუ არა განვიხილოთ აჟიოტაჟი ატეხილი იმ კონფერენციის ირგვლივ, რომელიც უნდა ჩატარდეს აჭარაში?

ცხადია, ეს კონფერენცია საქართველოს დაქუცმაცებას ვერ გამოიწვევს, მაგრამ ეს რომ ძალიან სერიოზული პროვოკაცია იყო ფაქტია. მე მოხარული ვარ, რომ აჭარის ხელისუფლებამ ენერგიული რეაგირება მოახდინა ამ საკითხზე და გამოაცხადა, რომ კონფერენცია ბათუმში არ გაიმართება. თუმცა ნამდვილად გასარკვევია, რატომ იყო დაგზავნილი ის მოსაწვევები, სადაც მთავარ სადისკუსიო თემად სწორედ მცირე ერთა თვითგამორკვევის უფლება იყო აღნიშნული. აქ, ცხადია, ლაპარაკი არ არის, თეორიულადაც კი, აჭარის თვითგამორკვევის უფლებაზე. ეს თავში არავის მოუვა არც თბილისში, არც აჭარაში, არც კახეთში. მაგრამ დისკუსია ამ თემაზე, განსაკუთრებით კოსოვოს მოვლენების ფონზე, შეუქმნიდა განსხვავებულ ფონს, იგივე აფხაზ სეპარატისტებს, ცხინვალის რეგიონის სეპარატისტულ ძალებს და სხვა. თვითგამორკვევის უფლება საქართველოში გააჩნია ქართველ ერს და ქართველმა ერმა ეს უფლება გამოიყენა. ყველა დანარჩენ ხალხს, ვინც ცხოვრობს საქართველოში, ყველა სხვა ერის წარმომადგენელს ჩვენ ვუქმნით ყველა პირობას, რაც შექმნილია მსოფლიო პრაქტიკაში, რაც მიღებულია საერთაშორისო სტანდარტებით, მაგრამ ლაპარაკი ვინმეს თვითგამორკვევაზე, საქართველოდან გამოყოფაზე, რა თქმა უნდა აბსურდია და სრულიად გამორიცხულია. მართალია სააკაშვილი იმაში, როდესაც ამბობს, რომ საეჭვოა ამ კონფერენციაზე საქართველოში იწვევენ მსოფლიო სეპარატისტული ელიტის წარმომადგენლებს, იმ ადამიანებს, რომლებიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში გვევლინებიან სეპარატიზმის აპოლოგეტებად ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ეს ძალზე დამაფიქრებელია და მე იმედი მაქვს, რომ ყველა გამოიტანს სათანადო დასკვნებს. მე არა ვარ მომხრე იმისა, რომ ეს თემა კიდევ უფრო გამწვავდეს, გახდეს ახალი დაძაბულობის გამომწვევი. ძალიან მკაფიოდ და მკაცრად შეაფასა ეს საკითხი საქართველოს პრეზიდენტმა და კიდევ ერთხელ ვამბობ, იმედი მაქვს, რომ ეს სერიოზულად ჩააფიქრებს უკლებლივ ყველას.

თქვენ აღიქმებით საზოგადოებაში, როგორც მკვეთრად პროდასავლური კურსის გამტარებელი პოლიტიკოსი, რასაც ვერ ვიტყვით ასლან აბაშიძეზე. არის ეჭვები, რომ ბ.-ნი ასლანი რუსული პოლიტიკის გამტარებელი პიროვნებაა. როგორ ფიქრობთ, რატომ აქვს აბაშიძეს თქვენ მიმართ გამოკვეთილი ანტიპათია?

ამ შეკითხვით ჯობს მას მიმართოთ. ცხადია, პრინციპულად ძალიან განსხვავებული შეხედულებები გვაქვს სახელმწიფო მშენებლობის ყველაზე ფუძემდებლურ საკითხებთან დაკავშირებით, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს საქართველო, როგორ უნდა იყოს მოწყობილი ჩვენი საზოგადოება და მე ყოველთვის ვცდილობ, ურთიერთობები ყველა ჩემს ოპონენტთან წარვმართო პოლიტიკურ სიბრტყეში და ამან არ მიიღოს პიროვნული დაპირისპირების სახე.

აკაკი ელიავასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, რატომ მოითხოვა 19 ოქტომბრის ამბოხის მოთავემ მაინცდამაინც თქვენთან შეხვედრა და

საერთოდ რამდენად დიდია იმის საფრთხე, რომ მსგავსი ავანტიურა განმეორდეს?

თქვენს გაზეთში წავიკითხე ერთ-ერთი ვერსია, რომ მე ვმართავ ელიავას და მე დავავალე, რომ ასეთი ტიპის მიმართვა გაეკეთებინა. ეს ერთ-ერთი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება გაზეთში გამოქვეყნდეს სრულიად აბსურდული ვერსიები და მიწოდებულ იქნეს საზოგადოებისათვის ჭეშმარიტების სახით. ელიავამ მიმართა პარლამენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს, ვფიქრობ, იმისათვის, რომ თუკი შედგება რაღაცა შეთანხმებები სამართალდამცავ სტრუქტურებთან, ამას დაემატოს გარკვეული პოლიტიკური გარანტიები, შეთანხმების მიღმა არა მხოლოდ ესა თუ ის ოფიცერი იდგეს ძალოვანი სამსახურების, არამედ პოლიტიკოსები, ვინც გაუფრთხილდება, თავისი პოლიტიკურ იმიჯის შელახვის შიშით, ამ შეთანხმებათა დარღვევას. ეს სრულიად გასაგები სვლაა მისი მხრიდან და ჩვენ გამოვაცხადეთ, კიდევ ვიმეორებ, რომ ჩემი მხრიდან ასეთი დამატებითი გარანტიების მიცემა ხელს შეუწყობს ამ პროცესს. მე მზად ვარ, მას შემდეგ, რაც შედგება შეთანხმებები სამართალდამცავ სამსახურებთან, მას შემდეგ, რაც სამართალდამცავი სამსახურები მოილაპარაკებენ ელიავასთან პრობლემების მოგვარების გზებზე, ამ შეთანხმებათა ერთ-ერთი გარანტი ვიყო პირადად მეც, მაგრამ უშუალო მონაწილეობა მოლაპარაკებებში ჩემი ან სხვა პოლიტიკოსების მხრიდან ნამდვილად არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. ეს გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივა და მათ არავინ არ უნდა შეუშალოს ხელი, არავინ არ უნდა ჩაერიოს მათ საქმიანობაში და, საერთოდ, უნდა ვისწავლოთ, თუკი ვართ დემოკრატები – ეს ნიშნავს ფუნქციების მკაფიო და მკაცრ განაწილებას.

ზვიადისტური მოძრაობის ერთ-ერთი ფრთა კატეგორიულად ითხოვს პარლამენტისაგან 1991-92 წლების მოვლენების შეფასებას. პირადად თქვენი პოზიცია გვაინტერესებდა ამ საკითხის ირგვლივ.

ჩვენ, ალბათ, უნდა გავიზიაროთ ეს მოთხოვნა და შევქმნათ სერიოზული კომისია, რომელიც დაიწყებს ამ საკითხებზე მუშაობას, მოამზადებს სერიოზულ და საფუძვლიან დოკუმენტს. ეს არ იქნება ერთგვერდიანი განცხადება, სადაც აღნიშნული იქნება, რომ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება 1991-92 წლების ზამთარში. ეს უნდა იყოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ასახავს რა მოხდა ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში, რატომ დატრიალდა ესა თუ ის ტრაგედია, რა შეცდომები დავუშვით ჩვენ, ქართველებმა და, შესაბამისად, ეს დოკუმენტი უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ მომავალში თავი დავიზღვიოთ ასეთი შეცდომებისაგან. ამიტომაც ვთვლი, რომ ამ კომისიაში რაც შეიძლება ნაკლებად უნდა იყვნენ პოლიტიკოსები, არამედ უნდა იყვნენ ექსპერტები, რომელთაც არ ამოძრავებთ კონკრეტული პოლიტიკური ინტერესები, რათა არ ჩაიწეროს ესა თუ ის ფრაზა დამატებითი ხმების მოსაზიდად, არამედ, ვინც პასუხს აგებს, პირველ ყოვლისა, საქართველოს ისტორიის წინაშე, პასუხს აგებს იმ თაობათა წინაშე, რომლებიც უნდა გაეცნონ ამ დოკუმენტს წლების შემდეგ, უნდა დაინახოს, რომ

ჩვენს თაობას ეყო ვაჟკაცობა, პირუთვნელად და სამართლიანად შევაფასოთ უკანასკნელი ისტორიის ყველაზე სისხლიანი და ყველაზე სამარცხვინო ფურცლები.

საგარეო ორიენტირებზე მინდა გკითხოთ. საქართველო რუსეთის გავლენიდან რა პროცენტით გამოვიდა და კიდევ რამდენი დაგვრჩა საბოლოო თავისუფლებისათვის?

დღეს აღარ არის იმის პრობლემა, რომ საქართველო გამოეყოს ან არ გამოეყოს რუსეთს. დღეს რუსეთთან მიმართებაში არის ის პრობლემა, რომ ჩვენ მოვახერხოთ იმ აუარებელი წინააღმდეგობის დაძლევა, რაც არსებობს ორი ქვეყნის ურთიერთობებში და მოვახერხოთ პარტნიორული, კეთილმეზობლური თანამშრომლობის ჩამოყალიბება, ეს ძალზე მნიშვნელოვანია რუსეთისთვისაც. მოხარული ვარ, რომ რუსეთში ბევრია პოლიტიკოსი, ბევრია ხელმძღვანელი, ვისაც კარგად ესმის, რომ ეს აუცილებელია, მთავრობის ახალ ხელმძღვანელობაში ბევრია ამგვარი მოღვაწე. პრობლემა რუსეთთან მიმართებაში კიდევ ის არის, რომ რუსეთის ზოგიერთი სპეცსამსახური ინარჩუნებს აქტიურ ინტერესს საქართველოს მიმართ და ჩართულია სახიფათო თამაშში საქართველოს წინააღმდეგ. არ ვიცი, რა დონეზე ხდება საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვა რუსეთში. ეჭვი მეპარება, რომ შეთანხმებები ხდება საკმაოდ მაღალ ეშელონებში და ეს წამლავს ორმხრივი ურთიერთობების მთელ სისტემას. სამწუხაროდ მაქვს საფუძველი ვისაუბროთ ამის თაობაზე, ამის ერთ-ერთი მაგალითია თუნდაც გაჭიანურებული ისტორია იგორ გიორგაძესთან დაკავშირებით და სამწუხაროა, რომ ბევრ მოღვაწეს რუსეთში არა აქვს გაცნობიერებული, რამდენად ცუდად მოქმედებს ეს გარემოება ჩვენს ურთიერთობებზე. რამდენად უშლის ხელს ჩვენი ორი ქვეყნის დაახლოებას. მე დარწმუნებული ვარ ჩვენ მოვახერხებთ ამ პრობლემების გადაწყვეტასაც და საქართველო იქნება ნამდვილად დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც იქონიებს რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობებს.

გაზ. „ახალი თაობა“. 14 ივნისი, 1999 წ. №161. გვ. 3-4

ჟვანიამ თვითონ ჩაიწერა საკუთარი თავი სალიკვიდაციო ნუსხაშიო...

როგორც ჩანს, კოსოვოს კრიზისის უპრეცედენტო დასრულების შემდეგ, პროცესები მსოფლიოში თვისობრივად სხვა კალაპოტში გადაინაცვლებს. რეალობად იქცევა საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა ახალი მსოფლიოს წესრიგის დამკვირდების თვალსაზრისით. რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნის გამთლიანება-გაერთიანებისათვის... მაგრამ ჯერჯერობით კვლავ გვესმის, რომ ჩვენი ქვეყნის მტრები ამზადებენ მორიგ შეთქმულებას და ეს მაშინ, როცა ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებზე არძინბა აღარ ჰგავს ძველ თავხედ არძინბას, რომელსაც ნატოს სამხედრო ოპერაციის პრეცედენტისაგან მიღებული შთაბეჭდილება აშკარად ეტყობა გამხმარ სახეზე... ამ ფონზე პრეზიდენტი იღებს საპასუხიმსგებლო გადაწყვეტილებას და ციხიდან ათავისუფლებს 19 ოქტომბრის ამბოხის მონაწილეებს, რითაც რეალურ შანსს აძლევს რადიკალურ ოპოზიციას შემორიგებისათვის. პარლამენტში ერთმანეთს მუშტს ურტყამენ უკვე არა მარტო ოპოზიცია-პოზიცია, არამედ ოპოზიცია-ოპოზიციაც და შეიძლება თამამად ითქვას, რომ საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციურ ძალთა შორის ურთიერთობა და თანამშრომლობა მოახლოებული არჩევნების ფონზე არათუ რაიმე ანალიზს, არამედ ელემენტარულ კომენტარსაც აღარ ექვემდებარება... თუმცა, ამის თაობაზე განსხვავებული აზრი აქვს თავად პარლამენტის თავმჯდომარეს, ბ-ნ ზურაბ ჟვანიას, რომელსაც ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე ვესაუბრე ექსკლუზიურ ინტერვიუში. მოვუსმინოთ მას.

საიდუმლოდ გამოგიტყდებით, რომ ჩვენი თანამშრომლობა დღესაც აქტიურად მიმდინარეობს თითქმის ყველა საპარლამენტო ძალასთან, სხვა საქმეა და ეს ჩვენ გვესმის, რომ კოლეგები ოპოზიციიდან ძალიან ნერვიულობენ თავიანთ წინასაარჩევნო დივიდენდებზე და ცდილობენ ბევრად უფრო მწვავე განცხადებები გააკეთონ, ვიდრე სინამდვილეში აქვთ დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი უარყოფენ ზემოთ მოყვანილ ჩემს მოსაზრებას, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა...

ოპოზიციური პარტიების დიდ ნაწილს აწუხებს 5%-იანი ბარიერის გადალახვის პრობლემა და ვხედავთ, რომ მათი უმეტესობა სრულიად მოულოდნელ „ნავსაყუდლებს“ მიადგა და ერთგვარი კონკურსიცაა გამოცხადებული იმაზე, თუ ვინ მოახერხებს შეახტეს იმ მატარებელს, რომელიც რეალურად გაიყვანს მათ რამდენიმე წარმომადგენელს მაინც მომავალ პარლამენტში. ამის შედეგია, რომ ყალიბდება აშკარად შიდაწინააღმდეგობების შემცველი ალიანსები და ა.შ... ეს კი, საზოგადოებას ზიანის მეტს არაფერს მოუტანს, ავიღოთ თუნდაც საკრებულოებში მომხდარი ამბები, სადაც სხვადასხვა იდეოლოგიის მქო-

ნე პარტიებმა შეთითხნეს ხელოვნური გაერთიანებები მხოლოდ იმიტომ, რომ ხელში ჩაეგდოთ პატარ-პატარა სავარძლები და გუშინდელი „სიამის ტყუპები“ დღეს მოსისხლე მტრებად წარმოგვიდგნენ, რომლებიც დაუნდობლად ურტყამენ ერთმანეთს პარლამენტში. მის გარეთაც და ძირითადად დაკავებულნი არიან ურთიერთმხილებით. დალოცვილებმა თუ ასე კარგად იცოდნენ ერთმანეთის ცოდვები, მაშ რატომღა გამოდიოდნენ „პოდიუმზე“ ხელიხელგადახვეულნი? ვფიქრობ, საკმარისზე მეტი მასალა დაუგროვდა ამ მხრივ მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის ჩვენს ელექტორატს...

სოციალისტები ამხელენ ლეიბორისტებს მოქკავშირთან ალიანსში, ამ დღეებში უკვე ლეიბორისტებმაც „ამხილეს“ სოციალისტები თქვენთან ალიანსში, ამასთან, აბსოლუტურად ყველა პოლიტიკური ძალა დიდი ხანია „ამხელს“ ედპ-ს ასევე მოქკავშირთან ალიანსში და, ბოლოს და ბოლოს, იქნებ თქვენ დაუსვათ წერტილი ამ მარაზმს და გვითხრათ, – ვისთან, რომელ პარტიასთან ხართ ალიანსში?!

მოქალაქეთა კავშირს პარლამენტრში გადაწყვეტილებების მისაღებად გააჩნია უმრავლესობა და ამა თუ იმ საკითხის გასატანად არავისთან არ სჭირდება შეთანმხების მიღწევა. რაც შეეხება ცალკეულ პოლიტიკურ საკითხებზე თანამშრომლობას და შეთანხმებებს, ეს ძალიან ხშირად ხდება. მინდა დავარწმუნო ჩვენი ამომარჩეველი, რომ მას ძალიან გაუკვირდება რომ გაიგოს, სინამდვილეში, როგორი ურთიერთობები არსებობს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში...

და ამ გასაკვირი ურთიერთობების ერთ-ერთი გამოვლინება ხომ არ არის 7%-იანი ბარიერის ირგვლივ ამტყდარი აჟიოტაჟი და მუშტი-კრივი, რომელიც აფიშირებული იქნა ედპ-სა და მოქკავშირს შორის თითქოსდა არსებული ალიანსის კიდევ ერთ დადასტურებად?

7%-იანი ბარიერისადმი ჩვენ გარკვეული გაორებული დამოკიდებულება გვაქვს. ერთი მხირვ, მოქკავშირს, როგორც №1 პოლიტიკურ ძალას, ხელს აძლევს, რაც შეიძლება მაღალი ბარიერი იყოს და ჩვენი დეპუტატები მხარს დაუჭერენ ედპ-ის წინადადებას. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ საკითხის გასატანად შანსები მცირეა, რადგან საეჭვოა, შევძლოთ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოგროვება. ეს კარგად უნდა ესმოდეს თავად ქალბატონ სარიშვილ-ჭანტურიას.

მაგრამ თუ მოხდა სასწაული, ფრაქცია „აღორძინება“ დაესწრო სხდომას და ხმა მისცა 7%-იან ბარიერს? მითუთმეტეს, რომ მასთან ალიანსში მყოფი სოციალისტებისა და „სახალხოს“ წარმომადგენლები უკვე აცხადებენ, რომ ეს პარტიები დამოუკიდებლად გავლენ არჩევნებზე...

თუ ქალბატონი ირინა შეძლებს „აღორძინების“ დეპუტაციის მოყვანას პარლამენტში და 7%-იანი ბარიერისათვის მიაცემინებს ხმას, საკითხი ნამდვილად გავა და ქალბატონი ირინაც ალბათ აპლოდისმენტების ღირსი იქნება... რაც შეეხება სოციალისტებისა და „სახალხოს“ განზრახვას, დამოუკიდებლად გავიდნენ არჩევნებზე, არ ვიცი, რამდენად საბოლოოა მათი გადაწყვეტილება, რადგან ჩვენ ცოტა სხვა ინფორმაცია გვაქვს... ნათქვამია „ცდა ბედის მო-

ნახევრეაო“ და არა ვარ დარწმუნებული, რომ ყველა ის პარტია, რომელიც საჯაროდ გამოთქვამს რწმენას არა მარტო 5, არამედ, არამედ 7%-იანი ბარიერის გადალახვასთან დაკავშირებით, შეიძლება აღმოჩნდეს მომავალ პარლამენტში.

საქართველოში დაბრუნდა პარლამენტარი ბორის კაკუბავა, რომელიც, სამართალდამცავთა განცხადებით, ეჭვმიტანილია არშემდგარ შეთქმულებაში და მასთან ერთად, ლაპარაკია კიდევ რამდენიმე დეპუტატზე... მიიღეთ პროკურატურიდან რაიმე დოკუმენტაცია, რომელიც ამტკიცებს ამ დეპუტატთა მონაწილეობას შეთქმულებაში?

ვადასტურებ, რომ ვინც არ უნდა იყოს, ოპოზიციონერი თუ ჩემი თანაფრაქციელი, თუ წარმოგვიდგენენ მასალებს ვინმეს მონაწილეობაზე, თანამზრახველობაზე შეთქმულებაში, პარლამენტი იქნება უკიდურესად მკაცრი მათ მიმართ. ტერორისტებთან ჩვენ „თამაშს“ არ ვაპირებთ!

ამბობენ, შესაძლო ერთი-ორი კაცი მმართველი ძალიდანაც იყოს გარეული ამ ამბებშიო.

იმ ინფორმაციის თანახმად, რომელსაც ვფლობ, ამის მტკიცების არანაირი საფუძველი არ არსებობს...

შეთქმულების სცენარის ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, თითქოს ჯერ ზურაბ ჟვანიას ფიზიკური ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო და შემდეგ პრეზიდენტისა... რამდენად მართალია ეს?

დეტალები ჯერჯერობით არ ვიცი. ჩემმა კოლეგამ მამუკა გიორგაძემ ისიც გამოაცხადა, ჟვანიამ თვითონ ჩაიწერა თავი სალიკვიდაციო პირთა ნუსხაში, გიორგაძემ კარგად უნდა მოიკითხოს თავის მეგობრებში. მე არ ვეკუთვნი პოლიტიკოსთა იმ კატეგორიას, რომლებიც ცდილობენ რაღაც ისტორიების შეთითხვნით საკუთარი იმიჯის ამაღლებას, იყო შემთხვევები, როდესაც სერიოზული ქმედებები განხორციელდა ჩემს წინააღმდეგ, მაგრამ ეს ფაქტები არასოდეს გამიხდია ფართო საზოგადოების მსჯელობის საგნად და არ გამიზრდია პირადი დაცვა ას კაცამდე... დღესაც დავდივარ, ფაქტობრივად დაცვის გარეშე, რადგან ვთვლი, რომ თუ რაიმე სერიოზული განზრახვაა ჩაფიქრებული ჩემს წინააღმდეგ, მისი თავიდან აცილება მხოლოდ პირადი დაცვის საშუალებით საკმაოდ ძნელი იქნება... საერთოდ კი, ყველას უნდა გვესმოდეს, რომ დღეს საქართველოში არის ერთადერთი მთავარი სამიზნე – ედუარდ შევარდნაძე!

შარშანდელი 9 თებერვლის ტერაქტის შემდეგ გამუდმებით მუსირებს აზრი, რომ არსებობს ის მექანიზმი, რომელიც, ღმერთმა დაიფაროს და, ქვეყნის პირველი პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, სახელმწიფოში სტაბილურობის გარანტია იქნება...

სხვათა შორის, ამას ყვირის სწორედ ის ხალხი, ვისი ხელითაც და ვისი კივილის გამოც შეიძლება მოხდეს დესტაბილიზაცია...

და თქვენ, როგორც სახელმწიფოში მეორე პირს, დღეს მაინც გაქვთ ხელთ ის ბერკეტები, რომ პრეზიდენტის ლიკვიდაციის შემთხვევაში მართოთ ქვეყანა და შეიუნარჩუნოთ სტაბილურობა?

ადრეც მითქვამს და გავიმეორებ, რომ არა ვარ ჩვეული ბრძოლის ველის მიტოვებას და უკან დახევას, მაგრამ „ბავშვობა“ იქნება, რეალობას არ გავუწიოთ ანგარიში. ამიტომ ყოველთვის ვამბობ, რომ თუკი რაიმე რესურსები გაგვაჩნია, უნდა შევქმნათ ყველა პირობა საიმისოდ, რომ ჩვენმა სპეცსამსახურებმა უზრუნველყონ უწინარესად შევარდნაძის უსაფრთხოება. ბუნებრივია, არ არის კარგი, რომ ქვეყნის ბედი ერთ პიროვნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს ჩვენი ცხოვრების რეალობაა. ასე ინება განგებამ, რომ სწორედ მხოლოდ ამ ადამიანს აქვს ხელში ყველა ის ბერკეტი, ავტორიტეტი, უნარი, რომელიც ქვეყნის რეალური სუვერენიტეტის განმტკიცებისა და მსოფლიოში ჩვენი ღირსეული ადგილის დამკვირდებისთვისაა აუცილებელი..

მაგრამ, მართლაც აშკარად წარმატებული საგარეო პოლიტიკის ფონზე კვლავ უამრავი შიდაპრობლემაა მოსაგვარებელი და უწინარესად, კორუფციის სენია აღმოსაფხვრელი... დამეთანხმებით... რომ საკმარისია, პრეზიდენტმა თუნდაც რამდენიმე ცნობილ კორუმპირებულ თანამდებობის პირს ციხეში უკრას თავი, რომ თქვენ უამრავი ამომრჩევლის გულს მოიგებთ. რატომ არ აკეთებთ ამას? რატომ არ ქმნით ანტიკორუფციულ კომისიას?

შეიძლება დავუბრუნდეთ აღნიშნული კომისიის შექმნის საკითხს ამ მოწვევის პარლამენტში. ჯერჯერობით მრავალი კითხვის ნიშანი არსებობს...

ვფიქრობ, რომ პარლამენტმა ბევრი გააკეთა კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, ვერ ნახავთ მსოფლიოში სხვა პარლამენტს, რომელსაც სამი წლის მანძილზე კორუფციის ბრალდებით ხუთი მინისტრის განთავისუფლების საჯარო პროცედურა განეხორციელებინოს. მაგრამ საოცარი ის არის, რომ როცა ჩვენ მაღალი თანამდებებობის პირებს ვდებდით ბრალს კორუფციაში და ისინი ჩვენი პარტიის წევრები და ჩვენი თანამოაზრეები იყვნენ, მომენტალურად მათ გვერდით დგებოდა გაერთიანებული ოპოზიცია. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როცა მმართველი პარტია არ ერიდება საკუთარი კორუმპირებული წევრების მხილებას და სამჯერ უფრო უპრეცედენტოა ის ფაქტი, რომ მათ მხარს უჭერდეს ოპოზიცია. გულწრფელად გეტყვით: პარლამენტში უფრო სუფთა ოპოზიცია რომ გვყოლოდა, გაცილებით მეტის გაკეთებას მოვახერხებდით... თუმცა მთავარი პასუხისმგებელი ამ საკითხზე არის მმართველი ძალა. მეტიც, ჩემთვისაც კი გაუგებარია, რატომ ვერ ვახერხებთ დავაპატიმროთ კორუმპირებული პირები, ცნობილი კონტრაბანდისტები, გადასახადების არგადამხდელნი... საგადასახადო დისციპლინის დამყარება არც ერთ ქვეყანაში ამ მომხდარა ხვეწნითა და შელოცვებით. ამას სჭირდება მუშტის დემონსტრირება, რათა ყველამ იცოდეს, რომ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევა არის უმოკლესი გზა ციხისკენ. მე არაერთხელ მითქვამს პარლამენტის ტრიბუნიდანაც და ვადასტურებ თქვენთან საუბარშიც.

და ამ მუშტის დემონსტრირება რომ რეალობად იქცეს, ამას, ალბათ, მნიშვნელოვნაწილად განსაზღვრავს მომავალი პარლამენტის შემადგენლობა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დღეს მძაფრი კამათია თქვენი პარტიის ლიდერებს შორის თუ ვინ უნდა იყვნენ საარჩევნო სიაში...

გარწმუნებთ, რომ ჩემს დონეზე რაიმე კამათი სიასთან დაკავშირებით ჯერ არ ყოფილა. შეიძლება ვინმე კამათობს, მაგრამ ცხადია, რომ ამ სიას სერიოზული განახლება დასჭირდება და ჩვენ მივცემთ საზოგადოებას იმის საშუალებას, რომ მართლაც პატიოსანი და კომპეტენტური პირებისაგან შემდგარ მოქკავშირის სიას მისცეს ხმა – იმ ადამიანებს, რომლებიც იტვირთავენ რეალურ ფუნქციას, რასაც ჰქვია საქართველოს დამკვიდრება ევროპულ სივრცეში, ეკონომიკური რეფორმების მიყვანა იმ დონემდე, რომ თითოეულმა ოჯახმა იგრძნოს რეალური კეთილდღეობა და სიკეთე.

მაგრამ, როგორც პრეზიდენტი აცხადებს, არჩევნებამდე კვლავ გველოდება კიდევ ერთი დესტაბილიზაციის მცდელობა...

დიახ, ჩემის მხრივ დავადასტურებ, რომ არის კიდევ ერთ-ერთი მიმართულება, საიდანაც იგეგმება არეულობის ახალი ვარიანტი ისევ და ისევ ქართველების მონაწილეობით და უცხო ძალების ხელშეწყობით, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ შემთხვევაშიც ჩვენი სპეცსამსახურები აღკვეთენ დესტაბილიზაციის ნებისმიერ მცდელობას...

ამ ფონზე, ალბათ, დროული იყო პრეზიდენტის გადაწყვეტილება – შეეწყალებინა 19 ოქტომბრის ამბოხების მონაწილენი... და ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაედგა ტყეში გასული ელიავასა და მისი ხალხის შემოსარიგებლად...

ყველაფერი იყო მზად საიმისოდ, რომ ელიავასა და მისი მომხრეების წინააღმდეგ ეფექტურად ჩატარებულიყო ოპერაცია, მაგრამ პრეზიდენტმა პირადად მიიღო სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილება. პრეზიდენტს არაერთი კონსულტაცია ჰქონდა სამეგრელოს მხარის გუბერნატორთან, ამ კუთხის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, იცოდა ეს განწყობილება, რომელიც არსებობდა სენაკსა და სხვა რეგიონებში და გადაწყვიტა, რომ გადადგმულიყო კიდევ ერთი კეთილი ნების ნაბიჯი ამ პრობლემის უსისხლოდ მოგვარებისათვის. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს არ არის სახელმწიფოს სისუსტის დემონსტრირება. პირიქით, ჩვენს სახელმწიფოს დღეს ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ ბევრად უფრო ძლიერ დაჯგუფებებსაც გაუსწორდეს. იმედი მაქვს, რომ საქართველოში ყველა გაიაზრებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ხელისუფლებამ საიმისოდ, რომ რეალურად ვიაროთ ჩვენი საზოგადოების გამთლიანების გზით... და საერთოდ, ჩვენი ამოცანაა რომ სამეგრელო, რომელმაც უმძიმესი წლები გადაიტანა, დადგეს ფეხზე, მოძლიერდეს. ხომ ფაქტია, რომ თუ არა არეულობა, რომელიც გარედან მოახვიეს თავს ამ კუთხეს, მტერი ვერ ეღირსებოდა გამარჯვებას აფხაზეთში...

დღეს ეს „გამარჯვებული“ მტერი ერთა თვითგამორკვევის შესახებ აპირებს კონფერენციის ჩატარებას. სხვადასხვა დროს საკმაოდ სერიოზულად მსჯელობდნენ რუსეთის პრესაში სამეგრელოს „თვითგამორკვევაზეც“.

იმედი მაქვს, რომ თავად აჭარის ხელისუფლება არ დაუშვებს, რომ რაიმე კონფერენცია იქცეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის საზიანო მოვლენად. თუ „გლასნოსტის“ ხალხი მაინც ჩავა ბათუმში, მაგრამ მასპინძლებისაგან მიი-

ღებს ღირსეულ პასუხს, რომ ვერასოდეს ეღირსებიან საქართველოში სეპარატიზმის მხარდამჭერი ძალის ხილვას. ეს მისასალმებელი იქნება... რაც შეეხება სამეგრელოს, მისი მოსახლეობა გასცემს საკადრის პასუხს ყველას, ვინც კი რაიმე არეულობის პროვოცირებას შეეცდება ამ კუთხის „თვითგამორკვევასთან“ დაკავშირებით.

და ღირდა პარლამენტში ჩვენი დიდებული პოეტის ერთი ლექსის აფიშირება რამაც ინციდენტიც კი გამოიწვია?

ნამდვილად არ ღირდა... მით უფრო გამიკვირდა, როცა ბატონმა რჩეულიშვილმა უცნაური ლინგვისტური წიაღსვლებით გამოაცხადა, რომ „ყველა ქვეყანაში არსებობს კონკურენცია მთავარ და რეგიონულ ენებს შორის“. არ ვიცი, რა დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან ესპანური და კატალონური ენები, მაგრამ კარგად ვიცი გლეხი მეგრელი კაცის ნათქვამი: „ჩქიმი ნინა ქორთული, სარაგო და მორგული“. ანუ, ჩემი ქართული ენა, საარაკო და საოცრად მოკაზმულიო... ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ აღიქვამენ სამეგრელოში გნებავთ, სვანეთში მშობლიურ და უპირატეს ქართულ ენას. ამიტომ ვფიქრობ, რომ რჩეულიშვილის აბსურდულ დებულებას ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არავინ გაიმეორებს.

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ იმ მოვლენას, რასაც კოსოვოს კონფლიქტის მოგვარების პრეცედენტი ჰქვია და რომელსაც იმედის თვალით შევცქერით...

დიახ, კოსოვოს მაგალითზე საერთაშორისო თანამეგობრობამ წინა პლანზე წამოსწია ეთნოწმენდისა და გენოციდის არდაშვების პრინციპები და სასტიკად დასაჯა მისი მომწყობი რეჟიმი. ამ ფონზე ჩვენ კონფერენციები უნდა გავმართოთ და მთელ მსოფლიოში. ვიყვიროთ, რომ საქართველო არის ლამის უკანასკნელი მსხვერპლი ეთნმოწმენდისა და გენოციდის, რომელიც მსოფლიოს ჯერ არ შეუფასებია სათანადადოდ. დარწმუნებული ვარ, რომ ბალკანეთის შემდეგ დადგება კავკასიის კონფლიქტების მოგვარების ჯერიც. კიდევ ცოტა მოთმინება და ნებისყოფა გვმართებს და მერწმუნეთ, რომ ჩვენ ძალიან დიდ ქართულ გამარჯვებას ვიზეიმებთ!

მთლად პოლიტიზებული რომ არ გამოვიდეს ჩვენი საუბარი, იქნებ გვითხრათ, რა აზრის ბრძანდებით ჩვენი გაზეთის ფოტოპალიტრაზე, რომლის ხშირი სტუმარიც ხართ ხოლმე?

დიახ, თქვენი ფოტოპალიტრის ხშირი პერსონაჟი ვარ და გეტყვით, რომ ბევრი მახვილგონივრული შეფასებაა მოცემული ამა თუ იმ ფოტოსიუჟეტზე, ბევრიც ძალიან მწარედ ნათქვამია, ზოგჯერ კი უბრალოდ შეურაცხმყოფელიც, მაგრამ რას ვიზამთ? პოლიტიკოსები უნდა შევეგუოთ ყოველგვარი სახის გამონათქვამს...

დიდი მადლობა საუბრისათვის.

ზურაბ მჭედლიშვილი

გაზ. „კვირის პალიტრა“. 14-20 ივნისი, 1999 წ. №24 (217). გვ. 3

ჩემს თოჯინას შეუძლია დამოუკიდებლად იყაროს კენჭი პარლამენტში

ზოგიერთი მოღვაწე აშკარად ავლენს თვითლუსტრირებას

ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიასთან

თამარ ნინიძე

9 თებერვლის ტერაქტის, 19 თებერვლის ჯიხაშკარის მოვლენების და ბოლოს 22 მაისის შეთქმულების გახსნის შემდეგ მუდმივად იყო საუბარი საქართველოში უცხო ქვეყნის აგენტურის გამოვლინებასთან დაკავშირებით. დღემდე მხოლოდ საუბარი მიმდინარეობს ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღებაზე და არავითარი ნაბიჯები არ იდგმება როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ ხერხდება ამ კანონის მიღება?

ეს ხდება ტექნიკური მიზეზების გამო. პირადად მე ვიყავი ერთ-ერთი ინიციატორი, ორიოდე წლის წინ რომ დაგვეწყო ამ კანონზე მუშაობა. სამწუხაროდ, შემდეგ შეგვექმნა მთელი რიგი სერიოზული ტექნიკური პრობლემები. თუკი დღეს, ჩვენი სამსახურები მზად იქნებიან ამ კანონის რეალური ამოქმედებისათვის, გარწმუნებთ, საჭირო რომ გახდეს რიგგარეშე სხდომის მოწვევა, აუცილებლად მივიღებთ ამ კანონს. მაგრამ კანონი უნდა იქნეს მიღებული იმგვარად, რომ იგი ამოქმედდეს რეალურად და ჩვენ მართლაც შეგვეძლოს, რომ ქართული პოლიტიკიდან მაინც გამოიცხრილონ ის ადამიანები, რომლებიც სრულიად აშკარად დგანან ამა თუ იმ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების სამსახურში. თუმცა ეს კანონი კანონად და მე მიკვირს, რომ საზოგადოება არ რეაგირებს საკმარისად ადექვატურად, როდესაც ჩვენს თვალწინ ზოგიერთი მოღვაწე აშკარად ავლენს თვითლუსტრირებას. ადამიანი, რომელიც დავუშვათ, მთელი სიცოცხლე ლანძღავდა კომუნისტებს, ბოიკოტირებას ახდენდა გამსხურდიას დროს ჩატარებული არჩევნების, იგივე აფხაზეთში, ქმნიდა სერიოზულ პრობლემებს ამის გამო, როცა იმჟამინდელი ან ახლანდელი ხელისუფლება ცდილობდა ზომიერი პოლიტიკის გატარებას, ბრალს სდებდა მას პრორუსულობაში, დღეს ასეთი ადამიანები დარბიან იგორ გიორგაძის პორტრეტებით და იძახიან, რომ მხოლოდ რუსეთი არის ჩვენი მშველელი. ასეთ ადამიანებს ნამდვილად უნდა მოვთხოვოთ პასუხი და ეს პასუხი უნდა მოითხოვოს არა მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდგემ, არამედ საზოგადოებამ, იმიტომ რომ საზოგადოების პრობლემაა. პირველ ყოვლისა, ყველამ იცოდეს – მას პასუხი მოეთხოვება კონკრეტულ ქმედებებზე, პასუხი მოეთხოვება იმ შეცდომებზე, რომელიც ჩვენს თანამემამულეებს სისხლის და სიცოცხლის ფასად დაუჯდათ და პასუხი მოეთხოვება ყველას იმაში, რომ არ ითანამაშ-

რომლოს საქართველოს მოწინააღმდეგეებთან, საქართველოს არაკეთილმოსურნეებთან.

არჩევნებამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი და ლუსტრაციის კანონის მიღება ძალიან აქტუალურია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მოხდეს პოლიტიკური ორგანიზაციების ლუსტრაცია.

კიდევ ერთხელ უნდა ვთქვათ, რომ ის რასაც ვხედავთ, რასაც ჩვენ ვკითხულობთ, ბევრად მეტია, ვიდრე შეიძლება მივიღოთ ლუსტრაციის კანონის ამოქმედების შედეგად. დღეს იმნდენად დაიძაბა სიტუაცია, რომ ყველას მოუხდა თავისი ნიღბის ჩამოხსნა, ეს არჩევნები იქნება პრაქტიკულად ბოლო გაბრძოლება საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ეს არის ჩვენი მოწინააღმდეგესათვის ბოლო შანსი, რომ მოაცილონ შევარდნაძე და მისი გუნდი ქართულ ხელისუფლებას და შესაბამისად მსვლელობა ევროპისაკენ, უზარმაზარი საერთაშორისო პროექტების განხორციელება საქართველოს ტერიტორიაზე არ დაუშვან. სწორედ ამიტომ, ადამიანებმა, ვინც ადრე ინიღბებოდა, მალავდა თავის ჭეშმარიტ განზრახულობას, დღეს გაიშიშვლეს საკუთარი თავი. საზოგადოების ასარჩევია, მისცემს თუ არა ხმას ადამიანებს, რომლებიც ეუბნებიან საზოგადოებას, რომ უნდა ვიყოთ ორიენტირებული არა ევროპისაკენ, არამედ ტამბოვის გუბერნიისაკენ, მისცემს თუ არა საზოგადოება იმ გაერთინებებს ხმას, რომლებთანაც ასეთი ადამიანები სრულიად აშკარად თანამშრომლობენ. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ დღეს საზოგადოებას საკმარისზე მეტად გააჩნია ინფორმაცია პრესის, ტელევიზიის საშუალებით თითოეულ პოლიტიკურ მოღვაწესთან დაკავშირებით იმისათვის, რომ გააკეთოს თავისი არჩევანი.

დასავლეთ ორიენტაციაზე მინდა გკითხოთ, ერთია, როდესაც აღებული გაქვს ორიენტაცია დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყანაზე, რომელიც თავის პრინციპებს გვკარნახობს და მეორეა, როდესაც ხარ ნეიტრალური ქვეყანა. მაგრამ აღიარებ დემოკრატიულ ფასეულობებს, თქვენი აზრით რა მიმართულებით უნდა წავიდეს საქართველო?

მე ორიენტირებული ვარ, ისევე როგორც ჩემი მეგობრები, ერთ ქვეყანაზე – ეს არის საქართველო, როდესაც საუბარია იმაზე, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროპის განუყოფელი ნაწილი, ევროპის თავისუფალ ერთა თანასაზოგადოების განუყოფელი ნაწილი, ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ გვიყვარს ევროპა. იმიტომ ვამბობთ, რომ გვიყვარს საქართველო. ქართველი ადამიანის ფსიქოლოგური წყობა, საზოგადოების ტრადიციები, რასაც ქართველები ვაფასებთ და რასაც ყველაზე, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ საკუთარ თავში, ჩვენი უსაფრთხოება, ჩვენი ეკონომიკური კეთილდღეობა, სწორედ ეს მოსაზრებები გვაიძულებს გამოვაცხადოთ, რომ ევროპული ოჯახი არის ის ერთადერთი ბუნებრივი ნავსაყუდელი, სადაც საქართველო, როგორც ერთიანი, მთლიანი სხეული, თავს იგრძნობს საკუთარ სახლში. ეს არის ჩვენი ოჯახი, რომლის ნაწილი ჩვენ ვიყავით ჯერ კიდევ მანამდე, როდესაც დღევანდელი ევროპის ქვეყნები არც არსებობდა დედამიწის ზურგზე. ჩვენ ვიყავით ამ სამყაროს, ამ ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და დღეს, როდესაც ჩვენ მოვიპოვეთ შანსი, ჩვენ თვითონ განვსაზღვროთ საკუ-

თარი ბედი, ცხადია, იმ მიმართულებით, რასაც გვიკიჟინებენ, არ წავალთ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ნაკლები ყუარდღება უნდა მივაქციოთ ურთიერთობებს ჩვენს სამეზობლოსთან, კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ნამდვილად არა, იმიტომ, რომ ჩვენი გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური მდებარეობა არის ჩვენი უპირატესობა. კოზირი, რომელიც ბოლომდე უნდა გამოვიყენოთ და სწორედ ეს ფორმულა არის ასახული შევარდნაძის საგარეო პოლიტიკაში. რომელმაც მოახერხა, რომ საქართველო ამ რეგიონში იყოს ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ერთნაირად ახლო ურთიერთობები აქვს სომხეთთან და აზერბაიჯანთან, თურქეთთან და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, ირანთან და ევროპულ სახელმწიფოებთან. ამ პოლიტიკის შედეგად საქართველომ მოახერხა გამხდარიყო 2-3 წლის განმავლობაში ყველაზე სასურველი პარტნიორი ზესახელმწიფოებისათვის. იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც პლანეტის მომავალს განსაზღვრავენ უახლოესი ასწლეულის განმავლობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ურთიერთობის ჰარმონიზაციას კავკასიის ყველა ხალხებთან, თქვენ იცით, რომ პირადად ჩემთვის კავკასიური სახლის იდეა არის ძალიან ახლობელი და მნიშვნელოვანი. მე ვიყავი ჩემს მეგობრებთან ერთად ერთ-ერთი პიონერი ამ თემის წამოწევისა 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ევროპულ ორიენტაციაზე, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი სამეზობლოსაკენ ზურგით უნდა შევბრუნდეთ.

ზვიადისტები ერთიანი კავკასიური სახლის იდეას არავის უთმობენ, ამაზე რას იტყვით?

მე ნამდვილად ვერავის დავუთმობ იმ თემებს, რომელთა წამოწევაში ნამდვილად გარკვეული წვლილი მიმიძღვის, 1990-91 წლებში მწვანეებმა წამოიწყეს ძალიან წარმატებული მოძრაობა. თბილისის უნივერსიტეტში ჩავატარეთ პირველი საერთო კავკასიური კონფერენცია. მაშინ ამ იდეის ერთ-ერთი ბრწყინვალე აპოლოგეტი იყო ქალბატონი ნაირა გელაშვილი, რომელმაც მონუსხა კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკების ლიდერები და დაარწმუნა, რამდენად საჭირო არის ასეთი ახლო თანამშრომლობა, როცა ამ იდეას გამოუჩნდა ბევრი მოწინააღმდეგე, დარწმუნებული ვარ, აქაც ურევია სპეცსამსახურების ხელი, რომელნიც ხელს უწყობდნენ ისეთი წარმონაქმნების შექმნას, როგორიც იყო მთიელ ხალხთა კონფედერაცია. დღეს საერთო კავკასიურ სახლზე საუბარი მიამიტობა იქნება. ჩვენ ძალზე შორს ვართ ამ იდეის განხორციელებისაგან. ქართული საზოგადოება ბევრად უფრო წინ წავიდა ზოგიერთ სხვა საზოგადოებასთან შედარებით. მაგრამ არასოდეს არ არის ადრე, ვიფიქროთ იმაზე, მაქსიმალურად კეთილი, მჭიდრო ურთიერთობები დავამყაროთ ყველა სხვა მეზობელთან.

რა იქნება მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო ლოზუნგი. მილიონი სამუშაო ადგილის რაოდენობა გაიზრდება თუ შემცირდება და რას მიაღწია და რას ვერა მოქალაქეთა კავშირმა ამ ოთხი წლის განმავლობაში?

მე დღეს ვერ ვიტყვი, რა იქნება ჩვენი მთავარი საარჩევნო ლოზუნგი, ამაზე ჩვენ ვმუშაობთ ვაყალიბებთ საარჩევნო პროგრამას, ძალიან სერიოზუ-

ლად ვეკიდებით ამ საკითხს. მე ვიცი, რა ირონიული დამოკიდებულება არის საზოგადოებაში მილიონ სამუშაო ადგილთან დაკავშირებით, რამდენი ადამიანის დასაქმება მოხდა საქართველოში ამ სამნახევარი წლის განმავლობაში. ეს, რა თქმა უნდა, არ არის 1 მილიონი სამუშაო ადგილი, მაგრამ რამდენიმე ასეული სამუშაო ადგილია, ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მოხდა ჩვენი ეკონომიკის მრავალ დარგში გარდატეხა. არავის ეგონა 3-4 წლის წინ, რომ გადარჩება ქართული ჩაი, ჩვენ ეს მოვახერხეთ. დღეს ეს დარგი დინამიურად ვითარდება, 3-4 წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საფერავის ყურძნის ჯიშის შესყიდვით გლეხები მიიღებდნენ მაღალ გასამრჯელოს, როგორც იღებენ დღეს, მოვახერხებდით სტაგნაციის გარღვევას ღვინის მრეწველობაში, გავიდოდით არა მარტო ძველ ბაზრებზე, არამედ საქართველო ძალიან გაბედულად გავიდოდა ახალ საერთაშორისო ბაზრებზე. შემიძლია მოვიყვანო ძალიან ბევრი სხვა მაგალითი და არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში. როდესაც 1995-96 წლებში ჩავდიოდი ზესტაფონში. ლამის ცრემლმორეული ვუყურებდი ფეროს ქარხანას, იმიტომ, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ისევ მოხერხდებოდა 5 ათასი ადამიანის დასაქმება, რომელიც მთლიანად დამოკიდებული იყო ამ ქარხნის მუშაობაზე, ოპტიმისტურად ვუყურებ იმას, რომ უახლოეს მომავალში თვეებში მოგვარდება ჭიათურის, ტყიბულის პრობლემები. ჩვენ სათანადოდ ვერ ვაფასებთ იმას, რაც განხორციელდა საქართველოში ბოლო 3-4 წლის განმავლობაში. ზოგი მოღვაწე იმითი იწონებს თავს, რომ რამდენიმე ხიდი გაიხსნა და რამდენიმე სკვერი გაკეთდა ამა თუ იმ რეგიონში. ის გვავიწყდება, რომ ჩვენ შევძელით, პრაქტიკულად, განწირული მრეწველობის გიგანტების ისევ ამუშავება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ მოგვწონს ჩვენს ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა? რა თქმა უნდა, არა, გულუბრყვილო იქნება ამაზე საუბარიც კი, ჩვენ, მოქალაქეთა კავშირს შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამი წლის წინ საშუალო ხელფასი საქართველოში რამდენიმე ათეულ ცენტს არ აღემატებოდა, დღეს ეს 30-ჯერ გაიზარდა, მაგრამ ჩვენ თავად მშვენივრად ვიცით, რომ ოფიციალური საშუალო ხელფასი საარსებო მინიმუმზე საკმაოდ დაბალია. აქ ერთადერთი ის არის მნიშვნელოვანი, რომ დავინახოთ დინამიკა, რომ ამ წლების განმავლობაში ყველა სიძნელის მიუხედავად, კორუფციის მიუხედავად, იმის მიუხედავად, რომ მოგვიხდა უმძიმესი საბიუჯეტო კრიზისების გადატანა, ქვეყანა მაინც თანდათან ფეხზე დგება. ეს იყო საძირკვლის ჩაყრის წლები, როდესაც საჭირო იყო, შექმნილიყო სრულიად ახალი ეკონომიკური მექანიზმები, ძალიან მტკივნეული რეფორმების განხორციელების ხარჯზე. დღეს ეს ჩარჩო შექმნილი არის. იმედი მაქვს, რომ საქართველო აღარ იქნება არასოდეს ის ქვეყანა, სადაც არ იყო ბუნებრივი გაზი, ჩაბნელებული იყო მთელი ქვეყანა, სადაც ელემენტარული საწარმოები არ მუშაობდა, ჩვენ შევძელით ამ უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსვლა და აწი თითოეულმა წელიწადმა უნდა მოგვიტანოს გარდატეხა იმ თვალსაზრისით, რომ თითოეულ ქართულ ოჯახს შევუქმნათ კეთილდღეობის პირობები. პირადად მე ვფიქრობ, რომ მოქალაქეთა კავშირის შემდგომი ოთხწლიანი საქმიანობა უნდა წარიმართოს სწორედ ამ ნიშნით – კეთილდღეობა

თითოეულ ოჯახს საქართველოში. ეს იქნება ჩვენი უმთავრესი ამოცანა და დარწმუნებული ვარ, გვაქვს ყველა წინაპირობა, სერიოზულ გარდატეხას მივაღწიოთ ამ მიმართულებით.

დიდების ზღაპრის თქვენი პერსონაჟი ყველასთვის საყვარელი გახდა და ყველა ოჯახისათვის სასურველი სტუმარი. ვფიქრობ, ამ პერსონაჟმა თქვენ სერიოზული რეკლამა გაგიწიათ, მაინტერესებს თქვენი აზრი ამ გმირზე და ისიც, თუ რამდენად დაგეხმარებათ იგი საარჩევნო კამპანიის პერიოდში?

ამ დღეებში ერთი-ერთი ჩემი მეგობარი მეხუმრებოდა, დიდების ზღაპრის პერსონაჟი კი არ გემსგავება შენ, თანდათან შენ ემსგავსები ამ პერსონაჟსო (იცინის). ვფიქრობ, ეს პერსონაჟი უკვე თავისი დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს, შეუძლია დამოუკიდებლად იყაროს კენჭი პარლამენტში. ზოგჯერ მსაყვედურობენ სერიოზული მოღვაწეები, რატომ აძლევთ თქვენი გაშაყირების უფლებას ვიღაცასო. იცით, ჩვენ ვერავის ვერც დავუშლით და ვერც მოვუწოდებთ ამის გაკეთებას, მაგრამ გულწრფელად გითხრათ, მე მომწონს ის, რომ საქართველოში დამკვიდრდეს ახალი კულტურა, პოლიტიკოსებს, ხელისუფლების ხელმძღვანელებს ცოტა უფრო თავისუფლად შევხედოთ, ჩამოვაცილოთ წარმოუდგენელი ქარიზმა, რომ ადამიანი, რომელიც არის ხელისუფლებაში, სადღაც შორს ოლიმპზეა განთავსებული და ცხოვრობს სულ სხვა ცხოვრებით, ვიდრე ცხოვრობს საზოგადოება. სამოქალაქო საზოგადოება ნიშნავს იმას, რომ ყველაფრის ქილიკი შეიძლება, ყველაფერზე შეიძლება საუბარი. შეიძლება ამ ქილიკში ბევრი რამე უსამართლო იყოს, მაგრამ მთავარი არის თქვენ მიერ მოყვანილი რეიგანის ციტატისა არ იყოს, რომ გქონდეს იმის რწმენა, რომ არავინ დაგიშლის თავისუფლად გამოთქვა შენი შეხედულება და მოსაზრება. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, დიდების ზღაპარი ხელს უწყობს ხელოვნური ბარიერების მოხსნას ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის და იმას, რომ გახადოს ამ მსუბუქი ხუმრობის სამიზნეებად ქვეყნის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსები.

თქვენს შვილებს როგორი დამოკიდებულება აქვთ დიდების ზღაპრის პერსონაჟების მიმართ?

ერთად ვერასოდეს ვერ ვუყურეთ დიდების ზღაპარს მე და ჩემი შვილები. ისინი კი დიდი ინტერესით უყურებენ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ თითქმის არცერთი სერია არ მინახავს, შვილები მიყვებიან, რომ ესა თუ ის სცენა თამაშდებოდა. თავიდან ძალიან მაღიზიანებდა დიდების ზღაპარი, ვთვლიდი, რომ ჩემი პერსონაჟი განსაკუთრებით იჩაგრება (იცინის), მაგრამ ახლა შევეგუე და ამ ყველაფერს წყნარად ვუყურებ. ვიცი, რომ ჩემმა ბავშვებმა ძალიან განიცადეს, როცა იყო ერთ-ერთი სცენა, როდესაც ბოძიდან უნდა ჩამოვვარდნილიყავი. როდესაც აუხსნეს, რომ რეალური საშიშროება არ მემუქრება, უფრო იუმორით უყურებენ ყოველივეს, რაც ხდება ეკრანზე.

დიდი მადლობა საუბრისათვის.

გაზ. „ახალი თაობა“. 15 ივნისი, 1999 წ. №162 (1290). გვ. 3-5

„მე, ნიკო და ვაჟა თვითონ მივხედავთ საკუთარ საქმეს“, – ამბობს ზურაბ ჟვანია რომელსაც ჯერ პრეზიდენტობა არ უფიქრია

ლალი შალვაშვილი

ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან

„რეზონანსი“: „მოქალაქეების“ პროექტი ცსკ-ს დაკომპლექტების შესახებ დიდი დავის საგანი გახდა. საპარლამენტო პარტიებთან გარკვეული კონსენსუსის მიღწევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ არასაპარლამენტო პარტიების დიდი ნაწილი აშკარად დაიჩაგრა...

ზურაბ ჟვანია: თქვენ ის პარტიები გყავთ მხედველობაში, რომლებმაც წინა არჩევნებში ვერანაირი მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს. ცსკ-ს დაკომპლექტების ახალი კრიტერიუმი თუ არ იქნა შემოღებული, დარჩება ისევ ძველი სურათი, როცა თითქმის 54 პარტიას ჰყავს წარმომადგენელი საარჩევნო კომისიაში. არადა, წინა არჩევნებში მხოლოდ სამმა პარტიამ გადალახა ბარიერი.

„რ.“: თუ კი ედპ-ს და „თანხმობის“ პროექტებს გაითვალისწინებდით, ცსკ-ში პრინციპში 54 პარტია არ აღმოჩნდებოდა. თანაც, თუ ბარიერის გაზრდა მოხდა, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიათა რიცხვი შემცირდება, რატომ არ გაითვალისწინეთ ეს ვარიანტი?

ზ. ჟ. მართალია, ბარიერის გაზრდას მხარს ვუჭერთ, მაგრამ „მოქალაქეები“ და ედპ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭირო 157 ხმას ვერანაირად ვერ მოაგროვებენ. სხვა დანარჩენი ფრაქციები წინააღმდეგნი არიან ბარიერის გაზრდის. ამიტომ დიდი ალბათობა არსებობს, რომ ისევ 5-პროცენტიანი ბარიერი დარჩეს. ასე რომ, ბარიერის ირგვლივ რამის გათვლა წარმოუდგენელია. ცსკ არ შეიძლება ამა თუ იმ პარტიის ინტერესით იქმნებოდეს. სხვათა შორის, ცსკ-ს დაკომპლექტების წესი ყველაზე მეტად „მოქალაქეებს“ უნდა აწყობდეს, რადგან „მოქალაქეებიდან“ რაც უფრო მეტი წევრი შექმნის რაღაც პარტიას, მით მეტი წარმომადგენელი გვეყოლება იქ. აგერ „სახალხო“ ფრაქციის წევრი ოფიციალურად მგონი 7 დარჩა, დანარჩენებმა ცსკ-ში ადგილების მიზნით, პატარ-პატარა პარტიები შექმნეს.

რაც შეეხება, ხმალაძის და სარიშვილის წინადადებას, ეს სრულიად გაურკვეველი რამაა. მათი აზრით, ცსკ-ს უმრავლესობაში ის პარტიები უნდა მოხვდნენ, ვინც ელემენტარული ამომრჩევლის მხარდაჭერაც ვერ მოიპოვეს. როგორი იქნება ამ ხალხის ინტერესები? ისინი თავისი სურვილით დააფიქსირებენ, რომ კვლავ არანაირი შანსი არ აქვთ, რომ წარმატებას მიაღწიონ? ეს ხალხი ფინანსური დაინტერესების თუ პარლამენტში მოხვედრის ხარჯზე ყველანაირ გარიგებაზე წავლენ.

„რ.“: გამოდის, რომ ეს პროექტი ყველაზე დიდ საშიშროებას თქვენ შეგიქმნით?

ზ. ჟ. ასეთი ვარიანტი ყველას შეუქმნის საშიშროებას. ჩვენი სურვილია, რომ შეიქმნას ისეთი საარჩევნო კომისია, რომლის წევრებიც დაცულნი იქნებიან პარტიული და სახელისუფლებო დიქტატისგან. ამიტომ ისინი გარკვეული ვადით – 4 წლით დაინიშნებიან.

„რ.“: სხვათა შორის, „მოქალაქეების“ საარჩევნო ცვლილებების პროექტის გამო კვლავ მოხდა ბათუმთან „დაჯახება“... ისინი აცხადებენ, რომ „მოქალაქეები“ პოლიტიკურ პლურალიზმს უშლიან ხელს...

ზ. ჟ. ბათუმში იმდენად მაღალი დემოკრატიული სტანდარტებია, იმდენი ოპოზიცია მონაწილეობს არჩევნების მონიტორინგში, რომ როგორც ჩანს, თბილისი ვერანაირად ვერ შეეჯიბრება. იქ სუფევს აზრთა სხვადასხვაობა, სიტყვის თავისუფლება, ხდება აჭარის ხელისუფლების კრიტიკა. ცხადია, მათი საზომით ვერ გავზომავთ ყოველივეს, რადგან ისინი დემოკრატიული აღმშენებლობის თვალსაზრისით, გაცილებით წინ არიან. ამიტომ უფლებაც აქვთ, რომ გვაკრიტიკონ ჩვენ, ვინც ტოტალიტარულ რეჟიმს ვაშენებთ. თქვენი გაზეთის ფურცლები აირჩია ბათუმის ზოგიერთმა წარმომადგენელმა იუმორისტული პასაჟების დასაბეჭდად, ამიტომ მეც ანალოგიური პასუხი გავეცი.

„რ.“: თუკი იცით, რომ 7 პროცენტიანი ბარიერი არ გავა, მაშინ რატომ უჭერთ ედპ-ს წამოწყებას მხარს? ეს გარკვეული თანამშრომლობის მანიშნებელი ხომ არ არის?

ზ. ჟ. უბრალოდ, ეჭვი გამოვთქვი, რომ საკონსტიტუციო ცვლილებისთვის აუცილებელ ხმებს ვერ მოვაგროვებთ, თორემ ისე, ყველაფერია მოსალოდნელი.

„რ.“: პოლიტიკოსები უკვე ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ირინა სარიშვილის ბაგეები უმეტესად იმას ღაღადებენ, რაც „მოქალაქეებს“ უნდათ. მათ შორისაა 7 პროცენტიანი ბარიერიც... სხვათა შორის, სარიშვილი თქვენი ხშირი სტუმარია...

ზ. ჟ. რისი თქმაც გვსურს, საკუთარი ბაგეებითაც კარგად ვსაუბრობთ. ერთთვიანი შუალედის შემდეგ, ამ დღეებში მესტუმრა ირინა სარიშვილი. ასეთი კონსულტაციები ყველა პარტიასთან გვაქვს. ედპ-ს ლიდერმა ამასწინათ ცსკ-ს დაკომპლექტების ის ვარიანტი შემომთავაზა, რომელზეც ცოტა ხნის წინ ვსაუბრობდით. ბუნებრივია, ვერ შევთანხმდით, თუ რატომ არ გვიჯერებს სარიშვილი, ვერ გეტყვით.

„რ.“: თუ მაინც დათანხმდა პარლამენტი 7-პროცენტიანი ბარიერის გაზრდას, ხომ არ მოხდება ისე, რომ მხოლოდ დიდი პარტიები – „მოქალაქეები“ და „აღორძინება“ მოხვდებიან პარლამენტში. თანაც თუ „აღორძინების“ მუშაობის ახლანდელ წესს გავითვალისწინებთ, შესაძლოა, მათ მიატოვონ პარლამენტიც და შეგვრჩეს საპარლამენტო კრიზისი?

ზ.ჟ. ასეთი რამ გამორიცხულია, რადგან ბათუმური დაჯგუფება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ალბათ, დაიშლება. ამის ნათელი მაგალითია თბილისის საკრებულო. ნათელაშვილი და რჩეულიშვილი ტყუპებივით ერთად

დადიოდნენ, მაგრამ ერთი სავარძელი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ერთმანეთის მტრები გამხდარიყვნენ.

„რ.“: უცნაურია, მაგრამ, „მრგვალი მაგიდის“ მოთხოვნები, რატომღაც „მოქალაქეების“ სურვილებსაც დაემთხვა. მაგალითად, მინისტრთა კაბინეტის შექმნის საკითხი. თქვენ მას გასულ ზაფხულს აყენებდით, თავად „მოქალაქეებს“ მინისტრთა კაბინეტის იდეის განუხორციელებლობის მიზეზად ის მოჰყავს, რომ პრემიერობა გინდოდათ და ამით გამოწვეულმა შიდაპარტიულმა არეულობამ, ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა...

ზ.ჟ. ალბათ, ახლა იმაზე დაიწყებენ საუბარს, რომ ექსპრეზიდენტის მომხრეები ჩვენ გვიერთდებიან. გარწმუნებთ, რომ მებოიკოტე პარტიების ჩართვა სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, ჩვენი პრიორიტეტია. იმაშიც გარწმუნებთ, რომ არანაირი შიდა პარტიული არეულობა არ მომხდარა. არანაირი წინააღმდეგობა არც შემხვედრია და არც შემხვდება პარტიაში. რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტს, ეს იდეა კარგა ხანს არც განხორციელდება.

„რ.“: თუკი „მოქალაქეები“ კვლავ საპარლამენტო უმრავლესობა აღმოჩნდებიან, კვლავ გახდებით თუ არა პარლამენტის თავმჯდომარე?

ზ.ჟ. ამაზე ნაადრევია საუბარი, თუმცა ცუდი სპიკერი არ ვარ. პარლამენტის თავმჯდომარეობა საკმაოდ რთულია, ის დიდ დროს, ენერგიას და ნერვებს ითხოვს.

„რ.“: სავარაუდოა, რომ საპარლამენტო სხდომების დამთავრებამდე „მოქალაქეები“ საარჩევნო სიების გამოქვეყნებისაგან თავს შეიკავებენ, რათა ამან ახლანდელ უმრავლესობაში არეულობა არ შეიტანოს. ზოგიერთი „მოქალაქე“ აცხადებს, რომ ახლანდელი დეპუტაციის 60 პროცენტი მაინც შეიცვლება...

ზ.ჟ. მე ვერ დავასახელებ, თუ რამდენი პროცენტით გადახალისდება სია, მაგრამ გამონაკლისების გარდა, გაღიზიანებული და ნაწყენი, არც ერთი უმრავლესობის წევრი არ დარჩება. ბევრი დეპუტატი ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს აღმასრულებელ სტრუქტურაში. ნაწილმა თვითონ გამოთქვა სურვილი, რომ ჩამოსცილდეს პოლიტიკურ საქმიანობას.

„რ.“: რა პრინციპით შედგება სიები?

ზ.ჟ. გარკვეული კვოტა ექნება რეგიონებს, ნაციონალურ უმცირესობებს. ცხადია, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა იმ ადამიანებს, ვინც ამ პარლამენტში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ ახალ სახელს იხილავთ ჩვენთან. „მოქალაქეთა“ რეგიონალური კონფერენცია თავად შეარჩევს დეპუტატთა კანდიდატებს, ასევე მოხდება ეროვნული უმცირესობებიდან შერჩევა. რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც საერთო ეროვნული ლიდერები არიან, მათ ბედს და რანგირებას საერთო პარტიული კვორუმი გადაწყვეტს. ახალგაზრდებს კი, საარჩევნო შტაბი შეარჩევს.

„რ.“: თუკი „მოქალაქეთა“ ელიტის წარმომადგენელი თავის პროტეჟეს შემოგთავაზებთ, რა მოხდემა მაშინ?

ზ. ჟ. სიაში ასეთი ხალხი არ მოხვდება. იქ მხოლოდ იმათი გვარი აღმოჩნდება, ვინც საჭირო იქნება ქვეყნისთვის, პარლამენტისთვის და პარტიისთვის.

„რ.“: ამასწინათ ირინა სარიშვილმა აღნიშნა, რომ ჟვანიას, ლეკიშვილს და ლორთქიფანიძეს ერთობლივი პრესკონფერენციები ვერ უშველის, ისინი ამით მაინც ვერ დაამტკიცებენ, რომ ერთმანეთის თანამებრძოლები არიან...

ზ.ჟ. ერთ დროს, ედპ-ს ლიდერი ჩვენი პარტიის დაშლის პროგნოზით იყო დაკავებული. როგორც ჩანს, იმდენ ყურადღებას უთმობდა იგი ჩვენს საკითხს, რომ თვალსა და ხელს შუა პარტია დაეშალა. ახლაც ვუსურვებდი, რომ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს თავის პარტიას და მე, ნიკოსთან და ვაჟასთან ერთად მივხედავ ჩვენს საქმეს.

„რ.“: „მოქალაქეები“ როგორც აცხადებენ, ამ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამომრჩეველმა უნდა განსაზღვროს, საით წავალთ – ჩრდილოეთისკენ თუ დასავლეთისკენ. თქვენი აზრით, რა თანხა იქნება საჭირო, რომ არჩევნებში გამარჯვება მოიპოვოთ?

ზ.ჟ. გამიჭირდება კონკრეტული თანხის დასახელება, მაგრამ ვაღიარებ, რომ ფინანსების მოზიდვა ჩვენთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ჩვენი ოპონენტებისაგან განსხვავებით, არ გვაქვს დაბევებული მილიონები და ვერ ვახერხებთ გლეხებს უფასოდ დავურიგოთ სასუქი ან მოსახლეობა ზღვაზე გასართობად ვატაროთ. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ფოჩიანი კანფეტის სანაცვლოდ არც ერთი ამომრჩეველი თავის მომავალს ხაზს არ გადაუსვამს.

„რ.“: საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ვარაუდობენ, რომ „მოქალაქეებში“ პრეზიდენტ შევარდნაძის მემკვიდრეს ვიხილავთ. კონკურენტებად თქვენ და ვაჟა ლორთქიფანიძეს გასახელებენ. აპირებთ თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას?

ზ.ჟ. პარტიაში არანაირი მემკვიდრის საკითხი არ დგას. მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ედუარდ შევარდნაძეს ალტერნატივა არ ეყოლება. პირადად მე, ამ საკითხზე არ მიფიქრია. მე ის ადამიანი ვარ, რომელსაც პოლიტიკის გარდა სხვა ინტერესები მაქვს. გარდა ამისა, 5-7 წელში საქართველოში ბევრი ისეთი ადამიანის სახელი გახდება ცნობილი, ვისაც ევროპული საქართველოს მართვა შეეძლება. ისინი კი, ვინც ახლა დარბის, ჩხუბობს, ხმაურობს, საზოგადოებას მხოლოდ ისტორიული ფორმის პერსონაჟებად გაახსენდება.

„რ.“: თქვენი პასუხიდან ის ალბათობაც ჩანს, რომ შესაძლოა, პოლიტიკურ კარიერაზე უარიც თქვათ?

ზ. ჟ. არა, პოლიტიკაში მოღვაწეობის შეწყვეტას არ ვაპირებ, მაგრამ ამაზე საუბარი ნაადრევი და უხერხულიც არის. ხშირად მეცინება, როცა ჩვენი ოპონენტები ერთმანეთს პრეზიდენტის მანტიის მოზომვაში ეჯიბრებიან. ვერც ერთი მათგანი ვერასოდეს გახდება საქართველოს პრეზიდენტი.

გაზ. „რეზონანსი“. 24 ივნისი, 1999 წ. №169. გვ. 1-3

ზურაბ ჟვანიას განცხადება

გუშინ

მიმდინარე წლის 21 ივლისს, ავტოსაგზაო შემთხვევისას, ავტომანქანაში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ლორენ ვილი მართავდა დაიღუპა საქართველოს მოქალაქე.

ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევ მიზეზსა და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის, ლორენ ვილის ბრალეულობის საკითხს სამართალდამცავი ორგანოები იძიებენ.

გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალური განცხადება გააკეთა.

განცხადებაში გამოთქმულია რწმენა, რომ ქართველი სამართალდამცავები ობიექტურად გამოიძიებენ მომხდარს და გამოძიების შედეგები განსაზღვრავს ექვემდებარება თუ არა ეს საქმე სასამართლო განხილვას.

„ჩვენ მოხარულები ვართ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ოპერატიულად გამოეხმაურა აღნიშნულ ფაქტს, რითაც წერტილი დაუსვა ყოველგვარ გაუგებრობას. ამ დოკუმენტით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ნდობას უცხადებს საქართველოს და მის სასამართლო სისტემას, რადგან საყოველთაოდ ცნობილი ამერიკის შეერთებული შტატების მწვავე რეაქცია საკუთარ მოქალაქეთა ბედისადმი იმ ქვეყნებში, რომელთა მიმართ მას ეს ნდობა არ გააჩნია“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ ამასთან დაკავშირებით.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
2 სექტემბერი, 1999წ. №234 (3275). გვ. 1-2

ჩვენს უმრავლესობას საფრთხე არ ემუქრება

თამარ ასლანიკაშვილი

საარჩევნო სია ჯერჯერობით არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ქვოტები. სია ალბათ მომდევნო ათ დღეში ჩამოყალიბდება, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ.

მოქალაქეთა კავშირი საარჩევნო კამპანიის ფავორიტი იქნება. არა მგონია, ჩვენს უმრავლესობას რაიმე საფრთხე ემუქრებოდეს და იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი აქტიური იქნება, ჩვენი პრობლემა გახლავთ ის, რომ მოქალაქეთა კავშირის ამომრჩეველი ძირითადად სტაბილური ამომრჩეველია. ეს გახლავთ საშუალო კლასის წარმომადგენლები. ხშირად ამ ადამიანებს ეზარებათ საარჩევნოდ გარეთ გასვლა. მიაჩნიათ, რომ მაინც არაფერი შეიცვლება. თუ ასე მოხდა, მაშინ, რადიკალური ძალები გაიმარჯვებენ, – განაცხადა ჟვანიამ.

ვინ მიგაჩნიათ მოქკავშირის კონკურენტ ძალად?

რეალური კონკურენტი მოქალაქეთა კავშირს არ ჰყავს. არის აღორძინება, არიან ეროვნული დემოკრატები, არიან ლეიბორისტები, მეწარმეებს აქვთ ხმების დაგროვების შანსი..

ცენტრისა და აჭარის რეგიონის დაძაბულობის ფონზე არსებობს თუ არა რეალური კონფრონტაციის საფრთხე?

საარჩევნო კამპანია, როგორი დაძაბულიც არ უნდა იყოს, იგი არ შეიძლება კონფრონტაციამდე მივიყვანოთ, ყველა უნდა იყოს ფრთხილად. არჩევნების შემდეგ ყველას ერთად მოგვიწევს მუშაობა, ამიტომ პოლიტიკას ბინძურ საქმედ ნუ გადავაქცევთ. როცა პოლიტიკა ხდება ბინძური, იქ გამარჯვება აღარ არსებობს.

აღორძინების გამარჯვების შემთხვევაში, თქვენი მისამართით მუქარა გაისმის..

მე გამოვრიცხავ იმას, რომ ეს ქვეყანა გააკეთებს ისეთ არჩევანს, ვინმეს გასაქცევად რომ გაუხდეს საქმე. ჩვენ გავიარეთ ის პერიოდი, როცა ხალხს საქართველოდან გაქცევა უხდებოდა პოლიტიკური დევნის გამო. აღორძინების მუქარას რაც შეეხება, იმასაც ამბობენ, რომ ჟვანიას, სააკაშვილს და კიდევ ჩემ ერთ-ორ მეგობარს ფიზიკური არსებობის უფლება არა აქვს. ერთმა დიდმა ინგლისელმა კარგად თქვა: – ისტორია ერთხელ ხდება როგორც ტრაგედია, მეორედ მეორდება როგორც ფარსი. ნურავის ჰგონია, რომ ახალი ბერიები და ახალი სტალინები იქნებიან.

პარტიები რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხის კენჭისყრით გადაწყვეტას ითხოვენ...

ეს ისეთი საკითხი არ არის, რომელიც მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით მოგვარდეს. სულ მალე შესაძლოა ეს საკითხი უმტკივნეულოდაც მოგვარდეს. არჩევნების შემდეგ ეს საკითხი ცივილურად მოგვარდება თუ, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებაში არ მოვლენ ის ძალები, რომლებიც ამ ბაზების ყოფნას 25-50 წლით დააკანონებენ საქართველოში.

გაზ. „ახალი თაობა“. 7 სექტემბერი, 1999 წ. №246 (1374). გვ. 2

დღის ციტატა

„არ შეიძლება, საარჩევნო კამპანია, რაოდენ დაძაბულიც უნდა იყოს იგი, მივიყვანოთ კონფრონტაციამდე, თუ ამის სურვილი ვინმეს გააჩნია. ყველას უნდა ესმოდეს თავისი პასუხისმგებლობა, არჩევნები 31 ოქტომბერს გაიმართება და შემდეგ, ყველა შემთხვევაში, ყველას მოგვიწევს ერთად მუშაობა, ჩვენი ქვეყნის ერთად მშენებლობა. ამიტომაა, რომ უკვე რამდენიმე წელიწადია ვამბობ: ნუ გადავაქცევთ პოლიტიკას ყველაზე ბინძურ საქმედ საქართველოში, ადამიანებთან საქმიანობის ყველაზე ბინძურ სფეროდ“.

ზურაბ ჟვანია
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
7 სექტემბერი, 1999 წ. №239 (3280).გვ. 1

ზურაბ ჟვანია: ჩვენ ნამდვილად არ ვუტოვებთ ცარიელ კედლებს მომავალ პარლამენტს

ორი დღეა, პატივცემულო კოლეგებო, ველოდები შესაძლებლობას გამოვიდე თქვენს წინაშე. იმდენად გახანგრძლივდა მოლოდინი, რომ რუსთავი 2-ის მოუთმენელმა ჟურნალისტებმა მიმოიხილეს კიდეც ჩემი ჯერ არშემდგარი გამოსვლა. გუშინ ინტერესით ვუსმენდი მათ შეფასებას როგორი იყო ჩემი გამოსვლა გუშინდელ სხდომაზე. ამიტომ, დაბეჯითებით გთხოვთ, მომცეთ საშუალება მოგმართოთ.

ბატონებო, პირველ ყოვლისა, მინდა დავიწყო მობოდიშებით ჩემს ოპოზიციონერ კოლეგებთან. მიუხედავად წუხანდელი მრავალი რიტუალური შეგინებისა, ტრადიციული გამოხტომებისა და პასაჟების „მოქალაქეთა კავშირის" მისამართით, მინდა ვთქვა, რომ დღეს ნამდვილად არ ვაპირებ ამაზე ლაპარაკს. იმედია, მომიტევებენ, რომ მათი ძალისხმევა, დღევანდელ დღეს, ფუჭად და უპასუხოდ არ დარჩება. ვფიქრობ, იმდენად არაგულწრფელი იყო მათი გამოსვლები, იმდენად. ცალსახად აფასებდნენ ყველაფერს უარყოფითად, რომ ნებისმიერი ამომრჩევლისათვის, ნათელი არის, ისინი არ ამბობდნენ იმას, რისაც თავად სჯერათ. მოგეხსენებათ, 4 წლის განმავლობაში ალბათ, საკითხი არ დარჩენილა, რომელიც დგას ჩვენი საზოგადოების, ჩვენი სახელმწიფოს წინაშე და მასზე არ ემსჯელოს საქართველოს პარლამენტს. დღეს ჩვენ პირველად ვმსჯელობთ იმის შესახებ, თუ რა სამუშაო გასწია საკუთრივ პარლამენტმა, რა სამუშაო გასწია დეპუტატთა კორპუსმა.

რას ვუტოვებთ რეალურად შემდგომი მოწვევის პარლამენტს და რას წარმოადგენს საქართველოს პარლამენტი დღესდღეობით? მინდა დავიწყო იმით, რომ მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება პარლამენტის კანონშემოქმდებით საქმიანობასთან დაკავშირებით. ჩვენ ჩავიბარეთ საკანონმდებლო ხელისუფლება 1995 წლის ნოემბერში. როდესაც ერთადერთი რეალური საკანონმდებლო მემკვიდრეობა, რაც ჩვენ მივიღეთ, იყო საქართველოს კონსტიტუცია. ეს არის მართლაც უნიკალური დოკუმენტი და ვფიქრობ, რამდენი თაობაც უნდა შემოვიდეს ამ დარბაზში. ყველა მადლიერებით გაიხსენებს საქართველოს მესამე პარლამენტს, მან ყველა სირთულის, წინააღმდეგობის მიუხედავად, კომპრომისების გზით, მოახერხა კონსტიტუციის შექმნა. ჩვენ მართლაც მივიღეთ ის კონსტიტუცია და მემკვიდრეობით მივიღეთ ტრადიცია, რომ ვეძებოთ კომპრომისები უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის, ვეძებოთ კომპრომისები თითოეუულ პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის, ეს იყო და ეს.

საქართველო ცხოვრობდა 1995 წელს, პრაქტიკულად იმ კანონმდებლობით, რომელიც იყო ძველი საბჭოური კანონმდებლობა, იყო მორგებული უზარმაზარი იმპერიის საჭიროებებს. დღეს, 4 წლის თავზე, შემიძლია სრული პასუხისმგებლობით, როგორც ამ პარლამენტის სპიკერმა განვაცხადო,

რომ საქართველო გახდა პირველი დღესდღეობით ერთადერთი ქვეყანა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რომელმაც საბოლოოდ უარი თქვა საბჭოთა სამართლებრივ მემკვიდრეობაზე, საქართველო გახდა პირველი და დღესდღეობით ერთადერთი პოსტსაბჭოური სახელმწიფო, რომელმაც ჩამოაყალიბა სრულიად ახლებური საკანონმდებლო სივრცე საკუთარ ფარგლებში. საქართველომ ერთადერთმა უარი თქვა ეგრეთ წოდებულ დსთ-ს კანონმდებლობაზე, ეროვნული კანონმდებლობის ფორმირების გზით. თავიდანვე მინდა პასუხი გავცე იმ საკმაოდ ხშირად გავრცელებულ და სრულიად უსაფუძვლო კრიტიკას, თითქოს, ჩვენ ვახდენთ რომელიმე დასავლური ქვეყნის კანონმდებლობის კალკირებას. ნებისმიერი ჩვენი საკანონმდებლო აქტის მიღებისას, და ამაში დათანხმდებიან ის ოპოზიციონერი დეპუტატებიც ვინც დროს ხარჯავდა კანონებზე მუშაობაში. ჯგუფში, რომელიც ამუშავებდა პროექტს, ყოველთვის იყვნენ ჩართული ექსპერტები გერმანული გამოცდილებით, ფრანგული გამოცდილებით და ყველაფრის გადახარშვა, გადახალისება ხდებოდა იმგვარად, რომ მორგებოდა სწორედ ქართულ საზოგადოებრივ ტრადიციებს, მორგებოდა ჩვენს მისწრაფებებს, წარმოდგენებს იმაზე, როგორი უნდა იყოს ჩვენი სამშობლო და ქართული საზოგადოება.

საქმიანობის დაწყება აბსოლუტური ნულის ნიშნულიდან მოგვიხდა. მე შეგახსენებთ, რომ როდესაც ჩვენ შემოვაბიჯეთ ამ პარლამენტში პირველად, 1995 წლის, 25 დეკემბერს, არ არსებობდა. კანონმდებლობა, რომელიც, თუნდაც, მთავრობის ან პარლამენტის ფუნქციებს განსაზღვრავდა. აი, ის, რასაც ჰქვია მართლაც საფუძველთა საფუძველი, რა ურთიერთმიმართებაში უნდა იყოს, დეპარტამენტი, ვის რა ფუნქციები უნდა გააჩნდეს და სხვადასხვა მრავალი. დღეს საქართველოს გააჩნია აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო დეტალურად დამუშავებული ეკონომიკური კანონმდებლობა. შემიძლია დღეს სიამაყით განვაცხადო, რომ ჩვენი საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს უცხოურ ინვესტიციებს და ყოველგვარ ბარიერებს უხსნის უცხოური კაპიტალის შემოსვლას საქართველოში, კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ჩვენს საფინანსო სფეროს, საბიუჯეტო ურთიერთობებს და სხვადასხვა, ბევრად უფრო დეტალურად არის დამუშავებული, ვიდრე თუნდაც რუსეთში, რომ არაფერი ვთქვათ სხვა სახელმწიფოებზე სხვა ქვეყნებზე, რომლებიც ჩვენს რეგიონშია.

განსაკუთრებულ ადგილზე დავაყენებთ იმ სამართლებრივ რეფორმას, რომელიც განახორციელა საქართველოს პარლამენტმა. ხაზს ვუსვამ, არ ვსაუბრობ მხოლოდ საკუთრივ სასამართლო რეფორმაზე. ეს ცალკე ეპოპეა არის, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, დეტალურად აღწერენ არა მხოლოდ ქართველი პოლიტოლოგები თუ ისტორიკოსები, არამედ ყველა მეცნიერი მკვლევარი, რომელიც ოდესმე შეისწავლის და მიუახლოვდება გარდამავალი საზოგადოებების პრობლემებს, რეალურად ყველა ქართველმა უნდა იცოდეს იმის შესახებ, რომ ისეთი წარმატებული, რადიკალური, ყოვლისმომცველი და სრულყოფილი სასამართლო რეფორმა, როგორც ეს განხორციელდა საქართ-

ველოში, არ მომხდარა არა მხოლოდ არც ერთ პოსტსაბჭოურ სახელმწიფოში, არამედ, არც ერთ ცენტრალურ თუ აღმოსავლურ ევროპის ქვეყანაში. ჩვენ თავდაყირა დავაყენეთ ის სისტემა, რომელიც 1995 წელს საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა. სამოქალაქო კოდექსით რეალობად ვაქციეთ კერძო საკუთრების ცნება. მთელი იურიდიული სამართლებრივი სისტემის ცენტრალურ ფიგურად ვაქციეთ არა სახელმწიფო, როგორც ადრე იყო, არამედ კონკრეტული, ინდივიდუალური მოქალაქე, ეს ტენდენცია გაგრძელდა ყველა იმ საპროცესო თუ სხვა სახის კანონმდებლობაში და კოდექსში, რომელიც მივიღეთ. და ეს იყო უდიდესი გარღვევა მთლიანად ჩვენს სამართლებრივ სისტემაში. ჩვენ გავათანაბრეთ ცალკეული მოქალაქის და სახელმწიფო უწყებების უფლებები სასამართლო პროცესის დროს.

არ შემიძლია, ასევე განსაკუთრებულად არ გამოვყო მიწის რეფორმა. არ ვიცი, რას გულისხმობდა გიორგი კობახიძე ან სხვა გამომსვლელები, როდესაც ამბობდნენ, რომ 80 პროცენტი მიწებისა ჯერ კიდევ არ რეგულირდება სამართლებრივი ნორმებითო. შეიძლება ჩემს კოლეგას არ ახსოვს, რომ ჩვენ მიღებული გვაქვს კანონი, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე ურბანული მიწების კერძო საკუთრების შესახებ და, კარგად მახოვს, სულ ორიოდე წლის წინათ ამ დარბაზში და ამ დარბაზს გარეთაც გვიკიჟინებდნენ. როდესაც მიწას მივცემთ გლეხს, უპირველეს მფლობელს, უპირველეს პატრონს – ამით დავაქცევთ ქვეყანას.

ალბათ, გამოსაყოფია საბიუჯეტო კანონმდებლობა და მე პირდაპირ მინდა განვაცხადო, იმის მიუხედავად, რომ დღეს საქართველოს 4 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით სრულიად სხვა საბიუჯეტო ცხოვრება გააჩნია. ეს საკითხი რჩება ჩვენთვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სუსტ წერტილად. ჩვენ ძალიან წინ წავედით იმასთან შედარებით, რაც იყო 1995 წელს, როდესაც ბიუჯეტი თითქმის არ არსებობდა. ან თუ არსებობდა, ეს იყო რაღაცა უცნაური დოკუმენტი, რომელიც რეალურად არ განსაზღვრავდა ქვეყნის ფინანსურ, ეკონომიკურ ცხოვრებას. ჩვენ გადავდგით რამდენიმე სერიოზული ნაბიჯი, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ საბოლოოდ საბიუჯეტო წესრიგი სახელმწიფოში, ქვეყანაში ჯერ ვერ დავამყარეთ, ვერ მიაღწევთ იმას, რომ საკმარისად ხანგრძლივად იმუშაოს პარლამენტმა მთავრობასთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე იმდენად, რომ ბიუჯეტის თითოეული მუხლი ასახავდეს პოლიტიკურ პრიორიტეტებს.

არ დამავიწყდება ბიუჯეტში ჩატარებული სპეციალური პროგრამა ქართული ენის შესწავლისა იმ რეგიონში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობს არაქართული მოსახლეობა. ეს იყო სპეციალური პროგრამა, რომელსაც აქტიურად დაუჭირეს მხარი ან პარლამენტის აზერბაიჯანული, სომხური თუ ბერძნული წარმოშობის დეპუტატებმა, მათ ძალიან კარგად იციან, რამდენად მნიშვნელოვანი არის მათი ამომრჩევლისათვის სრულყოფილად ფლობდნენ ქართულ ენას. იმ პერიოდში, როდესაც მასწავლებლის ხელფასი იყო ბევრად დაბალი, ვიდრე თუნდაც დღეს ჩვენ მოვახერხეთ 250-300 ლარი მიგვეცა ქართული ენისა და ისტორიის იმ მასწავლებლებისათვის, ვინც წავიდოდნენ ამ რაიონებში

სამუშაოდ, ეს იყო ქართული ენის პროგრამა, რომელიც იშვა ამ პარლამენტის წიაღში და თავისი ასახვა ჰპოვა სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტში.

ახლა მინდა გადავიდე პარლამენტის საქმიანობის იმ სფეროზე, რასაც ჰქვია პოლიტიკის ფორმირება და რაზეც ყველაზე მეტი კრიტიკა გვესმოდა. ხელაღებული კრიტიკა, ერთხელ კიდევ მთელი პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა: საქართველო ვერ შევიდოდა ევროპის საბჭოში აი, ასე ტაშის გრიალში, ყველა ჩვენს მეზობლებზე უფრო ადრე, რომ არა პარლამენტის და პრეზიდენტის ერთობლივი წარმოუდგენელი ძალისხმევა.

მინდა შევეხო კიდევ ერთ სფეროს. რომელსაც რატომღაც ყველანი შევეჩვიეთ და გავითავისეთ და გვგონია, რომ თავისთავად მოხდა ყველაფერი: საქართველო დღეს ამერიკისათვის განსაკუთრებული პარტნიორია. მე ამოვაღებინე გუშინ, გუშინწინ სტატისტიკა და აღმოვაჩინე ჩვენთვის მოულოდნელად, რომ ამ 3 წლის განმავლობაში საქართველოს შეერთებული შტატების კონგრესის, მათ შორის, სენატის, 15 დელეგაცია ეწვია. 15 დელეგაცია არ ჩადის ამერიკის ისეთ უმთავრეს მეზობელ სახელმწიფოში, როგორიც მექსიკაა, თუნდაც ისრაელი. საიდან გაჩნდა ეს განსაკუთრებული და წარმოუდგენელი ინტერესი საქართველოს მიმართ. 4 წლის წინათ ბატონებო, რომლებიც მიიჩნევთ, რომ ჩვენს პარლამენტში პოლიტიკა არ კეთდება, საქართველო შეერთებული შტატებიდან მხოლოდ ჰუმანიტარულ დახმარებას იღებდა. დღევანდელი მდგომარეობით შეერთებულმა შტატებმა დაახლოებით 50 მილიონი დოლარი დახარჯა მხოლოდ იმაზე, რომ საქართველოში დამოუკიდებელი, ძლიერი სასაზღვრო ჯარები შეიქმნას და ქართველებმა თავად შეძლონ საკუთარი საზღვრის დაცვა. როგორ გგონიათ, იმის ხარჯზე, რომ თქვენ დაიკივლებდით ერთ-ორჯერ, პროდასავლურები ვართ და თქვენ კიდევ პრორუსულებიო?! თუ იმის ხარჯზე, რომ სააკაშვილი, ადამია, ჩიტაია და კიდევ, რამდენიმე დეპუტატი ჩვენი პარლამენტიდან წელიწადში რამდენჯერმე დაივლიდა კაბინეტდკაბინეტ ყველა წამყვანი კონგრესმენის, სენატორის ოფისებს და არწმუნებდა მათ, რომ დღეს საქართველო დამოკიდებული არის არა მხოლოდ შევარდნაძის ხედვაზე, არამედ ჰყავს ის ძლიერი გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს შევარდნაძის იდეოლოგიის, პოლიტიკის და ხედვის განხორციელებას ცხოვრებაში, თუნდაც კანონდებლობის დონეზე. ისინი დარწმუნდნენ, რომ ამ 4 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა მართლაც მოახერხა უპრეცედენტო კანონმდებლობის მიღება მთელი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მასშტაბით. ამიტომ არის, რომ 1996-1997 წლებში პრეზიდენტმა კლინტონმა მიიჩნია აუცილებლად გაესვა ხაზი ენერგიული, ახალგაზრდა და მიზანმიმართული ქართული პარლამენტის განსაკუთრებული როლისათვის, ჩვენი პარლამენტი მართლაც განსაკუთრებული გახდა მთელს რეგიონში და რატომ გინდათ, ამას გადავუსვათ ხაზი და დავივიწყოთ ყველაფერი, რაც იყო გაკეთებული.

აი, ახლა, ნახევარი საათის წინათ „აღორძინების“ წარმომადგენელმა გვითხრა, თუ რუსეთის ბაზების გაყვანა გვინდა, პულტს უნდა დავაჭიროთ ხელიო. არა მგონია, ახლა ბევრი იყოს ისეთი ამომრჩეველი, რომელიც მიიჩნევს, რომ დეპუტატებს ხელში ერთგვარი ჯადოსნური ჯოხი უკავიათ ამ პულტის

სახით და რომ აიქნევ, თავისთავად ყველა პრობლემა გადაწყდება. ბევრი არის ასეთი ხალხი? რუსეთის მესაზღვრეების მაგალითზე კიდევ ერთხელ მინდა განვმარტო იმათთვის, ვინც საკუთარი საქმეებით იყო გართული ამ 4 წლის განმავლობაში. დაიწყო იმით, რომ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა უკიდურესად გაამძაფრა ეს საკითხი. პარლამენტმა მთლიანობაში შექმნა ის საზოგადოებრივი აზრი რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელიც თავად დაიცავს საკუთარ საზღვრებს, ამან დაარწმუნა ჩვენი კოლეგები, ჩვენი პარტნიორები, მეგობრები და ოპონენტებიც რუსეთში, რომ მართლაც საჭირო არის დავიწყოთ ფიქრი ისე, რომ არ გავაფუჭოთ საქმე. ნელ-ნელა გავიყვანოთ მესაზღვრეები და საბოლოოდ გადავაბაროთ საკუთარი სახელმწიფო საზღვრის დაცვის საკითხი.

პარალელურად, ბატონი რეზო, ვალერი ჩხაიძესთან ერთად, და რაღა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, საქართველოს პრეზიდენტთან ერთად ზრუნავდნენ იმაზე, რომ ეპოვნათ ფული, რათა აღეჭურვათ, ჩაეცვათ, ეპოვნათ სათანადო ტექნოლოგიები და ყველაფერი, რაც საჭიროა ქართველი მესაზღვრეებისათვის, როგორც მოგახსენეთ, მოიპოვეს კიდეც ეს 50 მილიონი შეერთებული შტატებისაგან. ამ დროის განმავლობაში ჩვენ ოპოზიცია გვიკიჟინებდა, თქვენ ხართ პრორუსულები, თქვენ არ გინდათ ქართველი მესაზღვრეების გაყვანა, რეზო ადამიას ექილიკებოდნენ, თუ გინდა გაყვანა, პულტს დააჭირე თითი. თავს შევიკავებ შემდეგი კომენატრებისაგან.

დღევანდელი მდგომარეობა პრინციპში მიუღებელი უნდა იყოს რუსეთისთვისაც. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ტიტანური შრომა, რასაც ყოველგავრი აფიშირების და რეკლამირების გარეშე ეწევა თავდაცვის კომიტეტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, უკავშირდება იმ თემას, რომლისთვისაც, ალბათ ბევრ ოპონენტს არც მოუკრავს ყური, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის საკითხს და აი, ამ შეთანხმებიდან გამომდინარე, ჩვენ მივაღწევთ ძალიან ბევრს.

ერთი საინტერესო თემა, ოპოზიციისა და უმრავლესობის ურთიერთობები. მართლაც, ახლა ბოლო კვირებია ჩვენი ურთიერთობის, ჩვენი ერთად ყოფნის და მე არ დაგიმალავთ, მიუხედავად ამდენი ნერვების შლისა ერთმანეთისათვის, მართლაც განსაკუთრებული სიმპათია მაქვს ამ პარლამენტის თითოეული წევრის მიმართ, მინდა ვთქვა, რომ ამ პარლამენტმა არსებობის პირველი სამი წლის განმავლობაში ხაზს გავუსვამ, ვიდრე არ ვიყავით დაკავებულნი წინასაარჩევნო ციებ-ცხელებით, მოვახერხეთ, შეგვექმნა ის ტრადიცია, რომელიც ყოველთვის უმნიშვნელოვანესი იქნება ქართული პოლიტიკისათვის. ტრადიცია, რომ ხელის გადაგრეხვით არ მივიღოთ არანაირი გადაწყვეტილება, მაშინაც კი, როდესაც უმრავლესობას, მართლაც საშუალება აქვს პულტებით გადაწყვიტოს პრობლემა ისე, როგორც მას წარმოუდგენია. იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ მახსოვს შემთხვევა არ მიგვექცია ყურადღება და ანგარიში არ გაგვწია ოპოზიციის შეხედულებებისათვის, რაც ნამდვილად ძალზე სასარგებლოა ჩვენი პარლამენტისათვის.

არ შემიძლია არ ვთქვა ორი სიტყვა თავად პარლამენტის, როგორც უწყე-

ბის შესახებ. საოცარია, რომ, პარლამენტი არის უწყება, რომლის საქმიანობაც ყველაზე მეტად შუქდება საქართველოს მასმედიის ჟურნალისტების, პოლიტიკოსების მიერ, მაგრამ იმდენად გართული ვართ დიდი პოლიტიკური საკითხების განხილვით, რომ არ მივაქციეთ ყურადღება, რა პროცესები განვითარდა თავად პარლამენტში, როგორც უწყებაში, რას წარმოადგენს დღეს პარლამენტი, როგორც საქართველოს უპირველესი დემოკრატიული უწყება და ინსტიტუტი, 4 წლის წინ, ბატონებო, ჩვენ შემოვედით ცარიელ და დანგრეულ შენობაში, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. დაახლოებით 3-4 ათასი კვადრატული მეტრი იყო დანგრეული, გაურემონტებელი და სხვა. პარლამენტის საკუთრებას იმ დროს წარმოადგენდა 2 კომპიუტერი, სამიოდე საწერი მაგიდა და რამდენიმე წიგნის თარო. დღეს, მინდა მოგახსენოთ, რომ პარლამენტმა მართლაც შეძლო, შეექმნა სრულიად ახალი სტანდარტი სახელმწიფო სამსახურისა. ჩვენ, პირველებმა, ამ პარლამენტში მოვახერხეთ აპარატი დაგვეკომპლექტებინა გახსნილი კონკურსის საფუძველზე. ადამიანები მოდიოდნენ მართლაც ქუჩიდან შემოტანილი განცხადებებით და არა სატელეფონო ზარების საფუძველზე, ამაში დამერწმუნებიან ის დეპუტატები, ვინც ამ საკონკურსო კომისიაში მონაწილეობდნენ. ამის შედეგი დღეს, ბატონებო გახლავთ ის, რომ 460 თანამშრომლიდან 380 თავისუფლად მუშაობს კომპიუტერის ყველაზე თანამედროვე პროგრამებზე. 300-ზე მეტი ფლობს 2-ზე მეტ უცხო ენას, ჩვენ მოვახერხეთ, რომ მოგვეყვანა, მართლაც ინტელექტუალური ელიტა, საუკეთესო ახალგაზრდობა. საკმაოდ შეზღუდული რესურსებით მივაღწიეთ იმას, რომ პარლამენტის აპარატი მთლიანობაში სააპარატო ქვედანაყოფი გამხდარიყო, მართლაც ეტალონური თავის დარგში, მინდა თქვენთან ამ აპარატს განსაკუთრებული მადლობა მოვახსენო. მადლობა იმ უძილო ღამეებისათვის, როდესაც ჩვენი დაგვიანების გამო მათ უხდებოდათ მუშაობა.

მინდა გითხრათ, რომ ამ 4 წლის განმავლობაში ჩვენს პარლამენტს ესტუმრა 22 პარლამენტის სპიკერი და საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი. ეს მართლაც წარმოუდგენლად მაღალი რიცხვია. გავისტუმრეთ და მივიღეთ, უფრო სწორად დიდი სიხარულით, 1500-ზე მეტი უმაღლესი რანგის სტუმარი. დამეთანხმებით, რომ ვის კისერზეც გადადიოდა ეს ყველაფერი, იმსახურებს განსაკუთრებულ შექებას და მადლიერების სიტყვებს.

ორი სიტყვით აღვნშინავ, რომ პარლამენტი ბოლო 2 წლის განვალობაში გამდიდრდა იმით, რომ შემოგვიერთდა ეროვნული ბიბლიოთეკა. ეს არ გახლდათ პარლამენტის მოთხოვნა, ჩემი მოთხოვნა. ეს იყო გადაწყვეტილება, რომელიც ერთობლივად მივიღეთ ბატონ პრეზიდენტთან ერთად, რომ ბიბლიოთეკა როდესაც გადმოვიბარეთ იყო სრულიად დრამატულ მდგომარეობაში. აი, კოშმარული სიზმარივით მახსენდება, როდესაც ვნახე წიგნსაცავები. სადაც წყალი ჩამოდიოდა წვიმის დროს. არ არსებობდა გათბობის, ვენტილაციის და საერთოდ ყველა სისტემა მოშლილი იყო. დღეს, ჩვენ მართლაც შეგვიძლია იმის თქმა, რომ გადავარჩინეთ ეროვნული ბიბლიოთეკა. უკვე იმაზე არის საუბარი, რომ ორიოდე თვეში დასრულდება მთელი კატალოგის ავტომატიზაციის

სისტემა. წიგნადი ფონდის გარდა ინტერნეტით სარგებლობის, თანაც უფასო სარგებლობის საშუალება შეექმნა მკითხველებს. მოახერხა, რომ სრულიად აღედგინა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის ფონდი, შემოეტანათ აუარებელი ახალი კოლექცია, მათ შორის, საფრანგეთის, შვეიცარიის და სხვა, მადლერების სიტყვებით მივმართო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებს, როგორც წინას, ასევე დღევანდელს და თითოეულ თანამშრომელს, ვინც შეუნარჩუნა ამ გაუტანლობის პერიოდში, ქვეყნის ერთ-ერთი უძვირფასესი განძი მსოფლიოს.

ახლა ცხადია, მე ვიქნები ძალიან უსამართლო, თუ დავასრულებ საპარლამენტო საქმიანობის მიმოხილვას ისე, რომ გავიხსენებ, რასაც ჩვენს საქმიანობაში ასრულებდნენ მასმედიის, ქართული მასმედიის წარმომადგენლები. მინდა დღეს განსაკუთრებით მივესალმო ჟურნალისტთა ტრიბუნაზე მყოფ საპარლამენტო კორესპონდენტებს და ვთქვა, როგორი მწარეც უნდა ყოფილიყო თქვენი ცალკეული გამოსვლები, შეფასებები ჩვენს მიმართ, თქვენ იყავით საქართველოში პოლიტიკური პროცესის, პრაქტიკულად ისეთივე მნიშვნელოვანი შემოქმედებები, როგორც თითოეული დეპუტატი. მე მინდა თქვენც მოგახსენოთ მადლობა ამ თანამშრომლობისათვის და გამოვთქვა რწმენა, რომ პარლამენტი დღეიდან დარჩება ისეთივე გახსნილი პრესის და თითოეული ჟურნალისთვის, როგორც ამ 4 წლის განმავლობაში.

კიდევ ერთხელ მინდა დავაფიქსირო, მე მაქვს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ შემდეგ პარლამენტს ძალიან სერიოზული მუშაობა მოუწევს, რათა პარლამენტის დონეზე დაამყაროს სრული წესრიგი საბიუჯეტო პროცესებში. ეს შეეხება როგორც ბიუჯეტის ფორმირების პროცესს, ესე, იგი, საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრას,ასევე ბიუჯეტის აღსრულებაზე რეგულარულ კონტროლს. შემდეგ პარლამენტს მართლაც ყველა ბერკეტი ექნება საამისოდ. დაგვრჩა მთელი რიგი სერიოზული ხარვეზები საგადასახადო კანონმდებლობასთან მიმართებაში და ვერ მოვახერხეთ ურთიერთობა, პარტნიორობა სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან ისე, როგორც ამას ვისურვებდით, ამიტომ მინდა ყველა პარტია გავაფრთხილო, იზრუნეთ დღესვე იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი კვალიფიციური ეკონომისტი გყავდეთ თქვენს სიებში.

მთავარი სატკივარი, რაც გაგვყვება ამ პარლამენტის წევრებს, აფხაზეთია: ჩვენ არ გვერგო წილად ბედნიერება, კენჭი გვეყარა იმ გადაწყვეტილებისათვის, რომელიც საბოლოოდ დააფიქსირებდა აფხაზეთის სტატუსებს ქართულ სახელწიფოში. მე ვერ მივიღებ ვერავის გაცხარებულ ნათქვამს, ჩვენ არ გვიზრუნია აფხაზეთზე, არა მგონია, რომ ოპოზიციის რომელიმე წარმომადგენელს მეტი ემუშავა აფხაზეთის საკითხებზე, ამ პარლამენტში, ვიდრე ჩვენ. ვერ მოვახდინეთ, სამწუხაროდ, სასწაული და ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ ამ პრობლემის გადაწყვეტა.

მეამაყება, რომ ვტოვებ ამ პარლამენტს შემდეგი მოწვევის დეპუტატებისათვის, როგორც სპიკერი იმ პარლამენტისა, რომელიც განსაკუთრებული სახელით სარგებლობს მთელს მსოფლიოში.

მე მერგო წილად პატივი, თქვენთან ერთად და ჩვენს კოლეგებთან ერთად აღმასრულებელი ხელისუფლებიდან, ხელი შეგვეწყო ედუარდ შევარდნაძისთვის ამ საქმეში, რასაც ახალი საქართველოს ჩამოყალიბება ჰქვია. კმაყოფილი ვარ იმით, რომ შემდეგ პარლამენტს ცარიელ კედლებს ნამდვილად არ დავუტოვებთ.

დიდი მადლობა კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა.

გაზ. „დილის გაზეთი“. 9 სექტემბერი, 1999 წ. №205 (1023). გვ. 7-11

პარლამენტის თავმჯდომარე: „დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო თანამეგობრობა არ დაყოვნებს...“

საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე სასაზღვრო რეჟიმის შეცვლისა და, შესაბამისად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილების დარღვევის, რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო სათათბიროს 1999 წლის 27 სექტემბერის გადაწყვეტილების გამო, რომელიც აფხაზეთში საპრეზინდეტო არჩევნებამდე დამკვირვებლის სტატუსით რუსეთის საპარლამენტო დელეგაციის მივლინებას ითვალისწინებს, რაც თავის მხრივ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს №1255 რეზოლუციის სრული იგნორირებაა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ ლორდ რასელ ჯონსტონს, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივან ვალტერ შვიმერს, ევროპარლამენტის პრეზიდენტ ნიკოლ ფონტეინს, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ ჰელი დინს, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანს საიმონ ლანს ოფიციალური წერილით მიმართა.

„ეს პოლიტიკური აქცია სხვა არაფერია, თუ არა გენოციდის პოლიტიკის განმახორციელებელი და ადამიანის უფლებათა დამრღვევი აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლებისადმი თანაგრძნობის და მხარდაჭერის დაუფარავად დემონსტრირება. ეს არის ამ რეჟიმის დაკანონების მცდელობა, რომელმაც საქართველოს ძირძველ კუთხეში თავითმარქვია დამოუკიდებელი სახელმწიფო გამოაცხადა“ – ნათქვამია ოფიციალურ წერილში.

ამავე დოკუმენტში პარლამენტის თავმჯდომარემ მიუთითა, რომ ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ეუთოს რეზოლუციების სულისკვეთებას, ევროპის საბჭოს ყველა კონვენციასა და აქტს, რომელთაც საერთაშორისო სამართლის ყველა სუბიექტი, მათ შორის, რუსეთის ფედერაციაც შეუერთდა.

„საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა და მთლიანად რეგიონული კონტექსტიდან გამომდინარე, ჩვენ მოვლენათა ამგვარ განვითარებას, ვაფასებთ როგორც აფხაზეთის რუსეთის ფედერაციაში ინტეგრირების მცდელობის ფარულ ფორმას. უფრო მეტიც, აგრესიას, რომლის მიზანია საქართველოში პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციის გზით მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების ჩაშლაა.

ჩვენი გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ ასეთ ვითარებაში ყველაზე ქმედითი გარანტია საერთაშორისო ორგანიზაციების დროული და ადეკვატური რეაქციაა.

დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო თანამეგობრობა არ დააყოვნებს და მკვეთრად გამოხატავს თავის პოზიციას“, – აღნიშნულია პარლამენტის თავმჯდომარის ოფიციალურ მიმართვაში.

პარლამენტის პრესსამსახური.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
5 ოქტომბერი, 1999 წ. №267 (3308) გვ.1-5

პარლამენტის თავმჯდომარე: ჩვენი მიზანი არის სამართლიანი არჩევნების მოგება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ღია წერილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებს, დამოუკიდებელი მასმედიის რედაქტორებს, ჟურნალისტებს

პატივცემულო მეგობრებო, კოლეგებო!

განზრახ ვხმარობ ამ მიმართვას, ვინაიდან ბოლო 4 წლის განმავლობაში ჩვენ ვაკეთებდით ერთ საქმეს, რასაც საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიის აშენება ჰქვია. არაერთგზის აღმინიშნავს, რომ როგორი მწარეც უნდა ყოფილიყო თქვენი კრიტიკა თუ ცალკეული შეფასებები, მასმედია მუდამ იყო ჩვენი საზოგადოებისათვის ყველა სასიკეთო რეფორმის ისეთივე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი და შემოქმედი, როგორც ის პოლიტიკოსები, ვინც იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებებს. სწორედ ამიტომაც გვწადია და გვწამს, რომ დამოუკიდებელმა მასმედიამ პოლიტიკურ პროცესებში საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს როგორც იმ ძალამ, რომელმაც სახელმწიფოებრივი, საერთოეროვნული პასუხისმგებლობით განმსჭვალულმა უნდა მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირება.

დღეს თავს მოვალედ ვთვლი, მოგმართოთ ამ პროცესების გამო, რაც ჩემი ღრმა რწმენით, საშიშროებას უქმნის არა რომელიმე პარტიის თუ პოლიტიკური ლიდერის, არამედ მთლიანად ჩვენი საზოგადოების მომავალს. ვგულისხმობ სრულიად მიზანდასახულ და აღვირახსნილ პროპაგანდისტულ კამპანიას 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასწარ დისკრედიტაციის მიზნით. გაუთავებელი საუბარი არჩევნების შედეგების გაყალბებაზე, ხელოვნური აჟიოტაჟის შექმნა ყველა შესაძლო თუ შეუძლებელი მიზეზის გამო, ისედაც საკმარისზე მეტად დაძაბული წინასაარჩევნო ვითარების უკიდურესი გამძაფრება მიზნად ისახავს ერთადერთს – აქედანვე შეიქმნას პროპაგანდისტული საფუძველი საქართველოს არჩეული ხელისუფლების ლეგიტიმურობაში ეჭვის შესატანად. ეს თავისთავად ხელ-ფეხს გაუხსნის თქვენთვის ცნობილ ძალებს საქართველოს დაქუცმაცების პროცესებისათვის შემდგომი ბიძგის მისაცემად; საფუძველს მისცემს ბევრად უფრო გაბედულად იმოქმედონ ქვეყანაში დესტაბილიზაციის შესაქმნელად. ამ განცხადებას ვაკეთებ არა ვარაუდების დონეზე, არამედ სრული პასუხისმგებლობით, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც გამაჩნია.

ამ წერილის დაწერისაკენ მიბიძგა 6 ოქტომბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის წინ მოწყობილმა პროვოკაციულმა აქციამ, რომლის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ მოუწოდებენ მოსახლეობას მთელ საქართველოში არჩევნების დღეს ანალოგიური აქციების მოწყობისაკენ. ვაც-

ნობიერებთ თუ არა, რა რანგის და რა მასშტაბის კონფრონტაცია შეიძლება მოჰყვეს ამგვარ ქმედებებს? რა მოხდება თუკი ჩვენ გავაკეთებთ ანალოგიურ მოწოდებებს ასეულობით ათასი ჩვენი მხარდამჭერის მიმართ. ან როდესაც სამართალდამცავი სამსახურები იძულებულნი იქნებიან გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები თუნდაც ელემენტარული წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით. საუბარია იმაზე, რომ საქართველო ცივილიზებული არჩევნების გამართვის ნაცვლად აღმოჩნდება ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაციის წინაშე.

მე არ მოგიწოდებთ მხარი დაუჭიროთ ჩვენს, ან რომელიმე სხვა პარტიას, გაიზიაროთ ჩემი, ან სხვისი პოლიტიკური სიმპათიები, ან ანტიპათიები, თვალი დავხუჭოთ არსებულ ან შესაძლო უკანონოებებზე საარჩევნო პროცესში. ერთადერთი, რასაც გთხოვთ, არჩევნების სამართლიანობის უმთავრეს საზომად ავიღოთ საქართველოს საარჩევნო კანონი. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ამოვიდეთ იქიდან, რეალურად დაირღვა თუ არა კანონი და არა იქიდან, ვინ უფრო ხმაურიან აქციას მოაწყობს. გვახსოვდეს ისიც, რომ დღეს საქართველოში მოქმედებს ახალი და ძლიერი სასამართლო სისტემა, რომელმაც არაერთგზის დაადასტურა, რომ შეუძლია ხელისუფლების უმაღლესი სტრუქტურების, მათ შორის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის საწინააღმდეგო განაჩენის გამოტანა. შეგახსენებთ თუნდაც ბათუმის საოლქო კომისიის თავმჯდომარის საკითხს და ეს არ არის ერთადერთი მაგალითი. ამიტომაც ვაცხადებ, რომ აქციების მიზანი არა სამართლის პოვნაა, არამედ – დაპირისპირების გამწვავება და ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნა, ჩვენი მიზანი არის არა არჩევნების მოგება, არამედ სამართლიანი არჩევნების მოგება, არჩევნებმა ბიძგი უნდა მისცეს საქართველოს წინსვლას ახალი ტემპით და არა ახალ სამოქალაქო დაპირისპირებას.

პირადად მე, მადლობელი ვიქნები თითოეული კონკრეტული შენიშვნისათვის, წინადადებისათვის, ერთად როგორ უზრუნველვყოთ არჩევნების სამართლიანი გამართვა, მაგრამ თქვენც მოგმართავთ თხოვნით, არ დაუშვათ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, არჩევნებისადმი ნიჰილიზმის დამკვიდრება და არ მისცეთ საფუძველი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ძალიან შორს მიმავალ გეგმებს.

პატივისცემით, ზურაბ ჟვანია

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
8 ოქტომბერი, 1999 წ. №270 (3311). გვ. 1-2.
გაზ. „ახალი თაობა“. 8 ოქტომბერი, 1999 წ. №277. გვ. 3.
გაზ. „რეზონანსი“ 8 ოქტომბერი, 1999 წ. №276. გვ. 5.
გაზ. „დილის გაზეთი“. 8 ოქტომბერი, 1999 წ. №230 (1048). გვ. 3

ბინძური მეთოდებით პოლიტიკაში ჯერ არავის გაუმარჯვია ბოლომდე

არჩევნები ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ყოველთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა და მათთვის არც მძაფრი პოლიტიკური ვნებათაღელვაა უცხო. მაგალითისთვის, 1992 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების გახსენებაც კმარა, როცა ამჟამინდელმა ვიცეპრეზიდენტმა ალ გორმა, ბილ კლინტონის თანდასწრებით, საჯაროდ დაიფიცა „ვფიცავთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ბუში და ბეიკერი წავიდნენ და ჩვენ მოვიდეთ თეთრ სახლში!“ დღეს, ფაქტობრივად, მსგავსი განცხადებები საქართველოშიც გაისმის, მაგრამ ვაი, რომ ისინი ახლოსაც ვერ მივა ფორმითა და შინაარსით ალ გორის აღნიშნულ განცხადებასთან, თუმცა, არც ხელისუფლება პასუხობს ოპოზიციას „მოწყალე ღიმილით“. ამის შედეგად რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ორი ძირითადი კონკურენტი ძალა, პრაქტიკულად, სიკვდილ-სიცოცხლის მნიშვნელობას ანიჭებს არჩევნებში გამარჯვება-დამარცხებას. ეს წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაბმულ ლიდერებსაც დაეტყოთ გარეგნულად, რომლებიც უძილო ღამეებისა და წინასაარჩევნო ვოიაჟების შედეგად ცოტა შეიფერთხნენ, ბუნებრივია, გამონაკლისს არც ბატონი ზურაბ ჟვანია წარმოადგენს, რომელიც უკიდურესად დაღლილი დამხვდა თავის კაბინეტში... პარლამენტში; იმ კაბინეტში, რომელშიც 31 ოქტომბრის შემდეგ ადგილს დაიკავებს ან კვლავ ამჟამინდელი სპიკერი, ან...

თუმცა სჯობს, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

ბატონო ზურაბ, თქვენი სარეგისტრაციო-საარჩევნო ბარათის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი წმინდა ტექნიკური მიზეზით იყო გამოწვეული თუ ამ საქმეში „ბოროტი ხელი“ ერია?...

არანაირი შეცდომა არ იყო დაშვებული. ეს გახლდათ, უბრალოდ, უსაქმურთა თავშესაქცევი ამბავი წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ბარათში შავით თეთრზე მაქვს ჩაწერილი, რომ მე განათლებით გახლავართ ბიოლოგი, ანუ კვალიფიკაციის გრაფაში მიწერია – ბიოლოგი, შემდეგ წერტილ-მძიმეა დასმული და მიწერია – პოლიტიკოსი. საარჩევნო კომისია კი, არ ვიცი, რა პრინციპით აქვეყნებს გაზეთებში ამ მონაცემებს, თუ არ ვცდები, იქ მიწერილი აქვს ყველას პროფესიის ნიშანი. მაგალითად, მე რომ ვკერავდე ფეხსაცმელს, იმის მიუხედავად, რომ ბიოლოგიური მაქვს დამთავრებული, დავწერდი, რომ პროფესიით ვარ მეწაღე, ვინაიდან ბოლო ათი წელიწადია, სამწუხაროდ, ბიოლოგობას არ მივდევ. როდესაც პარლამენტში ვმუშაობ, ცხადია, გახლავართ პროფესიონალი პოლიტიკოსი. სხვათა შორის, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ ყველა დეპუტატი უნდა იყოს სწორედ პროფესიონალი დეპუტატი და სხვა საქმიანობას არ ეწეოდეს, ანუ უნდა იყოს პროფესიონალი პოლიტიკოსი. მე ვამაყობ, რომ დამთავრებული მაქვს თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, რაც მაქვს კიდეც ჩაწერილი სათა-

ნადო გრაფაში და თუ ვინმეს ეჭვი ეპარება იმაში, რომ მე დღეს არა ვარ პოლიტიკოსი, ეს მისი პრობლემაა.

რამდენადაც ვიცი, თქვენ, როგორც ბიოლოგს, სპეციფიკური სპეციალობა გქონდათ...

ვიყავი ცხოველთა ქცევის სპეციალისტი და უნდა გითხრათ, რომ ეს ადრინდელი სპეციალობა ძალიან გამომადგა ზოგიერთ ჩემს კოლეგასთან ურთიერთობის დროს. ხოლო თუ ზოგიერთი ჩვენი ოპონენტი თვლის, რომ მათთან ურთიერთობა ბიოლოგიის კვალიფიკაციას უფრო მოითხოვს, ვიდრე პოლიტიკოსისას, ეს მათი პრობლემაა და არა ჩემი...

მაგრამ ის ინციდენტები, რაც ვთქვათ, ბორჯომში მოხდა, როცა ჯუმბერ პატიაშვილი არ შეუშვეს კლუბში, „აღორძინების“ სააგიტაციო ავტობუსებთან დაკავშირებული აჟიოტაჟი ნამდვილად არ ასახავს წყალს მმართველი ძალის წისქვილზე პირიქით, ვფიქრობ, რომ ამ ინციდენტებმა უკიდურესად გააღიზიანა თვით თქვენი თავგამოდებული მომხრეებიც კი...

კიდევ ერთხელ გასაგებად ვაცხადებ, ყველა მსგავსი პროვოკაცია ჩვენს წინააღმდეგაა მიმართული და ეს პირდაპირ ვუთხარი კიდეც შესაბამის ხელმძღვანელ პირებს. ჩვენი მეთოდი არ არის ძალმომრეობა წინასაარჩევნო კომისიის, ეს ჩვენ არ გვჭირდება პატიაშვილი, ფაქტობრივად, ყველა რაიონში ატარებს შეხვედრებს, სადაც მაქსიმუმ 100-200 კაციდანაც უმრავლესობა ავტობუსებით ჩაყვანილი ხალხია. ამის ხელის შეშლა, ხელოვნური ბარიერების შექმნით, მხოლოდ არაჯანსაღ აჟიოტაჟს იწვევს და ჩვენი მოწინააღმდეგის წისქვილზე ასხამს წყალს. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ არ შეიძლება ერთი და ორი შემთხვევის ასე გაზვიადება საარჩევნო კამპანიის წარმართვაში არავის არანაირი შეფერხება არა აქვს. შემიძლია მოვიყვანო ძალიან ბევრი შემთხვევა ნამდვილი ძალადობისა ჩვენი ოპონენტების მხრიდან. აჭარაზე საერთოდ აღარ ვსაუბრობ, რადგან იქ სრული ტერორის ქვეშ უწევთ საქმიანობა ჩვენს წარმომადგენლებს, ზუგდიდში „აღორძინების“ წარმომადგენლები თავს დაესხნენ პოლიციას, სცემეს თანამშრომლები და ა.შ.

და მაინც, ამ ამბებში ადგილობრივ ხელისუფალთაც მიუძღვით ალბათ ბრალი, რომლებიც ზედმეტ „ერთგულებას“ იჩენენ...

ბორჯომში მართლაც მძიმე კრიმინალური ვითარება იყო შექმნილი. სწორედ იმ დღეს გაიტაცეს ათეულათასობით დოლარი ერთ-ერთი მოქალაქისგან და პოლიცია ატარებდა ოპერაციას. ეს უბრალო დამთხვევა იყო, თუმცა მე არავითარ შემთხვევაში არ ვამართლებ ამ ქმედებას. რაც შეეხება ავტობუსებს, თბილისის პოლიციას კატეგორიული მითითება ჰქონდა მინისტრისგან, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეექმნათ „აღორძინების“ ავტობუსებისთვის. იმასაც ვიტყვი, რომ ზოგჯერ ჩვენი ოპონენტებიც ცდილობენ, „მონამებრივი“ სახეები მიიღონ და თვითონაც ახდენენ რაღაც პროვოკაციების ინსცენირებას.

სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილ წინასაარჩევნო ვნებათაღელვას ამძაფრებს გარეშე ფაქტორებიც, ამ შემთხვევაში, მხედველობაში მაქვს რუ-

სეთის მიერ გაზის მოწოდების დროებითი შეწყვეტა. საოცარია, ან შეწყვეტა რას ისახავდა მიზნად, ან ორი დღის შემდეგ მისი მოწოდების აღდგენა. ითქვა, რომ ეს შემთხვევა საქართველოდან გარკვეული ძალების მიერ იქნა პროვოცირებული. ვინ არიან ისინი?

მე არა მაქვს შესაძლებლობა, მთელი ინფორმაცია გამოვაქვეყნო, რადგან ჩვენი სპეცსამსახურები ამას აზუსტებენ. ცხადია, საუბარია ჩვენს აქაურ ოპონენტებზე, რომლებმაც თავიანთი მოკავშირეების საშუალებით სცადეს, ძალიან მძიმე სოციალური პირობები შეექმნათ გაზის მოწოდების შეჩერების გზით. სახელმწიფო მინისტრმა პრემიერი პუტინი ჩართო მოლაპარაკების პროცესში და გაზის მოწოდება განახლდა. ვფიქრობ, ეს ერთი ფაქტიც ნიშანდობლივია, თუ რა მეთოდებით გვებრძვიან ოპონენტები. ამის თქმის საფუძველი ნამდვილად გვაქვს, რადგან რუსეთის დავალიანების გასტუმრებაზე იყო შეთანხმება, არსებობდა გრაფიკი, რომლის შესრულებაც მიმდინარეობდა და არანაირი საფუძველი არ ყოფილა, რომ მოსკოვს ერთ დღეში ასეთი გადაწყვეტილება მიეღო. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ რუსეთის მთავრობის ჩართვამ მოაგვარა ეს საკითხი.

რუსეთი ვახსენეთ და ფაქტია, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, თავისი ინტერესებითურთ, და დასავლეთი, უწინარესად აშშ, ასევე საკუთარი ინტერესებითურთ, ფაქტობრივად, სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი საქართველოში არჩევნების შედეგებით, ისიც ფაქტია, რომ ეს ორი გლობალური ძალა ცდილობს, საქართველოში მათთვის სასურველი ხელისუფლების მოსვლას.

არჩევნების ობიექტურად ჩატარება უნდა უზრუნველვყოთ ჩვენ თვითონ, ქართველებმა. ეს არც რუსეთის, არც ამერიკისა და არც სხვა რომელიმე ქვეყნის საქმეა. ეს ჩვენი ეროვნული ღირსების საკითხია. არ მეეჭვება, რომ არჩევნები ჩატარდება სამართლიანად. ცალკეულ დარღვევებს ვერც ერთ ქვეყანაში ვერავინ გამორიცხავს, მაგრამ მე გამოვრიცხავ რაიმე მნიშვნელოვან დარღვევებს არჩევნების პროცესში ქვეყნის მასშტაბით. ცხადია, ცალკეულ რეგიონში და იმავე აჭარაში, ხდება ძალიან დიდი ზეწოლა მოსახლეობაზე, რაც აშკარად უკვე ჩანს. მე ამთავითვე დარწმუნებული ვარ არჩევნების შედეგებში, მაგრამ ჩვენ გვჭირდება უცხოელ მეგობრებთან თანამშრომლობა, რათა ისინიც დარწმუნდნენ იმაში, რომ საქართველოში არჩევნები ტარდება სამართლიანად და ყოველგვარი ფართომასშტაბიანი დარღვევების გარეშე.

დიახ, რუსეთის გავლენიანი წრეები ეცადნენ, შანტაჟი მოეწყოთ ჩვენთვის წინასაარჩევნო პერიოდში. ამას მივაწერ აბსურდულ ბრალდებებს ჩეჩნეთისთვის იარაღის მიწოდების თაობაზე. ფსოუზე სასაზღვრო რეჟიმის მოხსნის მცდელობას, გაზის შეწყვეტას და ა.შ. მაგრამ საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევამ და ურთიერთობამ რუსეთის ხელმძღვანელობასთან, მოხსნა ეს პრობლემები. იმავე რუსეთშიც ჩვენ გვყავს მოკავშირეები, ის ადამიანები, რომლებსაც ესმით, რომ მსგავსი მეთოდებით ზემოქმედება საქართველოს საზოგადოებრივ აზრზე, ვერანაირ სიკეთეს რუსეთს ვერ მოუტანს.

დადის მოარული ხმები, რომ თბილსში გავრცელდა ვიდეოკასეტები, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლების მაკომპრომენტირებელი კადრებია დაფიქსირებული. თქვენ ნახეთ ეს კადრები?

ეს, უფრო, ჭორია და არც მსურს ამას შევეხო, თუ რომელიმე პარტიას სხვა არაფერი აქვს სათქმელი მოსახლეობისათვის, სხვადასხვა ვიდეომონტაჟის გავრცელების გარდა, ეს მათი სადარდელია, მით უმეტეს, რომ მათ ამგვარ საქციელზე, ანუ ჭორების გავრცელებაზე ჩვენი საზოგადოება ძალიან საღად და სწორად რეაგირებს. ამას მოწმობს კიდეც საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვები არჩევნების დასრულების შემდეგ, ჩვენ დეტალურად გავშიფრავთ თუ როგორი მეთოდებით მოქმედებენ ჩვენი ოპონენტები.

და აი აქ ჩნდება საფრთხე ბატონო ზურაბ, რომლის შესახებაც უკვე გამოთქვამს შეშფოთებას ჩვენი ისთებლიშმენტი. არჩევნების შემდეგ ხომ არ დაიწყება ურთიერთანგარიშსწორება დაპირისპირებულ ძალებს შორის და ხომ არ მიგვიყვანს ეს ორხელისუფლებიანობის სინდრომთან?

როდესაც 1995 წელს უმრავლესობით მოვედით პარლამენტში, ანგარიშსწორება არავისთვის არ დაგვიწყია. მეტიც, ძალიან ბევრი ჩვენი ოპონენტის ბინძურ ნამოქმედარზე, დანაშაულობებზე დავხუჭეთ თვალი, რათა საქართველოში დასაბამი მისცემოდა სამოქალაქო მშვიდობას და ერთიანობას. შეიძლება ეს არც იყო სწორი ზოგიერთ შემთხვევაში, ზოგჯერ კი, ალბათ უფრო მკაცრიც უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ასეთი მიდგომა ჩვენი პრინციპია და ჩვენი გამარჯვება, შევერდნაძესაც არაერთხელ აღუნიშნავს ეს.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ძირითადი კონკურენტი ძალა თითქოს კატასტროფად აღიქვამს მოწინააღმდეგის გამარჯვებას...

დღეს მიშა სააკაშვილს დაუსვეს შეკითხვა: „რა მოხდება საქართველოში, თუ დავუშვათ და გაიმარჯვებს „აღორძინება“, მან უპასუხა: „ამის აღწერას ჰიჩკოკის ფანტაზია სჭირდება!“ დიახ, დაახლოებით ასეა, მართლაც, მე არ გახლავართ ჰიჩკოკი, არც საშინელებათა ჟანრის სხვა რომელიმე ცნობილი წარმომადგენელი, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, საქართველო მართოს იმ ძალამ, რომლის საქმიანობაც მიმართულია ჩვენი ქვეყნის მომავლის საწინააღმდეგოდ...

ჰიჩკოკის ფილმის სცენარად ხომ არ აღიქვამს მმართველი ძალა, თუ ვთქვათ, და, ბატონი ასლან აბაშიძე ჩამოვიდა თბილისში „აღორძინების“ ყრილობაზე...

პირიქით, ჩვენ მიველსამებით, თუ ასლან აბაშიძეს თბილისელები ცოცხლად იხილავენ! თუ ადამიანი სათავეში უდგას საარჩევნო კამპანიას, ის უნდა შეხვდეს კიდეც თავის ამომრჩეველს და ცოცხლად დაენახოს და არა ტელეეკრანის საშუალებით. აქ უცნაური ის არის, რომ ჩვენ გვეჩვენება უცნაურად მისი ჩამოსვლა თბილისში.

წინასაარჩევნო პერიოდი უცხოეთიდან მოსული ერთი სენსაციური ინფორმაციითაც აღინიშნა. ვგულისხმობ ამერიკელი გადამდგარი გენერლის, უილიამ ოდომის განცხადებას შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტების ორგანიზებაში ევგენი პრიმაკოვის მონაწილეობის შესახებ.

ამ ინფორმაციას დაუყონებლივ გამოეხმარუნენ აზერბაიჯანის უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნები და თავის მხრივ, ბრალი დასდეს პრიმაკოვს ჰეიდარ ალიევის წინააღმდეგ ტერაქტების ორგანიზების მცდელობაში. თქვენი კომენტარი:

სამწუხაროდ, არ ვფლობ კონკრეტულ ინფორმაციას. ბატონი ოდომის განცხადებასთან დაკავშირებით ვაპირებ, შევისწავლო ყველა ნიუანსი, თუ რას ეყრდნობა მისი განცხადება. მხოლოდ ამის შემდეგ ვიქნები მზად საფუძვლიანი კომენტარის გაკეთებისათვის. ერთი რამ კი ფაქტია: შევარდნაძის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერაქტების მიღმა იდგნენ რუსეთის გავლენიანი ფიგურები...

კვლავ არჩევნებს დავუბრუნდეთ და პირადად თქვენ, როგორ წარმოგიდგენიათ 31 ოქტომბრამდე დარჩენილი პერიოდი და არჩევნების შემდგომი საქართველო?

არჩევნებამდე დარჩენილ ერთ კვირაში ყველა პოლიტიკურმა ლიდერმა, ყველა პარტიამ უნდა გავიხსენოთ, რომ პარტიულ ინტერესებზე მაღლა დგას ჩვენი სამშობლო და საერთო ეროვნული ინტერესები. არ უნდა ვაქციოთ საარჩევნო კამპანია და განსაკუთრებით მისი ბოლო საარჩევნო ეტაპი რაღაც ამაზრზენ ურთიერთდაპირისპირების სანახაობად. შარშან, როდესაც პირველად „მოვინათლე“ ტერორისტად, მოვუწოდე ყველა პოლიტიკოსს, რომ თავი აერიდებინა ბინძური მეთოდების გამოყენებისათვის. ბინძური მეთოდებით პოლიტიკაში ჯერ არავის გაუმარჯვია ბოლომდე და ჩვენს ზოგიერთ მოკლე ჭკუის ვაიმოღვაწეს ჰგონია, რომ პოლიტიკა არის სიბინძურე. ის, ვინც იწყებს ტალახის სროლას, თავად დაასრულებს ცხოვრებას ტალახში ამოსვრილი, ეს კანონზომიერებაა პოლიტიკური წესისა, ამიტომ, ყველას მოვუწოდებ დავიცვათ ჩვენ-ჩვენი შეხედულებები, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ყველაზე მაღლა დგას საქართველო თავისი მომავლით და იმედით, რომელიც ყველა ქართველს უნდა გვაერთიანებდეს. 31 ოქტომბრის შემდეგ, კი, ვიცი, რომ ატყდება დიდი ჟივილ-ხივილი, რადგან ჩვენი ვარაუდით ძალიან დიდი ალბათობაა, რომ მხოლოდ „მოქკავშირი“ და „აღორძინება“ გადალახავს 7%-იან ბარიერს და ალბათ სხვა პარტიები შეეცდებიან, თავიათი დამარცხება გაამართლონ ათასგვარი ბრალდებით. ამიტომ, საზოგადოებამაც უნდა გააკონტროლოს არჩევნების პროცესი. ორხელისუფლებიანობის პრობლემა საქართველომ მოიხადა 1993 წელს, როცა სხვა სახელმწიფო არ არსებობდა და ჩვენი მტრები შეეცადნენ, რომ ქუთაისში რაღაც ხელისუფლება დაესვათ. დღეს საქართველო სახელმწიფოა და ნურავის შეექმნება იმის ილუზია, რომ თავის პოლიტიკურ პარანოიას შეიძლება გადააყოლოს ქვეყანა. საქართველო იცხოვრებს კონსტიტუციის შესაბამისად და ქვეყანას შესწევს ძალა უზრუნველყოს კონსტიტუციის დაცვა.

როგორ წარმოგიდგენიათ არჩევნების შემდეგ თქვენი პოლიტიკური კარიერა?

თუკი მოქკავშირი მოვა მყარი უმრავლესობით, ალბათ, გავაგრძელებ საქმიანობას ამავე პოსტზე. მართალია, დღეს მრავლად გამოჩდნენ ადამიანები,

რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ სპიკერობაზე და ღმერთმა ხელიც მოუმართოს, მაგრამ მე ეს თანამდებობა დავიკავე იმის გამო, რომ წარმოვადგენდი გამარჯვებულ გუნდს, თუ კვლავ გავიმარჯვე, დავასრულებ იმ გეგმებს, რომელთა გახორციელებაც დავიწყე 4 წლის წინ.

დაბოლოს, ახლახან ჩვენს ფოტოპალიტრაში გამოქვეყნებულ ფოტოზე გთხოვთ აზრის გამოთქმას, სადაც თქვენ მღვიმეში თუ გამოქვაბულში ხართ გადაღებული ფრიად ორიგინალური გამომეტყველებით. სად გადაგიღეს ეს სურათი და როგორ ფიქრობთ, მსგავსი ფოტოების გამოქვეყნება აამაღლებს პოლიტიკოსთა და ხელმძღვანელ პირთა იმიჯს, რეიტინგს, თუ პირიქით? და კიდევ, მკითხველთა რომელი შეფასება მოგეწონათ ყველაზე მეტად ამ ფოტოსთან დაკავშირებით?

მართალი გითხრათ, ზუსტად არ მახსოვს სად გადამიღეს, მგონი დაახლოებით 8-9 წლის წინ არის გადაღებული საქართველოს რომელიღაც მღვიმეში, თუ გამოქვაბულში ჩემი მეგობრების მიერ... მე საკმაოდ მშვიდად აღვიქვამ ასეთ რამეებს, არა მგონია ასეთი სურათი ამაღლებდეს პოლიტიკოსის იმიჯს, მაგრამ მსგავსი ფოტოები შეახსნებს ყველას, რომ პოლიტიკოსებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. მე წინააღმდეგი ვარ იმის, როცა პოლიტიკოსები ცდილობენ, განსაკუთრებულ ფიგურებად გამოჩდნენ, რომლებიც არ ხუმრობენ, არ იციანიან, გნებავთ არ ოინბაზობენ და ა.შ.

ძალიან მომწონს მკითხველთა ორი კომენტარი ჩემს ფოტოზე: „ვაიმე, არ შეხვიდეთ ბუნაგში, იქ ასლანი ზის!“ და „არქეოლოგიურმა გათხრებმა საქართველოს პარლამენტის სპიკერის მუმია აღმოაჩინა!“ იმედი მაქვს, რომ 31 ოქტომბრის შემდეგ კვლავ შევხვდებით ამ კაბინეტში და უფრო დეტალურად მოგიყვებით ჩვენს გეგმებზე, რომელთა განხორციელების საშუალება უნდა მოგვცეს ჩვენმა ახალი უმრავლესობით მოსვლამ პარლამენტში.

გმადლობთ საუბრისთვის.

ზურაბ მჭედლიშვილი

გაზ. „კვირის პალიტრა“. 25-31 ოქტომბერი, 1999 წ. №43 (236). გვ. 3

საქართველოში ორხელისუფლებიანობაზე ნურავინ იოცნებებს

თამარ ნინიძე

„იმედი მაქვს, რომ ამერიკის სპეცსამსახურები მხოლოდ ქართველი კოლეგების ინფორმაციას არ ფლობენ“. – აცხადებს ზურაბ ჟვანია

ესაუბრა გიორგი კალანდაძე

„რეზონანსი“: რამდენად ცნობილი იყო თქვენთვის გენერალ ოდომის ინფორმაცია?

ზურაბ ჟვანია: ჯერ კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით, რადგან მას ვსწავლობთ. თუმცა ერთი რამ ცხადია, 9 თებერვლისა და სხვა ტერაქტების მიღმა მოსკოვში ძალიან მაღალი თანამდებობის პირები რომ იდგნენ, ფაქტია. თუ ვინ არიან ისინი, ამას გამოძიების შემდეგ ვიტყვით.

„რ.“: ოდომმა განაცხადა, რომ გარკვეული ინფორმაცია მას საქართველოს სპეცსამსახურებმა მიაწოდეს, ეს ცნობები საკმარისია იმისთვის, რომ ევგენი პრიმაკოვი ტერაქტების ორგანიზებაში დავადანაშაულოთ?

ზ.ჟ.: ეს ვერსია „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ სტატიაშია გამოთქმული. მე იმედი მაქვს, რომ ამერიკის სადაზვერვო სამსახურს, ჩვენი სპეცსამსახურების ინფორმაციის გარდა, სხვა ცნობებიც გააჩნია.

„რ.“: ერთი-ერთი ვერსიის მიხედვით, პრიმაკოვის გვარის წამოტივტივება განაპირობა რუსეთში მოახლოებულმა არჩევნებმა.

ზ.ჟ.: მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ რუსეთის პრესაში ამ აჟიოტაჟის ატეხვა უკავშირდება რუსეთში მიმდინარე წინაარჩევნო მოვლენებს.

გაზ. „რეზონანსი“. 25 ოქტომბერი, 1999 წ. №293. გვ. 3

პარლამენტის თავმჯდომარე: არჩევნებამდე 2 დღე დარჩა

ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიასთან

თქვენი პროგნოზით რამდენი პარტია გადალახავს 7%-იან ბარიერს? სოციოლოგიური გამოკითხვებიდან ჩანს, რომ მოქალაქეთა კავშირი და აღორძინება გავლენ პარლამენტში, შეიძლება მესამე ძალაც გავიდეს. რამდენად კარგი იქნება ძალთა ასეთი განლაგება სახელმწიფოსათვის?

ვისურვებდი, რომ უფრო სრულად იყოს წარმოდგენილი როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ოპოზიცია, მაგრამ 7%-იანი ბარიერის შემოღებამ, რომლის ინიციატორებიც ჩვენ არ ვყოფილვართ, შექმნა იმის წინაპირობა, რომ მაღალია ალბათობა, მხოლოდ ორი პარტია შევიდეს პარლამენტში – მოქალაქეთა კავშირი და აღორძინების ალიანსი. ვთვლი, რომ რაიმე ტრაგიკულს ამაში ვერ ვხედავ, იმიტომ, რომ პარლამენტი მაინც მრავალფეროვანი იქნება ჩემი ვარაუდით, აღორძინების ბლოკი საკმაოდ მალე შეიძლება დაიყოს რამდენიმე ნაწილად. ეს ახლა შეუიარაღებელი თვალით ჩანს. მთავარია, რომ პოლიტიკური სპექტრის გამსხვილება მიმდინარეობს, ეს პოლიტიკური სტაბილურობის წინაპირობაა: ჩემს პოლიტიკურ გემოვნებაზე რომ იყოს დამოკიდებული, მე, ცხადია, სხვა პარტიებს ავირჩევდი პარტნიორებად ოპოზიციის მხრიდან, მაგრამ რეალური ვითარება ამგვარია.

არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მოქალაქეთა კავშირი რას პირდება მოსახლეობას?

ჩვენ სამწუხაროდ, ერთადერთი პარტია ვართ, ვინც გამოაქვეყნა საკუთარი ეკონომიკური პროგრამა და ეს დეტალური დოკუმენტია, რომელიც შეიცავს სამოქმედო გეგმას. ჩვენ თამამად ვსაუბრობდით საარჩევნო კამპანიის განმავლობაში როგორც ჩვენს წარმატებებზე, ასევე იმ ხარვეზებზე, იმ ძალიან მძიმე პრობლემებზე, რომელიც დღეს არსებობს საქართველოში. უმთავრესი ამოცანაა, გამოვიდეთ საბოლოოდ იმ ეკონომიკური სიდუხჭირიდან, რაშიც დღეს საქართველო იმყოფება. 2000 წელი უნდა გახდეს ქვეყანაში საბიუჯეტო წესრიგის დამყარების წელი, გასტუმრებული უნდა იქნას წლევანდელი და შარშანდელი დავალიანება და ეს გახდება რეალური საფუძველი საიმისოდ, რომ მივაღწიოთ შემდეგ წლებში ადამიანთა შემოსავლების საგრძნობ ზრდას, მივაღწიოთ უფრო სრულყოფილი სოციალური დაცვის და დაზღვევის მექანიზმების ამუშავებას. ამის პოტენციალი დღევანდელ საქართველოს ნამდვილად გააჩნია. ყველა ნაბიჯი საამისოდ უკვე გადადგმულია, არსებობს მყარი საფუძველი, რომ საქართველომ საგრძნობ ეკონომიკურ წარმატებებს მიაღწიოს. ამიტომაც მოქ.კავშირის მთავარი საარჩევნო ლოზუნგი – „სტაბილურობიდან კეთილდღეობისაკენ“ მართლაც ზუსტად ასახავს ჩვენი პოლი-

ტიკის მთავარ მიმართულებას. ის პოლიტიკური სტაბილურობა, რაც შეიქმნა ქვეყანაში, დღეს უნდა ვაქციოთ თითოეული ოჯახის რეალურ მატერიალურ კეთილდღეობად, თითოეულმა ოჯახმა საქართველოში უნდა იგრძნოს, რომ მასაც აქვს უკეთესი ხვალინდელი დღის შანსი.

მოსახლეობას ასევე უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ კერძო საკუთრების პრინციპებისგან გადახვევა არ იქნება?

არამცთუ ეს გაგრძელდება, არამედ ეს არის საფუძველთა საფუძველი იმ პოლიტიკის, რომელსაც ჩვენ ვატარებთ და საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა ყოფილ საბჭოურ რესპუბლიკებს შორის, რომელმაც გადადგა ისეთი სერიოზული ნაბიჯები, როგორიცაა მიწის პრივატიზება, ეკონომიკის ლიბერალური მსოფლმხედველობის პრინციპების განხორციელება ყველა მიმართულებით, იქნება ეს რეგისტრაციის გაუქმება, ლიცენზირების წესის გამარტივება თუ მრავალი სხვა.

მოქალაქეთა კავშირის ოთხწლიანი მმართველობის პერიოდში შეინიშნებოდა სერიოზული წინსვლა საგარეო პოლიტიკაში. შენარჩუნდება და გაღრმავდება თუ არა ის საგარეო პრიორიტეტები, რომელიც საბოლოოდ ევროპაში ინტეგრაციას გულისხმობს?

შემდეგი 4 წელი იქნება საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი, ევროპულ ოჯახში უბრალოდ დაბრუნების პერიოდი კი აღარ იქნება, ჩვენ ჩვენს განსაკუთრებულ ღირსეულ ადგილს დავიმკვიდრებთ ჩვენს ოჯახში, მიუხედავად იმისა, რომ სულ ახლახან გავხდით ევროპის საბჭოს წევრები, ამ თვალსაზრისით ძალიან ბევრი საინტერესო სიახლე გველოდება 2003-2004 წლებში. ქართველი რეალურად იგრძნობს თავს ევროპელად. ეს აღარ იქნება მხოლოდ პოლიტიკური დეკლარაცია, ეს იქნება ის განცდა, რომელიც ექნება ყველა ჩვენს თანამოქალაქეს, გამომდინარე თუნდაც ცხოვრების პირობებიდან.

რამდენად ხართ შინაგანად დარწმუნებული, რომ საპარლამენტო უმრავლესობას მოიპოვებთ?

მიღებულია, რომ არჩევნების წინ ყველა პარტია გაიძახის გავიმარჯვებთ, გავიმარჯვებთ. მათ შორის ისინიც, ვისაც არანაირი იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ჩვენ შემთხვევაში მე ვეყრდნობი სხვადასხვა სოციოლოგიურ გამოკითხვებს, მათ შორის იმ გამოკითხვებსაც, რასაც ჩვენი ოპონენტები ატარებენ. ყველა ერთმნიშვნელოვნად მეტყველებენ იმაზე, რომ ჩვენ გვაქვს ბევრად უფრო დიდი უპირატესობა მოსახლეობის მხარდაჭერის თვალსაზრისით, ვიდრე ჩვენს ძირითად ოპონენტს, აღორძინების კავშირს. ეს არის იმის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მოქალაქეთა კავშირი შეინარჩუნებს მყარ საპარლამენტო უმრავლესობას შემდეგი მოწვევის პარლამენტში.

თუ გრძნობთ მღელვარებას ამ არჩევნების წინ, როგორც, მაგალითად, სცენაზე ყოველი გამოსვლის წინ ღელავს მსახიობი ან მუსიკოსი?

სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ მე ვღელავ პარლამენტში ყოველი გამოსვლის წინ, მაშინაც კი, როცა თითქმის ყოველდღე მიხდება გამოსვლა. არჩევნებს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, ძალიან ვღელავთ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძალიან დავიღალეთ მეც და ჩემი მეგობრებიც ამ 3-4 თვის განმავ-

ლობაში, დღეღამე გასწორებული გვაქვს იმიტომ, რომ რთულია მმართველი პარტიისათვის ასეთ მძიმე პირობებში აქტიური საარჩევნო კამპანიის წარმოება. ამ საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი გახლდათ ის, რომ უკიდურესად აქტიური და ალბათ გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი პარტიის ლიდერმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. თქვენ აკვირდებით ალბათ, რომ იგი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს ეწვია და ამ შეხვედრების დროს დეტალურად ჩამოაყალიბა თავისი ხედვა – როგორი იქნება საქართველო 21-ე საუკუნეში, როგორი იქნება თითოეული ჩვენთაგანისთვის ახალი საუკუნე.

1995 წლის საპარლამენტო არჩევნებისაგან განსხვავებას წლევანდელ არჩევნებში რაში ხედავთ?

ბევრად დაძაბულია ეს კამპანია და სამწუხაროდ, ჩვენმა ოპონენტებმა იკადრეს ბევრად ბინძური მეთოდების გამოყენება. ძალიან ცუდი სიახლეა ის, რომ ამ კამპანიაში უზარმაზარი ფული იქნა დაბანდებული. ჩვენი გათვლებით ოპონენტებს დახარჯული აქვთ რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი.

საქართველოში დემოკრატიის განვითარებაში დაინტერესებული არიან სხვა ცივილიზებული ქვეყნები, როგორ ფიქრობთ, დემოკრატია რითი სჯობს სხვა წყობილებას, მაგალითად, ავტორიტარულ რეჟიმს?

სხვა ქვეყნებზე მე არ ვისაუბრებ, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში, გულახდილად გეტყვით, ქართველი ადამიანი, ქართული საზოგადოება ვერცერთი სხვა წყობილების პირობებში თავს ვერ იგრძნობს სრულფასოვან საზოგადოებად. დემოკრატია აღმოცენდა იმ ქვეყნებში, სადაც პირადი ღირსება, ადამიანის ინდივიდუალური თვისებები წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებებს. ასეა საქართველოშიც. ქართველები ინდივიდუალისტები არიან, თითოეული ქართველი ცალკე ფენომენია. ამიტომაც ღრმად ვარ დარწმუნებუნებული, რომ ქართული საზოგადოებისათვის ტრადიციული დემოკრატია არის არსებობის ერთადერთი მისაღები ფორმა, ერთადერთი წყობილება, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში სტაბილურობას და წარმატებულ განვითარებას.

რამდენად მზად არის ჩვენი საზოგადოება დემოკრატიული სისტემისათვის?

სავსებით მზად არის და ყველა გაჭირვების მიუხედავად, ყველა პრობლემის მიუხედავად, ქართული საზოგადოება ძალიან ღირსეულად მოახერხებს გაუმკლავდეს აუარებელ სირთულეს, რაც ჩვენს ქვეყანაშია. ძალიან გაკვირვებული ვარ, არა მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ხშირად თანმხლები პირების გარეშე, მე თვითონ ვჯდები საჭესთან და გავდივარ მთის სოფლებში. ამ 4 წლის განმავლობაში ბევრი ასეთი შეხვედრა მქონია. უბრალო გლეხთან საუბრის დროსაც გაგიკვირდებათ, რამდენად ზუსტად აფასებენ ადამიანები გზას, რასაც ჰქვია დემოკრატიული განვითარების პოლიტიკა, რომელსაც განასახიერებს ედუარდ შევარდნაძე, ალტერნატივა არ გააჩნია. შეიძლება გვაქვს შეცდომები, ხარვეზები, მაგრამ მთლიანობაში ამ პოლიტი-

კას ალტერნატივა არ გააჩნია. სხვა ალტერნატივა საქართველოსთვის იქნება მხოლოდ ქაოსი და უბედურება.

რამდენად აფასებთ პრეზიდენტის როლს დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებაში?

ამერიკელები უწოდებენ ვაშინგტონს, ლინკოლნს ამერიკის „დამფუძნებელ მამებს". ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვთვლი, რომ ედუარდ შევარდნაძე არის ქართული დემოკრატიის და ახალი ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელი მამა. ეს არის ადამიანი, რომლის პირადმა ძალისხმევამ და პირადმა თავგანწირვამ განაპირობა ის, რომ ჩვენს სამშობლოს ახალი პერსპექტივები გაუხსნა.

იგივე შემთხვევაში პარლამენტის როლს როგორ აფასებთ, მხედველობაში მყავს არა რომელიმე კონკრეტული პარტია, არამედ მთელი პარლამენტი.

პარლამენტმა შეძლო ამ ოთხი წლის განმავლობაში გამხდარიყო ერთი მთავარი და განმსაზღვრელი დემოკრატიული პროცესებისა, რაც წარიმართა საქართველოში. თუნდაც პრესისა და ხელისუფლების ურთიერთობები, ძალიან კარგად მახსოვს 1995 წელს ეს სულ სხვა ურთიერთობები იყო. მასმედია სულ სხვა როლს ასრულებდა ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენმა მეოთხე პარლამენტმა მოახერხა საქართველოში საბოლოოდ დაემკვიდრებინა პარლამენტარიზმის ტრადიციები და ვამაყობ იმით, რომ ვიყავი იმ პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც დატოვა მნიშვნელოვანი კვალი ამ ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში. ეს იყო უმრავლესობის და ოპოზიციის ერთობლივი მუშაობის, თანამშრომლობის, ერთიანი ძალისხმევის შედეგი. თუ არ ჩავთვლით ბოლო ერთ წინასაარჩევნო წელიწადს, როცა ურთიერთობები ხელოვნურად დაიძაბა, რადგან ყველა პარტიამ დაიწყო მუშაობა პუბლიკაზე და არა საქმის კეთებაზე, სამი წელი მართლაც ძალიან ნაყოფიერად და კარგად ვიმუშავეთ.

როცა საპარლამენტო უმრავლესობით მოხვალთ პარლამენტში, მომავალი 4 წლის განმავლობაში პრესისა და სიტყვის თავისუფლებას როგორ შეუწყობთ ხელს?

4 წლის თავზე საქართველო სრულიად განსხვავებული ქვეყანა იქნება, ვიდრე დღეს არის. ეს იქნება ყველა თვალსაზრისით ევროპული სტანდარტების ქვეყანა, ეკონომიკურად მივუახლოვდებით ევროპულ დონეს, თუნდაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს და რაც შეეხება დემოკრატიულ ინსტიტუტებს, მათ შორის მასმედიას, დარწმუნებული ვარ, იქნება სრულიად ევროპული ყაიდის და მასშტაბების.

თქვენი აზრით, რატომ საუბრობენ ობიექტები იმაზე, რომ მმართველი პარტიის ხელშია პრესაზე კონტროლის სადავეები?

მათ, მე მგონი, ვერ ისწავლეს ურთიერთობები დამოუკიდებელ პრესასთან. მათ ჰგონიათ, რომ მხოლოდ ლანძღვით შეიძლება მოხვდე გაზეთების ფურცლებზე. იმისათვის, რომ მიიპყრო პრესის ყურადღება, უნდა იყო საინტერესო შენი ქმედებებით, შენი გამონათქვამებით, იყო პერიოდი, როცა ქართველები

თავს ვიქცევდით ერთმანეთის ლანძღვა-გინებით, მაგრამ ეს ჩაბარდა წარსულს. დღეს პოლიტიკოსს ბევრად უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე ის, თუ ვინ მეტად ხმამაღლა ილანძღება, ამას ჟურნალისტებიც გრძნობენ. მე ვურჩევდი ყველა ჩვენს ოპონენტს, ისწავლონ ურთიერთობა დამოუკიდებელ მასმედიასთან.

პირადად თქვენ რას გააკეთებთ 31 ოქტომბერს?

ხმას მივცემ ჩემს ოჯახთან ერთად. გუშინ ჩემი ბავშვები ჩხუბობდნენ ერთმანეთში, თუ ვინ წამომყვება ხმის მისაცემად საარჩევნო უბანში. შემდეგ ვიჯდები ოფისში, ვაშლიჯვარში, ვინერვიულებ ისევე როგორც სხვა ჩემი თანაგუნდელები.

საინტერესოა თქვენი კომენტარი სომხეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ჩვენ უკიდურეს შეშფოთებას გამოვთქვამთ 27 ოქტომბერს ერევანში, ეროვნული კრების სხდომათა დარბაზში მომხდარი ტერაქტის გამო, ამგვარი ტერაქტი უპრეცედენტოა მსოფლიო ისტორიაში თავისი თავხედობით, სისასტიკით. დაიღუპა სომხეთის მთავრობის და პარლამენტის არაერთი წევრი, მათ შორის, ჩემი მეგობრები, ადამიანები, ვისთანაც მაკავშირებდა კარგი ურთიერთობა და თანამშრომლობა ამ წლების განმავლობაში. ვგულისხმობ პრემიერ მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს. მთავარია, რომ დღეს სიტუაცია კონტროლის ქვეშ აიყვანა სომხეთის ხელისუფლებამ. ტერორისტები დაკავებული არიან. მნიშვნელოვანი დესტაბილიზაცია სომხეთში გამოირიცხა. თუმცა ამ ტრაგედიის კვალი დაეტყობა ჩვენს მოძმე სახელმწიფოს. რაც ერევანში მოხდა, ყოველი ჩვენგანისთვის უნდა იყოს იმის შეხსენება, რამდენად აუცილებელია ტერორიზმის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, იმის შეხსენება, რომ უნდა გავუფრთხილდეთ საქართველოში სტაბილურობას, რასაც მივაღწიეთ ბოლო წლებში.

ბევრი პოლიტიკური ძალა გამოთქვამს ვერსიას, რომ თუ აღორძინება უმრავლესობაში ვერ მოვა, მოქალაქეთა კავშირს დააბრალებს მასობრივ გაყალბებას.

ვინ რას დაგვაბრალებს, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. წაგებული პარტია, მით უფრო, საქართველოს პირობებში, დაიწყებს ჭიჭყინს და ათასგვარ ცილისწამებას, არჩევნების დაკვირვებას მოახდენს აუარებელი ქართველი და უცხოელი დამკვირვებელი. მთავარია, ხალხი ხედავდეს, რომ არჩევნები ჩატარდა წყნარად და ნორმალურ ვითარებაში, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. მთავარია, საერთაშორისო საზოგადოებამ შეაფასოს არჩევნები საქართველოში, როგორც თავისუფალი და სამართლიანი.

ბოლოს, თუ კონფრონტაცია გაგრძელდება მოქალაქეთა კავშირსა და აღორძინებას შორის, ხომ არ არის მოსალოდნელი ორხელისუფლებიანობა ქვეყანაში?

ჩვენ შუა საუკუნეებში არ ვცხოვრობთ, არც 1991-93 წლებია. ვერანაირი ორხელისუფლებიანობა საქართველოში ვერ იქნება. ნურც იოცნებებენ ამაზე. დიდი განცვიფრებით გავეცანი აღორძინების კავშირის გაზეთში გამოქვეყ-

ნებულ სტატიებს, თუ რა კარგია ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს ნაცვლად ძლიერი რეგიონები, ოღონდ ცალ-ცალკე. ამ იდეოლოგიას ამაგრებს ისეთი აბსურდული მოსაზრებები, რომ თურმე გურულები და იმერლები ურიები ყოფილან წარმოშობით, კოლხები – ეგვიპტელები. ქართლელები სხვა რაღაც წარმომავლობის ხალხი. ეს ხალხი უპირისპირდება მაქალაქეთა კავშირს კი არა, არამედ ქართველი ერის ერთიანობას. ქმნიან იდეოლოგიას, რასაც თავის დროზე ქმნიდნენ სუსლოვები და სხვები, ვინც იყო საქართველოს დაქუცმაცების იდეის სულისჩამდგმელი. დღეს ქართული სახელმწიფო არსებობს ყველა თავის ინსტიტუტით, ეს აღარ არის ფეხზე ძლივსმდგომი რაღაც წარმონაქმნი. ნურავინ ეცდება დესტაბილიზაციის შემოტანას საქართველოში. ამას არ დავუშვებთ.

გაზ. „ახალი თაობა“. 29 ოქტომბერი, 1999 წ. №298 (1426). გვ. 2-6

„ჩემს გემოვნებაზე რომ იყოს დამოკიდებული, უფრო საინტერესო ოპოზიციას ავირჩევდი“

ზურაბ ჟვანიას აზრით, თუ „აღორძინება“ პარლამენტს კვლავ ბოიკოტს გამოუცხადებს, გაუგებარი იქნება, ამომრჩეველი რისთვის შეაწუხა

ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიასთან

ესაუბრნენ: ლალი შალვაშვილი
გიორგი კალანდაძე

„რეზონანსი“: როგორ შეაფასებდით 31 ოქტომბრის არჩევნებს? რამდენად დემოკრატიულად ჩატარდა ის და რამდენად მოულოდნელი იყო მისი შედეგები თქვენთვის?

ზურაბ ჟვანია: არჩევნები იყო რეალური დემონსტრირება იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობამ გააკეთა თავისი არჩევანი ახალი საუკუნისათვის და აქტიურად გამოიყენა საკუთარი საარჩევნო უფლება. ეს არჩევნები იმითაც იყო გამორჩეული, რომ ამომრჩეველმა საკმაოდ იაქტიურა.

არჩევნები ბევრად უფრო მშვიდად ჩატარდა, ვიდრე ამას ბევრი დამკვირვებელი და პოლიტიკოსი ვარაუდობდა. ამიტომაა, რომ ყველა საერთაშორისო დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ქართული დემოკრატიის განსამტკიცებლად. ჩვენთან ისეთი არჩევნები ჩატარდა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს ეკადრება.

რა თქმა უნდა, იყო დარღვევები როგორც ოპოზიციის, ისე ჩვენი პარტიის წარმომადგენლებისა და ხელისუფლების მხრიდანაც, მაგრამ მთელი ქვეყნის მასშტაბით ისეთ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რომელიც რაიმე ზეგავლენას მოახდენდა ძირითად საარჩევნო სურათზე.

გამონაკლისს წარმოადგენს აჭარა, სადაც დამკვირვებლები დარწმუნდნენ, რომ არჩევნები ჩატარდა ადგილობრივი ხელისუფლების მძიმე ზეწოლის ქვეშ. ეს ნათლად აისახა შედეგებზე, როდესაც ბათუმურმა ბლოკმა ტრადიციული 98% მიიღო.

თუ როგორი იქნება პარლამენტი შემდეგი 4 წლის მანძილზე, ჯერ ამის თქმა გამიჭირდება, ვინაიდან ჯერ არ გამოკვეთილა, თუ რომელი პარტიები შევლენ პალამენტში. ერთი რამ ცხადია, სმკ-ს უმრავლესობა ეყოლება.

თუმცა აუცილებელი იქნება, რომ ჩვენი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საკითხებზე ოპოზიციასთან მივაღწიოთ შეთანხმებას, მათთან შეძლებისდაგვარად კონსტრუქციული თანამშრომლობა უნდა აეწყოს.

პირველ რიგში, „აღორძინებას“ ვგულისხმობ. საქართველოს ამომრჩეველმა გადაწყვიტა იმგვარად, რომ სწორედ „აღორძინება“ იყოს ჩვენი პოლიტიკუ-

რი პარტნიორი. ჩემს პოლიტიკურ გემოვნებაზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, მე ბევრად უფრო საინტერესო ოპოზიციას შევარჩევდი. ჩვენ პატივს ვცემთ ამომრჩევლის ნებას, როგორი სერიოზულიც არ უნდა იყოს ჩვენს შორის აზრთა სხვადასხვაობა, ყველაზე პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით, უნდა ვეცადოთ, რომ საერთო ენა გამოვნახოთ.

„რ.“: „აღორძინების“ საპარლამენტო მუშაობის გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, ხშირად ყოფილა, როდესაც ამ პარტიის დეპუტაცია პარლამენტს ბოიკოტს უცხადებდა. თუ ამას გავითვალისწინებთ, როგორ აპირებთ „აღორძინებასთან“ თანამშრომლობას?

ზ.ჟ.: „აღორძინების“ ბლოკში ბევრი პიროვნებაა, რომელთანაც ურთიერთობის არანაირი პრობლემა არ მაქვს. მათთან თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება მაკავშირებს.

ძალიან კარგია, რომ გამოქვეყნდა ასლან აბაშიძის განცხადება, რომ ბლოკი არ აპირებს პარლამენტის ბოიკოტს. არა მგონია, რომ ეს იყოს ეფექტური გზა ქვეყნისთვის ან თავად „აღორძინებისათვის“, როგორც პარტიისთვის საკუთარი თავის დასამკვიდრებლად.

უცნაური იქნებოდა და გაუგებარი, რომ პარტია, რომელმაც არჩევნებში წარმატების შედეგად, პარლამენტში გარკვეული ადგილები მოიპოვა, აპირებს ბოიკოტი გამოუცხადოს პარლამენტის მუშაობას. მაშინ გაუგებარია, რისთვის მიმართავდნენ მხარდასაჭერად ამომრჩეველს.

„რ.“: „აღორძინებამ“ უკვე გამოთქვა სურვილი, რომ პარლამენტის თავმჯდომარის ორი მოადგილის თანმდებობა ამ ალიანსის წევრებმა დაიკავონ.

ვახტანგ რჩეულიშვილმა ამასთან დაკავშირებით ისიც განაცხადა, რომ პრეზიდენტისთვის და მისი გუნდისთვის მისი კანდიდატურა ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე მიუღებელია, ამიტომ რომც დასვას „აღორძინებამ“ ეს საკითხი, „მოქალაქეები“ მას არ დაუჭერენ მხარს.

ზ.ჟ.: თავს შევიკავებ იმის კომენტირებისას, თუ რამდენად მისაღები იქნება მოქალაქეთა კავშირისათვის ვახტანგ რჩეულიშვილი, მაგრამ თუ პრინციპში სპიკერატში წარმოდგენილი იქნება ოპოზიცია, ამ შემთხვევაში ჩვენ თავად ოპოზიციას დავუთმობთ ინიციატივას, რომ შეარჩიოს თავისი წარმომადგენელი.

„რ.“: მმართველმა პარტიამ რამდენჯერმე დააყენა კონსტიტუციაში ცვლილების შეტანისა და მინისტრთა კაბინეტის შექმნის საკითხი. შევა თუ არა ეს ახალი პარლამენტის დღის წესრიგში?

ზ. ჟ.: ჩვენ ამის თაობაზე კონსულტაციები არ გვქონია. დღეს თუ საუბარია პრიორიტეტებზე, რაც დგას სმკ-ს წინაშე, უმთავრესია უმწვავესი სოციალური პრობლემების მოგვარება, ვგულისხმობ ელექტროენერგიის მიწოდებას, და რაც მთავარია საბიუჯეტო წესრიგის დამყარებას ქვეყანაში. ეს ის საკითხია, რომელზედაც დავიწყებთ მუშაობას, როგორც კი დასრულდება ახალი პარლამენტის ჩამოყალიბება.

„რ.“: პრეზიდენტმა ამასწინათ განაცხადა, რომ პარლამენტს გარეთ დარჩენილი ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელს შესაძლოა, შესთავაზონ ადგილი მთავრობაში. რამდენადაა ეს საკითხი მმართველ პარტიასთან შეთანხმებული?

ზ.ჟ.: იმ პარტიების წარმომადგენლებს, რომლებმაც ვერ გადალახეს 7%-იანი ბარიერი, აღმასრულებელ ხელისუფლებაში სავარძლებს შესთავაზებენ.

მე ჯერ არ ვიცი, იქნება ეს მინისტრის პორტფელი, თუ სხვა წინადადება აღმასრულებელ ხელისუფლებაში ადგილის დაკავებასთან დაკავშირებით. ეს პრაქტიკა ჩვენთან არსებობს.

დღესაც მთავრობის ბევრი წარმომადგენელი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელია. ახლაც ამაში არანაირი პრობლემა არ გვაქვს. თუ საუბარი იქნება ღირსეულ პიროვნებებზე, სიამოვნებით დავუჭერთ მათ მხარს.

საკმაოდ ბევრი პარტიაა, რომელთანაც გვქონდა აქტიური თანამშრომლობა ამა თუ იმ საკითხებზე. ისინი ტრადიციული მემარჯვენე პარტიებია. ცხადია, წინასაარჩევნო პერიოდში ჩვენს შორის ურთიერთობა დაიძაბა, მაგრამ უნდა ვეცადოთ, დალაგდეს ისევ ურთიერთობები და ვითანამშროლოთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

„რ.“: გავრცელებული ინფორმაციით, თბილისი დათანხმდა, დროებით ჩააყენოს საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე რუსი მესაზღვრეები.

ზ.ჟ.: 1 ნოემბრიდან ქართველი მესაზღვრეები იცავენ საქართველოს საზღვრის მთელ პერიმეტრს და ძალზე წარმატებულადაც. მათი ჩანაცვლება რუსი მესაზღვრეებით არასოდეს მოხდება.

„რ.“: მოსკოვში ამჟამად მიმდინარეობს ქართულ-რუსული მოლაპარაკება სამხედრო საკითხებზე ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულების ფარგლებში. პირველ რიგში, რუსეთის რომელი სამხედრო ობიექტის გატანის საკითხის დაყენებას აპირებს ქართული მხარე?

ზ.ჟ.: პირველ რიგში საუბარია ვაზიანისა და გუდაუთის ბაზებზე. რაც შეეხება მოლაპარაკებებს, ის ჩიხშია შესული. თუ გადაწყვეტილება არ იქნა მოძებნილი 17 ნოემბერს სტამბოლში დაგეგმილ ეუთოს სახელმწიფოს მეთაურთა სამიტამდე, ავტომატურად აღმოჩნდება, რომ რუსეთის სამხედრო ნაწილების განლაგება საქართველოს ტერიტორიაზე მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს. თუ რუსები არ წამოვლენ იმ წინადადებაზე, რასაც სთავაზობს ქართული დელეგაცია, მაშინ დადგება საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ბაზების სრული გაყვანის საკითხი. ეს ქართული მხარის პრინციპული პოზიციაა.

თუ რუსეთში ჰგონიათ, რომ კომპრომისი მოხდება საქართველოს ეროვნული ინტერესების ხარჯზე, ძალიან ცდებიან.

„რ.“: გუდაუთის ბაზა იმ ტერიტორიაზე მდებარეობს, სადაც არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. ამიტომ არსებობს საფრთხე, რომ იარაღი რუსეთმა სრულად არ გაიტანოს და მისი ნაწილი აფხაზებს დაუტოვოს.

აქვს თუ არა ქართულ მხარეს მოფიქრებული მექანიზმი, თუ როგორი წესით უნდა გავიდეს გუდაუთის ბაზიდან იარაღი. ამასთან, აშშ-ს გადაწყვეტილი აქვს, მეთვალყურეობა გაუწიოს მოლაპარაკების პროცესს. ხომ არ აპირებს თბილისი, თხოვნით მიმართოს აშშ-ს, რომ მისი მეთვალყურეობის ქვეშ მოხდეს გუდაუთიდან სამხედრო ბაზის გატანა?

ზ.ჟ.: გუდაუთის ბაზის გაყვანა საკმაოდ სერიოზული პრობლემა გახლავთ. სამწუხაროდ, ცუდი გამოცდილება არსებობს, როდესაც რუსეთის ამა თუ იმ ნაწილის გასვლის შემდეგ, იარაღის გაცემას აქვს ადგილი. ამ მხრივ შესამუშავებელია განსაკუთრებული მექანიზმი. ჩვენი მხრიდან ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს არ დავუშვათ.

შეუძლებელია, რომ ამ ბაზების გაყვანა აშშ-ს მეთვალყურეობის ქვეშ წავიდეს. ეს უნდა იყოს შეთანხმება საქართველოსა და რუსეთს შორის.

„რ.“: გახდებით თუ არა ისევ პარლამენტის თავმჯდომარე?

ზ.ჟ.: წინასწარ არ მიყვარს საუბარი. სხვათა შორის თავის მოსალოდნელ სპიკერობაზე ბევრად უფრო ადრე ავრცელებდნენ ხმებს ის ადამიანები, რომელთაც ამ თანამდებობის დაკავების თეორიული შანსიც კი არ ჰქონდათ. ჩვენ ჯერ არ გადაგვიწყვეტია, თუ როგორი იქნება მომავალი პარლამენტის სტრუქტურა და ვინ რა საკითხზე აიღებს პასუხისმგებლობას.

გაზ. „რეზონანსი“. 4 ნოემბერი, 1999 წ. №303 გვ. 1-4

ზურაბ ჟვანია საკუთარ დაბადების დღეზე ხშირად თავადვე არის თამადა

ზაზა გიგაური

ბატონმა ზურაბმა დატვირთული დღის მიუხედავად, საღამოს „რეზონანსისთვის“ მოიცალა და საკუთარი დაბადების დღის შესახებ ექსკლუზიური ინტერვიუ მოგვცა.

ჩემს დაბადების დღეზე არასოდეს არანაირი განსაკუთრებული გეგმები არა მაქვს. თუ საშუალება მაქვს, ვცდილობ ქალაქიდან გავიპარო, საგანგებო წვეულებას სკოლის პერიოდის შემდეგ არ ვაკეთებ. როცა სკოლაში ვსწავლობდი თანაკლასელებს ვპატიჟებდი ხოლმე. ახლა ასეთი ტრადიცია გვაქვს, ვისაც ახსენდება, თავისით მოდის სტუმრად.

რომელიმე განსაკუთრებული დაბადების დღე ხომ არ გახსენდებათ?

მიყვარს, როცა ჩემი მეგობრები შეიკრიბებიან. ყოველთვის სასიამოვნო და თბილი საღამო გამოდის. სამწუხაროდ, ასეთი რამ, ჩემი გრაფიკიდან გამომდინარე ხშირად აღარ ხდება. თუმცა, როდესაც ჩემი მეგობრები, მით უფრო ჩემთან სახლში იკრიბებიან, ჩემთვის ყოველთვის დღესასწაულია. დღესაც ველი, რომ ჩემი ძველი მეგობრები მომაკითხავენ. ჩემი მეუღლე მათ შესახვედრად ემზადება.

ბატონი პრეზიდენტი ხომ არ გესტუმრებათ?

არა, ბატონი ედუარდი ბოლო წლები ყოველთვის მილოცავს და ყოველთვის ძალიან თბილ ბარათს მიგზავნის.

საჩუქრებიდან რა გიყვართ?

საჩუქრები, ისევე როგორც ყველას, მეც მიყვარს (იცინის). ძალიან მიყვარს, როცა კარგ და ჩემს საყვარელ წიგნებს მჩუქნიან.

გაგვიმხილეთ, რომელია თქვენი საყვარელი წიგნები?

არა, ნამდილად არ გაგიმხელთ. (იცინის)

სკოლაში რომ დადიოდით, დაბადების დღეზე კლასელებს ხშირად ეპატიჟებოდით?

დიახ. მაშინ მართლაც სრულიად განსხვავებული იყო ყველა დაბადების დღე. თითოეული საჩუქარი, რომელსაც მშობლები მჩუქნიდნენ განსაკუთრებით მამახსოვრდებოდა. არ დამავიწყდება მაგალითად, როდესაც ჩემმა მშობლებმა ველოსიპედი მაჩუქეს. მეორე ასეთი საჩუქარი რომელიც დღემდე განსაკუთრებულად მახსოვს, ძალიან მიყვარდა ბიოლოგია და მამაჩემმა მიკროსკოპი მიყიდა. ეს იყო მართლა დღესასწაული ჩემთვის. მაშინ გატაცებული ვიყავი ჯერალდ დარელის წიგნებით. თუ არ ვცდები, მეექვსე-მეშვიდე კლასში ვიყავი და ამ მიკროსკოპის საშუალებით სრულიად ახალი სამყარო გადაიშალა ჩემ წინაშე. პატარა მიკროორგანიზმებს, რომლებიც შეუიარაღებელი თვალით

არ ჩანს, მისი მეშვეობით ვხედავდი. ეს მართლაც ისეთი საჩუქარი იყო, რომელიც მთელი სიცოცხლე დაგამახსოვრდება.

თქვენი დაბადების დღის სუფრაზე თამადა ვინ არის ხოლმე?

ხან ვინ და ხან ვინ. ერთი მუდმივი თამადა არ არის ხოლმე. დაბადების დღის გარდა, სხვა დღეებში, როდესაც ჩემს სახლში არის რაიმე შეკრება და მეგობრები არიან, მე თვითონ ვარ ხოლმე თამადა.

ამბობენ, რომ შესანიშნავი თამადა ხართ. ამ დაბადების დღეზე საჩუქრად რას ელოდებით?

ალბათ იგივეს, მეგობრულ სითბოს და მხარდაჭერას, ხვალაც და საერთოდ ყოველდღე.

„რეზონანსმა“ პარლამენტის სხდომის დამთავრების შემდეგ ეშმაკობას მიმართა და დეპუტატებს ჰკითხა, რის ჩუქებას აპირებდნენ პარლამენტის თავმჯდომარის დაბადების დღეზე?

სამწუხაროდ, მიგვიხვდნენ, რომ თუ გვეტყოდნენ, ბატონი ზურაბი ჩვენგან უფრო ადრე გაიგებდა და არ გაგვიმხილეს. დღეს მაინც თუ რამე გამოვტყუეთ, ხვალ აუცილებლად გაცნობებთ.

გაზ. „რეზონანსი“. 9 დეკემბერი, 1999 წ. №337. გვ.10

ზურაბ ჟვანია: უმთავრესი ღირებულებაა ჩვენი თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო

ვიდრე საათის ისრები თორმეტთან შექუჩდებიან, ოჯახის უფროსი დაილოცება, მეკვლე კარს შემოგვიღებს, შევხედავთ ერთფურცელდარჩენილ კალენდარს და ცოტა ხნით ფიქრში ჩავეფლობით ხოლმე – ვიხსენებთ განცდილ სიხარულსა და ტკივილს, ახდენილ ოცნებებსა და განუხორციელებელ მიზნებს, ავსა და კარგს...

ერთი სიტყვით, გონებაში „წლიურ ბალანსს“ ვადგენთ.

რადგან სახელმწიფოც ოჯახია (ანუ ოჯახს+ოჯახი+ოჯახი+...), ცხადია, ასეთი „ბალანსი“ მასაც სჭირდება, თქვენს სამსჯავროზე წარმოსაჩენად მისი შედგენა საქართველოს პარლამენტის თავჯდომარეს ბატონ ზურაბ ჟვანიას ვთხოვეთ.

ახალი წლის დადგომამდე მიღებული განვლილი წლისთვის თვალის გადავლება, მისი შეფასება. 1999 წელს ჩვენს ქვეყანაში არაერთი მნიშვნელოვენი მოვლენა მოხდა. მათ შორის რომელს მიიჩნევდით თქვენ ცალკე აღნიშვნის ღირსად?

გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ 1999 წელი მართლაც ძალიან მდიდარი იყო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით. ეს იყო წელი, რომელიც პოლიტიკურად საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებით „გაიხსნა“. უკვე გაზაფხულზევე მთელმა მსოფლიომ ჩვენთან ერთად იზეიმა სუფსის ტერმინალის გახსნა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობის დასრულება. ერთობ მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, საქართველოს გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. თუმცა მწვერვალად მაინც სტამბოლში საქართველოს პრეზიდენტსა და ჩვენი ქვეყნის მეგობარი პრეზიდენტების მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებს მივიჩნევდი – ამით საბოლოოდ განისაზღვრა ის განსაკუთრებული გამორჩეული ადგილი, რომელსაც ჩვენი სამშობლო დაიკავებს ახალ მსოფლიოში. იმ ერთიან ინტეგრაციულ სისტემაში, რომელსაც დღეს მსოფლიო ეკონომიკა წარმოადგენს.

შემთხვევით არ მიხსენებია „განსაკუთრებული“ ადგილი: საქართველო დასავლეთისთვის პრაქტიკულად ხდება კარიბჭე ისეთი უმდიდრესი რეგიონისკენ როგორიც კასპიის ზღვის აუზია. ეს ნიშნავს განსაკუთრებულ უფლებებს. ვაკონტროლოთ ენერგომატარებლების და სხვა ბუნებრივი რესურსების ექსპორტი. ყველამ უნდა ვიამაყოთ იმით, რომ ევრაზიული დერეფნის იდეა, რომლის ინაუგურაცია რეალურად სტამბოლში მოხდა, ჩადებული იყო ჩვენი პრეზიდენტის მიერ შემუშავებულ კონცეფციაში. ეს კონცეფცია ბატონმა შევარდნაძემ რეგიონისა და მთლიანად მსოფლიოს ლიდერებს შესთავაზა, რაც ამ უკანასკნელთა მხრიდან გაზიარებულია. ნათქვამიდან გამომდინარე. ცხა-

დია, რომ ახალ მსოფლიო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სისტემაში საქართველო გადამწყვეტ ფუნქციას შეასრულებს.

მოვლენათა ჩამონათვალში, მგონი, გამოგვრჩა პარლამენტის 31 ოქტომბრის არჩევნები.

პარლამენტის არჩევნები, ალბათ, ცალკე გამოყოფის ღირსია. მან დაადასტურა, რომ უდიდესი ეკონომიკური თუ სოციალური სიდუხჭირის და იმ უმძიმესი ფონის მიუხედავად, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებობს. ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობა ვერ ხედავს შევარდნაძის პოლიტიკის ალტერნატივას. შესაბამისად არ არსებობს დემოკრატიული რეფორმების, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის, ევროპასა და დასავლურ სამყაროზე ევროატლანტურ სივრცეზე ორიენტაციის ალტერნატივაც.

მე ამგვარად მესმის ის დანაბარები, რომელიც ჩვენ 31 ოქტომბერს ამომრჩეველმა მოგვცა. ამ თვალსაზრისით, ეს მართლაც უდიდესი მნიშვნელობის არჩევნები იყო, რომელმაც განსაზღვრა, რომ შიდაპოლიტიკური ასპექტითაც საქართველო კავკასიის რეგიონში ყველაზე სტაბილური სახელმწიფო იქნება.

ახალი მოწვევის პარლამენტი სულ ერთი თვეა,რაც მუშაობას შეუდგა. ამდენად შორსმიმავალი დასკვნების გამოტანა ჯერ, ალბათ, ნაადრევია და მაინც, იქნებ დაგეხასიათებინათ 31 ოქტომბერს არჩეული ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, პროფესიონალიზმითა და პოტენციალით ძველს თუ „სჯობია“?

ყველა პარლამენტი ერთნაირად კარგია (ღიმილით). თითოეულ მათგანს განსხვავებულ ისტორიულ მონაკვეთში მოუწია (და უწევს) მოღვაწეობა და მოქმედება, წინა მოწვევის პარლამენტმა, ისევე როგორც, 1992 წელს არჩეულმა საკანონმდებლო კორპუსმა უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მესამე პარლამენტმა საქართველოს დაუტოვა კონსტიტუცია მეოთხე პარლამენტმა ამ კონსტიტუციას ხორცი შეასხა და მიიღო 700-მდე კანონი, რითაც ხელი შეუწყო იმას, რომ კონსტიტუციაში დეკლარირებული პრინციპები დეტალურად „გაწერილიყო“ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროში.

მეხუთე პარლამენტი იქნება ის საკანონმდებლო ორგანო, რომელმაც საქართველო უნდა მიიყვანოს ახალ სიმაღლეებთან ოთხი წლის შემდეგ ჩვენი საზოგადოება დღევანდელი მდგომარეობისგან ბევრად განსხვავებული წარმომიდგენია. ვფიქრობ, იმ პერიოდისთვის მთლიანად შეიცვლება „დღის წესრიგი“. რაც უნდა თქვან სკეპტიკოსებმა, მაინც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ოთხი წლის თავზე აღარავის ეხსომება დაგვიანებული ხელფასებისა თუ პენსიების პრობლემა, საათობით და დღეობით გათიშული ელექტროენერგია.

იმ დროისთვის საქართველო იქნება ნამდვილი ევროპული ქვეყანა. თუმცა, ბუნებრივია, თავისი პრობლემებით და სატკივარით. იგი გახდება სახელმწიფო, რომელიც საკუთარ ძალებში დარწმუნებული ხვალინდელი დღისკენ გაიხედავს.

ამ ამოცანების რეალიზაციის პოტენციალის თვალსაზრისით, დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობა მეტად საინტერესოა. ძალიან ბევრი გვყავს

კონკრეტულად საპარლამენტო საქმიანობისთვის მომზადებული დეპუტატი. მათ შეუძლიათ, ღრმად გაერკვნენ კანონმდებლობის ურთულეს ნიუანსებში და სწორი გადაწყვეტილებები მიიღონ. აქ ვგულიხმობ, როგორც უმრავლესობის, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებს: ფაქტია, რომ ჩვენი ოპონენტების რიგებშიც ბევრია ისეთი მოღვაწე, რომელთა აზრსაც აუცილებლად გავუწევთ ანგარიშს.

ამასთან, გული მწყდება, რომ ახალ პარლამენტში ვერ მოხვდა ზოგიერთი საინტერესო პოლიტიკური ლიდერი და პარლამენტარი, რომლებიც წინა მოწვევის პარლამენტში ნაყოფიერად საქმიანობდნენ. რომელ კანონებს დაასახელებთ, რომელთა ახალო მომავალში მიღება ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია?

დღეს ყველანი ერთ უმთავრეს კანონზე ვფიქრობთ. ეს არის საქართველოს 2000 წლის ბიუჯეტი. მისი მიღება ძალიან მტკივნეული პროცესი იქნება მაგრამ თუ გვსურს, რომ მივაღწიოთ გარღვევას და მოჯადოებული წრე ერთხელ და სამუდამოდ გადავლახოთ, ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური კანონის დამტკიცებისას ძალზე სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება მოგვიწევს.

როდესაც ბიუჯეტს მივიღებთ, განსახილველი გვექნება მრავალი ათეული უმნიშვნელოვანესი კანონპროექტი. ისინი მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის დარეგულირების სფეროს, ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგების საკითხებს და ასე შემდეგ, რომელთა ჩამოთვლაც ძალიან შორს წაგვიყვანს.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ძირეული საკონსტიტუციო ცვლილებები 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიწყება. თქვენი აზრით, რა უნდა შეიცვალოს ქვეყნის კონსტიტუციაში?

თავის დროზე, მე არ ვყოფილვარ კონტიტუციის იმ ვარინატის დიდი მხარდამჭერი, რომელიც 1995 წელს მივიღეთ. თუმცა, დღეს არსებული საკონსტიტუციო მოდელის პირობებში, ვფიქრობ, მაინც შეგვიძლია ნაყოფიერად ვიმუშაოთ. ჩემი აზრით, გარკვეულწილად, გასაძლიერებელი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიციები, ხოლო მას შემდეგ, რაც შევიტანეთ ცვლილებები კანონში „აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ“ და ამით სახელმწიფო მინისტრის ფუნქციები გაფართოვდა, აღარ მგონია, რომ დღის წესრიგში კვლავ იდგეს საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხი.

უკვე მიღებული შესწორებები იძლევა საშუალებას, რომ სახელმწიფო მინისტრის სახით აღმასრულებელ ხელისუფლებაში გაჩნდეს რგოლი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას წარუძღვება და ამ სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას თავადვე იტვირთებს. ეს თავის მხრივ, ბევრად გაზრდის, მთავრობის საქმიაობის ეფექტიანობას.

წინა მოწვევის პარლამენტთან შედარებით, ახლანდელ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მმართველ პარტიას გაცილებით უკეთესი მდგომარეობა უკავია, ეს, ალბათ, ავტომატურად ზრდის პასუხისმგებლობის ზღვარსაც. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ ეს პასუხისმგებლობა? რაში ან როგორი ფორმით შეიძლება ის გამოიხატოს?

პოლიტიკური პარტიის პასუხიმსგებლობას არჩევნების დროს ამომრჩეველი განსაზღვრავს. ცხადია ისიც, რომ ჩვენ ვიკისრეთ პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ეს უმძიმესი ტვირთია და თქვენი მკითხველი, რომელიც თვალყურს ადევნებდა, ვთქვათ, საგადასახადო შემოსავლების დამტკიცების პერიპეტიებს, დამერწმუნება, რომ დღეს ცოტა არის ისეთი ენთუზიასტი, რომელიც ამ უმძიმესი ტვირთის საკუთარ, მხრებზე ტარებას სიამოვნებით შეხვდება.

თუმცა, პარლამენტშიც და მთავრობაშიც მაინც გვყავს ხალხი, ვისაც ამის გაკეთება შეუძლია. ვეცდებით, რომ ჩვენი სფეროების მიხედვით შეთანხმებულად, საკუთარი წილი პასუხისმგებლობის გაცნობიერებით ვიმოქმედოთ. საბოლოო გადაწყვეტილებას კი ოთხი წლის შემდეგ ამომრჩეველი გამოიტანს.

დღეს ხმამაღლა თუ კულუარებში, ბევრს ლაპარაკობენ მოქალაქეთა კავშირის შიგნით არსებულ სხვადასხვა დინებაზე. ყური უკვე მიეჩვია გამოთქმებს – „ჟვანიას გუნდი“, „ლეკიშვილის გუნდი“ „ლორთქიფანიძის გუნდი“. საქართველოს პრეზიდენტმა თავის ტრადიციულ ორშაბათის რადიოინტერვიუში კატეგორიულად უარყო სმკ-ში ასეთი დაყოფის ფაქტი. თქვენც მიგაჩნიათ, რომ მმართველი პარტია ერთიანი, მტკიცე და მონოლითურია?

იმ დროიდან მოყოლებული, რაც მე ამ პარტიის გენერალური მდივანი ვიყავი და საერთოდ, მოქალაქეთა კავშირის შექმნის „პირველი დღიდან“ არის გაუთავებელი ლაპარაკი და ვარაუდები სმკ-ს დაშლაზე. მის შიგნით არსებულ დაპირისპირებებზე, შიდა დინებებზე და ასე შემდეგ.

ხშირად მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: ჯერჯერობით იშლებიან ის პარტიები. რომლებიც მოქალაქეთა კავშირში განხეთქილებაზე ლაპარაკობენ. რა თქმა უნდა, ბევრ საკითხზე ჩვენს შორის მართლაც არის აზრთა სხვადასხვაობა. მთავარი საბჭოს სხდომების თუ სხვა შეკრებების დროს სერიოზულად ვკამათობთ. მაგრამ სწორედ ეს მიგვაჩნია პარტიის სიძლიერის წყაროდ – ჩვენ არ ვართ ტევტონური ორდენი, რომელიც მისტიკურ გადაწყვეტილებებს ბრმად ემორჩილება. ჩვენ ცნობიერად ვმოქმედებთ და ასევე ცნობიერად ვუჭერთ მხარს ედუარდ შევარდნაძეს. ამიტომ, ასე ვიტყვი – ყველანი ვართ ერთი, შევარდნაძის გუნდის წევრები.

მოქალაქეთა კავშირში არიან ჩემი მეგობრები, რომლებთან ერთადაც მე სმკ-ში მწვანეთა პარტიიდან მოვედი, არიან ადამიანებიც, რომლებიც მოქკავშირში. ვთქვათ, ნიკო ლეკიშვილმა ან სხვა მოღვაწეებმა მოიყვანეს. ბევრ ახალგაზრდას პარტიაში მიხეილ სააკაშვილი „შემოუძღვა“. მაგრამ აქვე გარწმუნებთ, რომ ლევან გაჩეჩილაძე, რომელიც არასდროს ყოფილა მწვანეთა პარტიის წევრი, დღეს ჩემი ერთ-ერთი ისეთივე უახლოესი თანამშრომელია, როგორც მაგალითად რეზო ადამია, რომელთან ერთადაც უკვე 8-9 წელი ვართ პოლიტიკაში.

ამჟამად ქვეყნის სახელმწიფო ორგანიზმს ორი ჭია ღრღნის – კორუფცია და უმწვავესი სოციალური პრობლემები. თქვენ როგორ წარმოდგიდგენიათ ამ „ჭიების გასრესა“?

სოციალური პრობლემები, მთელი თავისი სიმძიმით, სწორედ კორუფციის შედეგია და მის გამოხატულებას წარმოადგენს. ამიტომ კურფციაზე გაუთავებელი საუბრებიდან კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაზე უნდა გადავიდეთ. ამ სფეროში კი უპირველესი ამოცანა არის გადასახადების ამოღების მოწესრიგება.

საქართველოში ხშირად გამოხატავენ მტკივნეულ დამოკიდებულებას საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი, არადა, ერთადერთი, რასაც ეს უკანასკნელი უმთავრესად ითხოვს ჩვენგან ის არის, რომ ხელისუფლებამ მოაგვაროს გადასახადების ამოღების საკითხი. ძნელია, არ დაეთანხმო მათ პოზიციას – დღეს სწორედ ფისკალური დისციპლინის დამყარება არის უმნიშვნელოვანესი პრობლემა, უმთავრესი გამოწვევა, რომელიც დგას მოქალაქეთა კავშირის და საერთოდ, ჩვენი ხელისუფლების წინაშე.

ამიტომ მოხდა, რომ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, მისი გენერალური მდივანი დაინიშნა ახლად შექმნილი საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ხელმძღვანელად. ამით კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს. რომ პასუხისმგებლობას კისრულობს არა მხოლოდ მიხეილ მაჭავარიანი, არამედ თითოეული ჩვენგანი.

უკვე რამდენიმე წელიწადია, დამდეგ ახალ წელს აფხაზეთის დაბრუნების იმედით ვეგებებით, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის. აფხაზეთი დღემდე საქართველოს გაუყუჩებელი ტკივილია. ამ დღეებში ზოგიერთმა დეპუტატმა და არა საპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებმა აფხაზეთის საკითხზე პარლამენტის რიგგარეშე სესიის ჩატარება მოითხოვეს. ახლო მომავალში თუ გაიმართება ასეთი სხდომა და საერთოდ, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ, რომ 2000 წელს მოხდეს სერიოზული წინსვლა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში?

ზუსტი პროგნოზის გაკეთება ძალიან ძნელია. თუმცა, ერთის თქმა დანამდვილებით შეიძლება: ყველას (არა მარტო საქართველოში – ჩვენს მეგობარ სახელმწიფოებს ვგულისხმობ) მობეზრდა გაუთავებელი თამაშები, რასთანაც ხან ჟენევაში, ხან მოსკოვში, ხანაც სოჭში გამართული არაფრისმომცემი დისკუსიები ასოცირდება. ვიდრე არ დაიწყება დევნილთა დაბრუნების პროცესი და აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის რეალური აღდგენა, ამ საკითხში რაიმე წარმატებებზე ლაპარაკი, უბრალოდ, უხერხულია.

მიმაჩნია, რომ ამ თემებზე პარლამენტის კედლებში მსჯელობა აუცილებელია. მთლიანად ვუჭერ მხარს თამაზ ნადარეიშვილს, ვახტანგ ყოლბაიას, გივი ლომინაძის და სხვათა მოთხოვნებს. მაგრამ თავიდან, ალბათ მაინც ჯერ აფხაზეთის დროებითი კომისია იმუშავებს, იგი მოამზადებს მასალებს და პოზიციას. ამის შემდეგ კი შესაძლებელი იქნება საკითხის პლენარულ სხდომაზე გატანა.

დღეს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები საკმაოდ დაძაბულია. როგორ უნდა განიმუხტოს ეს ვითარება?

ერთი რეცეპტის გამოწერა რთული იქნება. ჩემი აზრით პრობლემის არსი არის ის, რომ რუსეთმა საქართველო უნდა აღიქვას, როგორც დამოუკიდებელი თანასწორუფლებიანი პარტნიორი და დაივიწყოს თავისი იმპერიული ამბი-

ციები. დამეწრმუნეთ, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და ყველასათვის გასაგები გახდება, რამდენად უსაფუძვლო და მიუღებელია მრავალი ეს პრეტენზია, რასაც მოსკოვი საქართველოს და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას უყენებს.

რუსეთი დღეს პრაქტიულად დაუფარავად აცხადებს, რომ სურს დასაჯოს შევარდნაძე ბაქო-ჯეიჰანის პროექტისათვის. იმისთვის, რომ საქართველოს პრეზიდენტმა საქართველო საუკუნის პროექტის მიღმა არ დატოვა, რომ საქართველო დღეს მსოფლიო პოლიტიკური რუკის რომელიღაც მივარდნილ წერტილში ყველასგან მივიწყებული პაწაწინა სახელმწიფო კი არა, ისეთი ქვეყანაა, რომლის აზრსაც მსოფლიოში ანგარიშს უწევენ.

ასეთი არჩევანი მარტო შევარდნაძეს არ გაუკეთებია. ასეთი არჩევანი გააკეთა თითოეულმა ქართველმა, როდესაც 1991 წლის რეფერენდუმზე თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას მისცა ხმა. კარგად უნდა გვესმოდეს – როგორი წინააღმდეგობებიც უნდა შეგვხვდეს ქართველებს, უმთავრესი ღირებულება არის ჩვენი თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო და მას არავის დავუთმობთ.

ახალ წელს პარლამენტის თავმჯდომარეც. ალბათ „რიგით მოკვდავს“ ემსგავსება. როგორ გარემოცვაში შეხვდება ზურაბ ჟვანია 2000 წელს და პირველი ჭიქით რა სადღეგრძელოს შესვამს?

ჩემთან ასეთი ტრადიციაა. ყოველთვის შინ, ოჯახში ვხვდებით ახალ წელს. როდესაც 12 საათი შესრულდება. ბავშვებს გავაღვიძებთ ხოლმე. წელს ჩემი გოგონა 12 საათამდე ალბათ, თავად გაუძლებს, პატარებს კი „ტრადიციულად“ ამჯერადაც გამოვაღვიძებთ და საახალწლო სუფრასთან მოვიყვანთ. რაც შეეხება პირველ სადღეგრძელოს, იგი ბუნებრივია, ახალი წლის დალოცვისა იქნება. ვისურვებ, რომ დამდეგი წელი იყო სიკეთის, კეთილდღეობის, გამარჯვების მომტანი ჩვენი სამშობლოსათვის, ჩვენი ოჯახისათვის და ყველა ახლობელი და კეთილი ადამიანისთვის.

ესაუბრა გიორგი ასანიშვილი.
გაზ. „ახალი თაობა“.
31 დეკემბერი, 1999 წ. – 10 იანვარი, 2000 წ. №302 (1120). გვ. 3

2000

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობას ნამდვილად ვერ დაუწუნებ...

ექსკლუზიური ინტერვიუ

რთული გარდამავალი პერიოდის შემდეგ საქართველოში 1995 წელს მიღებულ იქნა უკვე თავისუფალი და დემოკრატიაზე ორიენტირებული ქვეყნის პირველი კონსტიტუცია. ქვეყნის უზენაესმა კანონმა ბევრ ნოვაციასთან ერთად გაითვალისწინა ისეთი ახალი დემოკრატიული ინსტიტუტის შემოღება, როგორიცაა, საკონსტიტუციო სასამართლო, როგორ გესახებათ ამ ახალი ინსტიტუტის როლი საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოს ფორმირების პროცესში?

საკონსტიტუციო სასამართლომ შექმნის დღიდან დაიკავა სრულიად განსაკუთრებული ადგილი არსებულ სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში, ის ადგილი, რომელიც კონსტიტუციურ რესპუბლიკაში უნდა ეკავოს უზენაეს სასამართლო ორგანოს და ვფიქრობ, ამ ხნის განმავლობაში მთელი თავისი მოღვაწეობით საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა, რომ ის ყოველთვის არის და იქნება კონსტიტუციის დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი ჩვენს ქვეყანაში. ის ინსტანცია, რომელიც ნებისმიერ საკანონმდებლო გადაწყვეტილებას თუ სხვა ნორმატიულ აქტს შეაფასებს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით და უზრუნველყოფს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა ცხოვრობდეს იმ სულისკვეთებით, რაც არის ჩადებული საქართველოს კონსტიტუციაში.

საყოველთაოდ აღირებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო დაარსების დღიდან თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ეგრეთწოდებული თვითშეზღუდვის პრინციპით, ამაზე ლაპარაკობდნენ პარლამენტშიც, როგორ მიგაჩნიათ, დღეს, საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე, საკონსტიტუციო სასამართლო უფრო აქტიურად ხომ არ უნდა ჩაებას ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის პროცესში?

ალბათ, რაც დრო გავა, საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური ფუნქციები უფრო გაფართოვდება და ის უფრო აქტიურ, გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს იმ საკითხების რეგულირებაში, რასაც აღნიშნავთ თქვენს შეკითხვაში. კონსტიტუციის მთავარი არსი არის თითოეული მოქალაქის უფლებების უზრუნველყოფა და გარანტირება. უკვე ბევრია პრეცედენტი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს, თუნდაც ხელისუფლების გადაწყვეტილებათა საწინააღდეგოდ მიმართულმა გადაწყვეტილებებმა უზრუნველყონ ცალკეული მოქალაქეებისა თუ მოქალაქეთა ჯგუფების უფლებათა აღდგენა, რომლებიც პარლამენტის, პრეზიდენტის თუ სხვა მაღალი

ინსტანციების გადაწყვეტილებებით იყო შელახული. მე დარწმუნებული ვარ, რომ დროთა განმავლობაში ამ ფუნქციას საკონსტიტუციო სასამართლო კიდევ უფრო აქტიურად შეასრულებს, თუმცა დღესაც, ამ თვალსაზრისით, საქმიანობას ვერანაირად ნამდვილად ვერ დაუწუნებ.

ბატონო ზურაბ, საზოგადოებისათვის ცნობილია იმ გადაწყვეტილებების თქვენი უარყოფითი შეფასება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში განხილულ გახმაურებულ საქმეს – „მოქალაქე ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოჰყვა. მას შემდეგ დრო გავიდა, ხომ არ შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება ამ გადაწყვეტილების მიმართ?

მე დღესაც საკმაოდ კრიტიკულად ვუყურებ იმ გადაწყვეტილებას, როგორც ერთ-ერთი მოქალაქე, რომელსაც აქვს უფლება, ჰქონდეს გარკვეული დამოკიდებულება ნებისმიერი ინსტანციის გადაწყვეტილების მიმართ. მაგრამ ყველა შემთხვევაში, ცხადია, ჩვენ ვემორჩილებით საკონსტიუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. შემიძლია ერთმნიშვნელოვნად ვთქვა, რომ ხსენებულ გადაწყვეტილებას არანაირად არ უმოქმედია ჩემს საერთო დამოკიდებულებაზე საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის, ან მისი წევრების მიმართ და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიც საკონსტიტუციო სასამართლოსა და პარლამენტს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება და განვითარდება.

ზოგადად მიჩნეულია, რომ კონსტიტუციის სტაბილობა ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით სტაბილურობასაც. ამასთან დაკავშირებით, თქვენი მოსაზრება, თქვენი დამოკიდებულება კონსტიტუციის ხშირი გადასინჯვის თაობაზე. მითუმეტეს, რომ ბოლო დროს გახშირდა ლაპარაკი ზოგიერთი სავალდებულო კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ.

საერთოდ, მე არა ვარ ხშირი საკონსტიტუციო ცვლილებების მომხრე. ჩვენ დღემდე თავიდან ავიცილეთ რაიმე მნიშვნელოვანი და უფრო მასშტაბური ცვლილებების შეტანა კონსტიტუციაში. პირადად მეც, ერთმნიშვნელოვნად ვთვლი, რომ ქვეყნის კონსტიტუცია უნდა იყოს ყველაზე სტაბილური, ცვალებადობისაგან ყველაზე დაცული დოკუმენტი, იმიტომ, რომ ის არსებითად განსაზღვრავს საზოგადოებრივ წესწყობილების საფუძვლებს, სახელმწიფო ორგანოთა მოწყობის ძირითად წესს, მოქალაქეების ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, და ეს ყველაფერი არ შეიძლება განიცდიდეს ხშირ ცვლილებას, ასე რომ, პარლამენტშიც, მინდა დაგარწმუნოთ, საკონსტიტუციო ცვლილებებისადმი დამოკიდებულება საკმაოდ სკეპტიკურია. ჩვენ ვთვლით, რომ ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ მაშინ, როდესაც ყალიბდება ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი და საზოგადოებაში არსებული სერიოზული აქტიური მხარდაჭერა ქვეყნის კონსტიტუციაში ამა თუ იმ საკითხის, ამა თუ იმ დამატების შეტანის თაობაზე. მე ვთვლი, რომ ერთადერთი საკითხი, რომელიც, რაც შეიძლება ახლო მომავალში გადაწყვეტას მოითხოვს, ეს არის ტერიტორიული მოწყობის საკითხები, რათა შეივსოს ჩვენს კონსტიტუციაში არსებული ის უნებლიე ხარვეზი, რაც ყველასათვის ცნობილი მიზეზების გამო მას შექმნის დღიდანვე ახლავს.

საკონსტიუციო სასამართლოში დაახლოებით ექვსი სარჩელია შემოსული, რომლებიც გასულ საპარლამენტო არჩევნებთან არის დაკავშირებული და ძირითადად ეხება „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის „საქართველოს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებასა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ზოგიერთი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას. ერთ-ერთი სარჩელი უკვე განიხილება საკონსტიუციო სასამართლოს პლენუმის მიერ. თქვენ როგორ გესახებათ საკონსტიუციო სასამართლოს როლი არჩევნებთან მიმართებაში?

ყველას ერთი ინტერესი გვაქვს, არჩევნები რაც შეიძლება სამართლიანად და გამჭვირვალედ ტარდებოდეს ქვეყანაში. მე იმედი მაქვს, რომ საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის შემდეგ ნაკლები საბაბი და საფუძველი იქნება საიმისოდ, რომ კანდიდატებმა, პოლიტიკურმა ჯგუფებმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ. თუმცა, არჩევნების კოსნტიტუციურად ჩატარებაზე ზრუნვა უდავოდ საკონსტიუციო სასამართლოს პრეროგატივაა.

წინასწარ არანაირი კომენტარების გაკეთება არ მინდა და არ შემიძლია ამ საკითხებზე, რომელიც იხილება ან მომავალში განიხილება საკონსტიტუციო სასამართლოში.

თქვენი აზრით, წინა მოწვევის პარლამენტმა შეასრულა მასზე დაკისრებული ფუნქციები? ნორმატიული სივრცე უამრავი ახალი კანონებით შეივსო. რას იტყოდით, აქტიურ საკანონმდებლო საქმიანობაში ჩართულმა პარლამენტმა იმავდროულად ხომ არ მოაკლო ყურადღება მის სხვა ფუნქციებს?

საკანონმდებლო ფუნქცია მართლაც ძალზედ წარმატებით შეასრულა წინა მოწვევის პარლამენტმა. წინა მოწვევის პარლამენტის ბოლო სხდომაზე ჩემს გამოსვლაში მე ხაზი გავუსვი, რომ ჩვენი გაწეული მუშაობის ერთ-ერთ ხარვეზად მიმაჩნია ის, რომ კანონმდებლობის აღსრულებაზე კონტროლი პარლამენტმა ისე აქტიურად ვერ განახორციელა, როგორც სხვა ფუნქციები. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გარდა საკანონმდებლო ფუნქციისა, ძალზედ წარმატებული იყო წინა მოწვევის პარლამენტის საგარეო ურთიერთოებები და ამან ჩვენი ქვეყნის მსოფლიო სახელმწიფოთა შორის ადგილის დაკავებაში უდიდესი როლი შეასრულა. მე გავიხსენებ თუნდაც ევროპის საბჭოში გაწევრიანებას, იმ უნიკალურ ურთიერთობებს, რომელიც პარლამენტმა ააწყო შეერთებული შტატების კონგრესთან, ევროპის ქვეყნების პარლამენტებთან და სხვა და სხვა, მაგრამ ხარვეზებისაგან არავინ არის დაცული და ბუნებრივია, ჩვენ ამ მოწვევის პარლამენტში ვეცდებით, რომ სხვა ფუქციებიც ბევრად უფრო აქტიურად შევასრულოთ.

ბატონო ზურაბ, თქვენი მოსაზრება პროკურატურის ფუნქციების გაფართოების შესახებ.

მე ვცდილობ, ამ დისკუსიებში არ ჩავერთო, იმიტომ, რომ საკუთარ თავი არ მიმაჩნია საკმარისად კომპეტენტურად, რათა რაიმე რადიკალური მოსაზრებები გამოვთქვა პროკურატურის რეფორმასთან დაკავშირებით. ამასთან,

ჯერჯერობით არ მქონია საშუალება, გავრკვეულიყავი სხვადასხვა მხარეების არგუმენტებში, თუმცა, ვაპირებ, რომ სერიოზულად ჩავუჯდე ამ საკითხს.

ბატონო ზურაბ, ჩვენ ინტერვიუერებს ასეთ შეკითხვას ვუსვამთ – გაგვაცანით თქვენი მოსაზრება იურისტთა კლუბის შესახებ. თანამოაზრეთა თავშეყრის ადგილად მოვიაზრებთ ამგვარი კლუბის შექმნას და ნიადაგს ვამზადებთ, თქვენ რას იტყოდით?

ძალიან კარგი ინიციატივაა, იურისტები, საერთოდ, უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი საზოგადოების განვითარებაში, რაც სასურველია და ნებისმიერი იმგვარი ფორმის შემოღება, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას, რა თქმა უნდა, მისასალმებელია.

ბატონო ზურაბ, გაგახსენებთ, 1995 წლის არჩევნების წინა დღეებში თქვენს ინტერვიუში მითხარით ასეთი ფრაზა: „ჩვენ ფორას მივცემთ, ამ არჩევნებში ჩვენ გავიმარჯვებთ“. დღეისათვის რა განწყობით წარმართავთ საპრეზიდენტო არჩევნებს?

იგივე შემიძლია ახლაც გავიმეორო. რა თქმა უნდა დარწმუნებული ვართ ჩვენს გამარჯვებაში, დარწმუნებული ვართ ედუარდ შევარდნაძის გამარჯვებაში. მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, რომ გავაგრძელოთ სვლა იმ გზით, იმ გეზით, რა გეზიც ჩამოაყალიბა ედუარდ შევარდნაძემ. იგი არის მართლაც ისტორიული, ეპოქალური მნიშვნელობის ლიდერი საქართველოსათვის. იმის შეფასებას, რასაც ქმნის დღეს შევარდნაძე თაობები დაჭირდება, ვფიქრობ, სიმბოლურია, რომ მესამე ათასწლეულში თავისი პირველი არჩევანი საქართველოს მოქალაქეებმა სწორედ ედუარდ შევარდნაძის სასარგებლოდ გააკეთონ. ეს არის ისტორიული შანსი ჩვენი ქვეყნის თითოეული ამომრჩევლისათვის, რათა კიდევ ერთხელ დაადასტურონ, რომ ყველას გვსურს, ვიაროთ დემოკრატიული, თავისუფალი და ძლიერი საქართველოს შენების გზით.

ინტერვიუ მიჰყავდა თამარ დემეტრაშვილს
ადამიანი და კონსტიტუცია:
საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული,
რეცენზირებადი და რეფერირებადი ჟურნალი / საქართველოს
საკონსტიტუციო სასამართლო. – თბილისი, 1996 წ. – 26X18სმ.. –
[ISSN 1512-097X] [: 11325] 2000 წ.
1-4/ რედაქტორი მაია სვიანაძე. 2000 წ.

„პარლამენტს ყოველთვის პრინციპული პოზიცია უკავია მთავრობის პოლიტიკის მიმართ და არ ვაპირებთ ვიყოთ სტატისტების როლში“...

ფაქტია, საქართველო ახალ 2000 წელს უმძიმესი საშინაო და საგარეო (რუსეთთან ურთიერთობას ვგულისხმობ) პრობლემების ფონზე შეეგება. ამ წინასაახალწლო საპროტესტო გამოსვლებმა, გზებისა და ხიდების ბლოკირებამ, რომელიც რეგიონებისა და დედაქალაქის უხელფასოდ და უპენსიოდ დარჩენილმა ფართო საზოგადოებამ წამოიწყო, კანცელარიისა და პარლამენტის კედლებსაც „მიუკაკუნა“ არაერთხელ, თუმცა ამ „კაკუნისაგან“ ბევრი არაფერი გამოვიდა: გაძვალტყავებული ხაზინიდან გამწარებულ ადამიანებს, მათ შორის მეცნიერებს, დაახლოებით იმდენი მისცეს (ზოგს საერთოდ არაფერი „ერგო“) მრავალთვიანი სახელფასო დავალიანებიდან, რამდენიც საახალწლო სუფრისათვის მხოლოდ „პურ-ფუნთუშეულის“ შესაძენად თუ ეყოფოდათ... ვერ ვიტყვი, რომ მთავრობის წარმომადგენლებს საერთოდ არ აღელვებთ შექმნილი ვითარება-მეთქი, მაგრამ ეს ნაკლები ნუგეშია იმათთვის, ვინც დიდებულ 2000 წელს ჯიბეგაფხეკილი შეხვდა...

თუ ამას დავუმატებთ საქართველოს წინააღმდეგ ჩრდილოეთიდან მომდინარე მომაკვდინებელ საფრთხესაც, რომელიც არავინ იცის, როდის აილაგმება, ვნახავთ, რომ თავის დროზე გაცხადებული პროგნოზი – საქართველო 2000 წლისათვის გაბრწყინდებაო, ჯერჯერობით, შორს დგას რეალობისგან... მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ახალი წელი ახალი წელია და ჩვენც იმიტომ გვქვია ადამიანები, რომ ამ დღეებში მაინც უნდა შევუნდოთ და მივუტევოთ ერთმანეთს, თუნდაც ამის გაკეთება ძალიანაც გვიჭირდეს... უკეთესი მომავლის იმედი კი „ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!“ სწორედ ამ უკეთესი მომავლის რწმენით დაიწყო ჩემთან საუბარი ექსკლუზიურ საახალწლო ინტერვიუში პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ზურაბ ჟვანიამ:

უწინარესად, „კვირის პალიტრის“ ყველა მკითხველს ვულოცავ 2000 წლის დადგომას, ვუსურვებ მათ მთავარი ოცნებისა და სურვილის ასრულებას და ჩვენი ქვეყნის სიძლიერესა და გამარჯვებას... ძალიან მძიმე პირობებში უწევს საქართველოს ახალ საუკუნეში შესვლა, ბევრი პრობლემა რჩება გადაუწყვეტი, მათ შორის უმწვავესი დღევანდელი სოციალურ-ეკონომიური პრობლემები, მაგრამ მჯერა, ეს მხოლოდ იმის ნიშანია, რომ რამდენათაც გვიჭირს დღეს, იმდენად მყარად ვიდგებით ფეხზე ამ ახალ საუკუნეში და სიკეთის მომტანი იქნება საქართველოსთვის 2000 წელი. საზოგადოების იმ წევრებსაც კი, ვინც სასოწარკვეთილნი არიან უმძიმესი სოციალური მდგომარეობის გამო, დაუბრუნდებათ იმედი და დარწმუნდებიან, რომ პროცესი სასიკეთოდ ვითარდება...

ბოლო სამი წლის განმავლობაში თითქმის ტრადიციულად დაგვიმკვიდრდა, რომ სწორედ ახალი წლის დღეებში ვხვდებით სასაუბროდ... თუ მაგალითად, შარშან იანვრის პირველ დღეებში ყველანი ველოდით საქართველოს გაწევრებას ევროსაბჭოში, დღეს რას უნდა ველოდოთ სასიკეთოს უახლოეს მომავალში?

უმთავრესი მოვლენა იქნება საპრეზიდენტო არჩევნები და იმის მიუხედავად, რომ პრაქტიკულად ყველა დარწმუნებულია ედუარდ შევარდნაძის გამარჯვებაში, ჩვენ უნდა გვესმოდეს, 9 აპრილს იქნება არა უბრალოდ რიგითი საპრეზიდენტო არჩევნები, არამედ საქართველომ უნდა აირჩიოს საუკუნის კურსი, უნდა აირჩიოს ის პოლიტიკა, რომლითაც ჩვენი ქვეყანა ივლის 21-ე საუკუნეში. ანუ, კიდევ ერთხელ დაადასტუროს, რომ სვლა ევროპისაკენ, დასავლეთ სამყაროსაკენ, დასავლური სამყაროსაკენ, იმავდროულად, დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება არის ის პოლიტიკა, ის გზა, რომელიც აირჩიეს არა მხოლოდ ედუარდ შევარდნაძემ და მისმა თანაგუნდელებმა, არამედ სრულიად საქართველომ. აი, ეს არჩევანი უნდა გაკეთდეს 9 აპრილს და ამიტომაც, უმთავრესი მოვლენაც იქნება საპრეზიდენტო არჩევნები....

ფაქტია, რომ ედუარდ შევარდნაძეს საპრეზიდენტო არჩევნებში ალტერნატივა არ ჰყავს, მაგრამ ცოტა უცნაურია ის, რომ თავად პრეზიდენტი, ჯერჯერობით, თავს იკავებს საკუთარი კანდიდატურის ოფიციალურად წამოყენებაზე და ეს „კვირის პალიტრისათვის“ მიცემულ ინტერვიუშიც დაადასტურა, ამ ფონზე სულ უფრო მუსირებს აზრი, ვიღაც „ინკოგნიტო“ კანდიდატურის შესახებაც, რომელსაც თითქოს... რუსები ამზადებენ საქართველოს პრეზიდენტის პოსტისათვის...

არ ვიცი, ვინ რას და ვის ამზადებს, მაგრამ ვიცი ის, რომ სხვა არჩევანს საქართველო 9 აპრილს ვერ გააკეთებს ძალიან ბევრი მიზეზისა და სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, უწინარესად კი, იმის გამო, რომ ედუარდ შევარდნაძე გახლავთ დამფუძნებელი ახალი ქართული სახელმწიფოსი. შევარდნაძეს აკისრია პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის მომავლის წინაშე, რათა ბოლომდე მიიყვანოს თავისი უდიდესი და უმძიმესი საქმე.

შეიძლება რუსეთს აქვს თავისი გეგმები და ვფიქრობ, ნამდვილად ექნება აქცენტი გაკეთებული საქართველოში მყოფ ამა თუ იმ პიროვნებაზე, მაგრამ ილუზიაა ის, რომ ვინმე შეძლებს შევარდნაძის დამარცხებას საპრეზიდენტო არჩევნებში. ამას არ დაუშვებს ამ ქვეყნის ხალხი...

რუსეთის თემას მოგვიანებით დავუბრუნდეთ, ახლა კი ჩვენს შინა პოლიტიკურ პროცესებს შევეხოთ. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მინისტრს გაუფართოვეს უფლებამოსილებანი, ქართულ ისთებლიშმენტში და საზოგადოებაში აქტიური გახდა ჟვანია-ლორთქიფანიძის დაპირისპირების თემა და ისიც კი ითქვა, ლორთქიფანიძისათვის უფლებამოსილებების გაფართოებით პრეზიდენტმა დააბალანსა ჟვანიას გუნდიო.

ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ეს ხმები, უფრო სწორად ჭორები, ფართოდაა მოდებული ჩვენს საზოგადოებაში. არის ორი-სამი ჟურნალისტი, რო-

მელიც საკუთარი უვიცობის დაფარვას ცდილობს იმით, რომ ავრცელებს სხვადასხვა აბსურდულ ჭორს და ხშირ შემთხვევაში, უბრალოდ, პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებს. ეს სრულიად აშკარაა, რადგან კვირაში ორჯერ-სამჯერ ერთი და იმავე სისულელეს მუსირება ხდება და არა მხოლოდ ჟვანია-ლორთქიფანიძის ე.წ. დაპირისპირების ირგვლივ, არამედ იმის შესახებაც, თუ როგორ ცდილობს ჟვანიას გუნდი, პენსიაზე გაისტუმროს შეავრდნაძე და ა.შ. ნებისმიერი ნორმალური ადამიანი ფაქტებზე მსჯელობს რეალური პროცესებიდან გამომდინარე და არა იმით, ვინ-ვის რას „ჩაუფუჩუნებს“ ყურში, არა მგონია, რომ რეალური ქმედებები ან ჩემი მხრიდან, ან ვაჟა ლორთქიფანიძისა და შევარდნაძის პარტიის ნებისმიერი სხვა ლიდერის მხრიდან, იძლეოდეს ოდნავ საფუძველს მსგავსი ჭორების გავრცელებისათვის. პირიქით, ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო პარლამენტმა, როცა სახელმწიფო მინისტრს გაუფართოვა ფუნქციები. ამიტომ, ლაპარაკი იმაზე, რომ „ანგარიშია 1:0“ ჟვანიას საზიანოდ და ვიღაცის სასარგებლოდ, უბრალოდ სასაცილოა! გარწმუნებთ, ზურაბ ჟვანიას იმის გავლენა აქვს პარლამენტში, რომ თუ ჩათვლის, რაღაც გადაწყვეტილების მიღება არის საზიანო, ან მიუღებელი, ასეთი გადაწყვეტილება არ გავიდეს პარლამენტში. ამის ბერკეტებს ნამდვილად ვფლობ და სახელმწიფო მინისტრის უფლებამოსილების გაზრდის შესახებ კანონპროექტი, რომელიც შემოვიდა სხდომის წინა დღის საღამოს 7 საათზე, ფორსირებული ტემპით განიხილა კომიტეტმა ჩემი თხოვნით – ასევე ჩემი თხოვნით ეყარა კენჭი, ფაქტობრივად, ყველა ტრადიციული პროცედურის დარღვევით! აი, ამის შემდეგ საუბარი, რომ ჟვანიამ რაღაც წააგო, შეუძლია მხოლოდ რბილად რომ ვთქვა, ძალზედ არაკეთილგანწყობილ ადამიანს, რომელსაც აქვს დაკვეთა: რადაც არ უნდა დაუჯდეს, მაინც დააფიქსიროს დაპირისპირება და განხეთქილებები... ბუნებრივია, გვაქვს კამათიც, პარტიის შიგნით მწვავე დისკუსია, რადგან საქართველოში მძიმე მდგომარეობაა... პარლამენტს ყოველთვის პრინციპული პოზიცია უკავია მთავრობის პოლიტიკის მიმართ და არ ვაპირებთ ვიყოთ სტატისტების როლში. ეს არის ჩვენი კონსტიტუციური ფუნქციების შესრულება და, ცხადია, საერთო არაფერი აქვს რაიმე დაპირისპირებასთან.

მაგრამ საგადასახადო კოდექსში, ცვლილებების შეტანისას, არც თქვენ, არც მიშა მაჭავარიანს და უმრავლესობის სხვა წევრებს კმაყოფილება ნამდვილად არ გეტყობოდათ, უმრავლესობამ მთელი პასუხისმგებლობა მთავრობას დააკისრა...

საგადასახადო კოდექსში ცლილებების შეტანის დროს, ჩვენ გვქონდა ასეთი მიდგომა: ამ ცვლილებებს დეპუტატების უმრავლესი ნაწილი შინაგანად არ უჭერდა მხარს... მაგრამ რადგან მთავრობა თვლის, რომ მას სჭირდება ასეთი ცვლილებები და ვინაიდან მთავრობამ განაცხადა ერთმნიშვნელოვნად – ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ეს ცვლილებები არის აუცილებელი – რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მხარს ვუჭერთ მთავრობას და ხელს ვუხსნით აქტიური მოქმედებებისათვის...

მაგრამ თუ არ გაამართლა ამ გადაწყვეტილებამ? თუ კიდევ უფრო დიდი მასშტაბი მიიღო სიგარეტის კონტრაბანდამ, რა ფორმით უნდა მოსთხოვოთ მთავრობას პასუხისმგებლობა?

კონტრაბანდის მასშტაბი თუ გაიზარდა და არ აღმოიფხვრა ის პრობლემები, რაც დღეს ამ სფეროშია, იმის მიუხედავად მივიღებდით ჩვენ ამ გადაწყვეტილებას და თუ არ მივიღებდით, მაინც ძალზე მწვავე განხილვა გვექნებოდა ამ საკითხისა, რამდენიმე თვეში... ამაში ყველა შემიძლია დავარწმუნო, რადგან მთავრობამ მარტო მაშინ კი არ აიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა, როცა საგადასახდო კოდექსში ცვლილებები შევიტანეთ, არამედ მთავრობამ, ყველა მინისტრმა, ეს პასუხისმგებლობა იკისრა იმ მომენტში, როცა დაინიშნა მთავრობის წევრად. თუ რომელიმე უწყების ხელმძღვანელი დარწმუნდება და ჩვენც დავრწმუნდებით, რომ ის ვერ ართმევს თავს საკუთარ ფუნქციებს, როგორც არაერთხელ ყოფილა, პრეზიდენტი გაათავისუფლებს მას თანამდებობიდან... არა, ჩვენ არ ვუპირისპირდებით მთავრობას, ჩვენ ვასრულებთ კონსტიტუციით მონიჭებულ უფლებას – განვახორციელოთ საპარლამენტო კონტროლი მის საქმიანობაზე.

აშკარად იგრძნობა დაპირისპირება თუნდაც იმავე ეკონომიკური ბლოკის მიმართ, რომელსაც უმრავლესობის წარმომადგენლები ადანაშაულებენ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან საქმის გაფუჭებაში. ბატონი თემურ ბასილია კი მიხეილ ჭკუასელისკენ იშვერს ხელს და მის მიერ დაშვებულ შეცდომებზე ამახვილებს ყურადღებას...

სამწუხაროდ, მოკლებული გახლდით იმ „სიამოვნებას“, რომ მომესმინა ბატონ ბასილიას ეს განცხადება (რასაც მითქმა-მოთქმა მოჰყვა) და ამიტომ კომენტარს ვერ გავუკეთებ... სავალუტო ფონდთან ურიერთობები თუ არის დამძიმებული, ლაპარაკი ჭკუასელის დანაშაულზე უბრალოდ სირცხვილია, რადგან სავალუტო ფონდს ჩვენს მიმართ აქვს ერთადერთი პრეტენზია – რატომ არის მორყეული ჩვენთან ფისკალური დისციპლინა, რატომ ვერ ახერხებს ხელისუფლება აკრიფოს ის გადასახადები, რაც განსაზღვრულია კანონმდებლობით. ამიტომ, ლაპარაკი ჭკუასელზე ან სხვა ცალკეულ მოღვაწეზე, მით უფრო იმაზე, ვისაც ეყო ვაჟკაცობა კრიზისულ სიტუაციაში გადამდგარიყვნენ, უბრალოდ უზნეობაა და უხერხულია. პასუხისმგებელი სავალუტო ფონდთან ურთიერთობებზე ვართ ყველანი და უწინარესად ის ადამიანები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ შემოსავლების მობილიზება სახელმწიფო ბიუჯეტში...

და თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ბატონი მიშა მაჭავარიანი შეძლებს ამ საქმის გაძღოლას და ეს არ გადაიზრდება კლანთა შორის დაპირისპირებაში?

პირდაპირ გეტყვით: თუ ერთ ადამიანს რამის გაკეთება შეუძლია შექმნილ ვითარებაში, მიშა მაჭავარიანი ამას გააკეთებს და გააკეთებს ღირსეულად...

ელცინის მოულოდნელი გადადგომის ფონზე დავუბრუნდეთ რუსეთ-საქართველოს ურიერთობებს. თქვენ, სახელმწიფოში მეორე კაცი, როგორ ფიქრობთ, როდის უნდა დაესვას წერტილი რუსეთში მძვინვარე ანტიქართულ ისტერიას და რა უნდა გააკეთოს ამ მხრივ პარლამენტმა.

დრო გვიჩვენებს, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. პრეზიდენტ ელ-ცინის ეს ნაბიჯი არ არის ლოგიკას მოკლებული.

იმედი მაქვს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობისა და უწინარესად, აშშ ძალიან აქტიური ჩარევის შემდეგ რუსეთის ხელმძღვანელები მიხვდნენ, რომ საქართველოს მიმართ განხორციელებული ნებისმიერი პროვოკაცია იქნება არა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ორმხრივ ურთიერთობათა საკითხი, არა-მედ საერთაშორისო დონეზე გახდება სერიოზული მსჯელობის საგანი... ერთი ცხადია, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა მოვაგვაროთ რუსეთთან ურ-თერთობები. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, რუსეთი არის და იქნება საქართვე-ლოს უდიდესი მეზობელი, სადაც ჩვენ უზარმაზარი ინტერესები გვაქვს, უწი-ნარესად, ეკონომიკური, რაც დაკავშირებულია ასეულობით ჩვენი საწარმოს პროდუქციის გასაღებასთან რუსეთის ბაზარზე. საამისოდ კი აუცილებელია, რომ რუსეთი მიხვდეს: საქართველო უნდა აღიქვას, როგორც თანასწორუფ-ლებიანი და რეალურად სუვერენული პარტნიორი, რომელიც თავისი ინტე-რესების დათმობას არ აპირებს... პარლამენტში ამ საკითხის განხილვისას, ცოტა უცნაური იყო ზოგიერთი ოპიზიციონერის გამოსვლა: როდესაც კაცი, რომელიც თავს სერიოზულ პოლიტიკოსად მიიჩნევს, გვაძლევს რჩევას – არ არის საჭირო რუსეთთან ასეთი მძაფრი ტონით ლაპარაკიო, ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანს არ ესმის, რის გამო არის შექმნილი ეს ვითარება: საქართველოს და შევარდნაძის დასჯას რუსეთი იმიტომ კი არ ცდილობს, რომ შევარდნაძემ დიპლომატიური ეტიკეტი არ იცის, ან უხეში ტონი აქვს ჩვენს განცხადებებ-სა და მიმართვებს, არამედ იმიტომ, რომ შევარდნაძემ მიაღწია ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ამოქმედებას, მიაღწია ბაქო-ჯეიჰანის პროექტზე გადაწყვე-ტილების მიღებას, მიაღწია იმას, რომ თურქმენეთიდან წამოსული გაზსადე-ნი გაივლის საქართველოზე, რაც წერტილს დაუსვამს რუსეთის მონოპოლიას ჩვენთვის გაზის მოწოდებაზე... შევარდნაძემ მთლიანობაში მიაღწია იმას, რომ საქართველო გახდეს მსოფლიო თანამეგობრობის ძალიან მნიშვნელოვანი წევრი და მყარად დადგეს ფეხზე! აი, ამას ვერ შეეუგენ რუსეთის ის ხელმძღვა-ნელები, რომლებსაც თვალწინ კვლავაც საბჭოთა კავშირის რუკა ელანდებათ და, რომლებიც საქართველოს განიხილავენ რუსეთის გავლენის განსაკუთრე-ბულ სფეროდ... და კიდევ: დღეს თითოეულმა ქართველმა უნდა მიიღოს გა-დაწვეტილება და დააფიქსიროს, მზად ვართ თუ არა ჩვენ, გავუძლოთ რუსე-თის მხრიდან ზეწოლას, მზად ვართ თუ არა გავუძლოთ ყველა წინააღმდეგო-ბას და შევინარჩუნოთ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა!

ამ და იმ ფონზეც, რომ რუსებმა სცენაზე კვლავ გამოუშვეს იგორ გი-ორგაძე ტრადიციული მუქარითა და ბაქიბუქით, მიზანშეწონილად მიგაჩ-ნიათ პრეზიდენტის მონაწილეობა დსთ ლიდერთა სამიტზე, რომელიც 25 იანვრისთვისაა დაგეგმილი?

ეს საკითხი ძალიან სერიოზულ განხილვას საჭიროებს, საქართველოს პრე-ზიდენტი არ უნდა გაემგზავროს დსთ სამიტზე! ამ მოთხოვნას სერიოზული საფუძველი აქვს და ალბათ, ანგარიში უნდა გაეწიოს დეპუტატთა ამგვარ პო-ზიციას. მე ვიზიარებ მას... რაც შეეხება დსთ-ს, რაც დრო გადის, მით უფრო

კარგავს აზრს საქართველოს ყოფნა ამ ორგანიზაციაში. დსთ იშიფრება, როგორც თანამეგობრობა და იმ ფონზე, რასაც რუსეთში სჩადიან საქართველოს წინააღმდეგ, თანამეგობრობაზე საუბარი სულ უფრო და უფრო რთულდება.

ე.წ. აზრი, რომ საქართველომ შეიძლება დატოვოს დსთ წევრობა, ჩვენს ხელისუფლებაში სულ უფრო აქტუალური ხდება?

თავს შევიკავებდი იმისაგან, რომ აქტიურად დავსვათ საკითხი დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შესახებ, მაგრამ თუ პროცესები გაგრძელდა იმ მიმართულებით, რაც დღეს სახეზე გვაქვს, შესაძლოა სერიოზული განსჯის საგნად იქცეს ეს საკითხიც.

ჩეჩნეთის მოვლენის ფონზე როგორ გესახებათ რუსეთის მომავალი როლი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში? აპირებს თუ არა პარლამენტი თავისი სიტყვის თქმას აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ?

სამწუხაროდ ამ პროცესში მნიშვნელოვანი წარმატებები არ შეინიშნება... რუსეთის მონაწილეობის საკითხი დიდი ხანია დგას ჩვენს წინაშე, მაგრამ ჩვენ გვჭირდება შემცვლელი! ვფიქრობ, 2000 წელს შეიძლება ძალიან ბევრი სასიკეთო სიახლე მოხდეს ამ მხრივ. რაც შეეხება სტატუსს, მისი დაფიქსირება პრობლემა არ არის, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ეს სტატუსი განისაზღვროს აფხაზებთან მოლაპარაკებების შედეგად, რათა ცალმხრივად, თბილისში არ ხდებოდეს ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა.

რა შანსი გვაქვს, რომ არძინბას რეჟიმი წამოვა ამ მოლაპარაკებაზე?

ეს დამოკიდებული იქნება რუსეთის პოზიციაზე და იმაზე თუ რამდენად გაიზარდა ზეწოლა თანამეგობრობის მხრიდან. სავარაუდოა, რომ ეს ზეწოლა მნიშვნელოვნად გაიზრდება უკვე მიმდინარე წელს...

თავად ჩეჩნეთში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა რომ საქართველოსკენ გადმოინაცვლოს, რჩება ამის საშიშროება დღესაც?

ძალზედ ფხიზლად უნდა ვიყოთ. პრეზიდენტმა შევარდნაძემ გაუძლო უდიდეს ზეწოლას, როცა რუსები პროვოკაციულად ითხოვნდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ჯარის გატარებას ჩეჩნეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩასართველად, და მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება, რის შედეგადაც არ შეიბილწა ის საუკუნოვანი ურთიერთობა, რაც ქართველებს და ჩეჩნებს შორის არსებობდა. შევარდნაძემ მიაღწია და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიც შევძლებთ სრული ნეიტრალიტეტის დაცვას... თეორიულად არაფერი გამოირიცხება, მაგრამ რეალურად ვერ წარმომიდგენია, რომ მსხვილმასშტაბიან სამხედრო პროვოკაციაზე წამოვიდეს რუსეთი. აშშ და სხვა ქვეყნებმაც საკმაოდ მძაფრად დააფიქსირეს, რომ უმკაცრესი რეაქცია მოჰყვება მათი მხრიდან რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ ნებისმიერ პროვოკაციას.

დაბოლოს, ბატონო ზურაბ, როგორ წარმოგიდგენიათ ზურაბ ჟვანიას ადგილი და პოლიტიკური კარიერა პოსტშევარდნაძისეულ საქართველოში, ანუ 2005 წლის შემდეგ. ამას იმიტომ გეკითხებით, რომ დღეს აქტიურად გამოითქმება პროგნოზები შევარდნაძის შესაძლო მემკვიდრის შესახებ...

ჯერჯერობით გადაჭრით მიჭირს რაიმეს თქმა, რადგან დღეს ჩემს საქმიანობას მთლიანად ვუკავშირებ შევარდნაძის გუნდს და ჩემს თავს მოვიაზრებ, როგორც შევარდნაძის ერთ-ერთ აქტიურ მხარდამჭერად. ამიტომ რა იქნება 5 წლის შემდეგ, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ძალიან ბევრი ადამიანი, მათ შორის, ახალი პოლიტიკოსები გამოჩნდებიან ამ 5 წლის მანძილზე, საქართველოც სრულიად სხვა ქვეყანა იქნება 2005 წლისათვის. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ვინც არ უნდა მოვიდეს პრეზიდენტად 2005 წელს, მან ჩაიბაროს ბევრად უფრო დალაგებული და ძლიერი სახელმწიფო. შევარდნაძე კი დღეს იმდენად შესანიშნავ ფიზიკურ და პოლიტიკურ ფორმაშია, რომ საუბარი მის მემკვიდრეზე ძალზედ ნაადრევია.

გმადლობთ საუბრისათვის.

ზურაბ მჭედლიშვილი

გაზ. „კვირის პალიტრა“. 3-9 იანვარი, 2000 წ. №1 (246). გვ. 3

„ედუარდ შევარდნაძე უალტერნატივო კანდიდატია და მის აბსოლუტურ გამარჯვებაში ოპოზიცია დარწმუნებულია“

ეს იყო ბატონ ზურაბ ჟვანიას პირველი პრესკონფერენცია, რომელიც მან გამართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ მესამედ არჩევის შემდეგ, ოღონდაც იგი ამჯერად ჟურნალისტების წინაშე წარსდგა ახალი ამპლუით, – როგორც ბატონ ედუარდ შევარდნაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, ამიტომ მთელი ყურადღებაც სწორედ ამ კუთხით გადაიტანა.

დასამალი არაა, საქართველოს პრეზიდენტი კარგა ხანს თავს იკავებდა, მეორედ ეყარა თუ არა კენჭი ამ პოსტზე. მან უკვე მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება არ მიუღია ავტომატურად. სერიოზულად გაანალიზდა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, შეფასდა საგარეო ვითარება, მოქალაქეთა კავშირის მთავარ საბჭოში იმართებოდა დისკუსიები, იკვეთებოდა სამომავლო ამოცანები და მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდა: ის საქმე, რაც ბატონმა ედუარდმა დაიწყო, ბოლომდე სწორედ მან უნდა მიიყვანოს.

ბატონ ზურაბ ჟვანიას თქმით, მოქალაქეთა კავშირს ეჭვი ამაში არასოდეს ეპარებოდა, მაგრამ მათი აზრი კიდევ უფრო განამტკიცა ქვეყნის ცნობილ მოღვაწეთა მიმართვამ პრეზიდენტისადმი, სადაც ისინი მომავალ არჩევნებში მონაწილეობას მას უპირველეს მოვალეობად უთვლიან. ესე იგი ბატონი ედუარდ შევარდნაძე არაა ერთი პარტიის კანდიდატი. იგი ჩემი პარტიული ლიდერია. ქვეყნის ხელმძღვანელია და აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ხალხის განწყობილება მით უფრო, რომ სადღეისოდ იგი გვევლინება უალტერნატივო კანდიდატად. მის აბსოლუტურ გამარჯვებაში დარწმუნებულია თავად ოპოზიციაც.

რატომ? – უალტერნატივობა ხომ არ არის ნაკლი ჩვენი სადღეისო დემოკრატიისა?

ეს უკვე ჩვენი პრობლემა აღარაა, – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ – მეორეც, ჩვენმა ისედაც სუსტმა ოპოზიციამ თავად განამტკიცა საქართველოს პრეზიდენტის იმიჯი არაეთიკური, მოუზომავი გამოსვლებით. საზოგადოების ფართო ფენები დარწმუნებული არიან, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ფარდი მეტოქე არ ჰყავს.

ბატონ ზურაბ ჟვანიას განცხადებით, სადღეისოდ საქართველოში სოციალური ფონი რთულია. ამ ვითარების გამო პასუხისმგებლობას ხელისუფლება არ იხსნის. ფაქტი ფაქტად რჩება. მაგრამ იგივე ხელისუფლება იღებს ვალდებულებას, რომ უახლოეს მომავალში, თვით 2000 წელს უკვე გარდატეხას მოახდენს. შემდგომ კი გრანდიოზულ საერთაშორისო პროგრამებს განახორცი-

ელებს. ამის დასტურია ახალი, საშემოსავლო სამინისტროს შექმნა, სახელმწიფო მინისტრის ფუნქციების გაფართოება და სხვა, თუმცა ჩვენი მეტოქეები აუცილებლად შეეცდებიან საზოგადოებრივი აზრის დაშანტაჟებას. ქვეყანაში დესტაბილიზაციის კერების შექმნას.

ასე იყო საპარლამენტო არჩევნების წინაც – მოსახლეობას დესტაბილიზაციით აშინებდნენ, იგივე მეორდება ახლაც.

დესტაბილიზაციის შესახებ თავად ჟურნალისტები წერენ, – თქვა ბატონმა ზურაბ ჟვანიამ – ისე კი საფრთხე ნამდვილად არსებობს, არიან რუსეთის იმპერიული ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევს ბატონ ედუარდ შევარდნაძის მეორე ვადით პრეზიდენტობა, ამით მათთვის, საქართველო, ფაქტობრივად დაკარგულია. ამ იმპერიულ ძალებს სურთ საქართველოში ჰქონდეთ ექსკლუზიური ინტერესები, ჩვენ კი მივილტვით დასავლური, ევროპული ცივილიზაციისაკენ. გვინდა გავხდეთ გლობალური უსაფრთხოების სისტემის შემადგენელი ნაწილი. ეს კი ბევრს ძილს უფრთხობს.

როგორც ჩანს ბატონ ედუარდ შევარდნაძის საარჩევნო შტაბი არ შემოიფარგლება მარტოოდენ შიდა პრობლემების გადაჭრის გზების განმარტებით. იგი ამხელს გარე ძალების ზრახვებსაც. ყველასათვის ცნობილია, თუ რა უსაფუძვლო, უაზრო განცხადებები გააკეთეს რუსეთის პოლიტიკოსებმაც და ოფიციალურმა სტრუქტურებმაც ჩეჩნეთის ომთან დაკავშირებით. საქართველოდან იარაღი შემოდისო, ბასაევი სვანეთში გამოიზამთრებსო, მასხადოვის ოჯახი თბილისში დააბინავესო, პანკისის ხეობაში ჩეჩენი ბოევიკები დაასახლესო და სხვა ამგვარი.

ხომ არ აპირებენ პრეზიდენტის ექსპორტირებას?

ასეთი ჩანაფიქრი გამორიცხული არაა, – დასძინა ბატონმა ზურაბ ჟვანიამ – თავად ასლან აბაშიძემ, როდესაც ჰკითხეს პრეზიდენტობის კანდიდატად მისი წამოყენების შესაძლებლობის შესახებ, უპასუხა, – ჯერ დაველოდოთ, რა მოხდება შიგნით და მერე გარეთო. მაინც, რა უნდა მოხდეს გარეთ? რას ელოდება იგი? პროვოკაციები არ გავა. სხვათა შორის, სწორედ დღეს საქართველოს უშიშროების სამინისტროს მუშაკებმა დააკავეს იარაღი, რომელიც ჩეჩნეთში უნდა გაეტანათ საქართველოდან, ოღონდ რუსეთის სამხედრო ბაზიდან.

ათასი კაცია და ათასი აზრია. ზოგი ამბობს, ასე ხმამაღლა ნუ ვლაპარაკობთ, რუსეთი არ გავაღიზიანოთო, ზოგი ჩივის, – ჩვენს ბიუჯეტს უჭირს, საპრეზიდენტო არჩევნები გადავიტანოთო, ზოგის აზრით – 9 აპრილი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის უხერხული თარიღია, ზოგის მტკიცებით, – ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია – გადაწყვეტილი ჯერ ერთია, – ბატონი ედუარდ შევარდნაძე მეორედ იყრის კენჭს საპრეზიდენტო არჩევნებში და თუ ოპოზიციას ფარ-ხმალი უკვე დაყრილი აქვს, ეს მართლაც მისი პრობლემაა.

ბონდო გულიაშვილი
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
12 იანვარი, 2000 წ. №9 (3405). გვ. 1-2

ზურაბ ჟვანია: შევქმნათ დემოკრატიული მმართველობის ეროვნული მოდელი

ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო დეპუტატებო,

ამ მოწვევის პარლამენტში მე, თქვენს მიერ არჩეულ თავმჯდომარეს, არ მქონდა საშუალება ჩემი მოსაზრებებით მიმემართა პარლამენტისათვის იმ პრიორიტეტებთან დაკავშირებით რომლებსაც ჩემის აზრით უნდა ეფუძნებოდეს ჩვენი შემდგომი სამნახევარწლიანი საქმიანობა. ამას ჰქონდა სერიოზული მიზეზი, იმიტომ რომ დღეს არის პირველი სხდომა როდესაც პარლამენტი რეალურად იწყებს მუშაობას ნორმალურ საქმიან რეჟიმში. დღეს არის პირველი სხდომა რომელსაც ჩვენ ვატარებთ დაუსრულებელი საარჩევნო კამპანიების შემდეგ და დღეს გვაქვს შესაძლებლობა გავემიჯნოთ ყველა იმ დაპირისპირებას, იმ კონფრონტაციას, რომელიც ბუნებრივად და კანონზომიერად ახლავს თან ნებისმიერ საარჩევნო ბატალიებს და სერიოზულად დავფიქრდეთ იმაზე თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი შემდგომი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რაზე უნდა ვაკეთებდეთ მთავარ აქცენტს.

ვიდრე ჩემს მოსაზრებებს შემოგთავაზებდეთ არ შემიძლია ხაზგასმით არ ვისაუბრო თვით არჩევნებზე.

საკმაოდ დიდი ხმაური იყო არჩევნების გამო გასული კვირის განმავლობაში, მაგრამ დღეს, როდესაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დასრულდა საჩივრებისა და შენიშვნების შეტანა, სრულიად ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ უდიდესი უპირატესობით მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები და უპრეცედენტოდ უმნიშვნელო დარღვევები იქნა აღნუსხული იურიდიულად. სამართლებრივად სხვა ფორმა დაფიქსირებისა არ არსებობს. თუ ვცდები ჩემი მეგობრები შემისწორებენ. სულ 17 საჩივარია შეტანილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მე რა თქმა უნდა არ მსურს იმის თქმა, რომ დარღვევები არ ყოფილა. რა თქმა უნდა იყო, მე არ მინდა ვინმემ ეს რაიმე ნიშნის მოგებად მიიღოს, მაგრამ ოპოზიციის წარმომადგენლები ალბათ დამეთანხმებიან, რომ ამაში იყო სერიოზული წილი ოპოზიციისაც და იმ გარკვეული გათიშულობისა რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციის რიგებში წარმოიქმნა მე ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენ ყველას ერთად კიდევ ერთხელ შეგვიძლია ამ დარბაზში, პარლამენტის დარბაზში გულწრფელად მივულოცოთ ჩვენს პრეზიდენტს ხელახალი არჩევა, ახალი მანდატის მიღება და დავადასტუროთ, რომ მზად ვართ პრეზიდენტთან ერთად განვაგრძოთ თანამშრომლობა ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ასევე არ მინდა შევეხო სხვა საკითხებს, ვიდრე კიდევ ერთხელ დღეს ჩვენს პირველსავე სხდომაზე არ ვიტყვი რომ ჩვენი შეთანხმება – არჩევნების შემდეგ დავიწყოთ მუშაობა სრულფასოვან საარჩევნო კოდექსზე, რა თქმა უნდა ძალაში რჩება. მე ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში უნდა შევკრიბოთ სა-

მუშაო ჯგუფი. გავითვალისწინოთ ყველა დადებითი და უარყოფითი გამოცდილება, როგორც ბოლო არჩევნების, ისე ყველა ადრინდელი საარჩევნო კამპანიის, თვით საარჩევნო პროცედურებისა და ამ წლის ბოლომდე მივიღოთ ის დოკუმენტი, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს არჩევნების პროცესთან დაკავშირებით ნებისმიერ ეჭვს, უსამართლობას და გაყალბებას ნებისმიერი მხრიდან, იმიტომ რომ ყველა დამეთანხმებით, რომ საფუძველი ჩვენი დემოკრატიისა უნდა იყოს ნდობა არჩევნების პროცედურის მიმართ. ამ მხრივ ჩვენ კიდევ გვაქვს გასავლელი სერიოზული გზა.

მე ვფიქრობ, დღეს მართლაც ჩვენი მოწვევის მეხუთე პარლამენტს პირველად აქვს შესაძლებლობა შედარებით წყნარ, ნორმალურ და ბუნებრივ ვითარებაში შეუდგეს საქმიანობას. ერთი მხრივ, ეს, როგორც მოგახსენეთ განპირობებულია იმით, რომ ჩვენ შეგვიძლია მოვხსნათ ხელოვნური პოლიტიკური კონფრონტაცია, წინასაარჩევნო დაპირისპირება და მეორე მხრივ, მე ასევე მინდა უმრავლესობას მივმართო გამომდინარე იქიდან, რასაც მეუბნებიან ჩემი კოლეგები საპარლამენტო უმრავლესობიდან. რა თქმა უნდა, ბუნებრივ რეჟიმში გადავა მთლიანად ურთიერთობა საპარლამენტო და განსაკუთრებით საპარლამენტო უმრავლესობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის.

ჩვენ შევუდგებით ჩვენს საქმიანობას უაღრესად მძიმე ვითარებაში უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ფონზე, ალბათ პირველი რაც უნდა გააკეთოს თითოეულმა ჩვენთაგანმა, მე პირველყოვლისა ვგულისხმობ მმართველი პარტიის წარმომადგენლებს და მის მხარდამჭერებს, უნდა აღიაროს ის უმძიმესი პრობლემები რომლებიც არსებობს დღეს ქვეყანაში ჩვენი მოსახლეობის წინაშე. მთავარი პრიორიტეტი და მთავარი საკითხი რომელსაც უნდა მიეძღვნას ჩვენი ძალისხმევა, უნდა უკავშირდებოდეს სწორედ ამ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებას. ნუ მიწყენენ ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენლები თუკი ვიტყვი, რომ პირადად ჩემთვის, ჩემი თანაპარტიელებისათვის ამ თვალსაზრისით უპირველეს საკითხად მიმაჩნია პრეზიდენტის პროგრამის ზედმიწევნით რეალიზება, ყველა მასში მოცემული დებულების განხორციელება. პარლამენტის მხრიდან ისეთი პირობების შექმნა, რომ ყველა საკითხთან დაკავშირებით და აქ ლაპარაკია ძირეულ, თუ გნებავთ რადიკალურ ქმედებებზე, მდგომარეობის გამოსასწორებლად ეს ნაბიჯები იქნას გადადგმული. მე შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის პროგრამა გულისხმობს ჩვენი საბიუჯეტო სისტემის საფუძვლიან გადახედვას საუბარი არის იმაზე, რომ ბიუჯეტი გადავიდეს პროგრამული დაფინანსების პრინციპებზე. ეს შესაძლებელი არის მით უფრო თუკი გავითვალისწინებთ იმ პრობლემებს რომლებიც უკვე არსებობს ჩვენი დღევანდელი 2000 – წლის ბიუჯეტის შესრულებაში. ეს საკითხი არა თუ 2001 წლისთვის უნდა გადაიდოს, არამედ საკმაოდ ახლო მომავალში ჩვენ უნდა გადავხედოთ არსებულ ბიუჯეტს, მე ხაზს ვუსვამ, არა უბრალოდ სეკვესტრის განხორციელება, არამედ საკმაოდ სერიოზული საფუძვლიანი გადახედვა, იმისათვის რომ ამოვიდეთ ჩვენი რეალური შემოსავლებიდან და გავწიოთ მხოლოდ ის ხარჯები რომელთა განხორციელება სახელმწიფოს მართლაც ძალუძს. ეს მტკივნეული პროცესი იქნება

ჩემო ბატონებო, მაგრამ მე საკმაოდ ბუნდოვნად მესახება ამისი ალტერნატივა. რეალური შეიძლება გახდეს არამც თუ ძველი პრობლემების მოგვარება, მე ვგულისხობ დავალიანებას, არამედ ახალი სირთულეების შექმნა და ამის დაშვება. ეს ღრმად მწამს, სრულიად წარმოუდგენელი და დაუშვებელია.

პრეზიდენტის პროგრამა გულისხმობს ძალიან სერიოზულ და გადამჭრელ ნაბიჯებს საიმისოდ, რომ ქართული ხელისუფლება მძიმე ტვირთად არ აწვებოდეს ჩვენს გადასახადის გადამხდელებს და იყოს ბევრად უფრო ეფექტიანი. მე მესმის, როგორი ინტერესით უსმენენ ახლა მასმედიის წარმომადგენლები, ჩვენი საზოგადოებრიობა ამ სამთავრობო ცვლილებების წინ, ჩემი და ჩემი მეგობრების ნებისმიერ სიტყვას, რომელიც შეეხება მთავრობაში რეორგანიზაციებს, მაგრამ დღეს მე მინდა შემოვიფარგლო იმით, რომ კიდევ და კიდევ ერთხელ დავადასტურო, რომ პრეზიდენტს განზრახული აქვს თავის თანაგუნდელებთან ერთად, ჩვენთან ერთად ძალიან რადიკალური ღონისძიებები განახორციელოს არსებული სტრუქტურების შეძლებისდაგვარად შეკვეცის გზით. იგულისხმება, როგორც ჩანს არაერთი აღმასრულებელი სტრუქტურის გაერთიანება, გამსხვილება. ცხადია, ეს თვითმიზანი არ იქნება, მაგრამ თვითმიზანი იქნება ზედმეტი ბიუროკრატიული აპარატის შეკვეცა, ზედმეტი ხარჯების შეკვეცა, და ეფექტიანობის გაზრდა ყველა მიმართულებით და ბუნებრივია, მე ამის დიდი იმედი მაქვს, ძალიან სასიკეთო გავლენას მოახდენს ჩვენს საბიუჯეტო პრობლემებზე.

დღესაც, მრეწველთა ფრაქციის წარმომადგენლები აყენებდნენ საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწის საკითხებს. ეს ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა, რომელიც იდგება ჩვენი პარლამენტის დღის წესრიგში. პირადად მე, ბევრად უფრო გაბედული მოქმედების საფუძველს მაძლევს ისევ და ისევ პრეზიდენტის სრულიად ერთმნიშვნელოვანი განცხადებები ამ მიმართულებებით. ის პრინციპები, რომელსაც მოიცავს მისი საარჩევნო პროგრამა, ეს მხოლოდ მცირე და მართლაც საკმაოდ არასრული ჩამონათვალია იმ ძირითადი პრობლემებისა, იმ საკითხებისა, რაზედაც ჩვენ მოგვიწევს მუშაობა მომდევნო თვეების განმავლობაში და გულწრფელად გეტყვით, ძალზე დიდი იმედი მაქვს, რომ ოპოზიციასთან ჩვენ შევძლებთ საერთო ენის გამონახვას თითოეულ ამ პრობლემასთან დაკავშირებით. ეს იქნება პარლამენტის წვლილი, პარლამენტის როლი ასრებული უმძიმესი ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში და ამაზე მნიშვნელოვანი საკითხი დღეს არა მგონია რომ ქართველი პოლიტიკოსების წინაშე იდგეს.

ბატონებო, პარლამენტმა ალბათ დღეს სრულად უნდა გადახედოს ყველა იმ კონსტიტუციურ ფუნქციას, რომლის შესრულებაც გვაკისრია ჩვენი კანონმდებლობით და საქართველოში უკვე არსებული ტრადიციებიდან გამომდინარე. მაგრამ ბუნებრივია მეხუთე პარლამენტის საქმიანობა ალბათ განსხვავებული იქნება წინა მოწვევათა პარლამენტების საქმიანობისაგან. ისევე როგორც წინა პარლამენტში, ჩვენც უნდა გადავდგათ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი რეფორმათა პროცესის გაღრმავების თვალსაზრისით. მე აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ პროკურატურის რეფორმას, რომელსაც

ბუნებრივია ექნება ყველანაირი მხარდაჭერა პარლამენტის მხრიდან და პარლამენტის ხელმძღვანელობის მხრიდან. ისევე როგორც ჰქონდა სასამართლო სისტემის რეფორმას. მაგრამ ჩვენ მოგვიწევს ბევრად უფრო გავაღრმავოთ საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმები სხვა მიმართულებითაც. მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს შეეხება არა მხოლოდ პროკურატურას, არამედ სხვა სტრუქტურებსაც, რაზედაც, სხვათა შორის, ჩვენ გვაქვს ძალზე საინტერესო დისკუსიები უკვე ცალკეული აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენლებთან და მათი ინიციატივაც არის ამ თვალსაზრისით, მაგრამ მე მინდა ერთ მნიშვნელოვან გარემოებას გავუსვა ხაზი. 1995 წლის არჩეულ პარლამენტში, ჩვენი ქვეყნის ძირითად საკანონმდებლო ორგანოში, ჩვენ ვამკვიდრებდით ჩვენთან იმ უნივერსალურ მექანიზმებს, რომლებიც ნებისმიერი დემოკრატიის პირობებში უნდა ფუნქციონირებდეს და მოქმედებდეს. მეოთხე პარლამენტის ფუნქცია იყო რეალურად საკანონმდებლო უზრუნველყოფა მოეხდინა ყველა იმ პრინციპის და დებულებისა, რომლებიც არის ჩადებული ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციაში, ჩვენს უზენაეს კანონში.

აქ მე ვიხმარ ასეთ გამოთქმას – ჩვენ ხშირად ვიყენებდით ტრაფარეტულ მოდელებს, იმ მოდელებს, რომლებიც მეტნაკლებად ერთნაირად მუშაობს უნგრეთში, ბელგიაში, საქართველოში და სხვა ქვეყნებში. ლაპარაკი იყო მართლაც დემოკრატიის უნივერსალური პრინციპებისა და უნივერსალური მექანიზმების დამკვიდრებაზე. დღეს ეს ამოცანა უკვე შესრულებულია. მე ვფიქრობ რეალურად უნდა დავინახოთ, რომ ჩვენთვის პრიორიტეტული საკითხი ხდება ეროვნული მოდელის შექმნა დემოკრატიული მმართველობისა. დღეს უნდა დავხვეწოთ უკვე არსებული კანონმდებლობა და ბევრად უფრო ზუსტად, სრულფასოვნად უნდა მივუსადაგოთ ნებისმიერ სფეროში და ნებისმიერ დარგში ჩვენი ცხოვრების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები იმ ტრადიციებს, იმ სულისკვეთებას, რაც არსებობს ჩვენს საზოგადოებაში.

ჩემო მეგობრებო, რეალურად უნდა გავითვალისწინოთ ის გარე თუ შიდა გამოწვევები, რომლებიც არსებობს ჩვენი ქვეყნის წინაშე. უნდა დავინახოთ და დავაფიქსიროთ, რომ საქართველო არ არსებობს და არ ფუნქციონირებს რაღაც უჰაერო სივრცეში. ჩვენ გვყავს ჩვენი კონკრეტული მეზობლები. გვაქვს ჩვენი კონკრეტული გარემოცვა. აქედან გამომდინარე, სრულიად კონკრეტული პრობლემებითა და გამოწვევებით და ნებისმიერი რეფორმა, ნებისმიერი ჩვენი გადაწყვეტილება უნდა მიესადაგებოდეს სწორედ ამ კონკრეტულ პირობებს და არ ემსახურებოდეს რაღაც აბსტრაქტული, თეორიული დებულებების განმტკიცებას.

მე საგანგებოდ ვამახვილებ ყურადღებას ამ საკითხზე, იმიტომ რომ დღეს დადგა დრო, რომ ყველა, განსაკუთრებით ისინი, ვინც ვსხედვართ ამ დარბაზში, ქვეყნის უზენაეს საკანონმდებლო საკრებულოში დავფიქრდეთ და რეალურად გავცეთ პასუხი შეკითხვას – როგორს ვხედავთ ჩვენ ქართულ სახელმწიფოს. როგორი უნდა იყოს ის საქართველო, რომელმაც უნდა მოიპოვოს წარმატება, მოიპოვოს გამარჯვება, მიუხედავად ყველა დღეს არსებული პრობლემებისა თუ იმ პრობლემებისა, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ხვალინდელ დღეს.

მე ვფიქრობ, მთელი სისავსით დგება დღის წესრიგში, რომ ჩვენ შევქმნათ ეროვნული მოდელი, როგორც საკანონმდებლო თვალსაზრისით, ისე მთლიანობაში ხელისუფლების ფუნქციონირების თვალსაზრისით.

მე ასე დეტალურად გავამახვილე ამ საკითხებზე ყურადღება იმისათვის, რომ ხაზი გავუსვა მეორე უმნიშვნელოვანეს მომენტს 2000 წლიდან 2004 წლამდე, ერთ-ერთი უპირველესი საკითხი ჩვენს დღის წესრიგში იქნება რადიკალური ნაბიჯების გადადგმა საიმისოდ, რომ საქართველომ საბოლოოდ დაიმკვიდროს კუთვნილი ადგილი. მე ხაზს ვუსვამ კუთვნილი ადგილი ერთიან და განუყოფელ ევროპულ სივრცეში. პარლამენტის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იქნება, როგორი რთულიც არ უნდა იყოს ეს, დაიწყოს ჩვენი ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან და ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ეს არის ის პრიორიტეტი, რაც პრეზიდენტმა შევარდნაძემ მკაფიოდ გამოაცხადა ჯერ კიდევ 1997 წელს, რამაც საქართველო აქცია ლიდერად. მე დღეს მინდა ეს დავაფიქსირო ევროპული ინტეგრაციის თვალსაზრისით. ამ რეგიონის ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით და მინდა დღეს ჩვენ დეპუტატებმა გავაცნობიეროთ ზოგიერთი ის განსაკუთრებული პასუხსმგებლობა, რომელიც გვეკისრება საამისოდ სწორედ პარლამენტს. ჩვენი მუშაობის სამნახევარი წელიწადი უნდა გახდეს გადამწყვეტი იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ევროპული ინტეგრაცია, საქართველოს ევროპული არჩევანი ერთხელ და სამუდამოდ გახდეს შეუქცევადი და ჩვენ ავამოქმედოთ ყველა მექანიზი ამ თვალსაზრისით, ამ მიმართულებით.

მე ხაზი მინდა გავუსვა, რომ პრეზიდენტმა დღის წესრიგში დასვა არა უბრალოდ ევროინტეგრაციის საკითხები, არამედ განაცხადა იმის თაობაზე, რომ საქართველო ივლის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზით. ეს ნიშნავს ინტეგრაციას არა მხოლოდ ეკონომიკურ სტრუქტურებში, არამედ ასევე იმ უშიშროების სტრუქტურებში, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის უსაფრთხო განვითარების ყველაზე მყარი გარანტიების შექმნა დღეიდან და მრავალი მრავალი წლის განმავლობაში.

ასე რომ, ბატონებო, ჩვენ როგორც კანონშემომქმედებს გვეკისრება მართლაც ურთულესი საკითხების მოგვარება მომდევნო სამნახევარი წლის განმავლობაში. მე ხაზი მინდა კიდევ ერთხელ გავუსვა, – აქ მნიშვნელოვანი იქნება არა ბევრი კანონის მიღება, არამედ უპირველეს ყოვლისა მიღება იმ საკანონმდებლო გადაწყვეტილებებისა, რომლებიც თავისი ხარისხით საშუალებას მოგვცემს განვაცხადოთ, რომ ჩვენ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში თუნდაც კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით ჩვენი ეროვნული საკანონმდებლო მოდელის შექმნისაკენ ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ჩვენი ინტეგრაციისაკენ ევროპულ სივრცეში, ერთიან ევროპულ სამყაროში.

ამ თვალსაზრისით მე ვფიქრობ, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება ჩვენს სრულიად ახლებურ თანამშრომლობას აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. გავიმეორებ იმას, რაც მითქვამს არაერთხელ, რომ ბევრად მეტ აქტიურობას, ბევრად მეტ ინიციატივას ველით ჩვენ აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. იმედი მაქვს, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენ შევძლებთ მნიშვნელოვ-

ნად დავხვეწოთ საპარლამენტო მდივნების ინსტიტუტი, რათა პრეზიდენტის ამ სამსახურმა რეალურად გაუწიოს კოორდინაცია ანალოგიურ სამსახურებს ყველა აღმასრულებელ უწყებაში, იმიტომ რომ არა მგონია ნორმალური იყოს ვითარება როდემდე უნდა მოვუწოდო ყველა დეპუტატს რომ თავისი სიტყვა თქვას იმ თვალსაზრისით – იქნება ეს ოპოზიციის, თუ უმრავლესობის წარმომადგენელი – რასაც ჰქვია საბიუჯეტო კონტროლის განხორციელება ქვეყანაში. უნდა უზრუნველვყოთ ის, რომ ჩვენს ამომრჩეველს სჯეროდეს, თითოეული თეთრი, რომელიც რის ვაი-ვაგლახითაა აკრეფილი ჩვენი გადასახადის გადამხდელებისაგან, რომელიც მიღებულია ჩვენი პრეზიდენტის ძალისხმევით უცხოელი დონორებისა და პარტნიორების მხრიდან, იხარჯება ისე, რომ მაქსიმალური ეფექტი მოუტანოს ჩვენს ამომრჩევლებს, ჩვენს მოსახლეობას. უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ძალზე შორს ვართ ამ მდგომარეობიდან და ვფიქრობ მთავარი დებატები, მთავარი ბატალიები ამ დარბაზში უნდა წარიმართოს სწორედ ამ თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე, ხაზი მინდა გავუსვა, რომ მეხუთე პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ყველა წინა პარლამენტისგან მდგომარეობს იმაში, რომ რეალობად ვაქციოთ საპარლამენტო კონტროლის, საპარლამენტო ზედამხედველობის ფუნქცია. ეს ფუნქცია ადრე არასდროს ხორციელდებოდა სრულფასოვნად. დამეთანხმებით ყველა, ვისაც თუნდაც ბოლო კვირების განმავლობაში საპარლამენტო არჩევნების კამპანიის დროს გქონდათ შეხვედრები ამომრჩევლებთან, რომელ პარტიასაც არ უნდა წარმოადგენდეთ, ძალიან ხშირად გავიგონებდით, კანონებს არა უშავს, მაგრამ თქვენ ვერ ახერხებთ ამ კანონების ამოქმედების უზრუნველყოფასო. არა მგონია, შეიძლებოდეს დღეს ჩვენს თავს მივცეთ იმის ფუფუნების უფლება, რომ სხვისკენ გავიშვიროთ თითი და ვთქვათ – ჩვენი რა ბრალია, ჩვენ კენჭი ვუყაროთ კანონს, დანარჩენი კი უკვე აღმასრულებელი ხელისუფლების პრობლემაა. თითოეულ კანონთან თითოეულ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, რომელიც აწუხებს დღეს ამა თუ იმ დარგს, ამა თუ იმ რეგიონს, თუ გნებავთ ამომრჩეველთა ამა თუ იმ ცალკეულ ჯგუფს, უნდა უზრუნველვყოთ ზედამხედველობა იმ გადაწყვეტილებათა აღსრულების განხორციელებაზე, რომლებიც ჩვენი დისკუსიების შედეგად მივიღეთ ამ დარბაზში.

გუშინ ვთქვი ბიუროზე და ახლა მინდა ოფიციალურად დავადასტურო თქვენს წინაშე ჩემი წინადადება, რომ ყველა კანონის მიღებისას „გარდამავალ დებულებებში“ აღინიშნოს კონკრეტული მომხსენებელი დეპუტატი, რომელიც სამი თუ ექვსი თვის ან გარკვეული ჩვენს მიერ დათქმული ვადის შემდეგ, პარლამენტს წარუდგენს საგანგებო მოხსენებას ამ კონკრეტული კანონის აღსრულების შესახებ, თუ როგორ დაიწყო ამ კანონის განხორციელება. შეიძლება, როგორც წესი მივიღოთ რომ დავნიშნოთ ხოლმე ორი, – თანამომხსენებელი სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელი, რათა კენჭისყრიდან გარკვეული დროის შემდეგ კიდევ დავუბრუნდეთ საკითხს. აქ არ არის საჭირო ფორსირება, გააჩნია კანონს. გააჩნია რა სფეროს არეგულირებს იგი. ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ იმაში, რომ გადაწყვეტილება არ

დარჩა უბრალოდ ქაღალდზე დაწერილ სიტყვებად. არ დარჩა ჰაერში გამოკიდებული. აღმასრულებელი ხელისუფლებიდან ჩვენს კოლეგებთან ერთად მივაღწიეთ მის აღსრულებას, ამოქმედებას. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მინდა ვთქვა, რომ ეს იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დატვირთვა ჩვენი მოწვევის პარლამენტისა და ბედნიერი ვიქნები, თუ 3 წლის შემდეგ, როდესაც დავუბრუნდებით ამ საკითხს, შევძლებთ განვაცხადოთ, რომ შემდგომ პარლამენტს გადავეცით ჩამოყალიბებული დახვეწილი ტრადიცია იმისა, თუ რას ნიშნავს საქართველოში საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელება. ამ მხრივ, ვფიქრობ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ ცალკეულმა დეპუტატებმა, ყველა კომიტეტმა თავიანთი დარგების მიმართულებების მიხედვით. გთხოვთ, რომ მთელი სერიოზულობით მივუდგეთ საზედამხედველო საქმიანობის გეგმის შემუშავებას და დავამტკიცოთ იგი ისე, როგორც ვამტკიცებთ საკანონმდებლო საქმიანობის გეგმას. ჩვენ ადრეც ვაკეთებდით ამას, მაგრამ ამას მხოლოდ ფორმალური დატვირთვა ჰქონდა და ყოველ პლენარულ სხდომაზე, გარდა კანონპროექტების მოსმენისა, ჩვენ სულ ცოტა 2-3 სპეციალური მოხსენება უნდა მოვისმინოთ სწორედ იმ მომხსენებელთა მხრიდან, რომლებიც ცალკეული მიმართულებებით ზედამხედველობის საკითხებზე წარმოადგენენ პარლამენტის სპეციალური დადგენილებების პროექტებს. ეს არის ის პრაქტიკა, რომელიც მოქმედებს ყველა ტრადიციული დემოკრატიის პირობებში და რომელიც ყოველმიზეზგარეშე უნდა ავამოქმედოთ აქაც, საქართველოში.

კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია ჩვენი პარლამენტისა, რომელიც განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სამთავრობო პერეტრუბაციების გათვალისწინებით, არის საკადრო გადაწყვეტილებების მიღება ქვეყნის პრეზიდენტთან ერთად. მე დღეს, რა თქმა უნდა, შორს ვარ იმისგან, რომ რაიმე კონკრეტულ პერსონალურ საკითხებს შევეხო. კიდევ ერთხელ მინდა ყველას საყურადღებოდ განვაცხადო, რომ ეს გახლავთ პრეზიდენტის კონსტიტუციური და განსაკუთრებული პრეროგატივა. ყველას გვექნება კონსულტაციები ბატონ პრეზიდენტთან. გუშინ დაიწყო ეს პროცესი და მან დიდი ინტერესი გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლებთან ჩაატაროს კონსულტაციები. ასევე სხვა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან საბოლოო გადაწყვეტილებათა მიღებამდე განახორციელოს კონსულტაციები. ერთადერთი, რაც მინდა დღეს დავაფიქსირო, გახლავთ შემდეგი: ამჟამად, საქართველოს აღარ გააჩნია არანაირი საკადრო კომპრომისის რესურსი. ყველანაირი რესურსი არასწორი გადაწყვეტილებების მიღებისა უკვე ამოვწურეთ. ჩვენი საზოგადოება დღეს როგორი რთულიც არ უნდა იყოს ეს, ჩვენგან ელის უკომპრომისო პრინციპული გადაწყვეტილებების მიღებას. ნურავინ ნუ მიუდგება საკითხებს იმგვარად, რომ მაგალითად, რატომ უნდა წავიდეს ესა თუ ის ხელმძღვანელი პირი თანამდებობიდან. ის ხომ არ არის ცუდი პიროვნება. ეს არ შეიძლება იყოს კრიტერიუმი. კრიტერიუმი შეიძლება იყოს ერთადერთი – ნებისმიერი პოსტი, მით უფრო ისეთი, რომელიც საჭიროებს პარლამენტის თანხმობას და მხარდაჭერას. შეიძლება დაიკავოს მხოლოდ და

მხოლოდ საუკეთესო წარმომადგენელმა. იმ პიროვნებამ, რომლის პოტენციალში, რომლის შესაძლებლობებში მაქსიმალურად ვიქნებით დარწმუნებული. ამ საკითხებზე არაერთი საუბარი მქონდა და ბევრი შენიშვნაც მიმიღია ჩემი კოლეგების, მეგობრების მხრიდან. როგორც უმრავლესობისგან, ასევე ოპოზიციური ფრაქციებისგან. ვიცი, რომ ამ საკითხებს გადავწყვეტთ უაღრესად დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით და შევძლებთ პრეზიდენტთან სრულიად ახლებური, ბევრად უფრო ენერგიული და აქტიური თანამშრომლობის პროცესში ხელი შევუწყოთ ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად უფრო ქმედუნარიანი ხელისუფლების ჩამოყალიბებას ყველა მიმართულებით.

არ მინდა დიდხანს გავაგრძელო ბატონებო, თუმცა შეგვიძლია კიდევ მრავალ მნიშვნელოვან, მაგრამ ნაკლები მოცულობის საკითხს შევეხოთ. ალბათ ყველანი გრძნობთ, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საზოგადოება იმყოფება საგანგებო მდგომარეობაში, როდესაც პენსიონერს თვეების განმავლობაში სანატრელი უხდება კუთვნილი რამდენიმე ლარის მიღება. ან მასწავლებელი, ვიდრე გაკვეთილზე შევა, ფიქრობს იმაზე, თუ ხვალ და ზეგ რამდენი თვის დავალიანება ექნება ხელფასის. ეს საგანგებო მდგომარეობა არის. ეს ნიშნავს, რომ ჩვენც, პარლამენტარებმა, რომლებიც ვართ წარმომადგენლობითი ხელისუფლება, ანუ წარმოვადგენთ ჩვენს ხალხს, ასევე საგანგებო პირობებში უნდა ვიმუშაოთ. თითოეული დეპუტატის საქმიანობას უნდა ეტყობოდეს, რომ ის წარმოადგენს იმ ამომრჩეველს, რომელსაც რეალურად უკიდურესად უჭირს. ამომრჩევლები უნდა ხედავდნენ ამას ყოველდღიურ ჩვენს საქმიანობაში. მე დიდი იმედი მაქვს, რომ შევძლებთ ჩვენი საქმიანობა წარვმართოთ ტემპში. გადავიყვანოთ მუშაობის იმ რეჟიმში, რომელსაც ელის ჩვენი საზოგადოება.

პარლამენტის ბიურო, რომელშიც თავმოყრილია ყველა ფრაქციისა და კომიტეტის ხელმძღვანელი, ჩემი აზრით, ამ დროის განმავლობაში ერთგვარი შტაბის ფუნქციას უნდა ასრულებდეს და ჩვენ სწორედ ბიუროს სხდომაზე უნდა ვახერხებდეთ კომპრომისების ერთობლივად მისაღებ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებას, თუ საჭიროა საგანგებო გადაწყვეტილებათა მისაღებად პირველ ყოვლისა ეკონომიკის სფეროში, ჩვენ, ახლანდელზე ბევრად მეტი საათი უნდა დავხარჯოთ, მაგრამ არსებული სიტუაციიდან ერთიანი გამოსავალი ვიპოვოთ. ამას დარბაზში წარმოდგენილ ყველა პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის განსაკუთრებული შეთანხმებული მუშაობა დასჭირდება. მე დღეს ძალიან ოპტიმისტურად ვუყურებ იმას, რომ უნდა მოვახერხოთ განსაკუთრებული თანამშრომლობის სულისკვეთების შექმნა ყველა პოლიტიკურ ძალასა და პარლამენტის ყველა ფრაქციას შორის.

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, ძალზე ნიშანდობლივია, როგორი დღის წესრიგით იწყება მიმდინარე სასესიო კვირა. ის გადაწყვეტილება, რომელსაც ჩვენ დღეს, მე დარწმუნებული ვარ ამაში, ვუყრით კენჭს, არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდების დაფიქსირება კონსტიტუციაში და გზის გახსნა კონსტიტუციური კანონის შექმნისათვის, რომელიც ამ სტატუსს საბოლოოდ განსაზღვრავს. მე არ მეშინია იმის თქმა, რომ ეს არის საქართველოში ისტორიული პროცესის დასაწყისი. ჩვენ ყველა ალბათ დავიღალეთ და პირველ

ყოვლისა ჩვენი მოსახლეობა დაიღალა იმ დაძაბულობით, რომელიც არსებობდა ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობას შორის. პირველივე ნაბიჯი, რომელსაც ჩვენ ვდგამთ არჩევნების შემდგომ პერიოდში არის ნორმალიზება იმ ურთიერთობებისა, რომლებსაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით. ხშირად გვეკითხებიან ჟურნალისტები. საუბარი არ არის რაიმე პოლიტიკურ გარიგებაზე, საუბარი არ არის იმაზე, რომ მაგალითად „მოქალაქეთა კავშირი“ და „აღორძინება“ ერთმანეთის ოპონენტები აღარ იქნებიან. ალბათ იქნება მრავალი საკითხი, რომელშიც ჩვენ ერთმანეთს ოპონირებას გავუწევთ, მაგრამ ისეთი თემები, რომლებიც მე არ მეშინია ამის თქმა, საფუძველს ურყევდა ჩვენს სახელმწიფოებრიობას, როდესაც გადიოდა თვეები, წლები, ისე, რომ მოუგვარებელი იყო ელემენტარული საბიუჯეტო ურთიერთობები ცენტრალურ ბიუჯეტსა და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს შორის, როდესაც სრულიად გაურკვეველი იყო ჩვენი სამართლებრივი კონსტიტუციური ურთიერთობები. ამ ეპოქას, ამ ძალიან რთულ და ფეთქებადსაშიშ პერიოდს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი. ძალზე მოხარული ვარ, რომ ამ თვალსაზრისით არსებობს მკაფიო ნება, სურვილი, როგორც ბათუმში არსებული ხელისუფლების, ისე ცენტრალური ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს შორის. მინდა გამოვეხმაურო ჩვენს მეგობრებს ფრაქცია „აფხაზეთიდან“, რომელთა ვნებათა ღელვა, მღელვარება მე კარგად მესმის. გარწმუნებთ, თუკი ჩვენ, როგორც დღეს გვაქვს განსაზღვრული თვის განმავლობაში მივიღებთ იმ კონსტიტუციურ კანონს, რომელიც დეტალურად დაადგენს, რა არის ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივა და რა – ავტონომიის პრეროგატივა, გარწმუნებთ, ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, მათ შორის აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად. ამითი შევქმნით იმ მოდელს, რომლის მიხედვითაც მთელი მსოფლიო და ჩვენი მოწმეები, აფხაზი ხალხის წარმომადგენლები, იმსჯელებენ იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს ავტონომიის სტატუსი თანამედროვე ქართული სახელმწიფოს პირობებში არა ნათქვამის დეკლარაციის დონეზე, არამედ იმ კონკრეტულ საკონსტიტუციო გადაწყვეტილებათა დონეზე, რომლებიც მიღებულია პარლამენტის მიერ პრეზიდენტის ინიციატივით.

ამიტომ კიდევ ერთხელ ვამბობ, მე მიმაჩნია, რომ ისტორიული გადაწყვეტილება იქნება ის პროცესი, რომელსაც დღეს დასაბამს მისცემს პარლამენტი, რათა საბოლოოდ განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური სტატუსი, უფლებამოსილებანი და ფუნქციები – კიდევ ერთ გარემოებას მინდა გავუსვა ხაზი, ფრაქცია „აღორძინების“ ინიციატივით პრეზიდენტის ფორმულირებას დაემატა ჩანაწერი, რომ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუციური კანონი. რაც ერთხელ და სამუდამოდ წერტილს უსვამს ნებისმიერ საუბარს, ნებისმიერ განსჯას, იმის თაობაზე, თუ რა არის აჭარის ავტონომიურობის წყარო. ეს არის საქართველოს კონსტიტუცია და ერთიანი ქართული სახელმწიფოს გადაწყვეტილება, ჩვენი გადაწყვეტილება. განსაკუთრებით მახარებს ის, რომ ამ ფორმულირების ინიციატორად გამოდის სწორედ ფრაქცია „აღორძინება“.

ვფიქრობ, სხვა სიბრტყეში არის განსახილველი, მაგრამ არა მგონია ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს იმ დადგენილებას, იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც პარლამენტი მიიღებს მიმდინარე კვირის ხუთშაბათს. არ მინდა გავუსწრო მოვლენებს, მაგრამ ვფიქრობ, საჭიროა იმ გადაწყვეტილებათა მხარდაჭერა, რომლებმაც წერტილი უნდა დაუსვას რვაწლიან დაპირისპირებას ზვიადისტებსა და ანტიზვიადისტებს, არაზვიადისტებს შორის. სხვათა შორის, ჩვენი პრივილეგია იქნება მეგობრებო იმ დადგენილების მიღება, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ჩვენს საზოგადოებაში სხვადასხვა გამყოფი ხაზის არსებობას. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა ადამიანს, მიუხედავად მისი პოლიტიკური მრწამსისა, ექნება აბსოლუტურად თანაბარი შესაძლებლობები ჩვენს სახელმწიფოში.

ეს არის პრეზიდენტ შევარდნაძის საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უპირველესი პრიორიტეტი, რომელიც მან საგანგებოდ გამოყო თავის ცნობილ გამოსვლაში სპორტის სასახლეში შეკრებილი საზოგადოების წინაშე. მან განაცხადა, რომ მისი არჩევის შემდეგ გადადგმული პირველივე ნაბიჯები მიეძღვნება სწორედ ჩვენი ერის გამთლიანებას, იმ დაპირისპირების დასრულებას, რომელიც არსებობდა ჩვენს ქვეყანაში. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ჩვენი მოწვევის პარლამენტის პრივილეგია არის როგორც აჭარის, ისე ყველა სხვა მიმართულებით, ბოლო მოვუღოთ, წერტილი დავუსვათ ყველა ხელოვნურ დაპირისპირებას, რომელიც საშიშროებას უქმნის ჩვენს სახელმწიფოებრიობას და შეიძლება გავაგრძელოთ პოლიტიკური კამათი, დებატები, მაგრამ ვითანამშრომლოთ იმ სულისკვეთებით რასაც ჰქვია თანამშრომლობა საქართველოს საკეთილდღეოდ. აი, ეს უნდა იყოს ამ დარბაზში არსებული სულისკვეთება და მწამს, რომ ამას აუცილებლად მივაღწევთ.

ვიცი, რომ ძალიან დაგღალეთ ამ ხანგრძლივი გამოსვლით. მაგრამ წელიწადში ერთხელ მოთმინება უნდა იქონიოთ და თქვენს მიერ არჩეულ თავმჯდომარეს ბოლომდე მოუსმინოთ. კიდევ ერთ საკითხს შევეხები. ყველამ კარგად გავიცანით უკვე ერთმანეთი. უმრავლესობამაც, ოპოზიციამაც და დამერწმუნეთ, რომ გულწრფელად შეგვიძლია ვთქვათ – ჩვენი მოწვევის პარლამენტს უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, ყველა ფრაქციას შორის განსაკუთრებული თანამშრომლობის პრაქტიკის დანერგვა. მე არ ვითხოვ არც „სოციალისტებისგან“ არც „მრეწველებისგან“, „ტრადიციონალისტებისგან“, „აღორძინებისგან“, ან „ზვიადისტებისგან“, „მოქალაქეთა კავშირის“ პოზიციების მხარდაჭერას. ეს ალბათ ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ყველამ უნდა მოვთხოვოთ ერთმანეთს, რომ კონფრონტაციის გარეშე, ხელოვნური დაძაბულობის შექმნის გარეშე ვიპოვოთ კომპრომისები ყოველთვის, როცა ეს შესაძლებელია.

არჩევნები დასრულდა ბატონებო და დადგა დრო, როცა ყველამ უნდა დავკეცოთ ჩვენი საბრძოლო დროშები და გადავიდეთ მშვიდობიანი თანამშრომლობის რეჟიმში. ეს მრავალი თვალსაზრისით ბევრად უფრო მძიმე იქნება, ბევრად მეტ შრომას და ძალისხმევას მოითხოვს თითოეული ჩვენგანისაგან, მაგრამ ამისი ალტერნატივა კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, ალბათ არ არსებობს.

და კიდევ ერთი საკითხი ამ თემასთან დაკავშირებით. ჩვენ, ყველა ვაყალიბებთ გარკვეულ პოლიტიკურ სისტემას ჩვენს ქვეყანაში. სამწუხაროდ, სრულად ვერ მივაღწიეთ სტაბილური პოლიტიკური სისტემის შექმნას საქართველოში, თითოეული პარტიის, თითოეული პოლიტიკური გაერთიანების ჩამოყალიბებას და მე ასეთ სიტყვას ვიხმარდი, „გაზრდას" მართლაც ძალიან დიდი დრო და უზარმაზარი რესურსები სჭირდება. როგორც ქვეყნის კაპიტალი, რესურსი არის დახვეწილი, ჩამოყალიბებული, ძლიერი მმართველი პარტიის არსებობა, ასევე არის საზოგადოების კაპიტალი, საკუთრება – ჩამოყალიბებული და დახვეწილი ოპოზიციის არსებობა. ნებისმიერი ქვეყანა, ნებისნიერი საზოგადოება ამაზე მნიშვნელოვან რესურსებს ხარჯავს და შემთხვევითი არ არის, რომ ყველა დასავლურ პარლამენტში ნებისმიერი ხარჯების განევისას ისევე, როგორც ჩვენს პარლამენტში (ჩვენ იქიდან გადმოვიღეთ ეს) გათვალისწინებულია სპეციალური ხარჯები, სპეციალური რესურსები ოპოზიციისათვის. ჩვენ არ გვჭირდება ოპოზიცია, რომელიც არ არის ზედმიწევნით ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ქვეყანაში. ჩვენ გვეშინია მარგინალური ოპოზიციის და ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი იმგვარი პოზიციის ჩამოყალიბებას, რომელიც გარკვეულ ვითარებაში შეძლებს სერიოზული პერეტრუბაციების, სერიოზული პოლიტიკური მიწისძვრების გარეშე შექმნას მმართველი პარტიის ალტენატივა. დღეს, თქვენს წინაშე მინდა განვაცხადო: ჩემი და თითოეული თქვენგანის ამოცანად მიმაჩნია, რომ ჩვენი თანამშრომლობა მოიცავდეს სწორედ ამგვარი ოპოზიციის ჩამოყალიბებას, რათა ძვირი არ გვიჯდებოდეს სხვადასხვა პოლიტიკური მოძრაობების გაჩენა ჩვენს ქვეყანაში, რამაც შეიძლება მართლაც საკმაოდ სერიოზული დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ერთმანეთის. არ უნდა ვნათლავდეთ ერთმანეთს მტრულ და მოღალატე ძალებად. უნდა გვესმოდეს, რომ, შესაძლოა, სხვადასხვა გზით, სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ ერთად მივდივართ უზენაესი მიზნისაკენ, რასაც ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობა ჰქვია.

პარლამენტის საქმიანობაზე საუბარი შეუძლებელი იქნება თუ არ გავითვალისწინებთ, რომ საპარლამენტო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოქმედი პირი, გარდა ფრაქციებისა, ცალკეული დეპუტატებისა, ჩვენი შესანიშნავი აპარატისა, რომელიც მართლაც სანიმუშოა ამ რეგიონის ყველა სხვა პარლამენტის აპარატთან შედარებით, ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე ამ პოლიტიკურ ასპარეზზე ეს არის ჩვენი მასმედია. თუ დღეს ვსაუბრობთ იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე შეუქცევადი გახდა სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმების ფუნქციონირება, რომ ვერავინ ველარ შეცვლის ურთიერთობის გარკვეულ წესებს, ეს პოლიტიკურ-პლურალისტურ სისტემასთან ერთად არანაკლებ და შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში მეტადაც არის ჩვენი დამოუკიდებელი მასმედიის დამსახურება და მე ვფიქრობ, რომ ვერავინ დაიწუნებს ჩვენს თანამშრომლობას, ვგულისხმობ წინა პარლამენტის ნებისმიერი ფრაქციას თანამშრომლობას ჟურნალისტებთან, ცალკეულ გამოცემებთან ტელევიზიებთან, მაგრამ ამ პარლამენტში გადაწყვეტილებათა მიღებისას საჭიროა გამჭვირვალობა და რეალური ინფორმაციის მიწოდება მათთვის, ვინც ფაქ-

ტობრივად შუამავალია ჩვენსა და ჩვენს ამომრჩეველს შორის. სიტყვა მასმედია სწორედ ამას გულისხმობს. თუ ჩავუკვირდებით ამ ტერმინის ლათინურ ძირს, მათ უნდა ჰქონდეთ ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე.

იცით რატომ ვამახვილებ ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას ამაზე? იმიტომ, რომ პირადად მე და ვფიქრობ თქვენც, მოგბეზრდათ ეს პროვინციული ჭორაობა. ის, რასაც პროვინციულ ჭაობში ყიყინი შეიძლება ვუწოდოთ. და აი რაც ხშირად ისმის ჩვენს საზოგადოებაში ყურით მოთრეული სხვადასხვა ვერსია იმის თაობაზე, როგორ ცდილობს ჟვანია შევარდნაძის დამხობას. როგორ ცდილობს შევარდნაძე პარლამენტის უმრავლესობის დაშლას. ჩვენ ყველანი ვართ დიდი მასონური შეთქმულების მონაწილენი და წევრები. ამას ბოლო უნდა მოეღოს. ქართული საზოგადოება არასოდეს ყოფილა პროვინციული. ჩვენ ყოველთვის თავი მოგვქონდა განსაკუთრებული ინტელექტით და დღესაც დადგა დრო. რომ ნებისმიერ საკითხზე როგორი რთულიც უნდა იყოს იგი. ვილაპარაკოთ გულახდილად და არანაირი სივრცე, პატარა ჭუჭრუტანაც კი არ დავუტოვოთ ჭორიკნებს და მოლაყბეებს იმისთვის, რომ საზოგადოებას და ჩვენს პოლიტიკურ სისტემას შეუქმნან მრავალი ხელისშემშლელი პრობლემა. ღრმად ვარ დარწმუნებული ეს ჩვენზეა დამოკიდებული. თუ ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლებთ მასმედიასთან, თუ მივაწოდებთ მას ობიექტურ ინფორმაციას, ისინი მართლაც შეძლებენ ბევრად უფრო რეალურად დაანახონ საქართველოში არსებული მდგომარეობა, რომელიც რა თქმა უნდა, უნდა იცოდეს ჩვენმა საზოგადოებამ.

ასევე ვფიქრობ, რომ ჩვენ გავაგრძელებთ აქტიურ თანამშრომლობას არასამთავრობო სექტორთან. ქართული პარლამენტი ყველა სხვა პარლამენტისგან განსაკუთრებით მსოფლიოს ამ ნაწილში გამოირჩეოდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით. ეს კეთდებოდა შეგნებულად, რადგან არასამთავრობო სექტორის არსებობა მასმედიასთან ერთად არის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. ამ მოწვევის პარლამენტმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ვფიქრობ ბევრად უფრო აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ცალკეულ ლობისტურ დაჯგუფებებთან, ინტერ-ჯგუფებთან. არალეგალური ჩრდილოვანი ლობიზმის ადგილი უნდა დაიკავოს გახსნილმა გამჭვირვალე ლობიზმმა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივესალმო ნავთობპროდუქციის იმპორტიორების მიერ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯის გადადგმას. ისინი ცდილობენ შექმნან სრულიად ლეგალური ლობისტური გაერთიანება ჩვენს მიერ მიღებული კანონების საფუძველზე, რათა ლეგალურად და გახსნილად დაიცვან თავიანთი ინტერესები, რომ ხდებოდეს გარიგება არა ცალკეულ დეპუტატებთან სახელმწიფო ხაზინის ინტერესებიდან გამომდინარე და მე ვიმედოვნებ, რომ სხვა მიმართულებითაც შევძლებთ მსგავსი ნაბიჯის გადადგმას.

კიდევ ერთი, რითიც მინდა რომ გამოირჩეოდეს ეს ახალი მოწვევის პარლამენტი – საგანგებო ადგილი დაიკავოს ჩვენს მუშაობაში რეგიონების ინტერესებმა. გადავხედოთ, რამდენი საოცრად საინტერესო კონკრეტული მოდე-

ლია შექმნილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცალკეულ რაიონებსა და რეგიონებში. მაგალითად, ამას წინათ მქონდა შესაძლებლობა, ბოლნისში მენახა, როგორ მიმდინარეობს, შეიძლება ჩვენი კანონმდებლობის გარკვეული დარღვევით, საოცრად საინტერესო საგადასახადო ექსპერიმენტი, როდესაც რაიონში შემოიღეს ფიქსირებული გადასახადი მიწაზე. გადასახადი, რომელიც დღგ-ს სახით დავაწერეთ და პრაქტიკულად ვერ ვკრეფთ. ბოლნისში თითოეული ფერმერი 52 ლარის ნაცვლად იხდის მიწის ნაკვეთზე 190, 200, 210 ლარს. თითოეული გლეხი თითო ჰექტარზე, რის შედეგადაც გასამმაგდა ადგილობრივი ბიუჯეტი, რაც დაეტყო კიდეც რაიონის ქუჩებს, სახლებს, სკოლებს, ხელფასებს. ეტყობა, ამგვარი გამოცდილება დღეს ქვეყნის ყველა რაიონსა და რეგიონში არსებობს და მე მსურს, რომ ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილით, ინტერესით შევისწავლოთ ეს გამოცდილება. მინდა გამოვიდე ინიციატივით, რომ პარლამენტში შემოვიღოთ ცალკეული რეგიონის დღე, რომელიც მიეძღვნება ერთ კონკრეტულ რეგიონს. შეიძლება პირველი ასეთი საგანგებო დღე დავუთმოთ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, როგორც ავტონომიურ წარმონაქმნს. მოვაწყოთ გამოფენა. მოვიწვიოთ სხვადასხვა უცხოელი ინვესტორი, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და რაც მთავარია ჩვენ, დეპუტატებმა დეტალურად შევისწავლოთ და გავეცნოთ იმ გამოცდილებას, რომელიც არსებობს იმერეთში, კახეთში, სამეგრელოში ჩვენს მთიანეთში, ბარში. ცალკეულ ქალაქებში და სხვა. ვფიქრობ, ამით ჩვენ ბევრად უფრო ახლოს მივალთ ჩვენს ამომრჩევლებთან და შევძლებთ უფრო სრულფასოვნად გავითვალისწინოთ მათი პრობლემები.

ვიცი ძალიან გამიგრძელდა, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლი ჩვენი მუშაობის საგარეო პრიორიტეტებს. კიდევ ერთხელ დავადასტურებ, რომ უმთავრესი იქნება მოძრაობა ევროინტეგრაციის მიმართულებით. შეგახსენებთ, პრეზიდენტმა ნახევრად ხუმრობით, სადაც მცირე ნაწილი მართლაც შეიძლება იყო ხუმრობა, განაცხადა, რომ ამ ვადის ბოლოს საქართველო მიუკაკუნებს ევროატლანტიკური ალიანსის კარებს. ეს ძალზე სერიოზული განცხადებაა, რომელიც, რა თქმა უნდა, უნდა აისახოს ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტებზე.

პრიორიტეტული დარჩება ჩვენს უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორთან და უპირველეს დონორთან, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესთან ურთიერთობები. წინა პარლამენტმა შექმნა კონგრესთან ურთიერთობების ყოველწლიური უნიკალური ტრადიცია. პრაქტიკულად, ჩვენ მოვახერხეთ ვიზიტების, შეხვედრების შედეგად ათობით წამყვანი სენატორი, კონგრესმენი, სხვა პოლიტიკოსი ჩვენი ქვეყნის გულწრფელი ამერიკელი მეგობარი გამხდარიყო. წინა მოწვევის პარლამენტში მოვახერხეთ შეგვექმნა რეგიონების პარლამენტებთან ურთიერთობების განსაკუთრებული რეჟიმი და მე ბედნიერი ვარ, რომ თბილისში, სექტემბერში შედგა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის პარლამენტების სპიკერთა შეხვედრა. ანალოგიურად, ეს ისევ უნდა დარჩეს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად.

მაგრამ არის ერთი საკითხი რაც წინა პარლამენტმა ვერ მოაგვარა და მოდით ერთიანი ძალით შევუდგეთ ამ საკითხის მოწესრიგებას. ეს არის, რუსეთთან ურ-

თიერთობების მოწესრიგება. ჩვენ უნდა დავაფიქსიროთ რუსეთთან ჩვენი საერთო ინტერესები. რა საკითხებზე შეგვიძლია გამოვნახოთ საერთო ენა, რა არის ის საკითხები, რომლებიც ჩვენი პრინციპული, ეროვნული ინტერესების სფეროს წარმოადგენს. ჩვენ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დავთმობთ. ვეცადოთ ამ მიმართულებითაც მოვხსნათ მრავალი გაუგებრობა, და ის წინააღმდეგობები, რომლებიც პრობლემებს უქმნის ჩვენს ექსპორტიორებს და სხვა მეწარმეებს, ვინც რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებზეა დამოკიდებული. აგრეთვე ასობით ათას ჩვენს თანამოქალაქეს, ვინც რუსეთში ეწევა საქმიანობას. დამერწმუნეთ, რომ აქ განსაკუთრებული როლი ენიჭება ოპოზიციას და უმრავლესობის თანამშრომლობას.

მე იმედი მაქვს, რომ აქაც გარკვეულ წარმატებებს მივაღწევთ. ეს იქნება მნიშვნელოვანი საწინდარი იმისა, რომ ამ მოწვევის პარლამენტმა, უბრალოდ ერთხელ კიდევ კი არ იმსჯელოს აფხაზეთის სატკივარზე, არამედ დააფიქსიროს, რომ ჩვენ მივადექით იმ მიჯნას, როდესაც ძალიან სერიოზული გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ. ჩემი მეგობრები, დევნილი დეპუტატები, რომლებიც დევნილ მოსახლეობას წარმოადგენენ, დამეთანხმებიან, რომ ჩემთვისაც, ჩემი კოლეგებისთვისაც, ეს ყოველთვის ნომერ პირველი საკითხი იყო და ბუნებრივია დარჩება ამ მოწვევის პარლამენტის მუშაობის დროსაც. ჩვენ განწყობილნი ვართ, რომ ძალიან აქტიურად ვიმუშაოთ ამ მიმართულებით.

მეგობრებო, თქვენ ხედავთ, რომ პარლამენტის ეს შემადგენლობა ნამდვილად არ მოსულა ცარიელ ადგილას. ჩვენ მოვედით უკვე არსებულ საპარლამენტო ტრადიციებზე. ჩვენ წინ გვიძღვოდა ძალიან სერიოზული გამოცდილება, გამოცდილება, რომელიც შექმნა წელს არჩეულმა პარლამენტმა. უკიდურესი დაპირისპირების მიუხედავად, როდესაც საჭირო იყო კონსტიტუციის მიღება, აი იმ ძალიან წინააღმდეგობრივმა პარლამენტმა, ყველა პოლიტიკურმა ჯგუფმა, იპოვა საერთო ენა და პარლამენტმა უდიდესი უმრავლესობით მიიღო ქვეყნის კონსტიტუცია. დასაბამი მისცა ჩვენი ქვეყნის განვითარების სრულიად ახალ ეტაპს.

1995 წელს არჩეულმა პარლამენტმა შექმნა ქვეყნის ძირითადი საკანონმდებლო ბაზა, შეუქცევადი გახადა დემოკრატიული არსებობის წესი, დაამკვიდრა ის მექანიზმები, რომლებიც ერთხელ და სამუდამოდ, მე ღრმად მწამს ამისი, საქართველოს აქცევს სამოქალაქო საზოგადოების ქვეყნად. ვერასოდეს, ვერავინ, როგორც უნდა უნდოდეს, ვეღარ დააბრუნებს ჩვენს საზოგადოებას ტოტალიტარიზმისა და ავტორიტარული მმართველობის მარწუხებში. ჩვენი მოწვევის პარალმენტმა, საბოლოოდ უნდა დაამკვიდროს ძლიერი და დამოუკიდებელი საპარლამენტო ინსტიტუტის ტრადიცია ეს, სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძის სიტყვები იყო 1995 წელს. მე პირველად ვამბობ ამ დარბაზში, როდესაც მან მოიგო არჩევნები, ისევე როგორც ამჟამად და მისმა პარტიამაც მოიპოვა უმრავლესობა, მან თქვა, ურთიერთობები პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის. უნდა იყოს ურთიერთობები ორ დამოუკიდებელ ინსტიტუტს შორის, იმიტომ, რომ ჩვენი ფუნქცია და მოვალეობაა შევქმნათ ამ ინსტიტუტების ფუნქციონირების ტრადიცია, შევქმნათ ინსტიტუციონალიზმის ტრადიცია,

რომელიც არის სწორედ ჩვენი განვითარების სტაბილურობის უპირველესი გარანტი. იმის გარანტი, რომ ჩვენი საზოგადოებრივი კეთილდღეობა ცალკეულ პიროვნებებზე, თუნდაც უდიდეს მოღვაწეებზე კი არ იქნება დამოკიდებული, არამედ სიცოცხლისუნარიან, სრულფასოვან ინსტიტუტებზე. სწორედ ახლა, ჩვენ გვაქვს ყველა შანსი, რომ ამას ნამდვილად მივაღწიოთ. ჩვენს ქვეყანას ჰყავს ღირსეული და უნიკალური ლიდერი, რომელსაც ქვეყნის მართვის მართლაც განსაკუთრებული შესაძლებლობები აქვს მისი გამოცდილებიდან თუ საერთაშორისო ავტორიტეტიდან გამომდინარე, ჩვენ დღეს გვყავს ბევრად უფრო მოწიფული, ღირსეული პოლიტიკური სპექტრი მეგობრებო და პარტიები, რომელთაც ჰყავდათ ძალზე ღირსეული და სერიოზული მოღვაწეები. მე ამ შემთხვევაში ყველა, ყოველ შემთხვევაში ამ დარბაზში წარმოდგენილ პარტიებს ვგულისხმობ, და ჩვენ გვყავს ხალხი, რომელმაც აგვირჩია, და რომელიც ბევრად უკეთეს ყოფას და მომავალს იმსახურებს, ვიდრე დღეს აქვს. დღეს ჩვენ გვჭირდება ნებისყოფა, ძლიერი პოლიტიკური ნებისყოფა, რათა გადავწყვიტოთ ის პრობლემები, ხშირად სამარცხვინო, რაც არსებობს დღეს ქვეყანაში. აი, ეს არის ის მთავარი, რასაც ელოდება დღეს თავისი რჩეული ხელისუფლებისაგან საქართველოს ხალხი. ჩვენ შევძლებთ გამოვავლინოთ ჩვენი ნება, მტკიცე ნებისყოფა, რომ თანამშრომლობით, კომპრომისებით, შეთანხმებებით გადავწყვიტოთ პრობლემები, რომლებიც დგას ჩვენს წინაშე. მაშინ, ჩვენს ქვეყანას ძალიან დიდი მომავალი ექნება. თუ ჩვენ ამას ვერ შევძლებთ, მაშინ, ჩვენზე ბევრად უკეთეს წარმომადგენლებს იპოვის ჩვენი ამომრჩეველი და შემდეგი პარლამენტის შემადგენლობა ნამდვილად განსხვავებული იქნება.

როდესაც მე ამირჩიეს თავმჯდომარედ, როგორ ვცდილობდი, რომ ეს შენობა არ ყოფილიყო უბრალოდ ბიუროკრატიული დაწესებულება, როცა ჩვენი მოსმენების დარბაზიდან გვიყურებენ ჩვენი დიდი წინაპრების, განმანათლებლების, პირველი რესპუბლიკის დამფუძნებლების სურათები, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ როდესაც ამ დარბაზში ვმოღვაწეობთ, ჩვენთან ერთად არიან ის იუნკერები, ვის ძვლებზეც დგას ეს შენობა და ვინც თავი დადო დამოუკიდებლობისა და ჩვენი დემოკრატიისთვის. ჩვენს გვერდით, ამ დარბაზში არის ყველა ის დიდი ქართველი, ვინც ოცნებობდა ძლიერ, აყვავებულ, რეალურად დამოუკიდებელ საქართველოზე. მე მინდა, რომ ჩვენ ამას მუდმივად ვგრძნობდეთ. ჩვენ პატარ-პატარა გაელვება ვართ ჩვენი ქვეყნის საოცრად დიდ, ხანგრძლივ და სახელოვან ისტორიაში. ჩვენ გვაქვს შანსი, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის მონაკვეთი ღირსეულად ჩავწეროთ ისტორიაში. ეს შანსი ნამდვილად გვაქვს და, პატივცემულო კოლეგებო, მოდით, ბოლომდე გამოვიყენოთ ეს შანსი. დიდი მადლობა!

პარლამენტის თავმჯდომარის მოხსენება პლენარულ სხდომაზე.
18 აპრილი, 2000 წ.
გაზ. „დილის გაზეთი“. 19 აპრილი, 2000 წ. №86 (1206). გვ. 11, 12, 13
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
19 აპრილი, 2000 წ. №105 (3506). გვ. 1, 2, 3

„ცვლილებებზე დისკუსია მიმდინარეობს, გადაწყვეტილებას პრეზიდენტი მიიღებს“

„პარლამენტიდან არსად წასვლას არ ვაპირებ“

ღია ინტერვიუ პარლამენტის თამჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან

ესაუბრა ლალი შალვაშვილი

„რეზონანსი“: ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე ხშირად საუბრობთ იმ საკადრო თუ სტრუქტურულ ცვლილებებზე, რომელიც მოხდება. სტრუქტურულ ცვლილებებში რას გულისხმობთ?

ზურაბ ჟვანია: ეს განაცხადი ძალიან მკაფიოდ გააკეთა პრეზიდენტმა, თავისი საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციის დროს. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის პროგრამა რამდენიმე მნიშვნელოვან და ძალიან რადიკალურ ღონისძიებას მოიცავს. მათ შორის, ერთ-ერთია პრინციპი, რომ უფრო ეფექტური, უფრო კომპაქტური და იაფი გახდეს მმართველობის სისტემა საქართველოში, რაც პირველ ყოვლისა, გულისხმობს პერიოდულ რეორგანიზაციას აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

დღეს რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტი მუშავდება, ამასწინათ მანახა თავისი მოსაზრებები. მომზადებული აქვს ცალკეულ სამინისტროებს და პარლამენტს, მუშავდება სხვადასხვა ვარიანტები. ნებისმიერ შემთხვევაში, ვფიქრობ, სამინისტროთა რიცხვი 15-მდე დავა. მათ შორის, სამინისტროების შემადგენლობაში შევა დამოუკიდებელი დეპარტამენტები, თუმცა ეს თვითმიზანი არ არის.

განსაკუთრებული რეორგანიზაცია შეეხება ეკონომიკური ბლოკის სამინისტროებს და მიმაჩნია, რომ ყველა სამინისტრო იქნება ძალიან ძლიერი და სერიოზული ფუნქციების შემცველი. თვითონ მინისტრიც იქნება მნიშვნელოვანი და ძლიერი ფიგურა სახელისუფლებო ლანდშაფტზე.

„რ.“: გამოდის, რომ საბოლოო ვარიანტი ჯერ არ არსებობს?

ზ.ჟ.: საბოლოო ვარიანტი არ არის, მაგრამ რამდენიმე მათგანი ახლოს დგას ერთმანეთთან. ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, შესაძლოა, კომუნიკაციის სამინისტრო შეიქმნას, სადაც შევა ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სამინისტროები. არ არის გამორიცხული, იგი კიდევ უფრო გამსხვილდეს და ინფრასტრუქტურების განვითარების სამინისტროდ გადაიქცეს, სადაც ამ ორის გარდა შესაძლებელია მშენებლობისა და ენერგეტიკის სამინისტროც გაერთიანდეს, მაგრამ ყოველივე ეს ჯერ დისკუსიების საგანია, გადაწყვეტილებას მიიღებს პრეზიდენტი. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ეს გახლავთ მისი შეუვალი პრეროგატივა.

„რ.“: ჩვენთან ხშირად სამინისტროები სპონტანურად ხან ერთი პიროვნების გამო იქმნებოდა, ან მათ ხშირად გაურკვეველი მოტივით აერთიანებდნენ, ახლა არსებობს რაიმე გათვლები ამ სტრუქტურების შეერთების აუცილებლობის თაობაზე?

ზ.ჟ.: სამინისტროების შეერთება არ შეიძლება იყოს თვითმიზანი, ან იგი ერთი ადამიანისთვის არ უნდა შეიქმნას. ჩვენ უნდა შევძლოთ მმართველობის ყველაზე ოპტიმალური სისტემის შექმნა.

„რ.“: რაც შეეხება საკადრო საკითხებს, რომელი მინისტრი დატოვებს თანამდებობას?

ზ.ჟ.: ამ მინისტრების გვარებს ვერავინ დაგისახელებთ. ნებისმიერი გვარი, რომელიც მუსირებს პრესაში, ძირითადად ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. ამის მიზეზი არის ის, რომ კონსულტაციები ახლა მიმდინარეობს პრეზიდენტთან. ცხადია, შევარდნაძე ფრთხილად ეკიდება საკადრო საკითხების გადაწყვეტას. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, რომ პერსონალური შემადგენლობა ძალიან სერიოზულად იქნება შერჩეული, ვიდრე აქამდე ხდებოდა.

„რ.“: ქვეყნის ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში თუ ამ მინისტრებს მიუძღვით ბრალი, მაშინ საზოგადოებამ უნდა იცოდეს მათი სახელები.

ზ.ჟ.: მინისტრები ხშირად ადანაშაულებენ პარლამენტს, რომ გაუთავებლად იერიში მიაქვს ბევრ მათგანზე, მათ ავიწყდებათ, რომ ეს პარლამენტის კონსტიტუციური მოვალეობაა. ჩვენ ვალდებული ვართ, რომ საზოგადოება დარწმუნებული იყოს, რომ თითოეული უწყება მუშაობს საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

„რ.“: როცა საუბარია მთავრობის გამოცვლაზე, არსებობს გუნდი, რომელიც ამას შეძლებს? თუნდაც იმავე მმართველ პარტიაში?

ზ.ჟ.: პრეზიდენტი ყურადღებით სწავლობს იმ საკადრო რესურსს, რომელიც პარტიაში არსებობს, მაგრამ მმართველი პარტიის წევრობა-არწევრობა არასოდეს ყოფილა დაბრკოლება ნიჭიერი ადამიანებისათვის.

შემიძლია დავასახელო ბევრი უპარტიო ადამიანი, რომელსაც სერიოზული პასუხისმგებლობები აკისრია. არა მგონია, ამ პრინციპს შევარდნაძემ უღალატოს, რადგან იგი, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ყველა ადამიანს შესაძლებლობათა რეალიზაციის თანაბარ შანსს აძლევს.

„რ.“: ასეთ შემთხვევაში მივიღებთ მთავრობის ერთიან გუნდს, რომელიც ახლანდელი აღმასრულებლების საქმიანობის ერთ-ერთ ნაკლად ითვლება?

ზ.ჟ.: გუნდურობა უმნიშვნელოვანესი საკითხია. გულახდილად გეტყვით, ხშირად პრობლემას აღმასრულებელთა უთანხმოება, ზოგჯერ დიამეტრალურ აზრთა სხვადასხვაობას ქმნიდა. განსაკუთრებით, ეკონომიკური მართვის კუთხით. არადამაკმაყოფილებელია ის, თუ როგორ იმართებოდა აქამდე ჩვენი ეკონომიკა, როცა პრეზიდენტი საუბრობს განახლებაზე და რადიკალურ ცვლილებებზე, იგი ქვეყნის ეკონომიკური მართვის გაუმჯობესებას გულისხმობს.

„რ.“: პარლამენტარმა აკაკი ასათიანმა კვლავ პრემიერის ინსტიტუტის და მინისტრთა კაბინეტის შემოღების აუცილებლობა წამოწია, ამას მმართველი პარტია 2 წლის წინათ ითხოვდა, უახლოვეს მომავალში შესაძლებელია თუ არა, რომ ასეთი ცვლილებები შევიდეს კონსტიტუციაში?

ზ.ჟ.: მინისტრთა კაბინეტისა და პრემიერის ინსტიტუტის შემოღებაზე 1998 წელს დავიწყეთ საუბარი, მაგრამ მაშინ შევთანხმდით, რომ აუცილებელი არ იყო ამ ნაბიჯის გადადგმა. თუმცა აკაკი ასათიანის წინადადებაზე პარლამენტში გაიმართება დისკუსია. ქვეყნის დღევანდელ საკონსტიტუციო მმართველობის მოდელს ჯერ არ ამოუწურავს თავისი რესურსები.

გასული წლის დეკემბერში პარლამენტმა უმნიშვნელოვანესი, ლამის კონსტიტუციური ცვლილებების ტოლფასი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც სახელმწიფო მინისტრს გაუფართოვა ფუნქციები. 4-5 თვის წინათ, სახელმწიფო მინისტრი, თითქმის პრემიერის უფლებებით აღიჭურვა, მას ეკონომიკური ბლოკის კოორდინირება დაევალა. არ არის გამორიცხული რომ ამ მხრივ შემდგომი ნაბიჯებიც გადავდგათ, ეს გამოიკვეთება პრეზიდენტთან კონსულტაციების შემდეგ.

„რ.“: სხვათა შორის, პრემიერის ინსტიტუტის შემოღება თქვენ სახელს უკავშირდება...

ზ.ჟ.: ამიტომაც ვარიდებ თავს ამ თემაზე საუბარს. არსად არ ვაპირებ პარლამენტიდან წასვლას. ძალიან კარგად ვგრძნობ აქ თავს და მიხარია, რომ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის საინტერესო თანამშრომლობის პერსპექტივები გამოჩნდა.

„რ.“: თუმცა არჩევნების წინ თქვენ იმ ამბიციაზე დაიწყეთ საუბარი, რომელსაც პრეზიდენტობა ჰქვია...

ზ.ჟ.: ასეთ კონტექსტში ნამდვილად არ მითქვამს. ყველანაირი ასეთი საუბარი სასაცილოა. ცხადია, პოლიტიკური ამბიციები, ისევე, როგორც ბევრ ჩემს მეგობარს, გვაქვს. მაგრამ ეს ამბიცია იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანაში გარდატეხას მივაღწიოთ და ჩვენი სახელი უკავშირდებოდეს ძალიან დიდ რეფორმას და განახლების პროცესს, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტი ახორციელებს.

„რ.“: ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე საუბრობენ, რომ საკადრო ცვლილებები არ შეეხება ძალოვან სამინისტროებს. ხშირად ამას საპრეზიდენტო არჩევნებში მათი დამსახურებით ხსნიან, რა დაიმსახურეს მათ ისეთი, რომ ამ ეტაპზე ხელშეუხებლები არიან?

ზ.ჟ.: აქ არ არის საუბარი იმ სამსახურზე, რომელიც გაწეული იყო საარჩევნოდ. მათთან მიმართებაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს ირგვლივ რა გარემო არსებობს და როგორი გარეგამოწვევები გააჩნია ქვეყანას. გარწმუნებთ, რომ ჩეჩნეთში დატრიალებულ ამბავს რომ თავი ავარიდეთ, ეს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების დამსახურებაა. ამის გაუთვალისწინებლობა პრეზიდენტს არ შეუძლია.

თუმცა არის პრობლემები, ამას უნდა მივხედოთ, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოების უსაფრთხოება, რასაც ართმევენ თავს ეს სა-

მინისტროები. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ თვალი დავხუჭოთ იმ პრობლემებზე, რომელიც არსებობს. ხშირად მქონია კახა თარგამაძესთან და სხვა მინისტრებთან საუბარი. არა მგონია, რომ ისინი ვერ ხედავდნენ განახლების იმ აუცილებლობას, რომელიც უნდა შეეხოს სტრუქტურებს.

გაზ. „რეზონანსი“. 20 აპრილი, 2000 წ. №106 (1882). გვ. 4

ზურაბ ჟვანია პრემიერმინისტრის პოსტის წინააღმდეგია

ირაკლი გოგორიშვილი

საქართველოს პარლამენტში ერთობ ხმაურიანად აღინიშნა სამამულო ომის დასრულების 55 წლისთავი, რომელშიც მონაწილეობა სამამულო ომის ვეტერანებმა, ავღანეთისა და აფხაზეთის ომის ვეტერანებმა მიიღეს. მათ სიგელებთან ერთად ღირებული ბარათები დაურიგდათ. აღნიშნულ ღონისძიებაში პარლამენტის თავმჯდომარემაც მიიღო მონაწილეობა, რომელმაც ფაშისტური გერმანიის გამარჯვების აღნიშვნის შეფასებასთან და მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით თავისი დამოკიდებულება გამოხატა.

„ძალიან მიხარია, რომ პარლამენტში 9 მაისს ჩამოყალიბდა ტრადიცია, როდესაც ვეტერანები თავს იყრიან მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად, ის ადამიანები, რომელთა მიმართ ყველას ერთნაირი პატივისცემა გვაქვს, განსაკუთრებული სითბოთი და მორიდების გრძნობით სარგებლობენ. ამ დღეს საქართველოს პარლამენტი პატივს მიაგებს მათ უზარმაზარ წვლილს. დამოუკიდებელი საქართველო გააგრძელებს მათ სახელოვან ტრადიციებს და არაერთ გამარჯვებას ვიზეიმებთ დღესაც.

არანაირი კრიზისი ხელისუფლების არ არის. ამაზე საუბარი სასაცილოა. თუ რაიმე პრობლემები არსებობდა პარლამენტში და მე ვერ ვიტყვი, რომ ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემები ყოფილიყო, იყო გარკვეული სიმპტომები იმისა, რომ ჩვენს ფრაქციაში არასაკმარისი იყო კოორდინაცია და ეს საკითხები მოიხსნება და ამის დადასტურებაა თუნდაც ის, რომ იგივე კომიტეტის თავმჯდომარეებმა ჩემი თხოვნით დაწერეს გადადგომაზე განცხადება და დაადასტურეს ამ ქმედებით, რომ ეჭვის ქვეშ არავინ აყენებს მკაცრი დისციპლინის არსებობის საკითხს.

ჩვენ ვიმსჯელებთ კომიტეტის თავმჯდომარეებთან ერთად, და მთელი დღის განმავლობაში მაქვს საუბრები, შეხვედრები ცალკეულ მათგანთან, უმრავლესობა ჩემი პირადი მეგობარებია, რაიმე არ გვაქვს გასაყოფი, მაგრამ ყველას უკეთესად უნდა გვესმოდეს პასუხისმგებლობა, რომელიც გააჩნია მმართველი პარტიის და უმრავლესობის წევრს, ჩვენ უნდა ვიყოთ პრინციპულები და შეუვალი იმ საკითხში, რასაც ჰქვია საბიუჯეტო კონტროლი, მაგრამ წარმოუდგენელია სპონტანურად ისეთი ინიციატივების განხორციელება, რომელიც ქმნის ახალ პოლიტიკურ რეალობას. ამას ვერ შევეგუებით და ძალიან მოხარული ვარ, რომ ყველა ჩემმა კოლეგამ გაიგო ეს ჩვენი მოთხოვნა და გაიზიარა.

მინისტრთა კაბინეტზე რამდენჯერმე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება, მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მინისტრს დეკემბრის შემდგომ გაუფართოვდა

ფუნქციები, სახელმწიფო მინისტრს აქვს მეტი ფუნქცია და მეტი უფლება, ვიდრე ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში პრემიერმინისტრებს. ამ ეტაპზე ეს საკითხი ნამდვილად არ დგას დღის წესრიგში და ჩვენ უნდა მთელი ძალები გავაერთიანოთ იმისათვის, რომ არსებული სისტემის პირობებში ყველა რესურსი იქნას ამოქმედებული, რათა გამოვიდეთ დღევანდელი კრიზისიდან. დღეს არის საბიუჯეტო კრიზისი და არა სახელისუფლებო კრიზისი და სახელისუფლებო კრიზისზე საუბარი ძალიან სასაცილოა. ფრაქცია მოქკავშირი და უმრავლესობა არასოდეს ყოფილა ისეთი ერთიანი, შეკრული და დისციპლინირებული, როგორიც იქნება დღეის შემდეგ. ძალიან ნაადრევად მოუწიათ სიხარულით ხელის ფშვნეტა ჩვენს ზოგიერთ ოპონენტს.

გაზ. „ახალი თაობა“ 10 მაისი, 2000 წ. №126 (1615). გვ. 2

„შეიძლება უფრო მკაცრ ზომებსაც მივმართოთ“

პარლამენტის თავმჯდომარე შიდა გამოძიების ჩატარებას არ აპირებს

ესაუბრა გიორგი კალანდაძე

გუშინ პარლამენტში ბიუროს დახურული სხდომის შემდეგ „რეზონანსმა“ რამდენიმე კითხვით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს.

„რეზონანსი“: გამოდის, რომ დღის წესრიგიდან მოიხსნა საგამოძიებო კომისიის ჩამოყალიბების საკითხი, რომელიც, 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიზეზებს დაადგენდა?

ზურაბ ჟვანია: ამაზე გვქონდა საუბარი. საერთოდ, ცოტა უცნაურად მეჩვენება ამ საკითხის ფორსირება, ბიუჯეტის შესრულების საკითხების შესწავლა ევალება კონტროლის პალატას. იქ არის 800 შესანიშნავად მომზადებული თანამშრომელი. ჯერ ჩვენ გავაგრძელებთ კომიტეტებში ბიუჯეტის შესრულების საკითხის მოსმენებს. თუ საჭიროა, დამატებით ინფორმაციას გამოვითხოვთ კონტროლის პალატიდან. თუ მართლაც აშკარად გახდა, რომ რომელიმე მოხელემ სერიოზული დარღვევები განახორციელა, შეიძლება უფრო მკაცრ ზომებსაც მივმართოთ. თუ ამის შემდეგ დადგება კომისიის საკითხი, მისი განხილვაც შეიძლება.

კომისიის შექმნა თვითმიზანი არაა. ერთი კვირის წინათ მე შევკრიბე კომიტეტების თავმჯდომარეები. იყო ჩემი თხოვნაც და თუ გნებავთ დავალება, რომ თითოეული კომიტეტი უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდებოდა ბიუჯეტის ანგარიშის განხილვას. მე ამ პარლამენტის შემდგომი წლების მუშაობაში პრიორიტეტულ მიმართულებად მივიჩნევ საბიუჯეტო კონტროლის გამკაცრებას. ოღონდ ჩვენ ასეთი თვითნაბადი და ზოგჯერ გაუგებარი ინიციატივებით არ უნდა მოვახდინოთ იდეის დისკრედიტაცია. უნდა ვიმუშაოთ საქმის გასაკეთებლად და არა პრესის ყურადღების მისაპყრობად.

„რ.“: საინტერესოა, თქვენი შეფასებით, ის, რაც პარლამენტში მოხდა, გამოუცდელობის შედეგია თუ სხვა რამ?

ზ.ჟ.: მირჩევნია, ეს მოვლენა დავაბრალო გამოუცდელობას, თუმცა მე სერიოზული კითხვის ნიშნები მქონდა იმის გამო, თუ რატომ გახდა ამის გაკეთება აუცილებელი იმ დღენახევრის განმავლობაში, როცა მე თბილისში არ ვიყავი. ყოფილა შემთხვევები წინა პარლამენტის დროს, როცა მწვავე სიტუაციაში აუცილებელი იყო ჩემი წასვლა და ჩვენ შევთანხმებულვართ იმავე ოპოზიციასთან საკითხის განხილვის გადადებაზე.

ასეთი თემის წამოწევა იმ 48 საათის განმავლობაში, როდესაც ჟვანია თბილისში არ იყო, ცოტა კორექტულად არ მეჩვენება. ჩავთვალოთ, რომ დეპუ-

ტატთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის ეს იყო ლაფსუსი და გაუგებრობა. იმედი მაქვს, რომ ეს იქნება კარგი გაკვეთილი, რომ ჩვენ, დეპუტატებმა, სერიოზულად უნდა ვიფიქროთ ჩვენს ყოველ ხელმოწერაზე.

„რ.“: აპირებთ თუ არა თქვენ შიდა გამოძიების ჩატარებას?

ზ.ჟ.: არა. ეს ჩემი სტილი არ არის. პრობლემები თავზე საყრელი გვაქვს. დღეს მთავარი საზრუნავი ის კი არ არის, რომ ჩვენ შიგნით გავარკვიოთ სიტუაცია, არამედ ის, რომ მივხედოთ ეკონომიკურ მდგომარეობას. ყველაფერს დაესვა წერტილი და პარლამენტი იმუშავებს საზოგადოების პრობლემების მოგვარებაზე.

გაზ. „რეზონანსი“. 10 მაისი, 2000 წ. №123 (1899). გვ. 3

„სუფთა ხელებით, მტკიცე პოლიტიკური ნებისყოფით ურთულეს სიტუაციაშიც შეიძლება მძიმე პრობლემის მოგვარება“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
ზურაბ ჟვანიას სიტყვა
პარლამენტის 12 სექტემბრის სხდომაზე

ბატონებო, პატივცემულო კოლეგებო! ჩვენ ძალზე დაძაბულ სესიას ვიწყებთ. ყველამ ვიცით, რომ დღის წესრიგში დაგვიგროვდა უმნიშვნელოვანესი საკითხები. საკითხები, რომელთა გადაწყვეტას ჩვენი ამომრჩეველი ელის ჩვენგან და, ვფიქრობ, საკმაოდ დაძაბულ რეჟიმში მოგვიწევს მუშაობა ამ თვეების განმავლობაში. ჩვენ როდესაც, მართლაც სრულიად პირობით არდადეგებზე დავიშალეთ. ყველანი გავდიოდით ამ დარბაზიდან საკმაოდ მძიმე განცდებით. იმიტომ, რომ ქვეყანა იყო უმძიმესი საბიუჯეტო კრიზისის მდგომარეობაში და, ვფიქრობ, დღეს მართლაც ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება მოვისმინოთ ამ საბიუჯეტო წესრიგზე პასუხისმგებელი მთავრობის წევრების, უპირველეს ყოვლისა, ფინანსთა და შემოსავლების მინისტრების მოხსენება, თუ რა ვითარებაა ამ მხრივ დღეს ჩვენს ქვეყანაში.

ერთი რამ შემიძლია ვთქვა და წარმოგიდგინოთ ჩემი მოსაზრებები საშემოდგომო სესიის პრიორიტეტებთან დაკავშირებით. ალბათ, ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი ამჯერად ჩვენთვის უნდა გახდეს საბიუჯეტო პროცესის წარმართვა პარლამენტში.

მე მქონდა რამდენჯერმე საუბარი ბატონ სიორიძესთან, ისიც სრულიად იზიარებს ამ მოსაზრებას. ჩვენ, პრაქტიკულად პირველად გვექნება წელს შესაძლებლობა, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში სრულფასოვნად ჩატარდეს მომდევნო წლის, 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეული პოლიტიკური ჯგუფის, მაჟორიტარობის დეპუტატების მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს მომდევნო წლის საბიუჯეტო პრიორიტეტები, რეალურად შეიძლება აისახოს იმ საერთო დოკუმენტში, რომელსაც პარლამენტი საბოლოოდ უყრის კენჭს. მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ სრულფასოვნად დავასრულოთ ეს პროცესი ამ წლის ბოლომდე. ანუ დეკემბრის შუა რიცხვებამდე, რაც გათვალისწინებულია კონსტიტუციური ვადებით – ჩვენი სხდომების ხანგრძლივობა. და ეს ასევე, თავის მხრივ, საშუალებას მისცემს ყველა უწყებას ქვეყანაში, ცენტრალურ უწყებას თუ რეგიონალურ უწყებას, წინასწარვე დაიჭირონ თადარიგი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იქნება ჩვენი პრიორიტეტები საბიუჯეტო პოლიტიკის თვალსაზრისით.

ამას გარდა, ჩვენ ყველას მოგვიწევს რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი კანონპროექტის განხილვა. მე არ მინდა გავუსწრო მოვლენებს და წარმოვადგინო ის ინფორმაცია, რასაც უფრო ზედმიწევნით მოგვაწვდის ბატონი გიგი წერეთელი. მთლიანობაში, საშემოდგომო სესიის საკანონმდებლო დღის წესრიგში გვაქვს 96 კანონპროექტი და როგორც ჩანს, კიდევ დაემატება რამდენიმე ათეული. მათ შორის, ინიცირებული დეპუტატების მიერ. აი, ამ მთელ პაკეტში კანონპროექტებისა, რომელიც ჩვენი განსახილველი იქნება ამ 3 თვის განმავლობაში, მე მინდა გამოვყო რამდენიმე სფერო, რომელიც უეჭველად იქნება პოლიტიკური ამინდის განმსაზღვრელი პარლამენტში. უპირველეს ყოვლისა, მე კიდევ ერთხელ მინდა ყველას შეგახსენოთ, რომ ჩვენ შევთანხმდით – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ამ სესიის განმავლობაში იქნება საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა. მე ვგულისხმობ როგორც საგადასახადო კოდექსს, ისე ყველა იმ საკანონმდებლო აქტს, რომლითაც რეგულირდება დღეს ფისკალური სისტემის ფუნქციონირება საქართველოში. ჩვენ შევქმენით სპეციალური სამუშაო ჯგუფი ბატონ ვიტალი ხაზარაძის ხელმძღვანელობით. ის გახლავთ ამ ჯგუფის კოორდინატორი, ვიცი, რომ უკვე საკმაოდ ბევრი წინადადებაა შემოსული, ძალზე საინტერესო მოსაზრებებია დამუშავებული ფინანსთა სამინისტროში. რაზეც მე რამდენჯერმე მქონდა მინისტრთან საუბარი, რომლებიც გამომდინარეობს პრეზიდენტის საპროგრამო დებულებებიდან. მათ შორის, შესაძლო მიმართულებები ამ საგადასახადო წნეხის გამარტივებისას ჩვენი მეწარმეებისათვის, გადასახადის გადამხდელებისათვის. მაგრამ მე არ მინდა ახლა შევეხო სპეციალურ საკითხებს, უკეთესია ამაზე ვიმსჯელოთ, როდესაც ოფიციალურად შემოვა თითოეული დოკუმენტი.

საგანგებოდ ერთადერთ გარემოებას გავუსვამ ხაზს – ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ის სრულიად ახალი რესურსი, რომელიც დღეს გაგვაჩნია საქართველოში ჩვენი მეგობრების ხელშეწყობით. მე ვგულისხმობ ბატონ ბალცეროვიჩის და მისი ოფისის მუშაობას საქართველოს მთავრობასთან. არ მინდა, რომ ვინმემ ან გადაჭარბებულად შევაფასოთ ეს ფაქტორი, ან კიდევ უარესი იქნება, სრული ნიჰილიზმით მოვეკიდოთ ამ გარემოებას. ბატონი ბალცეროვიჩი გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პრაქტიკოსი ეკონომისტი. ეკონომისტი, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპაში ანუ ჩვენნაირ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში შექმნა ერთ-ერთი ყველაზე დადებითი, ყველაზე წარმატებული გამოცდილება. და ვფიქრობ, რომ მასთან, მის ექსპერტებთან ჩვენი კომისიის კონსულტაციები გაამდიდრებს ჩვენს მოსაზრებებს და შექმნის იმის წინაპირობას, რომ ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული პოზიცია საგადასახადო კანონმდებლობის საბოლოო სრულყოფასთან დაკავშირებით საქართველოში იყოს ბევრად უფრო არგუმენტირებული.

მეორე თემა, რომელსაც მინდა შევეხო, ეს გახლავთ სამზადისი გაისად დანიშნული თვითმმართველობის არჩევნებისათვის. არავის სჭირდება შეხსენება, ჩვენ აღებული გვაქვს ვალდებულებები ევროპის საბჭოსთან, რომ გაფართოვდება თვითმმართველობის სისტემა საქართველოში. ეს მთლიანად ასახავს იმ ხედვას, იმ პრიორიტეტებს, რომლებიც გააჩნიათ პოლიტიკურ

ძალებს. მათ შორის უმრავლესობის პარტიას. ასე რომ, ჩვენ უნდა გვესმოდეს – ნებისმიერ შემთხვევაში მოგვიწევს გადახედვა იმ კანონმდებლობისა, რომელიც ქვეყანაში დღეს მმართველობისა და თვითმმართველობის სისტემებს არეგულირებს. ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული საკანონმდებლო ინიციატივა, საშემოდგომო სესიის პერიოდში, რადგანაც, გადაწყვეტილებები, რომელთაც ჩვენ მივიღებთ, იმოქმედებს მილიონობით ჩვენი თანამოქალაქის ხვალინდელ ყოფასა და საქმიანობაზე.

მე მინდა დღეს სამსჯელოდ შემოგთავაზოთ ერთი იდეა – იქნებ, ეს დებატები, რაც ჩატარდება თვითმმართველობის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, გავაფართოვოთ და ვცადოთ საბოლოოდ ჩამოვყალიბდეთ, თუ როგორი უნდა იყოს ტერიტორიული მოწყობის სისტემა ჩვენს ქვეყანაში.

მე კარგად მესმის რა ბარიერები არსებობს, ერთგვარი კონსტიტუციური ვეტო ამ თვალსაზრისით, მაგრამ მე, გამომდინარე ჩემი შეხვედრებიდან, საუბრებიდან, ყველა პარტიის, მათ შორის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან, ვიცი, რომ საკმაოდ ძლიერია განწყობილებანი საიმისოდ, რომ დღეს დროა წერტილი დავუსვათ ამ გაურკვეველ ვითარებას და საბოლოო სისტემა შეიქმნას იმისი, თუ როგორი წესით არის მოწყობილი ჩვენი სამშობლოს ტერიტორიები. ამ თვალსაზრისით უფრო გაბედული საუბრის წინაპირობას ჩემთვის წარმოადგენს ის ძალზე მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც დაიწყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის საბოლოო ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ჩვენ, ყველანი, მოუთმენლად ველით მოსაზრებებს იმ კომისიისა, რომელიც ერთობლივად შექმნეს ცენტრალურმა ხელისუფლებამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ. ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩვენ დავაფიქსირეთ საქართველოს კონსტიტუციაში, ის პროცესი, რომელიც დღეს დაიწყო ამ კუთხით, ჩვენ მართლაც გვაძლევს იმედს, რომ ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი ტერიტორიული მოწყობისა და პოლიტიკურ ავტონომიას შორის სამოდელო სახით, ნიმუშის სახით ჩამოყალიბდება სწორედ პირველად აჭარასთან დაკავშირებით.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ პირადად ჩემთვის გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს ქმნის ასევე ის პროცესები, რომლებიც სტატუსის განხილვის მიღმაც მიმდინარეობს. მე ვგულისხმობ იმ პირველ, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავ ნაბიჯებს, რომლებიც გადაიდგა ნორმალური საბიუჯეტო ურთიერთობების აღდგენის თვალსაზრისით თბილისსა და აჭარის ხელისუფლებას შორის. იმას, რომ აღდგა გადარიცხვები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ამ ავტონომიურმა ერთეულმა აგვისტოს თვის ბიუჯეტის, ცენტრალური ბიუჯეტის შესრულებაში მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მოკლედ, მე უბრალოდ მინდა დავსვა თქვენს წინაშე განსასჯელად ეს საკითხი, ხომ არ იქნება მიზანშეწონილი, რომ სერიოზულად შევუდგეთ მსჯელობას საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საბოლოო განსაზღვრასთან დაკავშირებით. ამ თემაზე გუშინ საუბარი მქონდა პრეზიდენტთანაც.

თუკი პარლამენტი გამოხატავს მზადყოფნას, რომ პრინციპში, ამგვარი საკითხები დაისვას დღის წესრიგში, ალბათ ყველაზე სწორი გზა იქნება, რომ შე-

იქმნას სპეციალური სახელმწიფო კომისია მეტნაკლებად იმავე რანგისა, როგორიც თავის დროზე იყო სახელმწიფო საკონსტიტუციიო კომისია, რომელშიც თავს მოიყრის ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენელი და ჩვენ რაღაც ერთობლივ პროექტზე ვიმუშავებთ, ასევე, ბუნებრივია, რომ აქ თავი უნდა მოიყაროს ყველა პოლიტიკური, ძირითადი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელმა.

თვითმმართველობის არჩევნები 2001 წელს ჩვენ გვახსენებს კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, რაზედაც შევთანხმდით ჯერ კიდევ 9 აპრილის არჩევნებამდე. ეს გახლავთ საარჩევნო კანონმდებლობის საბოლოო დახვეწა. ჩვენ გვქონდა საუბარი იმაზე, რომ საქართველოში უნდა შეიქმნას ერთიანი, კომპლექსური საარჩევნო კოდექსი, მაგრამ კონსტიტუცია ადგენს, რომ საარჩევნო რეგულირებები განისაზღვრება ორგანული კანონით. ასე რომ, აქ ტერმინოლოგიური მცირე შეუსაბამობაა, რომელიც ასევე დაძლევადია. ეს დამოკიდებულია ჩვენს სურვილზე. ერთი რამ ცხადია, არსებითი მხარე ამ საკითხისა მდგომარეობს იმაში, რომ საშემოდგომო სესიის დასრულებამდე ჩვენ უნდა მივიღოთ ის საარჩევნო კანონმდებლობა, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მე იმედი მაქვს, აღარ შეიცვლება და როგორც მინიმუმ, ადგილობრივი არჩევნების ჩატარებამდე პრაქტიკულად ერთი წლით ადრე, ყველა პოლიტიკურ ძალას, ცალკეულ დეპუტატს ეცოდინება, თუ როგორია ის წესები, რომლითაც განისაზღვრება საარჩევნო პროცესი საქართველოში.

ეს საკითხი წარმომიდგენია ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ საკითხად და მინდა პირადად დავაფიქსირო – პოლიტიკური მნიშვნელობა ამ დებატებისა მდგომარეობს იმაში, რომ უნდა ვეცადოთ შევქმნათ ისეთი საარჩევნო კანონმდებლობა, რომელიც ისარგებლებს მაქსიმალურად ფართო პოლიტიკური სპექტრის მხარდაჭერით. არჩევნები არის ის თემა, ისეთი საკითხი, როდესაც ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ეჭვებისა და ნებისმიერი სერიოზული კითხვის ნიშნების არსებობა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენ ღია ვიქნებით თანამშრომლობისათვის ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენლებთან. ჩვენ გარკვეული კონსულტაციების შემდეგ შევთანხმდით, რომ, იქნებ, ბატონ გიგი წერეთელს ვთხოვოთ, კოორდინაცია გაუწიოს ამ სამუშაო ჯგუფს, რომელიც მოამზადებს წინადადებებს და მინდა ვთხოვო ყველა ფრაქციის წარმომადგენელს გვარები. მართალია, მრავალი გვარი უკვე მოგვაწოდეს, და შეუდგნენ კიდეც საქმიანობას ამ ჯგუფში. ჩვენ დრო საკმაოდ შეზღუდული გვაქვს და დისკუსიები ამ თემაზე როგორც ჩანს საკმაოდ გაცხოველებული იქნება.

არ შემიძლია არ შევეხო ჩვენი პარლამენტისათვის ერთ საკმაოდ არატრადიციულ საკითხს. ამ საკითხს, რომელიც წამოჭრა აქ ბატონმა ხუციშვილმა. პარლამენტი არის საზოგადოების მიერ არჩეული. მისი წარმომადგენელი. თითოეული ჩვენგანი არ შეიძლება რჩებოდეს ამ ვნებათაღელვის მიღმა, რომელიც აშკარად არსებობს დღეს საზოგადოებაში. მე ვგულისხმობ იმ მართლაც სერიოზულ აღელვებას, რომელიც წარმოიქმნა ქართულ საზოგადოებაში ბოლო თვეების განმავლობაში ზოგიერთი სექტის საქმიანობასთან დაკავშირე-

ბით. ალბათ ცალკე ამოცანა არის ის, რომ ჩვენ ჩამოვაყალიბოთ სერიოზული წესები, იმგვარი წესები, რომლებიც არსებობს ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში, არსებობს ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, მაგალითად სომხეთის რესპუბლიკაში, რათა საკანონმდებლო საფუძველზე იქნეს შეზღუდული მართლაც ტოტალიტარული სექტების საქმიანობა, უნდა მოხდეს ამის მკაფიო სამართლებრივი განსაზღვრა, მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ვერ შემოვიფარგლებით მხოლოდ ამკრძალავი მექანიზმების შექმნით. მე არ მჯერა, რომ მხოლოდ ამკრძალავი მექანიზმების ამოქმედებით შეიძლება ამ პრობლემის საბოლოოდ მოგვარება. დღეს ის მომენტია ქვეყნის განვითარებაში, როდესაც საზოგადოება და ხელისუფლება და ეს მთავარია, რეალურად უნდა ამოუდგეს გვერდით ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას. ჩემს ამ განცხადებას მე ვაფუძნებ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის დებულებებზე, რომლებიც აღიარებს ამ ეკლესიის განსაკუთრებულ როლს. ამ შემთხვევაში მე ვსაუბრობ არა როგორც ეკლესიის მრევლის წარმომადგენელი, არამედ როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ვსაუბრობ ეკლესიაზე არა როგორც რელიგიურ დაწესებულებაზე, არამედ როგორც ერთ-ერთ უმთავრეს, ცენტრალურ ინსტიტუტზე, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ერის განვითარებას. დღეს, არის ის მომენტი, როდესაც ჩვენ უნდა ვიპოვოთ გზები, აქ შეიძლება არსებობდეს საკმაოდ მრავალმხრივი მიდგომები, რეალურად დავეხმაროთ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას იმ ძალიან მძიმე კონკურენტულ პირობებში, რომლებიც შეიქმნა დღეს საქართველოში, მიაღწიოს წარმატებას იმ მრევლთან ურთიერთობაში, რომელსაც ის მწყემსავდა უკანასკნელი 1700 წლის განმავლობაში.

პირადად მე უნდა გითხრათ, ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა და ჩვენ ალბათ შეგვიძლია ამაზე ვიმსჯელოთ. ვიცი, ბევრი არ იზიარებს ამ მოსაზრებას, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ყველაზე სწორი სამართლებრივი ფორმა საიმისოდ იქნებოდა დიდი ხელშეკრულების გაფორმება ქართულ სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ამის პრეცედენტები არსებობს არაერთ ქვეყანაში. მე შემიძლია მოვიყვანო თუნდაც გერმანიიის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითი, სადაც ორ ტრადიციულ ეკლესიასთან სახელმწიფოს გაფორმებული აქვს ეგერთწოდებული კონკორდატი ანუ შეთანხმება. ეს შეიძლება იყოს შეთანხმება, რომელსაც საბოლოოდ ეკლესიის და სახელმწიფოს მეთაურის ხელმოწერის შემდეგ რატიფიკაციას გაუკეთებდა საქართველოს პარლამენტი და მე მინდა ჩემი ოპონენტების საყურადღებოდ ვთქვა, ეს ხელშეკრულება დადგებოდა ყველა რიგით საკანონმდებლო აქტზე უფრო მაღლა. ვფიქრობ, პრაქტიკულად ჩვენ უნდა ვიპოვოთ ისეთი ფორმა, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულების რანგს მიანიჭებდა მას. როდესაც ვსაუბრობ ამ საკითხებზე, რა თქმა უნდა, ღრმად მწამს, რომ ჩვენ არ უნდა გადავუხვიოთ იმ ფუძემდებლურ პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენი ქვეყნის განვითარებას, ეკლესიისა და სახელმწიფო დამოუკიდებლობას, ერთმანეთისგან გამოყოფას. აქ, რა თქმა უნდა, არ არის საუბარი ამაზე, ისევე როგორც არა მგონია, რომ ვინმეს ჰქონდეს საფუძველი ეს ინიციატივა მიიჩნიოს დისკრიმი-

ნაციულად სხვა აღმსარებლობათა მიმართ. მათთანაც ურთიერთობები ცხადია, უფრო რიგით დონეზე, – ეს შეიძლება იყოს მოლაპარაკებები იუსტიციის სამინისტროსთან, ცალკე უნდა იყოს განხილული. ხოლო ხელშეკრულებაში ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ისეთი მომენტები, როგორიცაა საკუთრებითი მომენტები. მათ შორის, საკუთრება მიწაზე, საკუთრება ეკლესიის ტრადიციულ ქონებაზე, მათ შორის ტაძრებზე და სხვ.

კიდევ ერთხელ ვამბობ – პირადად მე მიმაჩნია, რომ ეს იქნებოდა ყველაზე მოქნილი იურიდიული ფორმა, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა ჩვენს ტრადიციებს, ჩვენს მისწრაფებებს და იმ კურსს, რომელსაც დღეს ვატარებთ ქვეყანაში.

თავს აღარ შეგაწყენთ სხვა საკანონმდებლო პრიორიტეტებზე საუბრით, კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენ ამ სამი დღის განმავლობაში არაერთხელ გვექნება საშუალება დავუბრუნდეთ ამ თემას და გავითვალისწინოთ თითოეული თქვენგანის მოსაზრებები – დამატებით რა კანონპროექტები უნდა შევიდეს ჩვენი საშემოდგომო სესიის დღის წესრიგში. მაგრამ, არის ერთი თემა, რომელიც უკავშირდება საკანონმდებლო საქმიანობას, რომელსაც, მე დღევანდელ ჩემს გამოსვლაში არანაირად არ შემიძლია გვერდი ავუარო. თქვენ ყველას მოგეხსენებათ, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩვენ შევქმენით 800-ზე მეტი კანონი, მათი უდიდესი ნაწილი იყო ათეულობით უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტი, ინიცირებული დეპუტატების მიერ ქაღალდზე. 1995 წლიდან მოყოლებული ჩვენ შევქმენით პრაქტიკულად სრულიად ახალი ტიპის სამართლებრივი სისტემა. გავიდა 5 წელი. სულ ახლახან აღვნიშნეთ ჩვენი კონსტიტუციის მიღების 5 წლისთავი. გადავხედოთ, რა მოიტანა ამ კანონმდებლობამ ჩვენი თითოეული მოქალაქისათვის, კანონმდებლობამ, რომელიც ყველა საერთაშორისო ექსპერტის შეფასებით ითვლება ყველაზე წარმატებულად, ყველაზე პროგრესულად მსოფლიოს ამ რეგიონში, ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და ხშირად მთელი აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით. მოვახერხეთ თუ არა ჩვენ რეალურად მივუახლოვდეთ იმ უმთავრეს მიზანს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, გამოხატავს აქ წარმოდგენილ დეპუტატთა უმრავლესობის მრწამსს, რომ გავხადოთ ჩვენი საზოგადოება და მისი თითოეული წევრი, თითოეული ადამიანი, უფრო დამოუკიდებელი, მართლაც დამოუკიდებელი სახელისუფლებო სტრუქტურებისაგან და სახელმწიფოსაგან, რომ შევქმნათ მართლაც სრულფასოვანი, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში. მრავალი თვალსაზრისით ჩვენ მართლაც ძალზე ხელშესახები წარმატებები გვაქვს და ამაზე არაერთგზის გვისაუბრია, მაგრამ დღეს უნდა ვაღიაროთ, რომ პრაქტიკულად ყველა სფეროში უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტები, გადაწყვეტილებები, რომლებსაც ერთობლივად იღებენ პარლამენტი და პრეზიდენტი, არ ფუნქციონირებს და არ ხორციელდება.

გთხოვთ, მომიტევოთ, თუ მეტ დროს წაგართმევთ, მაგრამ მე მინდა რამდენიმე მაგალითი მოვიტანო საილუსტრაციოდ. დავიწყებ ეკონომიკური რეგულირების სფეროდან. მე მინდა ბატონ ნოდარ ამაღლობელს მივმართო

კიდევ ერთხელ. მას კარგად ახსოვს ისტორია, თუ როგორ იქმნებოდა ჩვენი პარლამენტის კანონი „გრანტების შესახებ“. ამის მოთხოვნით გამოდიოდნენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები; ამ კანონის მიღების მოთხოვნით გამოდიოდნენ მართლაც ძალიან ქმედითი არასამთავრობო ორგანიზაციები, ეკოლოგიური მიმართულების სათემო ორგანიზაციები თუ სხვა, რომელთა ფუნქციონირება მართლაც მნიშვენლოვანია ჩვენი საზოგადოებისათავის. სოროსის ფონდი და სხვა ასეთი ტიპის ქართული თუ საერთაშორისო გაერთიანებები, რომლებიც მოქმედებს საქართველოში. პრინციპი იყო ძალიან მარტივი – მოვიდოდა რომელიმე სამეცნიერო ინსტიტუტის წარმომადგენელი ბატონ ნოდართან და ეტყოდა: ჩვენ გვაქვს პრობლემები, მსოფლიოს წამყვანმა ცენტრმა გვაჩუქა დანადგარები, ძვირადღირებული აპარატურა, მაგრამ იმის გამო, რომ ეს აპარატურა უნდა დაიბეგროს, არ გვაქვს კაპიკიც კი, რომ ის შემოვიტანოთ საქართველოში და პარლამენტმა ტაშის გრიალით მიიღო კანონი „გრანტების შესახებ“ რა ვითარება შეიქმნა ამ კანონის რეალიზაციის შედეგად? ეკონომიკის მინისტრმა ბატონმა ვანო ჩხარტიშვილმა და ბატონმა მიხეილ მაჭავარიანმა ბოლო დღეების განმავლობაში მოგვაწოდეს ასეთი სტატისტიკა: ბოლო, გასულ წელს, საქართველოში შემოსული იმპორტის 48% იყო გაფორმებული, როგორც გრანტი. როგორც გრანტი შემოვიდა საქართველოში ათასობით ტონა ფქვილი, სარეცხი საშუალებები, ბატონი ვიტალი ხაზარაძე მეუბნებოდა გუშინ, რომ ნუსხაშია საფუარიც კი, მე არაფერს ვამბობ ფარმაცევტულ საშუალებებზე და სხვა მრავალზე. ანუ ყოველი 109 ლარის იმპორტირებული საქონლიდან 48 ლარის საქონელი, თითქმის ნახევარი, არ იბეგრებოდა და მოექცა ყოველგვარი დაბეგვრის სისტემის გარეთ, არის თუ არა ეს კანონის ნაკლი? შეიძლება ჩვენ უნდა გადავხედოთ ამ კანონს და ვიფიქროთ, რომ გავამკაცროთ, უფრო ნათელი გავხადოთ ის დებულებები, რომლებსაც ის შეიცავს, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ძირითადი პრობლემა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მდგომარეობს იმაში, რომ ხდება სრული დეფორმაცია ამ კანონისა, როდესაც ის ხვდება ამა თუ იმ, ცალკეულ უწყების ხელში. ჩვენ ვერ გავთვლით ჩვენს კანონებს იმაზე, რომ მათი აღმსრულებლები იქნებიან ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ არანაირი სინდისი და მზად არიან წავიდნენ ნებისმიერ გარიგებაზე. ჩვენ შეგვიძლია გავთვალოთ კანონები მხოლოდ იმაზე, რომ მათი აღმასრულებლები იქნებიან სახელმწიფო ორგანოები, დღეს მთავრობაში მართლაც ძალიან დიდი ყურადღება ექცევა ამ საკითხების გადაწყვეტას და მოგვარებას, მაგრამ ეს ჩემთვის არის საგანგებო აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, დავამკვიდროთ კანონების მიღების შემდეგ რეგულარული, სისტემატური, თუ გნებავთ ყოველდღიური ზედამხედველობა იმაზე, თუ როგორ სრულდება ეს კანონები.

იგივე შეიძლება ითქვას კანონზე „ინვესტიციერების შესახებ“ ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ ინვესტიციები უფრო მარტივად შემოდიოდეს საქართველოში. დღეს ეს, თუ ის უწყება მზად არის ქათმის ბარკლები გააფორმოს ინვესტიციების სახით და ეს ხრიკი გამოიყენონ საიმისოდ, რომ ვიღაცის ბიზნესი, ისევ და ისევ, არ იქნეს დაბეგრილი ამ წესებით, რომლებიც მოქმედებს

ყველა დანარჩენი საწარმოსათვის. ჩვენმა პარლამენტმა მიიღო, მე ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესი და პრაქტიკულად უპრეცედენტო კანონი მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე – კანონი „ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე". მისი ერთ-ერთი პირველი ინიციატორი გახლდათ ბატონი ბარამიძე. შემდეგ, პრეზიდენტთან ეს საკითხი კიდევ უფრო საფუძვლიანად გადამუშავდა და საბოლოოდ პრეზიდენტის ინიციატივით უყარა კენჭი პარლამენტმა ამ კანონს, რომელიც დეტალურად არეგულირებს, რა წესი უნდა მოქმედებდეს საიმისოდ, რომ საზოგადოება იყოს დარწმუნებული. რომ მისი წარმომადგენლები, ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები თავისუფალნი არიან ინტერესთა კონფლიქტისაგან, არ იყენებენ თავიანთ თანამდებობრივ მდგომარეობას საკუთარი გამდიდრებისათვის და სხვა. ამ კანონის მიღების შემდეგ და მისი მოქმედების პერიოდში ჩვენ მივედით იმ მდგომარეობამდე, რომ დღეს მთელი საქართველო საუბრობს ამა თუ იმ გორაკზე აშენებული სასახლეების შესახებ, სასახლეების, რომლებიც ეკუთვნის მართლაც ძალიან მაღალი თანამდებობის პირებს. მე ხაზი მინდა გავუსვა: არავის არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია იმ ადამიანთა ქონების მიმართ, რომლებიც თუნდაც პოლიტიკაში ან ხელისუფლებაში ბიზნესიდან არიან მოსულნი, მაგრამ ყველას სამართლიანად ებადება მრავალი შეკითხვა იმ პირთა მიმართ, რომელთაც ერთი დღეც არ უმუშავიათ სახელისუფლებო სტრუქტურების მიღმა. მე არ ვაპირებ, ეს თემა მოვიტანო დღეს საიმისოდ, რომ ჩვენ ერთმანეთთან კიდევ ერთხელ ვღვაროთ ნიანგის ცრემლები. იმის გამო, რა უბედურებაც ხდება ჩვენს გარშემო. დღეს ალბათ დადგა დრო, რომ დასახელდეს სახელები, გვარები და მე მოგახსენებთ, რა წინადადებები მაქვს ამასთან დაკავშირებით: დადგა დრო, რომ ამ პირებს, ჩვენი მხრიდან, პარლამენტის მხრიდან, როგორც მინიმუმი, ვთხოვოთ, დატოვონ თავიანთი თანამდებობები და დასრულდეს ის ცინიზმი, დაცინვა საზოგადოებრივი აზრისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ თვეების განმავლობაში. ჩვენ პარლამენტში გავაუქმეთ ათეულობით სხვადასხვა ცენტრალურ თუ რეგიონალურ დონეზე მოქმედი სალიცენზიო პალატები, სხვადასხვა დაწესებულებები, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს, კანონის მიღმა. უფლება, რომ გასცენ და მოითხოვონ ათასგვარი ლიცენზიები, ნებართვები და სხვა. ეს ასევე იყო ჩვენი საერთო მხარდაჭერის შედეგი. სანაცვლოდ ჩვენ მივიღეთ მდგომარეობა, როდესაც არაერთმა უწყებამ შექმნა სისტემა ე.წ. ქველიცენზიების გაცემისა. უღრან, ბიუროკრატიული წინააღმდეგობებით სავსე ტყეში უწევს გავლა ნებისმიერ მეწარმეს, რომელიც თუნდაც მცირე ბიზნესის დაწყებას ცდილობს საქართველოში: ჩვენ გავაუქმეთ ჩაწერის ინსტიტუტი საქართველოში და ამით, ჩვენი კანონით, გარანტია მივეცით საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, რომ თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი თავისი სამშობლოს ნებისმიერ ტერიტორიაზე. ამ ზაფხულის განმავლობაში მიშა სააკაშვილი, ჩვენი სხვა დეპუტატები მუშაობდნენ ამ საკითხების ანალიზზე და მონიტორინგს ატარებდნენ. დღეს ჩვენ ვაფიქსირებთ, რომ პრაქტიკულად არ არსებობს უწყება, მათ შორის უნივერსიტეტები, რომლებიც იღებენ სტუდენტებს, რომელიც ითხოვს ცნობებს საცხოვრებელი ადგილიდან, გაცემულს იმ

სახლმმართველობების მიერ, რომლებიც გაუქმებულია ჩვენი კანონით. ჩვენ, სამწუხაროდ, შეგვიძლია ათობით ასეთი მაგალითი მოვიტანოთ, მაგალითი იმ პრობლემების არსებობისა, რომელთაც მე ვუწოდებდი საქართველოში ბიუროკრატიული ფეოდალიზმის ჩამოყალიბების ძალიან სერიოზულ ნიშნებს. დემოკრატიული საზოგადოება გულისხმობს ძალიან მარტივი პრინციპის განხორციელებას: ყველა თანამდებობის პირი, იქნება ეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში თუ საკანონმდებლო ხელისუფლებაში მოქმედი პირი – მე მესმის, რომ ამ თემებზე საუბარი შეიძლება ზოგიერთ ჩემს კოლეგას აღიზიანებდეს, მაგრამ, გთხოვთ, ჯერჯერობით პირადად ნურავინ მიიღებს იმ პრობლემებს, რომლებიც მე ჩამოვთვალე, ამაზე ცოტა მოგვიანებით გადავალთ – ყველა თანამდებობის პირი დემოკრატიის პირობებში თვლის, რომ ის არის საზოგადოების დაქირავებული წარმომადგენელი ან არჩეული წარმომადგენელი იმ პოსტზე, რომელზეც ის საქმიანობს. დღეს ჩვენ მივდივართ იმ სისტემის შექმნისკენ, როდესაც ძალიან ბევრი მოხელე – მე ნამდვილად ვერ მივცემ თავს უფლებას და ეს უსამართლობაც იქნება, რომ ვთქვა ეს ყველა მოხელის მიმართ – როდესაც ძალიან ბევრი მოხელე განიხილავს თავის პოსტს, როგორც საშუალებას, მეტი ფული მოიხვეჭოს, მეტი ბერკეტები ჩაიგდოს ხელში და მასთან შეხებაში მყოფ თითოეულ მოქალაქეს უყურებს, როგორც ადამიანს, რომელსაც ფული უნდა უნდა გამოძალოს ნებისმიერ ქაღალდში, ნებართვაში, სერთიფიკატში, ლიცენზიაში. ჩვენ მივდივართ საქართველოში იმ სისტემის ჩამოყალიბებისაკენ, როდესაც პრაქტიკულად ყველა ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დარჩება მხოლოდ ქაღალდზე და გვექნება ორი სამყარო: ერთი – ქაღალდზე შექმნილი, საკმაოდ მომხიბლავი სამყარო ჩვენი კანონებისა და მეორე – ის სამყარო, რომელშიც რეალურად ყოველდღიურად უწევს არსებობა ჩვენს თანამოქალაქეთა აბსოლუტურ უმრავლესობას.

გუშინ მე ძალიან საინტერესო შეხვედრა მქონდა ბატონ ლადო ჭანტურიასთან და პრეზიდენტის მიერ შექმნილი ანტიკორუფციული კომისიის სხვა წევრებთან. სხვათა შორის, უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე იმ საოცრად მრავალმხრივმა და დიდძალმა ინფორმაციამ, რომელმაც უკვე მოიყარა თავი ამ კომისიაში; ის ფაქტები, ის მაჩვენებლები, რომლებიც მათ უკვე შეჯერებული სახით აქვთ წარმოდგენილი, მართლაც სრულიად წარმოუდგენელ სურათს ქმნის ჩვენს გარშემო. მე არ მინდა, რომ ვინმეს მივცე ქილიკის საშუალება – აქამდე სად იყავით, რატომ აქამდე არ საუბრობდით ამ თემებზეო. მე ვერ მივიღებ ვერც ერთ ასეთი ტიპის არგუმენტს და ბრალდებას იმიტომ, რომ 1995 წლიდან მოყოლებული, პარლამენტში ამ უმრავლესობის არსებობის პირველი დღეებიდანვე, ჩვენი პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი მიმართულება იყო დერეგულაციის განხორციელება. განხორციელება იმ პოლიტიკისა, რომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მაქსიმალურად მოგვეხსნა ეს ბიუროკრატიული ფეოდალიზმის მარწუხები, განიცდის დროულ დეფორმაციას და ძალიან იშვიათად აღწევს ჩვენს რიგით მოქალაქეებამდე, რიგით ამომრჩევლებამდე. ამიტომ არის, რომ ამ მოვლენას მე დღეს მივიჩნევ ჩვენს მთავარ მოწინააღმდეგედ, მთავარ მტრად, რომელსაც რეალურად უნდა გამოვუცხადოთ ბრძოლა. მე

ვსაუბრობ საკმაოდ გავლენიან ჯგუფებზე და ცალკეულ პირებზე, რომლებიც დღეს ემზადებიან ძალიან სერიოზული რევანშისათვის და ამის ყველა ნიშანი არის უკვე. ესენი არიან ის ჯგუფები, რომლებიც არ თაკილობენ ერთი-ორი დაქირავებული გამოცემის ფურცლებზე უკვე აშკარად აწარმოონ იდეოლოგიური შეტევა და ეცადონ, ჩვენს საზოგადოებაში დაამკვიდრონ ის იდეოლოგია, რომ, თურმე ცუდი არ არის კორუფცია, თურმე ქართველების არსებობის ტრადიციული წესი ყოფილა, ადამიანი ქრთამს რომ აიღებს და მერე თავის ძმაბიჭებს, ძმაკაცებს გაუნაწილებს რაღაცას, რაღაცას – ოჯახში წაიღებს. თურმე ასე გვიცხოვრია ჩვენ, ქართველებს, თურმე, ასე აგვიგია ჩვენ ნიკორწმინდა ან სვეტიცხოველი, ასე გამოგვიჭედია ხახულის ხატი და ასე შეგვიქმნია ის წარმოუდგენელი კულტურული მემკვიდრეობა, რომლითაც მთელი მსოფლიო ამაყობს დღეს. მე ამ საკითხებს ვამწვავებ არა მარტო იმიტომ, რომ საზოგადოდ რადიკალური ნაბიჯების მომხრე ვარ, პირადად ჩემი მრწამსი არის, რომ ყოველთვის ვეცადოთ ვიაროთ იქ, სადაც ეს შესაძლებელია, კომპრომისების გზით, იქ, სადაც შესაძლებელია, ავირჩიოთ არა ქირურგიული, არამედ თერაპიული მიდგომა, შევარბილოთ ისედაც საკმაოდ მტკივნეული გარდაქმნები, რომლებიც ყოველმიზეზგარეშე უნდა განხორციელდეს ჩვენს საზოგადოებაში იმისათვის, რომ საზოგადოება გადარჩეს. მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, ჩემს ტონალობას და იმ წინადადებებს, რომლებითაც გამოდის დღეს ჩვენი ფრაქცია, ფრაქცია, რომელსაც მე ვეკუთვნი, და პირადად მეც მათ შორის, ეს გამომდინარეობს სწორედ იქიდან, რომ დღეს სახეზეა რეალური რევანშის მცდელობა იმ ადამიანების და იმ წრეების მხრიდან, რომლებმაც, პრაქტიკულად საკმაოდ სერიოზული ბერკეტები დაკარგეს გასული 4 წლის განმავლობაში და ეშინიათ, რომ დღეს კიდევ უფრო სერიოზული წნეხის ქვეშ მოექცევიან. ამიტომ ვაცხადებ დღეს, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ მივიღოთ გამოწვევა, და გავმართოთ ის ბრძოლა, რომელსაც გვავალდებულებს ჩვენი ამომრჩეველი. ვფიქრობ, რომ ჩვენს პარლამენტს ამ თვალსაზრისით ძალიან სერიოზული ბერკეტები აქვს ხელთ, მიმაჩნია, რომ ჩვენ ამ ფუნდამენტურ კანონებზე მუშაობასთან ერთად დღეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ უკვე მოქმედი კანონმდებლობის გადახედვას იმ კუთხით, რომ ამოვავსოთ ის ხვრელები, რომელთაც იყენებენ ჩვენი ოპონენტები, ჩვენი მოწინააღმდეგეები. ვფიქრობ, რომ ამ დიდი გადაწყვეტილებების პარალელურად დღეს ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ტაქტიკა, რომელსაც მე ვუწოდებდი მცირე ნაბიჯების ტაქტიკას, იმ მცირე ნაბიჯებისა, რომლებიც ძალზე დიდ განსხვავებას შექმნის ჩვენი თანამოქალაქეებისათვის, აი ავიღოთ ის საკითხები, რომლებიც გამომდინარეობს ათასობით ქართველის ყოველდღიური ცხოვრებიდან. დავუშვათ, ადამიანს მოუნდა მცირე საწარმოს გახსნა; მე ვგულისხმობ ისეთ მასშტაბებს, როცა საწარმომ შეიძლება თვეში მას, მის ოჯახს 500, 700 ლარის შემოსავალი მოუტანოს, შეიძლება ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლები. რეზო ადამიამ მოიტანა ამას წინათ სტატისტიკა; მხოლოდ ოფიციალური გადასახადების სახით, იმ გადასახადებისა, რომელთაგან პრაქტიკულად არც ერთი არ არის გათვალისწინებული ჩვენი კანონმდებლობით და მის მიღმა არის დაწესებული, ადამიანმა უნდა შეიტანოს

დაახლოებით 5 ათას ლარამდე ზოგიერთ შემთხვევაში. მე არ ვგულისხმობ იმ თანხებს, რომელთა დამატებაც მოუწევს მას ამის ზევით ქრთამებისათვის, რომ მოიპოვოს სათანადო ნებართვა, სერთიფიკატი თუ სხვა, ამდენად, ჩვენმა დეპუტატებმა, ექსპერტებმა, ზურაბ ადეიშვილმა, სხვებმა, მოამზადეს ძალიან საინტერესო კანონპროექტი, რომელიც გულისხმობს საწარმოთა პრაქტიკულად ავტომატურ რეგისტრაციას, თითოეული ადამიანი, რომელიც გამოვა ამ ინიციატივით, უბრალოდ, აიღებს ბლანკს, რომელიც შეიძლება ნებისმიერ ჯიხურში იყიდებოდეს და ღირდეს 10 თეთრი, ან რომლის ქსეროქსზე გადაღება შეიძლება. შეავსებს მას და გაგზავნის მხოლოდ ერთ და არა 25 ინსტანციაში. ეს ალბათ უნდა იყოს საგადასახადო სამსახური და საგადასახადო სამსახურს თუ უკვე აქვს რაიმე საწინააღმდეგო მოსაზრებები, არგუმენტირებული მოსაზრებები, სახელმწიფო უწყება ვალდებული იქნება 2 კვირის ვადაში აცნობოს მეწარმეობის დაწყების მსურველებს ამ საწინააღმდეგო არგუმენტების თაობაზე. მოქალაქეს არ უნდა უხდებოდეს სირბილი სხვადასხვა ინსტანციებში კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ ათასგვარი საბუთების შესაგროვებლად. მე არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენ 2001 წლის ბიუჯეტში გავითვალისწინებთ სპეციალურ კრედიტებს, მცირე რაოდენობით, მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად; წამოვიდგინოთ, რომ გამოვყოთ თუნდაც ხუთი ათასი ლარის კრედიტი, დაგვჭირდება სულ 5 მილიონი და ჩვენ ათას ადამიანს ნაცვლად იმისა, რომ წავგლიჯოთ ის 5 ათასი ლარი, როგორც ხდება დღეს, პირიქით, მივცემთ კრედიტის სახით, რომ მათ შეძლონ საქმიანობის დაწყება და საქართველოში რეალურად შეიქმნას არა ოლიგარქების, არამედ საშუალო კლასი, საშუალო ფენა.

როდესაც ვსაუბრობ იმ საკანონმდებლო პაკეტზე, რომელიც მომზადებულია „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციის მიერ, რომ უნდა მოიხსნას გადასახადი მიწის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემაზე, მაქსიმალურად უნდა გაიოლდეს უძრავი ქონების გასხვისების პროცედურები, ზუსტად უნდა ჩამოყალიბდეს, კანონით ჩამოყალიბდეს, რა ლიცენზიები შეიძლება არსებობდეს ამ ქვეყანაში, ამ სახელმწიფოში, და კატეგორიულად აიკრძალო ნებისმიერი სხვა ტიპის ლიცენზიების ან ისეთი ტიპი ამკრძალავი ნორმების შემოღება, ხოლო იმ სფეროებში, სადაც არსებობს ბუნებრივად შეზღუდული რესურსები, ასეთი საკმაოდ ბევრი სფეროა, ჩვენ ალბათ, კატეგორიულად უნდა დავამკვიდროთ პრაქტიკა, როდესაც ლიცენზიების გაცემა მოხდება მხოლოდ ღია აუქციონების, საჯარო აუქციონების გზით. თქვენ იცით, რომ ვსვამთ საკითხს, რომელიც ათასობით ადამიანისათვის არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი – გაიოლდეს და გაიაფდეს, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ტექნიკური დათვალიერების გავლა საქართველოში.

აქ გაიჟღერა, რომ მაინც ცდილობენ სადაზღვევო სისტემის დანგრევას და სხვა. პირადად მე არ ვემხრობი. სხვათა შორის, სავალდებულო დაზღვევის გაუქმებას, იქ ბევრი რამე არის ალბათ. გადასახედი, სანახავი როგორია პრემიების სისტემა და სხვა, მეც ვფიქრობ, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია ამ სფეროში, მაგრამ ამის მიუხედავად დღეს ჩვენ რეალურად გვაქვს იმის საშუალება, რომ ტექნიკური დათვალიერების გავლისას აუცილებელი სხვა თანხე-

ბის გადასინჯვის ხარჯზე, რომ მნიშვნელოვნად გავაიაფოთ ეს პროცედურა, გავაიაფოთ მცირე ავტომანქანების მფლობელებისათვის, რომელთაც იხდიან სატვირთო მანქანების ან ავტობუსების მფლობელები. ჩვენ ანალოგიურად უნდა მივცეთ საშუალება ჩვენს მოქალაქეებს, მათთვის ხელმისაწვდომ ფასებში მიიღონ ეს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს რომ ისინი არიან საქართველოს მოქალაქეები, საუბარია პასპორტებზე და პირადობის დამადასტურებელ მოწმობებზე. საუბარია იმ სისტემაზე, როცა ხან 200 ლარის გადახდა უწევს ადამიანს, ხან – 60 ლარის, იმის მიხედვით, რამდენად ჩქარდება და რამდენად რთული პრობლემები აქვს. ის ვითარება, რომლის წინაშეც ჩვენ მუდამ ვდგებით არჩევნების მოახლოების დროს, რომ ჩვენს მოქალაქეთა საკმაოდ დიდ ნაწილს არანაირი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი არ გააჩნია, რაც შემდეგ მრავალი ეჭვის და მანიპულაციის საფუძველი ხდება, ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს და სრულიად გამჭვირვალედ და გახსნილად უნდა დარეგულირდეს კანონმდებლობით. არის კიდევ მრავალი ინიციატივა. მთლიანობაში, ამ პაკეტში არის 40-მდე, დაახლოებით ამ მასშტაბის კანონპროექტი, რომელსაც ხვალ ალბათ, ბატონი მიხეილ სააკაშვილი ბევრად უფრო საფუძვლიანად გააცნობს პარლამენტს, თითოეული მათგანი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ იწვევს რევოლუციას და საფუძვლიან გადახალისებას ჩვენს სამართლებრივ სისტემაში, მაგრამ ეს არის ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაუიოლებს ცხოვრებას ათასობით ჩვენს თანამოქალაქეს.

კიდევ ერთი საკითხი რეაქციის ინიციატივათა ნუსხაში, რომელიც ალბათ ყველაზე მეტ ვნებათაღელვას იწვევს და მონათლეს ხან დეპრივატიზაციად, ხან ქონების გადანაწილების ახალ მცდელობად და სხვა. მე მინდა მთელი კატეგორიულობით განვაცხადო, როგორც ერთ-ერთმა დეპუტატმა და როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, როგორც მოქალაქეთა კავშირის წევრმა: მეც, და თითოეული ჩემი კოლეგაც, ვიქნებით პირველი მოწინააღმდეგეები პრივატიზების შედეგების გადახედვის ნებისმიერი მცდელობისა. მე ვსაუბრობ იმ პრივატიზებაზე, რომელიც შეიძლება დარღვევებით ჩატარდა. ხარვეზებით ჩატარდა, მაგრამ დღეს ამ ქონებას ჰყავს ახალი მესაკუთრე და ამის რევიზიას, ამის გადახედვას ნამდვილად არავინ აპირებს. მაგრამ არის შემთხვევები, რომლებიც მართლაც ღაღადებენ თავიანთი უსამართლობიდან და თავხედობიდან გამომდინარე, როდესაც უმაღლესი თანამდებობის პირები, მთავრობის წევრები ან სხვა რანგის მოხელეები, გამომდინარე თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობიდან, ახდენდნენ მისაკუთრებას, მიტაცებას უზარმაზარი სახელმწიფო ქონებისა, იმ ქონებისა, რომელიც ამ ქვეყნის ხალხს, გაღატაკებულ ხალხს ეკუთვნის. ნურავინ იფიქრებს, რომ ამ ტიპის რიტორიკით რომელიც ჩვენ დაგვიპირისპირეს ბოლო დღეების განმავლობაში, ჩვენ უკან დავიხევთ და არ დავსვამთ საკითხებს. იქნება ეს ოპტიკური ბოჭკო, რომელმაც ყოველწლიურად ნავთობსადენზე რამდენიმეჯერ მეტი შემოსავალი უნდა მისცეს საქართველოს, თუ იქნება ზოგიერთი სხვა სტრატეგიული ობიექტი, მის მიტაცებას და ასე ცინიკურად საკუთარ ჯიბეში ჩადებას ჩვენ არ შევეგუებით, ჩვენ ვიპოვით სწორ იურიდიულ ფორმულირებებს, რომ თავიდან ავიცილოთ

ნებისმიერი ეჭვები ამ ე.წ. და გამოგონილ დეპრივატიზებასთან დაკავშირებით და ამავე დროს გავხსნით გზას საიმისოდ, რომ სადაც ეს მართლაც აუცილებელია, რეალურად აღდგეს სამართლიანობა და დაცულ იქნეს სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესები. ეს არის, კიდევ ვიმეორებ, ის ახალი ტიპის საკანონმდებლო ინიციატივები, რომელთა პრეცედენტები ჩვენ არაერთგზის გვქონია, სხვათა შორის, გასული წლების განმავლობაშიც; გუშინ შემახსენეს ჩვენმა იურისტებმა, რომ ტექდათვალიერების საკითხი შარშან იქნა წამოწეული პარლამენტის მიერ და გადაეცა შესათანხმებლად აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ეს საკითხი გადაიდო და მე არ მინდა ახლა დეტალებში ჩაღრმავება, სხვადასხვა უწყებას რა არგუმენტები მოჰყავდა ამის საწინააღმდეგოდ. მაგრამ დღეს ამგვარი საქმიანობა უნდა ატარებდეს არა ეპიზოდურ ხასიათს, არამედ უნდა ჰქონდეს მართლაც სისტემური, ყოველდღიური მიმართულების სახე და ჩვენ რეალურად კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი კანონშემოქმედებითი საქმიანობის მნიშვნელოვანი დრო უნდა დავუთმოთ ამ შედარებით მცირე მასშტაბის, მაგრამ უდიდესი ჟღერადობის მქონე საკითხების გადაწყვეტას.

მეორე, ძალიან მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომელიც აქვს პარლამენტს და რომელსაც აქამდე ჩვენ სრულფასოვნად მართლაც არ ვიყენებდით სრულყოფილად და სრულფასოვნად. ეს არის პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის განხორციელება. კონსტიტუცია გვავალდებულებს, განსხვავებით, მაგალითად, ამერიკის კონგრესისგან, სადაც კონგრესმა თვითონ, როგორც ამერიკელი ექსპერტები თვლიან, კონსტიტუციის გვერდის ავლითაც, პრეცედენტების შექმნის გზით მოიპოვა ეს უფლება, საქართველოს კონსტიტუცია პარლამენტს ავალდებულებს განახორციელოს საპარლამენტო ზედამხედველობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. იმ მაგალითებმა, რომლებიც მე მოვიყვანე, და თითოეულ თქვენგანს ბევრად მეტის მოყვანა შეუძლია, ვფიქრობ, ყველა დაგვარწმუნა, რომ ჩვენ მუდმივი სახე უნდა მივცეთ მონიტორინგს, ზედამხედველობას იმაზე, თუ როგორ სრულდება და რეალურად როგორ მუშაობას ყოველდღიურობაში ეს კანონები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში იქნა ჩვენს მიერ მიღებული. მე სხვათა შორის, ვგულისხმობ არა მხოლოდ კანონებს, უშუალოდ, არამედ იმ საკითხებსაც, რომელთა გადაწყვეტაც შედის პარლამენტის კომპეტენციაში. მაგალითად, ჩვენ ვახდენთ საქართველოს მიერ აღებული კრედიტების რატიფიკაციას იმიტომ, რომ კონსტიტუციით დადგენილია, რომ პარლამენტმა უნდა დააფიქსიროს ახალი ვალების წარმოქმნა, რომელიც ჩვენი შთამომავლობის გადასახდელი იქნება. ყველა ამ საკითხზე ბატონი ელდარ შენგელაია წარმოგიდგენთ მოხსენებას. ჩვენ მომზადებული გვაქვს საზედამხედველო საქმიანობის კალენდარული გეგმის პირველი ვარიანტი. გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღებით გაეცნოთ ამ გეგმას, თუ იქნება წინადადებები სხვა კანონების დამატებასთან დაკავშირებით, ჩვენ სიამოვნებით გავითვალისწინებთ და, როგორც წესი, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურად მნიშვნელოვან თემებზე, ვფიქრობ, ჩვენ უნდა დავამკვიდროთ ამგვარი წესი – დავნიშნოთ 2-2 თანამომხსენებელი უმრავლესობიდან და ოპოზიციი-

დან ან მრეწველთა ფრაქციიდან, რომ თვითონ პარლამენტი და ყველა პოლიტიკური ჯგუფი დარწმუნებული იყოს, და ეს კიდევ ერთი დამატებითი ბერკეტია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ რეალურად გამოვრიცხავთ ყოველგვარ პოლიტიკურ მიკერძოებას.

მინდა გთხოვოთ, რომ ამ კვირაში გარკვეული დრო, შეიძლება ხუთშაბათი დღე დავუთმოთ ამ საკითხებს და პირველი მომხსენებელები დავნიშნოთ უკვე ამ კვირის სესიებზე. მე მინდა, უბრალოდ, შემოგთავაზოთ რომ უპირველეს ყოვლისა, შევარჩიოთ ისეთი თემა, როგორიც არის ზედამხედველობა ქონებრივი დეკლარაციების კანონის აღსრულებაზე და მე მჯერა, რომ მომხსენებლები, რომლებიც ინიშნებიან ამ საკითხებზე მოხსენების მოსამზადებლად, ერთხელ და სამუდამოდ წერტილს დაუსვამენ ამ ზოგად ლაპარაკს სასახლეებზე და აქ, ამ ტრიბუნიდან, გამოაცხადებენ იმ მოღვაწეების თუ იმ მოხელეების გვარებს, ვისაც ეკუთვნის ეს სასახლეები. და როდესაც ეს მოხსენება მოსმენილი იქნება პარლამენტის მიერ, მას უნდა დაერთოს სპეციალური დადგენილება – ამ პირთა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით. ვფიქრობ, რომ მეორე თემა, რომელიც დღეს მართლაც ძალზე აღელვებს ჩვენს საზოგადოებას, ეს არის უცხოური კრედიტების, გრანტების და დახმარებების ათვისება. ეს უნდა გახდეს ჩვენი შემდეგი პრიორიტეტი და ასევე დაინიშნოს 3 ან 4 მომხსენებელი იმ მთავარი მიმართულებებით, რა მიმართულებებითაც შემოდის საქართველოში ეს კრედიტები და გრანტები. მე იმედი მაქვს, რომ ის დეპუტატები, ვინც თავის თავზე აიღებენ ამ საკითხების შესწავლას და მოხსენებების მომზადებას, მაქსიმუმ ერთი თვის ვადაში პარლამენტს და ჩვენს საზოგადოებას ძალიან საინტერესო მოხსენებებს წარუდგენენ.

ჩვენ გვქონდა ასევე იდეა, რომ საზედამხედველო პრაქტიკის რეალურად დამკვიდრების მისაღწევად ყველა კომიტეტში შემოგვეღო სპეციალური საზედამხედველო ქვეკომიტეტები. მსჯელობის შედეგად, მათ შორის გუშინაც ჩვენ გვქონდა თათბირი ბიუროს წევრებთან, შევთანმხდით, რომ ამ ეტაპზე ეს საქმიანობა განახორციელოს რამდენიმე კომიტეტმა. ვნახოთ, ეს როგორ იმუშავებს, იმიტომ, რომ მრავალი კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ეს მთლიანობაში, მთელი კომიტეტის შემადგენლობისათვის გახდება უმთავრესი პრიორიტეტი და მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს მათ ყოველღიურ საქმიანობაში. მე ერთი რამე მინდა გავიმეორო, ეს ადრეც ვთქვი, საგაზაფხულო სესიის დახურვისას, დღეს ჩვენ აღარ უნდა გავიშვიროთ თითი მთავრობისაკენ, აღმასრულებელი ხელისუფლების ამა თუ იმ უწყებისაკენ, თუკი ადგილი აქვს დარღვევებს, ამის შესახებ ჩვენ ველით, რომ უპირველეს ყოვლისა ხმას აიმაღლებენ ჩვენი კომიტეტები, რადგან პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან სწორედ კომიტეტები. მე იმედი მაქვს, რომ რეგულარული მოსმენები კომიტეტებში, განხილვები იმისა, თუ როგორ ხორციელდება ჩვენს მიერ განსაზღვრული პოლიტიკა ამა თუ იმ სფეროში, გახდება წესი და მყარი ტრადიცია ჩვენი პარლამენტის თითოეულ სტრუქტურაში. მე ვფიქრობ, რომ ამიერიდან ყველა ახალ კანონს, რომელსაც ჩვენ მივიღებთ, გარდამავალ დებულებებში დავურთოთ სპეციალური დამატებითი მუხლი,

რომლითაც ახლად მიღებულ კანონებზედაც გარკვეული ვადით, ეს კანონს გააჩნია, დაინიშნებიან მომხსენებლები, მათ აღსრულებაზე 3 თუ 6 თავზე წარუდგენენ პარლამენტს რამდენად სრულფასოვნად სრულდება ის ცხოვრებაში. მე ღრმად ვარ დაწმუნებული, ჩემო მეგობრებო, რომ ეს და შეიძლება კიდევ მრავალი სხვა ბერკეტი, რომლებსაც თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ბატონ როლანდ გილიგაშვილის მიერ მომზადებულ საინტერესო ბროშურაში და ბატონი როლანდი გამოვა კიდეც თქვენს წინაშე და ისაუბრებს უფრო ვრცლად ამ თემებზე, არის ის ბერკეტები, რომელთა ამოქმედებითაც ჩვენ შევძლებთ, მივაღწიოთ გარდატეხას დღევანდელ სრულიად ტრაგიკულ მდგომარეობაში. შევძლებთ, რომ თითოეულმა ჩვენთაგანმა დავიკავოთ ჩვენი ადგილი იმ დიდ ბრძოლაში, რომელიც გამოაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა კორუფციის წინააღმდეგ და ვფიქრობ, რომ თითოეული ჩვენგანის ვალია იმისდა მიუხედავად, პრეზიდენტის თანაგუნდელები ვართ თუ მისი ოპოზიციის წარმომადგენლები, ერთობლივად დავუპირისპირდეთ საზოგადოებისათვის ამ ყველაზე მტკივნეულ პრობლემას და ვიპოვოთ გამოსავალი.

ერთი თემა, რომელიც უშუალოდ პარლამენტს ეხება და რომლის გადაჭრის გარეშეც, ვშიშობ, რომ ნდობა პარლამენტის მიმართ მკვეთრად შესუსტდება და იქნება, საბოლოოდ შეირყეს კიდეც. მე ვგულიხსმობ თავად პარლამენტის რეპუტაციის ამაღლების და აღდგენის ღონისძიებებს. გუშინ ვთქვი და დღესაც ვიმეორებ, მე არ დამავიწყდება ქალბატონი მანანა გიგინეიშვილის გამოსვლა მოქალაქეთა კავშირის სათათბიროზე და ძალიან ბევრი ჩვენი ცნობილი მოღვაწის გამოსვლაც. ამ პარლამენტში ზის ათეულობით ადამიანი, ყველა პოლიტიკურ დაჯგუფებაში, რომელიც არანაირად არ იმსახურებს, რომ დავადანაშაულოთ იმაში, რომ ის მონაწილეობს რაიმე გარიგებებში, ჯგუფური თუ ცალკეული კომერციული ინტერესების ლობირებაში. ერთხელ და სამუდამოდ პარლამენტში წერტილი უნდა დაესვას შეთავსების პრობლემას. განსაკუთრებით შეთავსებისა ისეთ სფეროსთან, როგორიცაა ბიზნესი, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაეცეს პასუხი იმას, ხდება თუ არა ცალკეული ჯგუფების, ცალკეული კომიტეტების ან მთლიანად პარლამენტის მიერ საზოგადოებისათვის გაუმჟღავნებელი ინტერესების ლობირება და მხარდაჭერა. ბატონ გილიგაშვილს და საპროცედურო კომიტეტს მე ვთხოვე, რომ მოამზადოს სპეციალური მოხსენება ამასთან დაკავშირებით და ვიცი, რომ მას საკმაოდ მკაცრი მიდგომები აქვს ამ თემის მიმართ. მე ერთადერთ საკითხს გამოვყოფდი. ეს არის შეთავსებები, რომლებიც არსებობს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრების შემთხვევაში, რომელიც არის პოლიტიკურად გადასაწყვეტი საკითხი და ამაზე, ალბათ, პარლამენტმა ცალკე უნდა იმსჯელოს და ჩვენ უნდა მივიღოთ ცალკე გადაწყვეტილება. უნდა გთხოვოთ, რომ ეს თემა, როგორც განსაკუთრებულად განსახილველი, იქნეს გამოყოფილი, მაგრამ რაც შეეხება, კომერციული ინტერესების ლობირებას, მე არ მაქვს არანაირი სურვილი ისევე, როგორც აქ დამსწრე დეპუტატების უმრავლესობას, რომ ჩემი სახელი ასოცირდებოდეს ნებით თუ უნებლიეთ ისეთ თემასთან, როგორიც არის კომერციული ინტერესების ლობირება, ამ კუთხით მე მინდა ვთხოვო განსაკუთრებული თა-

ნამშრომლობა ჩვენი მასმედიის და არასამთავრობო სექტორის, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს. ამასწინათ ჟურნალისტთა ჯგუფთან მქონდა შეხვედრა და შევთავაზე, შევქმნათ სპეციალური საზოგადოებრივი საბჭო, ან რაც გნებავთ დავარქვათ, სადაც პარლამენტში აკრედიტებული გამოცემის თუ ტელეკომპანიის თითო წარმომადგენელი გამოაგზავნონ თავად რედაქციებმა, და სადაც იქნებიან წარმოდგენილი ამ სფეროებში გამოცდილების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები და ამ საბჭომ განიხილოს ყველა ის კანონ-პროექტი, განსაკუთრებით ეკონომიკური, საგადასახადო თუ სხვა მიმართულებისა, მანამ სანამ მას გაიტანენ პლენარულ სხდომაზე განსახილველად და თუკი არსებობს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში რაიმე ეჭვი, ამის შესახებ დაწეროს პრესამ, ამის შესახებ ითქვას საჯაროდ და ჩვენც საჯაროდ ვუპასუხოთ. იმედი მაქვს, რომ ჩვენი კოლეგები სამოქალაქო სექტორიდან, მიიღებენ ჩვენს წინადადებას და აქტიურად დაგვეხმარებიან პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ მოგვარებაში.

ასევე მინდა ვთქვა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში შეიქმნა ჟურნალისტური გამოძიების ძალიან საინტერესო ტრადიცია. მე არ ვგულისხმობ მხოლოდ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტურ გამოძიებებს. გაზეთებშიც განხორციელდა ეს. დღეს ვიცი, რომ პირველ არხს აქვს მომზადებული რამდენიმე მართლაც ძალზე სკანდალური თემა. მე მინდა ამ წლების განმავლობაში ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, იმ ადმინისიტრაციული კოდექსიდან, რომელიც ჩვენ მივიღეთ, იმ ინტერესთა კონფლიქტის კანონიდან და სხვა კანონებიდან გამომდინარე, შევთავაზო ყველა ჟურნალისტს, ვისაც სურს კორუფციის თემასთან დაკავშირებით აწარმოოს დამოუკიდებელი გამოძიება, ჩვენი მხარდაჭერა. პირადად ჩემი, პარლამენტის თავმჯდომარის ოფისი აღმოუჩენს მათ ყოველგვარ დახმარებას, რომ ის ინფორმაცია, რომლის ღიაობა, თავისუფალი მიღება გათვალისწინებულია ჩვენი კანონმდებლობით, ხელმისაწვდომი იქნება მათთვის და ამას ჩვენ ნამდვილად უზრუნველვყოფთ. მე ვიცი, რომ დღეს ძალიან ბევრი არის, მეგობრებო, ისეთი ადამიანი, ვინც მართლა გრძნობს, რომ წარმოუდგენელია ისევე გაგრძელდეს ცხოვრება, როგორც აქამდე იყო, დღეს ლაპარაკი არის მართლაც უკვე სტრუქტურულ, საბოლოო ცვლილებებზე ჩვენს საზოგადოებაში. საუბარია იმაზე, რომ დღეს ოლიგარქიული წრეები, იმ ადამიანებმა, ვინც მოახერხეს აქამდე ბერკეტების მხოლოდ ნაწილს დაპატრონებოდნენ, იქნებოდა ეს ფინანსური თუ სახელისუფლებო, ქვეყანაში მოიპოვოს სრული პოლიტიკური მონოპოლია და პარქტიკულად მოახდინონ არჩეული ხელისუფლების მანიპულირება. იმის პარალელურად, რომ ჩვენ მართლაც გვაქვს მნიშვნელოვანი წარმატებები და მიღწევები, მე კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, იმის პარალელურად, რომ ჩვენ აქ ვცდილობდით ჩამოგვეყალიბებინა თავისუფალი საბაზრო დემოკრატია, აშკარაა იმის მცდელობა, იმის ტენდენცია, იმის ყველა ნიშანი, რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს არა საბაზრო დემოკრატია, არამედ საბაზრო კლეპტოკრატია. კლეპტოკრატია მომდინაროებს სიტყვისგან კლეპტომანია. ეს არის სამედიცინო ტერმინი, რომელიც აღნიშნავს იმ ადამიანს, რომელსაც

არ შეუძლია არ მოიპაროს რაიმე საგანი და არ შეუძლია არ ჩაიდოს ის ჯიბეში. საუბედუროდ, დღეს ძალიან ბევრია და საკმაოდ გავლენიანი ადამიანი ჩვენს ხელისუფლებაში, ჩვენს ფინანსურ წრეებში, რომლებიც ერთობლიობაში უკვე მთელი კლეპტოკრატიის ერთიან ფენას, მებრძოლ, რევანშისტულად, აგრესიულად განწყობილ ფენას წარმოადგენენ. ამავე დროს არის აუარებელი ადამიანი სულ სხვადასხვა წრის წარმომადგენელი, სულ სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი, რომელიც მზად არის სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლოს ამ პრობლემას და კიდევ ვიტყვი, გუშინდელმა ჩემმა შეხვედრამ ანტიკორუფციულ კომისიასთან, რომელიც შექმნა პრეზიდენტმა, კიდევ ერთხელ დამარწმუნა ამაში. მე მართლაც არ ველოდი, რომ ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში, რაც ეს კომისია მუშაობს, ამხელა ინფორმაციას მოუყრიდნენ თავს და ამდენად საინტერესო მოსაზრებები ჩამოყალიბდებოდა. მე ვიცი, რომ ამ ბრძოლაში თავისი სიტყვის თქმა შეუძლია და სურს სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს ან აბსოლუტურად აპოლიტიკურ ადამიანებს. მე მინდა გთხოვოთ, ყველამ დავინახოთ, რომ დღეს საქართველოში მართლაც საკმაოდ დრამატული მომენტი არის. არის ის მომენტი, როდესაც ან ჩვენ უნდა მივიღოთ ეს გამოწვევა და მოვიგოთ ეს ბრძოლა, ან საბოლოოდ დამარცხებული იქნება ჩვენი საზოგადოება. მე მაქვს ძალიან მყარი ძალიან სერიოზული საფუძველი, როდესაც ამ საკითხებზე ასეთ საგანგაშო ტონალობაში ვსაუბრობ. იკითხავთ ალბათ, რატომ ახლა უნდა დავსვათ ეს საკითხები დღის წესრიგში. ჯერ ერთი, ეს თემები ყოველთვის იყო ჩვენთვის პრიორიტეტული. მეორეც, მე მინდა ამის შესახებ გახსნილად ვთქვა. ჩვენი მთავარი ვალდებულება წელს ჩვენს მოქალაქეთა წინაშე მდგომარეობდა იმაში, რომ საქართველოში დაგვემყარებინა მინიმალური საბიუჯეტო წესრიგი 2000 წლისთვის, ეს იყო მთავარი პრიორიტეტი გამოცხადებული შევარდნაძის და მისი პარტიის მიერ. დიახ, 3 თვის შედეგებმა განახლებული მთავრობის მუშაობის შედეგებმა, რასაც მიაღწია გია არსენიშვილმა, მიშა მაჭავარიანმა, ზურაბ ნოღაიდელმა, გიორგი გაჩეჩილაძემ თუ სხვებმა და სხვებმა, დღეს გვაძლევს საფუძველს მათ მაგალითზე განვაცხადოთ: სუფთა ხელებით, მტკიცე პოლიტიკური ნებისყოფით ურთულეს სიტუაციაშიც კი შეიძლება ძალზე მძიმე პრობლემების მოგვარება. ეს არის ისეთივე რეალობა, როგორც ჩვენი წარმატება სასამართლო რეფორმის განხორციელებაში ჩვენი წარმატება სხვა მრავალი ურთულესი საკითხის მოგვარებაში, მათ შორის, საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენ ოპტიმიზმის საფუძველი გვაქვს. დღეს მთავარი არის სიმტკიცე და რეალური ნებისყოფა ამ პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით. მე ვიცი, რომ საკმაოდ სერიოზული დაპირისპირება გველის ამ გზაზე და ამის სერიოზული ნიშნებიც არსებობს, მათ შორის, მე არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ერთ-ერთი ჩემთვის შემაშფოთებელი სიმპტომი იყო, როდესაც ორი დღის წინათ ტაბახმელაში გამართულ მოქალაქეთა კავშირის შეკრებაზე, სადაც ამ საკითხებს ვიხილავდით, ერთ-ერთმა მოხელემ რამდენიმე გამგებელს, ვინც არის ამავე დროს ჩვენი რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, აუკრძალა ამ პარტიულ შეკრებაზე დასწრება. სხვა უფრო სერიოზული სიმპტომებიც არსებობს. მე მინდა, ვიცი ეს საკმაოდ ხმა-

მაღლა ჟღერს, მაგრამ ყველას გასაგონად და, პირველ ყოვლისა, თქვენი, ჩემი კოლეგების და თანამოაზრეების გასაგონად ვთქვა, თუკი ჩაითვლება, რომ მოქალაქეთა კავშირი უნდა იყოს ბიუროკრატიული აპარატის უბრალო დანამატი, მე პირადად, როგორც ზურაბ ჟვანია, მზად ვიქნები დავტოვო იმ პარტიის რიგები, რომელიც ჩემი ხელით არის შექმნილი მრავალ თქვენგანთან ერთად.

მინდა კიდევ ერთი რამ ვთქვა, თუ ვინმე ჩათვლის, რომ ჩემი გათვლები ეფუძნება 2003 წელს ჩასატარებელ არჩევნებს ან სხვა არჩევნებს მომავალში და ამის გამო მე ჩავეჭიდები ამ სავარძელს, სავარძელს იმ პარლამენტის თავმჯდომარისა, რომლის ტრადიცია თქვენთან ერთად და თქვენს წინამორბედებთან ერთად 95 წლიდან მოყოლებული, მეც შემიქმნია, მზად ვიქნები ეს სავარძელიც დავტოვო. ჩემთვის დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი არის, რომ მე პასუხი გავცე იმ ადამიანებს, ვისაც სჭირდება იმედის დაბრუნება. არ მინდა, რომ ჩემი სიტყვები ჟღერდეს ზედმეტად პათეტიკურად, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ნებისმიერ მომენტში ნათლად ავუხსნა ჩემ სამ შვილს, რომელთაგან უფროსი 6 წლის არის და უმცროსი 1,5 წლის, რას ვაკეთებდი თითოეული იმ წლის, თითოეული იმ თვის განმავლობაში, როდესაც ვიყავი მეორე პირი ამ სახელმწიფოში და ნურავის ნუ ექნება იმის ილუზია, რომ შესაძლებელი არის ჩემი შანტაჟი რაიმე სხვა თემებით და ჩემი დღევანდელი გათვლები დამოკიდებული არის სხვა შემფასებლებზე, ვიდრე ჩემი საკუთარი ბავშვები და ის ადამიანები არიან, ვინც ვიცი, რომ პირადად ჩემგან და ჩემი მეგობრებისგან დღეს ელიან რეალურ მოქმედებას. მინდა გითხრათ, რომ მართლა ვფიქრობ ამაზე, როგორ შეხვდება თითოეული ოჯახი საქართველოში, თითოეული ქართველი 2000 წლის 31 დეკემბრის ღამეს. იმ ღამეს, როდესაც მთელი მსოფლიო გაჩახჩახებულია ილუმინაციებით, ფეიერვერკებით, ათასი სანახაობებით, ჩვენთანაც ალბათ მოეწყობა რაიმე ამგვარი მცირე მასშტაბის ღონისძიება. ჩვენ ვერ შევეჯიბრებით ვერავის იმ ილუმინაციებში, მაგრამ ერთ რამეში ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რომ ახალი საუკუნის მიჯნაზე ამ ახალი წლის ღამეს თითოეული ქართველი დაბრუნებული იმედით და თავის სამშობლოსადმი დაბრუნებული რწმენით შეეგებოს ახალ საუკუნეს და ახალ ეპოქას. აი, ეს არის ჩემი მთავარი ამოცანა, იმედი მაქვს, თქვენთან ერთად.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
14 სექტემბერი, 2000 წ. №249 (3650). გვ. 1, 3, 4

შს მინისტრი საზოგადოებას თითს ვეღარ დაუქნევს

პრეზიდენტსა და ჟვანიას შორის განხეთქილება აბსურდული მონაჩმახია

თამარ ასლანიკაშვილი

ის, რომ მთავრობა პოლიტიკური ნიშნით არ არის დაკომპლექტებული, პრობლემებს ხომ არ უქმნის მმართველ პარტიას? პრაქტიკულად აღმასრულებელ ხელისუფლებაში თქვენ მხოლოდ 3 მინისტრი გყავთ.

მე არ ვიტყოდი, რომ მოქალაქეთა კავშირს მხოლოდ სამი მინისტრი ჰყავს. ბევრია ასეთი, ვინც მოქალაქეთა კავშირის საპარლამენტო ფრაქციის სრული მხარდაჭერით სარგებლობს. ვფიქრობ, აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტების პრინციპი სწორია. აქ უნდა იყვნენ როგორც საპარლამენტო ჯგუფის წარმომადგენლები, ისე ინდივიდუალური მოღვაწეები. თუ გადავხედავთ სხვა ქვეყნებს, რომლებსაც ანალოგიური კონსტიტუციური მოწყობა გააჩნიათ, დავინახავთ რომ იქაც ასეა. მაგალითად, კლინტონის კაბინეტში არიან მინისტრები, რომლებიც გამორჩეული პოლიტიკური ფიგურები იყვნენ. ასე რომ მთავრობის მოწყობის პრობლემაა ის, რომ ყველა მინისტრი უნდა იყოს მზად პრეზიდენტის პოლიტიკური ხედვის გასატარებლად. თითოეული მინისტრი პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრია და ვალდებულია იმ გზით იაროს, რომელსაც თავისი პოლიტიკით ედუარდ შევარდნაძე უსახავს ქვეყანას. პრობლემები ჩნდება იქ, სადაც ერთიანი ჩარჩოებიდან გადაცდომას აქვს ადგილი.

ბოლო, კონკრეტულ შემთხვევაში, როცა შინაგან საქმეთა მინისტრის საკითხი დადგა დღის წესრიგში, რა იყო პრობლემა?

ვფიქრობ, მთლიანობაში შს მინისტრთან დაკავშირებით აჟიოტაჟი გაზვიადებულია. უხერხულია იმის თქმა, რომ მოქალაქეთა კავშირი ებრძვის კახა თარგამაძეს. გულახდილად თუ გეტყვით, ძალიან ცოტა მინისტრს ჰქონია ასეთი მხარდაჭერა, როგორც კახა თარგამაძეს. არა მხოლოდ პიროვნული მომენტების გამო, არამედ იმიტომ, რომ იგი იმ სისტემას ხელმძღვანელობს, რომელზეც ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებაა დამოკიდებული. ბუნებრივია, არსებობს პრობლემები, რომელზეც ჩვენ თვალს ვერ დავხუჭავთ. ვერ შევეგუებით, საქართველოს გზებზე, ყოველ 8 კმ-ში იდგეს ინსპექტორი, რომელიც გააჩერებს გლეხს და ნაშრომს წაართმევს. ვერ შევეგუებით, რომ თბილისში ყოველ ნაბიჯზე პოლიციელი იდგეს, მაგრამ კრიმინოგენული ვითარება ისე მძიმე იყოს, რომ ამაზე საუბრობდეს ქართველიც და უცხოელიც. ეს არ გახლავთ ახლად წამოწეული თემები. პირადი შეხვედრების დროს არაერთხელ მისაუბრია ამის შესახებ მინისტრთან. რა თქმა უნდა, მომავალშიც გავაგრძელებთ ამ საკითხებზე მუშაობას. სიმართლე გითხრათ, იმედი

მაქვს, ბატონი კახა სერიოზულად ითანამშრომლებს ჩვენთან ამ პრობლემების მოსაგვარებლად. შემთხვევითი არც ის არის, რომ აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გაამახვილა პრეზიდენტის მიერ შექმნილმა ანტიკორუფციულმა ჯგუფმაც. ჩვენ, ყველამ, შს მინისტრთან ერთად გამოსავალი უნდა ვიპოვოთ.

ბატონო ზურაბ, შს მინისტრმა თანმიმდევრულად ილაპარაკა პარლამენტიდან ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობებზე, კონკრეტული დეპუტატების საწინაღმდეგო მასალების არსებობაზე. კახა თარგამაძე ახლა ამას უარყოფს, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ამის შესახებ საუბრობდა. მოქალაქეთა კავშირიც ახლა „იჯერებს“ რომ ეს არ თქმულა?

ამ საკითხებზე ჩვენ კიდევ ვიმსჯელებთ. მიუხედავად მისდამი მეგობრული განწყობისა. ვერ გავიზიარებ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მას, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს ემოციებიდან გამომდინარე რაღაც განცხადებების გაკეთება შეუძლია. ვერც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში ვერავინ შეეგუება ყველაზე დიდი სამართალდამცავი უწყების ხელმძღვანელი, რომელიც სპეციალური ტექნიკით არის აღჭურვილი, აცხადებდეს, რომ სარკის წინ თავის თავთან მოლაპარაკე დეპუტატების შესახებ ინფორმაცია გააჩნია, ხოლო კითხვაზე – „როგორ?“ – პასუხობდეს, რომ ეს მისი პროფესიული საიდუმლოებაა. ასეთი საიდუმლოებები ამ ქვეყანაში ვეღარ იარსებებს. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა გზით ხდება ინფორმაციის მოპოვება, რამდენად შეესაბამება ეს ქვეყნის და საზოგადოების ინტერესებს. მე, მართლაც დაჟინებით ვთხოვე კოლეგებს, არ გაემწვავებინათ საკითხი. როცა პირველად გაისმა განცხადება პარლამენტიდან ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების შესახებ, მივიჩნიე, რომ ეს იყო ლაფსუსი, მაგრამ როცა ეს რამდენჯერმე განმეორდა, რა თქმა უნდა, თვალი ვეღარ დავხუჭეთ. 1995 წელს ჩვენ წერტილი დავუსვით იმ პერიოდს, როცა ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელს შეეძლო თითი დაექნია დანარჩენი საზოგადოებისათვის. ეს პერიოდი რომ დასრულებულიყო, შევარდნაძემ საკუთარი სიცოცხლეც გარისკა. ასე რომ, ვერ დავუშვებთ ვინმემ ასეთი თემებით ხუმრობით თუ სერიოზულად ითამაშოს. შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა ახსოვდეს, რომ მისი თითოეული გამონათქვამი 30 000 შეიარაღებული ადამიანის მიერ აღიქმება, როგორც სამოქმედო ინსტრუქცია. ამიტომ, პირადი პოზიციის დაფიქსირებისას, მისი თავისუფლების ხარისხი ბევრად შეზღუდულია, ვიდრე რიგითი დეპუტატისა.

რამდენად პრესტიჟულია ქვეყნისათვის, როცა შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ სტაბილურობა პოლიციამ დაამყარა?

მე არ შემიძლია, არ დავეთანხმო იმ აზრს, რომ პოლიციამ უმძიმესი პირობების მიუხედავად, უზარმაზარი როლი შეასრულა საქართველოში წესრიგის დამყარებაში. ეს, რა თქმა უნდა, არის ერთი ადამიანის, საქართველოს პრეზიდენტის დამსახურება. პრეზიდენტის ნებისყოფის გამოა, რომ ქვეყანაში ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად, მყარდება წესრიგი ფინანსურ სფეროში. ღრმად ვარ დარწმუნებული, წესრიგი უკლებლივ ყველა სფეროში დამყარდება. ჩვენ უნდა გვესმოდეს თითოეული ადამიანის როლი ამ საქმეში და ზედმეტი ამბიცია არავის უნდა უჩნდებოდეს.

თარგამაძის ბოლო დროს განსაკუთრებულად ალაპარაკებამ ბევრი დაეჭვა მისი გაპოლიტიკოსება-გაფიგურების მცდელობაში. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს?

ძალზედ კარგი პარტნიორული ურთიერთობა მქონდა და მაქვს კახა თარგამაძესთან. იმედია, გაიზიარებს იმ შენიშვნებს, რაც ჩვენ და საზოგადოებას გაგვაჩნია მის დაქვემდებარებაში მყოფი სისტემის მიმართ. რაც შეეხება „გაპოლიტიკურებას“ ეს მისი საქმეა. შინაგან საქმეთა სამინისტრო დეპოლიტიზებული ორგანოა. თავად ბატონი კახას ასარჩევი გახლავთ პოლიტიკურ საქმიანობას აპირებს თუ იმას, რასაც ეწევა, ხშირად ძალზე წარმატებულად.

დავუბრუნდები იმ თემას, რაზეც თავიდან ვსაუბრობდით. ყველა ლაპარაკობს შსს-ის მაღალჩინოსნების სასახლეებზე. ამ ქვეყანაში თავს არავინ დაისჯის და დაიჭერს, რამდენ ხანს შეიძლება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გზებზე კორუმპირებულებს ვესაუბროთ?

ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ დოკუმენტს, რომელიც პრეზიდენტის დავალებით შექმნა ანტიკორუფციულმა ჯგუფმა. შემთხვევით არ არის, რომ ამ დოკუმენტის მრავალი დებულება ეხმიანება, იმ მიმართულებებს, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში ყალიბდებოდა პარლამენტში. უნდა დავასრულოთ ზოგადი ლაპარაკის ფაზა და კონკრეტულ მოქმედებებზე გადავიდეთ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია უკანონოდ შეძენილი ქონების კანონიერად გამოთხოვა და ამ საკითხის გადახედვა. როცა პირველად დავსვით ეს საკითხი ოპონენტებმა ხან ბოლშევიკობა დაგვაბრალეს, ხან ნაციონალიზაცია და სხვა. ნიშანდობლივია, რომ ამ საკითხს ერთმნიშვნელოვნად გამოეხმაურა საერთაშორისო სავალუტო ფონდი. მივესალმები, რომ ეს პოზიცია ანტიკორუფციული ჯგუფის პროგრამაში დაფიქსირდა და პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა მას. პრეზიდენტმა ყველაზე ქმედითი გზა აირჩია. მინდა დაგარწმუნოთ. რომ მას საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან სრული მხარდაჭერა ექნება.

ბევრს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მდიდრების საწინააღმდეგო კამპანიად გადაქცევის ეშინია

ყველაზე არაკეთილმოსურნე ოპონენტიც ვერ დაგვწამებს, ოდესმე ეჭვქვეშ დაგვეყენებინოს ბიზნესმენთა ქონების კანონიერება. საუბარია თანამდებობის პირებზე. ეს ქართველების მოგონილი არ გახლავთ და, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს საერთო მდიდრებთან ბრძოლასთან. სხვა საკითხია ის, რომ საეჭვოდ მეჩვენება, პოლიტიკაში ჩართული ადამიანი იყოს მდიდარი. 10 წელია პოლიტიკაში ვარ და ჩემი მატერიალური მდგომარეობა ნამდვილად არ შეცვლილა. მე და ჩემმა მეგობარმა თავის დროზე არჩევანი გავაკეთეთ, როცა პოლიტიკაში ხარ, უნდა გესმოდეს, რომ თანამდებობის გამოყენება საკუთარი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად დაუშვებელია. ეს არის ის გაკვეთილი, რომელიც ძალიან კარგად ვისწავლეთ შევარნაძისგან. არ შეიძლება იყო პოლიტიკაში და თან ფული აკეთო. არავინ უშლის ვინმეს გამდიდრებას, პირიქით, ბიზნესი არის ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობა, მაგრამ არ შეიძლება, იგი პოლიტიკურ ამბიციებს შეუთავსო.

მმართველ პარტიებს ხშირად გსაყვედურობენ იმას, რომ ახლა აკრიტიკებთ იმ მინისტრებს, რომლებიც ცოტა ხნის წინ თავად დაამტკიცეთ.

ეს პოლიტიკური ცხოვრების ლოგიკაა. მინისტრებს ვამტკიცებთ გამომდინარე იქიდან, რომ ეს კანდიდატურები ჩვენი პარტიის თავმჯდომარის, პრეზიდენტის მიერ არის წარმოდგენილი, თუმცა, ეს არ არის იმის გარანტია, რომ არ გავაკრიტიკებთ მათ და არ მივუთითებთ კონკრეტულ პრობლემებზე. ნებისმიერი მცდელობა, ეს რაღაც დაპირისპირებად წარმოაჩინონ, განწირულია. ჩემი მეგობარი იყო მიხეილ ჭკუასელი, მაგრამ როცა გარკვეული შეცდომები დაუშვა, ჩვენ მას მივუთითეთ. ნურავინ იფიქრებს, რაიმეზე თვალს დავხუჭავთ.

არჩევნებიდან ერთ წელიწადში მოქალაქეთა კავშირის ფრაქცია დატოვა ბევრმა ისეთმა დეპუტატმა, რომელიც ზურაბ ჟვანიას თანაგუნდელად ითვლებოდა. ამას მოჰყვა საუბრები ფრაქციის დაშლის შესაძლებლობაზე.

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ მოქალაქეთა კავშირი საკმაოდ მრავალფეროვანი ორგანიზმია. არასოდეს შევწინააღმდეგებივართ შიდა დისკუსიებს. ბევრი აფიქსირებს განსხვავებულ პოზიციას, მათ შორის ბევრი ჩვენი მეგობარიც, მაგრამ ეს ნამდვილად არ მოქმედებს პარტიის ერთიანობაზე. რაც შეეხება ფრაქციიდან დეპუტატთა გადასვლას, ნინო ბურჯანაძემ კონკრეტული საკითხის გამო დატოვა ფრაქცია. მაგრამ რჩება პარტიის წევრად. რჩება ამ გუნდის წევრად ასევეა ზაზა სიორიძეც.

ჩემთვის ნამდვილად გულდასაწყვეტია, რომ რამდენიმე დეპუტატი წავიდა მოქალაქეთა კავშირიდან მათ შორის რამდენიმე ახალგაზრდა პირადად ჩემი ინიციატივით ჩავწერეთ საარჩევნო სიაში, არა რაიმე დამსახურების გამო, არამედ იმიტომ რომ მიგვეცა ბილეთი პოლიტიკაში მოსასვლელად. გული მწყდება, რომ საპასუხოდ მათ მოქალაქეთა კავშირი დატოვეს და სხვა პოლიტიკურ გაერთიანებაში შევიდნენ. თუმცა, ეს მათი გადასაწყვეტი იყო. არ ველოდები, რომ მათი ეს პოლიტიკური წამოწყება მაინცდამაინც წარმატებული აღმოჩნდება.

რაც შეეხება მოქალაქეთა კავშირის მომავალს, მის მთლიანობას საფრთხე არ შეიძლება დაემუქროს. ახლახან სხვათა შორის ახალი ჭორი გავრცელდა. თითქოს ქვემო ქართლის დეპუტაცია ქმნის ახალ ფრაქციას. ეს ხალხი გაოგნებული მოდიოდა ჩემთან. ისინი ვერ მიმხვდარიყვნენ, რის საფუძველზე შეიძლებოდა წასულიყო ეს ჭორი. მე ხშირად მითქვამს, რომ 1993 წლის ნოემბრიდან სხვადასხვა პარტიები წინასწარმეტყველებდნენ ჩვენს დაშლას. თუმცა ამ პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობა მოსახლეობას აღარც ახსოვს.

ბოლო დროს პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე ხშირად ამტკიცებენ, რომ მოქალაქეთა კავშირი შევარდნაძის დასაყრდენი და მისი კურსის გამტარებელია. რატომ გიწევთ ამის ასე ხშირად გამეორება?

იმიტომ რომ ხშირად დაკვეთით თუ უმეცრებით ხდება ჭორების აგორება. თითქოს პრეზიდენტსა და ჟვანიას შორის განხეთქილებაა. ბატონი ედუარდი და მეც საკმაოდ დიდხანს იგნორირებას ვუკეთებდით ამ აბსურდულ მონაჩმახს. შემდეგ აღმოვაჩინე, რომ აბსურდულობის მიუხედავად, ეს ჭორი მუშაობს, სხვათა შორის, გებელსის პროპაგანდის პრინციპი იყო: რაც უფრო

დაუჯერებელია ტყუილი, მით უფრო კარგად ჯდება საზოგადოებრივ ცნობიერებაში. როგორც ჩანს, ზოგჯერ საჭიროც არის იმის მტკიცება, რომ თეთრი თეთრია და შავი და შავია. როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, ბევრი ძალა დაინტერესებულია, რომ ედუარდ შევარდნაძეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი – ძლიერი საპარლამენტო დასაყრდენი – დააკარგვინოს. სურთ გაჩნდეს სერიოზული ბზარი და ამ ფონზე აირიოს ვითარება. ამას კი არასოდეს დაუშვებს პარლამენტის თავმჯდომარე, საპარლამენტო უმრავლესობა და, მით უმეტეს, პრეზიდენტი.

გაზ. „ახალი თაობა“. 2 ნოემბერი. №302 (1791). გვ. 2-4

ზურაბ ჟვანია: „სავიზო რეჟიმის შემოღებით რუსეთი ხელს ჰკრავს საქართველოს, რომ კიდევ უფრო დაშორდეს მას“

მე არ დამავიწყდება 1995-1996 წლები, როდესაც, საქართველოს მტკიცე პოზიციის საპასუხოდ, რუსეთმა შემოიღო ეკონომიკური ბლოკადის სხვადასხვა ელემენტი და მაშინაც იყო გათვლა იმაზე, რომ ჩვენს მეწარმეებს, რომლებსაც იმჟამად რუსეთთან ჰქონდათ ურთიერთობა, ასე ვთქვათ, სული ამოხდებოდათ და ვეღარ გააგრძელებდნენ საქმიანობას. ჩვენ ძალიან მძიმე პერიოდი გავიარეთ, ჩვენმა მოქალაქეებმა, რომლებიც კონკრეტულ ბიზნესს ეწეოდნენ რუსეთში, მაგრამ ისინი შეეგუენ ახალ ვითარებას, გადალახეს სირთულეები. შედეგად მივიღეთ ის, რომ ადამიანებმა, რომლებიც ადრე მხოლოდ რუსეთში საქმიანობდნენ, გაიჩინეს პარტნიორები სხვა ქვეყნებში, სხვა ენებზე ისწავლეს საუბარი და ჩვენი ეკონომიკური კავშირები უფრო მრავალფეროვანი გახდა. მე ვფიქრობ, რომ ვიზების შემოღება სრულიად გაუგებარი ნაბიჯია და რუსეთის მხარე, ისინი, ვინც ამის ინიციატორებად გამოდიან, მე ეს არაერთხელ მითქვამს ჩემი რუსი კოლეგებისთვის, მეგობრებისთვის, მათ შორის, სულ ახლახან აქ მყოფი რუსეთის დუმის დელეგაციისათვის, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, ხელს ჰკრავს საქართველოს, რათა ის კიდევ უფრო დაშორდეს რუსეთს. მე მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ გვაქვს სრულიად ერთმნიშვნელოვანი, უარყოფითი პოზიცია ვიზების შემოღებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არის, ასე ვთქვათ, პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელსაც ჩვენ ფაქტად ვიღებთ. თუ სურთ ვიზების შემოღება, მე აქაც ვეთანხმები გამოსულ კოლეგებს, ზედმეტი დრამატიზება არ არის საჭირო, ეს რთული გადაწყვეტილებაა, ბევრ სირთულეს შეუქმნის ქვეყანას და მის მრავალ მოქალაქეს, მათ შორის, რუსეთში მცხოვრებთ. მაგრამ ეს არის გადაწყვეტილება, რომელსაც ჩვენ შევეგუებით და რომლითაც ვეცდებით რუსეთთან ჩვენი ურთიერთობების ნორმალიზაციას ამავე, ახალ სიბრტყეში. რაც შეეხება დსთ-ის საკითხს, მე ვეთანხმები ბატონ რეზო ადამიას, სავსებით მესმის ბატონი აკაკი ასათიანისა და სხვა დეპუტატების პათოსი. საერთოდ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთის ხელმძღვანელობის ეს გადაწყვეტილება მიმართულია იმისკენ, რომ დსთ თავად რუსეთმა დაშალოს იმიტომ, რომ სხვაგვარად ძნელია იმის გაგება, რა პოლიტიკურ მიზანს უნდა ისახავდეს გასვლა ბიშკეკის ხელშეკრულებიდან, რომელიც ერთ-ერთი ფუძემდებლური, საბაზისო ხელშეკრულებაა საერთოდ დსთ-ის არსებობისათვის. მაგრამ ამ ორგანიზაციიდან საქართველოს გასვლა უკავშირდება ჩვენს ეკონომიკურ ინტერესებს, ჩვენი მეწარმეების ინტერესებს და ეს სერიოზული დამატებითი განხილვის საგანი უნდა გახდეს. ამაში მე დარწმუნებული ვარ. ყველაზე ამაღელვებელი მთელ ამ ამბავში, რამაც, ალბათ, მისცა ემოციური იმპულსი თითოეულ ჩვენგანს, რომ მთელი დღე დაგვეთმო

ამ საკითხზე მსჯელობისათვის, ეს გახლავთ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში გამოხატული უკვე საჯარო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შესაძლოა შემოიღონ სავიზო მიმოსვლის განსაკუთრებული რეჟიმი საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვრისპირა რეგიონებისათვის. აქ ძალიან მარტივად იკითხება, რომელ რეგიონებზე არის საუბარი, – ისევ და ისევ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე, და როგორ მძიმედაც უნდა ჟღერდეს ეს შეფასება, ჩვენ უნდა გვესმოდეს და ვთქვათ ეს, უბრალოდ ვალდებული ვართ ხმამაღლა ვთქვათ, ამ მიმართულებით გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი რეალურად იქნება ქართული ტერიტორიების ანექსიის მცდელობა: რას ნიშნავს ანექსია? ანექსია ნიშნავს ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიის მიტაცებას და მითვისებას. დღეს საქართველოს ხელისუფლება, მე აღარ მინდა ისტორიას ჩავუღრმავდე, რის გამო და როგორ, ვერ აკონტროლებს ცხინვალის რეგიონს, ვერ აკონტროლებს აფხაზეთს. აფხაზეთში განხორციელდა ტოტალური ეთნიკური წმენდა, რაც სამ რეზოლუციაში აღიარეს ეუთოს სამიტებმა სახელმწიფოს მეთაურთა მონაწილეობით – ბუდაპეშტში, ლისაბონსა და სტამბოლში. დღეს საუბარია იმაზე, რომ იმ ადამიანებმა, რომლებმაც ჩაატარეს ეს ეთნიკური წმენდა, დღეს პრაქტიულად გაიოლებულ რეჟიმში უნდა მოახერხონ რუსეთში შესვლა-გამოსვლა, ვაჭრობა, პროდუქციის შეტანა და სხვა. რა არის ეს, თუ არა რუსეთთან ამ ტერიტორიების ფაქტობრივი შეერთების დასრულება. აი, ასე დგას საკითხი. ამაზე მწვავე და მნიშვნელოვანი საკითხი დღეს, ჩვენს დღის წესრიგში, უბრალოდ, არ შეიძლება იყოს. მე ნამდვილად მოვერიდებოდი ასეთ ხმამაღალ განცხადებებს, რომ არ არსებობდეს მართლაც დრამატული ვითარება იმასთან დაკავშირებით, რომ რეალურად არის შესაძლებელი ჩვენი მეზობელი ქვეყნის მხრიდან გადაიდგას არამეგობრული, პირდაპირ, უნდა განვაცხადოთ, – მტრული ნაბიჯი. და ამის შესახებ გახსნილად არის საუბარი რუსეთის საგარეო უწყების შესაბამის განცხადებაში. მე არ ვიცი, როგორი შეიძლება იყოს საქართველოს საპასუხო რეაქცია, ანალოგიურად რუსეთის სხვადასხვა რეგიონისათვის – ჩვენი მეზობელი რეგიონებისათვის. განსხვავებული რეჟიმის შემოღება არა მგონია, მთლად ადეკვატური რეაქცია იყოს. მე მგონია, უპირველესი რეაქცია უნდა იყოს, თუ საჭირო გახდება ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში, იქნება ეს გაერო, ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაცია, იქნება ეს ევროპის საბჭო თუ ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია, საქართველომ იყვიროს, იყვიროს იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს მისი ისტორიული ტერიტორიების ასეთი ველური, თავხედური მიტაცება და ამ ფაქტის საბოლოო დაკანონება, ეს არის ის საკითხი, რომლის მიმართ გულგრილობას, არ მინდა ჩემი ნათქვამი პათეტიკურად ჟღერდეს, ნამდვილად არ გვაპატიებს მომავალი თაობა, არ გვაპატიებენ ის ქართველები, რომლებმაც ჩვენს შემდეგ უნდა იღვაწონ ამ ქვეყანაში. აქ დასმული იყო შეკითხვები ზოგადად და ბატონი მენაღარიშვილის მიმართაც – რის გამო ხდება ეს ყველაფერი. ორი სხვადასხვა მხრიდან ხდებოდა ჩვენი კურსის კრიტიკა. მე მინდა, დეპუტატებს კარგად ესმოდეთ ის კონკრეტული მიზეზები, რაც საფუძვლად დაედო და რამაც ბიძგი მისცა ამ ბოლო წლის განმავლობაში ურთიერთობა-

თა ერთგვარ ესკალაციას. პირველი საკითხი, ეს გახლავთ რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის – ელცინის, სატელეფონო ზარი პრეზიდენტ შევარდნაძესთან თხოვნით (როდესაც იწყებოდა ჩეჩნეთის კამპანია), რომ საქართველომ საშუალება მისცეს რუსეთის ჯარს, სამხრეთიდან, საქართველოს ტერიტორიიდან მოახდინოს ჩეჩნეთის ტერიტორიის ბლოკირება. პრეზიდენტმა შევარდნაძემ ძალზე დეტალურად განუმარტა თავის კოლეგას, რომ ჩეჩნებთან და სხვა კავკასიურ ხალხებთან ჩვენი ისტორიული, საუკუნოვანი ურთიერთობებიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია, რომ საქართველო ჩაერთოს იმ საბრძოლო მოქმედებებში, რაც მიმდინარეობს ჩეჩნეთში.

იმ დღიდან მოყოლებული, როდესაც საქართველომ უარი განაცხადა საკუთარი ტერიტორიის რუსეთის სამხედრო ფორმირებების გადაადგილებისათვის გამოყენებაზე, დაიწყო აღვირახსნილი პროპაგანდისტული კამპანია ცივი ომის პერიოდის საუკეთესო ტრადიციებით, გაუთავებელი ინსინუაციები, რომ თურმე საქართველოში არის სამხედრო ბაზები, სადაც ჩვენ ვწვრთნით ჩეჩენ ბოევიკებს; ეტყობა ჩვენს რუს კოლეგებს დაავიწყდათ, რომელ ბაზებზე იწვრთნებოდნენ ბასაევი და მისი მეგობრები, ტერორისტები აფხაზეთში საომრად. ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ თურმე ვერტმფრენებით გადაგვყავს საქართველოს ტერიტორიიდან შეიარაღებული ჯგუფები ჩეჩნეთში ბრძოლის ველზე, ყველას, ვისთვისაც ოდნავ ცნობილია ჩვენი ავიაციის, ტექნიკის მდგომარეობა, სასაცილოდაც არ ჰყოფნის ეს ბრალდება. ამის საპასუხოდ საქართველომ ეუთოს სთხოვა, რომ რუსეთ-საქართველოს ჩეჩნეთის საზღვრის მონაკვეთზე 50 სამხედრო დამკვირვებელი ჩაგვეყენებინა. მე ამას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ყველამ გავიხსენოთ ბოლო პერიოდის პერიპეტიები. მათ შორის არიან რუსი სამხედრო დამკვირვებლები, რომლებიც ყოველდღიურად, შატილში, ასას ხეობაში, თუშეთის მონაკვეთზე, დგანან და ხედავენ, რომ პრაქტიკულად არანაირი მოძრაობა არ ხორციელდება: სამწუხაროდ, ამის მიუხედავად, თქვენ ყველა აკვირდებით, რომ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ხშირად ამას თან სდევს ოფიციალური, მაღალი რანგის პირების კომენტარები და ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები. სრულიად მიზანმიმართულად გრძელდება იმ ხატის შექმნა, რომ თურმე საქართველო ყოფილა ჩეჩნური ტერორიზმისა და ჩეჩენი მებრძოლების მთავარი დასაყრდენი.

შეეძლო თუ არა პრეზიდენტ შევარდნაძეს, და საერთოდ, ვინც უნდა ყოფილიყო საქართველოს ხელისუფლებაში, მიეღო სხვაგვარი გადაწყვეტილება? მე მინდა ყველა ფრაქციის წარმომადგენელს მივმართო შეკითხვით, ჰქონდა თუ არა საქართველოს ხელისუფლების პირველ პირს და ხელმძღვანელს იმის უფლება, რომ თავისი ერი ჩაერთო, ჩაეთრია შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელიც მიმდინარეობს ჩეჩნეთში. მე გთხოვეთ, მიუკერძოებლად გავაანალიზოთ, რა ძალისხმევად უჯდება საქართველოს ის, რომ ამ ვითარებაში, გავიხსენოთ თუნდაც ერთი თვის წინანდელი მოვლენები, როდესაც ინგუშეთიდან, რომელსაც მშვენივრად აკონტროლებენ რუსი მესაზღვრეები ასას ხეობაში, სადაც მე ვყოფილვარ და დარწმუნებული ვარ, მრავალი თქვენგანიც ყოფილა, არ არის არანაირი რთული სამხედრო მდგომარეობა. რამდენიმე

ათეული შეიარაღებული ჩეჩენი მებრძოლი შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე და თურმე ესეც ჩვენი ბრალი ყოფილა. აი, ამ ვითარებაში, ურთულეს სიტუაციებში საქართველოს ხელისუფლებამ, ჯერჯერობით, მოახერხა და მე დარწმუნებული ვარ, თუ იქნება ყველა პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა, მომავალშიც მოახერხებს, რომ არ დაუშვას ამ კონფლიქტში ჩათრევა, იმიტომ, რომ ნებისმიერი ფორმით, ნებისმიერ მხარეზე, ასე ვთქვათ, მთლიანად საქართველოს ან მისი წარმომადგენლების მონაწილეობა, ჩვენ ყველას კარგად გვესმის, იქნება ისტორიული, საბედისწერო შეცდომა ჩვენი ხალხისათვის, შეცდომა, რომელიც ძალიან ძვირად დაუჯდება მრავალ თაობას მომავალში.

მეორე საკითხი, რომელიც საფუძვლად უდევს ესკალაციას, ესეც ძალიან კონკრეტული და მარტივია. ეს უკავშირდება ისტორიულ პროცესს, რომელსაც ჰქვია საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა. თქვენ გახსოვთ, როდესაც იყო საუბარი მხოლოდ იმაზე, რომ საქართველოს ახალი გეოპოლიტიკური შანსები, პერსპექტივები უჩნდებოდა, ნავთობსადენები თუ ხვადასხვა, მაშინ ეწყობოდა ტერაქტები და გახსოვთ, რა ფასს იხდიდა საქართველოს ხელისუფლება იმის ელემენტარული დემონსტრირებისათვის, რომ ჩვენ გვინდა ქართველობა ეკონომიკურად, გეოპოლიტიკურად მართლაც სუვერენული ერი იყოს. მე ველოდები, რომ ეს არ არის ერთადერთი და უკანასკნელი ნაბიჯი, რომელსაც საქართველო და მისი ხელისუფლების წარმომადგენლები გადადგამენ იმის საპასუხოდ, რომ ჩვენ განვაცხადეთ – ჩვენ გვსურს მეგობრობა რუსეთთან, გვსურს მართლაც კეთილი, პარტნიორული ურთიერთობები, მაგრამ ისე, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია თავისუფალი იყოს ნებისმიერი ქვეყნის შეიარაღებული ფორმირებებისაგან და სამხედრო ნაწილებისაგან.

აქვს თუ არა რომელიმე ქართველს და, მით უფრო, ქართულ ხელისუფლებაში მყოფ რომელიმე პირს იმის უფლება, რომ უარი თქვას იმაზე, ბოლომდე მიიყვანოს ის პროცესი და აღასრულოს ის ერთ-ერთი უმთავრესი მისია, რაზეც ჩვენ პასუხისმგებლები ვიქნებით, ისევ და ისევ, მომავალი თაობების წინაშე. სამწუხაროდ, ჩვენ ხელიდან გავუშვით შესაძლებლობა 8-10 წლის წინათ, როდესაც ბევრად ადვილი იყო ამ საკითხის გადაწყვეტა, ისე როგორც ეს საკითხი გადაწყვიტეს აზერბაიჯანმა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა. დღეს ჩვენ ბევრად უფრო რთულად გვიწევს ამ პრობლემის მოგვარება, მაგრამ, მე დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტი და ყველა პოლიტიკური ძალა საქართველოში ერთიანი იქნება იმაში, რომ ბაზების საკითხს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დავთმობთ. მე მინდა, ჩემო ძვირფასო კოლეგებო, გვესმოდეს, როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ იქნებ ტონალობა უნდა შევცვალოთ, იქნებ უკმეხები არ უნდა ვიყოთ, რა რეაქციებიც აქ არის, ეს არის რეაქცია ორ სრულიად კონკრეტულ, ძალიან პრინციპულ პოზიციაზე, რასაც გამოხატავს შევარდნაძის ხელისუფლება და რაშიც დამეთანხმებით, ვერც ერთში, ჩვენ ვერანაირ კომპრომისებს ვერ დავუშვებთ. რაც შეეხება ურთიერთობათა გარკვევის ნორმალიზებისათვის ყველანაირი შანსის გამოყენებას, მე მინდა მთლიანად დავეთანხმო ვახტანგ რჩეულიშვილს და დავუჭირო მხარი. მე მზად ვარ, რაც შე-

იძლება მალე, თუნდაც უახლოეს დღეებში ვთხოვოთ ბატონ ელდარს, ბატონ ვახტანგს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, რომ შეიძლება პატარა, მაგრამ ძალზე სოლიდური წარმომადგენლობითი ჯგუფი შეიქმნას და ჩავიდეს დუმაში. სხვათა შორის, მე გადავეცი ბატონ ლუკინს ჩემი წინადადება, რომ შევქმნათ მუდმივმოქმედი, საპარლამენტო რუსულ-ქართული ფორუმი და წელიწადში ორჯერ მაინც შევიკრიბოთ და ღიად, გულახდილად ვისაუბროთ იმ პრობლემებზე, რაც წარმოიქმნება ჩვენს ურთიერთობებში; განვიხილოთ ნებისმიერი ეკონომიკური და სტრატეგიული საკითხი და სხვა. საქართველომ 1993 წელს აღიარა, რომ პატივს სცემს ამ რეგიონში რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს. ამიტომ მოვაწერეთ ხელი სამხედრო ხელშეკრულებას და კულუარულ პოლიტიკას კი არ ვატარებდით, არამედ, შავით თეთრზე დაწერა სახელმწიფოს მეთაურმა ქართული მხარის ორად ორი ელემენტარული პირობა, რომ სამხედრო შეთანხმებები შესულიყო ძალაში. პირველი იყო აფხაზეთის პრობლემების მოგვარება, მეორე – თანამშრომლობა სამხედრო სფეროში. ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრები დამემოწმებიან და სხვა დეპუტატებიც, ან ერთი ან მეორე მიმართულებით რამდენად წარმატებით ვითანამშრომლეთ ჩვენ რუსეთთან.

საერთოდ, თუ დავაკვირდებით, ბატონ ვახტანგს მინდა მივმართო, დღეს მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებს რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობისას, მე მგონი, ბევრად უფრო შეღავათიანი პირობები აქვთ, ვიდრე საქართველოს, აზერბაიჯანს და დსთ-ის წევრ მრავალ სახელმწიფოს. მე ძალიან მარტივად ვხსნი ამ ფენომენს – რუსეთის ხელმძღვანელობა დარწმუნდა (ძველი, ახალი, იმისწინდელი), რომ ის ხალხი ერთ მუშტად იყო შეკრული იმ საკითხში, რაც შეეხებოდა მათ სუვერენიტეტს. მათ მოახერხეს, რომ მეხუთე კოლონებს არანაირი გავლენა აღარ ჰქონოდათ მათ ტერიტორიებზე, რომ იქ ლიტვური თუ ესტონური წარმოშობის ჩეკისტებს არ შეძლებოდათ მოსკოვიდან ჩასვლა და ერის დამოძღვრა. იქ დარწმუნდნენ, რომ აზრი არა აქვს იმას, რომ განხორციელდეს ზედმეტი ძალდატანება და ახალი პირობებიდან, ახალი რეალობებიდან გამომდინარე, შესანიშნავი ურთიერთობები ააწყვეს. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, ძალიან მარტივი და მოკრძალებული ამბიციები გააჩნია საქართველოსაც. ჩვენი ინტერესები და სახელმწიფო ამბიციები არ სცდება საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს. ჩვენ ვითხოვეთ ერთადერთი, პატივი სცენ ჩვენს მინიმალურ ინტერესს, ჩვენთვის ამის იქით უკან დახევა აბსოლუტურად შეუძლებელია.

მე ძალიან დიდი დრო წაგართვით, არ შემიძლია პატარა ამბავი არ მოგიყვეთ, რომელიც ორიოდე თვის წინათ მიამბო ზბიგნევ ბზეჟინსკიმ, როდესაც კერძო საუბრისას გაიხსენა თავისი სახელმწიფო მდივნობის პერიოდი. იგი ყვებოდა, რომ როცა მრჩეველი იყო უშიშროების საკითხებში, 1980 წელს პოლონეთში, მაშინ, როდესაც იქ დაიწყო სოლიდარობის გამომხატველი გამოსვლები, მზადდებოდა სსრკ-ის შეჭრა იმავე სცენარით, როგორითაც უნგრეთში 1956 წელს და პრაღაში 1968 წელს. მან თქვა: რაღაც მომენტში მესამე ქვეყნის საშუალებით, ვაშინგტონის ადმინისტრაციამ შეუთვალა მოსკოვს – გაითვალისწინეთ, თუ თქვენ შეხვალთ პოლონეთში, პოლონელები იომებენ და

ჩვენ აუცილებლად დავუჭერთ მათ მხარს, თუმცა არა ღიად, ჯარის შეყვანით, მაგრამ ყველანაირად დავეხმარებით პოლონელ ხალხს, რომ ის თავის სამართლიან ბრძოლაში არ დამარცხდეს. სერიოზული განხილვის შემდეგ უკვე არსებობდა პოლონეთში შეჭრის კონკრეტული გეგმა. ასევე მესამე ქვეყნის საშუალებით, მიიღეს მოსკოვიდან პასუხი, რომ სსრკ უარს ამბობს პოლონეთში შეჭრაზე და მთელი, უკვე გაშლილი არმია დააბრუნეს უკან, თავის პოზიციებზე. მერე ხშირად მეკითხებოდნენო, ამბობს ბზეჟინსკი, რატომ გაამართლა ამ გაფრთხილებამ პოლონეთის შემთხვევაში და არა საბჭოთა ბლოკის სხვა ქვეყნების შემთხვევაში, სადაც შევიდნენ ჯარები და „დაამყარეს წესრიგი“. პასუხი ძალიან მარტივია – იმიტომ, რომ ყველამ იცოდა, რომ პოლონელები მზად იყვნენ თვითონ ბოლომდე ებრძოლათ თავიანთი დამოუკიდებლობისათვის და როდესაც ხალხი მზად არის იბრძოლოს თავისი დამოუკიდებლობისთვის, მაშინ ყოველთვის აღმოჩნდება ქვეყანა, აშშ იქნება თუ სხვა რომელიმე, ვინც მათ მხარში დაუდგება და დაეხმარება, მაგრამ ნებისმიერმა ერმა უნდა იცოდეს, რომ მის გასაკეთებელ საქმეს სხვა მის ნაცვლად არასოდეს გააკეთებს. ეს უნდა გვესმოდეს ჩვენც, ქართველებსაც. არსებობს საკითხები, რომლებშიც ბოლომდე შეუვალი და პრინციპულნი უნდა ვიყოთ. და ასეთ შემთხვევაში ჩვენ ძალიან ბევრი მეგობარი და მხარდამჭერი გვეყოლება, მათ შორის იმავე რუსეთში. ჩვენ შევძლებთ, გავიმარჯვოთ იმ ურთულეს ბრძოლაში, წარმატებას მივაღწიოთ იმ გზაზე, რა გზითაც მიდის დღევანდელი საქართველო.

პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას
გამოსვლა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე
24 ნოემბერი, 2000 წელი
გაზ. „დილის გაზეთი“. 25 ნოემბერი, 2000 წ. №271 (1391). გვ. 1-2

„სამართალდამცავებმა არ გააკეთეს, რაც უნდა გაეკეთებინათ“

ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, ზურაბ ჟვანიასთან

რეზონანსი: ბატონო ზურაბ, რამდენიმე დღის წინათ პარლამენტმა მიიღო 2001 წლის ბიუჯეტის კანონი, თქვენი აზრით, რამდენად ჰპირდება ეს კანონი მოსახლეობას ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ზურაბ ჟვანია: შეუძლებელია ერთ თვეში დავძლიოთ ის მძიმე პრობლემები, რაც 1998-1999 წლებში წარმოიქმნა. მოსახლეობა მალე იგრძნობს გარკვეული საბიუჯეტო წესრიგის დამყარებას თუ გაგრძელებას, თუ გაგრძელდება ის დადებითი ტენდენციები, რაც დღეს არსებობს საშემოსავლო გადასახადების მობილიზების თვალსაზრისით. ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე რომ ვთქვათ, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მაჭავარიანის სამინისტრო ახერხებს 15-20 მილიონი ლარით მეტი თანხის მობილიზებას და ყოველთვიურად, ვიდრე ეს ხდებოდა გასული წლების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი სირთულეებია, თამბაქოს პროდუქციის, ნავთოპროდუქტების დაბეგვრის თვალსაზრისით. ჩვენ არა მარტო გასული წლების ხელფასებისა და პენსიების დავალიანების გაცემაზე ვფიქრობთ, არამედ რეალური შემოსავლების ზრდაზეც, ამისათვის კი ერთადერთი გზა არსებობს, გაგრძელდეს საბიუჯეტო და საგადასახადო დისციპლინის განმტკიცება.

მე ძალიან მომწონს ის, რომ ბევრად უფრო გამკაცრდა ფინანსათა სამინისტროს პოლიტიკა. დღეს პრაქტიკულად აღკვეთილია ყოველგვარი ჩათვლები, გატარებები, რაც იწვევდა ციფრების ტრიალს ქაღალდზე და რეალური ფული არ შედიოდა ხაზინაში. ზურაბ ნოღაიდელი, ყოველი მხრიდან უზარმაზარი ზეწოლის მიუხედავად, ხარჯვის პოლიტიკაში უმკაცრეს პოზიციაზე დგას. ვფიქრობ, ეს მისი უნიკალური თვისებაა.

იმედი მაქვს, რომ 2001 წლის ბიუჯეტის კანონი, რომელიც ჩვენ მივიღეთ, შექმნის რეალურ საფუძველს, რომ გაისად საბოლოოდ დაიძლიოს კრიზისი და ეს დაეტყოს ჩვენს მოსახლეობას. გარდა გადასახადებისა, არსებობს შემოსავლის სხვა წყაროები, მაგალითად, პრივატიზაციიდან, საგარეო დაფინანსების ხარჯზე. სირთულეების მიუხედავად, დადებითი ტენდენციები აშკარაა, ისიც აღსანიშნავია, რომ ძალიან გართულდება წესრიგის საბოლოოდ დამყარება, თუ თანხების მოზიდვა დარჩება მხოლოდ ორი მინისტრის პრიორიტეტად. ჩვენ, უნდა გვესმოდეს, რომ ბიუჯეტის შესრულება უნდა იყოს ერთიანი პასუხისმგებლობის საკითხი.

„რ.“: რომელ მინისტრებს გულისხმობთ?

ზ.ჟ.: მე ვგულისხმობ, რომ ამ საქმეში ენერგიულად უნდა ჩაერთვნენ ძალოვანი მინისტრები, მაკონტროლებელი ორგანოები. არის პოზიციები, სადაც წამყვანი როლი უნდა შეასრულოს უშიშროების სამინისტრომ, მეორე შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას სასაზღვრო დეპარტამენტმა. ფისკალური პოლიტიკის გატარება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხოლოდ საგადასახადო ინსპექტორზე. ეს დამოკიდებულია იმაზე, რა დონეზეა დაცული ქვეყნის საზღვრები, აღკვეთილი კონტრაბანდა, შემცირებული ორგანიზებული დანაშაულობების მასშტაბები.

„რ.“: როგორც ჩანს ამ მხრივ ძალოვანთა მუშაობა დამაკმაყოფილებლად არ გეჩვენებათ?

ზ.ჟ.: ვფიქრობ, რომ ბევრად უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

„რ.“: რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღება რამდენად საზიანოდ მიგაჩნიათ საქართველოს ეკონომიკისთვის?

ზ.ჟ.: ჩვენ, საქართველოს ხელისუფლება, სავიზო რეჟიმის წინააღმდეგი ვიყავით. ვთვლიდით, რომ ეს იყო სრულიად ზედმეტი და ხელოვნური ბარიერის შექმნა ორი ქვეყნის მოქალაქეებს შორის ურთიერთობისათვის, მაგრამ დღეს ზედმეტი დრამატიზმის საფუძველსაც ვერ ვხედავ. გეტყვით რატომ. საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო პარტნიორია თურქეთი, რომელთანაც გვაქვს სავიზო რეჟიმი. ამას განსაკუთრებით არ შეუშლია ხელი ჩვენი მოქალაქეებისათვის. ამ ქვეყანაში ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებაში. სავიზო რეჟიმის ყველაზე სახიფათო მხარეა რუსეთის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მცდელობა, რომ განსაკუთრებული რეჟიმი შეინარჩუნონ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან, ეს რა თქმა უნდა, შეიძლება პირდაპირ იყოს განახილული, როგორც საქართველოს ტერიტორიის ფაქტობრივი ანექსიის მცდელობა.

„რ.“: გასულ კვირას რამდენიმე დეპუტატმა პირდაპირ განაცხადა, რომ ისინი არ ცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ასეთი არგუმენტიც მოიშველიეს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება არ არის რატიფიცირებული დუმის მიერ.

ზ.ჟ.: მე არ ვიცი, ამას ვინ აცხადებს. რუსეთის პარლამენტის ხელმძღვანელობა ორივე პალატიდან ერთობლივად ადასტურებს, რომ ცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მით უმეტეს, დამოუკიდებლობას. ცალკეული დეპუტატების გამონათქვამებს მე კომენტარებს ვერ გავუკეთებ, თუმცა, დასამალი არ არის, რუსეთში ბევრი პიროვნებაა, ვისაც ნამდვილად არ ეხატება საქართველოს დამოუკიდებლობა გულზე და ყველაფერს აკეთებს, რომ დღევანდელი რეალობა შეცვალოს. ასეთი ტიპის მოღვაწეები სხვა სახელისუფლებო სტრუქტურებშიც ბევრნი არიან.

„რ.“: ბოლო ხანებში აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ თქვენზე თავდასხმაა მოსალოდნელი. ჩვენი საუბრის მიმდინარეობისას ტარდება საგანგებო თათბირი, სადაც ამ საკითხს განიხილავენ. თუ ფლობთ ინფორმაციას, ეს ძალები აპირებენ თავდასხმის მოწყობას?

ზ.ჟ.: მე არ მიმაჩნია ნორმალურად ასეთ საკითხებზე საჯაროდ საუბარი, რაღაც ინფორმაციები იყო ადრეც. ალბათ იქნება მომავალშიც სათანადო სამსახურებისა და ორგანოების განსახილველი ეს ყველაფერი. საუბარი იყო არა მხოლოდ ჩემზე, არამედ სხვა სახელმწიფო მოღვაწეებზეც, საუბარი იყო პრეზიდენტზეც, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა პირებზე საერთოდ. ტერორიზმი დანაშაულის ძალიან რთული სახეა. ამიტომაც ამ საკითხის გარკვევაზე ის ხალხი მუშაობს, ვისაც ეს ევალება.

„რ.“: საქართველო ოცდამეერთე საუკუნეში შედის როგორც უაღრესად კორუმპირებული ქვეყანა. რა გზებს ხედავთ რომ ამ პრობლემას მოევლოს.

ზ.ჟ.: პროგრამა, რომელიც წარადგინა პრეზიდენტის მიერ შექმნილმა ანტიკორუფციულმა ჯგუფმა, ვფიქრობ, ძალიან საინტერესო დოკუმენტია. საინტერესო წინადადებებია კანონმდებლობის დახვეწის, სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმის თვალსაზრისით. კორუფციასთან ბრძოლა ვერ მოხდება მხოლოდ ცალკეული პიროვნებების დაჭერის გზით. მაგრამ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ აბსტრაქტული რეფორმებით სიტუაცია არ შეიცვლება.

როცა ვსაუბრობთ კორუფციის აღმოფხვრაზე, ორივე მომენტი უნდა გავითავლისწინოთ. საზოგადოება უნდა დარწმუნდეს, რომ ადამიანები, ვისაც ამხელენ კორუფციაში, რეალურად დაისჯებიან. დღემდე ამ მხრივ, სავალალო მდგომარეობაა, თუ გადავხედავთ პარლამენტის ანტიკორუფციული კომისიის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს, თითქმის არც ერთი საქმე არ არის მიყვანილი ბოლომდე, მათ შორის მთავრობის ყოფილ წევრებზეც. რომლებიც სკანდალების შემდეგ იძულებულნი გახდნენ გადამდგარიყვნენ. სამართალდამცავებმა არ გააკეთეს, რაც უნდა გაეკეთებინათ.

მე არ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ უნდა შეიქმნას ცალკე ანტიკორუფციული ორგანო. ასეთ ორგანოდ ჩვენი კონსტიტუცია ასახელებს პროკურატურას და პროკურატურა თავისი კონსტიტუციური უფლებებიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე უნდა გახდეს ის ორგანო, რომელმაც უნდა აიღოს საკუთარ თავზე ანტიკორუფციული კამპანიის გაგრძელების მთელი სიმძიმე. ამას ცხადია, დასჭირდება სერიოზული რეფორმები. ვგულისხმობ პროკურატურის საქმიანობის ფინანსურ უზრუნველყოფას. საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, თავად პროკურატურამ უნდა გააქტიუროს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.

გაზ. „რეზონანსი“. 19 დეკემბერი, 2000 წ. №346 (2121). გვ. 3

პარლამენტის თავმჯდომარე 2000 წელს ხელისუფლების მუშაობით უკმაყოფილოა

ელისო ჩაფიძე
ექსკლუზიური ინტერვიუ

„გამორიცხულია პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის კინკლაობა“

ვაგრძელებთ ექსკლუზიურ ინტერვიუს პარლამენტის თავმჯდომარესთან. ზურაბ ჟვანია საუბრობს მასსა და პრეზიდენტ შევარდნაძეს შორის დაპირისპირების თაობაზე, მოარულ ხმებზე კომენტარს უკეთებს ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ბრალდებებს და, რაც მთავარია, თვლის, რომ ხელისუფლება უფრო მომთხოვნი უნდა იყოს საკუთარი თავის მიმართ.

„რეზონანსი“: ბატონო ზურაბ, ბოლო დროს აქტიურად საუბრობენ მოქალაქეთა კავშირის დაშლაზე. როგორია თქვენი რეაქცია ამ თემაზე?

ზურაბ ჟვანია: საუბარი მოქალაქეთა კავშირის დაშლაზე მიმდინარეობს გამუდმებით იმ დღიდან, როცა 1993 წლის ნოემბერში შეიქმნა მოქალაქეთა კავშირი. ჯერჯერობით კი არც დაშლილა და არც გვემუქრება დაშლა. თვითონ ცალკეულ პიროვნებებზე არ მინდა კომენტარის გაკეთება იმიტომ, რომ კარგს ვერაფერს ვიტყვი.

„რ.“: ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ განაცხადა, რომ პარლამენტი სპეციალურად არ უხსნის იმუნიტეტს საკაშვილს, რათა ვაკეში არჩევნები გადასწიოს შემოდგომისათვის ის ბრალს გდებთ ასევე „მხედრიონთან“ ალიანსში.

ზ.ჟ.: საოცრად გამიკვირდა თავიდან რაში დასჭირდა სარიშვილს ამ თემის მუსირება და შეთხზვა ამ მითისა, რომ არსებობს რაღაც გარიგება იოსელიანსა და ჟვანიას შორის. „მხედრიონსა“ და მოქალაქეთა კავშირს შორის მეთქი. არ მესმოდა არსი, იმდენად აბსრუდული ბრალდება იყო. ჯაბა იოსელიანს განსხვავებით სარიშვილის ბევრი მეგობრისაგან, არ შევხვედრილვარ და არ შევხმიანებივარ. არანაირი საუბარი არ მქონია არც პირადად, არც ტელეფონით, არც შუამავლის საშუალებით მას შემდეგ, რაც ის გამოვიდა ციხიდან. ერთხელ შევხვდი ციხის საავადმყოფოში, როცა „ზვიადისტ“ პატიმრებს ვხვდებოდი.

აღმოჩნდა, რომ სარიშვილმა გადაწყვიტა, იყაროს კენჭი ვაკეში და ეს ყველაფერი დასჭირდა საიმისოდ, რომ წარმოაჩინოს თავი არა როგორც უბრალოდ დეპუტატობის კანდიდატმა, არამედ იმ პიროვნებამ, რომელმაც თავის თავზე აიღო ტვირთი, დაამარცხოს ერთად „მხედრიონი“ – ეს საშინელი ძალა, რომლის უკან დგას არანაკლებ საშინელი ძალა სმკ.

ყველაფერი ეს, სამწუახაროდ, აღმოჩნდა წინასაარჩევნო ფარსი. ძალიან გავრცელებული ტრიუკებია ჩვენს პოლიტიკაში რაღაც აბსურუდული ტყუილების მოგონება და შემდეგ ამისი გაუთავებელი მუსირება იმ დონემდე, რომ მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა დაიჯეროს და შემდეგ დაინახოს თვალნათლივ, რამდენად „ტიტანური ფუნქცია“ აუღია თავის თავზე ქალბატონ ირინას, დაიჯეროს, რომ ეს არ არის ბრძოლა უბრალოდ დეპუტატის ადგილისათვის. რასაც ადგილი აქვს სინამდვილეში.

რაც შეეხება სააკაშვილის უფლებამასილების მოხსნას, იმ ხალხმა, ვინც ამ თემაზე საუბრობს, ზრდილობის გულისთვის მაინც გაიხსენოს, რომ კიდევ ოთხ დეპუტატს აქვს მოსახსნელი დეპუტატის უფლებამოსილება. ჩვენ მომენტარულად მოვუხსენით უფლებამოსილება ნოღაიდელსაც. მაჭავარიანსაც, დავით კირვალიძესაც და რატომ უნდა დავხუჭოთ თვალი იმაზე, რომ სხვა დეპუტატებს აქვთ შეუთავსებლობა? თვალი უნდა დავხუჭოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არიან ოპოზიციის წარმომადგენლები და არიქა, უნდა დავეტაკოთ მიხეილ სააკაშვილს ყველანი? ბუნებრივია, ჩვენ ამას გავაკეთებთ და სათანადოდ მოვუხსნით თავისი წესით უფლებამოსილებას. ტყუილად ნუ ინერვიულებენ ამ საკითხებზე.

„რ.“: ბევრი სპეციალისტი, ვისაც გული შეტკივა, ამტკიცებს რომ დღეს დოლარის მასა უფრო მეტი ტრიალებს საქართველოში, ვიდრე ლარისა. ეს არის ის ფულადი მასა, რაც ძირითადად აღურიცხავია. როგორც წესი, ასეთი ფულის დიდი ნაწილი აქვთ იმ ადამიანებს, ვისაც პოლიტიკური გავლენა აქვს ქვეყანაში. მათ არ უნდათ, გამოაჩინონ თავის ქონება და სიდედრების, სიმამრების და მსგავსი ნათესავების სახელზე აფორმებენ ამ ქონებას. ეს ის ხალხია, ვინც მოპარული ფულით ხსნის ოფშორულ კომპანიებს თავის ანგარიშზე და შემდეგ შემოდის საქართველოში. როგორ შეიძლება დავუპირისპირდეთ ამგვარ მოვლენებს, თუ გაგაჩნიათ რაიმე გეგმა?

ზ.ჟ.: ისევ და ისევ ვუბრუნდებით შეკითხვას კორუფციასთან და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებთან მიმართებაში. მიმაჩნია, რომ კორუფციის დაძლევას სჭირდება ძალისხმევა სამი მიმართულებით: საბიუჯეტო წესრიგის საბოლოოდ დამყარება ძალიან სერიოზული ინსტიტუციონალური რეფორმები. ბოლომდე მიყვანა ამ რეფორმების, უპირველეს ყოვლისა, სამართალდამცავ სტრუქტურებში და მესამე, ეს არის ცალკეული კორუმპირებული პიროვნებების მხილება და მათთან ბრძოლა, რაც უფრო გაიზრდება გადასახადების ამოღება ბიუჯეტში, მით უფრო ნაკლები იქნება ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები, მით უფრო ნაკლები იქნება დოლარიზაციის დონე საქართველოში. მით უფრო მეტად იტრიალებს ლარი და, საერთოდ, უფრო მეტად მოექცევა ლეგალურ კალაპოტში ფინანსური ნაკადების ბრუნვა ჩვენს ქვეყანაში. სხვა გამოსავალი და სხვა რეცეპტები ნამდვილად არ არსებობს.

„რ.“: გუშინ პრეზიდენტმა კომენტარი გაუკეთა პარლამენტში „თბილკრედიტბანკის“ საკითხის განხილვას. ამ თემას მოჰყვა ხმაური, რომ თქვენ პრეზიდენტს უპირისპირდებით. რას იტყვით ამაზე?

ზ.ჟ.: არანაირი მსჯელობა პარლამენტში არ ყოფილა პრეზიდენტის ნათესავებთან დაკავშირებით. ეს საერთოდ აბსურდული ინტერპრეტაციაა.

იქ არის სრულიად კონკრეტული საკითხი, პარლამენტსაც და მთავრობასაც სჭირდება გარანტია, რომ დავალიანება, რომელიც იქნა აღებული ევროპის რეკონსტრუქციის ბანკიდან, იქნება დაფარული და არა ბიუჯეტის ხარჯზე, არამედ თავად ბანკის რესურსების ხარჯზე და ეს არის სრულიად სამართლიანი და გამართლებული მოთხოვნა, რომელსაც პირადად მეც ვიზიარებ და ვუჭერ მხარს.

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის და პრეზიდენტის ურთიერთობებს: თავი რომ დავანებოთ ამ ურთიერთობის პიროვნულ მომენტებს, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან და ქვეყნის სამომავლო პერსპექტივიდან გამომდინარე, უნდა გვესმოდეს, რომ არსებობს ძალიან დიდი უპირატესობა, რაც აქვს საქართველოს მრავალ სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყანასთან შედარებით: პრეზიდენტს ჰყავს თავისი მყარი უმრავლესობა პარლამენტში. გამორიცხულია პარლამენტს და პრეზიდენტს შორის კინკლაობა და დაპირისპირება. ეს რომ არ იყოს, დღეს ჩვენ ვიქნებოდით განუსაზღვრელად უფრო მძიმე მდგომარეობაში. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარზე უარი რომ ვთქვათ, შეშლილი უნდა ვიყოთ.

არ შემიძლია, ყოველდღე ვუკეთო კომენტარი ახალ-ახალ აბსურდულ მონაჩმახს, რაც ვრცელდება პრესაში ან საზოგადოებაში სხვადასხვა ჭორების სახით.

„რ.“: რუსეთთან ურთიერთობის რა პერსპექტივებს ხედავთ?

ზ.ჟ.: მე მხარი დავუჭირე დსთ-დან გამოსვლის საკითხის განხილვას კომიტეტის სხდომაზე. ვფიქრობ, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისგან დღეს თავი ნამდვილად უნდა შევიკავოთ. დღეს საქართველოს ურთოერთობები რუსეთთან ერთ-ერთ ძალიან რთულ ფაზაშია. ამ სიტუაციაში ჩვენ არ უნდა მივცეთ ჩვენს თავს უფლება, გავაკეთოთ რაიმე ემოციური და ნაჩქარევი შეფასებები.

ჩემთვის პირადად სრულიად ნათელია, როგორი უნდა იყოს საქართველოს საგარეო პრიორიტეტები. ჩვენი თაობის პოლიტიკოსების უმთავრესი ამოცანაა, მივაღწიოთ იმას, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. ეს შეიძლება, მოხდეს ათი წლის შემდეგ, რვა წლის შემდეგ, მაგრამ ჩვენ უნდა ვიმოძრაოთ ამ მიმართულებით. ამავე დროს, ჩვენ გაგვაჩნია უზარმაზარი ინტერესები რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით. რუსეთს გააჩნია თავისი ინტერესები ამ რეგიონში. ჩვენ, მიუხედავად ყველა დღევანდელი სირთულისა, უნდა მოვახერხოთ, საერთო ენის პოვნა.

2001 წელს უნდა გავიდეს რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოდან. 2001 წლისთვის იქნებოდა ყველაზე ოპტიმალური ახალი ჩარჩო-ხელშეკრულების დადება და რატიფიცირება. პარლამენტის როლიც დიდი იქნება.

იმედი მაქვს, რომ სიტყვიერი შეთანხმება პრეზიდენტებს – პუტინსა და შევარდნაძეს შორის რაც იქნა მიღწეული მინსკში, შესრულდება და დაიწყება უახლოეს მომავალში მოლაპარაკებები ახალი ჩარჩო-ხელშეკრულების

გაფორმებასთან დაკავშირებით, ეს არ იქნება უბრალოდ ახალი დოკუმენტი, ვფიქრობ, ეს ახალი ჩარჩო-ხელშეკრულება უნდა გახდეს ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების საფუძველი.

სავსებით ვიზიარებ პრეზიდენტ შევარდნაძის თვალსაზრისს ამ კუთხით. მან თქვა, რომ ჩვენ გვჭირდება ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება რუსეთთან. იმედი მაქვს, რომ რუსეთში ბევრად უკეთ ესმით, რომ არ შეიძლება, ჩვენი ურთიერთობების ქვაკუთხედი იყოს სამხედრო ბაზების ყოფნა საქართველოში. ამ ბაზების გარეშე ჩვენ უფრო ადვილად ავაწყობთ ნორმალურ და პარტნიორულ ურთიერთობებს. მით უფრო, ჩვენ მზად ვართ, გავითვალისწინოთ რუსეთის ლეგიტიმური ინტერესები ჩვენს რეგიონში.

„რ.“: საზოგადოებაში ჩამოყალიბდა აზრი, რომ ჩვენი ხელისუფლების გადაწყვეტილებები არის ინერციული ხასიათის და არ არსებობს სერიოზული გეგმა, რა უნდა ვაკეთოთ. ეს არგუმენტაცია მოჰყავთ ძალიან სერიოზულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობა, აფხაზეთის საკითხი, ცხინვალის რეგიონის საკითხი, დამნაშავეობასთან ბრძოლა. თქვენც ბრძანებთ, რომ ორი მინისტრის ანაბარაა დარჩენილი შემოსავლების მობილიზებისათვის ბრძოლა. პარლამენტშიც არ არის დიდი აქტიურობა ამ კუთხით. ხომ არ არის რაღაც შესაცვლელი?

ზ.ჟ.: ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვაა და მინდა, გულწრფელად გითხრათ, რომ ძალზე უკმაყოფილო ვარ 2000 წლის განმავლობაში ჩვენი საქმიანობით.

თუ კაცი დაიწყებს ამის მიზეზების კვლევას, ცხადია მიზეზები არსებობს, ეს არის გაუთავებელი შემოტევები, რაღაც გამძაფრებული კამპანია, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს წინააღმდეგ ამ ბოლო თვეებში, თუმცა საზოგადოებისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა.

საზოგადოება ელის თავისი არჩეული წარმომადგენლების მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას დღეს არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. დღეს ჩვენ უნდა გადავხედოთ ჩვენს სამოქმედო გეგმებს. ის პროგრამა, რომლითაც გამოვიდა მოქალაქეთა კავშირი არჩევნებში, საპრეზიდენტო პროგრამა, ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტებია და სწორ ორიენტირებს შეიცავს ჩვენი საზოგადოებისათვის, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ბევრად უფრო ეფექტურად შეიძლებოდა ამ პროგრამის განხორციელებაზე ზრუნვა.

დღეს საქართველო დგას ძალიან მძიმე საშინაო და საგარეო გამოწვევების წინაშე. ამ სიტუაციაში ხელისუფლებაც უნდა იყოს უფრო კონსოლიდირებული, უფრო შეკრული და მოსახლეობას უფრო ნათლად უნდა ესმოდეს საითკენ მივდივართ ჩვენ.

დასამალი არ არის, რომ დღეს საზოგადოების სხვადასხვა ფენებში არის გარკვეული იმედგაცრუება.

ჩვენ უნდა გვესმოდეს უფრო ზუსტად, რას უნდა მივაღწიოთ ორი, სამი, ათი წლის შემდეგ და საზოგადოების ყოველი წევრი უნდა ხედავდეს თავის პირად პერსპექტივას, ეს არის ის საკითხები, რომელზეც უნდა ფიქრობდეს ხელისუფლების ყველა წევრი. პირველ რიგში ამას საკუთარ თავზე ვამბობ.

ისეთი უტრირებაც არ მინდა, რომ მხოლოდ ნოღაიდელი და მაჭავარიანი ზრუნავენ ბიუჯეტის შესრულებაზე. ისინი ამის მეათედსაც ვერ გააკეთებდნენ, რომ არ იყოს სახელმწიფო მინისტრის ყოველდღიური უზარმაზარი ძალისხმევა, პრეზიდენტის გადაწყვეტილებები, მაგრამ ჩემი უკმაყოფილება შეეხება კოორდინაციას ცალკეულ სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის. შეიძლება იმას, რომ არ შეიძლება ხელისუფლების ერთი ნაწილი განიცდიდეს პრესინგს მძიმე მდგომარეობაში მყოფი საზოგადოებისაგან, მეორე კი თვლიდეს, რომ ეს მისი თავსატკივარი არ არის.

გაზ. „რეზონანსი“. 20 დეკემბერი, 2000 წ. №347 (73). გვ. 6

2001

ზურაბ ჟვანია: შანსი ძლიერი, შემტევი აგრესიული მთავრობის შექმნის

პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლა პრეზიდენტის ინიციატივასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ

სტენოგრაფიული ჩანაწერი რედაქტირებულია „დილის გაზეთში“

მე ვთხოვე უმრავლესობის ლიდერს, შესაძლებლობა მოეცა გამოვსულიყავი უმრავლესობის სხდომაზე, რათა მსჯელობა დავიწყოთ ბატონ ედუარდ შევარდნაძის, პრეზიდენტის საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივაზე. ეს არ არის ახალი იდეა, თუმცაღა, იგი პრეზიდენტმა სამიოდე კვირის წინათ უმრავლესობის საბჭოს სხდომაზე წამოაყენა ოფიციალურად. ეს იყო მისი მხრიდან ენერგიული პასუხი იმ პრობლემებზე, რაც დღევანდელ ხელისუფლებაშია. მიმაჩნია, რომ მასმედიით არ უნდა დავიწყოთ ურთიერთობა. ჯობს სამუშაო ვითარებაში შევიმუშაოთ ერთიანი პოზიცია, ჩვენგან საზოგადოება კონსტრუქციულ მსჯელობას ელის. ეს ის მომენტია, როდესაც საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ მას ჰყავს ერთიანი, შეკრული, კონსოლიდური ხელისუფლება. მე ტყუილად არ შეგახსენეთ, რა პირობებში წამოაყენა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ეს ინიციატივა. ეს მოხდა იმ მომენტში აქ არ არის ლაპარაკი ინტერვიუზე, ერთ რაიმე კონკრეტულ გამოსვლაზე, როცა თქვენ გახსოვთ, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლების ნაცვლად, ჩვენ გვყავდა ურთიერდაპირისპირებული ჯგუფებისაგან შემდგარი რაღაც ნაკრები, როდესაც არა ოპოზიციასთან დაპირისპირების გამო, არამედ, გაუთავებელი შიდა დაპირისპირების წყალობით, პრაქტიკულად სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ხელისუფლების ქმედითუნარიანობა. ამ სიტუაციაში ძალიან ბევრი ელოდა, რომ შევარდნაძე ალბათ დაუპირისპირდებოდა „მოქალაქეთა კავშირს“ და სხვა და სხვა, ამის ნაცვლად, პრეზიდენტი შემოვიდა იმ წინადადებით, რომელიც ქვეყანას სთავაზობს ახალი ურთიერთობების წესს, გვთავაზობს ჩვენ და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს, ჩემი ღრმა რწმენით, იყო ყველაზე ენერგიული და სერიოზული პასუხი იმ გამოწვევაზე, იმ პრობლემებზე, რაც იმ ხანად იდგა თითოეული ჩვენგანის წინაშე.

ახლა როგორია ის მოდელი, რომელიც პრეზიდენტმა შემოიტანა, არ დაგიმალავთ, რომ ალბათ, მე ვიყავი ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი იმ თითზე ჩამოსათვლელ ადამიანთა შორის, ვინც წინასწარ მუშაობდა საკონსტიტუციო შესწორებების მოდელზე. მაშინ მე ვთხოვე ჩემს იურიდიულ კონსულტანს – ზურაბ ადეიშვილს, მუშაობდა, აგრეთვე ჯონი ხეცურიანი, რომ საწყის ეტაპზე

როგორღაც გარკვეული ასპექტი ჩამოყალიბებულიყო, მოდელი ასახავს რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პრინციპს.

პირველი პრინციპი გახლავთ ის, რომ საქართველო რჩება რესპუბლიკად, სადაც არის ძალიან ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა, სადაც პრეზიდენტი ხდება არა სიმბოლური ფიგურა, არამედ რჩება იმ ინსტიტუტად, გნებავთ იმ უწყებად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვა და სხვა. ეს არის პრეზიდენტი, რომელიც აღიჭურვება უფლებებით, რომ ყოველგვარი ინსტიტუციური კონფლიქტის შემთხვევაში მაშინ, როდესაც ვთქვათ, წარმოიქმნება გადაუჭრელი დაპირისპირება ხელისუფლების ცალკეულ შტოებს შორის, შეასრულოს უმაღლესი არბიტრის ფუნქცია და მოაგვაროს ეს დაპირისპირება, ეს არ არის საქართველოში, ან რუსეთში შექმნილი კონცეფცია და მოდელი. ის, რომ პრეზიდენტი, როგორც უმაღლესი არბიტრი ამავე დროს აღჭურვილია განსაკუთრებული კომპეტენციებით და ფუნქციებით უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებში, არის ძალიან ტრადიციული, ევროპული მოდელი, რომელიც სათავეს იღებს ფრანგული რესპუბლიკიდან და არა ერთგზის განმეორდა მრავალ ცენტრალურ თუ აღმოსავლურ ევროპულ ქვეყანაში, ძალიან ბევრი ანალოგიური კონსტრუქციის მაგალითის მოტანა შეგვიძლია. ეს არის პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ხორვატია და ბევრი სხვა სახელმწიფო. მე არაფერს ვამბობ პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებზე, ეს მართლაც პრინციპია და შემთხვევით არ იქცა პრინციპად. მინდა პირდაპირ გითხრათ, ამ პრინციპს აბსოლუტურად ვიზიარებ. მეც მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე გასატარებელი ცვლილებები სწორედ ამ ძალიან მნიშვნელოვან პრინციპს უნდა ასახავდეს და სწორედ ეს დაფიქსირდა შემოტანილ მოდელში.

მეორე საკითხი – უკავშირდება საპარლამენტო ხელისუფლებას, საკანონმდებლო ხელისუფლებას, სხვათა შორის, მე არანაირად არ ვიზიარებ იმ შესაფებას, რომ ამ ცვლილებების შედეგად ხდება პარლამენტის შესუსტება, რომ პარლამენტი, პრაქტიკულად, სრულიად კარგავს ქმედითუნარიანობას. აქ არ არის ლაპარაკი რიგითი კანონების მიღებაზე. ლაპარაკია იმ შემთხვევებზე, როდესაც პარლამენტი ვერ ახერხებს წლის განმავლობაში მთავარი კანონის მიღებას. ამ შემთხვევაში დგება ალტერნატივა, გაკეთდეს არჩევანი კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, ან ინიშნება რიგგარეშე არჩევნები. როგორც ხდება, პრაქტიულად, ევროპული დემოკრატიების აბსოლუტურ უმრავლესობაში ან, ასე ვთქვათ, ხდება მთავრობის ხელახალი ფორმირება, დამეთანხმებით, რომ ამ ვითარებაში, როდესაც პარლამენტი ვერ ახერხებს ვერც ერთ საკითხზე უბრალო უმრავლესობას – 188 ხმას, უნდა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები, რომ აისახოს ის სურათი, რომელიც იმ მომენტისათვის არის საზოგადოებაში, საკანონმდებლო წარმომადგენლობით ორგანოში და აქაც ახალი არაფერი არ არის. სამაგიეროდ, შემოთავაზებული მოდელის პირობებში პარლამენტი აღიჭურვება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ბევრად უფრო სერიოზული კონტროლის მექანიზმებით, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების აბსოლუტური გამიჯვნის და ურთიერთ-

დაცილებულობის ამერიკული მიდგომა იცვლება სხვა მიდგომით, როდესაც პარლამენტს აქვს უფლება, პოლიტიკური შეხედულებების გამო, უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას და, პრაქტიკულად, დაითხოვოს მთავრობა. იმედი მაქვს, რომ აქ დამსწრე ჟურნალისტებიც, აღარაფერს ვამბობ დეპუტატებზე, კარგად ხვდებიან განსხვავებას იმპიჩმენტის მექანიზმსა და პოლიტიკური უნდობლობის ვოტუმს შორის. იმპიჩმენტი გულისხმობს მხოლოდ კრიმინალის, მხოლოდ კონსტიტუციის დარღვევის, მხოლოდ დანაშაულის, ასე ვთქვათ, კანონმდებლობით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში, ურთულესი პროცედურის აღძვრას.

პოლიტიკური უნდობლობის ვოტუმი გულისხმობს იმას, რომ თუ უბრალოდ პარლამენტი მიიჩნევს ან პარლამენტის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მთავრობის საქმიანობა არასაკმარისად ეფექტიანია და მისი პოლიტიკა არ შეესაბამება იმ მოლოდინს, რაც პარლამენტს აქვს და, ასე ვთქვათ, მთავრობის საქმიანობა სცდება იმ ჩარჩოებს, რაც განსაზღვრულია პარლამენტის მიერ, დგება პოლიტიკური უნდობლობის მომენტი.

პოლიტიკური უნდობლობის ვოტუმის მექანიზმი რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი ახალი ბერკეტია პარლამენტის ხელში. ეს არის მეორე პრინციპი. ამ ცვლილებების შედეგად, რა თქმა უნდა, არ უნდა მოხდეს პარლამენტის შესუსტება. მე არაფერს ვამბობ პარლამენტის კანონშემოქმედებით ფუნქციებზე, არამედ ვგულისხმობ იმ ფუნქციებს რაც განეკუთვნება პარლამენტის მხრიდან საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობებს.

მესამე პრინციპი – რომელიც საფუძვლად დაედო ამ მოდელის შექმნას. კონკრეტულად ამ მოდელის შექმნა გულისხმობს იმას, რომ ქვეყანას ჰყავდეს ის აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც ურთიერთშეკრული იქნება ერთიანი პასუხისმგებლობის მექანიზმით, რაზეც, სხვათა შორის, ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა ძალიან ზუსტად ისაუბრა შაბათის სხდომაზე. ჩვენ გვჭირდება ის აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც კონსტიტუციური მექანიზმით იქნება იძულებული, რომ აქ ერთმანეთში დაპირისპირებებსა და ინტრიგებს არ აღვივებდნენ გაუთავებლად. თითოეულ მინისტრს ეცოდინება, რომ მისი კოლეგის წარუმატებლობა ნიშნავს სერიოზული ლახვრის ჩაცემას მისი პოლიტიკური კარიერისათვის. აღარ იქნება გაგება „ჩემი სფერო“. რაღაცას ისე წარმოვაჩენ, რომ სფეროში წარმატებაა და გვერდით სფეროში კიდევ რაც უფრო მეტი წარუმატებლობა იქნება, მით უკეთესი ჩემთვის ფონის შესაქმნელად. კაბინეტური სისტემა არის კოლექტიური პასუხისმგებლობის სისტემა და აბსოლუტურად გამჭვირვალეს, ნათელს და ცხადს ხდის პასუხისმგებლობის ცნებას და მთავრდება გაუთავებელი კინკლაობა. იქნება ერთიანი გუნდი, რომელიც ერთნაირად, ყველა მიმართულებით არის პასუხისმგებელი იმაზე, თუ რა პოლიტიკა აღესრულება ქვეყანაში, რა პოლიტიკას ახორციელებს ყოველდღიურად ქვეყნის მთავრობა, ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება.

მთავრობა ამ მოდელში, რა თქმა უნდა, არ არის ის მთავრობა, რომელიც არსებობს საპარლამენტო რესპუბლიკებში. დავუშვათ, როგორიც არის გერმანიაში, ან სხვა ტრადიციულ საპარლამენტო რესპუბლიკებში, მაგრამ ეს

არის მთავრობა, აღჭურვილი ძალიან სერიოზული ავტონომიური უფლებებით. მთავრობა, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება და დამოუკიდებელი მოქმედება.

აი, ეს გახლავთ სამი პრინციპი, რომელიც მინდა, რომ ყველამ კარგად გავაცნობიეროთ. ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის შენარჩუნება, პარლამენტის არათუ შესუსტება, არამედ მისთვის დამატებითი საზედამხედველო ბერკეტის შექმნა და ავტონომიური ქმედითუნარიანი აღმასრულებელი ხელისუფლების, ანუ მთავრობის ფორმირება, რომელიც შეკრული იქნება ერთიანი, კოლექტიური პასუხისმგებლობით. აი, ეს არის უმნიშვნელოვანესი.

აქვს თუ არა შემოტანილ პროექტს ხარვეზები? რა თქმა უნდა. ჯერ ერთი, დაუსრულებლად შეიძლება თვითონ ტექსტზე მუშაობა და მისი დახვეწა და ვფიქრობ, დახვეწაზეც უნდა ვიზრუნოთ. სხდომაზეც ითქვა, რომ იქ ჩამოყალიბებული ყველა დებულება სულაც არ მიმაჩნია საუკეთესოდ, მაგრამ ვფიქრობ, რომ იგი უკვე ხელ-ფეხს გვიხსნის, პირველ ყოვლისა, ჩვენ, ხელისუფლებას, რათა ვიმოქმედოთ დღეს ქვეყანაში არსებული კრიზისის დასაძლევად. მართალი გითხრათ, არ ველოდი, რომ გუშინ პრეზიდენტი თავის კომენტარებსა თუ შენიშვნებს გაგვაცნობდა პრემიერის სავარუდო კანდიდატურებთან დაკავშირებით და, ვინაიდან, ასე მოხდა, რა თქმა უნდა, ძალიან მადლობელი ვარ პრეზიდენტის შეფასებების. მინდა გითხრათ, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რეალურად შეგვიძლია სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება და სიტუაციის დღევანდელი მდგომარეობიდან გამოყვანა. პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანია თუნდაც ის გარემოება, რაც სააკაშვილმა, მაჭავარიანმა, ნოღაიდელმა თუ გნებავთ დათო კირვალიძემ თავიანთ სფეროებში შეძლეს ამ ერთი წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ რთული პერიოდი იყო, რთული, როგორც ბევრი ობიექტური მიზეზის, ასევე იმ ვითარებისა და ურთიერთობების გამო, რაც სახელისუფლებო სტრუქტურებში არსებობდა.. მათ შეძლეს იმის დემონსტრირება, რომ საქართველოში მართლაც შეიძლება დღეს არსებული პრობლემების დიდი ნაწილის დაძლევა. თუ მთავარი იქნება არა ფულის მოხვეჭა, არა ინტრიგები, არამედ ფიქრი იმ პრობლემების მოგვარებაზე, რაც ჩვენ, საზოგადოებას გვაწუხებს.

როდესაც კომენტარებს ვკითხულობ იმის შესახებ, რომ ჟვანიასთვის ეს ძალიან დიდი განსაცდელი იქნება და კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება მისი პოლიტიკური კარიერა, ვფიქრობ, რომ ჩვენც არც ერთი არა ვართ კოშკში ჩაკეტილი მზეთუნახავები, ჩვენ პოლიტიკაში სწორედ იმიტომ ვართ, რომ გვსურს და შეგვიძლია ჩვენი ამომრჩევლის და ჩვენი მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტა. ხალხი ელოდება, რომ ჩვენ დავძლევთ დღეს ქვეყანაში გამეფებულ სტაგნაციას, ისინი ჩვენგან ენერგიულ და უფრო მეტიც, აგრესიულ გადაწყვეტილებებს ძალიან ბევრი საკითხის საბოლოოდ მოგვარებას ელოდებიან. ნაცვლად ლამაზი გამოსვლებისა და სიტყვებისა, ხალხი კონკრეტულ ქმედებებს, თავისი ცხოვრების კონკრეტულ გაუმჯობესებას ელის და ამ ხალხს მე უნდა ვუპასუხო, რომ იცით, მე აქ, პარლამენტში ბევრად უფრო დაცული ვარ? რა

თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, თუ ისე წარმოვიდგენთ, რომ ეს შენობა და, საერთოდ სახელისუფლებო კვარტალი ცალკე აღებული კუნძულია და მოსახლეობა სადღაც ცალკე არსებობს, მაშინ დღევანდელი სიტუაცია ჩემთვისაც და თითოეული თქვენგანისთვისაც იდეალური იქნება.

სახელმწიფოში აბსოლუტურად ხელშეუხებელი და რეალურად მეორე პირი დღევანდელი პარლამენტის თავმჯდომარეა, რომელსაც 2003 წლის შემოდგომის ბოლომდე დედამიწის ზურგზე არანაირი საფრთხე არ ემუქრება. იმდენად ასმაგად დაცულები ვართ ჩვენი იმუნიტეტებით, პრივილეგიებით და სხვა, დღეს ჩვენი ერთადერთი ფუნქცია კრიტიკაა. დავდგეთ და დავუქნიოთ თათი, რა ცუდია, რომ პენსიამ ისევ დაიგვიანა. მერე კიდევ უფრო ხმამაღლა და უფრო მაგრად შევძახოთ, რომ მასწავლებლებს ისევ დაუგვიანდათ ხელფასები და ამით შევიქციოთ თავი. იმედი მაქვს, ყველანი ვხვდებით, რომ ამგვარი თამაშების ყოველგვარი რესურსი დღეს ამოწურულია. დღეს დადგა იმის დრო, რომ ნამდვილად უზრუნველვყოთ პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის დროს წამოყენებული მთავარი ლოზუნგის შესრულება – 180 გრადუსით ეკონომიკისაკენ შემობრუნება, დღეს დადგა იმისი დრო, რომ ქვეყანაში საბოლოოდ დაიწყოს რეალური ეკონომიკური აღმავლობა. საბოლოოდ დასრულდეს ის პროცესი, რაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაიწყეს ჩვენმა მეგობრებმა, ვინც შესაბამის სამინისტროებს ხელმძღვანელობს, სწორედ ეს არის მთავარი და კიდევ, ქვეყანაში საბიუჯეტო წესრიგის საბოლოოდ დამყარება. აუცილებელია არა იმაზე ფიქრი, თუ ვისი რეპუტაცია და ავტორიტეტი რა შემთხვევაში და რა მდგომარეობაში იქნება უფრო მეტად დაცული. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო ის მიდგომა, რომელიც გამოჩნდა, დავუშვათ, მაჭავარიანისა და მანამდე ბარამიძის წასვლაზე შემოსავლების სამინისტროში, რადგან ჩემთვის მიუღებელია აზრი, რომ „კარგი ბიჭია“ და ცოდოა, რომ გავუშვათ. პოლიტიკაში არ უნდა არსებობდნენ „კარგი ბიჭები“. უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც რაღაცის კეთების უნარი შესწევთ. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ წარმოუდგენელი სირთულეების მიუხედავად ისინი შეძლებდნენ სერიოზული შედეგების მიღწევას ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მიუხედავად ოპოზიციის ყიჟინისა, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს შესაძლებელი იყო და დღესაც სრულად დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ბევრი რამის შეცვლა შეგვიძლია. **პირადად მე აუარებელი გეგმა მაქვს, აუარებელი კონკრეტული პროექტი და მჯერა, რომ თუ საპარლამენტო უმრავლესობის, მთავრობის, რა თქმა უნდა, ამ გუნდის ლიდერის – ქვეყნის პრეზიდენტის ერთიანი ნება იქნება, დედამიწის ზურგზე ვარვინ შეგვიშლის ხელს ამ გეგმის განხორციელებაში და შევძლებთ დავუდასტუროთ და დავანახოთ ჩვენს მოსახლეობას, რომ ლამაზი გამოსვლებითა და ლამაზ-ლამაზი თეორიული ფორმულირებით მათი კვების ნაცვლად, რეალურად შეგვიძლია გავუუმჯობესოთ ყოფა, ყოველდღიური ცხოვრება, დავარწმუნოთ ხალხი, რომ მართლაც შეგვიძლია შევქმნათ ის ქვეყანა, რომელზეც ამდენს ვსაუბრობთ, აი, ეს არის ჩვენი უმთავრესი ზნეობრივი მოვალეობა. სხვა ყოველგვარი მიდგომა, უბრა-**

ლოდ, ჩვენი ამომრჩევლებისა და მოსახლეობის გასაჭირით მანიპულირებად მიმაჩნია.

ძალიან მინდოდა ჩემს მეგობრებსა და ჩემს თანამებრძოლებს მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად სცოდნოდათ ჩემი ეს დამოკიდებულება. რაც შეეხება იმას, თუ რატომ დარჩება ძალოვანი სტრუქტურები პრეზიდენტის გარკვეული გავლენის ქვეშ, მე ამით დავიწყე და კიდევ ერთხელ ვამბობ, პრეზიდენტი ამ სისტემაში რჩება ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის უპირველეს გარანტად, ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე სამინისტრო მინისტრთა კაბინეტიდან ცალკე იდგება, რადგან ყველა მექანიზმი, დანიშვნით დაწყებული და ერთობლივი პასუხისმგებლობით, პასუხისმგებლობის განხორციელებით დასრულებული, იქნება თანაბარი, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ცხადია უწყებებთან, ეროვნული უშიშროების საბჭოს ჩარჩოებში, თუ უშუალო ურთიერთობების გზით, პრეზიდენტს ექნება ბევრად უფრო ინტენსიური ურთიერთობები, რადგან პრეზიდენტს რჩება მისი განსაკუთრებული პასუხისმგებლობები ამ სფეროში და ამაში ვერაფერს ვხედავ დრამატულს, რაც შეუძლებელს ხდის ამ გადაწყვეტილებების მიღებას, რაზეც მე ვსაუბრობ.

დღეს მიმაჩნია, რომ ჩვენი გუნდის, პარტიის და ჩვენი უმრავლესობის მთავარი ამოცანა უნდა იყოს სრული კონცენტრირება ეკონომიკურ საკითხებზე, ეკონომიკურ ზრდაზე. ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაზე, საბიუჯეტო წესრიგის საბოლოო დამყარებაზე. რადგან სწორედ ეკონომიკაზეა დამოკიდებული ის, რომ ჩვენს თავდაცვის მინისტრს არ ჰქონდეს სიმბოლური და მიზერული ბიუჯეტი. სწორედ ეკონომიკურ წარმატებაზეა დამყარებული ის, რომ სერიოზული არგუმენტები და ბერკეტები შევქმნათ აფხაზეთის, ან ცხინვალის პრობლემების მოსაგვარებლად და ნებისმიერ სფეროში ჩვენი წინსვლა და წარმატება ამაზეა დამოკიდებული და ბოლოს და ბოლოს, სწორედ ეკონომიკურ წარმატებაზეა დამოკიდებული ის, რომ ამ ქვეყანაში ძალიან ბევრ ადამიანს არ უჩნდებოდეს, თუნდაც შინაგანად ხმამაღალი პროტესტის გარეშე შეკითხვა, გვჭირდებოდა კი ჩვენ საერთოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა? ჩვენ თანდათან იმდენად დრამატულ და იმდენად ტრაგიკულ ზღვარს მივაღწიეთ ერთმანეთის გაუთავებელი მოფრთხილებით, მზეთუნახავის პრინციპის შენარჩუნებით.

არ მინდა დიდხანს შეგაწყინოთ თავი, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ პირადად მე მიმაჩნია, იქნება სრული უზნეობა ამ სიტუაციაში რაღაც დამატებითი ინტრიგების ხლართვა და რაღაც ფსევდო ისტორიული კონსტრუქციების შექმნა. **თუ ვინმეს აწუხებს, რომ ჟვანია მიიღებს შეთავაზებას და მერე გადააგდებენ, მოისვრიან, დაითხოვენ და სხვა, პირდაპირ გეტყვით, თუ ჟვანია გადავა მთავრობაში, შეიქმნება ერთიანი მთავრობა და ის თავისი მოღვაწეობით დაარწმუნებს თავის მოსახლეობას იმაში, რომ მართლაც შეუძლია აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც ისევე წარმატებით მოღვაწეობა, როგორც სხვა სფეროებში, მაშინ ნამდვილად არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენენ არც ჟვანია და არც მისი მეგობრები ამ საზოგადოები-**

სათვის. მაშინ მართლაც არა აქვს არანაირი მნიშვნელობა იმას, ჟვანია მივა იქ სათავეში თუ... არ მინდა გვარების დასახელება. ამიტომაც ვაცხადებ, რომ მე ვიცი, ჩვენ ამის გაკეთება შეგვიძლია. ამას სჭირდება ის ხედვა, რომელიც ჩვენ გვაქვს. ჩვენ გვაქვს ყველაფერი საიმისოდ, რომ გამოვასწოროთ მდგომარეობა და მოსახლეობა დავარწმუნოთ იმაში, რომ სამართლიანად და სწორედ მოგვცეს თავის დროზე ხმები, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობად აგვირჩიეს. ახლა არ მინდა შევეხო და ჩვენი ოპონენტების პოზიცია ვშიფრო, არ მინდა, ძალიან ბევრი ვისაუბრო ამაზე იმიტომ, რომ შაბათსაც, როდესაც გარკვეული ემოციური მუხტი გვქონდა ყველას, ვფიქრობ, საკმაოდ გასაგებად გამოვხატე პოზიცია ამ მოდელთან დაკავშირებით, და დარწმუნებული ვარ, შემიძლია ეს, უმრავლესობის სახელითაც ვთქვა, ჩვენ გახსნილები ვიქნებით ნებისმიერი სერიოზული კონსულტაციებისათვის. არ ვიცი, რატომ უკავშირებენ ამას ამ საარჩევნო კანონმდებლობას ან თვითმმართველობას, იმიტომ, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში ორივე ამ საკითხზე ჩვენ ინტენსიურ კონსულტაციებს ვატარებთ ჩვენს ოპონენტებთან, რომ გვდომებოდა მათი მონაწილეობის გარეშე გადაწყვეტილებების მიღება, ყველამ შესანიშნავად იცის, არა მხოლოდ პარლამენტში, არამედ მის გარეთაც, რომ 118 ხმის პრობლემა ჩვენ არც გვქონია და არც შეგვექმნება. ჩვენ მივდიოდით ამ გზით, მიუხედავად იმისა, რომ მტკივნეული იყო ეს პროცესი, იმიტომ, რომ გადაწყვეტილებები უნდა მოიძებნოს კომპრომისების გზით, ერთიანი მიდგომების შექმნის გზით, ამდენად, მინისტრთა კაბინეტის იდეა უკავშირდება კანონმდებლობისათვის აბსოლუტურად უადგილოდ და უაზროდ მეჩვენება, თუმცა, ამ საკითხზეც მზად ვართ კონსულტაციებისათვის.

რაც შეეხება ვაჭრობას, კიდევ ერთხელ გავიმეროებ, აქ ჩემი პირადი პოზიცია იქნება სრულიად კატეგორიული, რადგან აღმასრულებელი სტრუქტურა და ხელისუფლება, სადაც ათასგვარი ინტერესი პოლიტიკური, ფინანსური, ჯგუფური თუ სხვისი იქნება ურთიერთგადაკვეთილი და ურიერთდაპირისპირებული. დღეს უკვე გვაქვს და საქართველოს უკვე აღარ აქვს ექსპერიმენტების ჩატარების არანაირი დრო და საშუალება. ჩვენ გვჭირდება ერთიანი აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც იქნება რეალურად ქმედითუნარიანი და შეკრული ერთიანი იდეით და ერთი ნებით. თუ დაფიქრებულხართ, ჩემს მეგობრებს მინდა ვკითხო, ვინც ამდენ შეკითხვას სვამს ამ კაბინეტთან დაკავშირებით. რატომ მოხდა ისე, რომ ფრაქციები, რომლებიც ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ ქადაგებდნენ კაბინეტის იდეას და მის აუცილებლობას, ასე ურცხვად, 180 პროცენტით რატომ იცვლიან პოზიციას?! ამიტომ, ჩემო ძვირფასებო, რომ ისინი, ისევე როგორც მე და უმეტესობა თქვენგანი, ანუ ჩვენი ოპოზიციაც, დარწმუნებულია იმაში, რასაც მე გეუბნებით, რომ ჩვენ შეგვიძლია ცვლილებების შეტანა და სერიოზული წარმატების მიღწევა. ეს იციან მათაც, აი, ამით აიხსნება ეს მეტამორფოზები.

ვიდრე ისინი ფიქრობდნენ, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში შევარდნაძესა და ჟვანიას შორის მაინც მოხერხდა რაღაც ინტრიგის შექმნა და, რომ შევარდნაძის მიერ ახალი კაბინეტის შექმნა ნიშნავდა კიდეც ერთი ახალი ფი-

გურის გამოჩენას, რომ უფრო გაძლიერებულიყო პრეზიდენტს, პარლამენტს და მთავრობას შორის დაპირისპირება, ტაშს უკრავდნენ ამ იდეას. იმიტომ, რომ მათი მიდგომა არის ძალიან მარტივი – რაც უფრო დაპირიპისრებულია ხელისუფლება, სამწუხაროდ, ჩვენი ოპოზიციის ერთი ნაწილისათვის უკეთესია. ამ დებატებში გამოიკვეთა, რომ ჩვენს ოპონენტებს შორის არის ხალხი, ვინც სერიოზულად ფიქრობს, როგორი გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ და არის ხალხი, ვინც გახსნილად აცხადებს, პრაქტიკულად უკვე ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, რაც უფრო უარესი იქნება, მეტად უკეთესი იქნება, რაც უფრო სუსტი იქნება ქართული ხელისუფლება, მით უკეთესი იქნება, მე ძალიან გთხოვთ, რომ ეს ფონი და მიდგომები კარგად გავითვალისწინოთ, როდესაც თქვენს მიდგომებს და თქვენს შეხედულებებს აყალიბებთ.

პრეზიდენტის ეს ინიციატივა არის ჩვენთვის შანსი, ეს არ არის, რა თქმა უნდა გარანტირებული წარმატება, რომ არიქა, ახლა დაფითა და ზურნით აღვნიშნოთ დიდი გამარჯვებები. ეს არის შანსი იმისა, რომ ამ ქვეყანას ჰყავდეს მძლავრი, შემტევი და ენერგიული, აგრესიული თავის კეთილშობილური მიზნების მიღწევაში ხელისუფლება და მე მაინტერესებს, ვის ეყოფა იმის გამბედაობა, რომ ამ სიტუაციაში, რომელიც დღეს არის საქართველოში, ვთქვათ, ჩვენ არ გვსურს გამოვიყენოთ ეს შანსი. შანსი არა ჩვენი, პოლიტიკოსების, არამედ ჩვენი მოსახლეობის.

გაზ. „დილის გაზეთი“. 16 მაისი, 2001 წ. №109 (1530). გვ. 2-19.
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
16 მაისი, 2001 წ. №116 (3857). გვ. 1-2

„ყველა ქართველი უნდა გრძნობდეს, რომ ქვეყანაში არის პოზიტიური დინამიკა“

აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია

ესაუბრა გიორგი ასანიშვილი

საქართველოს მოქალაქეები ერთგვარი გაორების გრძნობით ხვდებიან 26 მაისს – დამოუკიდებლობის დღეს: ერთი მხრივ, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო დე-იურედ, ფორმალურად ნამდვილად არსებობს – ამ ფაქტს მსოფლიო თანამეგობრობაც აღიარებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენი სახელმწიფოებრიობა, სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა მყიფეა და არამყარი. მაინც რა სტადიაში ვიმყოფებით ამჟამად და რა გვიშლის ხელს, რომ ნამდვილად ძლიერ ქვეყნად ჩამოვყალიბდეთ?

ქართული სახელმწიფოებრიობა არც ისე მყიფეა, როგორც ზოგჯერ გვიყვარს ხოლმე ამის გაზვიადება, არადა, ეს ნამდვილად ახასიათებს ქართულ საზოგადოებას – ხშირად ერთმანეთს ვეჯიბრებით, არსებულ ვითარებას ვინ უფრო მუქ ფერებში დახატავს. მართალია, პრობლემები ძალიან ბევრი და მწვავეა, მაგრამ პირადად ჩემთვის არ არსებობს კითხვის ნიშანი, დასმული ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობა-არარსებობის საკითხთან. როგორიც არ უნდა იყოს ხელისუფლება, მისი წარუმატებლობა თუ წარმატებები, მე, როგორც ამ ქვეყნის ერთ-ერთ მოქალაქეს, მიმაჩნია და დარწმუნებული ვარ, რომ თემა – უნდა იყოს თუ არა ჩვენი ერი თავისუფალი, ჰქონდეს თუ არა მას სუვერენულობა საკუთარი მომავლის განსაზღვრაში – უკვე ამოწურულია ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი. ეს ის საკითხია, რომელშიც ყველანი ერთიანნი უნდა ვიყოთ. განსხვავებული პოზიციების არსებობა წარმოუდგენლად მიმაჩნია.

დამოუკიდებლობის მორიგ წლისთავს საქართველო მმართველობის ფორმის ძიებაში ხვდება. ქვეყნის ხელისუფლება აცხადებს, რომ დღეს არსებული მმართველობის სისტემა იქცა მუხრუჭად, რომელიც წინსვლის საშუალებას არ იძლევა. ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის ასეთი შეფასება? ნუთუ, მხოლოდ „ამერიკული მოდელია“ ჩვენი ყველა უბედურების სათავე? ამით ხელისუფლება ხომ არ ცდილობს საკუთარი შეცდომებისა და სუბიექტური მიზეზებით გამოწვეული სირთულეების განეიტრალებას?

ჩვენი პრობლემის სათავე, რა თქმა უნდა, მხოლოდ მმართველობის არსებული მოდელი არ არის, მაგრამ არც იმაზე შეიძლება თვალის დახუჭვა, რომ ეს მოდელი თავის თავში ბევრ შეუსაბამობას შეიცავს. თავის დროზე, 1995 წელს, პირადად მე აღნიშნული მოდელის მიღების წინააღმდეგი ვიყავი. ველოსიპედების გამოგონება არ მიყვარს: ის, რაც კარგია ანგლო-საქსური პოლიტი-

კური ცივილიზაციის ქვეყნისთვის (მაგალითად, საზოგადოებაში არსებული ტრადიციები, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ლოიალობაში გამოხატული), ხმელთაშუა ზღვის პოლიტიკური ტემპერამენტისა და კულტურის მატარებელ სახელმწიფოებში ვერ იმუშავებს. ექვსი წლის წინათ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციურ მოდელზე ვფიქრობდი, უპირველესად, მაინტერესებდა ისეთი ქვეყნების გამოცდილება, როგორებიც არიან იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი და ასე შემდეგ – ამ სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელია, რბილად რომ ვთქვა, დინამიკური პოლიტიკური ცხოვრება, აქ ხშირია პოლიტიკური კრიზისები. ამიტომაც არის აუცილებელი, რომ აღნიშნული „ტიპის“ ქვეყნების ძირითადი კანონი შეიცავდეს კრიზისების კონსტიტუციური დაძლევის მექანიზმებს. ერთ შემთხვევაში, თუ კრიზისი ყოვლისმომცველი არ არის, ეს მთავრობის ცივილიზებული, კონსტიტუციური გზით შეცვლის მოდელია, ხოლო, მეორე შემთხვევაში, თუ კრიზისი უფრო ღრმაა, მოიცავს მთელ საპარლამენტო სპექტრს და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო კარგავს ქმედითუნარიანობას, მაშინ შექმნილი ვითარებიდან გამოსვლა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მეშვეობით შეიძლება.

დღევანდელი ჩვენი მოდელი ამგვარ მეხამრიდებს მოკლებულია, რაც მის სერიოზულ ნაკლოვანებად მიმაჩნია, თუმცა, სულაც არ მინდა შევქმნა იმის ილუზია, თითქოს ჩვენი პრობლემები მხოლოდ სისტემური ხასიათის მოუწესრიგებლობიდან მომდინარეობს და კონკრეტული პიროვნებების მიმართ პრეტენზია არ გაგვაჩნია. ეს უკანასკნელიც საკმაოდ სერიოზული ფაქტორია, მაგრამ მის გამოსწორებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებაში პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის მეტ გამჭვირვალობას და უშუალობას. არადა, ეს საკითხი დღეს ძალზე ბუნდოვანი და დაურეგულირებელია.

როდესაც პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღებაზეა ლაპარაკი, ამის აუცილებლობას იმით ხსნიან, რომ ამ შემთხვევაში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში დამკვიდრდება გუნდური პასუხისმგებლობის პრინციპი და აღარ შეეცდებიან პირადი პასუხისმგებლობა სხვას გადაბრალდეს. ხშირად იმასაც აცხადებენ, თითქოს გაურკვეველია, თუ რაში გამოიხატება მინისტრების პასუხისმგებლობა, არადა, ეს ასე არ არის: საქართველოს კონსტიტუცია საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრავს მინისტრთა პასუხისმგებლობის საკითხს. კერძოდ, ძირთიადი კანონის 79-ე მუხლში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „მთავრობის წევრები პასუხისმგებელნი არიან საქართველოს პრეზიდენტის წინაშე“. ამდენად, თუ ისინი თავის მოვალეობას ვერ ასრულებენ, მათი თანამდებობიდან გადაყენება პრეზიდენტისთვის პრობლემა არ უნდა იყოს, ანუ ცუდი მინისტრი თანამდებობაზე დიდხანს ვერ უნდა ძლებდეს. თუ ეს პრინციპი მუშაობს, რატომ გვაქვს ასე ცუდად საქმე აღმასრულებელ ხელისუფლებაში?

თუ გადავხედავთ საქართველოს ბოლო ხუთი წლის ისტორიას, დავინახავთ, რომ ძალიან ბევრი მინისტრი შეიცვალა. ვერავინ იტყვის, რომ პრეზიდენტი ამ საკითხებს უყურადღებოდ ტოვებს და არ იყენებს კონსტიტუციით

მისთვის მინიჭებულ უფლებას. აღნიშნულ პერიოდში თითქმის ორჯერ მოხდა მთავრობის შემადგენლობის განახლება, მაგრამ ამ შემთხვევაში, ალბათ, საკითხისადმი უფრო სხვა მიდგომაა საჭირო.

მაგალითად, როდესაც საბიუჯეტო პრობლემებზე ვსაუბრობთ, ჯერ უნდა გავარკვიოთ, ყველაფერში დამნაშავე არის თუ არა მხოლოდ ცალკეული პერსონა, ვთქვათ, საგადასახადო შემოსავლების მინისტრი (ფინანსთა მინისტრთან ერთად). რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. უნდა არსებობდეს ის მაკოორდინებელი რგოლი, რომელსაც შესაძლებლობა ექნება, ერთიანად უზრუნველყოს საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროგრამების რეალიზება.

ამის თაობაზე თვეების განმავლობაში განუწყვეტლივ საუბრობდა როგორც ოპოზიციის ძირითადი ნაწილი, ისე უმრავლესობის არაერთი წარმომადგენელი.

როდესაც საქმე გვექნება გუნდურ პასუხისმგებლობასთან, ხომ არ გაძნელდება საქმის წახდენაში კონკრეტული დამნაშავის პოვნა?

ასე ნამდვილად არ მოხდება. ახალი მოდელის პირობებში პრეზიდენტი, პრაქტიკულად, ინარჩუნებს ყველა უფლებას, რაც მას დღეს აქვს. მეტიც, პრეზიდენტის ინსტიტუტი კიდევ უფრო ძლიერდება. სამაგიეროდ, გამოირიცხება ის, რაც დღევანდელი ხელისუფლების მთავარ სენს წარმოადგენს – გაუთავებელი შიდა დაპირისპირებები და ინტრიგები, ერთმანეთის დასმენები საზოგადოების, ქვეყნის ხელმძღვანელების და პარლამენტის წინაშე და ასე შემდეგ. ხელისუფლებაში მყოფთ ისეთივე შეგრძნება უნდა ჰქონდეთ, როგორიც ერთ თოკში ჩაბმულ მთამსვლელებს (და ამ თოკს სახელად ერქვას პასუხისმგებლობის განცდა). ერთ უწყებაში საქმიანობის ჩავარდნა ყველა დანარჩენ ხელმძღვანელ მუშაკშიც სრულიად ბუნებრივ ადამიანურ შეშფოთებას უნდა იწვევდეს.

წელს, შემოდგომაზე არჩევნების ახალი „სეზონი“ იწყება, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები „გახსნის“. ამას მოჰყვება 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები, პრეზიდენტის არჩევნები... რა ახალ რეალიებს უნდა ელოდნენ საქართველოს მოქალაქეები მომავალი, ახალი ხელისუფლებისგან და ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობისგან?

ჯერ კიდევ არჩევნებამდე დღევანდელი ხელისუფლება ვალდებულია, გადადგას ბევრად უფრო ენერგიული ნაბიჯები დღეს არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. ყველა ქართველი უნდა გრძნობდეს, რომ ქვეყანაში არის პოზიტიური დინამიკა. შეიძლება დღეს მრავალი პრობლემა გვაწუხებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ვმოძრაობთ სწორი მიმართულებით. ყველაზე დიდი პრობლემა, ჩემი აზრით, საზოგადოების წინაშე მაშინ დგება, როდესაც ქრება იმედის, მოლოდინის განცდა, არადა, სამწუხაროა, რომ ამჟამად ძალზე ახლოს ვართ ამ მდგომარეობასთან. ამიტომაც განვაცხადე, რომ დღეს ხელისუფლება უნდა იყოს აგრესიული თავისი კეთილშობილური მიზნების მიღწევაში, დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ აქვს არსებულ პრობლემათა გადალახვისთვის საჭირო ნებისყოფა.

რაც შეეხება არჩევნებს, ვფიქრობ, რომ სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები გახდება საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა: ჩამოყალიბდება ბევრად უფრო სრულფასოვანი თვითმმართველობის სტრუქტურები და თავად „თვითმმართველობის“ ცნებაც, პრაქტიკულად, გაცილებით ხელშესახები და რეალური გახდება. ეს ნიშნავს, რომ ამ არჩევნების შემდეგ ჩვენ ყველანი შევუდგებით ძალიან საინტერესო სწავლის პროცესს – უნდა ვისწავლოთ განსხვავება, რა არის თვითმმართველობის პასუხისმგებლობის სფერო და რა – ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივა. ამჟამად ჩვენ მხოლოდ სახელმწიფოებრიობის საწყისებთან ვიმყოფებით და ამდენად, ამ ეტაპზე მრავალი საკითხის მოგვარება დამოკიდებულია არა მხოლოდ უმაღლესი ხელისუფლების ნებაზე, არამედ იმაზეც, რომ თითოეულმა ჩვენმა თანამოქალაქემ ახალი გამოცდილება და ჩვევები შეიძინოს. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოცდილებას, რომელიც ბევრი პრობლემის გადაწყვეტაში დაგვეხმარება, სწორედ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ახალი ორგანოების ფორმირების და მათი ფუნქციონირების პროცესში შევიძენთ.

ძალიან შორს აღარც ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებია. მოასწრებს მმართველი ძალა შეპირებათა საკმაოდ ვრცელი ნუსხის რეალიზებას?

ამაზე ადრეა ლაპარაკი. ჯერ ჩვენი საარჩევნო ვადის შუაწელშიც არა ვართ. მზად ვართ, ამ თემას გარკვეული დროის შემდეგ დავუბრუნდეთ.

გაზ. „დილის გაზეთი“. 26 მაისი. 2001 წ. №118 (1539) გვ. 4

„საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებას ცნობს ყველა, მათ შორის რუსეთი და ევროკავშირის წევრი ქვეყნები“

რადიო რადიკალი
ბრიუსელი, 26 ივნისი, 2001 წელი.

ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიასთან.

გასულ წლებში, ევროპის პოლიტიკისათვის საქართველო შორეულ, უცხო ქვეყნად მოიაზრებოდა, მაგრამ ახლა, ევროკავშირისა და საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის ბოლო შეხვედრის შემდეგ, ორმა მხარემ გამოსცა დასკვნითი განაცხადი, რომელშიც ნახსენებია საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების შესახებ. გასულ თვეში რა შეიცვალა ისეთი, რამაც განაპირობა თქვენი ასეთი „წარმატება“?

არა მგონია, ის ცვლილებები, რაზეც თქვენ მიანიშნეთ, მხოლოდ გასულ თვეში მომხდარიყო. ორი მხარის გაერთიანებული საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის რეზოლუციაში ასახულია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის განვითარებისა და გაღრმავების პროცესები. საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე ჩვენ მართლაც ნაკლებად ვაღელვებდით მსოფლიოს. სამხრეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებისა და შუა აზიის ქვეყნების მსგავსად, ევროპელებს საქართველო მართლაც უცხო და გაუგებარ ქვეყნად ეჩვენებოდათ. ამან ხელი შეუწყო 90-იანი წლების საქართველოში მომხდარ მოვლენებს, მაგრამ გასული 7-8 წლის განმავლობაში, ბევრი პრობლემის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა ნათლად გამოხატა ნება, აეშენებინა დემოკრატიულ ინსტიტუტებზე დაფუძნებული ქვეყანა. რაც ყველაზე მთავარია, ქართველმა პოლიტიკოსებმა ნათლად გამოხატეს თავიანთი პოზიცია საქართველოს დიდ ევროპულ ოთახში გაერთიანებაზე. ჩვენ ძალზე მოხარულნი ვართ, რომ სულ უფრო და უფრო მეტი ევროპელი პოლიტიკოსი ცნობს საქართველოს ისტორიულ როლს ევროპულ გაერთიანებაში და ეჭვი არ ეპარება მისი მიზნების ლეგიტიმურობაში. ასეთ პოლიტიკოსთაგან ერთ-ერთია რადიკალური პარტიის წარმომადგენელი, ევროპარლამენტის წევრი ბატონი ოლივიერ დუპესი. იგი ჩემი კარგი მეგობარია და მას არაერთხელ საჯაროდ უსაუბრია ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი რეგიონის მნიშვნელოვან პრობლემებზე. ვიმედოვნებთ, რომ მიღებულ რეზოლუციაში ნახსენები „ერთი-ორი სიტყვა“ იმის მაჩვენებელია, რომ ევროპელები მზად არიან საქართველოს ევროკავშირის კარი გაუღონ.

რას ნიშნავს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის ევროკავშირში გაერთიანების გრძელვადიანი პერსპექტივა?

თქვენ კარგად უნდა გესმოდეთ, რომ ქართველები ძალიან ესწრაფვიან დიდ ევროპულ ოჯახში გაერთიანებას. ორი საუკუნის განმავლობაში ჩვენ იძულებით ვიყავით გასახლებულები.

თქვენ აღნიშნეთ, რომ ევროკავშირში გაერთიანება პოლიტიკური ფენის ნებაა. აქვს თუ არა იგივე სურვილი რიგით ქართველ მოქალაქეს?

ალბათ, ძნელად აღსა???დელი იქნება ის განცდები და ემოციები, რასაც საქართველოს მოქალაქეები განიცდიდნენ ევროსაკონსულოში საქართველოს გაწევრიანების დღეს. ქართველებისთვის ეს არ იყო კიდევ ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანების ტოლფასი. ეს მათთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა. ამდენი ისტორიული ჭიდილის მერე, ევროპის საკონსულოს წევრებმა ცნეს საქართველოს არა მხოლოდ გეოპოლიტიკური, აგრეთვე პოლიტიკური, ისტორიული და კულტურული როლი მსოფლიო საზოგადოებაში. და ეს დღე ყველა ქართველისათვის მართლაც დღესასწაული იყო.

როდის აპირებთ ოფიციალური კანდიდატურის წარდგენას ევროგაერთიანებაში. ეს იქნება აზერბაიჯანთან თუ სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყანასთან ერთად?

ეს მხოლოდ ჩვენს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. რადგან ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკვე დროა, დაიწყოს დისკუსია საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების თაობაზე. ეს იქნება პირველი პრაქტიკული ნაბიჯი საქართველოს იურისდიქციის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესში. მე ოპტიმისტი ვარ და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი პარლამენტარობის პერიოდში, შეიძლება ამ ვადაში არა, მაგრამ მომავალ ვადაში, მომავალი ათი წლის განმავლობაში საქართველოს აქვს რეალური პერსპექტივა, გახდეს ევროგაერთიანების წევრი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მას ცნობს ყველა, მათ შორის რუსეთი და ევროგაერთიანების სხვა წევრი ქვეყნები.

დიდი მადლობა ინტერვიუსათვის.

პირიქით, მე გიხდით მადლობას.

მოამზადა შორენა შავერდაშვილმა

გაზ. „დილის გაზეთი“. 28 ივნისი, 2001 წ. №146 (1567). გვ. 2

ზურაბ ჟვანია: გაიხსენეთ დედა ელისაბედი და ნუ იტყვით, რომ საქართველოს მოღვაწეები აღარა ჰყავს

დილის გაზეთმა პოლიტიკურ ხვატში მოხვედრილი პარლამენტის თავმჯდომარე სრულიად უმტკივნეულოდ ჩაითრია „საუკუნის დისკუსიაში“. ჩვენს კითხვას – სად დაიკარგა ცნება „მოღვაწე“? ზურაბ ჟვანიამ უნდობლად შეხედა და კითხვა შემოგვიბრუნა: ვინ ამბობს, რომ დაიკარგა. ღმერთმა არ ქნას!

საზოგადოებას თავისი აზრი აქვს, ერთ კონკრეტულ პიროვნებას, თუნდაც, პარლამენტის თავმჯდომარეს – თავისი. ზურაბ ჟვანიას ოპტიმიზმი არც ისე უსაფუძვლო აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, მისი ყოფნა სამხრეთ საქართველოში საამისო არგუმენტად ნამდვილად გამოდგება.

„ღმერთმა არ ქნას, რომ საქართველოს მოღვაწე არ ჰყავდეს. მოღვაწე ის ადამიანია, რომელსაც შეუძლია გაითავისოს საზოგადოების ტკივილი, პრობლემები. ამ თვალით თუ შევხედავთ საკითხს, აღმოჩნდება, რომ ჩვენს გარშემო ძალიან ბევრი მოღვაწე ცხოვრობს. მათი უმეტესობა ვერ ხვდება ვერც გაზეთის ფურცლებზე, ვერც ტელეეკრანებზე... მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, ამის გამო ვერ იტყვი, რომ საქართველოში მოღვაწეები აღარ არიან.

ამას ისე, ზოგადად არ მოგახსენებთ. ორი დღეა დავბრუნდი სამხრეთ საქართველოდან. უწმინდესთან და უნეტარესთან ერთად ფოკის მონასტერი მოვინახულეთ. მიმაჩნია, რომ მთელი საზოგადოება უნდა იცნობდეს ისეთ ადამიანს, როგორიც დედა ელისაბედია, დედათა მონასტრის იღუმენია. ის გვარად მესხიშვილია“.

იქაურია?

არა, თბილისელია. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, სხვათა შორის, ჩემს მომდევნო კურსზე სწავლობდა. არის წარჩინებული ოჯახიშვილი, კარგი მშობლების აღზრდილი, მისთვის არასდროს არაფერი დაუკლიათ. სწავლის დასრულების შემდეგ მაინც მონასტერს მიაშურა. ეკლესიის წიაღში სრულიად განსხვავებული, უჩვეულო მოღვაწეობა დაიწყო. ათი წელია, დედა ელისაბედი ცხოვრობს სამხრეთ საქართველოში ყველაზე მკაცრი კლიმატის პირობებში და თავის საქმეს უხმაუროდ აკეთებს. ამ საქმიანობის დასაწყისი მისთვის იოლი არ ყოფილა. მარტოდ წასულ, ახალგაზრდა მონაზონს მოსახლეობა ხელგაშლითა და კეთილგანწყობით არ შეხვედრია. ხშირად საქმე ფიზიკურ შეურაცხყოფამდეც მიდიოდა. მან ეს ყველაფერი გამოიარა, დაითმინა და დღეს სათავეში უდგას ძალიან მნიშვნელოვან მონასტერს.

რას ნიშნავს მნიშვნელოვანს?

ეს არ არის მხოლოდ საეკლესიო საქმიანობის კერა. მონასტერში გაშლილია საერო-საგანმანათლებლო საქმიანობა. ის ხალხი, ვინც იქ მოღვაწეობს, დიდ საერო საქმეს აკეთებს.

ეს ამბავი შემთხვევით არ გავიხსენე. დედა ელისაბედი არ დალოდებია სხვების წყალობას, რას იზამდა ხელისუფლება, რას გააკეთებდა, რას – ვერა. მან თავისი ჯვარი აიღო და ბოლომდე ზიდა. საბედნიეროდ, დედა ელისაბედი გამონაკლისი არ არის. ამიტომ ნუ ვიტყვით, რომ საქართველოს „მოღვაწე“ დაეკარგა.

იქნებ სხვა კუთხიდანაც შევხედოთ საზოგადოების აზრს; დღეს საქართველოში ილიას მასშტაბის საზოგადო მოღვაწეს ვერ ხედავენ. იქნებ ამის გამოც არის ხალხში ამოდენა სკეპტიციზმი?

ილია საუკუნეში ერთხელ შეიძლება დაიბადოს, ეს დიდი ფუფუნებაა. თუმცა, შეიძლება მართლაც სხვაგვარად შევხედოთ საკითხს: არის ეს ხალხი ჩვენს გვერდით, მაგრამ ვერ ვამჩნევთ, ვერ ვხედავთ. გავიხსენოთ ილიას ცხოვრების ეპიზოდები, გავიხსენოთ, ჰქონდა მას მხარდაჭერა თანამედროვეებისგან?! თუ იმდროინდელ პრესას გადახედავთ, შეიძლება სირცხვილისაგან აღარც მოგინდეთ იმის გახსენება, რომ ამას ქართველები აკეთებდნენ. სამაგიეროდ, იოლად გაიხსენებთ და პარალელს გაავლებთ ბევრი ქვეყნის თანამემამულის „მოღვაწეობასთან“.

ეს სენი მარადიული და არახალია: საზოგადოებას ყოველთვის უჭირს, შეაფასოს თავისი თანამედროვეების რეალური მასშტაბები.

ანუ დრო სჭირდება ყველაფრის შეფასებას?

მე მიმაჩნია, რომ დღევანდელ საქართველოში მართალია, არ არიან ილიას მასშტაბის მოღვაწეები, მაგრამ არიან ადამიანები, ვინც ჩუმად, უპრეტენზიოდ იღვწის საკუთარი ქვეყნისათვის. ამის მაგალითი უკვე გითხარით.

ზნეობას, პატრიოტიზმსა და პროფესიონალიზმს რა წილი უდევს „მოღვაწის“ ზოგად პორტრეტში?

ეს ყველაფერი ერთად უნდა იყოს. ზნეობის გარეშე მოღვაწეობა არ არსებობს. მოღვაწეობა, უპირველესად, ზნეობრივი იდეალების სამსახურია. როცა შენი საქმიანობა არ არის მიმართული კონკრეტულად ზნეობრივი იდეალებისკენ, ანუ შენ არ იბრძვი ამ იდეალებისათვის, მაშინ მას მომხვეჭელობა ჰქვია.

რატომ გაუცივდა საზოგადოებას პოლიტიკოსებისადმი გული, რას ნიშნავს ეს უნდობლობა?

ეს სრულიად ბუნებრივია. არ ვგულისხმობ კონკრეტულ პარტიას, პიროვნებებს. ლაპარაკია მთლიანად პოლიტიკურ სპექტრზე, რომელიც საზოგადოების თვალში ერთიანად დისკრედიტებული აღმოჩნდა. დრომ ისიც დაანახვა ადამიანებს, რომ პარტიული ლიდერების უმეტესობისთვის არ არსებობს არანაირი იდეალები, პრინციპები.

მე ხშირად მითქვამს, ნუ ვესვრით ერთმანეთს ტალახს. როცა ტალახის სროლა იწყება, იქ სუფთა არავინ რჩება. ერთმანეთის ლანძღვა-გინებით მივიღეთ ის, რომ საზოგადოებისათვის ერთიანად მიუღებელი აღმოჩნდა მთლიანად პოლიტიკური სპექტრი. ეს უკვე დრამატული ვითარებაა.

უფრო კონკრეტულად, რა ქმნის ამ დრამატიზმს?

დემოკრატიულ საზოგადოებას არ შეუძლია იარსებოს ძლიერი პარტიული სისტემის გარეშე და ძლიერი პარტიული სისტემა ვერ იარსებებს ხალხის ნდობის გარეშე. სამწუხაროდ, ეს ნდობა აღარ არსებობს.

ეს საყმაწვილო სენია, რომელიც გაივლის, თუ კიდევ სხვა გამოსავალია საძებარი?

ფაქტია, რომ ჩვენ ყველამ ხელი წავაშველეთ ამ ვითარების შექმნას და დღეს პრობლემის მოგვარების მზა რეცეპტები არ არსებობს. ერთადერთი, რაც შეგვიძლია, უნდა დავარწმუნოთ საზოგადოება, რომ ისევე არსებობს იდეალები და იმის შესაძლებლობა, რომ პრობლემებს შევებრძოლოთ.

გაზ. „დილის გაზეთი“. 10 აგვისტო, 2001 წ. №183 (1604). გვ. 5

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ღია მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი

ბატონო პრეზიდენტო,

ქართული საზოგადოება საბედისწერო კრიზისის ზღვართან არის მისული, არსებული ვითარება სამოქალაქო დაპირისპირების და უმძიმესი სოციალური კატაკლიზმების პოტენციალს შეიცავს. სწორედ ეს ვითარება ვალდებულს მხდის, საჯაროდ გამოვხატო ჩემი და მრავალი ჩემი მეგობრისა და თანამოაზრის პოზიცია მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ჩვენს ქვეყანას საფრთხეს უქმნის არა ყველასათვის კარგად ცნობილი მრავალი პრობლემა, არამედ ის, რომ მოსახლეობაში პრაქტიკულად აღარ არსებობს ხელისუფლებისადმი ნდობა და რწმენა იმისა, რომ ხელისუფლებას სურს ამ პრობლემების გადაწყვეტა. განცხადებებმა, სიტყვებმა, დეკლარაციებმა ყოველგვარი ფასი დაკარგა. საუბარი რაიმე სამომავლო გეგმებზე უაზროდ იქცა უბრალოდ იმის გამო, რომ საზოგადოებას აღარ სწამს ხელისუფლების არც ერთი დაპირებისა. ამის უპირველესი მიზეზი და საფუძველი არის ხელისუფლების ტრაგიკული უნიათობა და აშკარად ბუტაფორული ქმედება კორუფციის პრობლემის გადაჭრისას. ათასნაირ განცხადებებს კორუფციაზე, როგორი მჭახეც უნდა იყოს, აზრი აღარ აქვს, ვინაიდან ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში სწორედ ასეთი მჭახე განცხადებებისა და გაუთავებელი საუბრების ფონზე სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან შეუნიღბავმა და დაუფარავმა კორუფციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. საქართველოს საზოგადოება ყოველთვის მზად იყო და მზად არის ახლაც მხარში ამოუდგეს ხელისუფლებას ქვეყნის საკეთილდღეოდ, მაგრამ ის ვერასოდეს შეეგუება ხელისუფალთა მხრიდან ხალხის ხარჯზე ცხოვრებას, ვერ შეეგუება ამ ცინიზმსაც. რომლითაც ზოგიერთი თანამდებობის პირი დემონსტრირებას უწევს თავისი ცხოვრების წესს.

დედაქალაქში და მისი შემოგარენის სხვადასხვა ბორცვებზე და მთებზე წამოჭიმული სასახლეები, ჩვენს ქუჩებში მოსიარულე მსოფლიოში უძვირესი მარკების ავტომანქანები, რომელთა მფლობელები ყველასთავის კარგად არიან ცნობილნი, გაღატაკებამდე მისული მოსახლეობისთვის მარად დარჩება უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან თავხედური ცინიზმის სიმბოლოდ. ეს სასახლეები აიგო სწორედ იმ წლებისა და თვეების განმავლობაში, როდესაც ჩვენ ვერ ვახერხებდით პენსიებისა და ხელფასების გაცემას, დედაქალაქისა და რეგიონების ელექტროენერგიით უზრუნველყოფას, სასიცოცხლო სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებას. ეს ვილები აიგო არა პატიოსანი ბიზნესით მოპოვებული ფულით, არამედ ჩინოვნიკების მიერ მითვისებული თანხებით, ისე ხალხის პირდაპირი ხოცვის შედეგად იმ პერიოდში, როდესაც თქვენ, საქართველოს პრეზიდენტმა კორუფცია არა ერთხელ გამო-

აცხადეთ ყველაზე სახიფათო და საშიშ პრობლემად, რომელსაც შეეძლო შეეწირა ჩვენი სახელმწიფოებრიობაც კი.

რატომ ან როგორ უნდა დაიჯეროს გაჭირვებულმა პენსიონერმა ან გაწბილებულმა ანაბარდაკარგულმა მუშამ, უკიდურეს სიღარიბემდე მისულმა მეცნიერმა, რომ მაინცდამაინც მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებს, ან მათ ნათესავებს აღმოაჩნდათ მეწარმეობისა და კომერციის შეუდარებელი ნიჭი და მათ შეძლეს ორ-სამ წელიწადში გამდიდრება საზოგადოების გაღატაკების ფონზე? ამის არგუმენტი არ არსებობს, ისევე, როგორც არ არსებობს ახნა, თუ რატომ ტოვებენ საქართველოს უცხოელი ინვესტორები და თავიანთი ოფისები მეზობელ ქვეყნებში გადააქვთ, რომ არის შეუძლებელი თუნდაც მცირე ბიზნესის წარმოება ჩვენს სამეზობლოში, თუ არ გაქვს უზრუნველყოფილი რომელიმე ჩინოსნის ან რომელიმე გავლენიანი კლანის მფარველობა.

ყოველივე ამითაა განპირობებული საგანგაშო რეალობა, რომ თუ ჩვენი უცხოელი მეგობრები სამიოდე წლის წინათ იმედითა და ენთუზიაზმით მოიხსენიებდნენ საქართველოს როგორც „შესაძლებლობათა ქვეყანას“. დღეს ისინი იძულებულნი არიან სიმართლეს თვალი გაუსწორონ და გვიწოდონ „დაკარგულ შესაძლებლობათა ქვეყანა“.

მე არა ერთხელ გამომიხატავს საჯაროდ ჩემი და ჩემი მეგობრების დამოკიდებულება ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკისადმი. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ჩემთვის ის არ არის მხოლოდ საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი ის არის ქართული დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს დამფუძნებელი ადამიანი, რომელმაც მოახერხა საქართველოს დაშლის პრაქტიკულად შეუქცევადი პროცესის შეჩერება ქაოსისა და სრული ანარქიის პირობებში წესრიგის დამყარება, საქართველოსათვის სრულიად განსაკუთრებული საერთაშორისო ფუნქციის მინიჭება, რითაც ჩვენი სამშობლოს განვითარება და სტაბილურობა დიდი სახელმწიფოების სტრატეგიულ ინტერესებში მოაქცია. პირველ რიგში, სწორედ მისი არჩევანი იყო საქართველოს დემოკრატიის გზით სვლა და მან ჩაუყარა სათავე იმ რეფორმებს, რომელთა გარეშეც ჩვენ ვერასოდეს დავძლევთ საბჭოთა პეიროდის უმძიმეს მემკვიდრეობას.

ამიტომაც გულწრფელად ვიზიარებდით და მტკიცედ ვიცავდით თქვენს პოლიტიკას, მაშინაც კი, როდესაც საჭირო იყო უკიდურესად არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება. როდესაც იძულებით, მაგრამ გარდაუვლად მისაღები იყო გადაწყვეტილება დსთ-ში შესვლის შესახებ, როდესაც დასამტკიცებელი იყო „ნულოვანი ვარიანტი“ და მრავალი სხვა, ჩვენ ვიცით, რომ სწორი, არაპოპულისტური პოლიტიკა ზოგჯერ მოითხოვს მძიმე გადაწყვეტილებების მიღებას და, რა ქილიკიც უნდა გვესმინა, რა სიბინძურეც უნდა გადმოღვრილიყო ჩვენს თავზე, ჩვენ ვიღებდით ამ გადაწყვეტილებებს თქვენთან ერთად, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენ ვაკეთებდით ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი სამშობლოსათვის აუცილებელ საქმეს.

ყველა მიღწევა, ყველა წარმატება, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს ხალხის უსაზღვრო თავდადებასა და იმედზე, რომელიც შექმნილია თქვე-

ნი თავდაუზოგავი შრომით და პირადი თავგანწირვით, იქნება ეს საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრაცია, უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო თუ საკომუნიკაციო პროექტები, საქართველოდან უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზების გაყვანა თუ სხვა, დღეს შეიძლება გაბათილდეს და ჩვენმა უუნარობამ, პასუხი გავცეთ ტოტალური კორუფციის გამოწვევას, ხაზი გადაუსვას მთელს ჩვენს ძალისხმევას.

შექმნილი მდგომარეობა კორუმპირებული ჩინოვნიკების გარდა კიდევ ერთ სახიფათო წრეს და მიმართულებას უქმნის იდეალურ საარსებო გარემოს. მე ვსაუბრობ პოპულიზმზე, რომელსაც ხშირად საბჭოთა ნოტსალგიური იერი დაჰკრავს. თუ ჩვენი საზოგადოება საბოლოოდ დაკარგავს ახლის, დემოკრატიის, ძლიერი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის იმედს, სწორედ ამგვარი მოღვაწეებისათვის გაიხსნება ფართო ასპარეზი, რისი მოსალოდნელი შედეგიც თქვენ ყველაზე უკეთ იცით, ამ საფრთხის მკაფიო ნიშნები უკვე სახეზეა – ეს არის საფრთხე ახალი დაპირისპირებისა, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სახელმწიფო ინსტიტუტების სრული რღვევისა. ეს არის საფრთხე ქართული სახელმწიფოებრიობის კიდევ ერთხელ დაკარგვისა.

გადარჩენა მხოლოდ მოქმედებებში, რადიკალური, გადამჭრელი, საზოგადოებისათვის გასაგები ღონისძიებების განხორციელებაშია. ამ გადაწყვეტილებათა მიღება შეგიძლიათ მხოლოდ თქვენ, ადამიანს, რომელიც საამისოდ ყველა ლეგიტიმური და მორალური უფლებებით ხართ აღჭურვილი, ვისაც არანაკლებ კრიზისულ მდგომარეობაში სახელმწიფოსათვის აუცილებელი და გაბედული გადაწყვეტილებები მიგიღიათ.

მხოლოდ მოქმედებით შეიძლება დავუბრუნოთ იმედი და რწმენა იმ ადამიანებს, რომელთა მრავალწლიანი შრომით შეიქმნა საქართველოს მატერიალური დოვლათი, რომელთაც დღეს უკიდურესად უჭირთ და ხელისუფლებისაგან თუნდაც იმის იმედს ელიან, რომ მათი შვილები და შვილიშვილები ღირსეულად იცხოვრებენ საქართველოში, იშრომებენ საკუთარი და არა სხვისი ოჯახებისათვის.

ამიტომაც დღეს მიღებული თქვენი გადაწყვეტილებები განსაზღვრავენ საქართველოს მომავალს მრავალი ათწლეულის განმავლობაში.

დარწმუნებული ვარ, რომ შემდგომი დაყოვნების გარეშე უნდა იქნას მიღებული რადიკალური საკადრო და ინსტიტუციონალური ცვლილებები. ხელისუფლება უნდა დატოვონ იმ ხელმძღვანელებმა, ვინც თავისი დაუსაბუთებელი ქონებით საზოგადოებაში კორუფციასთან არიან გაიგივებული ამას უნდა მოჰყვეს სახელმწიფო მართვაში სერიოზული რეფომები, რომელიც წერტილს დაუსვამს გაუთავებელ დაპირისპირებებს აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით, უზრუნველყოფს სულ მცირე, ეკონომიკური გუნდის ერთიან, კოორდინირებულ ძალისხმევას, გზას გაუხსნის სამართალდამცავი ორგანოების ძირეულ რეფორმას.

ბატონო პრეზიდენტო, ვფიქრობ, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი გადავარჩინოთ ვითარება, ავარიდოთ ჩვენს სამშობლოს დაპირისპირებებისა და ქაოსის ახალი ტალღა. ვშიშობ, რომ ეს ბოლო შანსია არა მხოლოდ ამ ხელისუფლები-

სათვის, არამედ, რაც ბევრად უფრო სამწუხაროა, დღევანდელი საზოგადოებისათვის, ამ შანსის გამოყენება მხოლოდ ერთიან, ძლიერ, აქტიურად მოქმედ ხელისუფლებას შეუძლია. გადაწყვეტილებები თქვენ უნდა მიიღოთ და მერწმუნეთ, რომ მეც და ჩემი მეგობრები, როგორც ყოველთვის როგორი რთულიც არ უნდა იყოს ეს ბრძოლა, თქვენს გვერდით ვიქნებით, რათა ბოლომდე მივიყვანოთ მართლაც დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის თქვენს მიერვე ღირსეულად დაწყებული საქმე.

ნათლად ვხედავ, რომ დროის ლიმიტი ამოწურულია, დაყოვნება უკვე კატასტროფის ტოლფასია და ვინაიდან თქვენი არჩევანი მართლაც ისტორიული და საბედისწეროა არა მხოლოდ ხელისუფლებისათვის, არა მხოლოდ ერთი პარტიისათვის. არამედ მთელი საზოგადოებისათვის, ამიტომაც თავს უფლება მივეცი, საჯაროდ გამომეტანა ის, რაზედაც არა ერთხელ გვიმსჯელია პირადად.

პატივისცემით,
ზურაბ ჟვანია
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
30 აგვისტო, 2001 წ. №213 (3954). გვ. 1-3

პარლამენტის სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი

პატივცემულო კოლეგებო, მინდა მოგახსენოთ თავიდანვე, რომ მე არ ვგეგმავ რაიმე ძალიან ვრცელ გამოსვლას და მთლიანობაში მე მომიწევს გადავუხვიო იმ ტრადიციას, რომელიც ჩამოყალიბდა ამ ბოლო 6 წლის განმავლობაში, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე თავის გამოსვლაში, საშემოდგომო სესიის გახსნისას სთავაზობდა პარლამენტს იმ ძირითად საკანონმდებლო პრიორიტეტებს, პარლამენტის საქმიანობის სხვა მიმართულებით პრიორიტეტებს, როგორც ეს ხდებოდა ბოლო წლებში. ჩვენ ყველანი ვგრძნობთ, რომ ეს საშემოდგომო სესია იხსნება ძალიან არაორდინალურ პირობებში, პირდაპირ რომ ვთქვათ, საკმაოდ სერიოზული კრიზისის პირობებში, რომელიც ვითარდება ჩვენს საზოგადოებაში. მე ხაზი უნდა გავუსვა, რომ აქ საუბარი არის არა მხოლოდ საპარლამენტო კრიზისზე ხელისუფლებში, არამედ სახეზე არის, ჩემი ღრმა რწმენით, კრიზისი, რომელმაც შეიძლება მოიცვას მთლიანად ქართული საზოგადოება და ძალიან მძიმე შედეგებით აისახოს ქვეყნის სამომავლო განვითარებაზე.

როცა ვსაუბრობ კრიზისზე, აქ დარბაზში მყოფთ, ალბათ, არავის სჭირდება დამატებითი განმარტებები, რას ვგულისხსმობ მე. ლაპარაკი არის იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც ჩამოყალიბდა საზოგადოებაში საზოგადოდ ხელისუფლების მიმართ, იმ ტოტალურ უნდობლობაზე, რომლითაც ხასიათდება დღეს ამომრჩეველთა ურთიერთობა თავიანთ არჩეულ წარმომადგენლებთან, იმ გაუთავებელ გაუგებრობებზე, რომელიც არსებობს თავად ხელისუფლების წიაღში. როდესაც პრაქტიკულად, ნორმად იქცა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები, და ძალიან მაღალი რანგის წარმომადგენლები, ერთმანეთს ეკამათებიან, ექიშპებიან და ყველანაირ ცოდვაში სდებენ ბრალს საჯაროდ და ეს გრძელდება თვიდან თვემდე. საუბარი არის იმ ძალიან დაძაბულ ურთიერთობებზე, რომლებიც ჩამოყალიბდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, და რისი გამოხატულებაც გახლავთ თუნდაც ის ფაქტი, რომ აქ, ამ დარბაზში, საკმაოდ ბევრი მერხი თავისუფალი არის და ჩვენი კოლეგების ნაწილმა, ჩვენთვის, მართალია გაუგებარი მიზეზებით, მაგრამ მაინც გადაწყვიტა, რომ უარი უნდა თქვას დეპუტატის უპირველესი მოვალეობის შესრულებაზე, რომ დაიცვას საკუთარი ამომრჩევლის ინტერესი. აქ, ამ ტრიბუნიდან სიტყვით და არა სხვა ფორმებით. ყოველივე ეს მიანიშნებს იმაზე, რომ პარლამენტმა, ალბათ, სერიოზულად უნდა იმსჯელოს ძალიან საფუძვლიანი გადაწყვეტილებების მიღებაზე.

მე მინდა ხაზი გავუსვა, ვიდრე ჩემს რამოდენიმე მოსაზრებას შემოგთავაზებთ, რომ ყველაფერი, რაც ხდება დღეს, ჩემი აზრით, შეიძლება დახასიათდეს. როგორც ნდობის აბსოლუტური კრიზისი საქართველოში, ნდობის კრიზისი სწორედ. დემოკრატია თავის ფუნქციონირებაში აუცილებლად გულის-

ხმობს, – თითოეულ მომენტში, და არა მხოლოდ არჩევნების დღეს, – ნდობის არსებობას ამომრჩეველსა და ხელისუფლებას შორის. და როგორ ხარვეზებზეც არ უნდა ვსაუბრობდეთ ჩვენ დღეს არსებული საქართველოში პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებისას, ერთი რამე ფაქტი არის, რომ დემოკრატიული პროცესი ამ ქვეყანაში არსებობს და, შესაბამისად, იმ მომენტიდან, როდესაც ქრება ნდობა ხელისუფლებისადმი, პრაქტიკულად ძალიან დიდი კითხვის ნიშანი ესმება თავად ხელისუფლების ქმედუნარიანობას და მის შესაძლებლობას, რომ განახორციელოს რაიმენაირი ქმედებები. მაგრამ ვითარებას ამძაფრებს ის, რომ აქ ლაპარაკი არის უნდობლობაზე არა მხოლოდ ხელისუფლების მიმართ. დღეს დანგრეული არის ყოველგვარი ნდობა არა მხოლოდ მოქალაქეთა კავშირის, პარლამენტის ან მთავრობისადმი, არამედ, რაც ბევრად უფრო ტრაგიკული არის და ამაზე ილუზია არავის არ უნდა ჰქონდეს, – ქართული პოლიტიკური კლასის, ქართული პოლიტიკური ელიტის თითქმის ყველა წარმომადგენლისადმი. ეს ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა, პრაქტიკულად ვერ ხედავს იმ ძალას, იმ ორგანიზებულ დაჯგუფებას, რომელიც რეალურად იქნებოდა მისი ინტერესების და მისი მოლოდინების გამომხატველი. რა სცენარი შეიძლება ჰქონდეს ამ ვითარებაში ჩვენი ქვეყნის განვითარებას. არსებობს ორად-ორი ვარიანტი. ერთი: თუ პროცესები წავა იმ გზით, იმ ტენდენციით, რაც დღეს არის ჩამოყალიბებული, და ეს არის ერთმნიშვნელოვნად – კონფრონტაციული განვითარება საქართველოში, რომ კიდევ უფრო გამძაფრდეს ურთიერთობების ისედაც ძალიან მძაფრი ნიშნული, რაც დღეს არის, კიდევ უფრო გაღრმავდეს ის ბზარები, რომელიც უკლებლივ ყველა მიმართულებით არსებობს დღეს ხელისუფლების შიგნით, ხელისუფებასა და პოლიტიკურ ოპოზიციას შორის, საზოგადოებაში და სხვა, და საბოლოო ჯამში, როგორც ხდება ამ ვითარებაში ლოგიკურად და გარდაუვალად გარკვეულ მომენტში მათი პრობლემების მოსგვარებლად, გადაწყვეტენ, რომ თავად უნდა მოაგვარონ საკუთარი პრობლემები და ამისათვის მიმართავენ იმ ფორმებს და აგორდება ის ტალღა, რომლის შეჩერებასაც ვერავინ შეძლებს ამ ქვეყანაში. ეს არის, საუბედუროდ, ძალიან რეალური პერსპექტივა ჩვენი ქვეყნისათვის და ის პერსპექტივა რომელიც ჩვენ გველოდება არა წლების შემდეგ, არამედ რომლის მოწმეც, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ამაში, ჩვენ გავხდებით სულ ორიოდე თვეში, რამოდენიმე კვირის განმავლობაში. ამის ალტერნატივა არის ერთადერთი, რომ კონსტრუქციული გამოსავალი, გამოსავალი, რომელიც დაარწმუნებს ჩვენს საზოგადოებას იმაში, რომ საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში, პოლიტიკურ ძალებს შორის, უმრავლესობაში თუ არაუმრავლესობაში არსებობენ ის პიროვნებები, არსებობენ ის ჯგუფები, რომელთაც შეუძლიათ დადონ მაგიდაზე ის სამოქმედო გეგმა, რომელიც პირველ ყოვლისა, გულისხმობს სწორედ აი, ამ ნდობის ხიდის აღდგენას მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის.

მე მინდა განვმარტო, კონსტრუქტივიზმი არანაირად არ გულისხმობს კომპრომისს და შეგუებას იმ მოვლენებთან, რომელთანაც შეგუება აბსოლუტრად შეუძლებელი არის უკვე იმიტომ, რომ ყოველგვარი შეგუების, მოთმინე-

ბის და ლოდინის ლიმიტი აბსოლუტურად ამოწურული არის. მე გავიმერეობ იმას, რაც ჩამოვაყალიბე ჩემს მიმართვაში პრეზიდენტისადმი და კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს. მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს შესაძლებელი არის ვითარების გადარჩენა მხოლოდ იმ საფუძვლიანი, რადიკალური თუ გნებავთ ცვლილებების შედეგად, რომლის შემდეგაც ხელისუფლებაში არ დარჩებიან ის ადამიანები, ვინც ბოლო დროის განმავლობაში, ერთმნიშვნელოვნად, საზოგადოებისათვის იქცა კორუფციის სიმბოლოდ და აქ ვერანაირი განმარტებები მოსახლეობისათვის, რომელიც მართლაც მზად არის შეეგუოს ნებისმიერ გაჭირვებას, მაგრამ ვერ შეეგუება იმას, რომ გაჭირვების ფონზე ცალკეულმა პიროვნებებმა შეიძლება შეიქმნან წარმოუდგენელი ფუფუნება და მოიხვეჭონ აუარებელი ფული. ეს გამორიცხული არის. ამიტომ ამგვარ საკადრო გადაადგილებებს, ცვლილებებს ალტერნატივა არ გააჩნია. უფრო მეტიც, მე დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ საკადრო ცვლილებები არ იქნება დღეს უკვე საკმარისი. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმ სისტემის შეცვლას, სადაც არის დადებული და საიდანაც ფესვს იღებს ის აუარებელი მანკიერება, რომელიც ახასიათებს დღევანდელ მმართველობის სისტემას საქართველოში.

მე არ მინდა ჩავუყვე კონკრეტულად იმ პრობლემებს, რაც არსებობს ჩვენი ეკონომიკის მართვაში, რაც არსებობს სამართალდამცავების ფუნქციონირების თვალსაზრისით ან ნებისმიერ იმ სფეროში, სადაც კი შეიძლება თვალი შეავლოს, რომელსაც შეიძლება თვალი შეავლოს ადამიანმა. მთავარი ჩემთვის არის ის, რომ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, სანამ იქნება საკანონმდებლო საფუძვლები, რომელიც იძულებულს გახდის ხელისუფლებას და აქ საუბარი არის, ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, იფუნქციონიროს როგორც ერთიანმა გუნდმა, იყოს ერთი ინტერესი, ინტერესი იმისა, რომ განხორციელდეს პროგრამები, ხელშესახები გახდება ჩვენი მოსახლეობისათვის, ვერანაირი ცალკეული საკადრო ცვლილებები ჩვენ შედეგს ვერ მოგვცემს. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა, ყველაზე რეალური და მისადაგებული გამოსავალი იქნებოდა მინისტრთა კაბინეტის შემოღება, მაგრამ სამწუხაროდ, პარლამენტმა და თქვენ იცით ყველა პერიპეტია, იცით, რის გამოც არ დაუჭირა მხარი პრეზიდენტის ამ ინიციატივას, შეიძლება მოინახოს სხვა გადაწყვეტილებები, სხვა გამოსავალი, მაგრამ მინიმალური, აუცილებელი და გარდუვალი მოთხოვნა არის, რომ ამ ცვლილებების შედეგად უზრუნველყოფილ იქნას ხელისუფლების და, პირველ ყოვლისა, ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის ერთიანი გუნდური და შეკრული ფუნქციონირება.

მესამე აუცილებელი კომპონენტი გახლავთ გადაუდებლად, შემდგომი დროის გაჭიანურების გარეშე, იმ ანტიკორუფციული ღონისძიებების განხორციელება, რომელიც თუნდაც, ძალიან კარგად არის ჩამოყალიბებული იმ ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭოს მოხსენებაში, რომელიც ჩვენ სულ მცირე ხნის წინ მოვისმინეთ საქართველოს მთავრობის გაფართოვებულ სხდომაზე. სავალალო არის, რომ აუარებელი, არც ისე ძნელად გადასაწყვეტი საკითხი და ჩემთვის ყველაზე ნათელი მაგალითი, მათ შორის, არის და ყველა-

ზე თვალში საცემი თუნდაც ვითარება საქართველოს ავტომაგისტრალებზე, სადაც გავლა თითქმის შეუძლებელი გახდა მუდმივად, აი, რამოდენიმე კილომეტრში ერთხელ ხარკის გადახდის, სწორედ ხარკის გადახდის გარეშე, არის საუკეთესო ილუსტრაცია იმისა, რამდენი ჰაერში გამოკიდებული რჩება თუნდაც ელემენტარული მოთხოვნები, რომელთა განხორციელებას არ სჭირდება არანაირი რევოლუციური ძალისხმევა და არ სჭირდება რაღაცა გრანდიოზული გადაადგილებები. ამას სჭირდება ელემენტარული ნებისყოფა, იმის სურვილი, რომ ჩვენ დავარწმუნოთ ჩვენი მოსახლეობა იმაში, რომ ჩვენ ვიწყებთ თუნდაც პირველი ნაბიჯების გადადგმას.

მე მინდა ხაზი გავუსვა, როდესაც საუბარი არის ამ ცვლილებებზე, როდესაც საუბარი არის ნდობის კრიზისზე. ეს შეეხება პარლამენტს მთელი სისრულით და ეს ძალიან სამწუხარო ვითარება არის. დღეს თუ არსებობს უნდობლობა ხელისუფლებისადმი, აი, ამ სამწუხარო შეჯიბრში, ასპარეზში, პარლამენტი შეიძლება შეეჯიბროს ნებისმიერ სხვა სახელისუფლებო უწყებას და დაწესებულებას და ეს არის ის საკითხი, რომელზეც ჩვენ, დეპუტატებმა, ალბათ სრულიად ცალკე და სრულიად საგანგებოდ უნდა ვიმსჯელოთ, უნდა ერთხელ და საბოლოოდ წერტილი დაესვას იმას, რომ პარლამენტში კანონების მიღების დროს შესაძლებელი არის არსებობდეს რაიმენაირი კორუფციული ინტერესები.

პარლამენტი კოლექტიური ორგანო არის, აქ არ ხდება ინდივიდუალური და შესაბამისად კულუარული, დახურულ კაბინეტში გადაწყვეტილებების მიღება, მაგრამ ვინაიდან არსებობს ეს საუბარი, ვინაიდან არსებობს ეს განწყობილება ჩვენს ამომრჩეველთა შორის, ჩვენ უნდა განვახორციელოთ ის გეგმები, რაზეც არაერთგზის გვისაუბრია და, სამწუხაროდ, დაგვრჩა მხოლოდ საუბრის დონეზე. მე რამოდენიმე წინადადება მინდა შევთავაზო ამ დღეებში პარლამენტის ბიუროს, მათ შორის, ერთ-ერთი გულისხმობს, რომ შეიქმნას პარლამენტთან არასამთავრობო ორგანიზაციების, ჩვენი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლების და ექსპერტების მონაწილეობით სპეციალური ანტიკორუფციული მონიტორინგის საბჭო, რომელსაც ჩვენ გადავცემთ უკლებლივ ყველა კანონპროექტს მანამ, სანამ ეს კანონპროექტები შემოვა დღის წესრიგში განსახილველად. ეს შეიძლება ძალზე უჩვეულო ნაბიჯი იყოს, მაგრამ მე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ვალდებული ვართ გადავდგათ ეს ნაბიჯები, რათა დავიწყოთ ჩვენი მხრიდან ნდობის აღდგენა ჩვენს მოსახლეობაში.

დღეს, სამწუხაროდ, ყველაფერი მიდის განვითარების პირველი სცენარით. მე გუშინაც მქონდა პირდაპირ ეთერში ინტერვიუ ერთ-ერთ ტელეარხზე, იქაც ვგრძნოდი, რომ ჟურნალისტი სულ ცდილობდა წაეყვანა საუბარი იქითკენ, რომ აი, რატომ არ აკეთებთ თქვენ საკმარისად რადიკალურ განცხადებას, რატომ ბოლომდე არ ამბობთ რაღაცას და რატომ ბოლომდე არ სვამთ წერტილს. მე მინდა თქვენს წინაშე და ამ ქვეყნის წინაშე ვალდებული ვარ, რომ გამოვიყენო უკლებლივ ყველა რესურსი, გავაკეთო ყველაფერი საიმისოდ, რომ არ დავუშვა კონფრონტაციული გზით მოვლენათა განვითარება საქართველოში.

ეს ყველაზე უფრო ადვილი არის, რომ დღეს ზურაბ ჟვანიაც ჩაერთოს ამ ერთგვარ შეჯიბრში, ვინ უფრო რადიკალურ განცხადებას გააკეთებს, ვინ უფრო მჭახე ლოზუნგით გამოვა, ვინ უფრო სწრაფად გაემიჯნება ერთმანეთს და შეეცდება საკუთარი თავისთვის განსაკუთრებული ნიშის შექმნას. ჩემთვის ეს გზა, რამდენადაც არაპოპულარულად უნდა ჟღერდეს ეს არის მიუღებელი, იმიტომ, რომ მე ვიცი, რომ ჩემი ამოცანა დღეს მდგომარეობს იმაში, რომ არც მე, არც თითოეულ თქვენთაგანს რამოდენიმე თვეში არ დაგისვან შეკითხვა, როდესაც აი, ამ შენობის წინ და სხგვაგანაც, ქუჩებში, სულ სხვა პროცესები განვითარდება, რატომ არ გააკეთეთ ყველაფერი იმისათვის, რომ არ დაგეშვათ მოვლენათა განვითარება ამ სცენარით. ამაში ვხედავ მე ჩემს და საქართველოს პარლამენტის მოვალეობას.

მე კიდევ ერთხელ მინდა დავაფიქსირო, კონსტრუქტივიზმი, კომპრომისების ძიება ამ ვითარებაში არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს ჩემთვის შეგუებას არსებულ ვითარებაში და თუ ჩვენ ვერ მივაღწევთ პრეზიდენტთან ერთად, აქ არსებულ საპარლამენტო ჯგუფებთან ერთად იმ გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღება სრულიად აუცილებელი არის ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი საზოგადოებისათვის, მე დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ ყველა მივიღებთ ჩვენ ჩვენს გადაწყვეტილებებს და საზოგადოება ამაში დარწმუნდება. დღეს რესურსები ამოწურული არ არის. დღეს მე ვაგრძელებ ძალიან მნიშველოვან კონსულტაციებს და დიალოგს, როგორც თითოეულ თქვენთაგანთან ისე, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი არის, საქართველოს პრეზიდენტთან და მინდა ვთქვა, რომ აი, იმ სულისკვეთებიდან გამომდინარე, რაც მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ უახლოეს მომავალში შეიძლება დავიწყოთ განხილვა ძალიან მნიშვნელოვანი წინადადებებისა და ინიციატივების, რომელიც წამოვა საქართველოს პრეზიდენტისაგან იმიტომ, რომ მე ვხედავ, პრეზიდენტიც აფასებს ანალოგიურად საგანგაშოდ არსებულ ვითარებას და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, თუკი იქნება გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები, ჩვენ ყველანი ვალდებული ვიქნებით ამას დავუჭიროთ მხარი.

გუშინ მე გადმომცეს მიმართვა ჩემს სახელზე, ერთგვარად მე ვიხუმრე, რომ ჩემი მიმართვის საპასუხოდ პრეზიდენტისადმი ტრადიციონალისტებმა გამომიგზავნეს ღია მიმართვა ჩემდამი, ალბათ, გაეცნობით თქვენ. მე არ მინდა ეხლა შევეხო იმ მომენტებს, რომლებიც, ჩემი აზრით, საკამათო არის. ეს, ამ შემთხვევაში, სრულიად მეორეხარისხოვანი არის, მაგრამ მთავარი პათოსი ამ მიმართვისა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ პარლამენტი თავად არის უზენაესი სახელისუფლებო ორგანო და თავად უნდა აიღოს მრავალ გადაწყვეტილებაზე პასუხიმსგებლობა, ეჭვგარეშე არის, რომ ჩვენ უნდა გავიზიაროთ, მაგრამ მე მინდა, პატივცემულო ტრადიციონალისტებო, შეგახსენოთ, რომ ზურაბ ჟვანია გახლავთ მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარე, ის არის კოლექტიური ორგანოს ხელმძღვანელი და ცალკე, ინდივიდუალურად, მე არ გამაჩნია არანაირი უფლებამოსილებები. თუ საუბარი არის იმაზე, რომ ჩვენ პარლამენტში შევქმნათ იმის შესაძლებლობა, რომ დავდგეთ აი, ამ გაუთავებელ პარტიულ, პიროვნულ კინკლაობაზე მაღლა, რომელიც აუტანელი გახდა

ყველასთვის და აუტანელი გახდა, პირველ ყოვლისა, ჩვენი ამომრჩევლებისათვის ბოლო დროის განმავლობაში, მაშინ ჩემი პასუხი, პირადად ჩემი პასუხი და დარწმუნებული ვარ, უმრავლესობის უკლებლივ ყველა წევრისა, იქნება ერთმნიშვნელოვნად დადებითი და, ალბათ, მთავარი, რაც უნდა დაფიქსირდეს და ითქვას დღევანდელ პოლიტიკურ გამოსვლებში, გახლავთ სწორედ ის, რომ დადგა ის მომენტი, როდესაც ჩვენ სხვისკენ კი არ უნდა გავიშვიროთ მხოლოდ ხელი, ჩვენ უნდა ვიპოვოთ ძალა საიმისოდ, რომ ერთიანი ხედვის საფუძველზე, ერთიანი და ჩვენი ქვეყნისათვის უზენაესი პრინციპების საფუძველზე შევძლოთ გაერთიანება. არა შერიგება, არა დავიწყება ყველაფრისა იმისა, რაც ითქვა ამ ბოლო დროის განმავლობაში, მაგრამ გაერთიანება იმ ამოცანების, იმ უზენაესის გარშემო, რომელიც კიდევ გვიტოვებს შანსს, რომ ამ ქვეყანაში არ წავიდეს მოვლენათა განვითარება კონფრონტაციის, დაპირისპირების, და ბოდიშს ვიხდი ამ შეიძლება ძალიან მძიმე სიტყვისათვის, მაგრამ საბოლოო ჯამში ახალი სამოქალაქო დაპირისპირებისა და შესაძლო სისხლის ღვრის გზით. აი, ამაზე არის დღეს საუბარი. მე მიკვირს, როდესაც ჩემი კოლეგების ერთი ნაწილი ვერ პოულობს თავის თავში ძალას საიმისოდ, რომ დაჯდეს ამ დარბაზში და მოიხადოს დეპუტატის უპირველესი ვალი, იყოს, იღვაწოს, იმუშაოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში. ბევრი ფაშისტური, დიქტატორული რეჟიმის დროს, როდესაც ფიზიკურად აწამებდნენ დეპუტატებს და, სხვათა შორის, ამ დარბაზში მყოფ ზოგიერთ დეპუტატს, მაგალითად, ბატონ ელდარს, იმის გამოცდილებაც აქვს, რომ ამ დარბაზში ფიზიკური ზეწოლა ხორციელდებოდა ხოლმე მასზე, ბატონ თედოზე და სხვებზე. დეპუტატებს არ მიუტოვებიათ თავიანთი მოვალეობის შესრულება, არ უთქვამთ უარი იმაზე, რომ არ თქვან ის სიმართლე, ის ჭეშმარიტება, რაც მათი აზრით, არის სათქმელი პარლამენტის ტრიბუნიდან. არ შეიძლება დეპუტატები, ფრაქციები ერთმანეთს ესაუბრებოდნენ ულტიმატუმების გზით, პირობების წაყენების გზით. ეს არის თავად პარლამენტარიზმის იდეის სრული განადგურება და დისკრედიტაცია. მე მინდა აქ, აი ამ ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ ავხსნა ის, რაც ვთქვი მასმედიის საშუალებით, რატომ გავაკეთე მე განცხადება ამ 100 ხელმოწერის შესახებ. იმისათვის, რომ გამეკეთებინა დემონსტრირება, რომ თუ არსებობს მართლაც თუნდაც 100 დეპუტატი, ვისაც მიაჩნია, რომ უნდა შეიცვალოს სპიკერი ან სპიკერატი მთლიანობაში, მიგვეღო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ თუ არ არსებობს ეს საკითხი, დავანებოთ თავი ამ დარბაზში გაუთავებელ კინკლაობას რაღაცა პიროვნულ საკითხებზე, წერტილი დავუსვათ იმ ტალღას ინტრიგების, რომელმაც ამაზრზენი გახადა უბრალოდ ჩვენი სხდომების ყურება და თვალყურის დევნება ჩვენი ამომრჩევლებისათვის და მივხედოთ იმ საკითხების განხილვას, რომელიც რეალურად აწუხებს ამომრჩეველს და არა ცალკეულ პოლიტიკურ ლიდერებს და პოლიტიკურ ჯგუფებს.

სწორედ ამის დემონსტრირება მინდოდა მე, რომ მთელი ეს თემები, გადაყენების, ინტრიგების, უმრავლესობის დაშლის, არის გამოგონილი და არაფერი რეალური საფუძველი ამას არ გააჩნია და ამიტომ მიიღო ესე მტკივნეულად ოპოზიციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ჩემი ეს ნაბიჯი იმიტომ, რომ

ძალიან მარტივად და მკაფიოდ გაშიფრა რამდენად უსუსური და უსაფუძვლო იყო ის მითები, რომელთა მუსირებაც თვეების განმავლობაში ხდებოდა პრესაში. მაგრამ ეხლა მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, მთელი ამ დაპირისპირების, დაძაბულობის მიუხედავად, მე ვაცხადებ, რომ დღესაც მე გახსნილი ვარ ოპოზიციის ნებისმიერ ჯგუფთან თანამშრომლობისათვის. ჩვენ გვაქვს თანამშრომლობის არაერთი ძალიან პოზიტიური, შთამბეჭდავი გამოცდილება, ესეთი იყო თუნდაც გამოცდილება, როდესაც ჩვენ დავიწყეთ ეროვნული შეთანხმების პროცესი, დავიწყეთ აქ, ამ დარბაზში იმიტომ, რომ მოვახერხეთ უმძიმესი, ძალიან სასტიკი წინააღმდეგობების დაძლევა ჩვენს თავში. შეიძლება ეს პროცესი ჯერ ბოლომდე არ არის მისული და ბევრი ნაბიჯი არის კიდევ გადასადგმელი, მაგრამ ფაქტი არის, რომ ათასობით ადამიანი, ვინც ამ წლების განმავლობაში თავს გარიყულად თვლიდა საზოგადოებიდან, იმ პროცესებიდან, რაც მიდის საქართველოში, მან ისევ დაიბრუნა იმედი, რომ მისი ადგილი იქნება დღევანდელ საქართველოში. ჩვენ გვაქვს გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისა ბევრად უფრო ლოკალურ საკითხებში, რომელიც შეეხება ასევე ათასობით ჩვენს ამომრჩეველს. დავუშვათ თუნდაც აი სულ ერთი მაგალითი არის ის ცვლილებები, რაც ჩვენ მივიღეთ სოფლის მეურნეობის დაბეგვრასთან დაკავშირებით, შეძლებდა ამას პარლამენტი აი, ამ დაპისპირების პირობებში. რაც არის დღეს? რა თქმა უნდა, არა. სხვადასხვა ფრაქციების კონსენსუსის საფუძველზე დღეს ათასობით და ათიათასობით ფერმერი და გლეხი განთავისუფლდა რეალურად ყოველგვარი გადასახადისაგან და შეძლო ლეგალურ, არა ჩრდილოვან, არამედ ლეგალურ სფეროში მოექცია თავისი საქმიანობა. რატომ მოვიყვანე მე ეს ორი ესეთი განსხვავებული მაგალითი? მხოლოდ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ ვთქვა, ჩვენ შეგვიძლია, თუ ვისხდებით ამ დარბაზში, ვიმუშავებთ ერთად და ჩვენი ამოცანა იქნება ჩვენი საზოგადოების პრობლემების მოგვარება და არა ჩვენი პირადი პრობლემების მოგვარება, ჩვენ კიდევ ძალიან ბევრი, უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღება შეგვიძლია. მე კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენ ვართ მზად ძალიან აქტიური თანამშრომლობისათვის.

იყო ბატონი ასათიანის, აკაკი ასათინის ინიციატივა ამ არჩევნების გადადებასთან დაკავშირებით. მე არ ვიცი, როგორი უნდა იყოს უმრავლესობის დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი, მაგრამ პირადად ჩემი აზრი გახლავთ, რომ თუ ჩვენ მართლაც შეგვიძლია ავიღოთ გარკვეული შეზღუდული ვადა, რამოდენიმე თვის ვადა, რომლის განმავლობაშიც ჩვენ დავასრულებთ ქვეყნის რეგიონალიზაციის პროცესს, შევძლებთ მივიღოთ პრინციპული ცვლილებები ქვეყნის მმართველობის სისტემაში და თუნდაც იგივე კაბინეტი იქნება, ან სხვა მოდელზე შევჩერდეთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს იქნება ეპოქალური გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება, რომელიც მართლაც ისტორიაში შეიყვანს ამ პარლამენტს და მის თითოეულ წევრს იმიტომ, რომ ჩვენ გვექნება სათქმელი, რომ ერთ-ერთი ყველაზე ფუძემდებლური გადაწყვეტილება მიგვიღია ჩვენი სახელმწიფოსათვის, ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც იმუშავებს ათწლეულების და ათწლეულების განმავლობაში. მე მწამს, რომ ჩვენ შეგვიძლია, ოპოზი-

ციასა და უმრავლესობას შორის, შევძლოთ თანამშრომლობა იმ შემთხვევაში, თუ მართლაც გვაქვს საერთო ხედვა ჩვენი ქვეყნის მომავლის და გვწამს, რომ ეს ქვეყანა უნდა იყოს გამარჯვებული ქვეყანა და არა პოლიტიკოსების დაპირისპირების გამო ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯილი და დაჯიჯგნილი ქვეყანა. აი, ამ არჩევანის წინაშე ვდგავართ დღეს ჩვენ, როგორც ხელისუფლება და როგორც პარლამენტი. ამიტომ, მესამედ ვიმეორებ, ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისათვის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა ულტიმატუმების მოსმენისა და მიღებისათვის, ულტიმატუმს არც მე, არც ჩემი მეგობრები არ მოვითმენთ არც ერთი მხრიდან, არც ხელისუფლების და არც ოპოზიციის მხრიდან. დრო ძალიან ცოტა გვაქვს ჩვენ და მიმდინარე კვირა ძალიან ბევრს გამოაჩენს.

დღეს მე ვსაუბრობ იმაზე, რომ შესაძლებლობები, რესურსები ჯერ კიდევ არსებობს და მე ნამდვილად არ მინდა წარმოვიდგინო, რომ მომიხდება მცირე ხანში გამოვიდე ამ ტრიბუნასთან და დავაფიქსირო, რომ ყველა შესაძლებლობა კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად საქართველოში, საუბედუროდ, უკვე ამოწურული იქნება. აი, ამითი დაიწყება მართლაც სულ სხვა რანგის, ძალიან ღრმა კრიზისი ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ, ჩემი მოწოდება იქნება, რომ ყველამ ერთად გავაკეთოთ ყველაფერი საიმისოდ, რომ თავიდან ავიცილოთ ეს ძალიან მძიმე პერსპექტივა და აქ ძალიან ბევრის, პრაქტიკულად, გადამწყვეტი სიტყვის თქმა შეუძლია სწორედ პარლამენტს.

მე ამითი მინდა შემოვიფარგლო პოლიტიკური ჯგუფების ლიდერების გამოსვლის წინ, მაგრამ დავიტოვებ უფლებას, რომ იმ პოზიციების საფუძველზე, რაც იქნება გამოხატული დღევანდელი დღის განმავლობაში, კიდევ ერთხელ, მცირე ხნის განმავლობაში შემოგთავაზოთ ჩემი საბოლოო წინადადებები განხილვისათვის პარლამენტის წინაშე. გმადლობთ. (ტაში).

პარლამენტის სხდომის ჩანაწერი. 11 სექტემბერი, 2001 წ.

კარგი მთქმელი არის. კარგი გამგონე?

გიორგი ასანიშვილი

ამ დღეებში რადიოსადგურმა «Эхо Москвы»-მ აფხაზეთის საკითხს სპეციალური გადაცემა მიუძღვნა. მასში მონაწილეობდნენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სერგეი იუშენკოვი და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია (ტელეფონით). როდესაც კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების როლსა და მნიშვნელობას აფასებდა, გადაცემის მსვლელობისას საქართველოს პარლამენტის სპიკერმა განაცხადა:

„სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია არანაირი არგუმენტი, რომ მხარი არ დავუჭიროთ სამშვიდობო კონტინგენტის აფხაზეთიდან გაყვანას. ეს იმიტომ, რომ პრაქტიკულად მთელი საქართველო – ლტოლვილებიც, პოლიტიკოსებიც და უბრალო მოსახლეობაც, საკითხს ასე აღიქვამს: სამშვიდობო ძალებს ნეიტრალური პოზიცია არ უჭირავთ და, აფხაზი სეპარატისტების პირდაპირი თუ არაპირდაპირი მხარდაჭერის გამო, კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთ მხარედ უფრო გამოიყურებიან, ვიდრე იმ ფუნქციების შემსრულებლებად, რომელიც მათ 1994 წლიდან აკისრიათ“.

ნათქვამია, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო. თავად განსაჯეთ, თუ როგორი გამგონეა რუსულ პოლიტიკაში დასაქმებული ქართველი პოლიტოლოგი ვახტანგ ჭკუასელი, რომელიც აცხადებს, რომ ამ განცხადებით საქართველოს პარალმენტის თავმჯდომარემ ბოდიში მოიხადა სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისათვის.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარლამენტარმა პეტრე ცისკარიშვილმა აღნიშნა, რომ მსგავს შემთხვევებში პარლამენტის თავმჯდომარის გუნდი კომენტარებს არ აკეთებს ხოლმე, მაგრამ ვინაიდან დღეს აფხაზეთის საკითხი ძალზე აქტუალურია, ამჟამად ეს საჭიროდ მიიჩნიეს.

„ჭკუასელის გაუთავებელმა ტყუილებმა და ცილისწამებებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა“, – ასეთ დასკვნამდე მიდის პეტრე ცისკარიშვილი, რომელმაც ქართული წარმოშობის პოლიტოლოგის მხილების მიზნით, პრესკონფერენციის დასასრულს ჟურნალისტებს „ეხო მოსკვი“-ს გადაცემის სტენოგრაფიული ჩანაწერი გადმოგვცა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

მ. განაპოლსკი: მოდით, ვისაუბროთ ყველაზე „ცხელ“ თემებზე. ეს არის საქართველო, რუსეთი, აფხაზეთი და, როგორც სერგეი იუშენკოვმა დასძინა, ჩეჩნეთი – ერთ გორგალში თავმოყრილი პრობლემები. შეგახსენებთ, ვლადიმირ პუტინის ბოლოდროინდელ განცხადებებს. ჯერ ერთი, დსთ-იდან საქარ-

თველოს შესაძლო გასვლა არ გააუარესებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს. მან თქვა, „დსთ არ არის რუსეთის საერთაშორისო ორგანიზაცია. რუსეთი მასში ყურით არავის ეწევა. თუ ვინმე დაინტერესებულია განსაკუთრებული ურთიერთობების შენარჩუნებით და განსაზღვრული უპირატესობებით, მათ შორის, ეკონომიკური ხასიათის, მზად ვართ, ვითანამშრომლოთ. თუკი ასეთი დაინტერესება არ არსებობს და ფიქრობენ, რომ პრობლემების ერთობლიობა (ეკონომიკურიც) უფრო ეფექტიანად მოგვარდება სხვა ძალებით, სხვა საერთაშორისო კონფიგურაციაში, საგანგაშო არაფერია. ჩვენთვის ეს ორმხრივი ურთიერთობების გაუარესებაზე არ მიანიშნებს“.

შემდეგი განაცხადი: „რუსი სამხედროები დსთ-ის მშვიდობისმყოფელები არიან. თუ საქართველოს ხელისუფლება კისრულობს პასუხისმგებლობას, როგორც საერთაშორისო საზოგადოებრიობის, ისე საკუთარი ხალხის წინაშე, ეს მისი არჩევანია, ჩვენ გავიყვანთ რუს მშვიდობისმყოფელებს“. როგორც ვიცი, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემაც მოიწონა ვლადიმირ პუტინის განცხადება აფხაზეთიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის და გუდაუთის სამხედრო ბაზის გატანის თაობაზე. აფხაზეთში რუს მშვიდობისმყოფელთა ყოფნის აშკარა მომხრეები იტყოდნენ, რომ რუსეთი საქართველოს აფხაზეთს უთმობს.

რა ხდება დღეს, ასეთი განცხადებების შემდეგ როგორია საქართველოს პოზიცია?

ზ. ჟვანია: უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ პრეზიდენტ პუტინის განცხადებას საქართველოში აღფრთოვანებით შეხვდნენ. გულახდილად ვამბობ, რომ ჩვენთვის გარკვეულწილად უჩვეულოა რუსული პოლიტიკური ისტებლიშმენტის ასეთი თავშეკავებული და კორექტული გამონათქვამები, რაც პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა. ჩემი აზრით, ეს არის იმ სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერის განცხადება, რომელიც მართლაც ესწრაფვის, ახალ ევროპულ არქიტექტურაში თავისი ადგილი დაიკავოს. ჩვენ ყველანი რუსეთთან კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის მომხრე ვართ. ამას მხოლოდ მას შემდეგ მივაღწევთ, თუკი ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას დავძლევთ.

დიდი ყურადღებით ვადევნებდით თვალს 11 ოქტომბერს სახელმწიფო სათათბიროში მიმდინარე დებატებს. ბატონმა იუშენკოვმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის და ჩეჩნეთის პრობლემები ერთი და იმავე ბუნების არისო. ეს განაცხადი ზუსტად ასახავს იმ გაღიზიანებას, რასაც იწვევს ეს რიტორიკა, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. აფხაზი მებრძოლები აფხაზეთს იცავენ ქართველი ტერორისტებისა და ქართველი ბანდიტებისგან, ხოლო როცა რუსეთის ჯარი ჩეჩნეთში ოპერაციას ატარებს, თურმე, სამართლიანობისთვის იბრძვის... დარწმუნებული ვართ, რომ, საქართველოსაც და რუსეთსაც, ორივეს აქვს საერთო ინტერესი, კავკასიაში დეზინტეგრაციული პროცესები შეაჩეროს. კავკასია კი, სამხრეთიც და ჩრდილოეთიც, ერთი მთლიანია. კავკასიის ქედი ამ გეოპოლიტიკურ მთლიანობას ვერანაირად ვერ ჰყოფს. ეს არის შეკრული და ერთიანი სისტემა. როცა რუსი პოლიტიკოსები, მაღალჩინოსანი სამხედროე-

ბი მხარს უჭერდნენ აფხაზეთის აგრესიულ სეპარატიზმს, ადვილი მისახვედრი იყო, რომ ეს რუსეთს ბუმერანგად დაუბრუნდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში. სწორედ ეს არის საფუძველი იმ პრობლემებისა, რაც საქართველოსა და რუსეთს შეექმნათ. დარწმუნებული ვარ, ეს პრობლემები ერთად უნდა მოვაგვაროთ.

დსთ-იდან საქართველოს გამოსვლის საკითხზე რუსეთში უფრო აქტიურად ლაპარაკობენ, ვიდრე საქართველოში. ორმა ფრაქციამ მოინდომა ამ თემის განხილვა პარლამენტში, მაგრამ საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ მის განხილვაზეც კი უარი განაცხადა.

რაც შეეხება აფხაზეთის კონფლიქტურ ზონაში რუსი მშვიდობისმყოფელების ყოფნა-არყოფნას, გულახდილად ვამბობ: სამწუხაროდ, ჩვენ, პრაქტიკულად, არ გაგვაჩნია არანაირი არგუმენტი, რომ მხარი არ დავუჭიროთ ამ სამშვიდობო კონტინგენტის აფხაზეთიდან გაყვანას. პრაქტიკულად მთელი საქართველო – ლტოლვილებიც, პოლიტიკოსებიც, უბრალო მოსახლეობაც – საკითხს ასე აღიქვამს: სამშვიდობო ძალები არ იცავენ ნეიტრალურ პოზიციას, უფრო მეტიც, კონფლიქტის ერთ-ერთ მხარედ უფრო გამოიყურებიან, პირდაპირ თუ ირიბად, მხარს უჭერენ აფხაზ სეპარატისტებს, ვიდრე ასრულებენ იმ ფუნქციას, რაც მათ 1994 წლიდან აკისრიათ.

მ. განაპოლსკი: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე საუბრისას, რუსეთის არა მარტო სახელმწიფო, არამედ კომერციული (ტგ-6, ოტგ) ტელეარხების წამყვანები ძალზე მოულოდნელად და თანამიმდევრულად იმეორებენ: „თვითგამოცხადებული, არავისგან აღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკა“. პრეზიდენტ პუტინის განცხადების შემდეგ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დათმოს აფხაზეთი, გამოასწოროს ის შეცდომა, რაც მის წინამორბედ ხელისუფლებას მოუვიდა. მართლაც ასეა, თუ არა? სერგეი, რა იცით თქვენ ამის შესახებ?

ს. იუშენკოვი: პრეზიდენტ პუტინის განცხადება ძალზე მოულოდნელი იყო, რადგან ამ ამბამდე ერთი დღით ადრე თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი საპირისპიროს ლაპარაკობდა. ეს პირველად არ შემიმჩნევია, რომ პრეზიდენტი სერგეი ივანოვს ყოველთვის უსწორებს: ასე იყო ავღანეთში ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობის თაობაზე, ახლა კი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტებთან დაკავშირებით. არ ვიცი, უფრო ზუსტად, როგორ ვთქვა, რადგან ჩვენც ასეთივე კონფლიქტი გვაქვს ჩეჩნეთთან, რაზეც ზურაბ ჟვანიამ უკვე ილაპარაკა. მგონია, რომ პრეზიდენტმა თავისი მოსაზრება გამოთქვა ჩვეულებრივი, საყოფაცხოვრებო ენით. პრინციპი კი ასე ჟღერს: ძალადმაცხონეობა არ ვარგა. ეს არის იმ ფაქტის აღიარება, რომ საბოლოოდ, ამ კონფლიქტის ბუნება ისეთივეა, როგორიც ჩეჩნეთში – ჩეჩენ „ბოევიკებსა“ და რუსეთის ფედერალურ ხელისუფლებას შორის დაპირისპირებაა და აქ ორმაგი სტანდარტები უადგილოა.

ვლადიმირ პუტინმა, უბრალოდ, გამოხატა მზადყოფნა, უარი თქვას ორმაგ სტანდარტებზე და მოახდინა იმის კონსტატაცია, რაც მსოფლიო თანამეგობრობამ დიდი ხანია აღიარა.

როგორც ერთ, ისე მეორე კონფლიქტში (მართალია, ერთ შემთხვევაში სურთ, სახელმწიფოს გამოეყონ, მეორეში კი საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებიდან არ უშვებენ) სირთულეს ქმნის ის, რომ კონფლიქტის ბუნებაში დევს ურთიერთგამომრიცხავი საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები – ეროვნების თვითგამორკვევის უფლება და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება. ვიდრე ეს პრინციპები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მსგავსი კონფლიქტები მუდამ იქნება.

მ. განაპოლსკი: თქვენთან მაქვს შეკითხვა, ზურაბ. წარმოიდგინეთ, რომ რუსეთმა აფხაზეთს თავისუფალი ცურვის უფლება მისცა. ასეთ დროს, ბუნებრივია, საქართველომ და აფხაზეთმა ერთმანეთში უნდა მოაგვარონ პრობლემები. შევეცადოთ, ჩამოვაყალიბოთ, რა გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ. ჩემი პირველი შეკითხვა ასეთია: ხომ არ შეიქმნება ისეთი სიტუაცია, როდესაც რუსეთისგან გაშვებული აფხაზეთი იგივე იქნება საქართველოსთვის, როგორც ჩეჩნეთი – რუსეთისთვის? რუსეთი მათ იარაღს არ მისცემს (არ ვიცი, აძლევს თუ არა აფხაზებს იარაღს. ამის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, სხვადასხვა წყარო სხვადასხვანაირ ინფორმაციას ავრცელებს). თქვენ იცით, რომ პატარა ჩეჩნეთს, რუსეთის ჯარებით ყოველი მხრიდან გარშემორტყმულს, აქვს ნებისმიერი იარაღი, როგორიც სურს, საზღვრები გამჭვირვალეა. სარკისებურად ხომ არ აირეკლავს საქართველო ამ მდგომარეობას?

ზ. ჟვანია: ვიმედოვნებ, რომ არა. შეგახსენებთ, რომ თბილისის ოფიციალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის სეპარატისტულ ხელმძღვანელობას შორის ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გამუდმებით მიმდინარეობს მოლაპარაკებების პროცესი. საქართველო ემხრობა კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პრინციპს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანა არ ნიშნავს ორ მხარეს, საქართველოსა და სეპარატისტულ აფხაზეთს შორის შეიარაღებული დაპირისპირების განახლებას.

მ. განაპოლსკი: მაშინ, იქნებ დააზუსტოთ, როგორი მოდელი არსებობს, რადგან, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთადერთს ვხედავთ: აფხაზეთს, შესაძლოა, აღარა აქვს რუსული იარაღი, მაგრამ ამაყ ხალხს ვერ დაამარცხებ, ვერ გასტეხ... აფხაზეთში შევლენ ქართული ჯარები და დაიწყება იუგოსლავიის მსგავსი რაღაც...

ზ. ჟვანია: ვიმედოვნებ, რომ ჯარების შეყვანა არ გახდება საჭირო. მეორეც, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ საქართველოს ხელისუფლების (და ეს, სხვათა შორის, საქართველოს თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის საერთო მოსაზრებაა) პოზიცია ასეთია: აფხაზეთს უნდა ჰქონდეს ავტონომიური, პოლიტიკური თვითგამორკვევის ყველაზე ფართო უფლებები, ბუნებრივია, საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში.

მ. განაპოლსკი: რას გულისხმობთ? უპირველეს ყოვლისა, საკუთარ პარლამენტს, საკუთარ საკანონმდებლო ორგანოს, ისეთს, როგორიც ყირიმშია?

ზ. ჟვანია: რა თქმა უნდა, საკუთარ პარლამენტს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მიგვაჩნია, რომ 5-6 ძირითადი ფუნქცია (თავდაცვა, საზღვრის დაცვა, საერთო ფინანსური სისტემა და ასე შემდეგ) ცენტრალური ხელისუფლების

იურისდიქციაში უნდა იყოს, დანარჩენი, შესაძლოა, გადავიდეს ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ხელში. ლაპარაკია ავტონომიის ძალიან ფართო უფლებებზე. მზად ვართ, განვიხილოთ ყველაზე თამამი მოდელები, რაც კი თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს.

როდესაც ბატონი იუშენკოვი აფხაზეთსა და ჩეჩნებზე ლაპარაკობს, მსგავსება მართლაც, ბევრია, მაგრამ არსებობს ერთი ძალზე დრამატული განსხვავება – აფხაზეთიდან დღეისთვის, პრაქტიკულად, გამოდევნილია ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი; აფხაზეთი ევროპაში ეთნიკური წმენდის ბოლო შემთხვევაა, იმ ეთნიკური წმენდისა, რომლის შედეგები დაუძლეველია (აუნაზღაურებელია). 1993 წლის სექტემბერში ქართველი მოსახლეობა, რომელიც ამ რეგიონის 60 პროცენტს შეადგენდა, 2-3 დღეღამეში საკუთარი სახლებიდან გამოაძევეს, მთიანი სვანეთის თოვლიან გადასასვლელებზე ათეულათასობით ადამიანი დაიღუპა და დღეს 300 ათასზე მეტ ადამიანს წართმეული აქვს საკუთარ კერაზე დაბრუნების უფლება. ასე რომ, აფხაზური პრობლემის მოგვარება ეყრდნობა ორ ძირითად პრინციპს: ერთია სტატუსი, მეორე საკითხი (ამ ჩამონათვალშია მეორე, შესაძლოა, იგი პირველზე მნიშვნელოვანია) – დევნილებს უნდა მიეცეთ საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება.

მ. განაპოლსკი: სერგეი სოლოვიოვმა (ტგ-6) აფხაზეთში ყოფნისას ინტერვიუ აიღო ერთ-ერთ მაღალჩინოსანთან (სამწუხაროდ, სერგეის ამ გადაცემის მხოლოდ ფრაგმენტები ვნახე), რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს მოლაპარაკებების თაობაზე არანაირი წინადადება არ შეუთავაზებია აფხაზეთისთვის. თუ შეიძლება, დაადასტურეთ ან უარყავით ეს ინფორმაცია.

ზ. ჟვანია: მზად ვარ, უარვყო. ეს მაღალჩინოსანი ბატონი ჯერგენიაა, სეპარატისტული მთავრობის თავმჯდომარე, დღევანდელი აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი. იგი ზუსტად ათი დღის წინათ თბილისში იყო, შეხვდა პრეზიდენტ შევარდნაძეს და მათ, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს ორმხრივი მოლაპარაკებების პროცესის მნიშვნელოვანი ინტენსიფიკაციის შესაძლებლობები.

მ. განაპოლსკი: შემდეგი შეკითხვა. ვთქვათ, აფხაზეთი დათანხმდა ავტონომიური ოლქის სტატუსს, იმ უფლებებს, რაზეც თქვენ ლაპარაკობთ... ამ ხალხმა ერთმანეთი აირჩია, გაჩნდა ელიტა... როგორ აპირებს თბილისი ამ ელიტასთან ურთიერთობას? ყველაფერს ხომ თბილისი გააკონტროლებს?

ზ. ჟვანია: ბოლო 3-4 წელია, შევარდნაძე კი არ გაურბის, პირიქით, უფრო აქტიურად და პირდაპირ ურთიერთობს იმ ადამიანებთან, რომლებიც მასზე ფიზიკურად ნადირობდნენ, რომელთა კისერზეა ის სისასტიკეები, რასაც ახლა საქართველოში დაზაფრულები იხსენებენ. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი მკაფიო პოზიცია ასეთია, ვინმეზე შურისძიება გამორიცხულია, უნდა ვიცხოვროთ, ვითანამშრომლოთ იმ ადამიანებთან, ვისაც აფხაზი ხალხი აირჩევს.

ს. იუშენკოვი: მოლაპარაკებები ნორმალური ურთიერთობების დასამყარებელი ერთადერთი გზაა. რაზეც ზურაბ ჟვანია ლაპარაკობდა, ფაქტობრი-

ვად, ნორმალური მოდელია, მაგრამ: თანახმაა კი აფხაზური მხარე ამ მოდელზე? როგორ დავარწმუნოთ აფხაზეთი, რომ ეს მოდელი მომხდარის საუკეთესო გაგრძელებაა?

ზ. ჟვანია: თუკი პუტინის განცხადება სინამდვილეში იმას ნიშნავს, რომ რუსეთი არ აპირებს კვლავაც შეასრულოს დესტრუქციული როლი, ეს მთავარი არგუმენტია, რომელიც ნორმალური მოლაპარაკებების პროცესს სათავეს დაუდებს. მინდა შეგახსენოთ: როცა სტატუსის სხვადასხვა ვარიანტზე ვლაპარაკობთ, მათ შორის ვგულისხმობთ საქართველოში გაეროს მისიის ხელმძღვანელის დიტერ ბოდენის ახლახან წარმოდგენილ პროექტს. ამ ვარიანტით, გაერომ უნდა შემოგვთავაზოს სტატუსის პროექტი. სამწუხაროდ, რუსეთმა დაბლოკა ეს პროცესი გაეროში. არადა, ამ საქმეში იგი საფუძვლიანი შემობრუნება იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, თუ აფხაზეთის ხელისუფლებაში უმრავლესობას არ ექნება მსგავსი განცხადებებისა და დაპირისპირებების იმედი, აბა, ბიჭებო, ცოტა კიდევ გაუძელითო, რუსეთი უსათუოდ მხარს დაგვიჭერს და ასე შემდეგ, ეს ბევრად უფრო რეალურ საფუძველს შექმნის ნაყოფიერი ორმხრივი მოლაპარაკებებისთვის. კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებას ალტერნატივა არ გააჩნია. ვერ ვხედავთ ალტერნატივას იმისას, რომ ორივე მხარემ კომპრომისების გზით იაროს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ეს, უპირველესად, არის დევნილების დაბრუნება, აფხაზეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მშობლიურ კერაზე დაბრუნება, და მეორე, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში სტატუსის საკითხის მოგვარება.

ვაგრძელებთ რადიოსადგურ «Эхо Москвы»-ის სტუდიაში ჩაწერილ იმ საუბრის სტენოგრამას, რომელშიც მონაწილეობდნენ: ზურაბ ჟვანია, სერგეი იუშენკოვი (რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), მატვეი განაპოლსკი (ჟურნალისტი).

ს. იუშენკოვი: მინდა, ზურაბს ვკითხო. რუსეთის ჯარს გამოიყვანენ. უეჭველია, დაიწყება ასეთი პროცესი (შესაძლოა, დაიწყოს. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ყველაფერი დასაშვებია): შეიარაღებული ფორმირებები (რომლებსაც საქართველო ვერ აკონტროლებს), მათ შორის, ჩეჩენი „ბოევიკები“, რომლებიც 93-94 წლებში აფხაზეთის მხარეს ომობდნენ, ახლა კი – აფხაზეთის წინააღმდეგ იბრძვიან, საბრძოლო მოქმედებებს წამოიწყებენ. როგორ შეიძლება ამ საბრძოლო მოქმედებების თავიდან აცილება? რუს მშვიდობისმყოფელებს ვინ ჩაენაცვლება, თუკი ასეთი რამ, საერთოდ, დაგეგმილია?

ზ. ჟვანია: ჯერ ერთი, რუსი სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე მიღებულ საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის მეორე პუნქტში წერია, რომ საქართველო მიესალმებოდა საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტის შემოყვანას, კონტინგენტისა, რომელიც, არაერთი მიზეზის გამო, მხარეების კონფრონტაციის პროცესში შეძლებდა, ბოლომდე დაეცვა ნეიტრალური პოზიცია. მეორე, ბევრია დამოკიდებული აფხაზეთის და საქართველოს ხელმძღვანელობაზე. ორივე მხარეს ძალუძს, არ დაუშვას შეიარაღებული დაპირისპირების განახლება, არ შეიქმნას ნოყიერი ნიადაგი იმ შეიარაღებული ფორმირებების ასამოქმედებლად, რომლებზეც თქვენ სამართლიანად მიანიშნეთ.

მ. განაპოლსკი: პეიჯერზე გვეკითხებიან: „როგორ წარმოუდგენია ზურაბს აფხაზეთში დევნილების მშვიდობიანად დაბრუნება? ისტორიას ასეთი რამ არ ახსოვს. ამის მაგალითად გამოდგება იუგოსლავია, დნესტრისპირეთი, ყარაბაღი“. ჩემთვის ნათელია, რატომ ლაპარაკობთ საერთაშორისო სამშვიდობო ძალებზე – საქართველოს ექმნება შთაბეჭდილება, რომ რუსები პროაფხაზურ ელემენტებს დაუჭერენ მხარს, მშვიდობისმყოფელები კი ობიექტურნი იქნებიან. როგორ წარმოგიდგენიათ დევნილების მშვიდობიანად დაბრუნება სახლებში, რომლებშიც უკვე სხვები ცხოვრობენ?

ზ. ჟვანია: ეს არის მთავარი. აფხაზური კონფლიქტის სპეციფიკა სწორედ ის არის, რომ დევნილთა დაბრუნების პროცესის დაწყება – ხაზს ვუსვამ, დევნილთა დაბრუნების პროცესის დაწყება – ბევრად უფრო იოლია, ვიდრე ნებისმიერი საერთაშორისო ცნობილი კონფლიქტის დროს იყო.

მ. განაპოლსკი: რატომ? გაურკვეველია.

ზ. ჟვანია: საქმე ის არის, რომ დღესდღეობითაც სოხუმის სამხრეთით ვრცელი ტერიტორია – პრაქტიკულად, გალის რაიონი მთლიანად, ოჩამჩირის და გულრიფშის რაიონების უმეტესი ნაწილები – ცარიელია, იქ მოსახლეობა არ არის. გალის რაიონში, შიშით, მაგრამ საკუთარი რისკით დაბრუნდა ათასობით ქართველი დევნილი, რომლებიც, პრაქტიკულად, მონურ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათთვის გარანტია არავის მიუცია, მათ სერიოზული საფრთხე ემუქრებათ, მაგრამ არსებობის სხვა საშუალება არ გააჩნდათ. დევნილები დაუბრუნდნენ საკუთარ ყანებს, თხილის და ჩაის პლანტაციებს. ქართველი დევნილების დაბრუნება სირთულეებს არ უკავშირდება, რადგან მათ სახლებში არავის დაუდია ბინა, შესაბამისად, იქიდან არც არავინ არის გამოსასახლებელი. სწორედ ამიტომ ამ პრობლემის მოგვარებას უფრო ოპტიმისტურად ვუყურებთ.

მ. განაპოლსკი: ახლა პეიჯერით მოსულ შეკითხვებს დაგისვამთ და გთხოვთ, მოკლედ უპასუხოთ. „ხომ არ იგეგმება შევარდნაძისა და პუტინის შეხვედრა?“

ზ. ჟვანია: ჯერჯერობით, ჩემთვის უცნობია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს შეხვედრა გაიმართება.

მ. განაპოლსკი: „რამდენად ძლიერია საქართველოში ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც რუსეთთან და ბელორუსთან კავშირში შესვლა უნდათ? როგორია ასლან აბაშიძის და კომუნისტების პოზიციები? საერთოდ, რამდენად ძლიერია ასეთი ტენდენცია?“

ზ. ჟვანია: მარგინალური პოლიტიკური ჯგუფების გარდა, ამის თაობაზე არავინ ლაპარაკობს. ამიტომ, მიძნელდება ვივარაუდო, რომ საქართველოში მომავალი აქვს იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის დამცრობის მომხრე იქნება.

მ. განაპოლსკი: „რატომ არიან საქართველო და ჩეჩნეთი ყოველთვის რუსეთის წინააღმდეგები? ქართველებს მოსკოვსა და სხვა ქალაქებში ბევრი კომერციული თუ სხვა ფირმა აქვთ. არის კი საქართველოში ისეთი მდგომარეობა, რომ რუსებს სხვადასხვა ფირმა და ბანკი ეკუთვნოდეთ?“

ზ. ჟვანია: ჯერ ერთი, საქართველოში ბევრია მნიშვნელოვანი რუსული ინვესტიცია, რასაც მივესალმებით და წავახალისებთ. რაც შეეხება საქართველოს და ჩეჩნეთს, შეგახსენებთ, რომ შამილ ბასაევი აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ ომის დასაწყებად რუსეთის სპეცბაზებში ემზადებოდა. რუსეთის პრესა იმ დროს ბასაევს აფხაზეთის ომის გმირად რაცხავდა. როგორც კი მან ეს გამოცდილება რუსეთის საწინააღმდეგოდ გამოიყენა, იგი მაშინვე გადაიქცა მთავარ ტერორისტად, რაც უფრო ბუნებრივი, უფრო ადეკვატური ტერმინია მისი საქციელის შესაფასებლად.

მ. განაპოლსკი: „ნუთუ გჯერათ, რომ აფხაზეთში მშვიდობიან ცხოვრებას შეძლებთ? ამიერიდან აფხაზებსა და ქართველებს შორის სისხლის აღება მრავალ წელს გასტანს“.

ზ. ჟვანია: არ ვფიქრობ, რომ ეს საკითხი, შესაძლოა, სისხლის აღებას დაუკავშირდეს.

მ. განაპოლსკი: ეს სტერეოტიპებია, მაგრამ მსმენელს აქვს უფლება, მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდეს. აქ ბევრი რამ ერთმანეთში იხლართება.

ზ. ჟვანია: უეჭველად. პრობლემა ერთ დღეში, ერთ თვეში ვერ მოგვარდება. ეს რთული პროცესია, მაგრამ უნდა დავიწყოთ აფხაზეთში ქართველისა და აფხაზის თანაცხოვრების აღდგენის პროცესი.

მ. განაპოლსკი: მოდით, შევაჯამოთ დღევანდელი საუბარი. სერგეი, როგორ წარმოგიდგენიათ ის კონსტრუქცია, რომელიც ახლა ზურაბმა ააგო და რომელიც ასახავს საქართველოს სურვილებს: რუსეთის გასვლას, მშვიდობისმყოფელების ჩანაცვლებით და ჩაუნაცვლებლად? თუ აფხაზები მიხვდებიან, რომ შეიქმნა სიტუაცია, როცა აღარავინ დაეხმარება მათ საკუთარი ელიტის ხელისუფლებაში შესანარჩუნებლად, ძველ ურთიერთობებს დაუბრუნდებიან, საქართველოს პროტექტორატის ქვეშ ყოფნას დათანხმდებიან. შესაძლოა, მოვლენების ასეთი განვითარება თუ დასაშვებია უფრო ტრაგიკული მდინარება?

ს. იუშენკოვი: ვშიშობ, რომ თანამედროვე პირობებში, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს ერთ-ორ წელიწადში, ამ სცენარის რეალიზება შეუძლებელია. სინამდვილეში შესაძლებელია შექმნილი მდგომარეობის რამენაირად გაყინვა. ამ პრობლემას შორეულ მომავალში, ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ თუ მოაგვარებენ ჩვენი შთამომავლები. არ ვიცი, ვინ ჩაანაცვლებს ახლანდელ სახელისუფლებო ელიტას.

მ. განაპოლსკი: ხომ არ გამწვავდება სიტუაცია და კონფლიქტი შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზრდება?

ს. იუშენკოვი: ვიმედოვნებ, რომ ეს არ მოხდება, თუკი საქართველო გააკონტროლებს თავის ტერიტორიაზე მოქმედ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს და რამენაირად მოახერხებს მათ იზოლირებას. თუ არადა, კონფლიქტი მოსალოდნელია.

მ. განაპოლსკი: ზურაბ, თქვენთან ორი შეკითხვა მაქვს. პირველი: თუ ისე მოხდება, როგორც სერგეიმ ივარაუდა – უკანონო შეიარაღებული ფორმირებები აფხაზეთში წყალს აამღვრევენ – ხომ არ გეგმავთ აფხაზეთში ქართული ჯარის ფართომასშტაბიან შეყვანას?

ზ. ჟვანია: ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ, დღესდღეობით, აფხაზეთში ჯარის შეყვანას არ ვაპირებთ. მინდა, ტერმინოლოგიის თაობაზე მოგახსენოთ. ის ქართველები, რომლებსაც საკუთარ სახლებში დაბრუნება სურთ, რატომ არიან უკანონო შეიარაღებული ფორმირებები? პარლამენტში ვიწვევ ხოლმე დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, რომლებიც ომობდნენ და პარტიზანობდნენ ბელორუსში, უკრაინაში, რუსეთში. მათ პატივს მივაგებთ, ისინი ჩვენი ყველაზე პატივსაცემი თანამოქალაქენი არიან. ადამიანები საკუთარ კერაზე პარტიზანული მეთოდებით იმიტომ ცდილობენ დაბრუნებას, რომ მათ სხვა საშუალება არ გააჩნიათ. მათ ეუბნებიან, ათი, ოცი წელი კიდევ მოიცადეთო. მათ არანაირი შანსი აღარ დარჩათ. რატომ არიან ისინი ბანდიტები და ტერორისტები?!

მ. განაპოლსკი: სერგეი სულ სხვა რამეს გულისხმობდა. იგი ლაპარაკობდა მართლაც უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებზე, მაგალითად, ჩეჩენთა დაჯგუფებებზე. ეს ახლავე მინდა განვმარტო და გამოვასწორო.

ზ. ჟვანია: რაც შეეხება ჩეჩენთა დაჯგუფებებს. ვიმედოვნებთ, რომ რუსეთი შეძლებს საკუთარი საზღვრის ჩაკეტვას და ამით ჩვენც მოგვაკლდება თავის ტკივილი. იმავე გელაევის რაზმმა, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ, გადმოლახა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთი, რასაც რუსი მესაზღვრეები, თითქოს, საგულდაგულოდ უნდა აკონტროლებდნენ.

მ. განაპოლსკი: გმადლობთ საუბრისთვის.

გაზ. „დილის გაზეთი“. 17 ოქტომბერი, 2001 წ. №228 (1649). გვ.10.
18 ოქტომბერი, 2001 წ. №229 (1650)

„რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა ხორციელდება

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ ორი განცხადება გააკეთა. ერთი განცხადება თავის რუს კოლეგას გაუგზავნა, მეორე კი „რუსთავი-2“-ის ოფისში დატრიალებულ დრამას მიეძღვნა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ კოდორის ხეობის დაბომბვასთან დაკავშირებით სპეციალური წერილით მიმართა რუსეთის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარეს და შესაბამისი კომიტეტების თავმჯდომარეებს.

„საქართველოს საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ჩვენს მოლაპარაკებებს და გაჩნდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დარეგულირების იმედი. სამწუხაროდ, მთელი მოლოდინი დაამსხვრია კოდორის ხეობაში განვითარებულმა მოვლენებმა“, – ნათქვამია წერილში.

ამასთან, ჟვანიამ რუს კოლეგებს მოუწოდა, რომ მათ გამოიყენონ ყველა ბერკეტი საიმისოდ, რათა თავიდან იქნას აცილებული მოვლენათა ესკალაცია და დამტკიცდეს საპარლამენტთაშორისო დიპლომატიის ეფექტურობა.

მეორე განცხადება კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუშინ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ოფისში დატრიალებულ მოვლენებს მიეძღვნა. ჟვანიამ ყველა საინფორმაციო საშუალებას სთხოვა, სრულად გამოექვეყნებინათ მისი განცხადების ტექსტი. გთავაზობთ ჟვანიას განცხადების სრულ ტექსტს:

„ის, რაც ხდება დღეს, უმნიშვნელოვანესი მოვლენებია ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის. ეს პრაქტიკულად ღია შეტევა განხორციელდა, უპრეცედენტო ამ წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნისათვის თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ.

მე ვაფასებ იმას, რაც განხორციელდა დღეს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ში, ერთმნიშვნელოვნად, როგორც პოლიტიკურ ანგარიშსწორებას, პოლიტიკურ დევნას. „რუსთავი-2“ დღეს გახლავთ ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი მასმედიის ლიდერი. შეიძლება ეთანხმებოდე ან არ ეთანხმებოდე „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტების შეფასებებს ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ უცილობელი ფაქტი არის, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მათი აზრი, მათი შეფასება განსხვავდება ხელისუფლების ოფიციალური პოზიციისაგან და სწორედ ეს გახლავთ თავისუფალი სიტყვის, თავისუფლების არსი.

ამ დღეებში თქვენ აკვირდებოდით, გამოითქვა პირდაპირი მუქარა „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ. დღეს გახდა ცნობილი, რომ ფინანსურ დარღვევებზე თუ არის საუბარი, ეს, ჩვენი კანონმდებლობით, მე ამას ხაზი მინდა გავუსვა, ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს საგადასახადო სამსახურების პრეროგატივას. ერთი თუ ორი

კვირის წინ დაასრულა საგადასახადო სამსახურმა „რუსთავი-2“-ის ფინანსური საქმიანობის შემოწმება. ამის ფონზე დღეს, ჩემდა გასაკვირად, უშიშროების სამინისტროს საკმაოდ მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები შედიან ტელეკომპანიის ტერიტორიაზე, ითხოვენ მთელი დოკუმენტაციის შემოწმებას. ეს ბადებს სწორედ იმის განცდას, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს სწორედ პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან, პოლიტიკურ დევნასთან და არაფერ სხვასთან.

მე დიდი მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ ის, რასაც ჩვენ ვაკვირდებით ბოლო დროის განმავლობაში, გახლავთ კორუფციასთან დეკლარირებული ბრძოლის გადაზრდა ბრძოლაში სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ, ბრძოლაში სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ და, საზოგადოდ, თავისუფლების წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში.

ამ ბრძოლის ამოცანა მათი მხრიდან, ვინც დაგეგმა და ახორციელებს ამას, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს ქვეყანაში აღარ არსებობდეს განსხვავებული აზრი და საბოლოოდ გაბატონდნენ ის კლანები, რომლებმაც მოიპოვეს კონტროლის ბერკეტები ჩვენს ეკონომიკაზე. სამწუხაროდ, ეს გახლავთ ის სცენარი, რომელიც გათამაშდა ძალიან ბევრ ქვეყანაში. სწორედ ამიტომ დავიწყე ჩემი განცხადება იმ სიტყვებით, რომ დღევანდელ დღეს გადაწყდება, თუ როგორი იქნება ჩვენი ქვეყნის მომავალი. დაგვრჩება თუ არა ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებს, არჩევანის გაკეთების საშუალება, დაგვრჩება თუ არა ჩვენ იმის თავისუფლება, რომ თავად განვსაზღვროთ ჩვენი ბედი.

უნდა გითხრათ, რომ იმ აქციას, რაც განხორციელდა უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელთა მხრიდან. მე არ განვიხილავ, როგორც მხოლოდ აქციას „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ. ეს არის ქმედებები, მიმართული იმის წინააღმდეგ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია დღევანდელ საქართველოში, რაც უეჭველად არის ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი უპირველესი მონაპოვარი, სიტყვის თავისუფლების, თავისუფალი მას-მედიის წინააღმდეგ განხორციელებული აქცია გახლავთ ეს. ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან, ვინც გადადგა ეს ნაბიჯი, ეს გახლავთ პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი გადაწყვეტილება. თუ ხელისუფლებაში ვინმემ გადაწყვიტა, რომ დაუპირისპირდეს არამცთუ მხოლოდ ჟურნალისტებს, დაუპირისპირდეს ქართულ საზოგადოებას, მაშინ მე და ჩემი მეგობრები ვემიჯნებით ხელისუფლების ამ ნაწილს.

თუ ხელისუფლების გარკვეულ ნაწილს სურს გაავლოს მიჯნა თავისსა და საზოგადოებას შორის, ჩვენ ვიქნებით ამ მიჯნის იმ მხარეს, სადაც დგას ქართული საზოგადოება. ეს მე მინდა განვაცხადო ყველას გასაგონად. ძალიან კატეგორიულად და ცხადად!“

გაზ. „ახალი თაობა“. 31 ოქტომბერი, 2001 წ.
№300 (2151). გვ. 2

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას განცხადება

საჭიროდ მივიჩნიე, დღეს, „რუსთავი-2“-ში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, აუცილებლად გამეკეთებინა საგანგებო განცხადება. მინდა, ვთხოვო ყველა საინფორმაციო საშუალების წარმომადგენელსა და ჟურნალისტს, რომ ეს განცხადება მონტაჟისა და შეკვეცის გარეშე გადასცენ, ვინაიდან, მიმაჩნია, რომ რაც დღეს ხდება, ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენებია.

დღეს, ამ წლების განმავლობაში პირველად – პრაქტიკულად უპრეცედენტო, ღია შეტევა განხორციელდა თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ. იმას, რაც ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ში მოხდა, ვაფასებ, როგორც ერთმნიშვნელოვან პოლიტიკურ ანგარიშსწორებას, პოლიტიკურ დევნას.

„რუსთავი-2“ დღეს, ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი მასმედიის ლიდერი გახლავთ. ამ ტელეარხის ჟურნალისტების შეფასებას ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება ან დაეთანხმო ან არა, მაგრამ უცილობელი ფაქტია ის, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მათი აზრი და შეფასება ხელისუფლების ოფიციალური პოზიციისაგან განსხვავებულია. სწორედ ეს გახლავთ თავისუფალი სიტყვისა და საერთოდ, თავისუფლების არსი.

ამ დღეებში თქვენ აკვირდებოდით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელების მიერ „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ პირდაპირი მუქარა გამოითქვა.

თუ საუბარია ფინანსურ დარღვევებზე – ხაზი მინდა გავუსვა, რომ ეს ჩვენი კანონმდებლობით, ერთმნიშვნელოვნად საგადასახადო სამსახურების პრეროგატივას წარმოადგენს – სწორედ ერთი-ორი კვირის წინათ, საგადასახადო სამსახურმა „რუსთავი-2“-ის ფინანსური საქმიანობის შემოწმება დაასრულა. დღეს კი, უშიშროების სამინისტროს საკმაოდ მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, ჩემდა გასაკვირად, ტელეკომპანიის ტერიტორიაზე შედიან, ითხოვენ მთელი დოკუმენტაციის გადამოწმებას და სხვა. ეს ბადებს განცდას, რომ საქმე გვაქვს სწორედ პოლიტიკურ ანგარიშსწორებასა და პოლიტიკურ დევნასთან და სხვა არაფერთან.

დიდი მწუხარებით მინდა აღვნიშნო, რომ ის, რასაც ყველანი ბოლო დროის განმავლობაში ვაკვირდებით, გახლავთ კორუფციასთან დეკლარირებული ბრძოლის გადაზრდა სამოქალაქო საზოგადოების, სიტყვის თავისუფლების, საზოგადოდ, თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვინც ეს ბრძოლა დაგეგმა და ახორციელებს, მისი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ქვეყანაში განსხვავებულმა აზრმა აღარ იარსებოს და საბოლოოდ გაბატონდნენ ის კლანები, რომელთაც ეკონომიკაზე კონტროლის ბერკეტები მოიპოვეს. ეს, სამწუხაროდ, ის სცენარი გახლავთ, რომელიც ბევრ სახელმწიფოში უკვე გა-

თამაშდა. სწორედ ამიტომ დავიწყე ჩემი განცხადება სიტყვებით, რომ დღევანდელ დღეს წყდება ჩვენი ქვეყნის მომავალი, როგორი იქნება იგი? დაგვრჩება თუ არა ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებს არჩევანის გაკეთების საშუალება? იმის თავისუფლება, რომ თავად განვსაზღვროთ ჩვენი ბედი?

უნდა გითხრათ, რომ ამ აქციას, რომელიც დღეს უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელდა, არ განვიხილავ როგორც მხოლოდ „რუსთავი-2"-ის წინააღმდეგ მიმართულს, ეს ქმედებები მიმართულია იმის წინააღმდეგ, რაც დღევანდელ საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი უპირველესი მონაპოვარია: ეს გახლავთ სიტყვის თავისუფლების, თავისუფალი მასმედიის წინააღმდეგ განხორციელებული აქცია. ხოლო, ხელისუფლების იმ წარმომადგენელთა მხრიდან, ვინც ეს ნაბიჯი გადადგა, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, ეს ქმედება პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფას გადაწყვეტილებად მიმაჩნია. თუ ხელისუფლებაში ვინმემ გადაწყვიტა, დაუპირისპირდეს არა მხოლოდ ჟურნალისტებს, არამედ მთელ ქართველ საზოგადოებას, მაშინ მე და ჩემი მეგობრები, ჩვენ, ვემიჯნებით ხელისუფლების ამ ნაწილს. თუ ხელისუფლების გარკვეულ ნაწილს სურს თავის თავსა და საზოგადოებას შორის მიჯნის გავლება, მაშინ ჩვენ მიჯნის იმ მხარეს დავდგებით, სადაც ქართველი საზოგადოება დგას. ეს მინდა განვაცხადო ყველას გასაგონად, კატეგორიულად და ცხადად.

დიდი მადლობა, ეს იყო ის, რისი თქმაც დღევანდელ მოვლენებთან დაკავშირებით მსურდა.

გაზ. „დილის გაზეთი". 31 ოქტომბერი, 2001 წ. №24 (1661). გვ. 2

ჩვენ მზად ვართ ყველაზე თამამი გადაწყვეტილებებისთვის

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ზურაბ ჟვანია დარწმუნებულია, რომ თბილისსა და სოხუმს შორის მსხვილმასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხე უკან დარჩა

«Независимая Газета»
ეკატერინა ტესემნიკოვა
მოამზადა გიორგი ასანიშვილმა

გასულ შაბათ-კვირას მოსკოვში იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის სპიკერი ზურაბ ჟვანია. მთავარი სიახლე, რომლის შესახებაც ბატონმა ჟვანიამ განაცხადა, ის არის, რომ უახლოეს პერიოდში პრეზიდენტების, ვლადიმირ პუტინისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა გაიმართება. მართალია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ამ შეხვედრის ვადები არ დაუკონკრეტებია, მაგრამ აღნიშნა, რომ ორივე მხარეს განსაზღვრული აქვს, ეს მოხდეს დსთ-ის საიუბილეო სამიტამდე, რომელიც 30 ნოემბერს ჩატარდება რუსეთის დედაქალაქში. ამ კონტექსტიდან ნათელი ხდება, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან საქართველოს გასვლის საკითხი თბილისში არააქტუალურად მიიჩნიეს, რადგან მიხვდნენ – კონფედერაციის ყველა წევრ სახელმწიფოსთან მათ სერიოზული ეკონომიკური ინტერესები აქვთ. ასევე, მეორე პლანზე გადაიწია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის თემამ, თუმცა, საქართველოს პარლამენტი მოითხოვს, რომ სამშვიდობოებმა კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან დამოკიდებულება შეცვალონ.

„სამშვიდობო ძალებმა უნდა შექმნან პირობები აფხაზეთში დევნილების დასაბრუნებლად, მაგრამ ამ მიმართულებით, ჯერჯერობით, ერთი ნაბიჯიც კი არ გადადგმულა... ჩვენ გვჭირდება მშვიდობისმყოფელები და არა ისეთი ძალები, რომლებიც, მანდატს ამოფარებულნი, კონფლიქტის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენენ. საჭიროა შეიქმნას პირობები, რომლის დროსაც რუსი სამხედროები მხოლოდ აფხაზური მხარის სიმპატიზირებას თავს დაანებებენ“, – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ. ამასთან, მან გამოთქვა მოსაზრება, რომ „ცისფერ-ჩაფხუტიანების“ გასაყვანად მხოლოდ ერთი – ქართული მხარის გადაწყვეტილება საკმარისია.

პანკისიდან კოდორის ხეობაში ჩეჩენი „ბოევიკების“ გადასროლის საქმეში საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლების შესაძლო

მონაწილეობის შესახებ საუბრისას, ჟვანიამ აღნიშნა, რომ ამის ერთმნიშვნელოვნად მტკიცება არ შეუძლია. სპიკერის თქმით, ამჟამად ეს პრობლემა პარლამენტში აქტიურად განიხილება და ლაპარაკია სპეციალური კომისიის შექმნაზე, რომელიც დაადგენს, ჰყავდათ თუ არა „ბოევიკებს“ ხელშემწყობნი საქართველოს ხელისუფლებაში. იმერეთის გუბერნატორის განცხადებაზე საუბრისას, რომელიც აფხაზეთის ფაქტობრივ ხელისუფლებასთან ბრძოლაში პარტიზანებისთვის მისი მხრიდან ღია მხარდაჭერას გულისხმობს, ზურაბ ჟვანიამ შენიშნა, რომ თემურ შაშიაშვილის პოზიციამ საქართველოში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია და ის არ წარმოადგენს ქვეყნის ხელმძღვანელობის, კერძოდ, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის თვალსაზრისს.

სხვა აქტუალურ შეკითხვებს პასუხობს ზურაბ ჟვანია „ნეზავისიმაია გაზეტასთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

როგორ ფუნქციონირებს საქართველოს პარლამენტი მმართველ პარტიაში – მოქალაქეთა კავშირში მომხდარი განხეთქილების შემდეგ?

ამჟამად პარლამენტი მართლაც გარდამავალ პერიოდში იმყოფება, რადგან პირველად, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მყარი უმრავლესობა აღარ არსებობს. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ურთულესი გადაწყვეტილებების მიღებასაც კი ვახერხებთ. ამასწინათ პარლამენტმა, ხმების დიდი უმრავლესობით, მხარი დაუჭირა ერთობ არაპოპულარულ გადაწყვეტილებას ბიუჯეტის სეკვესტრის შესახებ. დიდი ენერგია დაიხარჯა, პრეზიდენტი შეხვდა ფრაქციების ლიდერებს და გადაწყვეტილება ასე მივიღეთ. თუმცა, ახლა ძნელი სათქმელია, მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები. ამჟამად პარლამენტში მიმდინარეობს ახალი პოლიტიკური ბალანსის ჩამოყალიბების პროცესი. როგორი იქნება ის, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ საქართველოს პარლამენტი პრეზიდენტის მხარდამჭერი ორგანოდან მისდამი ოპოზიციურ სტრუქტურად გადაიქცა?

მე ასე ერთმნიშვნელოვნად არ ვიტყოდი, რომ პარლამენტი პრეზიდენტისადმი ოპოზიციური გახდა. არსებულ სიტუაციას ასე შევაფასებ: პარლამენტში უფრო აქტიურად დაიწყეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის გაძლიერების მოთხოვნა. ამ შემთხვევაში საქმე ეხება სხვადასხვა უწყებას, სამინისტროს. კონტროლის გაძლიერება იმიტომ არის აუცილებელი, რათა სრულფასოვნად იმუშაონ პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონებმა, აგრეთვე, გაირკვეს, რამდენად ადეკვატურად ფუნქციონირებს ესა თუ ის სახელისუფლებო სტრუქტურა და ასე შემდეგ. ეს პარლამენტი, ბუნებრივია, უფრო რთული იქნება, ვიდრე ის, რომელშიც მყარი და მონოლითური უმრავლესობა არსებობდა.

ამ დღეებში პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების არჩევნები ჩატარდა. ბაღდათის რაიონში ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ გაიმარჯვა. მართალია თუ არა, რომ მან თავისი თანამდებობა

პრეზიდენტზე თქვენი ზემოქმედების შედეგად დატოვა და ახლა როგორ აპირებთ პარლამენტში მასთან თანამშრომლობას?

გარკვეული უთანხმოება არსებობდა რამდენიმე წლის წინათ, როდესაც 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ვაჟა ლორთქიფანიძე არ დაინიშნა სახელმწიფო მინისტრის პოსტზე. აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ის ნამდვილად გამოჩენილი პოლიტიკოსია. მე მჯერა, რომ მას ძალიან სერიოზული პოტენციალი აქვს, განწყობილია თანამშრომლობისთვის და, ვიმედოვნებ, ეს თანამშრომლობა მეტად საინტერესო იქნება. მივესალმები, რომ ის პარლამენტის წევრად არის არჩეული.

რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ხელისუფლებისთვის იუსტიციის ექს-მინისტრის – მიხეილ სააკაშვილის პარლამენტში დაბრუნებას, რომელმაც თბილისის ვაკის რაიონში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა?

მიხეილ სააკაშვილი ჩემი კარგი მეგობარია. ცალკეულ, კონკრეტულ საკითხებზე ჩვენ შეიძლება გვქონდეს კამათი, მაგრამ საქართველოს მომავალს, მთლიანობაში, ერთნაირად ვხედავთ. ჩვენ გვაქვს მსგავსი, თითქმის იდენტური პოლიტიკური შეხედულებები. დღეს ის ძალიან პოპულარულია საქართველოში და ამის დამადასტურებელია უმძიმესი კონკურენციის პირობებში ცენტრალურ საარჩევნო ოლქში გამარჯვება. მას სერიოზული, სოლიდური კონკურენტები ჰყავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამომრჩეველთა ხმების გამაოგნებელი რაოდენობა – თუ არ ვცდები, 70 პროცენტზე მეტი მიიღო. ბევრი ჩემი თანამოქალაქე სააკაშვილისგან ელის არსებით ქმედებებს იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც ძალიან აღელვებს საზოგადოებას. ეს საკითხები, უპირველესად, სახელისუფლებო სტრუქტურებში კორუფციასთან ბრძოლასთან არის დაკავშირებული.

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ხელისუფლებისთვის პარლამენტში მის დაბრუნებას?

მე ვიტყოდი, რომ ხელისუფლებაში საქმიანობა უფრო საინტერესო გახდება, რადგან სააკაშვილი მეტად დინამიკური, ენერგიული პოლიტიკოსია და მოწყენის საშუალებას ის არავის მისცემს.

როგორ მიდის საქმე დსთ-ის ფარგლებში საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის კუთხით?

ძალიან მოხარული ვარ, რომ გენადი სელეზნიოვი გამოვიდა ინიციატივით, ნოემბრის ბოლოს რუსეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის პარლამენტების სპიკერების პეტერბურგში შეხვედრის თაობაზე (საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მორიგი სხდომის ფარგლებში). მე ამ ინიციატივას მივესალმები და დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ კონსულტაციებს პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია.

როგორ შეაფასებთ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს?

მოხარული ვარ, რომ ისეთი ვნებათაღელვა, როგორიც ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ იყო, უკვე აღარ არის. შეიძლება ითქვას, რომ მეტ-ნაკლებად მასშტაბური ახალი შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხემ გაიარა. თუმ-

ცა, ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ვიდრე საკითხი მკვდარი წერტილიდან არ დაიძვრება, მუდმივად დენთის კასრზე ვისხდებით. უნდა დაიწყოს დევნილთა დაბრუნების პროცესი, მივაღწიოთ ძვრებს აფხაზეთის სტატუსის საკითხში. ქართული სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთი ისარგებლებს ძალიან ფართო ავტონომიით, ექნება სერიოზული გარანტიები პოლიტიკურ თვითმმართველობაში. შეიძლება, ლაპარაკი იყოს ახალი პრეცედენტების პრაქტიკულად შექმნაზე, იმაზე, რომ გადმოვიღოთ რუსეთის ფედერაციის, ევროპული სახელმწიფოების ყველაზე თამამი გამოცდილება.

თათრეთი გაქვთ მხედველობაში?

ცალკეულ მოდელებს არ დავასახელებ, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ მზად ვართ ყველაზე თამამი გადაწყვეტილებებისთვის. მთავარია, ჩვენ კვლავ დავიწყოთ ერთად ცხოვრება, დავუბრუნდეთ მშვიდობიან თანაარსებობას, არ დავუწყოთ ერთმანეთს ყურება მტრობისა და სრული გაუცხოებისგან ჩამუქებული სათვალეებით. ამის ალტერნატივა არ არსებობს. სხვა შემთხვევაში, მუდმივად იქნება შეიარაღებული პროვოკაციის სპონტანურად ორგანიზების საფრთხე. ჩვენ ეს უნდა გვესმოდეს და ყველაფერი გავაკეთოთ კომპრომისის მოსაძებნად.

მაგრამ განცხადებების მიხედვით, იკვეთება ლოგიკა, რომ აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლების უფლებამოსილება საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებში წმინდა წყლის ფორმალობად იქცევა. ვლადისლავ არძინბას ხან მაღალ პოსტს ჰპირდებიან, ხან ჰააგის ტრიბუნალით ემუქრებიან.

არძინბას რომ ჰააგის ტრიბუნალს გადავცემდეთ, მაშინ მას არც ედუარდ შევარდნაძე შეხვდებოდა და არც ორმხრივი შეხვედრები და კონსულტაციები ჩატარდებოდა. აქ, მოსკოვში გაიმართა მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა ქართველ და აფხაზ ბიზნესმენებს შორის. რასაც ისინი მოჰყვნენ, პირდაპირ გამაოგნებელია. მეწარმეებმა ერთხმად განაცხადეს: აფხაზეთში ქართველების დაბრუნებისა და ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრების ალტერნატივა არ არსებობს. ეს ის პოზიციაა, რომელიც კარს უხსნის უმტკივნეულოდ, ორივე მხარისთვის მისაღები გზით პრობლემის მოგვარებას. თუ ლაპარაკი იქნება კონკრეტულ გარანტიებზე, შეიძლება მრავალი მექანიზმის მოფიქრება, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ აფხაზეთს არ დაემუქრება არავითარი ძალადობა, არ შეიზღუდება აფხაზი ხალხის განვითარების უფლება. არ მინდა, გასაქანი მივცე ფანტაზიას, მე მაქვს მრავალი სერიოზული იდეა, რომელთაგან ზოგიერთი შევთავაზე აფხაზეთის ხელმძღვანელობას – სეპარატისტულს. ასე რომ, შესაძლო გადაწყვეტილებების არსენალი მეტად ფართო და მრავალფეროვანია.

ლაპარაკია ამ გადაწყვეტილებების რეალიზაციაზე მხოლოდ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლის შემდეგ?

აქ არ იგულისხმება ისეთი გადაწყვეტილებები, რომელთა რეალიზება მყისვე შეიძლება. დევნილების სტატუსის პრობლემების მოგვარება შესაძლე-

ბელია, მაგრამ ჩვენ, უპირველესად, უნდა დავიწყოთ ერთმანეთისკენ მოძრაობა. ამას გარკვეული დრო სჭირდება. ადამიანები საკუთარ სახლებში უნდა დაბრუნდნენ, თავდაპირველად – გალის რაიონში, შემდეგ სხვა რაიონებში. საჭიროა, ვისწავლოთ ერთად მუშაობა რკინიგზაზე, აეროპორტებში, საზღვაო პორტებში. მით უმეტეს, დღეს აქ მუშახელის ნაკლებობა იგრძნობა. ბევრი დიდებული ქართველი სპეციალისტი სიამოვნებით დაბრუნდებოდა. ვიცი, რომ იგივე სურს მრავალ მათ აფხაზ კოლეგას. ასეთი სიგნალი ჩვენ არაერთხელ მიგვიღია. საუბარი შეიძლება იყოს, აგრეთვე, მედიკოსებზე, ფიზიკოსებზე, რომლებიც სოხუმის უნიკალურ სამეცნიერო ცენტრებში მუშაობდნენ. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვისწავლოთ ერთად ცხოვრება, მუშაობა და ასე შევქმნათ საერთო მომავალი.

შესაძლებელია თუ არა ამ პროექტების რეალიზაცია აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებამდე?

ეს პარალელურად უნდა ხდებოდეს. ამასთან, ჩვენ უნდა დავაფიქსიროთ, რომ საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ვიდრე ასეთი საკითხი იარსებებს, ქართველების და აფხაზების თავზე დამოკლეს მახვილივით ეკიდება ახალი ომის, შეიარაღებული დაპირისპირების შესაძლებლობა.

როგორ აფასებთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში იმ პარტიის როლს და საპარლამენტო არჩევნებში იმ ბლოკის გამარჯვების შანსებს, რომელსაც ასლან აბაშიძე ხელმძღვანელობს?

ამჟამად, საპარლამენტო არჩევნებამდე ორი წლით ადრე, ძნელია პროგნოზის გაკეთება. ისე, საერთოდ, მივეჩვიე, რომ საპარლამენტო არჩევნებში ყოველთვის ის გაერთიანება იმარჯვებს, რომელსაც მე ვუდგავარ სათავეში. მაპატიეთ ასეთი არცთუ მოკრძალებული პასუხი.

სამაგიეროდ გულწრფელი... როგორ მიდის რუსეთ-საქართველოს „დიდი“ შეთანხმების ხელმოწერის სამზადისი?

თუ არ ვცდები, 15 ნოემბერს თბილისში ჩამოდის ბატონი პასტუხოვი, მუშა ჯგუფთან ერთად (სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის საკითხების კომიტეტის ხელმძღვანელი ბორის პასტუხოვი სათავეში უდგას ორმხრივი კომისიის რუსულ მხარეს, რომელიც ამზადებს შეთანხმებას მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების შესახებ). იმედი მაქვს, რომ პირველი კონტურები მალე გამოიკვეთება. ამას ჩვენ მოუთმენლად ველით.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ამბობენ, რომ ქართულმა მხარემ, რომელიც შეთანხმების ხელმოწერის ინიციატორია, მისი შემუშავების ასეთი ინიციატივა წამოაყენა: მოსკოვმა მოამზადოს თავისი პროექტი, თბილისმა – თავისი და შემდეგ ისინი შეჯერდეს. რუსეთის მხარემ ეს მიუღებლად მიიჩნია და განაცხადა: „ვინც ძაღლი მოკლა, მანვე დამარხოს“. მან ქართულ მხარეს შესთავაზა, თავად შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელშიც, ორივე მხარის აზრთა გათვალისწინებით, ცვლილებები შევა. ბოლოს და ბოლოს, ამჟამად რამდენი პროექტი არსებობს?

ქართული პროექტი უკვე არსებობს. იგი გადაეცა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტებს. მე არ მინდა, საკითხის ნიუანსებს ჩავუღრმავდე, მთავარია, რომ შეთანხმება დაიდოს, ხელი მოეწეროს და მოხდეს პარლამენტების მიერ მათი რატიფიკაცია. როგორ მოხდება სამუშაო პროცესის დეტალების ორგანიზება, ექსპერტების გადასაწყვეტია.

სიტყვა „უსაფრთხოება“ თუ იქნება შეთანხმების სათაურში?

ჩვენ ძალიან გვინდა, რომ ეს შეთანხმება ურთიერთუსაფრთხოების სერიოზულ გარანტიებს ითვალისწინებდეს.

გაზ. „დილის გაზეთი“. 1 ნოემბერი, 2001 წ. №241 (1662). გვ. 4

პარლამენტის სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი

პატივცემულო დეპუტატებო, ქალბატონებო და ბატონებო, დღეს მთელი საქართველო უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალყურს პარლამენტის სხდომას. ალბათ იშვიათად ყოფილა წინა მოწვევის სხდომა ესოდენ დაძაბული ვნებებით დატვირთული და ის ნამდვილად ფაქტი არის, რომ ამდენი ჩვენი ამომრჩეველი, ჩვენი თანამოქალაქე ადრე არასოდეს შეკრებილა პარლამენტის კედლების წინ. აგვისტოს ბოლოს, მე საქართველოს პრეზიდენტს მივმართე ღია წერილით, სადაც ვსაუბრობდი იმ წარმოდუგენელ გაუცხოებაზე, რომელიც ყალიბდება მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. ვსაუბრობდი იმაზე, რომ ხელისუფლების უუნარობა პასუხი გასცეს იმ შეკითხვებს, რაც არსებობს ჩვენს მოსახლეობაში შეუქცევადს ხდის ძალიან მძიმე პროცესებს ჩვენს ქვეყანაში. რომ უმაღლესი რანგის თანამდებობის პირთა მხრიდან ქონების მოხვეჭა, ამის ცინიკური დემონსტრირება მთელი საზოგადოების დასანახად, ყველანაირ მოთმინების ზღვარს სცილდება იმ ქვეყნის მოსახლეობისათვის, რომელსაც თავისი ტრადიციებიდან გამომდინარე არ შეუძლია შეიგუოს აშკარა, ვულგარული, ესეთი ცინიკურად გულახდილი კლანური მმართველობა.

მე ვწერდი იმის შესახებ, რომ ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს შანსი საიმისოდ, რომ პროცესი შემობრუნდეს, რომ მოხდეს საზოგადოების, ყველა პოლიტიკური ძალის, ყოველ შემთხვევაში, კონსტრუქციული პოლიტიკური ძალის კონსოლიდაცია ქვეყნის პრეზიდენტის გარშემო, იმ პიროვნების გარშემო, რომლის ბიოგრაფია საქართველოს აძლევს სრულიად უნიკალურ, ალბათ უახლოესი წლების განმავლობაში, განუმეორებელ შანსს, რომ ჩვენ ძალიან, მართლაც, ძალიან ღირსეულ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდეთ ერთხელ და სამუდამოდ. ვწერდი იმის შესახებაც, რომ ძალიან ცოტა დრო არის დარჩენილი, რომ დროის ლიმიტი, რომელიც ხელისუფლებას ჯერ კიდევ გააჩნია, თითქმის ამოწურული არის.

ჩემმა ღია წერილმა დღეს, უნდა ვთქვათ, გამოიწვია ჩემი ბევრი კოლეგის აქ, პარლამენტში, და ბევრად უფრო მეტი კოლეგის აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძალიან მკვეთრი გაღიზიანება, რა საჭირო არის, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ, მეორე პირმა სახელმწიფოში, წერილობით მიმართოს სახელმწიფოს მეთაურს, პირველ პირს, მაშინ როდესაც მათ ესეთი ხშირი შეხვედრები აქვთ და სხვა და სხვა. საქმე ის გახლავთ, რომ ის პრობლემები, რაც მე წამოვწიე ღია წერილში, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, პრაქტიკულად, 1 წლის განმავლობაში იყო ჩვენი განხილვების და საკმაოდ მწვავე განხილვების საგანი პრეზიდენტთან ჩვენი თითქმის ყოველი შეხვედრის დროს, არა მხოლოდ ერთი ერთზე გამართული შეხვედრებისა, არამედ იმ შეხვედრების დროსაც, რომლებსაც ესწრებოდნენ უმრავლესობის საბჭოს წევრები, მრავა-

ლი თქვენთაგანი, ჩვენი საზოგადოების ძალიან მნიშვნელოვანი და პატივსაცემი წარმომადგენლები.

ღია წერილი მე დამაწერინა მაშინ იმის განცდამ, რომ, პრაქტიკულად, ყველა რესურსი თითქმის უკვე ამოწურული არის და ქვეყანა მიდის იმ მიჯნასთან, როდესაც პროცესები სახელისუფლებო დაწესებულებათა კედლებიდან გადაინაცვლებს ქუჩაში. დღეს ჩვენ ამის მომსწრე ვართ, ჩვენ ვართ იმის მომსწრე, რომ დღეს პარლამენტს უწევს თავის გადაწყვეტილებებზე მსჯელობა იმ პირობებში როდესაც ათასობით ადამიანი, ძირითადად სტუდენტობა, ძირითადად ახალგაზრდობა კატეგორიულად ელის ჩვენს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. ეს სრულიად ახალი მოვლენა არის 1995 წლის შემდგომ საქართველოში. სრულიად ახალი მოვლენა არის, რომ ახალგაზრდობას, ჩვენს საზოგადოებას მოუწია გამოსვლა ქუჩაში, მოუწია ხმის ამაღლება იმისთვის, რომ მოიპოვოს ის ცხოვრება, მოიპოვოს ის გარანტიები, მოიპოვოს ბოლოს და ბოლოს, ის თავისუფლება, რომელიც თანდაყოლილ უფლებად გააჩნია თითოეულ ადამიანს დაბადების მომენტიდან. მე არ ვიცი, რა ძალა და როგორ შეძლებს აი ამ პროცესის შეჩერებას დღევანდელ დღეს.

ჩვენ ხომ ყველას კარგად გვესმის და აი ამ 2 დღის განმავლობაში ყველა ფრაქციის წარმომადგენელი, ყველა პოლიტიკური ლიდერი ხაზს უსვამდა. კი, საბაბი, არა მხოლოდ საბაბი, რეალური მიზეზი, ემოციური მუხტი ამას მისცა „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ განხორციელებულმა ქმედებებმა სამართალდამაცავი სამსახურების მხრიდან, მაგრამ საფუძველი და აი ამ პრობლემის არსი ბევრად უფრო სიღრმისეული არის, რატომ თვლის ათასობით ადამიანი, ახალგაზრდა თუ გამოჩენილი მოღვაწე, აუცილებლად, აი, თავის პირად, უმწვავეს საკითხად „რუსთავი 2“-ის დაცვას. რატომ გადაეფარა ესე მთელი საქართველო აქ, დედაქალაქშიც და სხვაგანაც ამ ტელეარხს. ტელეარხს, რომლის ნამდვილად ბევრ გადაცემას შეიძლება აუარებელი ადამიანი არ დაეთანხმოს, ან დაეთანხმოს, მაგრამ, რომელიც ყოველთვის ხელისუფლებისაგან განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებდა. იმიტომ, რომ ის მძიმე სურათი, როგორც ჩანს, რომელიც იხატება ამ არხის და სხვა გადაცემების თუ არხების დამოუკიდებელი ჟურნალისტების მხრიდან, წარმოადგენს იმ სიმართლეს, რასაც ჩვენი თანამოქალაქეები ყოველდღიურად ხედავენ და ყოველდღიურად აწყდებიან თავის ცხოვრებაში. ჩვენ, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ აი ეს გამოსვლები პარლამენტის შენობის წინ, ქუჩაში გამოსვლები, ეს გახლავთ საზოგადოდ ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის უკიდურესი გამოხატულება.

მე გულწრფელად გეტყვით, რომ ძალიან მძიმე ფიქრებში გავატარე არაერთი საათი პრეზიდენტის გუშინდელი სატელევიზიო გამოსვლის, სატალევიზიო მიმართვის შემდეგ. მე შემექმნა ის შთაბეჭდლება, რომ პრეზიდენტი ეხლაც კი არ აფასებს რეალურად იმ ვითარებას, რაც არის შექმნილი იმ საზოგადოებაში, ვისი მეთაურიც ის გახლავთ, ვინც აირჩია ის სახელმწიფოს მეთაურად, და არის ძალიან დისტანცირებული ძალიან დაშორებული ამ საზოგადოებას. მე ვერანაირად ვერ ვეთანხმები იმას, რომ რაც ხდება დღეს ქუჩებში, ეს ათასობით ადამიანი, სრულიად აპოლიტიკური, ძალიან აგრესიული ნებისმიერი

პოლიტიკოსის მიმართ, დაწყებული ჩემით და დასრულებული ბატონი რჩეულიშვილით, ადამიანები გამოვიდნენ ქუჩაში იმის გამო, რომ ვიღაცა ვიღაცას უწყობს ინტრიგებს ხელისუფლების კორიდორებში. ეს ადამიანების ყველაზე სუფთა, ყველაზე შეუბღალავი მისწრაფებების და იდეალების შეურაცხყოფა გახლავთ, იმიტომ, რომ ეს ხალხი გამოვიდა ერთადერთი ემოციით, ერთადერთი მოტივით, ერთადერთი წადილით, რომ შეიქმნან ნორმალური, ღირსეული, ადამიანისათვის მისაღები არსებობის პირობები.

რაც შეეხება ხელისუფლებისათვის ბრძოლას, და აი, ამ ყბადაღებულ თემას, მე არ ვიცი, არც ერთი სხვა პოლიტიკური ძალა საქართველოში, რომელიც თავის არსებობის განმავლობაში ამდენჯერ მკაფიოდ გააკეთებდა დემონსტრირებას, რომ კონკრეტულ პოსტებს მისთვის არანაირი გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ვინმე რომ იბრძოდეს ადგილისათვის სახელისუფლებო სტრუქტურებში, არ გადადგებოდა თავის ძალიან მნიშვნელოვანი პოსტებიდან არც მიხეილ სააკაშვილი და არც მიხეილ მაჭავარიანი, ესე კატეგორიულად არ განაცხადებდა გია ბარამიძე უარს თანამდებობის დაკავებაზე. მე დღეს მინდა გითხრათ და განვაცხადო ეს პარლამენტის და მთელი საზოგადოების წინაშე, რომ ამ წლების განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც ჩემი ან ჩემი მეგობრების მხრიდან დასმულიყო საკითხი რომელიმე მინისტრის პოსტზე რაღაცა კანდიდატურის დანიშვნასთან დაკავშირებით. არამცთუ დაგვეჯინებინა, რომ გინდა თუ არა ეს ადამიანი დაინიშნოს რაიმე პოსტზე, უბრალოდ რომ წასულიყო რაღაცა ისეთი ენერგიული ინიციატივა ამ თვალსაზრისით, იმიტომ, რომ ჩვენი მრწამსი და ის, რითაც მე ყველაზე მეტად ვამაყობ, რაც მოვახერხე ჩემს მეგობრებთან ერთად, ჩვენი უმთავრესი მამოძრავებელი მართლაც იყო აი ის იდეა, რომ შეგვექმნა საქართველო, რომელიც ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი იქნებოდა.

დღეს, პრეზიდენტის გუშინდელი განცხადების შემდეგ, მას შემდეგ, რაც მან ძალიან გამჭვირვალედ გააკეთა ესეთი მინიშნებები, რომ კი ბატონო, აი თუ არის ეს მიტინგები მე წავალ და ჟვანია დარჩება, ჟვანია დააკომპლექტებს მთავრობას და სხვა და სხვა. მე ერთადერთი გადადგომა შემიძლია საიმისოდ, რომ ერთხელ და საბოლოოდ დავარწმუნო ყველა, რომ ისევე, როგორც არც ერთი ჩემი მეგობრისათვის. არც ზურაბ ჟვანიასათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს აი ამ სავარძელს და მე არ ვაპირებ ხელისუფლებისათვის ბრძოლას. მე არ ვაპირებ, მით უფრო, ბრძოლას იმგვარი მეთოდებით, როდესაც შეიძლება საფრთხე შეექმნას ათასობით ახალგაზრდის სიცოცხლეს. ამიტომ, მე აუცილებლად ვთვლი, რომ გავაკეთო განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მე გადავდგები ჩემი თანამდებობიდან. მაგრამ მე გადავდგები მხოლოდ მას შემდეგ, რაც იქნება სრული გარანტია იმისა, რომ აი ამ ბავშვებს არ დაემუქრება არანაირი საფრთხე. მე გადავდგები მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ვიქნები დარწმუნებული, რომ ვერავინ ვეღარ დაუქნევს თითს დამოუკიდებელ ტელეკომპანიებს. ეკონომიკური თუ სხვა საბაბებით და მიზეზებით არ შეეცდება დატერორებას და დაშანტაჟებას აი იმ ერთადერთი წყაროსი, რომლის საშუალებითაც მოსახლეობა ახერხებს სიმართლის გაგებას.

ამიტომ მე მინდა განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ ჩემი განცხადება გადადგომის შესახებ შევა ძალაში ავტომატურად მას შემდეგ, რაც დატოვებს თავის პოსტს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. ადამიანი, რომელმაც საზეიმოდ ამცნო საზოგადოებას, რომ ის რკინის ადამიანი არის და შეუძლია სათანადო პასუხი გასცეს ყველას, უკლებლივ ამ ქვეყანაში. ესე არ ლაპარაკობს არც ერთ ქვეყანაში, ზოგიერთი ლათინოამერიკული კარტელების მიერ მართული სახელმწიფოს გარდა, არც ერთ ქევყანაში არ საუბრობენ ძალისმიერი სტრუქტურების ხელმძღვანელები. კაცი, რომელიც სათავეში უდგას ათასობით შეიარაღებულ ადამიანს, შეიარაღებულ დაჯგუფებებს და რაზმებს, მათ არა აქვთ ესეთი გამონათქვამების უფლება, ეს სხვა ეთიკა არის და ეს საშიშროებას უქმნის ყველაზე მთავარ, ყველაზე ძირითად საფუძვლებს იმისას, რასაც ჰქვია დემოკრატია, რასაც ჰქვია პარლამენტარიზმი, რასაც ჰქვია სიტყვის თავისუფლება. ამიტომ მე მინდა დავამშვიდო ყველა უკლებლივ ამ შენობაშიც, კანცელარიის შენობაშიც, ყველა შენობაში საქართველოში, ვისაც კი აღელვებს, მე ვიცი, რომ მოსახლეობას სულ სხვა პრობლემები აღელვებს დღეს, მაგრამ ვისაც აღელვებს, მე ვამშვიდებ ყველას, რომ ეს არ გახლავთ არანაირი ხელისუფლებისათვის ბრძოლა და ჟვანია ნამდვილად არ აპირებს აი ამგვარი მეთოდებით, ამ ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას.

მე მინდა განვაცხადო, რომ დღევანდელ დღეს, პრეზიდენტის მხრიდან ნებისმიერი განცხადება გადადგომასთან დაკავშირებით აბსოლუტურად დაუშვებელი იქნება. მე არ მინდა ვიხმარო სხვაგვარი შეფასებები. მაგრამ ეს ნაბიჯი მიმართული შეიძლება იყოს მხოლოდ ვითარების უკიდურესი დესტაბილიზაციისათვის ჩვენს ქვეყანაში, ქუჩის გამოსვლებმა ახალი რეალობის წინაშე დაგვაყენა ჩვენ. ეს ნიშნავს, რომ მართლაც ალბათ ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ შესაძლებელი გახდეს არჩეულ იქნას ის საკანონმდებლო ორგანო, ის საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც უფრო სრულად, უფრო ზუსტად ასახავს ჩვენი უკიდურესად აღელვებული და მოთმინებიდან გამოსული ამომრჩევლების მოთხოვნებსა და ინტერესებს. ვიცი, რომ ეს იდეა აქ, ამ დარბაზში ძალიან პოპულარულად არ გაიჟღერებს, მაგრამ ჩვენ გვჭირდება დღევანდელი შექმნილი კრიზისის პირობებში ვიპოვოთ კანონიერი, წყნარი ცივილიზებული გზები იმისათვის, რომ განვმუხტოთ ვითარება, რომ ადამიანებს ავუხსნათ, რომ დღეს მათ არაფერი არ ემუქრებათ, რომ მათ არ სჭირდებათ ქუჩებში დგომა და ქუჩების გადაკეტვა. შეუძლიათ დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაოს თუ თავიანთ სასწავლებლებს და საკუთარი ნების გამოხატვას აუცილებლად შესძლებენ საარჩევნო ყუთებთან.

მე პირადად, როგორც ერთ-ერთი დეპუტატი, მხარს დავუჭერ ნამდვილად მინისტრთა კაბინეტის იდეასაც. განხვავებით ჩემი ოპონენტებისაგან, ვინც დღეს ესე ცინიკურად და, ჩემი აზრით უღირსად დააფიქსირა, რომ 8 თვის განმავლობაში უარს ამბობდნენ ამ მასშტაბის, ამ სიღრმის სახელისუფლებო ცვლილებებზე, ამ მასშტაბის კონსტიტუციურ რეფორმაზე მხოლოდ ერთადერთი ფაქტორის გამო, ზურაბ ჟვანიას ფაქტორის გამო. მე ვერ გავაგრძე-

ლებ მათ პოლიტიკას, ჩემთვის ჩემს სიტყვას აქვს ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა, როგორ ჩანს ვიდრე ჩემი ოპონენტებისათვის, ამიტომ რა თქმა უნდა, მე დღესაც გავიმეორებ და გავიმეორებ აბსოლუტურად გულწრფელად, ქვეყანას სჭირდება ახალი მმართველობითი მოდელი. ვინც არ უნდა იყოს წარმოდგენილი პრემიერის პოსტზე, როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, მთავარი არის, რომ ჩაერთოს პასუხისმგებლობის სრულიად სხგვაგვარი, სრულიად ახლებური მექანიზმები და ჩვენ ერთად, მიუხედავად მთელი ამ კამათის წლების განმავლობაში, ჩვენ უნდა მოვახერხოთ აი ამ გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღება, და კიდევ ვიმეორებ, ამისათვის, მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ უნდა მხარი დავუჭიროთ კონსტიტუციური რეფორმის საკითხს. ვფიქრობ, რომ სწორედ ამგვარი თემები, ამდენად სერიოზული, ამდენად სიღრმისეული საკითხები უნდა გახდეს მომდევნო რამოდენიმე დღის განმავლობაში საპარლამენტო ფრაქციების ძალიან ინტენსიური კონსულტაციის საგანი და პრეზიდენტი ვალდებული არის, იყოს იმის გარანტი, რომ ყველა ეს ცვლილება, ყველა ეს ნაბიჯი განხორციელდება სწორედ კონსტიტუციურ კანონიერ კალაპოტში და, რა თქმა უნდა, ის უნდა ასრულებდეს, უპირველეს ყოვლისა, აი ამ ფუნქციას, რომ ჩვენი საზოგადოება ისევ არ გადაიჩეხოს უმძიმესი და შესაძლოა სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირების მორევში. მე ვშიშობ, რომ ხელისუფლებამ ამ თავისი გადაწყვეტილებით, ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებებით, თავისუფალ პრესას ... (ძაბვის ვარდნის გამო ჩანაწერი წყდება)

ჩემო კოლეგებო,.. აი, ამ ჩემი განცხადების გათვალისწინებით თქვენც, მინდა ვთხოვო პრეზიდენტსაც, მინდა ვთხოვო სხვათა შორის, ბატონ თარგამაძესაც, ბატონ მეფარიშვილსაც, მივიღოთ ყველამ გადაწყვეტილებები დღესვე, ნუღარ დავძაბავთ ვითარებას პარლამენტის კედლებს გარეთ. მე გთხოვდით, რომ დამატებითი დისკუსიების გარეშე, საერთოდ, იმიტომ, რომ ეხლა ვინც შემოვიდა აქ დამატებითი პროექტებით, ეხლა სწორად გამიგეთ, ჩვენთვისაც ცნობილი არის, როგორ იგეგმება ის, რომ აი მოიხსნას შინაგან საქმეთა მინისტრის საკითხი ამისათვის უნდა დადგეს მთელი მთავრობის გადაყენების საკითხი. ეს მისცემს რა თქმა უნდა, ბატონ თარგამაძეს, პრაქტიკულად კიდევ ერთ თვეს შესაძლებლობას, რომ მოვალეობა მაინც შეასრულოს ან კიდევ უფრო ზოგადად, მოდით, კონსტიტუციურ ცვლილებებს დაველოდოთ და სხვადასხვა. მოდით, ამიტომ თქვენთვის, მე ვგულისხმობ ჩემ დაუძინებელ და შეურიგებელ ოპოზიციას. ჩემს პირად ოპოზიციას, მე ვიყავი ამ წლების განმავლობაში ერთადერთი პარლამენტის თავმჯდომარე მსოფლიოში, რომელსაც საკუთარი პირადი ოპოზიცია ჰყავდა და ამით ვამაყობ და ვიამაყებ.

მოდით, დამატებითი დებატების გარეშე კენჭი ვუყაროთ დადგენილების იმ პროექტს, რომელიც შემოგვთავაზა ჩვენ ბატონმა კემულარიამ, ვეცადოთ, რომ პარლამენტმა შეინარჩუნოს ერთსულოვნება, რაც შეეხება ბატონ ლევან გაჩეჩილაძის მიერ წარმოდგენილ სხვა საკითხებს, კონსტიტუციური რეფორმის და სხვა საკითხებს, ამ თემას დავუბრუნდეთ უახლოეს დღეებში, თუნდაც სამშაბათის სხდომაზე და დარწმუნებული ვარ, რომ სათანადო კონსულტაციების შემდეგ საკითხი იქნება გადაწყვეტილი და ასევე, რა თქმა უნდა, ჩასატა-

რებელი იქნება კონსულტაციები პარლამენტის ახალი თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით. მე მზადა ვარ, რომ ყველასთან ვითანამშრომლო და დაგეხმაროთ, რომ აი ეს რაღაცა გარდამავალი პერიოდი პარლამენტში მაქსიმალურად სწრაფად და უმტკივნეულოდ ჩატარდეს, რათა ქაოსმა და გაურკვევლობამ პარლამენტის კედლებში არ შექმნას დამატებითი პრობლემები ამ კედლების მიღმა.

დიდი მადლობა და იმედი მაქვს, რომ ბევრ თქვენთაგანთან ერთად, დღევანდელი დღის შემდეგ, ჩვენ ვიდგებით, რაკიღა ხელისუფლების ხელმძღვანელებმა გაავლეს ზღვარი თავისსა და ამ ქვეყნის ხალხს შორის, ვიდგებით დღეიდან სწორედ ამ ხალხის მხარეს. დიდი მადლობა (ტაში).

1 ნოემბერი, 2001 წ.

2004

„ხელისუფლების ახალ მოდელში ყველაზე დაუცველი მთავრობაა“

ინტერვიუ სახელმწიფო მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან

ეკა კვესიტაძე

ჩამოყალიბდით თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებების იმ საბოლოო ვარიანტზე, რომელზეც ბოლო დღეებში ინტენსიურად მუშაობთ?

დ ახლა შეთანხმების ბოლო სტადიაში ვართ. ბევრი პრინციპული მომენტი უკვე შეჯერებულია. დარჩა ორი დებულება, რომლის ფორმულირებებზე კიდევ გვაქვს სამუშაო, მაგრამ ზოგადი მოდელი, შეიძლება ითქვას, უკვე ჩამოყალიბებულია. საბოლოო ვარიანტი, ალბათ, უახლოეს დღეებში იქნება მზად.

ეს პრინციპული მომენტები რას გულისხმობს?

ეს მოდელი საკმაოდ ახლოს დგას იმ ცვლილებებთან, რომელიც 2000 წელს ჯონი ხეცურიანმა შემოიტანა. ის ითვალისწინებს ძლიერი პრეზიდენტის არსებობას, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი არ არის.

პროექტში აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს კოლექტიური მთავრობა, რომელიც კოლექტიურად არის ანგარიშვალდებული როგორც პრეზიდენტის, ისე პარლამენტის წინაშე. ხოლო პარლამენტი იღებს ძალიან სერიოზულ ბერკეტს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზედამხედველობისთვის.

რა არის ეს ბერკეტი?

ეს არის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების უფლება ნებისმიერ მომენტში, როცა პარლამენტი ჩათვლის, რომ მთავრობა არაეფექტურად მუშაობს. ბუნებრივია, ამას, კონსტიტუციური სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების გათვალისწინებით, ახლავს დებულება, როდესაც პრეზიდენტს, ძალიან მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევაში, შეუძლია დაშალოს პარლამენტი და რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს.

უნდობლობის გამოცხადება რამდენად ძლიერი ბერკეტია საკანონმდებლო ორგანოს ხელში მაშინ, როდესაც პრეზიდენტს აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი, თუ მას არ უნდა, რომ შეელიოს მთავრობას.

ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მინისტრთა კაბინეტი არსებობს, პრეზიდენტს აქვს უფლება, რომ დაითხოვოს პარლამენტი. მაგრამ, ამ უფლების გამოყენება მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევებში ხდება, მაშინ, როდესაც პოლიტიკური კრიზისის გადაჭრის გზები ჩიხში შედის. ნებისმიერი პრეზიდენტისთვის პარლამენტის დათხოვნა და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა ძალიან სახიფათოა. მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტმა რამდენიმე წლის წინ დაითხოვა ეროვნული ასამბლეა და, შედეგად, მის მიმართ უფრო ოპოზიციურად განწყობილი პარლამენტი მიიღო.

ანუ, ამის შემდეგ კრიზისი უფრო გაღრმავდა.

არა, ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პრეზიდენტები ძალიან იშვიათად უნდა იყენებდნენ ამ ბერკეტს და საერთაშორისო პრაქტიკაში ეს ასეც არის. თუ გვეყოლება მინისტრთა კაბინეტი, მაშინ, ერთი მხრივ, პარლამენტს უნდა ჰქონდეს ახალი ბერკეტი – ეს არის მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადება; მეორე მხრივ, პრეზიდენტს უნდა შეეძლოს, რომ განსაკუთრებულ ვითარებაში პარლამენტი დაითხოვოს და რიგგარეშე არჩევნები ჩაატაროს. ამ მოდელს, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, ტრადიციული ევროპული მოდელებისაგან ერთადერთი რამ განასხვავებს. ეს არის მთავრობის და არა პარლამენტის დაუცველობა.

მაგრამ ის დეტალი, რომელიც თქვენს მოდელს ევროპულისაგან განასხვავებს, ძალიან პრინციპულია. ევროპულ მოდელში მთავრობის დათხოვნის უფლება პარლამენტს აქვს და არა პრეზიდენტს. ეს განსხვავება კი თქვენს ვარიანტს რუსულ მოდელს უფრო ამსგავსებს, ვიდრე ევროპულს.

მაგრამ ეს არ არღვევს წონასწორობას პარლამენტს, პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. ამ მოდელის პირობებში საუბარია აღმასრულებელი ხელისუფლების დაუცველობაზე, რადგან მისი დათხოვნა პრეზიდენტს ერთპიროვნულად შეუძლია.

მაშინ, როდესაც პრეზიდენტი არის არჩეული აბსოლუტური უმრავლესობით, მე მიმაჩნია, მას ამის უფლება უნდა ჰქონდეს.

მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ ის ცვლილებები, რომელიც ჩვენ შემოგვაქვს, არის კონსტიტუციური რეფორმის დასაწყისი. ეს არ არის ის მოდელი, რომელიც საქართველოში ათწლეულების მანძილზე უნდა დარჩეს.

მთავარი არგუმენტი ამ მოდელის წინააღმდეგ არის ის, რომ როდესაც პრეზიდენტს განუსაზღვრელი უფლებები ექნება, ხოლო ინსტიტუციონალური კონტროლი (პარლამენტის სახით) – ძალიან მცირე, დემოკრატია ამ ქვეყანაში შეიძლება სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს.

ჩემი სპიკერობის ექვსწლიანი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, რომ მთავარი ბერკეტი, რომელიც ქართულ პარლამენტს არ ჰქონდა, იყო უნდობლობის გამოცხადება. მთელი ის განხილვები, რომელიც პარლამენტში ეწყობოდა, ყოველთვის იყო, უბრალოდ, ლაყბობა და მეტი არაფერი. ჩვენ შეგვეძლო გამოვსულიყავით შენიშვნებით, გაგვეკრიტიკებინა მინისტრები, მაგრამ მინისტრების გადასაყენებლად, იმპიჩმენტის გარდა, არანაირი პროცედურა არ არსებობდა.

ჩვენ გვჭირდება სისტემა, როდესაც მთავრობის შეცვლა შესაძლებელი იქნება არამხოლოდ მაშინ, თუ მთავრობა სჩადის დანაშაულს, არამედ მაშინაც კი, როდესაც საზოგადოება და პარლამენტი ჩათვლის, რომ ის არაეფექტურად მუშაობს.

მაგრამ, კიდევ ერთხელ, თქვენ პარლამენტს აძლევთ ბერკეტს, რომლის გამოყენების შემთხვევაში პრეზიდენტმა ის შეიძლება დაითხოვოს. ანუ, ამ ბერკეტის გამოყენებას შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო ეფექტი მოჰყვეს.

ამ საკითხზე კამათი ნიშნავს იმას, რომ თქვენ მისვამდეთ კითხვებს – ველოსიპედს რატომ უნდა ჰქონდეს ორი ბორბალი და არა ოთხი ან ხუთი. ჩვენ ვდავობთ იმ საკითხებზე, რომელიც აპრობირებულია და მთელ მსოფლიოში, მინიმუმ, ორასი წელი მუშაობს. მე ნამდვილად არ მაქვს არანაირი სურვილი, ასეთ საკითხებზე ვკამათობდეთ.

ვერ დაგეთანხმებით, ბატონო ზურაბ. იგივე ფრანგულ მოდელში, რომელზე აპელირებასაც თქვენ ხშირად აკეთებთ, მთავრობის დაკომპლექტება პარლამენტში გამარჯვებული ძალებით ხდება. გარდა ამისა, მთავრობის დათხოვნის უფლება იქ მხოლოდ პარლამენტს აქვს და არა პრეზიდენტს, როგორც ეს თქვენს მოდელშია.

ზუსტად იგივე ფორმულირება იქნება ჩვენს კონსტიტუციაში, რომ პრეზიდენტი მთავრობის წევრებს საპარლამენტო შედეგების გათვალისწინებით წარადგენს.

მაგრამ ფორმულირება „გათვალისწინებით“ არ ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტს ლავირების და სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალება არა აქვს.

მე გთხოვთ, აიღეთ ფორმულირებები სხვა კონსტიტუციებიდან და თქვენს სტატიაში ჩართეთ. საფრანგეთში, მაგალითად, პრეზიდენტს აქვს უფლება, ორივე პალატის სპიკერთან კონსულტაციის შემდეგ, პარლამენტი დაითხოვოს და არანაირი შეზღუდვა არ აქვს. ჩვენს პროექტში კი ძალიან მკაფიოდ არის გაწერილი ყველა ის მუხლი, როდესაც პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნა შეუძლია.

თქვენ აღნიშნეთ, რომ ეს ცვლილებები პარლამენტში შესაძლოა იმ საკონსტიტუციო ცვლილებების ჩარჩოებში შევიდეს, რომელიც თავის დროზე შევარდნაძემ შეიტანა. მაშინ, როგორც მახსოვს, ამ პროექტს ყველა ეწინააღმდეგებოდა იმ არგუმენტით, რომ ის პრეზიდენტის უფლებამოსილებას ძალიან ზრდიდა. ახლა რა შეიცვალა?

უკაცრავად, მაგრამ იმ ცვლილებების გასატანად (შესწორებების შემდეგ) მთელი ეპოპეა იყო. ჩვენ მხარს ვუჭერდით იმ პროექტს. უბრალოდ, მის გადამუშავებას ვითხოვდით. ეს ვარიანტი კი, რომელიც ჩვენ გვაქვს, არის გადამუშავებული ვარიანტი და ძალიან ბევრ დამატებას შეიცავს.

ანუ, ავტომატურად იგულისხმება, რომ პროექტის განხილვის ერთთვიანი ვადა დაცული არ იქნება?

მინისტრთა კაბინეტის შემოღება საქართველოში ხუთი წლის განმავლობაში იხილება. ხეცურიანის პროექტის შემოტანის შემდეგ პარლამენტში ეს საკითხი ოფიციალურად, ბოლო სამი წელია, დგას. ანუ ვადა, რაც პარლამენტში ამ ცვლილებების განხილვა მიმდინარეობს, სამ წელს აღემატება.

იმ მოდელში, რომელზეც ახლა მუშაობთ, ყველაზე დაუცველი სწორედ მთავრობაა. მაშინ რაში მდგომარეობს თქვენი ინტერესი, იყოთ ისეთი პრემიერ-მინისტრი, რომელიც პრეზიდენტს ნებისმიერ მომენტში, თან უმოტივაციოდ, შეუძლია დაითხოვოს. თუმცა, ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტი სპეციალურად თქვენთვის იქმნება.

მე არ ვაპირებ პასუხის გაცემას იმ რეპლიკებზე, თითქოს კონსტიტუციური ცვლილებების მიღება ჟვანიას დასაქმებას ემსახურება მიზნად. ამ ზღვარგადასული, დაუსაბუთებელი რეპლიკების საპასუხოდ მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი დასაქმების პრობლემას ყოველთვის სხვების დაუხმარებლად გადავწყვეტ.

თუ ვინმეს მიაჩნია, რომ ეს პოსტი, სადაც მემკვიდრეობით უამრავი პრობლემა დამხვდა, ჩემთვის დროის გასატარებლად საუკეთესო ადგილია, ძალიან ცდება. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მე ყოველთვის ერთი და იგივეს ვამბობდი, რომ ქვეყანას სჭირდება მოქნილი მმართველობა, ხელისუფლება, რომელიც იქნება ანგარიშვალდებული და რომლის პასუხისმგებლობაც გუნდური იქნება.

მე შეგახსენებთ იმ სიტუაციას, რომელიც საქართველოში მუდმივად მეორდებოდა. მაგალითად, ბიუჯეტის ჩავარდნა. ვინ იყო ამაზე პასუხისმგებელი?

პრეზიდენტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.

ჩვენ მთელი ამ წლების განმავლობაში დავრწმუნდით, რომ პრეზიდენტზე ეს პასუხისმგებლობა არასოდეს ვრცელდებოდა და ვერ გავრცელდება. იმიტომ, რომ არც ერთ ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაურები მიმდინარე პრობლემებზე, იგივე ბიუჯეტის შესრულებაზე, პასუხისმგებლობას არ იღებენ და ვერც აიღებენ. ეს არ არის სახელმწიფოს მეთაურის ბუნებრივი ფუნქცია.

პასუხისმგებელი პირის ძიების პროცესში პარლამენტში მუდმივად გაუთავებელი პინგ-პონგი იყო. ფინანსთა მინისტრი ხელს იშვერდა სამართალდამცავებისაკენ, სამართალდამცავები ხელს იშვერდნენ საგადასახადოსკენ, ისინი – მებაჟეებისაკენ, და ასე შემდეგ.

იმას, ვისაც ყველაფერ ამის კოორდინაცია ევალებოდა, ანუ პრეზიდენტს, პარლამენტში ვერასოდეს გამოიძახებდი, რადგან ის პარლამენტში წელიწადში ერთხელ მიდის, მაშინ, როცა ყოველწლიურ მიმართვას აკეთებს.

როგორ უნდა მოვთხოვოთ, ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა პრეზიდენტს, თუ ბიუჯეტის ყოველი ჩავარდნის შემდეგ რევოლუცია უნდა მოვაწყოთ?

ის სისტემა, რომელიც დღეს საქართველოშია, არის კოლექტიური უპასუხისმგებლობის სისტემა, რომელიც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პასუხი აგოს წარუმატებლობაზე.

ე.ი. ბოლო წლების წარუმატებლობები სისტემის ბრალი იყო და არა შევარდნაძის პოლიტიკის?

მარტო სისტემის პრობლემა, რა თქმა უნდა, ეს არ იყო. მას შემდეგ, რაც შეიცვალა ფინანსთა რვა მინისტრი, ხუთი სახელმწიფო მინისტრი და ასე შემდეგ, მე ხშირად ვამბობდი, რომ საჭირო იყო შეგვეცვალა პრეზიდენტი. მაგრამ სისტემა, რომელიც საქართველოში არსებობს, რევოლუციის გარდა, პასუხისმგებლობის დაკისრების სხვა მექანიზმებს არ გულისხმობს.

თქვენს პროექტში ყველაფერზე, მათ შორის – ბიუჯეტის ჩავარდნაზე, კონკრეტული პასუხისმგებელი პრემიერ-მინისტრი იქნება? ანუ, თუ წლის ბოლოს ბიუჯეტი ჩავარდება, თქვენ ავტომატურად გადადგებით?

რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრი მთავრობასთან ერთად იღებს პასუხისმგებლობას. თუ მთავრობამ ბიუჯეტი ვერ შეასრულა და პარლამენტმა მას უნდობლობა გამოუცხადა, რომელი ჭკუათმყოფელი პრეზიდენტი მიიღებს არაპოპულარულ გადაწყვეტილებას და დაითხოვს პარლამენტს, რომელიც სიმართლის მხარეს დგას? მაშინ ის ბევრად უფრო ოპოზიციურ, მტრულ პარლამენტს მიიღებს. ამიტომ, პარლამენტის დათხოვნის მექანიზმი – ეს არის მხოლოდ თეორიული შესაძლებლობა, რომლის გამოყენება პრაქტიკაში ძალიან იშვიათად ხდება. მაგრამ, ამავე დროს, ეს არის აუცილებელი ბერკეტი, რათა პარლამენტი არ ატერორებდეს მთავრობას და მთავრობასაც ჰქონდეს ავტონომიური, გაბედული მოქმედებების საშუალება.

რადგან ბიუჯეტზე გადავედით, დღეს არსებული რესურსებიდან გამომდინარე, რამდენად დიდია იმის შესაძლებლობა, რომ ბიუჯეტი ყოველთვიურად შესრულდეს.

არსებობს ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ ბიუჯეტის ქრონიკული შეუსრულებლობა დავძლიოთ. ეს სასაცილო პრობლემაა და მე იმედი მაქვს, რომ ამ პრობლემას რამდენიმე თვის შემდეგ, უბრალოდ, აღარც გავიხსენებთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ორიენტირებულნი ვართ იმაზე, რომ ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობა დაიწყოს. ჩვენი ამბიციები არის უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ ბიუჯეტის შესრულებაა.

დღეს თუ არსებობს კონკრეტული ეკონომიკური კონცეფცია, რომელიც ასახავდა ახალი ხელისუფლების სტრატეგიულ, მაგრამ საკმაოდ დეტალურ გეგმას იმისა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა?

რა თქმა უნდა, არსებობს. ეს იქნება სამთავრობო პროგრამის მთავარი ნაწილი. ჩვენ თვეების მიხედვით გვაქვს გაწერილი, თუ რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს თითოეულ სტრუქტურაში. როგორ უნდა მოხდეს დღეს არსებული ბიუროკრატიული აპარატის შემცირება. საქართველოს არ სჭირდება ამდენი სამინისტრო და დეპარტამენტი. აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა წარმოადგენდეს 15-20 კაცი, რომელიც ოპერატიულ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

რაც მთავარია, ჩვენი ამოსავალი წერტილი ეკონომიკური წინსვლა უნდა იყოს. ჩვენი მიზანია ექსპორტის ხელშეწყობა, სავაჭრო რეჟიმების გაუმჯობესება, შიდა ბაზრის დაცვა, რეალისტური, გამჭვირვალე და მარტივი საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავება და მრავალი სხვა, რაზეც ვმუშაობთ და რაზეც კონკრეტული სქემები გვაქვს მომზადებული.

რა იქნება ის პირველი ნაბიჯები, რომელსაც ხელისუფლება ინაუგურაციის შემდეგ გადადგამს?

ინაუგურაციის შემდეგ ჩვენ უნდა გავარკვიოთ, რას ვიზამთ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. ეს ორი თვეა, მე სახანძრო რაზმის ხელმძღვანელის რეჟიმში ოთხი თუ ხუთი მინისტრით ვმუშაობ, ანუ დღეს მთავრობა არ არსებობს. პირველ რიგში კი, უნდა შეიქმნას მთავრობა, რომელიც ქვეყნის მართვას დაიწყებს.

გაზ. „24 საათი“. 24 იანვარი, 2004 წ. №19 (568). გვ. 1-3

„მზად ვარ ასლან აბაშიძეს ნებისმიერ ტერიტორიაზე შევხვდე“

აცხადებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია

რუსიკო მაჩაიძე
სპეციალურად „რეზონანსითვის“ ფოთიდან

ფოთში გამართული მთავრობის სხდომის შემდეგ პრეზიდენტი თბილისისკენ უკომენტაროდ მიემართება. ამასობაში ფოთში ხელისუფლების პირველ პირებთან შეხვედრები გამართეს აშშ-ის ელჩმა და ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ. მათ სატელეფონო საუბარი ჰქონდათ ასლან აბაშიძესთან. ისინი ორივე მხარეს მშვიდობიანი მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებენ.

ფოთში, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით პრემიერ-მინისტრი რჩება. იგი ანტიკრიზისულ საბჭოს უხელმძღვანელებს. რა მოქმედებებს გეგმავს ანტიკრიზისული საბჭო ამ საკითხთან დაკავშირებით „რეზონანსი“ ზურაბ ჟვანიას ესაუბრა.

„რეზონანსი“: რას აპირებს ანტიკრიზისული საბჭო, როგორ განვითარდება მოვლენები?

ზურაბ ჟვანია: ჩვენ დავასრულეთ მთავრობის სხდომა, სადაც პრეზიდენტის დავალების შესაბამისად, ჩვენი ფუნქციები კონკრეტულად გადანაწილდა. მთავრობის დავალებისამებრ ტვირთებისა და მგზავრების გადაადგილებაზე აჭარის ტერიტორიაზე უმკაცრესი კონტროლი დაწესდება, ეს შეეხება როგორც სახმელეთო, ანუ სარფიდან შემოსულ ტვირთებს, ასევე საავიაციო გადაზიდვებს და საზღვაო გადაზიდვებს. ვინაიდან უპირველესი ამოცანა ისაა, რომ არ მოხდეს იარაღის შეტანის დაშვებაც კი. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ აჭარაში მიმდინარეობს მშვიდობიანი მოსახლეობისათვის იარაღის დარიგება, რათა შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება მოხდეს. ამდენად, ჩვენი უპირველესი ამოცანაა, რომ ამ კონფლიქტის პროვოცირება არ დავუშვათ. ამასთან, საქართველოს მთავრობა და ანტიკრიზისული შტაბი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ყველაფერს აკეთებს, რომ პრობლემა მშვიდობიანი მოლაპარაკებებით დასრულდეს.

„რ.“: ცენტრის მხრიდან საგანგებო ვითარების შემოღებას ნეგატიური შედეგები ხომ არ მოჰყვება?

ზ.ჟ. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი პრობლემაა. თავისთავად დიდი პრობლემაა, რომ ჩოლოქის გამშვები პუნქტი ჩაკეტილია და ჩაკეტილია აჭარის ხელისუფლების მიერ. ამასთან ვიცით, რომ სარკინიგზო მიმოსვლის ბლოკირება მოხდა. რაც უმძიმესი პრობლემაა. ბათუმის ნავთობტერმინალზე ხდება ყო-

ველდღიურად 10-12 მილიონი ტონა ნავთობის გადამუშავება და შემდეგ მისი ტრანსპორტირება საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე, ჩოლოქის გამშვები პუნქტის ჩაკეტვა კი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში გვიშლის ხელს და ძალიან შეწუხებულები ვართ, რომ აჭარის ხელისუფლებამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. გამორიცხულია, რომ ყოველივე ამის ფონზე ჩვენს მოქმედებებს ნეგატიური მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც იმ ფაქტებს, რაც ამ დღეებში აჭარაში ხდება.

„რ.“: რა დათმობაზე შეიძლება წავიდეს ხელისუფლება?

ზ.ჟ. რა თქმა უნდა, ამ პრინციპებიდან გამომდინარე, რაც პრეზიდენტმა დააფიქსირა, ჩვენ ყველანაირი მოლაპარაკებებისათვის მზად ვართ, მოლაპარაკებების საგანი უნდა იყოს აჭარასთან მიმართებაში ერთიან კონსტიტუციურ სივრცეში აჭარის სრულიად მოქცევა. უნდა გამოირიცხოს ისეთი ფაქტები, რაც საქართველოს მოქალაქის უფლებებს ზღუდავს. მე არ ვლაპარაკობ პრეზიდენტის მიმართ განხორციელებულ ინციდენტზე. აჭარაში ნებისმიერ ადამიანს უნდა შეეძლოს თავისუფლად გადაადგილება. თავისი აზრის თავისუფლად გამოხატვა და ნებისმიერ მათგანს უნდა მიეცეს საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესაძლებლობა. აჭარის ხელისუფლება ამ სამ უმთავრეს პრინციპს დიდი ხანია არღვევს. გუშინდელ ფაქტს კი პრეცედენტი არ მოეძებნება. ჩვენი მთავარი ამოცანაა, აღდგეს აჭარაში დემოკრატიული მმართველობის პრინციპები. ამ თვალსაზრისით, ჩვენ მზად ვართ და ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ აბაშიძესა და საქართველოს ხელისუფლებას შორის დიალოგი შედგეს.

„რ.“: თქვენ ახსენეთ, რომ აბაშიძესთან სატელეფონო საუბარი გქონდათ. რა პოზიცია აქვს აბაშიძეს, როგორ დასრულდა ეს საუბარი?

ზ.ჟ. დღეს მე აბაშიძესთან მართლაც მქონდა საუბარი ისევე, როგორც აშშ-ის ელჩსა და ეუთოს თავმჯდომარეს, მას შევთავაზეთ, რომ დაიწყოს დიალოგი. პრეზიდენტმა ყველაფრის მიუხედავად, მზადყოფნა გამოხატა, რომ მას შეხვედროდა, რათა ეს პრობლემები განეხილათ. აბაშიძემ შეხვედრისგან თავი შეიკავა ეს ჩვენთვის გაუგებარია. მით უმეტეს, განცხადების შემდეგ, რასაც გუშინ და გუშინწინ აკეთებდა. იგი მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე აცხადებდა, რომ დიალოგისთვის მზად იყო. ჩვენ მოვუწოდეთ დიალოგისკენ. იგი კი უარზეა. ყოველივე ამის შემდეგ, რაც ამ დღეებში განვითარდა, ყოველივე იმ დაძაბულობის შემდეგ, რაც მისივე მოქმედებებისგან წამოვიდა. მისი პოზიცია ჩემთვის მართლა გაუგებარია. რომელ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს, რომ პრეზიდენტს რომელიმე ტერიტორიაზე გავლის საშუალებას არ აძლევდნენ? ყოველივე ამაზე პასუხისმგებელი აბაშიძეა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ როგორც პრეზიდენტისაგან, ასევე მთელი ხელისუფლებისაგან, ნებისმიერი ნაბიჯი უნდა გადაიდგას, რომ მშვიდობიანი დიალოგით მოგვარდეს ყველა ის პრობლემა, რაც დღეს საქართველოს ყველაზე მეტად აღელვებს. ჩვენი მხრიდან ეს ნაბიჯები გადაიდგა. ჩვენ შევხვდით ეუთოს მოქმედ ელჩს, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სოლომონ პასის, ვესაუბრეთ ამერიკის ელჩს. მე ვესაუბრე რუსეთის ელჩს და ყველა მათგანი მშვიდობიანი მოლაპარაკებების მომხრეა და ისინი ამისკენ აბაშიძეს მოუწოდებენ.

„რ.“: პრეზიდენტმა უკომენტაროდ დატოვა ფოთი. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სიტუაცია უფრო დაიძაბა?

ზ.ჟ. სააკაშვილი კომენტარს თბილისში გააკეთებს. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით მე ფოთში ვრჩები. აქ მუდმივი შტაბი შეიქმნება. რომელიც კრიზისის განმუხტვისათვის იმუშავებს. იმუშავებს იმისთვის, რომ პირველ რიგში აჭარის ტერიტორიაზე რეპრესიები არ დავუშვათ. ყველაზე შემაშფოთებელი და დაუშვებელია, რომ საქართველოს რომელიმე ტერიტორიაზე ადამიანების დევნა და ფიზიკური ანგარიშსწორება ხდებოდეს. თანაც ეს დევნა იმისათვის ხდება, რომ მათ განსხვავებული პოზიცია და განსხვავებული აზრი აქვთ ამასთან დაკავშირებით, ეს იქნება ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომ აჭარის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებები არ ილახებოდეს.

„რ.“: გაგრძელდება თუ არა მოლაპარაკებები აბაშიძესთან?

ზ.ჟ. მე არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენ კიდევ გვქონდეს საუბარი, ვინაიდან პრეზიდენტი თბილისში დაბრუნდა. არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენ მზად ვართ დიალოგისათვის, რომლის თემა იქნება ყველა იმ საკითხის მშვიდობიანად მოგვარება, რომელსაც ჩვენ ვსვამთ. საკითხი შეეხება იმას, რომ აჭარა საქართველოს ერთ-ერთი რეგიონი რეალურად იყოს. ცხადია, აჭარა ავტონომიური რესპუბლიკაა და შესაბამისად ავტონომიურ რესპუბლიკას სერიოზული უფლებები გააჩნია. მაგრამ რადგანაც ამ ტერიტორიაზე ერთიანი საქართველოს ხელისუფლება ვერ ხორციელდება. ამდენად საჭიროა გარკვეული ზომების მიღება. ამისთვის კი ნებისმიერ დიალოგზე მზად ვართ.

„რ.“: სად შეიძლება მოხდეს აბაშიძესთან შეხვედრა?

ზ.ჟ. აბაშიძესთან შეხვედრაზე ნებისმიერ ტერიტოტორიაზე თანახმა ვარ. მე არ მაქვს არანაირი პრობლემა. მზად ვარ, აბაშიძეს ნებისმიერ ადგილას შევხვდე. ჩავიდე ბათუმში, ჩავიდე ქობულეთში. მე ვარ საქართველოს მოქალაქე, მე ვარ საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მზად ვარ, ჩემი მოვალეობა შევასრულო.

„რ.“: აბაშიძის მხრიდან ასეთი საქციელი ნიშნავს თუ არა ცენტრის ხელახალ გამოწვევას?

ზ.ჟ. ის, რაც პრეზიდენტის მიმართ ჩოლოქზე განხორციელდა, რა თქმა უნდა, უკვე გამოწვევაა. უფრო მეტიც, ეს არის ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქის შეურაცხყოფა. ხალხმა ეს პრეზიდენტი აირჩია და ის, რაც ჩოლოქზე მოხდა, 96 პროცენტის შეურაცხყოფა იყო. მათი პრეზიდენტი საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ ერთ-ერთ რეგიონში ვერ ჩადის. ეს ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა.

გაზ. „რეზონანსი“. 16 მარტი, 2004 წ. №70. გვ. 3

აჭარის დავალიანებამ 10 მილიონ ლარს გადააჭარბა

საქართველოს მთავრობამ სამი თვის ბიუჯეტი 121 პროცენტით შეასრულა

ნონა ცაბაძე

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია სახელმწიფო კანცელარიაში ბრიფინგს მართავს და აცხადებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ჟვანიას განცხადებით მათ პირველი კვარტლის მონაცემები გუშინ იმიტომ არ გამოაქვეყნეს, რომ ვინმეს ეს საპირველაპრილო ხუმრობად არ ჩაეთვალა.

ეს არის პირველი სამი თვე, რომლის შეჯამებაც შეუძლია ჩვენს მთავრობას, თუმცა ხაზს ვუსვამ, რომ მინისტრთა კაბინეტი სრული ჩამოყალიბებული სახით ერთი თვეც არ არის, რაც ფუნქციონირებს და, ვფიქრობ, საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია იცოდეს ჩვენი ხედვა, რა არის გაკეთებული, რა რჩება სუსტ ადგილებად მთავრობის საქმიანობაში და როგორია ჩვენი უახლოესი გეგმები. მინდა ხაზი გავუსვა, რომ პირველი კვარტლის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 268 მლნ ლარის ამოღებას, შესრულებულია 114%-ით და დაახლოებით 40 მილიონი ლარით არის გადაჭარბებული გეგმა. ამოღებულია 307 მლნ 49 ათასი ლარი. ცენტრალური ბიუჯეტის მაჩვენებელი კიდევ უკეთესია. ის შესრულებეულია 121%-ით და დაგეგმილი 178 მლნ ლარის ნაცვლად ამოღებულია 216 მლნ ლარი, რაც საშუალებას გვაძლევს, რეგულარულად გავცეთ მიმდინარე ხელფასები, პენსიები და დევნილების შემწეობები, – აცხადებს ჟვანია.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ეს მაჩვენებლები მათ საშუალებას აძლევს დაიწყონ ზოგიერთი იმ დაპირების შესრულება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათთვის წინასაარჩევნო პერიოდში, ჟვანიას თქმით, 15 აპრილიდან დაიწყება გაზრდილი პენსიის გაცემა და თბილისში თითოეული პენსიონერი მიიღებს 20 ლარს, მან იქვე ისიც განაცხადა, რომ დაიწყებენ ჯანდაცვის პროგრამების დავალიანების დაფარვას.

ჩვენ დავიწყებთ წესრიგის დამყარებას ენერგეტიკის სფეროშიც და უახლოეს ხანში გავმართავთ პრესკონფერენციას იმის შესახებ, თუ რა არის გაკეთებული და რა იგეგმება ენერგეტიკის სექტორში უახლოეს მომავალში. ბიუჯეტის შესრულების ეს მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს, დევნილებს სააღდგომოდ დავურიგოთ არა მხოლოდ აპრილის შემწეობა, არამედ მივცეთ დავალიანებაც, ისინი ორი თვის შემწეობას მიიღებენ, მინდა ხაზი გავუსვა, ბიუჯეტი 40 მილიონით გადაჭარბებით შესრულდა და ეს არის რეალური ფული, რომელიც შევიდა ხაზინაში. ეს არის სუფთა თანხები. ყოველგვარი ჩარიცხვე-

ბის და სხვაგვარი მანიპულირების გარეშე მიუხედავად იმისა, რომ 40 მლნ ლარით მეტია ამოღებული, ჩვენ ეს მაინც არ მიგვაჩნია დამაკმაყოფილებლად. მაინც რჩება პრობლემები გადასახადების ამოღების თვალსაზრისით, როგორც საბაჟო, ისე საგადასახადო სამსახურის ხაზით, რჩება საკმაოდ დაბალი ლეგალიზაციის მაჩვენებლები ძალიან სერიოზული მიმართულებებით, ნავთობპროდუქტების დაბეგვრის თვალსაზრისით. წარმატებებია თამბაქოს პროდუქციის წარმოებაში. ხაზი უნდა გავუსვა, რომ ბიუჯეტის გადაჭარბება არ არის ჩემთვის საფუძველი, რომ ვთქვა, კმაყოფილები ვართ არსებული მდგომარეობით.

ჟვანია აცხადებს, რომ ხვალ მას საგანგებო შეხვედრა ექნება საბაჟოს და საგადასახადო სამსახურების ხელმძღვანელებთან და კიდევ ერთხელ აუხსნიან. რას ელოდებიან მათგან აპრილში და მთლიანად მიმდინარე წლის განმავლობაში. ჟვანიას იმედი აქვს, რომ ისინი გაიზიარებენ მუშაობის იმ ტემპს, რასაც თავად სთავაზობენ. პრემიერ-მინისტრმა კმაყოფილება გამოთქვა ფინანსთა მინისტრის საქმიანობის გამო. ჟვანიას შემდეგ შესრულებულ მაჩვენებლებზე თავად ზურაბ ნოღაიდელმა ისაუბრა. ნოღაიდელის განცხადებით. მათ არ აქვთ მიღებული 10 მლნ ლარი, რომელსაც აჭარიდან ელოდებიან და ამ მხრივ გარკვეულ მუშაობას აპირებენ.

ბატონო ზურაბ, რა კომენტარს გაუკეთებდით გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ასლან აბაშიძე უსაფრთხოების ზომებს ამკაცრებს და ბათუმში გამოჩნდა მძიმე ტექნიკა?

მე დღეს არ მიმიღია რაიმე ინფორმაცია ამ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ვითარება ამჟამად საკმაოდ გაურკვეველია. დღის მეორე ნახევარში გვექნება საგანგებო მსჯელობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

აჭარიდან გადმორიცხული თანხები თუ არის გათვალისწინებული ამ ბიუჯეტში?

მე არ გამიმახვილებია ამაზე ყურადღება. რომ შესრულების ეს მაჩვენებელი მიღწეულ იქნა, იმის მიუხედავად, რომ აჭარიდან თანხების გადმორიცხვა რჩება ძალიან მძიმე პრობლემად. აჭარის დავალიანებამ 10 მლნ ლარს გადააჭარბა. ეს თანხები უნდა გადმორიცხულიყო. მაგრამ არ არის გადმორიცხული. ჩვენ შევქმენით საგანგებო კომისია იმისათვის, თუ როგორ უნდა ყოფილიყო პრობლემა მოწესრიგებული. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს პრობლემა არ მოგვარებულა. გეტყვით, რომ ფინანსთა სამინისტრო ატარებს საგანგებო ღონისძიებებს და დაიწყებს ამ საკითხის მოგვარებას.

გაზ. „ახალი თაობა“. 3 აპრილი, 2004 წ. №92 (3026). გვ. 6

იკისრე ვალდებულება? – პასუხიც აგე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას შეფასებით, ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა „არა ავანტიურისტ კოკოითს, არამედ იმ ქვეყანას ეკისრება, რომელმაც სამშვიდობო პროცესების წარმართვის ვალდებულება აიღო“.

როგორც მან გუშინ გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ედუარდ კოკოითსა და მის გარემოცვას „ზურგს უმაგრებს რუსეთის სამხედრო ელიტა და პოლიტიკური ელიტის ნაწილი“. „ჩვენთვის ცნობილია, რომ ქართულ სოფლებზე შეტევა იგეგმება, თუმცა, ჩვენ შეგვწევს ძალა, ყველა შესაძლო პროვოკაციას ადეკვატურად ვუპასუხოთ და ნებისმიერ ძალადობას დავუპირისპირდეთ“, – განაცხადა პრემიერმა. მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსი სამშვიდობოებისგან კონკრეტულ შედეგებს ელის, რაც უწინარესად ოსური მხარის მიერ დაკავებული 50 ქართველი ჯარისკაცის გათავისუფლებაში უნდა გამოიხატოს. „რუსეთთან მუდმივი კონსულტაციები მიმდინარეობს. რუსეთის წარმომადგენლები ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას გვპირდებიან, თუმცა, ჯერჯერობით დაპირებები დაპირებებად რჩება“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. მან „ამაზრზენი პროვოკაცია“ უწოდა ქართველი ჯარისკაცების მძევლად აყვანის ფაქტს. „საქართველოში ყველა შეძრულია იმ ამაზრზენი და შეურაცხმყოფელი კადრებით, რომელიც ტელევიზიის მეშვეობით ვრცელდება“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, რომელიც ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით უკვე ორჯერ ესაუბრა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანს იგორ ივანოვს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს, ეუთოს მისიის მოქმედ თავმჯდომარეს სოლომონ პასის... ჟვანიას მონაცემებით, დღეისათვის დაგეგმილია პრეზიდენტ სააკაშვილისა და პრეზიდენტ პუტინის სატელეფონო საუბარიც. „საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კონფლიქტში არ ჩაერთოს, თუმცა, ქართველი სამხედროები თავდასხმის შემთხვევაში შესაბამის რეაგირებას მოახდენენ“, – დასძინა მან.

ინტერ-პრესი
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
9 ივლისი, 2004 წ. №1578 (4887). გვ. 2

„ამ ურთულესი ვითარების მიუხედავად, ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ გადაწყვეტილებები მშვიდობიანი მოლაპარაკების შედეგად მივიღოთ და ამ კურსს განვაგრძობთ“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას საგანგებო ბრიფინგი

ცხინვალის რეგიონში განვითარებულ უკიდურესად რთულ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ 16 აგვისტოს სახელმწიფო კანცელარიაში ჟურნალისტებისთვის საგანგებო ბრიფინგი გამართა.

შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც ქართული მხრიდან მე დავადასტურე ჩემი ხელმოწერით, სეპარატისტთა მხრიდან – კოკოითმა, გუშინწინ დაირღვა. ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ იყო შეტევა ჩვენ მიერ კონტროლირებად შემოვლით გზაზე. იქ ცეცხლის ქვეშ მოჰყვნენ თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე, სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა, რომლებთან ერთად იყვნენ სეპარატისტული ხელისუფლების მინისტრები. გუშინ ვითარება კიდევ უფრო გამძაფრდა. ამ შემოვლით გზაზე ისევ განმეორდა გააფთრებული შეტევა.

პატივცემულო ჟურნალისტებო, მინდა, ყველას გესმოდეთ, რომ ეს შემოვლითი გზა არის ჰუმანიტარული დერეფანი დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლებისთვის. პრაქტიკულად, ეს ერთადერთი გზაა, რომლითაც სოფლებიდან გამოჰყავთ ბავშვები, შედის საკვები, მედიკამენტები, ანუ დიდი ლიახვის ხეობის ცხრა სოფლისთვის, თამარაშენიდან დაწყებული კეხვის ჩათვლით, ეს არის ფიზიკური გადარჩენის გზა. სწორედ ამით არის განპირობებული ამ გზის მიმართულებით მუდმივი შეტევები და არაადამიანური ქმედება სეპარატისტთა მხრიდან.

გუშინ ღამის განმავლობაში ვერაგული შეტევის შედეგად დაიღუპა ჩვენი ორი სამხედრო მოსამსახურე. ამ ვითარებაში, როგორც თქვენ იცით, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ძალიან სერიოზული პასუხი გასცეს და მთლიანად განადგურებულია ის საცეცხლე წერტილები, საიდანაც ამ დღეების განმავლობაში ხორციელდებოდა შეტევა და თავდასხმები ამ გზისა და იქ განლაგებული ქართული კონტინგენტის მისამართით. მსხვერპლი საკმაოდ სერიოზულია სეპარატისტთა შეიარაღებულ ძალებში. ჩვენი ინფორმაციით, იმ მთაზე განლაგებულ სეპარატისტთა პოზიციებზე ძირითადად იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან, რუსეთის ფედერაციიდან შემოსული დაქირავებულები, მსხვერპლს შორის, ძირითადად, ასევე არიან მათი წარმომადგენლები.

მინდა, საქართველოს პრეზიდენტისა და ჩემი სახელით გამოვხატო უკიდურესი შეშფოთება მოვლენათა ამგვარი განვითარებით. თქვენ იცით, რომ ჩვენს სამშვიდობო ინიციატივებს, მოთხოვნებს, გამართულიყო პირდაპირი შეხვედრები უმაღლეს დონეზე, მთელი ამ ხნის განმავლობაში გამოხმაურება არ მოჰყოლია. ახლა ჩვენ გვაცნობეს, რომ ხვალ შერეული საკონტროლო კომისიის შემადგენლობა ითხოვს შეხვედრას ჩემთან, შემდეგ აპირებენ ჩავიდნენ კოკოითთან, რათა მოამზადონ ჩვენი შეხვედრა. რა თქმა უნდა, ჩვენ მზად ვართ. უბრალოდ, არ მესმის, რატომ ვკარგავთ ამდენ დროს.

ყველას უნდა ესმოდეს, რომ ჩვენ არ დავთმობთ იმ პოზიციებს, რომელიც უზრუნველყოფს ქართული მოსახლეობის ელემენტარულ უსაფრთხოებას ცხინვალის რეგიონში. ვინც როგორც უნდა ეცადოს, რომ განახორციელოს შეიარაღებული პროვოკაციები, როგორც მოხდა გუშინ, იგი საკადრის პასუხს მიიღებს.

არ შემიძლია თქვენთან ერთად პატივი არ მივაგო დაღუპული მებრძოლების ხსოვნას და ამავე დროს მინდა, გამოვხატო აღფრთოვანება იმ დისციპლინით, იმ გამძლეობით, იმ მამაცობით, რომელსაც იჩენენ ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები. მინდა, რეალურად წარმოიდგინოთ, რომ მათ უმძიმეს პირობებში უხდებათ ამ სასიცოცხლო პოზიციების შენარჩუნება.

შემდეგი საკითხი, რომელზეც ყურადღება უნდა გავამახვილო. ჩვენ მართლაც მიგვაჩნია, და ეს სრულიად აშკარაა, რომ რუსეთის ცალკეული ძალების მხარდაჭერით, კოკოითი და სეპარატისტული ხელისუფლება ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ, ჩაითრიონ საქართველო ახალ ფართომასშტაბიან შეიარაღებულ პროვოკაციაში.

ამ ვითარებაში საქართველოს პრეზიდენტი გამოდის საგანგებო ინიციატივით და იგი დღეს მიმართავს მსოფლიოს ლიდერებს სპეციალური მიმართვით, რათა უახლოეს დღეებში, ცხინვალის რეგიონში მშვიდობის დამყარებასთან დაკავშირებით, მოწვეული იქნეს სპეციალური საგანგებო საერთაშორისო კონფერენცია. ამაზე ჩვენ უკვე გვაქვს ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ სოლომონ პასის გამოხმაურება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უახლოეს დღეებში უნდა გაიმართოს ამგვარი კონფერენცია, სადაც უმაღლეს დონეზე არა მხოლოდ რუსეთის, ეუთოს პროცესის მონაწილე სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც დასხდებიან და დაგვეხმარებიან, რომ დავამყაროთ მშვიდობა, შეწყდეს ცეცხლი, ცხინვალის რეგიონში უზრუნველყოფილი იყოს როგორც ქართული, ისე ოსური მოსახლეობის უსაფრთხოება და იქ სისხლი აღარ იღვრებოდეს. ჩვენ ვითხოვთ, რომ ასევე უახლოეს დღეებში გაიმართოს ეუთოს საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელიც სპეციალურად ამ ვითარებას მიეძღვნება.

გუშინდელი ღამის მოვლენები ჩვენ გვიბიძგებს, რომ გადავდგათ კიდევ ერთი ნაბიჯი, შემოვკრათ განგაშის ზარები და მოვუწოდოთ მთელ მსოფლიოს. კვლავ ვიმეორებ, ამას მიეძღვნება საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო მიმართვა მისი კოლეგებისადმი, რომელიც დღესვე დაიგზავნება, რომ გადაუდებლად, დაუყოვნებლად ჩაერთოს საერთაშორისო საზოგადოება ამ

პრობლემის მოგვარებაში. კიდევ და კიდევ ვიმეორებ – ჩვენი პოზიცია მარტივია: **პირველი** – ჩვენ არ დავუშვებთ ჩვენი მოსახლეობის უსაფრთხოების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას. ისედაც იქ ადამიანები უმძიმეს მდგომარეობაში არიან. **მეორე:** ამ ურთულესი ვითარების მიუხედავად, ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ გადაწყვეტილებები მშვიდობიანი მოლაპარაკების შედეგად მივიღოთ და ამ კურსს განვაგრძობთ, როგორი მძიმეც უნდა გვეჩვენებოდეს ეს დღეს, ამ ვითარებაში, როდესაც, სამწუხაროდ, ყოველ ღამეს მოაქვს ახალი მსხვერპლი და ახალი დანაკარგები.

შემდეგ პრემიერ-მინისტრმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
28 ივლისი, 2004 წ. №173 (4902). გვ. 1-2

„მოვუწოდებთ რუსეთის ხელისუფლებას, ცხინვალის სეპარატისტებს, შეწყვიტონ აჟიოტაჟი!“

„მზად ვარ, ახლავე ჩავჯდე მანქანაში, წავიდე ცხინვალში, ვესაუბრო სეპარატისტთა ლიდერს კოკოითს“

ნონა ცაბაძე

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია შეშფოთებულია იმ აჟიოტაჟით, რასაც ადგილი აქვს საქართველოს წინააღმდეგ ამ ორი დღის განმავლობაში და რომელიც ქართულ-ოსურ კონფლიქტს უკავშირდება, ჟვანიას გუშინ დილიდან თათბირი ჰქონდა ყველა ძალოვანი უწყების პირველ პირთან, რის შემდეგაც სახელმწიფო კანცელარიაში საგანგებო ბრიფინგი მოიწვია.

მე თათბირი მქონდა ყველა ძალოვანი მინისტრის მონაწილეობით და გადაწყვიტეთ, საგარეო საქმეთა მინისტრთან, ქ-ნ სალომე ზურაბიშვილთან და სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავასთან ერთად საგანგებოდ ჩაგვეტარებინა ბრიფინგი, ვინაიდან ძალიან შეშფოთებულები ვართ ამ აჟიოტაჟით, რასაც ადგილი აქვს საქართველოს წინააღმდეგ, განსაკუთრებით ბოლო ორი დღის განმავლობაში, ხაზი მინდა გავუსვა, რომ ეს აჟიოტაჟი აშკარად ატარებს ხელოვნურ და პროვოცირებულ ხასიათს, მე ვალდებულად ვთვლი თავს, ამ ვითარებაში კიდევ ერთხელ დავაფიქსირო ერთმნიშვნელოვნად, რაში მდგომარეობს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ცხინვალის რაიონში პრობლემების საბოლოო მოგვარებასთან დაკავშირებით და რა იყო ჩვენი კონკრეტული წინადადებები ამ მომენტში, ეს იყო სამი წინადადება, ჩვენ ვთავაზობთ, რომ სასწრაფოდ დაიწყოს პირდაპირი დიალოგი სეპარატისტთა მხრიდან, რათა თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი შემდგომი გართულებები. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტთან შეთანხმებით მე შევთავაზე სეპარატისტების ლიდერს უახლოეს მომავალში შეხვედრა და კიდევ ერთხელ ვადასტურებ ამ წინადადებას. მეორე წინადადება, რომელიც ქ-ნმა სალომემ გააჟღერა ეუთოში, ვენაში, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ მოვითხოვთ ცხინვალის რეგიონის სრულ დემილიტარიზაციას, უკლებლივ ყველა სამშვიდობო ძალის გაყვანას, გარდა შეიარაღებული ფორმირებებისა, რათა დამთავრდეს საერთოდ საუბარი პროვოკაციებზე და აღარ არსებობდეს საშუალება და საფუძველი რაიმენაირი პროვოკაციის მოსაწყობად. მესამე გახლავთ ეუთოს კომპონენტის მნიშვნელოვანი გაზრდა ცხინვალის რეგიონში – განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

ჟვანიამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი პოლიტიკა, ის, რასაც ამ დღეებში სთავაზობენ რუსეთს, რომელიც კონფლიქტის პროცესში არის შუამავალი, შედგება სწორედ ამ სამი ძირითადი კომპონენტისაგან. ჟვანია წუხს იმის გამო, რომ ჩამოყალიბდა ძალიან სამწუხარო და

სახიფათო ტრადიცია, როდესაც საქართველოს ხელისუფლება გამოდის ახალი სამშვიდობო ინიციატივებით და ამის პასუხად იღებენ შეიარაღებულ პროვოკაციას. ჟვანია სხვა სახელს ვერ უძებნის გუშინ ცხინვალში განვითარებულ მოვლენებს.

მე ბატონ კოკოითთან მქონდა სატელეფონო საუბარი, გამოვხატე შეშფოთება ჩვენი მხრიდან, რომ ადგილი ჰქონდა ინციდენტს, ასევე ვუთხარი, რომ ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ მოხდა მოულოდნელად მისი მარშრუტის შეცვლა და გადასვლა იმ ტერიტორიებზე, რომელსაც აკონტროლებენ მთლიანად ოსური შეიარაღებული ჯგუფები, ოსი ბოევიკები და სადაც განვითარდა შემდგომ ინციდენტი. ჩვენს შეშფოთებას ამძაფრებს ის ფაქტი, რომ ამას წინ უძღოდა და შემდეგ მოჰყვა სრულიად წარმოუდგენელი მასშტაბის აჟიოტაჟი, რომელშიც ჩართულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რუსეთის მედია. მიმდინარეობს საკმაოდ ისტერიკული განხილვა რუსეთის დუმის ერთ-ერთი კომიტეტის სხდომაზე და ა.შ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი პოლიტიკა არის მშვიდობიანი გზით ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ეს გახლავთ ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი უმაღლესი პრიორიტეტი, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ვიბრძვით მშვიდობიანი გზებით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად. ჩვენი მთავარი ამოცანაა, სწორედ მშვიდობიანი გზით ვიპოვოთ გამოსავალი დღევანდელი ვითარებიდან. მოვუწოდებთ რუსეთის ხელისუფლებას, ცხინვალის სეპარატისტებმა შეწყვიტონ ეს აჟიოტაჟი, პანიკური გამოსვლები და გამოეხმაურონ იმ სრულიად კონკრეტულ ინიციატივებს, რომლითაც გამოდის საქართველოს ხელისუფლება და რომელთა განხორციელების შემთხვევაში უახლოეს დღეებში შევძლებთ, შევქმნათ ცეცხლის არგანახლების სტაბილური მშვიდობიანი რეჟიმის შექმნის მყარი საშუალებები ცხინვალის რეგიონში, ამის გაკეთება შესაძლებელია ძალიან სწრაფად, თუ იარსებებს ცხინვალის მკაფიო პოლიტიკური ნება და, რა თქმა უნდა, მოსკოვის ხელისუფლებისაც. ჩვენ არავის მივცემთ საშუალებას, საერთაშორისო აზრი შეიყვანოს შეცდომაში. ჩვენი პოზიცია ნათელია. ჩვენ ვითხოვთ ჩვენს კონკრეტულ სამშვიდობო ინიციატივებზე კონკრეტულ პოზიტიურ პასუხს და ქმედებათა დაწყებას – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

სალომე ზურაბიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი: ეს იმის შედეგიც არის, რომ ჩვენ მიერ შეთავაზებული პოზიციები საკმაოდ დადებითად იქნა მიღებული. ეუთოში დღეს განიხილება სწორედ ეს საკითხი, პირველი ნაბიჯია მონიტორინგის გაზრდა ორი დამკვირვებლით. მეორე არის ის, რომ ბულგარელმა თავმჯდომარემ თანხმობა მოგვცა და კონფერენციაც მოიწვია სოფიაში, რათა დიალოგი პოლიტიკურ დონეზე იყოს აღდგენილი და ყველა ზომა იქნას მიღებული ამ პრობლემის გადასაწყვეტად. ასე რომ, წინ მიდის ჩვენი პოზიციები და ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რაც დღეს ცხინვალში ხდება.

ზურაბ ჟვანია: მე განვაცხადე და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყოველგვარი დამატებითი დაცვითი ღონისძიებების გარეშე მზად ვარ, ახლავე ჩავჯდე

მანქანაში, წავიდე ცხინვალში, ვესაუბრო სეპარატისტთა ლიდერს, კოკოითს, ჩვენ ახლაც ვადასტურებთ ჩვენს სრულ მზადყოფნას პირდაპირი დიალოგისათვის და საიმისოდ, რომ უსწრაფესად გადავწყვიტოთ ყველა პრობლემა.

როგორი უნდა იყოს ამ შეხვედრის ფორმატი?

რუსულ მხარესთან არსებობს ერთობლივი ფორმატი ე.წ. შერეული კომისიებისა, რომელშიც ბ-ნი გოგა ხაინდრავა ინტენსიურად მონაწილეობს. ჩვენ ვაგრძელებთ ამ ფორმატს და მზად ვართ, იგი კიდევ უფრო აქტიური იყოს.

გაზ. „ახალი თაობა“. 6 აგვისტო, 2004 წ. №215 (3149). გვ. 2

რუსული პრესიდან

მოლაპარაკება სოჭში მოულოდნელად კარგად დასრულდა

ნატალია რატიანი
სოჭი-მოსკოვი

საქართველომ და სამხრეთ ოსეთმა შეძლეს მიეღწიათ მორიგებისთვის, რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციას, 20 ნოემბრისთვის ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გამოყვანას, რეგიონის მთელი მოსახლეობისთვის უშიშრობის პირობების შექმნას, ტრანსკავკასიის მაგისტრალზე მოძრაობის აღდგენას, პერსპექტივისთვის კი – სარკინიგზო მოძრაობის განახლებასაც. ყველა ეს ღონისძიება, ხაზგასმულია საქართველოს პრემიერის ზურაბ ჟვანიასა და სამხრეთ ოსეთის მეთაურის ედუარდ კოკოითის სოჭში გამართული ცხრასაათიანი შეხვედრის შედეგების მიხედვით მიღებულ განცხადებაში, მისცემს „იმპულსს შემდგომ კონსტრუქციულ მოლაპარაკებებს“. ამ მოლაპარაკებათა მიზანი კი არის „კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგება“. მაგრამ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კვლავ ისმის სროლის ხმა.

„ჩვენ საკმაოდ რთული გზა განვვლეთ ამ შეხვედრის გამართვისთვის, და კარგია, იგი რომ შედგა. პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება, – შეაჯამა ჟვანიასა და კოკოითის შეხვედრის შედეგები რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშჩინინმა. კითხვას, თუ რომელი მხარე დარჩა უფრო მეტად მოგებული, ლოშჩინინმა უპასუხა: „მოგებული ყველა მხარე დარჩა“. როგორც ჩანს, ეს გამოიხატება იმით, რომ საქართველო და სამხრეთ ოსეთი პირველად განიხილავდნენ ამდენი ხნის განმავლობაში არა მარტო უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გამოყვანასთან, არამედ ეკონომიკასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. კოკოითიმ გამოთქვა წინადადება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უპირატესი ეკონომიკური ხელშეწყობის ზომის შექმნის შესახებ, რომელიც გავრცელდებოდა აგრეთვე, საქართველოს რესპუბლიკის მოსაზღვრე ჩრდილოეთ ოსეთის რაიონებზეც. სამხრეთ ოსეთი, დარწმუნებულია კოკოითი, საინტერესოა არა მარტო თავისი სატრანზიტო შესაძლებლობებით, არამედ ხე-ტყის დამმუშავებელ და კვების მრეწველობაში, სასარგებლო წიაღისეულის დამუშავებაში ინვესტიციების დაბანდების შესაძლებლობის მხრივაც. კითხვას, თუ, ძირითადად, ვინ აბანდებს ინვესტიციებს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა უპასუხა: „ჯერჯერობით როგორც პირველ, ისე ბოლო ადგილზე რუსი ინვესტორები არიან“.

ზურაბ ჟვანია, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:
„ჩვენი მიზნების მიღწევა მშვიდობიანი გზით გვსურს“

„იზვესტია“: თქვენი აზრით, სოჭში გამართული მოლაპარაკება თუ შეიძლება ჩაითვალოს ნაბიჯად ქართულ-ოსური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების გზაზე?

ზურაბ ჟვანია: ვერ ვიტყვი, რომ ეს დიდი წინსვლა იყოს და ჩვენი შეხვედრის შედეგად გაეცა პასუხი ყველა კითხვას. ბუნებრივია, კიდევ მრავალი პრობლემა დარჩა, მაგრამ ეს არის საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა პირველი შეხვედრა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ. მე ყოველთვის კმაყოფილი ვარ, როცა შეიძლება უმწვავესი საკითხების განხილვა მოლაპარაკების გზით, და არა მაშინ, როცა მხარეები ერთმანეთს იარაღს უმიზნებენ. თუ რეგიონის დემილიტარიზაცია წარმატებით დასრულდება, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩვენ გაგვიჩნდება საფუძველი კონფლიქტის საბოლოო სრულმასშტაბიანი მოწესრიგების მიზნით უმაღლესი დონის დიალოგის გაგრძელებისთვის. 12 წლის განმავლობაში კონფლიქტი არ დაძრულა გაყინული წერტილიდან. ყველასთვის აშკარაა, რომ აღარ შეიძლება ერთი ადგილის ტკეპნა – დადგა დრო, დავაღწიოთ თავი ამ სიტუაციას.

„იზვესტია“: რას ეფუძნება თქვენი რწმენა, რომ შესრულდება სოჭში მიღწეული შეთანხმებები? როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის ზაფხულში თქვენი და ედუარდ კოკოითის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, უკვე მეორე დღესვე დაირღვა.

ზურაბ ჟვანია: შეიარაღებული დაპირისპირების შენელების თვალსაზრისით (იმ დროისთვის მან ძალზე საშიშ მასშტაბს მიაღწია), ამ ხელშეკრულებამ გარკვეული როლი მაინც შეასრულა. რაც შეეხება რწმენას, მე უფრო იმედი მაქვს, რომ ყველას ჩვენ გვეყოფა კეთილგონიერება იმისთვის, რომ წავიწიოთ მშვიდობიანი მოწესრიგების სწორი მიმართულებით ნაცვლად იმისა, რომ ვაჟღარუნოთ იარაღი. საქართველოს, მის პრეზიდენტს, მე, თითოეულ ჩვენგანს ერთი მიზანი აქვს დასახული – ჩვენი სამშობლოს მთლიანობის აღდგენა. ჩვენ ამის მიღწევა გვსურს მშვიდობიანი გზით, პოლიტიკური დიალოგის გზით.

„იზვესტია“: როდის შეიძლება შეიქმნას სამხრეთ ოსეთში უპირატესი ეკონომიკური ხელშეწყობის ზონა?

ზურაბ ჟვანია: ეს ძალზე საინტერესო იდეაა, რომელიც სერიოზულად უნდა განვიხილოთ როგორც ვითარების მოწესრიგების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ახლა რაიმე კონკრეტულზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ასეთი ზონის შექმნის შესახებ ლაპარაკი შიძლება დავიწყოთ მხოლოდ მაშინ, როცა იგი საქართველოს შემადგენლობაში იქნება.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
13 ნოემბერი, 2004 წ. №64 (4993). გვ. 1-2

„მოსკოვის კაცმა“ აშკარა დამარცხება განიცადა

ზურაბ ჟვანიამ ინტერვიუ მისცა
REGNUM საინფორმაციო სააგენტოს

ოპოზიციის ლიდერი სერგეი ბაღაფში დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვა ამ თვენახევრის წინათ, თვითაღიარებულ აფხაზეთის რესპუბლიკაში გამართულ პრეზიდენტის არჩევნებში და ახლა იგი ინაუგურაციისთვის ემზადება. მისი კონკურენტი – ყოფილი პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა, თავის თანამზრახველებთან ერთად დაჟინებით მიოთხოვს ახალი არჩევნების გამართვას. აშკარაა, რომ შექმნილმა სიტუაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ახალი და კიდევ უფრო სერიოზული პოლიტიკური გართულებები.

როგორ აღიქვამენ ყოველივე ამას თბილისში? რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ სიტუაციამ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესზე? როგორია ამის თაობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მოსაზრება?

აფხაზეთში რეალურად შექმნილმა ვითარებამ, სამწუხაროდ, შესაძლოა, კიდევ უფრო გაამწვავოს მდგომარეობა და იგი მოწმობს იქ პოლიტიკური კრიზისის განვითარებას. მაგრამ, ჩვენ ყველაზე მეტად, ბუნებრივია, შეშფოთებული ვართ იმით, რომ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში ასე აშკარად ერევა რუსეთის მხარე. არ დაგიმალავთ, ძალზე გამიკვირდა და შეგვაშფოთა იმან, რომ კენჭისყრის დასრულებისთანავე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთში გამართული ეგრეთ წოდებული პრეზიდენტის არჩევნები დაახასიათა როგორც „სამართლიანი და დემოკრატიული“. რა სამართლიან არჩევნებზე შეიძლება ვილაპარაკოთ, თუ აფხაზეთიდან დევნილ 300 000 ათას ადამიანს, ეს კი იქაური მოსახლეობის თითქმის 60% პროცენტია, არ ჰქონდა ხმის უფლება. ეს ის ადამიანები არიან, რომელთა უფლებები დარღვეულია, ცხოვრება კი გაუკუღმართებული. არ მესმის, როგორ შეიძლება ასეთ არჩევნებს სერიოზულად მოეკიდოს ვინმე.

არ შეიძლება არ გვაშფოთებდეს ისიც, რომ რუსეთის ხელმძღვანელობას არ დაუმალავს თავისი სიმპათიები თუ ანტიპათიები, წინასწარ განსაზღვრა მისთვის სასურველი კანდიდატურა და მასზე სავსებით გარკვეულ იმედებს ამყარებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზეთის მომავალ ხელმძღვანელად ამ კანდიდატის „გაყვანით“ აპირებდნენ აფხაზეთში, და მაშასადამე, საქართველოშიც მიზანმიმართული პოლიტიკური კურსის განხორციელებას. თუმცა, „მოსკოვის კაცმა“ აშკარა დამარცხება განიცადა, რის შემდეგაც, მოსკოვი ყველას დასანახად კვლავ უბოდიშოდ ჩაერია ამ პროცესში და, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს ეს, ორივე კანდიდატი გამოიძახა „საქმის გასარჩევად“ რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოში. კონსულტაციებს საკმაო დრო

დაეთმო, მაგრამ მათ წარმატებულს, ალბათ, ვერ ვუწოდებთ, თუ მოვლენათა შემდგომ განვითარებას გავითვალისწინებთ. მე ერთხელ უკვე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ აფხაზეთში არჩევნების გამართვის შემდეგ თითქმის უკვე ორი თვე გავიდა, ამ მხარის ხელმძღვანელობაში კი ჯერჯერობით არავინ მოსულა. პროცესს ხელოვნურად აჭიანურებენ, თანაც ეს არ ხდება აფხაზეთში სტაბილურობის დამყარების ინტერესებიდან გამომდინარე. სეპარატისტული რეჟიმის ლიდერი ჯერჯერობით არ ჩანს, მაშასადამე, არ არის ისეთი პოლიტიკოსი, რომელთანაც შეიძლებოდა მოლაპარაკების გამართვა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ნორმალიზაციისა და მეგობარი ქვეყნების მონაწილეობით მისი მოწესრიგების პროცესის განახლების შესახებ.

სერგეი ბაღაფშის მომხრეების მიერ სამთავრობო შენობათა დაკავება გახდა საპასუხო ნაბიჯი ოპოზიციის მოქმედებაზე, რომელიც, ყოველმხრივ ცდილობს „გაიყვანოს“ რაულ ხაჯიმბა პრეზიდენტად. ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ გაკეთებული არჩევანის მიუხედავად, შესაძლებელია, რომ სიტუაცია აღარ დაემორჩილოს კონტროლს?

მოვლენათა საშიში განვითარების წინასწარ განჭვრეტა არ იყო რთული არც მაშინ, და, მით უმეტეს – დღეს, როცა აფხაზეთის საზოგადოებრიობას, ამომრჩევლებს თავს მოახვიეს მთელი რიგი უხეში გადაწყვეტილებები, უგულებელყვეს მათი ნება. ხომ არ შეიძლება, რომ ერთი მხარე, რომელსაც ამომრჩევლებმა უპირატესობა მიანიჭეს, მშვიდად ადევნებდეს თვალყურს, თუ როგორ ილახება მისი უფლებები და როგორ ცდილობს მოწინააღმდეგე მხარე ყოვლად უსაფუძვლოდ დააყენოს ეჭვქვეშ მისი წარმატება. დაუსრულებლად ვერ გაგრძელდება ის სიტუაცია, როცა ორი კანდიდატი აცხადებს თავს გამარჯვებულად. ჩვენ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვაგვარ მიდგომასთან. ერთი ასეთი მიდგომის გაგება შესაძლებელია, მეორე კი იწვევს გაოცებას და დიდ შეშფოთებას, თანაც, უწინარეს ყოვლისა, თვით აფხაზეთში. იგივე შეიძლება ითქვას ყოველივე იმის თაობაზეც, რაც ამ დღეებში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა: ამჟამად შექმნილი სადავო, ზოგისთვის კი აბსოლუტურად უდავო სიტუაცია შეიძლება სამართლებრივი გზით მოგვარდეს იმ ქალაქში, რომელიც ითვლება აფხაზეთის ცენტრად და არა სადღაც ორი ათასი კილომეტრის დაშორებით.

თუ რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაშინ ამ ქვეყნის ხელმძღვანელობა რატომ ცდილობს იმ ძალების დახმარებას, რომლებიც ყველაზე კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან საქართველოს კურსს, კონფლიქტის მოგვარებისათვის კონკრეტულად გამიზნული მოლაპარაკების განახლებას რომ ითვალისწინებს?

ამ კითხვას პასუხი უნდა გასცენ რუსეთის მხარის წარმომადგენლებმა. ისინი იჩენენ ინტერესს პრობლემისადმი და თვითონ უნდა დაასაბუთონ, თუ რამდენად გონივრული და ლოგიკურია მათი მოქმედება. მე კი შემიძლია ვთქვა, რომ არ ვართ კმაყოფილი რუსეთ-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობით. მაგრამ არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, მწამს, რომ თბილისი და მოსკოვი ადრე თუ გვიან მიაღწევენ პოზიციების დაახლოებისა და თანამშრომლობის მისაღებ და სასარგებლო დონეს. ამისთვის საჭიროა საერთო

ძალისხმევა. ჩვენ ვალდებული ვართ დისკუსია ურთიერთობის მთელი პრობლემატიკის შესახებ გადავიყვანოთ ნორმალურ, კონსტრუქციულ კალაპოტში, მივანიჭოთ მას ისეთი ფორმა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვნახოთ სწორი გზა შეთანხმებული მოქმედებისათვის და ყველაზე აქტუალური პრობლემების გადაჭრისათვის. უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ ვითანამშრომლოთ ნაცვლად იმისა, რომ ვცადოთ ერთმანეთის „გამოჭერა სიტყვაზე" ან ერთმანეთის მიმართ გამოვთქვათ რაიმე საყვედურები. დროის დაკარგვა არ შეიძლება. ეს ეხება აგრეთვე მუშაობას დიდ ყოვლისმომცველ ხელშეკრულებაზე, რომელზეც საკმაო იმედებს ვამყარებთ. იმედი გვაქვს, რომ ეს დოკუმენტი გახდება მნიშვნელოვანი ნაბიჯი და მისცემს სტიმულს ჩვენს ქვეყნებს შორის ჭეშმარიტად კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. არ არის გამორიცხული, რომ უკვე იანვრის დამლევისათვის შესაძლებელი იქნება ხელშეკრულების მომზადება, შემდეგ კი მისი ხელმოწერის ჯერიც დადგება.

ასეთი დამაიმედებელი პოლიტიკური აქციისათვის საჭიროა არსებობდეს ცნობილი წანამძღვრები, მაგრამ ვინ უწყის, მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები იმავე აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში?

რა თქმა უნდა, ყოველივე ის, რასაც ჩვენ ამჟამად ვხედავთ აფხაზეთში, ვერ უწყობს ხელს მოლაპარაკების პროცესის გააქტიურებას ვერც სოხუმთან და ვერც მოსკოვთან. აფხაზეთში გამართულ არჩევნებს, რომელსაც ჯერჯერობით შედეგი არ მოუტანია, თბილისში აღიქვამენ, მხოლოდ იმის შესაძლებლობად, რომ გამოჩნდება აფხაზთა ხელისუფლებაში ისეთი ადამიანი, რომელიც აფხაზური მხრიდან იკისრებს პასუხისმგებლობას ვითარების მოწესრიგების შემდგომი პროცესისათვის. ხშირად გვეკითხებიან, თუ რომელ კანდიდატს მივანიჭებდით უპირატესობას აფხაზეთის ხელმძღვანელის პოსტზე. ამ კითხვის ავტორებს მიაჩნიათ, რომ კანდიდატთაგან ჩვენთვის რომელიმე უფრო შესაფერისია შემდგომი დიალოგისთვის. იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ გავუცრუო იმედი ასეთი კითხვების დასმის მოყვარულებს პრეტენდენტთა შორის არ არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც რაიმე უპირატესობას ვანიჭებდეთ იმ მოსაზრებით, რომ მასთან გაცილებით უფრო გაგვიადვილდებოდა დიალოგის წარმართვა. ვინ იცის, თუ მომავალ პრეზიდენტთაგან რომელი უფრო თავგამოდებით იბრძოლებს „აფხაზეთის დამოუკიდებლობის" იდეის დაცვისათვის? და რატომ უნდა ვიფიქროთ ჩვენ, რომ ამ კანდიდატთაგან რომელიმე უფრო დამთმობი იქნება. არა, რა თქმა უნდა. ჩვენთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ რაც შეიძლება მალე დაიძლიოს ეს გაუგებარი სიტუაცია და სავალალო რეალობად არ იქცეს რაღაც შეტაკებები, რომლებმაც შესაძლოა, საერთო დესტაბილიზაცია მოუტანოს აფხაზეთს. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, ამ საკითხში გარკვეული სიცხადე დაისახა, რასაც შეუწყო ხელი სოჭში სამხრეთ ოსეთის ლიდერთან და ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართულმა ჩვენმა შეხვედრამ. დაიწყო კონფლიქტის ზონაში დემილიტარიზაციის პროცესი, რომელსაც ითვალისწინებს მხარეების მიერ ხელმოწერილი სპეციალური შეთანხმება. თუმცა, ამ დღეებში გაირკვა, რომ დოკუმენტით დათქმული ვადების დაცვა ვერ მოხერხდება. რას გააწყობ, დემილიტარიზა-

ციის პროცესი გაგრძელდება თანამიმდევრულად და იგი ბოლომდე მივა. ამის პარალელურად ხორციელდება ღონისძიებები, რათა მხარეების მოქმედებამ კონფლიქტის ზონიდან საბრძოლო ტექნიკის, იარაღისა და ცოცხალი ძალის გამოყვანის მიზნით, არ შეუშალოს ხელი ადგილობრივ მოსახლეობას ზამთრისათვის მომზადებაში.

თუმცა, იმის თქმა, რომ ვითარების მოწესრიგების პროცესი ცხინვალის რეგიონში პროგრესირებას განიცდის, ჯერჯერობით არ შეიძლება. კონფლიქტის შემდეგ გასული 12 წლის განმავლობაში ფაქტობრივად, არანაირი წინსვლა არ შეინიშნება. ისევე, როგორც აფხაზეთშიც. თუმცა, ჩვენ შეიარაღებული ვართ უწინარეს ყოვლისა, მოთმინებით და მზად ვართ, შევუწყოთ ხელი ისეთი კონსტრუქციული გადაწყვეტილებების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავენ ამ ორი პრობლემის სამართლიან მოგვარებას. ვფიქრობ, ჩვენ აქ სამართლიანად უნდა ველოდოთ რუსეთის როლის გააქტიურებას, რადგან პრობლემათა გადაჭრის გზა რუსეთზე გადის. ჩვენ გვაქვს ყველა ბერკეტი და შესაძლებლობა იმისთვის, რომ მშვიდობიანი საშუალებებით, მოლაპარაკების პროცესის მეშვეობით, დავიწყოთ მოძრაობა რეგიონში ვითარების მოწესრიგების საქმეში რეალური პროგრესის მიღწევის გზაზე და საერთო კავკასიურ სივრცეს – იქ არსებული დესტაბილიზაციის არაერთი კერით – თავიდან ავაცილოთ ახალი უსიამოვნებები.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
19 ნოემბერი, 2004 წ. №269 (499). გვ. 1-2

„ამ თემებზე პირველად ვსაუბრობ“

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, ზურაბ ჟვანიასთან

ელისო ჩაფიძე

„მთელი კვირა“. დავიწყოთ იმ მოვლენების შეფასებით, რომელიც შარშან, ამ დროს ხდებოდა. რა შეგიძლათ გაიხსენოთ, რაც მაშინ არ გითქვამთ?

ზურაბ ჟვანია: შარშან ისეთი განწყობა იყო, რომ არაგულახდილობისათვის არავის ეცალა. რომ მახსენდება მთელი შარშანდელი ეპოპეა 2 ნოემბრიდან, მართლაც ვამაყობ, რომ ვარ იმ ხალხის ნაწილი, რომელმაც მოახერხა მსოფლიოში უპრეცედენტო რევოლუცია განეხორციელებინა, მშვიდობიანი გზით ხელისუფლების რადიკალურად შეცვლა. მე, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, დარწმუნებული ვარ, რომ ქართული ვარდების რევოლუცია მსოფლიოს ისტორიაში დარჩება როგორც ერთ-ერთი სრულიად განსაკუთრებული ფურცელი. იცით, რა არის საოცარი? ძალიან ბევრი რევოლუცია, აჯანყება ახსოვს კაცობრიობას და მათ შორის ბოლო ათწლეულების განმავლობაში. როგორც წესი ხალხს ამოძრავებს პროტესტის გრძნობა, რაც უკავშირდება ნგრევის, განადგურების სურვილს. ქართველები შარშან ნოემბერში გააერთიანა არა ნგრევის, არამედ შენების და სიყვარულის სურვილმა. ეს იყო საოცარი.

ეს არ არის არც პათეტიკა, არც გადაჭარბება. წარმოიდგინეთ ასობით ათასი ქართველი, რომელიც თითქმის მთელი თვე მარშირებს რუსთაველზე, საქართველოს ყველა ქალაქის ქუჩებში. ესენი არიან ტემპერამენტიანი, ფიცხი ქართველები... მთელი ამ დროის განმავლობაში ერთი ფანჯარა არ ჩამსხვრეულა, ერთი ინციდენტი არ მომხდარა, ერთი შელაპარაკება არ მომხდარა. იყო საოცრად ამაღლებული განწყობა, ასეთი მომენტები თითოეული ერის ისტორიაში ძალიან იშვიათია. ძალიან უნდა გავუფრთხილდეთ, რომ არ დაგვავიწყდეს ის განცდები, რაც ჩვენ ყველას გვაერთიანებდა.

„მ.კ.“ როდესაც თქვენ შეხვდით პრეზიდენტ შევარდნაძეს გადადგომასთან დაკავშირებით, ყველა ამბობდა, რომ იქ რაღაც ისეთი ითქვა, რის გამოც თქვენ, ბურჯანაძეს და საკაშვილს გქონდათ ძალიან დაღვრემილი სახეები..

ზ.ჟ. შემიძლია ზუსტად გითხრათ რა საუბარიც იყო მაშინ. არაფერი ისეთი არ თქმულა. მე ყველაზე მეტად ამაღელვა იმან, რომ ეს შეხვედრა ისეთივე ამაღლებულ ინტონაციაში წარიმართა, როგორც მთელი ვარდების რევოლუცია. იქ რომ ყოფილიყო კამათი, შეხლა-შემოხლა, ჩხუბი, ალბათ, სულ სხვა

ემოციები გვექნებოდა. შევარდნაძე იყო საოცრად მშვიდი და აბსოლუტურად ჩამოყალიბებული თავის გადაწყვეტილებაში. ამ საუბრის დროს მე გავიხსენე მთელი ის წლები, როდესაც ერთად ვიყავით, როდესაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მას მოაქვს ძალიან დიდი პროგრესი საქართველოში, შემდეგ ის წლები, როდესაც ყველანაირი მიუღებელი მეთოდებით გვდევნიდა ყველაზე ბინძურ ხერხებს იყენებდნენ პირადად ჩემ წინააღდეგ. ჩემი მეგობრების წინააღმდეგ, ვნახე, რომ ადამიანი, რომელსაც შეეძლო გამხდარიყო საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ლიდერი, ამთავრებს საკუთარ პოლიტიკურ კარიერას ისე, როგორც მან დაასრულა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სევდიანი და სამწუხაროა.

სამწუხაროა, რომ ქვეყანამ კიდევ ერთხელ დაკარგა შანსი, ეს უნდა იყოს ყველასთვის ჭკუის სასწავლებელი მაგალითი, არა მხოლოდ ჩვენი თაობის ქართული ხელისუფლების წევრებისათვის, არამედ მომავალი თაობებისთვის, რომ ქართული საზოგადოება, არ არის ის საზოგადოება, რომელიც აპატიებს მუდმივ ტყუილს, რომელიც ვინმეს აპატიებს არჩევნების გაყალბებას. თავისუფლების შებღალვას. რომ გავიხსენოთ მთელი ის წლები, როცა პენსიების გადახდა არ ხდებოდა 12 თვე, 15 თვე, მიზერულ ხელფასებს ვერ აძლევდნენ ადამიანებს, ტოტალური კორუფცია იყო, ელექტროენერგია არ იყო დედაქალაქშიც კი. ხალხი ქუჩაში არ გამოსულა, ეს ძალიან ღირსეული და მომთმენი საზოგადოებაა. მაგრამ როცა საზოგადოებამ ნახა, რომ მას ართმევენ უკანაკსნელს – თავისუფალი არჩევანის უფლებას, რიგითმა პენსიონერმა, გლეხმა, სტუდენტმა, ცნობილმა მსახიობმა თუ სპორტსმენმა თქვა, რომ ვართ ის ერი, რომელიც ამას წერტილს დაუსვამს.

„მ.კ.“ ეს იყო მართლაც ამაღელვებელი, მაგრამ დღეს ჯერ კიდევ არ არის გამოძიებული, ვინ აყალბებდა არჩევნებს. რამდენადაც მე ვიცი, ამ საკითხზე აღძრული საქმე დაიხურა. თქვენ პიროვნულად არ გაინტერესებთ, ვინ აყალბებდა არჩევნებს? საქმის შეწყვეტა თქვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხომ არ იყო იმის ნიშანი, რომ ოპოზიციამაც მიიღო მონაწილეობა არჩევნების გაყალბებაში?

ზ.ჟ. ნამდვილად ვერ გავიზიარებ თეორიას, რომ ოპოზიციას რაიმე შანსი ჰქონდა, არჩევნების გაყალბებაში მიეღო მონაწილეობა. მე ძალიან კარგად მახსოვს 2 ნოემბრის დღის განმავლობაში რა ინფორმაციებს აწვდიდნენ ჩვენი წარმომადგენლები საქართველოდან და დღის ბოლოს, უბრალოდ, გაგიჟებულები ვიყავით. კი, ჩვენ ველოდით დარღვევებს, გაყალბებას, მაგრამ ასე თავზე ხალაღებულ ცინიკურ, თავხედურ ამობრუნებას მთლიანად ხალხის ნებისა ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით. მაშინ მივხვდი, რომ ან უნდა შევეგუოთ, რომ ეს ქვეყანა ჭაობში ჩაიხრჩობა, ან ბოლომდე ბრძოლის გარდა არანაირი სხვა გზა არ რჩება.

„მ.კ.“ ამ ერთი წლის განმავლობაში რაც თქვენ პრემიერ-მინისტრი ბრძანდებით, რა იყო თქვენთვის მნიშვნელოვანი, რა მიმართულებით მოხდა შემობრუნება საქართველოსათვის და საერთოდ, რის გაკეთებას აპირებთ ამ პოსტზე?

ზ.ჟ. გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ როდესაც ჯერ სახელმწიფო მინისტრი გავხდი შარშან ნოემბრის ბოლოს თუ დეკემბრის პირველ რიცხვებში, საკმაოდ ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი და ვიცოდი, რომ ძალიან ბევრ საკითხს მოვაგვარებდით, მაგრამ ვინმეს რომ ეთქვა ჩემთვის, რომ ათ თვეში, ჩვენ შევძლებდით ბიუჯეტის ორნახევარჯერ გაზრდას და ნახევარი მილიარდი დოლარით მეტის ამოღებას, ვიდრე გასულ წელს, ამას ნამდვილად ვერ დავიჯერებდი, ვერ დავიჯერებდი იმას, რომ სექტემბერში დავხურავდით 12 წლის განმავლობაში დაგროვებულ მასწავლებელთა დავალიანებას, რომ ასეთი ტემპით გავისტუმრებდით საპენსიო დავალიანებებს, შევძლებდით პენსიების გაზრდას.

ნამდვილად ვერ დავიჯერებდი, რომ სულ ათი-თერთმეტი თვის თავზე, სექტემბერ-ოქტომბერში თბილისში იქნებოდა პოლიცია, რომლის მიმართაც ხალხს აქვს ნდობა და რომელიც ყოველ ნაბიჯზე ორ-ორ ლარს არ სძალავს გამვლელ-გამომვლელებს. ჩვენი ჯარისკაცები რაღაც ჩამოქცეულ შენობებში კი არ ცხოვრობენ, არამედ ნორმალურ, გარემონტებულ ღირსეულ ყაზარმებში და სხვ. მე ვიცოდი, რომ მართლაც სერიოზულ რეფორმებს დავიწყებდით, მაგრამ ამდენი მიმართულებით თუ მოხერხდებოდა სრულიად კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტა, ნამდვილად არ მეგონა. აპრილში, როდესაც შევიტანეთ პარლამენტში ბიუჯეტი, ჯერ არ გაზრდილი, ჩემი მეგობრები მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ, ზურა რატომ აკეთებთ ამას, ხომ იცით, რომ აგვისტოში მოგიწევთ სეკვესტრის შემოტანა პარლამენტშიო. აგვისტოში, როგორც გახსოვთ ჩვენ კიდევ 30%-ით გავზარდეთ ბიუჯეტი და უნდა გითხრათ, რომ კიდევ ერთ გაზრდას ვგეგმავთ დეკემბრის ბოლომდე. ასე რომ, მთელმა ამ წელმა აჩვენა, რამხელა პოტენციაა საქართველოში.

„მ.კ.“ მაგრამ მიუხედავად ამისა, ფასები გაიზარდა, რაიონებში ბევრგან ელექტროენერგია არც უნახავთ, მოსახლეობის დიდი ნაწილი უარესად ცხოვრობს, ვიდრე შარშან...

ზ.ჟ. არ მინდა, შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ ვთვლით თავს განცხრომაში ამ წარმატებების გამო. რამდენად შთამბეჭდავიც არ უნდა იყოს გასული ათი თვე, ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ გასაკეთებელი ალბათ, 50-ჯერ მეტია. აუარებელი ადამიანი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში თვლის, რომ სამართლიანობას მათთან ჯერ არ მიუღწევია. აუარებელი ადამიანისათვის რჩება პრობლემად დასაქმება. ამ ზამთრისპირზე მთავარი ჩემი საზრუნავი ენერგეტიკული პრობლემების მოგვარებაა. ვიტყოდი, რომ ეს ათი თვე იყო ძალიან წარმატებული და მსოფლიოში არცერთ ქვეყანაში ასეთი ტემპით განვითარება არ მომხდარა ასეთ მოკლე პერიოდში, მაგრამ ეს არის მხოლოდ პირველი ნაბიჯები. მთავარია, რომ შევინარჩუნოთ ეს ტემპი, მაშინ ორ-სამ წელიწადში ეკონომიკური ზრდა, ცვლილებები რეალურად დაეტყობა საქართველოს პრაქტიკულად ყველა რეგიონს.

„მ.კ.“ მათ შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთსაც? როგორ ხედავთ ამ რეგიონების საქართველოში დაბრუნების პერსპექტივას და რა ვადაში?

ზ.ჟ. ცხინვალის რეგიონში საჭიროა დასრულდეს დემილიტარიზაცია და განხორციელდეს ეს გეგმა, რაც ჩვენ ჩამოვაყალიბეთ და რაც მე გავახმოვანე სოჭში. საჭიროა, სეპარატისტებმა აღიარონ და განაცხადონ, რომ პრობლემის გადაწყვეტა მოხდება მხოლოდ ერთიანი საქართველოს ფარგლებში, მსოფლიოს მიერ აღიარებული საერთაშორისო საზღვრების ჩარჩოებში.

„მ.კ." კონფლიქტის განახლება ცხინვალის რეგიონში არ მიგაჩნიათ შეცდომად საქართველოს ხელისუფლების მხრიდან?

ზ.ჟ. ჩვენ არჩევანი არ გვქონდა, თუ ჩვენ შევეგუებოდით კონტრაბანდის იმ ნაკადს, რაც მოდიოდა ერგნეთიდან, მე შემიძლია გითხრათ, რომ პრაქტიკულად ის ყველაფერი რაც ჩამოვთვალე, არ მოხდებოდა. ჩვენ ვიქნებოდით მუდმივ თავის მართლებაში, რატომ ვერ შესრულდა ბიუჯეტი, რატომ ვერ შესრულდა, რატომ ვერ შევასრულეთ ესა თუ ის სოციალური ვალდებულება. ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ. ჩვენ მზად ვართ, მოთმინებით მივუდგეთ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის პრობლემების მოგვარებას, ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებებისათვის. კომპრომისებისათვის, მაგრამ ჩვენ არ ვართ მზად იმისათვის, რომ ვინმე განიხილავდეს საქართველოს, როგორც არა ქვეყანას, არამედ რაღაც წარმონაქმნს, რომელსაც არც საზღვარი აქვს, არც ეკონომიკური სივრცე აქვს გადახურული და არის რაღაცა პატარა ბანტუსტანი. საქართველო ბანტუსტანი აღარასოდეს აღარ იქნება.

„მ.კ.": ანუ თქვენსა და ირაკლი ოქრუაშვილს შორის ამ თემაზე დაპირისპირება არ არსებობდა? ალბათ გაგიგიათ სხვადასხვა ვერსიები იმის თაობაზე, რომ არსებობს მთავრობაში ომის პარტია და მშვიდობის პარტია, რომ ის ირაკლი ოქრუაშვილი უმიზნებს პრემიერ-მინისტრის პოსტს და ა.შ.

ზ.ჟ. ეს აბსოლუტური სისულელეა. ნამდვილად ძალიან ცოტა დრო მაქვს იმისათვის, რომ გავეცნო იმ ჭორებს, რაც ვრცელდება ჩვენს მედიაში. ძალიან მიკვირს, როგორ ხდება ამა თუ იმ ჭორის აგორება. რაიმე ომისა და მშვიდობის პარტიის არსებობას მე გამოვრიცხავ. თუ ირაკლი ოქრუაშვილს აქვს სურვილი, გახდეს მომავალში პრემიერ-მინისტრი, ვერც ამაში ვერ ვხედავ რაღაც კატასტროფულს. ნებისმიერ ადამიანს, ვინც არის პოლიტიკაში, ბუნებრივია, აქვს ამბიცია და ცდილობს, რომ ეს ამბიცია განახორციელოს.

„მ.კ." თქვენი ამბიცია რა არის?

ზ.ჟ. ჩემი ამბიცია არის, რომ ეს პროცესი, რაც დავიწყე მაშინ, როდესაც შევქმენი საქართველოს მწვანეთა პარტია, 1989 წელს, მივიყვანო ბოლომდე. როდესაც მე მოვედი ქართულ პოლიტიკაში, სრულიად სხვა პერსონაჟები იყვნენ ძირითადი მოქმედი პირები. მე ვამაყობ, რომ ძალიან აქტიურად შევუწყვე ხელი, რომ ქართული პოლიტიკური კლასი დღეს სულ სხვაგვარად გამოიყურება, ვიდრე ვინმე წარმოიდგენდა ამას 1994-1995 წლებში. ჩემი მთავარი ამბიცია ისაა, რომ ჩემმა მთავრობამ საქართველო შეაყენოს იმ ლიანდაგებზე, როდესაც შეუქცევადი გახდება წინსვლის პროცესი, რომ ეს საზოგადოება საბოლოოდ შეუერთდეს ერთიან ევროპას, შეუქცევადი გახდეს ეკონომიკური ზრდა. ჩვენ გავხდებით შეიძლება არა ყველაზე მდიდარი. მაგრამ ჩვეულებ-

რივი ნორმალური ევროპული ქვეყანა და ევროპული საზოგადოება. დამერწმუნეთ, თუ ჩვენ არ დავკარგეთ ეს ტემპი განვითარებისა, რაც ავკრიფეთ, ეს პროცესი უფრო სწრაფად შეიძლება მოხდეს, ვიდრე დღეს წარმოგვიდგენია.

„მ.კ.“ პრეზიდენტი სააკაშვილი დაჰპირდა საზოგადოებას, რომ ძალიან მალე, შეიძლება პირველივე საპრეზიდენტო ვადაშიც დაებრუნებინა აფხაზეთი. თქვენც ასევე ოპტიმისტურად ხართ ამ საკითხთან დაკავშირებით განწყობილი?

ზ.ჟ. აბსოლუტურად, ჯერ ერთი, სააკაშვილისთვის მართლაც მთავარი თემა საქართველოს გამთლიანებაა. ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ. მას მიაჩნია, რომ ამისათვის გახდა საქართველოს პრეზიდენტი. თქვენ იცით მისი ხასიათი, როდესაც რაღაცას ისახავს მიზნად, მართლაც ძალიან თანმიმდევრულად და ენერგიულად ემსახურება ამ მიზანს.

„მ.კ.“ თქვენ თუ ამაყობთ, რომ ის მოიწვიეთ პოლიტიკაში და მაშინ თუ იფიქრებდით, რომ ის პრეზიდენტი გახდებოდა?

ზ.ჟ. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ძალიან ხშირად, როცა მეკითხებოდნენ 1997-98 წელს, თქვენ გახდებით თუ არა პრეზიდენტიო. ხშირად მითქვამს, რომ როდესაც ეს საკითხი გახდება აქტუალური, 5-6 თუ ათი წლის შემდეგ, საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტზე სულ სხვაგვარი ძალთა თანაფარდობა შეიძლება იყოს მეთქი. რა თქმა უნდა, მე ვამაყობ არა მხოლოდ იმითი, რომ მიშა მოვიწვიე, შემოერთებოდა ჩვენს გუნდს, არამედ იმითიც, რომ აუარებელი ძალიან ღირსეული ადამიანის პოლიტიკაში დამკვიდრებას შევუწყვე ხელი. ეს არის ის, რასაც ყოველთვის უდიდესი სიამოვნებით ვაკეთებდი. ამით შემიძლია გარკვეულწილად ვიყო კმაყოფილი.

„მ.კ.“ დავუბდრუნდეთ ისევ აფხაზეთის თემას, დღეს საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთთან მიმართებაში შეინარჩუნებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, მაგრამ ხვალ და ზეგ, როდესაც უკვე გაირკვევა მათი პრეზიდენტის ვინაობა, არის თუ არა რაიმე პროგრამა ან კონცეფცია ჩამოყალიბებული, რომელიც შეიძლება, ქართულმა სახელმწიფომ შესთავაზოს აფხაზეთს?

ზ.ჟ. ჩვენ მზად ვართ ძალიან სერიოზული დიალოგისათვის დღეს ამისი თქმით შემოვიფარგლები.

„მ.კ.“ რაც შეეხება საქართველოს საგარეო ურთიერთობებს. გარდა იმისა, რომ აშშ და ევროპა თითქმის ყოველთვის მხარს გვიჭერს, რუსეთთან გვირჩევს აბსოლუტურად ყველა ქვეყანა ურთიერთობების მოწესრიგებას, როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარება და ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება?

ზ.ჟ. მე ვფიქრობ, რომ ჩემი მხრიდან პრაქტიკულად ძალიან ბევრი ნაბიჯი გადაიდგა საამისოდ და სამწუხაროდ, საპასუხო ნაბიჯები ადეკვატური ძალიან ცოტა ჩანს. ყველა ჩვენს პარტნიორს საერთაშორისო საზოგადოებაში ძალიან კარგად ესმის ის პრობლემები, რაც ჩვენ გვაქვს რუსეთთან, ძალიან კარგად ესმით ის უსამართლობა, რასაც ხშირად აქვს ადგილი რუსეთის მხრიდან იგივე აფხაზეთთან მიმართებაში. ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას რუსეთთან

ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, მაგრამ არასოდეს არ დავთმობთ მთავარ ამოსავალ წერტილს. ეს იქნება ურთიერთობა ორ თანასწორუფლებიან, სუვერენულ ქვეყანას შორის და აქ კომპრომისი იქნება სრულიად დაუშვებელი.

„მ.კ.“ თითქოს რაღაც სფეროებში რეფორმები რეალურად დაიწყო, მაგრამ არის სფეროები, მაგალითად, პროკურატურა, სხვა სტრუქტურები, სადაც რეფორმების თაობაზე დისკუსიაც კი არ დაწყებულა. ერთგვარად უკან დაიხია არასამთავრობო სექტორმა, მედიის თავისუფლების ხარისხმა... როგორ აფასებთ ამ პროცესებს?

ზ.ჟ. დღეს საქართველოში არის უჩვეულო მდგომარეობა, როდესაც წარმოუდგენლად დიდია ერთი პოლიტიკური ძალის და თუნდაც ხელისუფლების მხარდაჭერა. ყველა ელოდა, რომ ჩვენი რეიტინგი ერთი წლის თავზე მკვეთრად დაეცემოდა, მაგრამ ეს არ მოხდა. პირიქით, დღეს ხალხი უფრო ცნობიერად უჭერს მხარს პრეზიდენტსაც, მთავრობასაც და იმ პოლიტიკურ ძალასაც. რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს არის აბსოლუტურად დროებითი მოვლენა და მე დარწუნებული ვარ, რომ საქართველოში ჩამოყალიბდება ჩვენი ძლიერი პოლიტიკური ალტერნატივა.

საზოგადოება რომ ჯანსაღად და ნორმალურად ვითარდებოდეს, საჭიროა არა მხოლოდ ქმედუნარიანი მთავრობა, საჭიროა ასევე ქმედუნარიანი და ენერგიული ოპოზიცია, როგორც ჩანს, როცა ეს რევოლუციური პერიოდი საბოლოოდ ჩაივლის, ესეც მოხდება, მთავარი, რაც არის საქართველოში, არის ძალიან ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც უნდა იყოს მუდამ გუშაგი სამოქალაქო თავისუფლების, ამ ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ადამიანის პირადი თავისუფლების თუ საზოგადოების თავისუფლებისა. ესეც იქნება განპირობებული ნორმალური განვითარების. მე იმედი მაქვს. რომ საქართველოში ყველა დარწმუნდა ამ ერთი წლის წინანდელი მოვლენების შედეგად, რომ ეს ქვეყანა ვერასოდეს ვერ იქნება წარმატებული, თუ აქ არ იქნება რეალურად დემოკრატიული განვითარება, თუ ჩვენ ვეცდებით დემოკრატიული თავისუფლების შეზღუდვას. ამიტომ არის საქართველო ევროპის განუყოფელი ნაწილი.

„მ.კ.“ ხელისუფლების ჩარევა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში რამდენად დემოკრატიულად მიგაჩნიათ?

ზ.ჟ. ძალიან ცოტაა მსოფლიოში ქვეყანა, სადაც იქნებოდა ერთი მთავარი უნივერსიტეტი. ყველაზე წარმატებული და მნიშვნელოვანი და რომლის ახალი ხელმძღვანელის არჩევის მიმართ მთავრობა არ გამოხატავდა რაიმე პოზიციას. ჩვენ ჩავერიეთ იმ მხრივ ნამდვილად, რომ ჩვენი კანდიდატურა წამოვაყენეთ, მაგრამ არავის შეუზღუდავს სხვა კანდიდატურების არსებობაც. პირდაპირ მინდა გითხრათ, რომ უნივერსიტეტში რეფორმა, უნივერსიტეტის განახლება და მისი გაწმენდა ამ მძიმე ვითარებისაგან, რაც შეიქმნა იმ გარდამავალი წლების განმავლობაში. პირადად მე მიმაჩნია ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. რაც არ უნდა გააკეთო ეკონომიკაში, როგორც არ უნდა შეცვალო პოლიცია, თუ ჩვენ არ მივეცით ნორმალური განათლება

ჩვენ ბავშვებს და ეს არ მოხდა აქ, თბილისში, საქართველოში, უცხოეთში წასვლის გარეშე, ჩვენ მომავალი ნამდვილად არ გვექნება. ყოველ შემთხვევაში არ გვექნება ის მომავალი, რაზეც ჩვენ ყველა ვოცნებობთ. პირადად ჩემთვის, როგორც უნივერსიტეტელისათვის, ეს განსაკუთრებით მგრძნობიარე თემაა. ჩვენი პირველი კამპანია იყო, რომ 1987-88 წლებში მე ვიბრძოდი ჩემს მაშინდელ მეგობრებთან უნივერსიტეტის ავტონომიისათვის. იმ თემების მიმართ, რაც ეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მე ძალიან მგრძნობიარე ვარ.

„მ.კ.“ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა უნივერსიტეტშიც იყო კორუფცია. რამდენად არის დაცული კორუფციისაგან დღევანდელი მთავრობა და პარლამენტი? რა მექანიზმები შექმენით თქვენ ამისათვის?

ზ.ჟ. ჯერჯერობით მართალი გითხრათ, მე არ გამიგია ჩემი მთავრობის წევრებზე იყოს რაიმე ჭორები მათ კორუმპირებულობასთან დაკავშირებით. ძალიან ბევრ რამეს განსაზღვრავს პიროვნების ფაქტორი, ძალიან ბევრ რამეს განსაზღვრავს ის, რომ ამ ქვეყნის პრეზიდენტისათვის ეს მართლაც მთავარი თემაა. არის ის საკითხი რის გამოც ის, პირველ ყოვლისა, აბარებს ანგარიშს საკუთარ ამომრჩეველს, ძნელად წარმომიდგენია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებისას მოხდეს ხელისუფლების კორუფციაში გახრწნა. მაგრამ, რა თქმა უნდა, მიუხედავად იმისა, რომ მინისტრები დღეს ბევრად ეფექტურები, სუფთა და პატიოსნები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ავტოინსპექცია გაუქმდა და პოლიცია ქუჩაში ისე აღარ თავნებობს, კორუფციის პრობლემა ჯერ ძალიან მძიმეა საქართველოში და ამ მხრივ მომავალ წელს აუარებელი რამ არის გასაკეთებელი.

„მ.კ.“ მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება საპატრიარქოში არსებულ დაპირისპირებაზე. პრეზიდენტმა კი თქვა, რომ პოლიტიკოსები არ უნდა ჩაერიონ ამ საკითხში, მაგრამ ვრცელდება უამრავი ინფორმაცია, რომ მზადდება კათალიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ შეთქმულება და ამას მხარს უჭერენ ხელისუფლებაში...

ზ.ჟ. მე ყოველთვის ვერიდები ამ თემაზე საუბარს. პირადად მე თავს მივაკუთვნებ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლს 16 წლის ასაკიდან. მე ვერ ვიტყვი, რომ კარგი ქრისტიანი ვარ. მაგრამ ჩემს პირად ცხოვრებაში ეკლესიას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. მე დავდიოდი სიონში იმ წლებში, როდესაც 30-40 ადამიანი ესწრებოდა საკვირაო წირვას და უმკაცრესი კონტროლი იყო კომუნისტების მხრიდან ეკლესიის მიმართ. ჩემ თვალწინ მოხდა ქართული ეკლესიის აღორძინება. მინდა გითხრათ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მიმაჩნია ქართული ეკლესიის 15 საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ერთ-ერთ დიდ საეკლესიო ლიდერად, ერთ-ერთ უდიდეს პატრიარქად. ჩვენ ბევრი გვყოლია სრულიად გამორჩეული წინამძღოლი ეკლესიისა, ჩვენ გვყავდა პატრიარქები, რომელთაც ხვრეტდნენ, აწამებდნენ, მაგრამ ჩვენ არ გვყოლია კათალიკოსი, რომლის პატრიარქობის დროსაც ასე განვითარდებოდა ეკლესია, როგორც ეს მოხდა ბოლო 25 წლის განმავლობაში.

საკმაოდ კარგად ვიცი, დღეს რაც ხდება ეკლესიის შიგნით. მე კარგად ვიცი, როგორ ცხოვრობს ცალკეული მონასტერი, რითი ცხოვრობს მრევლი. მართლაც აბსოლუტურად აღმაშფოთებელია, როცა ან მარჯვნიდან, ან მარცხნიდან სხვადასხვა პოლიტიკოსები ან პოლიტიკასთან ახლოს მდგომი ადამიანები ცდილობენ პოლიტიკური ცხოვრების საზომი მიუყენონ საეკლესიო ცხოვრებას. ეს არის უვიცობა და აბსოლუტურად არ ესმით რამდენად სახიფათო თემას ეთამაშებიან. ჩვენი, არც ხელისუფლების, არც საერო საზოგადოების საქმე არ არის ამ თემების გარჩევა, თუ ვინმეს ადარდებს ის, თუ რა ხდება ეკლესიაში და იღვაწოს ეკლესიის გამოსწორებისათვის. ეკლესია და მისი ცხოვრება არ განისაზღვრება არც ჟურნალისტური სტატიებით, არც პოლიტიკოსების რეიტინგით, არც წივილ-კივილებით ტელეეკრანებიდან ან პარლამენტის დარბაზიდან. ეს არის სხვა კატეგორია და ეს ის ღირებულებებია, რომელიც არ იცვლება ათწელულების და ხშირად საუკუნეების განმავლობაში. მე მინდა, ვთქვა, რომ მთავარი რაზეც უნდა ზრუნავდეს საზოგადოებაც და ხელისუფლებაც, არის ის, რომ არ დაუშვას ეკლესიაში რაიმე ბზარის გაჩენა.

მთავარია ჩვენი ეკლესიის ერთიანობა. ერთ-ერთი საოცარი რამ, რაც ჩვენ მივიღეთ ჩვენი წინაპრებისაგან გახლავთ სწორედ ის, რომ მრავალი ქარტეხილის მიუხედავად ქართული მართლმადიდებელი ეკლესია არასოდეს არ გაიხლიჩა და მოაღწია ჩვენამდე როგორც ერთიანმა სხეულმა ჩვენი სულიერი ცხოვრებისა. მე პირველად ვსაუბრობ ამ თემებზე ... მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ ყოველთვის გავურბოდი საუბარს ამ საკითხებზე, რადგან ეს მიმაჩნია ჩემი პირადი მრწამსის თემად და არა საჯარო პირის განსასჯელ თემად. მაგრამ ეკლესიის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა მართლაც გადააჭარბა ყოველგვარ ზღვარს. მით უფრო ძალიან მაღიზიანებს, როდესაც ხდება ადამიანის ფიგურის პოლიტიზაცია მხოლოდ იმის გამო, რომ ის მრავალი წელია, არის ჩემი მოძღვარი. მე ვსაუბრობ მეუფე დანიელზე.

„მ.კ.“ დღეს ნაციონალები და ბურჯანაძე-დემოკრატები ერთ პარტიად ერთიანდებიან. რამდენად ხანგრძლივი აღმოჩნდება ეს გაერთიანება და რატომ გაჩნდა ამისი საჭიროება დღეს?

ზ.ჟ. გაერთიანება პრაქტიკულად მოხდა თქვენ თუ დააკვირდებით, პარლამენტში დღეს ძალიან რთულია გაავლო ზღვარი, სად იწყებიან „დემოკრატები“ და სად მთავრდებიან ნაციონალები.

„მ.კ.“ ისე, კმაყოფილი ხართ პარლამენტის შემადგენლობით?

ზ.ჟ. მე ვარ ძალიან კმაყოფილი იმითი, რომ დღეს იქ არ არსებობს არანაირი ხელოვნური ინტრიგები. ჩვენგან საზოგადოება დღეს ელოდება იმ ერთიანობის შენარჩუნებას, რომელიც ჩვენ ვუჩვენეთ შარშან, ნოემბრის დღეებში.

„მ.კ.“ თუმცა არა მგონია, საზოგადოებას ის არაკომპეტენტურობა მოსწონდეს, რაც პარლამენტში ჩანს ხოლმე. საზოგადოებაში ჩვენს ხელისუფლებას ხშირად თინეიჯერების პარლამენტსა და მთავრობას უწოდებენ.

ზ.ჟ. პარლამენტი წარმოადგენს ხალხს. მათ ხელფასს უხდიან იმისათვის, რომ აკრიტიკონ აღმასრულებელი ხელისუფლება და ზედამხედველობა განა-

ხორციელონ მასზე. ასე რომ, ეს აბსოლუტურად ნორმალური და აუცილებელი კომპონენტია დემოკრატიული ცხოვრების.

„მ.კ.“ თქვენ თუ უშვებთ იმ შესაძლებლობას, რომ ერთ დღეს შეიძლება მიუღებელი გახდეთ პარლამენტის ან პრეზიდენტისთვის? როგორ მოიქცევით ამ შემთხვევაში?

ზ.ჟ. მე აბსოლუტურად ვუშვებ იმას, რომ ერთ მშვენიერ დღეს დავიხურავ ქუდს, თუ ვნახე, რომ ის, რისთვისაც მე ვიბრძვი, არ ხორციელდება, მივხედავ ჩემს საქმეს. ჩემთვის რთული არ არის გადადგომა. მე ყოველთვის მახსოვს, რომ ამ ოფისში, ამ კაბინეტში ვზივარ არა იმისათვის, რომ მქონდეს სავიზიტო ბარათი, რომელსაც აწერია საქართველოს პრემიერ-მინისტრი, არამედ იმისათვის, რომ განვახორციელო ის, რაზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი.

გაზ. „რეზონანსი“. 22 ნოემბერი, 2004 წ. №319 (4411). გვ. 6-7

გეოგრაფიული საძიებელი

ა

აბანოთუბანი 150
ავღანეთი 103, 329, 401
აზერბაიჯანი 39, 46, 70, 71, 75, 78, 90, 93, 122, 133, 134, 143, 147, 180, 194, 208, 249, 276, 359, 360, 383, 414
ამერიკა 21, 28, 139, 142, 143, 184, 197, 256, 263, 274, 278, 282, 322, 345, 430
ამერიკის შეერთებული შტატები 21, 197, 256, 322
ამიერკავკასია 57, 70, 78, 90, 138, 139, 154, 322
ანკარა 160
ასას ხეობა 358
აფხაზეთი 16, 33, 34, 37, 38, 39, 40, 41, 50, 51, 52, 53, 54, 56, 58, 64, 65, 74, 76, 77, 78, 80, 81, 85, 89, 90, 93, 94, 95, 96, 98, 100, 105, 111, 112, 116, 117, 123, 127, 132, 133, 137, 138, 139, 148, 160, 162, 173, 174, 176, 177, 178, 179, 180, 182, 183, 194, 197, 198, 204, 211, 218, 219, 245, 247, 266, 268, 287, 295, 306, 318, 323, 329, 347, 357, 358, 360, 363, 368, 375, 399, 400, 401, 402, 403, 404, 405, 406, 407, 413, 414, 415, 416, 443, 444, 445, 446, 449, 450, 451
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა 100, 132, 160
აფხაზეთის რესპუბლიკა 401, 443
აღმოსავლეთ ევროპა 106, 261, 334
აშხაბადი 118
აშშ 15, 123, 178, 185, 194, 197, 198, 272, 274, 288, 305, 306, 361, 429, 430, 434, 451
ახალქალაქი 195, 196
ახალციხე 195
ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები 249
აჭარა 113, 115, 116, 117, 118, 119, 120, 124, 125, 218, 222, 237, 238, 273, 274, 285, 335, 429, 430, 431

ბ

ბალკანეთი 33, 246
ბალტიის ქვეყნები 141, 156, 228
ბანტუსტანი 450
ბათუმი 34, 113, 115, 116, 119, 120, 124, 125, 222, 227, 238, 245, 253, 271, 318, 429, 431, 433
ბაქო 17, 181, 291, 296, 305
ბეთანია 233
ჯეიჰანი 296, 305
ბაღდათის რაიონი 413
ბელარუსი 139
ბელგია 99, 313
ბელოვეჟი 42, 43
ბელორუსიის რესპუბლიკა 38
ბიშკეკი 356
ბრაზილია 196
ბრიტანეთი 28, 178, 222
ბრიუსელი 33, 99, 382
ბოლნისი 322
ბორჯომი 68, 273
ბოსნია 194, 197
ბოსფორი 46, 47, 48
ბუდაპეშტი 357
ბულგარეთი 47, 122, 371, 430, 436

გ

გაგრა 179
გალი 160 , 172, 175 , 179, 183
გალის რაიონი 16, 160, 162, 172, 173, 175, 176, 178, 182, 183, 405, 416
გერმანია 75, 123, 150, 156, 178, 185, 329, 372
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 337
გოდერძის უღელტეხილი 125
გროზნო 41, 119
გუდაუთა 287, 288, 400
გულრიფში 405

დ

დავით გარეჯი 233

დარიალი 57
დასავლეთი 13, 23, 71, 81, 86, 99, 131, 139, 143, 147, 148, 149, 197, 248, 255, 274, 291, 302
დიდი ბრიტანეთი 178, 222
დიდი ლიახვის ხეობა 67, 435
დნესტრისპირეთი 405
დსთ 35, 38, 78, 118, 163, 177, 211, 212, 261, 305, 306, 356, 360, 367, 388, 399, 400, 401, 412, 414, 416

ე

ევრაზია 57, 116, 174
ევროპა 31, 46, 47, 48, 57, 63, 65, 72, 75, 78, 86, 90 , 92 , 101, 106, 111, 122, 143, 148, 149, 174, 181, 188, 204, 206, 207, 208, 209, 216, 221, 222, 223, 224, 225, 244, 248, 262, 263, 264, 269, 280, 282, 285, 287, 292, 299, 302, 330, 334, 338, 367, 382, 403, 450, 452
ენგური 50, 52, 85
ერევანი 181, 195, 283
ესენგე 138, 139
ესპანეთი 379

ვ

ვაზიანი 154, 287
ვაკე 365
ვაკის რაიონი 414
ვარშავა 77
ვაშინგტონი 143, 148, 181, 194, 282, 360
ვენა 197, 438

ზ

ზუგდიდი 175, 176, 180, 193, 196, 197, 273

თ

თბილისი 13, 17, 19, 34, 40, 41, 60, 74, 78, 82, 86, 92, 93, 103, 104, 115, 116, 117, 119, 124, 125, 127, 152, 155, 156, 158, 159, 160, 183, 189, 192, 195, 200, 205, 237, 238, 249, 253, 272, 273, 275, 287, 288, 300, 306, 309, 322, 331, 335, 351, 384, 402, 403, 412, 414, 416, 429, 431, 432, 443, 444, 449, 453
თურქეთი 34, 46, 47, 48, 116, 140, 143, 185, 191, 249, 363
თურქმენეთი 305
თუშეთი 358

ი

იალტა 182
იაპონია 140, 143
იმერეთი 212, 322, 413
ინგუშეთი 358, 407
ინდოეთი 140
ირანი 140, 143, 249
ისრაელი 140, 187, 188, 189, 263
ისრაელის სახელმწიფო 187
იტალია 379
იუგოსლავია 198, 402, 405

კ

კავკასია 33, 39, 40, 41, 49, 54, 55, 74, 76, 78, 79, 80, 81, 86, 90, 91, 93, 99, 100, 101, 188, 223, 246, 249, 292, 358, 382, 383, 400, 401, 435
კანადა 28
კასპია 48
კასპიის ზღვა 101, 208
კასპიის ზღვის აუზი 71, 291
კახეთი 68, 212, 238, 322
კიევი 181
კისლოვოდსკი 78
კიშინიოვი 116, 118
კოდორის ხეობა 39, 408, 412
კოსოვო 238, 241, 246

ლ

ლაგოდეხი 202
ლესელიძე 179
ლისაბონი 357
ლონდონი 33

მ

მარნეული 133
მთიანი ყარაბაღი 76, 78
მინსკი 118, 367
მოლდოვა 196
მოსკოვი 35, 37, 56, 80, 100, 112, 118, 127, 140, 143, 155, 181, 219, 274, 278, 287, 295, 296, 360, 361, 405, 412, 415,

416, 430, 439, 441, 443, 444, 445

ო
ოტობაია 179, 180
ოჩამჩირე 405

პ
პანკისი 412
პანკისის ხეობა 309
პეტერბურგი 414
პოლონეთი 92, 360, 361, 371
პრაღა 360

ჟ
ჟენევა 123, 178, 295

რ
რუმინეთი 47, 122, 371
რუსეთი 33, 34, 35, 37, 39, 40, 41, 42, 43, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 54, 56, 57, 58, 69, 70, 71, 75, 77, 78, 80, 85, 86, 90, 92, 93, 95, 96, 97, 98, 100, 101, 111, 112, 116, 117, 124, 127, 134, 137, 138, 139, 143, 148, 149, 150, 154, 155, 162, 163, 173, 177, 178, 179, 185, 194, 195, 196, 197, 207, 213, 219, 229, 240, 245, 247, 257, 261, 263, 264, 268, 274, 276, 278, 287, 288, 295, 296, 301, 302, 304, 305, 306, 309, 322, 323, 356, 357, 358, 359, 360, 361, 363, 367, 368, 371, 382, 383, 399, 400, 401, 402, 403, 404, 405, 406, 407, 408, 412, 414, 415, 416, 417, 430, 434, 435, 436, 438, 439, 441, 443, 444, 446, 451
რუსეთის ფედერაცია 42, 43, 50, 78, 268, 401, 415, 435, 443

ს
საბერძნეთი 14, 379
საბჭოთა კავშირი 13, 14, 23, 42, 104, 139, 140, 145, 158, 229, 238, 262, 305, 338, 340
სამეგრელო 169, 180, 212, 245, 246, 322
სამხრეთი 73, 358, 400, 405
სამხრეთ კავკასია 90, 382, 383
სამხრეთ ოსეთი 54, 441, 442, 445, 449, 450
სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა 434
სამხრეთ საქართველო 384
სარფი 429
საფრანგეთი 75, 178, 266, 379, 424, 426
საქართველო 15, 16, 17, 19, 20, 22, 23, 24, 25, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 35, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43,44, 46, 47, 48, 49, 50,51, 52, 53, 54, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 82, 85, 86, 87, 88, 89, 90, 92, 93, 95, 96, 98, 99, 102, 104, 105, 106, 107, 110,111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 125, 126, 127, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 144, 145, 147, 148, 149, 150, 152, 153, 154, 156, 157, 158, 159, 160, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 172, 173, 174, 176, 177, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 193, 194, 198, 200, 203, 204, 205, 206, 207, 208, 209, 211, 212, 213, 215, 216, 217, 218, 219, 221, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228, 229, 231, 233, 234, 236, 237, 238, 239, 240, 243, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265, 266, 267, 268, 269, 270, 271, 272, 274, 275, 276, 277, 278, 279, 280, 281, 282, 283, 284, 285, 287, 288, 291, 292, 293, 294, 295, 296, 297, 298, 299, 300, 301, 302, 303, 304, 306, 307, 308, 309, 312, 313, 314, 316, 317, 318, 319, 320, 321, 322, 323, 324, 325, 327, 329, 333, 334, 335, 336, 337, 338, 339, 340, 341, 343, 344, 345, 346, 347, 348, 349, 350, 352, 356, 357, 358, 359, 360, 361, 362, 363, 364, 366, 367, 368, 371, 373, 376, 377, 378, 379, 380, 382, 383, 384, 385, 387, 388, 389, 390, 393, 394, 395, 397, 398, 399, 400, 401, 402, 403, 404, 405, 406, 407, 408, 409, 410, 411, 412, 413, 414, 415, 416, 418, 419, 420, 421, 425, 426, 427, 428, 429, 430, 431, 432, 434, 436, 437, 438, 439, 441, 442, 443, 444, 446, 447, 448, 449, 450, 451, 452, 453, 455
სვანეთი 39, 133, 246, 309, 403
სიდა 162, 179, 180

სნგ 49
სომხეთი 35, 37, 75, 78, 90, 93, 134, 143, 194, 195, 198, 208, 249, 283, 337, 414
სოფია 439
სტამბოლი 48, 287, 291, 357
სტამბული 46, 47
სტრასბურგი 207, 223, 224
სოხუმი 179, 405, 412, 416, 445
სოჭი 295, 441, 442, 445, 450
სურამი 158
სუფსა 17, 46, 291, 305

ტ
ტაბახმელა 349
ტაჯიკეთი 33, 103
ტრანსკავკასია 441
ტყიბული 250

უ
უკრაინა 47, 86, 122, 180, 407
უნგრეთი 92, 313, 360
ურეკი 113, 114, 124, 125

ფ
ფოთი 114, 124, 125, 429, 431
ფოკა 384
ფსოუ 274

ქ
ქარელი 68
ქობულეთი 62, 431
ქუთაისი 177, 276

ღ
ღალიძგა 73

ყ
ყაზახეთი 122, 147
ყარაბაღი 76, 78, 194, 405

შ
შავი ზღვა 46, 47, 78, 182, 208
შავი ზღვის აუზი 48, 122
შავიზღვისპირეთი 48
შავიზღვისპირეთის ქვეყნები 48
შავი ზღვის სანაპირო
სახელმწიფოები 47
შავი ზღვის სანაპირო ქვეყნები 46
შატილი 358
შვეიცარია 266

ჩ
ჩეჩნეთი 33, 40, 41, 75, 100, 101, 119, 274, 287, 306, 309, 327, 358, 399, 400, 401, 402, 403, 405, 406
ჩეხეთი 92
ჩინეთი 140
ჩოლოქი 116, 125, 429, 430 , 431
ჩრდილოეთი 57, 127, 255, 301, 400
ჩრდილოეთ კავკასია 78, 81, 401, 435
ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკები 78
ჩრდილო ოსეთი 93, 441

ცვ
ცენტრალური აზია 48, 147, 174, 179, 180, 249
ცენტრალური აზიის ქვეყნები 122
ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნები 143
ცენტრალური ევროპა 31, 263,
ცხინვალი 65, 68, 69, 375, 438, 439, 440, 445, 446
ცხინვალი რეგიონი 40, 49, 50, 51, 52, 53, 54, 68, 76, 78, 105, 137, 218, 238, 357, 363, 368, 434, 435, 436, 438, 450

წ
წალენჯიხის რაიონი 175, 176

ჭ
ჭიათურა 250

ხ
ხმელთაშუა ზღვა 379
ხმელთაშუა ზღვის სანაპირო 46
ხორვატია 371

ჯ
ჯავახეთი 169, 195, 198
ჯიხაშკარი 247

ჰ
ჰააგა 415

პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე 119, 237, 238, 430, 431
აბაშიძე ასლან 34, 109, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 124, 125, 191, 237, 238, 275, 286, 309, 405, 416, 429, 433
ადამია 263
ადამია რეზო, ადამია რევაზ 124, 153, 264, 294, 342, 356
ადეიშვილი ზურაბ 343, 370
ალიევი ჰეიდარ 40, 78, 276
ამირეჯიბი ჭაბუა 217
ანთაძე ია 63, 73
არსანოვი ვახა 119
არსენიშვილი გია 349
არძინბა 39, 73, 175, 182, 241, 306, 415
არძინბა ვლადისლავ 415
ასათანი 397
ასათანი აკაკი 327, 356, 397
ასანიშვილი გიორგი 296, 378, 399, 412
ასლანიკაშვილი თამარ 162, 210, 257, 351
ატკინსონი 74

ბ

ბაბურინი 145
ბაგრატიონი 150
ბალცეროვიჩი 334
ბარამიძე 89, 126, 340, 374
ბარამიძე გიორგი 60, 85, 435
ბარამიძე გია 84, 135, 200, 420
ბასაევი 309, 358, 406
ბასაევი შამილ 406
ბასილაია ლიკა 86
ბასილია 304
ბასილია თემურ 304
ბაღაფში სერგეი 443, 444
ბეიკერი 272
ბერეზოვსკი 211, 212
ბზეჟინსკი 361
ბზეჟინსკი ზბიგნევ 360
ბოდენი დიტერ 404
ბრაუმბერგი 194
ბურჯანაძე 447, 454
ბურჯანაძე ნინო 354, 360
ბუში 272

გ

გამსახურდია 102, 103, 104
გამსახურდია ზვიად 103
განაპოლსკი მ. 399, 401, 402, 403, 405, 406, 407
განაპოლსკი მატვეი 404
გაჩეჩილაძე გიორგი 349
გაჩეჩილაძე ლევან 294, 422
გახოკიძე ჯემალ 197
გებელსი 354
გელაევი 407
გელაშვილი ნაირა 249
გიგაური ზაზა 289
გიგინეიშვილი მანანა 347
გილიგაშვილი 347
გილიგაშვილი როლანდ 347
გიორგაძე 243
გიორგაძე იგორ 111, 154, 240, 247, 305
გიორგაძე მამუკა 155, 172, 178, 243
გოგიტიძე სოსო 116
გოგიჩაიშვილი აკაკი 34
გოგორიშვილი ირაკლი 192, 218, 329
გოგუაძე 145
გოგუაძე ვახტნაგ 145
გორბაჩოვი 99
გორი ალ 272
გულიაშვილი ბონდო 309

დ

დარელი ჯერალდ 289
დედა ელისაბედი 384, 385
დევისი ტერი 207
დემეტრაშვილი თამარ 300

დინი ჰელი 268
დოლიძე როსტომ 113, 120
დუდაევი 40, 41

ე

ელიავა 239, 245
ელიავა აკაკი 238
ელცინი 49, 80, 127, 134, 154, 173, 177, 304, 305, 358

ვ

ვალავი 83
ვაჟა 252, 255
ვაშინგტონი 282
ვახტანგი 156, 201, 360
ვილი ლორენ 256

ზ

ზატულინი 70
ზუგანოვი გენადი 33
ზურაბი 14, 68, 95, 115, 116, 117, 119, 120, 122, 124, 125, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 158, 162, 165, 166, 182, 190, 191, 192, 199, 200, 201, 202, 203, 211, 213, 218, 226, 272, 275, 289, 290, 298, 299, 300, 306, 352, 362, 365, 402, 404, 405, 406, 426, 433
ზურაბიშვილი სალომე 438, 439

თ

თარგამაძე 353, 422
თარგამაძე კახა 328, 351, 352, 353
თევდორაძე ელენე 144, 200
თევზაძე 198
თოიძე მარიამ 216

ი

ილია 285
ილია მეორე 223, 453
იოსელიანი 365
იოსელიანი ჯაბა 365
ივანოვი იგორ 434
ივანოვი სერგეი 401
იუშენკოვი 400, 403
იუშენკოვი ს. 401, 403, 404, 406
იუშენკოვი სერგეი 399, 404

კ

კაკუბავა 72
კაკუბავა ბორის 243
კალანდაძე გიორგი 45, 278, 285, 331
კელემენი ანდრას 207
კემულარია 422
კვესიტაძე ეკა 424
კვირაია 86
კვირაია შოთა 86, 94, 96
კირვალიძე დავით 366, 373
კირვალიძე მათე 203
კიტოვანი 103
კიღურაძე ივანე 19
კლინტონი 263, 351
კლინტონი ბილ 272
კოკოითი 434, 435, 436, 438, 439, 440, 441
კოკოითი ედუარდ 434, 441, 442
კოწოწაშვილი შორენა 38
კუპატაძე ბონდო 206

ლ

ლანა 153
ლანი საიმონ 268
ლეკიშვილი 255, 294
ლეკიშვილი ნიკო 294, 372
ლინკოლნი 282
ლომინაძე გივი 295
ლორთქიფანიძე 227, 255, 294, 302, 303
ლორთქიფანიძე ვაჟა 191, 223, 231, 233, 255, 303, 413, 414
ლორთქიფანიძე რუსუდან 66, 69
ლოშჩინინი ვალერი 441
ლუგარი 194
ლუკინი 33, 360

მ

მაგრანიანი 70
მარგველაშვილი გიორგი 17
მარგიანი 145
მარგიანი ავთანდილ 145
მარსაგიშვილი შორენა 408
მასხადოვი 309
მაჩაიძე რუსიკო 429
მაჭავარიანი 362, 366, 369, 373, 374

მაჭავარიანი მიშა 200, 303, 304, 349
მაჭავარიანი მიხეილ 84, 135, 295, 339, 420
მენაღარიშვილი 357
მესხიშვილი 384
მეტრეველი როინ 206
მეუფე დანიელი 454
მეფარიშვილი 422
მოროზი ალექსანდრე 86
მჭედლიშვილი ზურაბ 128, 246, 277, 307

ნ

ნადარეიშვილი თამაზ 295
ნათაძე 72, 98
ნათაძე ნოდარ 97
ნათელაშვილი 253
ნიკო 252, 255
ნიკოლაევი 125
ნინიძე თამარ 226, 231, 236, 247, 278
ნოღაიდელი 366, 369, 373, 433
ნოღაიდელი ზურაბ 349, 362, 433

ო

ოდომი 276, 278
ოდომი უილიამ 275
ონოფრიშვილი 231
ორჯონიკიძე 155
ოსაძე 89
ოსაძე მიხეილ 85
ოქრუაშვილი ირაკლი 450

პ

პაუელი კოლინ 434
პასი სოლომონ 430, 434, 436
პასტუხოვი 416
პასტუხოვი ბორის 416
პატიაშვილი 273
პატიაშვილი ჯუმბერ 273
პრიმაკოვი 276, 278
პრიმაკოვი ევგენი 219, 275, 278
პუტინი 274, 367, 400, 401, 404, 405, 434
პუტინი ვლადიმირ 399, 400, 401, 412

ჟ

ჟვანია 15, 16, 17, 37, 38, 85, 86, 158, 184, 185, 198, 210, 219, 227, 236, 241, 243, 255, 257, 302, 303, 331, 351, 354, 365, 375, 376, 408, 412, 413, 420, 421, 427, 432, 433, 434, 438, 439, 441
ჟვანია ბესარიონ 64, 67
ჟვანია ზ. 76, 400, 402, 403, 404, 405, 406, 407
ჟვანია ზურაბ 13, 14, 15, 16, 17, 19, 20, 30, 32, 35, 37, 38, 39, 42, 44, 45, 46, 48, 50, 52, 54, 56, 64, 70, 74, 78, 80, 85, 86, 87, 92, 93, 94, 95, 96, 97, 99, 102, 113, 114, 116, 117, 118, 119, 120, 122, 124, 126, 129, 130, 137, 150, 152, 158, 160, 162, 165, 168, 172, 173, 175, 182, 184, 185, 186, 187, 190, 193, 194, 198, 199, 206, 207, 210, 211, 213, 218, 219, 222, 223, 224, 225, 236, 241, 243, 247, 252, 256, 257, 259, 260, 268, 271, 272, 278, 279, 285, 289, 291, 294, 296, 301, 303, 306, 308, 309, 310, 321, 325, 329, 331, 333, 350, 354, 356, 361, 362, 365, 370, 373, 378, 382, 384, 390, 395, 399, 401, 403, 404, 408, 410, 412, 413, 420, 421, 424, 429, 432, 434, 435, 438, 439, 441, 442, 443, 447
ჟვანია ზურაბ ბესარიონის ძე 19
ჟირინოვსკი 33

რ

რატიანი ნატალი 441
რეიგანი 152, 236, 251
რემა 13
რიბკინი 80
როსტომი 113, 120
რჩეულიშვილი 45, 201, 246, 253, 420
რჩეულიშვილი ვახტანგ 155, 286, 359

ს

სააკაშვილი 17, 231, 238, 257, 263, 365, 366, 373, 414, 431, 434, 447, 451, 453
სააკაშვილი მიშა 200, 275, 340
სააკაშვილი მიხეილ 17, 60, 135, 155, 217, 294, 344, 366, 414, 420

საითიძე გოჩა 206
სალარიძე დავით 147
სალომე 438
სამუშია ჯაბა 206
სარია ეკა 86
სარიშვილი 235, 252, 253, 365
სარიშვილი ირინა 253, 255
სარიშვილი-ჭანტურია ირინა 235, 242, 365
სარქისიანი არამ 195
სელეზნიოვი გენადი 86, 414
სერგეი 401, 403, 406, 407
სერგეევი 162
სვიანაძე მაია 300
სიორიძე 333
სიორიძე ზაზა 354
სოლოვიოვი სერგეი 403

ტ

ტესემნიკოვა ეკატერინა 412
ტიხონოვი 145
ტუღუში ლაშა 84, 137

ფ

ფიშერი 74
ფიშერი ლ. 75, 76, 77
ფიშერი ლენი 74, 207
ფონტეინი ნიკოლ 268

ქ

ქოჩარიანი 195
ქუთათელაძე 150

ყ

ყანდაშვილი გია 47
ყოლბაია ვახტანგ 52, 86, 133, 295

შ

შავერდაშვილი შორენა 383
შავიშვილი 45
შალვაშვილი ლალი 194, 252, 285, 325
შაშიაშვილი თემურ 413
შევარდნაძე 16, 30, 31, 33, 34, 38, 80, 82, 84, 91, 93, 98, 99, 103, 105, 111, 124, 127, 137, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 147, 149, 162, 168, 174, 175, 183, 185, 203, 216, 221, 226, 227, 229, 234, 237, 244, 248, 249, 255, 263, 275, 276, 291, 292, 294, 296, 303, 305, 306, 307, 310, 314, 319, 321, 326, 349, 352, 354, 358, 359, 365, 367, 368, 370, 376, 403, 405, 426, 427, 447, 448
შევარდნაძე ედუარდ 17, 24, 27, 40, 49, 57, 63, 78, 99, 103, 110, 118, 129, 144, 145, 148, 153, 154, 155, 156, 162, 178, 180, 183, 206, 209, 226, 227, 229, 243, 255, 267, 281, 282, 294, 300, 302, 308, 309, 323, 351, 355, 388, 400, 412, 413, 415
შევარდნაძე კახა 150
შევარდნაძე ნუგზარ 229
შეინინი 139
შენგელაია ელდარ 144, 200, 345
შვიმერი ვალტერ 268

ჩ

ჩაფიძე ელისო 165, 365, 447
ჩეთინი ჰიქმეთ 191
ჩერჩილი უინსტონ 222
ჩიბიროვი ლუდვიგ 68
ჩიტაია 263
ჩიტაია კახა 52, 182
ჩხაიძე ვალერი 264
ჩხარტიშვილი ვანო 339
ჩხენკელი მერაბ 67

ცხ

ცაბაძე ნონა 432, 438
ცისკარიშვილი პეტრე 399
ცხადაია მანანა 161

ძ

ძუგაევი კონსტანტინე 68

წ

წერეთელი 72
წერეთელი ირაკლი 72
წერეთელი გიგი 334, 336

ჭ

ჭავჭავაძე ილია 15, 102
ჭავჭავაძე 104
ჭანტურია ლადო 341

ჭაჭუა ავთანდილ 298
ჭელიძე გია 136
ჭკუასელი 304, 399
ჭკუასელი ვახტანგ 399
ჭკუასელი მიხეილ 228, 304, 354

ხ

ხაინდრავა გოგა 438, 440
ხაინდრავა გიორგი 435
ხარაზი 113, 114, 118, 168
ხარაზი თამაზ 113, 116, 124, 125
ხაჯიმბა რაულ 443, 444
ხეცურიანი 426
ხეცურიანი ჯონი 370, 424
ხმალაძე 252
ხრუშჩოვი ნიკიტა 13, 144

ჯ

ჯავახიშვილი 83
ჯავახიშვილი ალექსანდრე 144
ჯავახიშვილი ნოდარ 83
ჯაიანი ანზორ 133
ჯონსტონი რასელ (ლორდი) 207, 221, 268
ჯორბენაძე ავთანდილ 67

ჰ

ჰიჩკოკი 275